ჩვა-ეითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა № 238

სპრბის ცაცაბაძე

საქართველოს ისტორია

ახალი საუკუნეების ეპოქა.

(1500—1810 წ.წ.)

ტფილისი
1922 წ.

წინასიტყვაობის ნაცვლად

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს 1920 წელს გამოცემულს „საქართველოს მოკლე ისტორიასთან“ შედარებით თვალსაჩინოდ შეკვეცილს გამოცემას განზრახული იყო შეკვეცა წიგნის მასალისა გატარებულიყო მთელს სიგრძეზე მთხრობისა ვიდრე უკანასკნელ ხანამდის მაგრამ საჭიროდ ამის განხორციელება შეუძლებელი შეიქმნა წიგნის ბეჭდვა დაიწყო 1920 წლის დეკემბერში და 1921 წლ. თებერვლისთვის 200 გვერდამდის უკვე დაბეჭდილი იყო და ვინც გვერდი კიდევ აწყობილი. თებერვლის ამბებმა შეაჩერეს წიგნის ბეჭდვა და მთელს სიგრძეზე 1921 წლისა შეუძლებელი აღმოჩნდა, მოეხედნათ ნაბარათევის მიღებისა, წიგნის ბეჭდვის დამთავრება ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო. ვინაიდგან წიგნის ბეჭდვა შეტის შეტად ვეღარდებოდა, ამიტომ მეც ამ მიზეზით იძულებული ვიყავი წიგნი შემეკუნცა მე-19 საუკ. დასაწყისზე ამასთანავე მე-18 საუკ. უკანასკნელ წლებიდის ისტორიის აღწერილობაში, შედარებით წინანდელ გამოცემასთან ცვლილებები არაფერია შეტანილი, რათა ამ ცვლილებებს წიგნის გაძოსვლა კიდევ უფრო არ დაეგვიანებინა.

ის გარემოება, რომ წიგნის გამოსვლა დაგვიანდა ერთი წლით, რამოდენადმე ახსნის ჩვენი, როგორც ავტორის უკმაყოფილებას ამ გამოცემით ამ ერთი წლის განმავლობაში, მიუხედავად მუშაობისთვის არაწელსაყრელ პირობებისა, რასაც ავტორი არც წინა წიგნებში სთვლიდა თავის ცნობებისათვის გამოსაკლისად, მე მაინც საშუალება მქონდა ფრთხილად დახვეწის საყიდებლის ჩაფიქრებოდი და ამ ჟამადმე კვლევობანებდი ჩვენი ისტორიის ძველ ეპიზოდებს თუ მთლად არა ყოველ შემთხვევაში ნაწილის მაინც უფრო ღრმად გაგაშუქებას, ამ ჟამად ეს, რასაკვირველია, მომავლის საკითხად გარდაიქცა და ჩვენ იძულებული ვართ ეს წიგნი მკითხველს მივაწოდოთ იმ გვარად, როგორც ის დაწყებულია იყო ამ 1—2 წლის წინად.

18 თებერვალს 1922 წ.

სარგის კაკაბაძე

სარჩევი

		გვ.
I	ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის სპარსეთსა და ოსმალეთთან	1
II	სპარსეთის ბატონობის დამკვიდრება ქართლ-კახეთში	19
III	ოსმალეთის ბატონობის დამკვიდრება ლიხთ-იმერეთსა და მესხეთში	27
IV	სპარსეთის ბატონობის გაძლიერება ქართლ-კახეთში	31
V	ქართლ-კახეთის თავადების ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ	60
VI	მაჰმადიანობის დამკვიდრება მესხეთში და ოსმალთა ბატონობის განმტკიცება ლიხთ-იმერეთში	89
VII	საქართველოს საერთო მდგომარეობა მე XVI—XVII საუკუნეში	107
VIII	ქართლ-კახეთი ჯალტურ ლეკურ ლაშქრობების გზაზე. დასუსტებისას	127
IX	ქართლ-კახეთი სპარსეთისაგან განთავისუფლების გზაზე	148
X	არაგვ-დარიალის ხანა ლიხთ-იმერეთის და ბრძოლა იმერეთის მეფეთა მთავრებთან და თავადებთან.	180
XI	რუსეთისაკენ.	205
XII	მფარველობითი კავშირიდან რუსეთის ბატონობის დამყარებამდის	222
XIII	რუსეთის ბატონობის დამკვიდრება საქართველოში	245
XIV	ფაქტები საქართველოს საერთო მდგომარეობიდან მე-XVIII საუკუნეში	271

ახალი საუკუნეების ეპოქა.

I.

ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის სპარსეთსა და ოსმალეთთან.

მსოფლიო ისტორიის მოვლენები საშუალო და ახალ საუკუნეების მიჯნაზე და მათი მნიშვნელობა საქართველოსთვის. ეგრედ წოდებულ ახალ საუკუნეების ეპოქას ჰყოფს საშუალო საუკუნეებიდან მთელი რიგი დიდ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებისა, რომელთაც ხელი შეუწყვეს კაცობრიობის ისტორიის ახალი გზით მსვლელობას. ამ ფაქტებს შორის, გარდა ამერიკის აღმოჩენისა, რომელსაც საქართველოს ისტორიაზე უშუალო გავლენა არ ჰქონდა, აღსანიშნავია ოსმალების მიერ ბიზანტიის იმპერიის დაპყრობა და კოსტანტინოპოლის ბოსფორის სრუტითურთ მათ ხელში გადასვლა (1453 წ.). კოსტანტინოპოლის დაპყრობით ოსმალებმა მოსწყვიტეს საქართველო და მთელი წინა-აზია ევროპას. ამიტომაც ვენეციელების და გენუელების სავაჭრო ურთიერთობა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებთან, კერძოდ საქართველოსთან და აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთთან თანდათან მისუსტდა და შემდეგ მთლად მოისპო.

1475 წ. ოსმალებმა დაიპყრეს კაფა (თეოდოსია) და საქართველოს დაუახლოვდნენ ჩრდილოეთითაც. ამით მათ ჩაკეტეს ის სავაჭრო გზაც, რომელიც მიდიოდა სარაისა და თურქესტანის მიმართულებით ჩინეთისა და ინდოეთისაკენ და რომელსაც რამოდენამდე მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვისაც. შავი ზღვა გადაიქცა მალე ოსმალების სრულ საკუთრებად და წინა-აზიამ ეკონომიურად უკან დახევა იწყო. ეკონომიურ დასუსტებას და დაღარიბებას მოყვა კულტურის დაცემაც. ასეთივე ბედი ეწია საქართველოსაც, რომლის ეკონომიურმა და კულტურულმა ძალამ თანდათან ჯერ ნელის, მაგრამ შემდეგ უფრო აჩქარებულის ნაბიჯით დასუსტება იწყო.

ოსმალების მიერ ბოსფორზე ფეხის მოკიდებამ დააჩქარა ევროპიდან ინდოეთისაკენ საზღვაო გზის აღმოჩენა. 1498 წ. პორტუგალელმა ვასკო-და-გამამ მოუარა ზღვით აფრიკას და მიაღწია ინდოეთს. ამით გაიხსნა ევროპასა და შორეულ აზიას შორის ახალი დიდი სავაჭრო გზა, რომელიც პირველად ხელში ჩაუვარდათ პორტუგალელებს. მალე პორტუგალელებმა ჩაკეტეს მეწამული ზღვა სამხრეთით (1509 წ.) და ამით გადასჭრეს ეგვიპტეზე მიმავალი სავაჭრო გზა. ისინი ლამობდნენ ინდოეთის ვაჭრობის მთლად ხელში ჩაგდებას.

ვენეციელებმა, რომელთაც კოსტანტინოპოლის ოსმალების ხელში გადასვლით დაკარგეს მთავარი სავაჭრო გზა, მთელი თავისი, აზიის ვაჭრობისაკენ მიქცეული ყურადღება გადაიტანეს ინდოეთის მიმართულებით არსებულ ხმელეთის სავაჭრო გზების განვითარებისაკენ. მალე ქალაქი ჰალეპო სირიაში გახდა ვენეციელების მთავარ საშუამავლო პუნქტად აზიასთან ეკონომიურ ურთიერთობის დამყარების საქმეში. მთავარი სავაჭრო ხმელეთის გზა ამ გვარად გადატანილ იქმნა შავი ზღვის სანაპიროებიდან სამხრეთით სირიასა და მესოპოტამიაზე და სპარსეთის ჩრდილოეთ ნაწილიდან სამხრეთ ნაწილში. თუ აქამდის ქალ. თავრიზი წარმოადგენდა სპარსეთში პირველ მნიშვნელოვანების პუნქტს, როგორც ეკონომიური და იმავე დროს პოლიტიკური ცენტრიც, ამიერიდან მას მეტოქეობას უწევს სამხრეთ სპარსეთში მდებარე ქალ. ისპაანი. მე-XVI საუკ. დასასრულს კი შაჰ-აბაზ I-ის დროს (1587—1628 წ.) ისპაანი გამოცხადებულ იქმნა სპარსეთის სატახტო ქალაქადაც. სპარსეთის ეკონომიური ცხოვრების სასწორმა ამ გვარად სამხრეთისაკენ გადაიხარა. მთავარი საერთაშორისო ეკონომიური ძარღვი ამ მხარედანაც დაშორდა საქართველოს, რაც შეუძლებლად ხდიდა ჩვენი ქვეყნის აღორძინებას. თვით სპარსეთიც, საერთოდ წინა-აზიის ცხოვრების უკან დახევისა გამო, წინ-სვლის საშუალებას მოკლებული იყო, თუმცა მან მე-XVI—XVII საუკუნეებში ჯერ კიდევ შესძლო თავისი შინაგანი ძალის შენარჩუნება და უკან დახევის გზაზე დამდგარ საქართველოს მიმართ თავისი ძლიერების გამოაშკარავებაც.

საქართველო ახალი საუკუნეების ეპოქის მიჯნაზე. ამ დიად, მსოფლიო ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენებს საქართველო ხვდებოდა დაქსაქსული და დანაწილებული. მე-XV საუკუნის მიწურულს საქართველოს ტერიტორიაზე ახლად ჩამოყალიბებული იყო 4 სახელმწიფო: ქართლის სამეფო ტფილისითურთ, სადაც მეფობდა კოსტანტინე (1478—1504 წ.), ძე დიმიტრისა და ძისძე საქართველოს მეფის ალექსანდრე დიდისა, კახეთის სამეფო, სადაც მეფობდა კოსტანტინეს ბიძაშვილი ალექსანდრე I გიორგის-ძე (1476—1511 წ.), იმერეთის სამეფო, რომელიც ემორჩილებოდა ალექსანდრე II-ს ბაგრატის-ძეს (1484—1510 წ.), და სამცხე-საათაბაგო, სადაც ათაბაგად იჯდა ყვარყვარე II (1451—1498 წ.).

ქართლის მეფეს კოსტანტინეს ემორჩილებოდა ქართლის უმეტესი ნაწილი სომხით-ლორე-ბამბაკითურთ. ქართლის დასავლეთი ნაწილი თითქმის გორის მიდგმამდის შეადგენდა იმერეთის მეფის საბრძანებელს. ტფილისი ითვლებოდა ქართლის მეფის სატახტო ქალაქად.

კახეთის სამეფოში შედიოდა არაგვის საერისთაო, კახეთ-კუხეთი, გაღმა-მხარი, კაკი და ელისენი. ამას გარდა კახეთის მეფეს ემორჩილებოდნენ დაღისტნის მოსაზღვრე ტომები, ანწუხელები და სხ. კახეთის

მეფის მუდმივ ადგილ-სამყოფელი იყო ქალ. ზაგემი (შემდეგ დროინდელი ყარალაჯი)

იმერეთის ანუ უკეთ, როგორც მაშინ იწოდებოდა, აფხაზ-იმერეთის სამეფოს შეადგენდა, გარდა საკუთრივ მეფის სამფლობელოსი (საკუთრივ იმერეთი რაჭა-სვანეთ-ლეჩხუმითურთ), სადადიანო (ოდიში და აფხაზეთი ჯიქეთითურთ) და საგურიელო (გურია, ქობულეთი, ჭანეთი რკინის პალომდის ანუ ქემერამდის). მეფის მთავარი რეზიდენცია ქუთაისში იყო.

სამცხე-საათაბაგო გადაჭიმული იყო ტაშის-კარიდან ჯავახეთითურთ არზრუმის მიდგმაზე მდებარე გურჯი-ბოლაზამდის. ათაბაგის მთავარ ადგილ სამყოფელად ახალციხე ითვლებოდა.

ეს სახელმწიფოები ეხლა იწყებდნენ განსაკუთრებულის ინტენსიობით თავისი შინაგან დამოუკიდებლობის განმტკიცებას და სახელმწიფოებრივ წესწყობილების ახლად შექმნილ მდგომარეობასთან შეფარდებას.

მეფის უფლება სამეფოებში, ხოლო ათაბაგისა საათაბაგოში ჩვეულების თანახმად განსაზღვრული იყო დიდებულ თავადთა მიერ, რომელნიც სათავეში ედგნენ თავიანთ გვარეულობას. თავადთა გვარეულობანი ფლობდნენ თავისს სამფლობელოს, მათ ჰქონდათ საგვარეულო ციხეები, კოშკები, მონასტრები. გვარეულობის თავი ითვლებოდა ამა თუ იმ სათავადო სამფლობელოს ბატონად. ესევე თავი-ბატონი იყო წარმომადგენელი გვარეულობისა მეფის წინაშე. გვარეულობის მნიშვნელობა დამოკიდებული იყო მამულისა და ყმათა სიმრავლეზე, მაშასადამე გვარის განუყოფლობაზე. გაყრისთანავე გვარეულობა სუსტდებოდა და ჰკარგავდა თავისს წინანდელ ძალას.

მე-XVI საუკ. დასაწყისს და მისს სიგრძეზე ქართლში უფრო ძლიერი გვარეულობა იყო: ქსნის ერისთავი-ქვენიფნეველი, ფანასკერტელი-ციციშვილი, ჯავახიშვილი, სოლაღაშვილი, ბარათაშვილი, ზედგინიძე (ამ გვარეულობის თავს ამ დროს ჰქონდა მემკვიდრეობით ამილახორის თანამდებობა), ფავნელიშვილი (თმოგველ-უჯარმელი), ფალავანდიშვილი. ბარათაშვილის გვარეულობისაგან შემდეგ გაყრის გამო წარმოსდგა ახალი დიდი გვარეულობის შტო ორბელიშვილნი-ყაფლანიშვილნი, კიდევ აბაშიშვილნი, გერმანოზიშვილნი, გოსტასაბიშვილნი.

კახეთში დიდი გავლენა ჰქონდა ერუბაქიძის გვარეულობას, რომელიც ამ დროს გაყოფილი იყო ორ შტოდ—ჩოლაყაშვილისა და მაყაშვილისად, არაგვის ერისთავს, რუსიშვილს და ეაჩნაძეს.

იმერეთის სამეფოში თავადთა გვარეულობათაგან მძლავრობდნენ საკუთრივ სამეფოში: ჩხეტიძე ანუ ჩხეიძე, ჰილაძე, მხეციძე (მხეიძე), ფარიჯანიანი, ღოღობერიძე, ლორთქიფანიძე, ფალავანდიშვილი, ჩიჯავაძე, ლასხიშვილი, კუჭაიძე, რაჭის ერისთავი რაჭას, ჯაფარიძე; სადადიანოში: ქორთოძე, ლიპარტიანი, გოშაძე, ხოლო აფხაზეთს შერვა-

შიძე და ანჩაბაძე; საგურიელოში: მაჭუტაძე, ბერიძე, მახაძე. თვით დადიანს და გურიელს, როგორც ძლიერ და ნახევრად დამოუკიდებელ მთავრებს, ეჭირათ სამეფოში განსაკუთრებული ადგილი. დადიანი ჩვეულებრივ ითვლებოდა უფრო პატივისათვის მეფის მანდატურთ-უხუცესად, ხოლო გურიელი კი მსახურთ-უხუცესად ან ამირ-სპასალარად.

სამცხე-საათაბაგოში ამავე დროს იყო სულ 20 თავადის გვარეულობა: შალიკაშვილი, კავკასიძე, თაქთარიძე, გოგიბაშვილი, ხურსიძე, დიასამიძე, ხახულარი, ანძაველი, სლესარი, ლასურიძე, აბუსერიძე, ოლადაშვილი, ამატაკი, ავალიშვილი, სპასალარი, რჩეულიშვილი, ფროდიანი, უზნაძე, ფანასკერტელი, და კოპაძე. მათ შორის ყველაზედ უფრო გავლენიანი იყო შალიკაშვილი.

როგორც მეფესა და ათაბაგს, ისე აგრეთვე თავადების გვარეულობათ ჰყავდათ აზნაურები. აზნაურებს მისდევდნენ მსახურები, რომელთაც ბეგარის მაგივრად ბატონის სამსახური და თან-ხლება ედვათ და რომელნიც ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ აზნაურებთან ერთად ომში გამოსასვლელად. მსახურებს მისდევდა გლეხობა, რომლის უდიდესს ნაწილსაც შეადგენდა ბეგრის გარდამხდელი გლეხობა (მოყალნე გლეხი აღმოსავლეთ საქართველოში—ყალანი ნიშნავს მიწის გარდასახადს —, მებეგრე გლეხი სხვაგან, მოინალე ოდიშსა და აფხაზეთში). აზნაურებს შეიძლება ყოლოდათ ყმად როგორც მსახურნი, ისე გლეხნი, მსახურთ—მხოლოდ გლეხნი. ყველასი ვალდებულება და გარდასახადი სასტიკად განსაზღვრული იყო ჩვეულებით და კანონით.

ეკლესიურ ცხოვრებაში საქართველო გაყოფილი იყო ორ საკათალიკოზოდ: ქართლის კათალიკოზს ემორჩილებოდა ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო, ხოლო აფხაზეთის კათალიკოზს, რომლის კათედრა ბიჰვინტას იყო, მთელი აფხაზ-იმერეთის სამეფო და შავი ზღვის ნაპირი ჯიქეთიდან კაფამდის.

ქართლის სამეფო, რომელიც მარტოოდენ შერჩა ბაგრატიონთა დინასტიის მთავარ შტოს ერთიან საქართველოდან, იყო ამ დროს საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან შედარებით უფრო დაკნინებული და დასუსტებული. კოსტანტინე მეფე ისე გარდაიცვალა 1504 წ., რომ მან ვერ მოასწრო თავისი სამეფოს შიგნით საკმაოდ გამაგრება. მისს შვილს დავით IX-ს (1504—1526) საქმე უფრო გაუძნელდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კახეთის მეფე ალექსანდრე მოკლა მისმა შვილმა გიორგიმ, ძმას კიდევ თვალები დათხარა და გამოაცხადა თავისი თავი მეფედ (1511 წ.). ამ მამის მკვლელს ეწოდა ავ-გიორგი. ქართლის სამეფო სახლმა არ მოინდომა მამის მკვლელთან კარგი განწყობილების დაჭერა, რის საპასუხოდ ავ-გიორგი გამუდმებით თავს ესხმოდა ქართლს. მაშინ დავით მეფემ ერთის მხრივ კახ-ბატონის თავდასხმათა მოსაგერიებლად და მეორეს მხრივ ზოგ ქართლის დიდებულთა დასასუსტებლად მისცა მუხრანი და მისი მომდგომი მხარე საუფლისწულოდ თავისს

ძმას ბაგრატს და მასვე დაუმორჩილა ქსნის საერისთო. ბაგრატი შეიქმნა მუხრან-ბატონების გვარეულობის დამაარსებელი. ის ენერგიულად შეუდგა ავ-გიორგისთან ბრძოლას. პირველად უპირატესობა ავ-გიორგის მხარეს იყო. ავ-გიორგი შემოერტყა ბაგრატის მიერ გაშენებულ მტკვრის-ციხეს, მაგრამ ვერ აიღო ის და სამი თვის შემდეგ იძულებული გახდა ალყა მოეხსნა. ამის შემდეგაც ავ-გიორგი განაგრძობდა ქართლზე თავ-დასხმას. ბოლოს ბაგრატმა მოუსწრო ქართლზე სათარეშოდ მცირე ძალით გამოსულს ავ-გიორგის ძალისს სამუხრანოში, დაამარცხა ის და შეიპყრო ტყვედ. მხარ-გაკრული გიორგი ჩააგდეს ციხეში, სადაც ის მალე მოაშთვეს კიდეც (1513 წ.). კახეთი კი დროებით დაიპყრო დავით მეფემ. მდგომარეობას აღმოს. საქართველოში დროებით გაუმჯობესება დაეტყო.

იმერეთის მეფე აგრეთვე ეკირთებოდა ქართლის სამეფოს. 1509 წ. ალექსანდრე II იმერთა მეფემ დაიპყრო გალი, რომელიც დაბრუნა დავით მეფემ მას შემდეგ, რაც ალექსანდრე II-ის სიკვდილის გამო იმერეთის ტახტი დაიკირა მისმა შვილმა ბაგრატ III-მ (1510 —1565).

სამცხე-სათაბაგოს მთავართა უმთავრესი საზრუნავი იყო დამოუკიდებლობის განმტკიცება და შიგნით თავისი სამფლობელოს გაერთიანება. ამ მხრივ აღსანიშნავია მზეჭაბუკ ათაბაგის მთავრობა (1500—1516 წ.) მზეჭაბუკმა საბოლოოდ მოსპო მანამდის შიგნით საათაბაგოში, მაგ. ჯავახეთში, არსებული ავტონომიური სამფლობელოები ათაბაგთა გვარეულობის უმცროს შტოებისა და გადარეკა ისინი თავისი საზღვრებიდან ან დაიმორჩილა. ასე, მაგალითად, იძულებულნი გახდნენ საათაბაგო დაეტოვებინათ ათაბაგები ივანე, მანუჩარი და თამთანი. საათაბაგოში უზენაესი ძალა-უფლების წარმომადგენლად თვით მზეჭაბუკი დარჩა. ამ მიზეზით, რასაკვირველია, ათაბაგის უფლებას მეტი ძალა მიეცა.

ოსმალეთი და სპარსეთი. საქართველოს ამ დროს სამხრეთით საზღვრავდა ორი დიდი იმპერია—ოსმალეთი და სპარსეთი. ოსმალეთის ძლიერება კოსტანტინოპოლის დაპყრობიდან დღითი დღე წარმატებას პოულობდა ახალ ქვეყნების დაპყრობით ევროპასა და აფრიკაში. ხოლო სპარსეთის ძლიერება აღმობრწყინდა მე-XVI საუკ. დასაწყისში, როდესაც ისმაილმა, სეფიანთა დინასტიის დამაარსებელმა, იწყო მთელი სპარსეთის შემოკრება თავისი მბრძანებლობის ქვეშ. ისმაილმა საბოლოოდ დაამარცხა თურქმენები, რომელნიც მანამდის ჩრდილოეთ სპარსეთში მძლავრობდნენ, დაიპყრო შირვანი და გამოაცხადა თავრიზი სატახტო ქალაქად (1502 წ.). ამის შემდეგ ის შეუდგა სპარსეთის დანარჩენ ნაწილების შემოკრებასაც როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით, დაიპყრო ბაღდადი და დაარსა ძლიერი იმპერია. მისს მთავარ დასაყრდნობ ძალას წარმოადგენდა თურქმენთა 7 ელი (ტომი), რომელნიც განირჩეოდნენ სხვებისაგან თაეზე წითელი საბურავით, რის გამოც მათ დაერქვა სახელად წითელ-თავიანები ანუ ყიზილ-ბაშები.

თუმცა ორივე იმპერია მაჰმადის რჯულს აღიარებდა. მაგრამ მათ შორის დიდი სიძულვილი და ერთმანეთის დაუნდობლობა იყო. ოსმალები იყვნენ სუნიტები, ანუ მაჰმადის ყურანის გარდა განსაკუთრებულ გადმოცემათა—სუნნას აღმსარებელნი, სპარსნი კი შიიტები („მწვალებლები, გამოყოფილნი"). შიიზმი დაიწყო მე-VII საუკ., დაახლოვებით 30 წლის შემდეგ მაჰმადის სიკვდილისა. მეოთხე ხალიფის, მაჰმადის სიძის ალის მოკვლის შემდეგ ხალიფობა ხელში ჩაიგდეს ომეის ჩამომავალთ—ომეიანთ. შიიტები კი მომხრენი იყვნენ ალის მემკვიდრეთა ხალიფობისა და არ სცნობდნენ ომეიანთა და მათ მოადგილეთ უფლებას ხალიფის ხარისხზე. სარწმუნოებრივმა განხეთქილებამ მაჰმადიანობის ორ მთავარ მიმდინარეობას შორის ახალის და განსაკუთრებულის სიძლიერით იფეთქა მე-XVI საუკუნეში. არსებითად ეს სარწმუნოებრივი განხეთქილება ფარავდა ამ დროს წმინდა პოლიტიკურ მეტოქეობას ოსმალეთსა და სპარსეთს შორის წინა-აზიაში. სპარსეთის შაჰი ისმაილი მთლად დაეყრდნო შიიზმს და ცდილობდა მისი პროპაგანდით შეესუსტებინა ოსმალების ძალა-უფლება სპარსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში და წინა-აზიაში. ოსმალეთმა კიდევ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა შიიზმს. სუნიტების სიძულვილი შიიტების მიმართ ისეთი დიდი იყო, რომ თუ ოსმალნი შესაძლებლად სთვლიდნენ დამორჩილებულ ქრისტიან ხალხთა დატოვებას მხოლოდ ხარკის გარდახდის პირობით, შიიტებისათვის ისინი აღიარებდნენ მხოლოდ მახვილს და ამოწყვეტას.

სპარსეთის და ოსმალეთის პირველი გამოლაშქრება საქართველოზე. ოსმალთა და სპარსთა ძლიერების ტალღა საქართველოს მოხვდა თვით მე-XVI საუკ. დასაწყისში. ჯერ კიდევ როდესაც ისმაილი თავისს იმპერიას აფუძნებდა და ცდილობდა წინა-აზიაში ფეხის მომაგრებას, მან ყურადღება მიაქცია საქართველოსაც. როდესაც შირვანის დაპყრობის შემდეგ 1501 წ. ისმაილი გაემართა დასავლეთისკენ, არზრუმისა და ერზინჯანის მიმართულებით, მან ბასიანიდან გაუშვა ძლიერი რაზმი საქართველოს მოსათარეშებლად. სპარსელების ჯარი შევიდა საათაბაგოს, გადავიდა ქართლის სამეფოში და დიდძალი ნადავლით, ტყვეებით და სიმდიდრით დაბრუნდა უკან.

ოსმალეთის პირველი თვალსაჩინო ლაშქრობა დასავლეთ და სამხრ.-დასავლ. საქართველოზე მოხდა 1510 წ., როდესაც იმერეთის ტახტზედ იჯდა ახალგაზრდა ბაგრატ III. დიდძალი ოსმალთა ჯარი შეესია საათაბაგოს, სწრაფად გარდავლო ის და მიადგა ჭუთაისს, სადაც დასწვა ჭუთათლების დიდი საკათედრო საყდარი, აგრეთვე სხვა ეკლესიები, მოაოხრა ქალაქი, მხოლოდ ციხე კი ვერ აიღო. ჭუთაისიდან ოსმალთ თარეშებმა დასწვეს გელათი, მოარბიეს იმერეთი და აუარებელი ტყვეებით დაბრუნდნენ. ეს თავდასხმა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ბაგრატ III-მ ვერ მოასწრო წინააღმდეგობის გაწევა.

ბრძოლა ოსმალეთსა და სპარსეთს შორის. რამდენადაც ძლიერდებოდა ინტერესთა წინააღმდეგობა ახლად აღმოცენებულ სპარსეთის მონარქიასა და ოსმალეთის იმპერიას შორის, იმდენად ცხადი იყო, რომ საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამ ორი სახელმწიფოს ჩრდილოეთ ფრთაზედ, ადრე თუ გვიან ჩათრეულ იქმნებოდა მათ შორის აუცილებელ დიადს ბრძოლაში. როგორც კი შაჰ-ისმაილმა საბოლოოდ შემოიმტკიცა სპარსეთი, მაშინვე მან თავისი მთავარი ყურადღება მიაპყრო დასავლეთ საზღვრებს, სადაც ოსმალნი მძლავრობდნენ. შაჰ-ისმაილმა განაძლიერა შიიზმის პროპაგანდა. ამის საპასუხოდ სულთან სელიმმა საშინელი დევნა დაუწყო შიიტებს, ამოსწყვიტა ან ციხეში ჩააგდო 40 ათასი შიიტი, ხოლო 1514 წ. 120 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარით გაემართა სპარსეთის წინააღმდეგ. ამ ომისთვის ოსმალეთის ულემებმა გამოუშვეს სპეციალური ფეტვა, რომელშიდაც მოხსენებული იყო, რომ მუსულმანისათვის მეტს დამსახურებას წარმოადგენს ერთი სპარსელი შიიტის მოკლვა, ვიდრე 70 ქრისტიანისაო. საათაბაგოს საზღვრებთან მოახლოვებისას სულთან სელიმს გაეგება ათაზაგ მზეჭაბუკის ელჩები დიდძალი საჩუქრებით მორჩილების ნიშნად. სულთანი არ შემოსულა საათაბაგოს ფარგლებში და პირდაპირ გაემართა აზერბეიჯანისაკენ. ბრძოლა მოხდა აზერბეიჯანის საზღვარზე ჩალდირანის ახლოს და გათავდა სინან-ფაშის ნიჭიერ ხელმძღვანელობისა და ენიჩართა მამაცურ შეტევის მეოხებით ოსმალთა სრული გამარჯვებით. სულთან სელიმმა დაიპყრო ერთის მხრივ თაერიზი, მეორეს მხრივ დიარბექირი. მაგრამ ლაშქრობის გაგრძელება ვერ შესძლო, რადგან სპარსელებს სანაპირო ქვეყნები მთლად მოეოხრებინათ და ამიტომ სურსათის ნაკლებობისა გამო წინსვლა შეუძლებელი იყო. თუმცა ოსმალეთი საზოგადოდ უფრო ძლიერი იყო სპარსეთზე, მაგრამ ოსმალთ უძნელდებოდათ აზიაში შორეულ მანძილზე ლაშქრობის წარმრება და ეს გარემოება ხელს უწყობდა სპარსეთის შაჰებს თავისი იმპერიის დაცვის საქმეში.

ჩალდირანის ბრძოლაში დამარცხებამ ვერ შეაჩერა აქტიური პოლიტიკა შაჰ-ისმაილისა წინა-აზიასა და კავკასიაში. ოსმალეთს სპარსეთისათვის აღარ ცხელოდა. სულთანმა სელიმ დაიპყრო სირია, არაბეთი და ეგვიპტე (1517 წ.). თავისი საომარი მოქმედების მთავარი ყურადღება მას დასავლეთისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. მით უფრო მეტის ენერგიით ცდილობდა შაჰ-ისმაილი სპარსეთის გავლენის გაფართოებას და თავისი იმპერიის საზღვრების გაუმჯობესებას. აღმოსავლეთ კავკასიასა და ქართლ-კახეთს ამ მხრივ სპარსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მხოლოდ ამ ქვეყნების საიმედოდ შემომტკიცება უზრუნველ ყოფდა რამოდენადმე შაჰის საბრძანებლის მარჯვენა ფრთას ოსმალებთან მოსალოდნელ ახალ ომების დროს. ამით აიხსნება, თუ რატომ ასეთის დიდის ყურადღებით ეპყრობოდა სპარსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის შემომტკიცების საქმეს როგორც მე-XVI, ისე შემდეგ

საუკუნეებშიაც. მართლაც 1518 წ. შაჰ-ისმაილი დიდძალი ჯარით მოევლინა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ.

დავით მეფე მორჩილდება სპარსეთს. ორივე სამეფო, როგორც ქართლისა, ისე კახეთისა ეპყრა ამ დროს დავით მეფეს. ავ-გიორგის შვილი ლევანი სახლთ-უხუცესის გარსევან ჩოლაყაშვილის სამფლობელოში იზრდებოდა ფარულად. კახ-თავადები უკმაყოფილო იყვნენ დავითის კახეთში გაბატონებით და მხოლოდ მარჯვე დროს უცდიდნენ თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად. იმერეთთანაც ქართლის მეფეს ურთიერთობა გამწვავებული ჰქონდა, რადგან იმერეთის მეფეს ეპყრა ქართლის დასავლეთი ნაწილი. ასეთ პირობებში ბრძოლა მთელს აღმოსავლეთში სახელმოპოვებულ შაჰ-ისმაილთან შეუძლებელი იყო. დავით მეფემ შეაგება შაჰს თავისი ერთი შვილთაგანი, აღუთქვა მორჩილება და იკისრა ყოველწლიური ხარჯის ანგარიშში 300 საპალნე აბრეშუმის მიცემა (1518 წ.). ქართლ-კახეთი ამგვარად მოექცა სპარსეთის პოლიტიკურ გავლენის სფეროში.

ოსმალთა შემოსევა ქართლში და ლევანის გამეფება კახეთს. სპარსეთის მიერ ფეხის მოკიდება ქართლ-კახეთში სასიამოვნოდ არ დაუჩრა ოსმალეთის მთავრობას, რომელმაც თავის მხრივ დასძრა ჯარი საქართველოსკენ. ამ ჯარმა გადალახა საათაბაგო და ქვეყნის ოხრებით გადმოვიდა ქართლს.

დავით მეფე ამ დროს იმყოფებოდა კახეთს. კახეთის თავადებს ლევან კახეთის ბატონიშვილი ოჩანის ციხეში მეფედ გამოეცხადებინათ. ქართლის ჯარი გადავიდა კახეთს და დაიმორჩილა ურჩნი, ბოლო ლევან მეფე იძულებული გახდა მაღრანის ციხეში გამაგრებულიყო. დავითი შემოადგა ამ ციხეს, რომლის მიცემა უკვე გარდაწყვეტილი იყო, როდესაც მოვიდა ამბავი ოსმალთა რაზმების ქართლში შემოსვლის შესახებ. დავით მეფემ გაგზავნა ლევანთან და მის დედასთან, ელენე დედოფალთან, მოციქულად ამილახორი და კათალიკოზის მოადგილე, მთავარეპისკოპოსი ქართლისა, და მოთხოვა საჩქაროდ ციხის მიცემა. მაგრამ ციხეში შესვლისას მთავარეპისკოპოსმა ხელზე სამთხვევად მიგებებულ ელენე დედოფალს საიდუმლოდ გაუმჟღავნა საქმის ნამდვილი გარემოება—ოსმალთა შემოსევა და ქართლის ჯარის აუცილებელი აყრა იმავე ღამეს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ციხის მიცემაზე დედოფალმა დავით მეფეს უარი უთხრა. მაშინ ქართლის ჯარი მართლაც მოეცალა მაღრანის ციხეს და საჩქაროდ გაემართა ოსმალების წინაღმდეგ, მოეწია მათ ზემო-ქართლში, სასტიკად დაამარცხა ისინი, დააყრევინა მათ ალაფი და ნაშოვარი ტყვეები და განდევნა ქართლიდან.

დავით მეფემ ამის შემდეგ კვლავ მოინდომა კახეთში თავისი მართველობის განმტკიცება და დაესხა თავს ქიზიყში მდგარს ლევან მეფეს, მაგრამ დამარცხდა. ამ დამარცხებამ ფაქტიურად დაადასტურა კახეთის

სამეფოს დამოუკიდებლობა მით უმეტეს, რომ დავით მეფის ყურადღება ეხლა მიპყრობილი იყო საგარეო საქმეებისაკენ.

სპარსელების შემოსევა ქართლში 1522 წ. მიუხედავად ოსმალთა შემოსეულ რაზმების დამარცხებისა, დავით მეფე მაინც იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამ ახალი ძალისათვის. ოსმალებთან კი ურთიერთობის ძაფის გაბმა ასუსტებდა სპარსეთის გავლენას აღმოსაველეთ საქართველოში. ამიტომაც სპარსეთის ჯარი შაჰის ვეჭილის (მოადგილის) დევაღ-სულთანის წინამძღოლობით ისევ გამოეშურა საქართველოსაკენ. მას თან მოსდევდა შაჰ-ისმაილი დიდის ჯარით. მოწინავე რაზმები სპარსელებისა თელეთის ღელეს ახლოს ქართველებმა დაამარცხეს ორჯერ. მაგრამ შემდეგ თვით შაჰ-ისმაილი გადავიდა შეტევაზედ, თავისი ჯარის სიმრავლით დაამარცხა ქართველთა რაზმები და მიადგა ტფილისს. ციხისთავმა აიღო სპარსელებისაგან ქრთამი და დასთმო ციხე. სპარსელებმა საშინლად აოხრეს ქალაქი, მცხოვრებნი დახოცეს, სახლები დასწვეს, ეკლესიები გაძარცვეს. სიონის ღვთისმშობლის ხატი აგრეთვე გაძარცვეს და შემდეგ დასდვეს ხიდის თავში. ვინც უარს ამბობდა ხატის ფეხით გათელვაზედ, მას იქვე თავს სჭრიდნენ და მტკვარში აგდებდნენ. ხიდის ყურეს კიდევ ააშენეს მეჩეთი. დავით მეფე იძულებული გახდა მორიგებოდა შაჰს და აღეთქვა მისთვის მორჩილობა.

დავით მეფე გარდაიცვალა 1526 წ., და მისს მაგივრად ქართლის ტახტზე დაჯდა ძე მისი ლუარსაბი.

ურთიერთობა საქართველოს მეფე-ჴთავართა შორის. ლუარსაბს ძალიან კარგად ესმოდა საქართველოს გართულებული მდგომარეობა და თუმცა მისს მფლობელობაში მხოლოდ ქართლი იყო, მაგრამ ის მანიც არ გამოდიოდა თავისი საპატრონოს კერძო ინტერესებიდან, არამედ ცდილობდა თავისი მოქმედების შეთანხმებას საქართველოს საერთო ინტერესებთან. ტახტზედ ასვლისას მან უპირველესი ყურადღება მიაქცია კახეთსა და იმერეთთან მჭიდრო კავშირის დაჭერას. იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს ის დაესიძა, შეირთო ცოლად მისი ასული თამარ, ხოლო ამავე დროს ცდილობდა თავისი რბილი მოქმედებით კახეთთან კეთილ-მეგობრული განწყობილების აღდგენას. ქართლ-კახეთი ამ დროს გარკვევით სპარსეთის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, ხოლო სამცხე-სათაბაგოს და დასავლეთ საქართველოს რკალს არტყამდნენ ოსმალები. მაგრამ ყვარყვარე III ათაბაგი არა თუ არ ეწინააღმდეგებოდა ამ გავლენის განმტკიცებას, არამედ პირიქით მასში ხედავდა ის ერთ-ერთ გარანტიას თავისი ავტონომიურ მართველობის შესანარჩუნებლად წინააღმდეგ ქართლის და იმერეთის მეფეების პრეტენზიებისა. ეს გარემოება ფრიად ამწვავებდა ურთიერთობას იმერეთის მეფესა და ყვარყვარეს შორის, რადგან ოსმალთა გავლენის დამყარება საათაბაგოში დიდს საფრთხეს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელ არსებობისათვის მით უმეტეს, რომ ამ დროს ოსმალნი უმეზობლებოდნენ ბაგრატ მეფეს არა

მარტო სამხრეთით სამცხე-საათაბაგოდან, არამედ ჩრდილოეთითაც, სადაც ჯიქ-ალან-ჩერქესთა შორის თანდათან ერცელდებოდა სულთანის გავლენა.

სპარსეთ-ოსმალეთის ახალი ომი. ამ დროს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის კვლავ ასტყდა ომი. 1532 წ. სულთან სულეიმან დიდი სპარსეთის ზოგიერთ დიდებულთა მიწვევით დიდის ჯარით გადავიდა შეტევაზე შაჰ-ისმაილის მემკვიდრის შაჰ-თამაზის წინააღმდეგ, დაიპყრა ქვეყნები ტიგრსა და ეფრატს შორის, ნაწილი ქურთისტანისა და აიღო თავრიზი. შემდეგ გაემართა ქალ. სულთანიეზე, მაგრამ დიდი სიცხეების გამო იძულებული გახდა უკან დახეულიყო. ამავე დროს დაპყრობილ იქმნა ქ. ბაღდადიც. შემდეგ წელს სულთან სულეიმანმა ისევ გაილაშქრა სპარსეთზე, მაგრამ სიშორისა, უგზოობისა და სურსათის ნაკლებობის გამო ვერაფელს გახდა და იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო.

შაჰ-თამაზმა ამის შემდეგ თანდათან მოიკრიბა ძალა და განდევნა ოსმალები თითქმის ყველა იმ ადგილებიდან, რომელიც მათ ახლად დაპყრობილი ჰქონდათ.

ქართლისთვის ამ ომს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ სპარსელებმა ოსმალების აზერბეიჯანში შესვლისთანავე გაიყვანეს ტფილისიდან თავისი ჯარი, რითაც ისარგებლა ლუარსაბ მეფემ და ტფილისის ციხე თითონ დაიჭირა (1534 წ.).

დადიანის და გურიელის ჯიქეთზე გალაშქრება. სპარსეთ-ოსმალეთის ომით ისარგებლა ბაგრატ III-მ. უპირველესად ყოვლისა მან ყურადღება მიაპყრო ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვრებს. ჯიქნი ამ დროს გამუდმებით ესხმოდნენ ზღვის სანაპიროებს და ქვეყანას აოხრებდნენ. მათ ზურგს უმაგრებდნენ ოსმალნი. გარდაწყდა ზღვით ნავებით ჯიქეთს გალაშქრება. მამია დადიანი და მამია გურიელი იანვარში 1533 წ. გაემართნენ სალაშქროდ. პირველ დღეს მათ გაემარჯვათ, მაგრამ მეორე დღეს 31 იანვარს შინაური ღალატისა გამო საშინლად დაუმარცხდათ, დადიანი მოკლეს, გურიელი, მისი 3 ძმა, ეპისკოპოსნი და ლაშქარი დატყვევდნენ. შემდეგ ისინი გამოისყიდა აფხაზეთის კათალიკოსმა.

ბაგრატ III იპყრობს საათაბაგოს. ჩრდილოეთ-დასავლეთით ლაშქრობა ამ გვარად მარცხით გათავდა და ეხლა მეფემ მთავარი ყურადღება სამცხე-საათაბაგოს მიაპყრო. დიდძალი ჯარით ბაგრატ გადავიდა საათაბაგოში. ახალქალაქის ახლოს მურჯახეთს მოხდა ძლიერი ბრძოლა 1535 წ. 12 აგვისტოს, რომლის დროს ორივე მხრივ მრავალი დაიხოცა. ბრძოლა გათავდა ყვარყვარე ათაბაგის დამარცხებით. თითონ ათაბაგი შეპყრობილ იქმნა ტყვედ, ხოლო საათაბაგო შემოუერთდა აფხაზ-იმერეთის სამეფოს.

მურჯახეთის ბრძოლას დიდი შედეგები მოყვა. თანამედროვენი მას სთვლიდნენ „ქრისტიანობის წახდენის მიზეზად“ და არა მარტო იმიტომ, რომ ამ ბრძოლაში დაიღუპა მრავალი რჩეული მეომარი და წარჩინებული

პირი, არამედ იმიტომაც, რომ ამის შემდეგ ოსმალეთმა მეტი ყურადღების მოპყრობა დაუწყო საქართველოს და დასავლეთ საქართველოც მოყვა დიდ პოლიტიკურ ინტერესების ფარგლებში. ყვარყვარე ათაბაგის შვილი, ქაიხოსრო, საათაბაგოს ვეზირმა ოთარ შალიკაშვილმა წაიყვანა სტამბოლს, სადაც შეაველდრა მისი თავი სულთანს. ოსმალეთს მაშინვე არ შეეძლო ქაიხოსროსთვის აქტიური დახმარების გაწევა, მაგრამ დაპირდა მას პირველ შემთხვევისთანავე სამცხე-საათაბაგოს გადაცემას.

ოსმალეთის მძლავრება. ოსმალეთმა ამ დროს, სულეიმან დიდის სულთნობისას, მიაღწია თავისი ძლიერების უმაღლეს წერტილს. 1526 წ. სულეიმანმა დაიპყრა უნგრეთი, ხოლო 3 წლის შემდეგ ალყა შემოარტყა ვენას, მართალია უშედეგოდ, მაგრამ იმპერატორისაგან ხარკი მაინც აიღო. მანვე გაიჩინა ძლიერი ფლოტი, რომლის საშუალებით იმპერატორის, რომის პაპის და ვენეციის დოჟის შეერთებულ ფლოტის დამარცხების შემდეგ (1538 წ.) დაამკვიდრა თავისი ბატონობა ხმელთა-შუა ზღვაზე. მთელი ევროპა კანკალებდა ოსმალთა ძლიერების წინაშე და დღე-დღეზე მოელოდა რაიმე საშინელებას, ახალს დაპყრობას და აოხრებას. ამ გვარად ოსმალეთის მთავარი ყურადღება ამ ხანებში მიპყრობილი იყო ევროპისა და აფრიკისაგან. ამასთანავე შინაური ორგანიზაციული მუშაობა, რომლის დიდი მნიშვნელობა ძალიან კარგად ესმოდა სულთან სულეიმანს, აგრეთვე დიდს ყურადღებას და ენერგიას თხოულობდა. ოსმალთა იმპერია ახლად ეწყობოდა და საჭირო იყო სახელმწიფო წესწყობილების მომართვა იმ დიად მოთხოვნილებათა მიხედვით, რომელთაც ოსმალეთს დრო და გარემოება უყენებდა.

ყველა ამ მიზეზების გამო აღმოსავლეთის პოლიტიკას ოსმალეთისათვის მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით სარგებლობდა შაჰ-თამაზი და ცდილობდა განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ოსმალნი აღმოსავლეთისათვის ნაკლებ მოცლილნი იყვნენ, სპარსეთის პოლიტიკურ გავლენის განმტკიცებას საქართველოს და მის მოსაზღვრე ქვეყნებში.

გარემოებაც სპარსეთს რამოდენადმე ხელს უწყობდა. ასე, საათაბაგოს მემკვიდრემ ქაიხოსრომ, რადგანაც ოსმალებისაგან დახმარება გვიანდებოდა, მიმართა შაჰ-თამაზს შემწეობისა და მფარველობის გაწევის თხოვნით.

შაჰ-თამაზის პირველი შემოსევა ქართლში. ამასობაში ქართლის მეფე ლუარსაბ I-ი, რომელიც უკვე დაკავშირებული იყო იმერეთის მეფე ბაგრატ III-თან, შეეცადა კარგი განწყობილების დამყარებას მეფე ლევანთან და შეკრა მასთან კავშირი. ამის შემდეგ მან თანდათან უკლო სპარსეთის ყაენის სამსახურს და ბოლოს ხარკის გარდახდაზედაც უარი განაცხადა. ლუარსაბი და ლევან კახ-ბატონი ამავე დროს ეკირთებოდნენ შირვანს, არბევდნენ მას და ცდილობდნენ მის დამორჩილებას. შირვანელთ შეწევნა თხოვეს შაჰს, რომელმაც ისარგებლა ამ შემთხვევით

და დიდის ჯარით გამოემართა საქართველოსკენ. შაჰ-თამაზი გადმოვიდა მდ. არეზს და დადგა შაქისს. ლევან მეფე შეშინდა, გამოეცხადა შაჰს დიდძალი საჩუქრებით და აღუთქვა მორჩილება. საათაბაგოს მემკვიდრე ქაიხოსრო მასთან მივიდა, ხოლო ლუარსაბი კი ადგილიდანაც არ დაძრულა და არც მორჩილება გამოუცხადებია. ყაენმა გაუსია თარეშები ქართლს. მაგრამ ამაყი და მხნე ლუარსაბი ამის შემდეგაც წინააღმდეგი იყო თავისი ნებით ქედი მოეხარა სპარსელის მბრძანებელის წინაშე. ამიტომ შაჰ-თამაზი შეუდგა საომარ მზადებას ლუარსაბის წინააღმდეგ. ყარაბაღში მან გამოყო თავისი ჯარიდან 12 ათასი რჩეული ცხენოსანი და ამ რაზმით მოულოდნელად ჩქარის სიარულის შემდეგ ღამით თავს დაესხა ტფილისს. მეფე ლუარსაბი ამალით იმ დღეს გასულიყო ქალაქიდან მცხეთაში თავისი პატარა მიცვალებულის შვილის დასასაფლავებლად. ქალაქში შესვლისთანავე სპარსელებმა ცეცხლი მოუკიდეს სახლებს, ქუჩებში გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. აუარებელი მცხოვრებლები დაიხოცა. ციხისთავმა გულბაათმა, რომლის გაუფრთხილებლობის გამო ქალაქი ასე ადვილად აღებულ იქმნა, მეფის შიშით დასთმო ციხე და თითონაც გამაჰმადიანდა. შაჰ-თამაზმა ჩააყენა ტფილისში ჯარი და დაბრუნდა ყარაბაღს (1541 წ.). ტფილისი ამის შემდეგ სპარსელების ხელში იყო და ქართლის მეფის მთავარ ადგილ-სამყოფელად გახდა გორი.

საათაბაგო და სოხოისტის ომი (1545 წ.). ასეთი იყო მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში, როდესაც საათაბაგოს საზღვრებზე ამოძრავება იწყეს ოსმალებმა.

საათაბაგოს მემკვიდრე ქაიხოსრო მალე დარწმუნდა, რომ შაჰ-თამაზის ძალა მთელს საქართველოს ვერ გადასწვდებოდა და ამიტომ მან ისევ ოსმალეთისაკენ იბრუნა პირი. ის და ოთარ შალიკაშვილი კვლავ წავიდნენ სტამბოლს, სადაც მათი შუამდგომლობა მესხეთზე გალაშქრების შესახებ ამ ხანად შეწყნარებულ იქმნა. 1545 წ. მუსტაფა-ფაშა და სხვა ფაშები 22 ათასი კაცით მოადგნენ ტაოს, დაიჭირეს ის, საშინლად აოხრეს, გაწყვიტეს ხალხი და ემზადებოდნენ შუაგულ საათაბაგოში გასალაშქრებლად. ბაგრატ III-მ შემოიკრიბა თავისი ჯარი და მსწრაფლ წავიდა ოსმალთა შესახვედრად. მოხდა სასტიკი ბრძოლა ქარაღაქს, რომელიც გათავდა მეფის სრული გამარჯვებით. ოსმალნი და ქაიხოსრო იქცნენ, ხოლო თვით მუსტაფა-ფაშა ბრძოლაში დაიღუპა.

ეს დამარცხება, რასაკვირველია, ვერ შეაჩერებდა ოსმალთ, რომელთაც ორი წლის შემდეგ კვლავ დააგროვეს დიდ-ძალი ჯარი, უთავეს მას ორი ფაშა, არზრუმისა და დიარბექირისა და გამოგზავნეს საქართველოზედ. ბაგრატ III-მ სთხოვა დახმარება ქართლის მეფეს ლუარსაბს, რომელმაც მსწრაფლ შეკრიბა თავისი ჯარი და გაემართა თავისი მოძმეთათვის ხელის გასაწვდენად. ბაგრატ III თავისი ჯარით და მეფე ლუარსაბი მივიდნენ ბასიანს არზრუმის მიმართულებაზე და დადგნენ სოხოისტას. მათს ჯარში იყვნენ აგრეთვე მესხნი, რომელთაც ორპირულად ეჭირათ

თავი, რაც უფრო ნათლად გამოაშკარავდა, როდესაც მეფეებმა მეწინავედ ქართლის ჯარის გაშვება გარდასწყვიტეს. ეს იწყინეს მესხთ და შუა ბრძოლის დროს არ მიყვნენ დანარჩენ ქართველთ. ომი გაგრძელდა დილიდან საღამომდის. ქართველნი, მიუხედავად აუარებელ მსხვერპლისა, მაინც მედგრად იბრძოდნენ, სანამდის ჯარის დიდ ნაწილს მთლად არ შემოატყდა საომარი იარაღი. მაშინ მეფენი იძულებულნი შეიქმნენ უკან დაეხიათ და ლტოლვილნი დაბრუნდნენ თავიანთ სამფლობელოში. სამცხე-საათაბაგო კი დაიპირეს ოსმალთ, რომელთაც დასვეს ათაბაგად ქაიხოსრო.

სრხოისტის ბრძოლას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან მას საბოლოოდ მოსწყვიტა საათაბაგო დანარჩენ საქართველოს და მოაქცია ის ოსმალთა გავლენის ქვეშ. ამით მომზადდა ნიადაგი ამ ქვეყნის მთლად ოსმალების მიერ დაპყრობისათვის.

მალე ოსმალთ გამოაშკარავეს თავისი ზრახვები. ისინი ერეოდნენ მესხეთის შინაურ საქმეებში და საზოგადოდ თავს ძალიან თავისუფლად გრძნობდნენ. ოსმალეთის ამ გვარ პოლიტიკისა გამო ქაიხოსრო ათაბაგმა და საათაბაგოს მართველ წრეებმა თავიდანვე არჩიეს სპარსეთთან კავშირის დაჭერა, რომ ყაენის დახმარებით გამძლავრებულ ოსმალთაგან თავი დაეღწიათ. ამიტომ ისინი მალე გადუდგნენ ოსმალებს. ოსმალთა საფრთხე აგრეთვე აიძულებდა იმერეთის მეფეს ბაგრატ მე-III-ს სპარსეთის ყაენთან ეძებნა დახმარება. კახეთის მეფე ლევანი თავისი ნებით აღიარებდა ქვეყნის აოხრების შიშით სპარსეთისაგან დამოკიდებულობას. მხოლოდ ქართლის მეფე ლუარსაბი წინანდებურად არავითარ დათმობაზედ არ მიდიოდა სპარსეთის მიმართ და პირიქით ოსმალეთს სთხოვდა დახმარებას. ლუარსაბმა კარგად იცოდა, რომ რადგანაც ქართლს ცენტრალური ადგილი ეჭირა, ამიტომ სპარსელები ეცდებოდნენ ყველაზედ უფრო მკვიდრად მისს სამეფოში ფეხის მოკიდებას და ამიტომ სპარსეთისაგან დამოკიდებლობის აღიარება ფრიად შეკვეცავდა ქართლის მეფის უფლებას, უფრო მეტად, ვიდრე საქართველოს სხვა სახელმწიფოებში. ამ მიზეზით ლუარსაბი ყოველს ღონეს ხმარობდა, რომ სპარსელებს ქართლში ფეხი არ გაედგათ.

ლუარსაბი ღებულობდა სხვა-და-სხვა ზომებს ქართლის სამეფოს მდგომარეობის განსამტკიცებლად სამხედრო თვალსაზრისით. მას კავშირი ჰქონდა გაბმული დანარჩენ საქართველოს სამეფო-სამთავროების მართველ წრეებთან და გავლენიან პირებთან. რადგანაც ათაბაგი, ოსმალთა მძლავრებისა გამო, განსაკუთრებით დაინტერესებული იყო სპარსეთის პოლიტიკის გამარჯვებით ამიერ-კავკასიაში, ამიტომ ლუარსაბი საათაბაგოშიც ცდილობდა გავლენიან მომხრეების გაჩენას. კერძოდ ჯავახეთში ლუარსაბმა მოახერხა რამოდენიმე გავლენიან თავადის შემოტკიცება.

შაჰ-თამაზის მეორე შემოსევა ქართლში. ოსმალების გაძ-

ლიერებას გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს შაჰ-თამაზიც, მაგრამ ოსმალეთისათვის ომის გამოცხადებას ერიდებოდა. ამიტომ ის შეეცადა საქართველოში თავისი გავლენის განმტკიცებით თავისი მტრისათვის რაც შეიძლება მეტი ზიანი მიეყენებინა. 1546 წ. იანვარში შაჰ-თამაზი დიდი ჯარით მოემართება საქართველოსაკენ. სუსხიანი ზამთარი იყო და მტკვარი ისე გაყინულიყო, რომ ჯარი მასზე თავისუფლად გადიოდ-გამოდიოდა. ჯავახეთის გზით, სადაც ყაენმა ლუარსაბ მეფის მომხრე თავადთა მამულები აიკლო, ის გადავიდა სამცხეს. აქ მას მიეგებნენ დიდი საჩუქრებით ქაიხოსრო ათაბაგი, იმერეთის მეფე ბაგრატ III და კახეთის მეფე ლევან. იმერეთის მეფე თხოვდა ყაენს დახმარებას ოსმალების წინააღმდეგ. შაჰ-თამაზმა ბაგრატ მეფე დიდის პატივისცემით მიიღო, თითონ მას უბოძა ფულად 30 ათასი მარჩილი, გარდა ამისა როგორც მას, ისე მისს მხლებელ თავად-აზნაურთ დაურიგა დიდი საჩუქრები და უკან გაისტუმრა. ჯარით დახმარებაზე კი უარი უთხრა. სამცხიდან ყაენმა ლევან მეფე გამოიყოლია, ქართლს გადმოვიდა და წაუსია ქვეყანას თარეშები, რომელთაც მოაოხრეს სოფლები და წაიყვანეს მრავალი ტყვე.

ლუარსაბ მეფე თავს ესხმოდა წვრილ-წვრილ რაზმებს სპარსელებისას, ხოლო დიდს ომზე გასვლა თავისი ძალის ამარა ვერ შესძლო.

ოსმალნი იპყრობენ ტაოს. შაჰ-თამაზი იძულებული იყო მალე გაბრუნებულიყო საქართველოდან, საიდანაც ის ჩავიდა ბარდას. მალე მისი ყურადღება მთლად მიიპყრო ოჯახურმა უთანხმოებამ, რომელსაც შეიძლება მოყოლოდა დიდი პოლიტიკური შედეგები. ილხასი, ყაენისა ძმა, გადაუდგა მას და წავიდა სტამბოლს. სულთან სულეიმანმა ისარგებლა ამ გარემოებით და გაილაშქრა სპარსეთზე, დაიპყრო აზერბეიჯანი თავრიზითურთ და სპარსეთის დასავლეთი ნაწილი თითქმის ისპაანამდის (1547 წ.). ყაენის ძმა სულეიმანის ჯარში იყო, მაგრამ როდესაც სულთანმა მოინდომა მისი დაჭერაც, მაშინ ილხასი გაიქცა და მიენდო თავისს ძმას შაჰ-თამაზს. ყაენმა ის ციხეში ჩასვა, სადაც გარდაიცვალა კიდეც ერთი წლის შემდეგ ალბად მოწამლვის გამო. შაჰ-თამაზმა ცოტა ხანს ვითომ ამის შემდეგ კიდევ გამოაკეთა თავისი საქმეები და უკან დაიბრუნა ოსმალების მიერ წართმეული რამოდენიმე ქალაქი წინა-აზიაში, მაგრამ როდესაც სულთანი კვლავ წამოვიდა მდ. არეზისაკენ, სპარსელებმა ისევ უკან დაიხიეს. ქაიხოსრო ათაბაგი ამ დროს უკვე აშკარად ყაენის მომხრეობას იჩენდა. ამიტომ სულთან სულეიმანის ვეზირმა ჰმედ-ფაშამ გამოილაშქრა არზრუმიდან ტაოზე. ამ ლაშქრობის დროს ექვსი კვირის განმავლობაში ოსმალთ დაიჭირეს ტაოს და მისი მიმდგომი მხარის 20 ციხე, მათ შორის თორთუმი (1549 წ.) ამით ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოში აშკარად გადავიდა მოშქმედ პოლიტიკაზედ. მეორე წელს ოსმალთ კიდეც დაამთავრეს ტაოს მთლად დაპყრობა.

შაჰ-თამაზის მესამე შემოსევა. ქაიხოსრო ათაბაგის სპარსეთის მხარეზე გადასვლის გამო მას და ლუარსაბ მეფეს შორის ურთი-ერთობა გამ-

წვავდა. ლუარსაბს გადმობირებული ჰყავდა თავისს მხარეს ჯავახეთის თავადები შერმაზან და ვახუშტი დიასამიძეები, რომელთაც მან ერთგულობისათვის ლორისა და ბამბაკის მართველობა უბოძა. დიასამიძეები თავს ესხმოდნენ სამცხეს და ავიწროვებდნენ ათაბაგს. მაშინ ქაიხოსრომ მიჰმართა შემწეობის თხოვნით შაჰ-თამაზს, რომელთანაც მას ოსმალთა მძლავრების გამო კარგა ხანია კავშირი ჰქონდა გაბმული. ყაენი ამ დროს შაქისს იმყოფებოდა, სადაც მას უკვე დაემშვიდებინა იქ მომხდარი აჯანყება. ქაიხოსროს თხოვნა შაჰ-თამაზისათვის კარგი საბაბი იყო საქართველოს დასალაშქრებლად. ყაენმა ჯარი გაუსია ათაბაგის ურჩ თავადებს, თითონ კი მთავარი ძალით მივიდა ჯავახეთს და შემოერტყა ვარძიას, სადაც ჩაკეტილიყვნენ შერმაზან და ვახუშტი. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, რომლის დროს მრავალი სპარსელი დაიღუპა, როგორც ციხე, ისე მონასტერი აღებულ იქმნა. ვარძიის მონასტერი, გაშენებული კლდეში გიორგი III-ისა და მისი შვილის თამარ მეფის მიერ, ცნობილი იყო ამ დროს თავისი სიმდიდრით. შაჰ-თამაზი თითონ ავიდა მონასტრის დასათვალიერებლად და განცვიფრდა იქ ნაპოვნი სიმდიდრით. მდიდარმა მოხატულობამ, კლდეში დიდის ხელოვნებით გამოკვეთილმა ტაძრებმა, პალატებმა და სენაკებმა, აგრეთვე ხატების ძვირფასმა შემკულობამ მასზე დიდი შთაბეჭდილება იქონია. მთავარ ეკლესიას ჰქონდა თურმე ორი ორკინის კარი გარედან და ერთი ოქროსი შიგნით. ეკლესიაში იყო ერთი დიდი ხატი ოქროსი, მრავალი ძვირფასი თვლებით შემკული. ორი ლალი ამ ხატისა თითო 50 თუმნად იქმნა შეფასებული. ეკლესიის გვერდზედ იყო მაღლა სამალავში ასასვლელი 150 ადლის სიგრძეზე ვიწრო და დაბალი ხვრელი. სამალავს ჰქონდა ორი კოშკი, საიდანაც 20 მღვდელი და ბერი გამოიყვანეს, რომელნიც შაჰ-თამაზის ბრძანებით ყველა დახოცეს. მონასტერში, სხვათა შორის, სპარსელებმა ნახეს ზარი 70 ლიტრის (15 ფუთის) წონისა. მთელი სიმდიდრე მონასტრისა, ხატები, ჯვრები, ყველა ოქრო-ვერცხლი ნივთები, შესამოსელნი, წიგნები და სხვა ყაენის სალაროსთვის წაიღეს. შერმაზან და ვახუშტი დიასამიძე და სხვა ციხეში შეხიზნული თავადნი და მეომარნი მიერთვნენ ყაენს, რომელმაც ბრძანა თითქმის ყველასი სიკვდილით დასჯა. ყაენმა ლორე და ბამბაკი ქაიხოსრო ათაბაგს უბოძა და შემოუმტკიცა მას სამცხე. ამ დროს არზრუმის ფაშა სერასკირი ისკანდერი არტანუჯს მოსდგომოდა, მაგრამ სპარსელების ლაშქრის მორიდებით გაეცალა მას. სამცხიდან ყაენმა გამოაშვა ქართლს თარეში და ისევ გაბრუნდა ყარაბაღს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ახალი ჯარებით კვლავ გამოემართა ქართლისაკენ და ეხლა დაეცა პირდაპირ ტფილისს, აიღო ის, საშინლად მოაოხრა და შეაყენა ტფილისის ციხეში სპარსელების რაზმი.

ლუარსაბ მეფე ყველა ამ ლაშქრობის დროს იძულებული იყო პარტიზანული ომით დაკმაყოფილებულიყო. პირადად მხნე და გულოვანი რაინდი, ძლიერთან ამაყი და სუსტთან მდაბალი, უხვი და მწყალობელი, ომ-

ში შეუდარებელი თავისი მამაცობით და იმავე დროს სამშობლოსა და ქრისტიანობისათვის თავგადადებული— აი ასეთი იყო მეფე ლუარსაბი. თავისი მამაცობით მან სახელი გაითქვა არა მარტო თავისს ქვეშევრდომთა შორის, რომელნიც მას შემდეგ დროინდელ თაობაშიაც დიდის პატივისცემით იხსენიებდნენ, არამედ თვით სპარსელებში. თუმცა შაჰ-თამაზმა რამდენჯერმე ილაშქრა ქართლზედ, მაგრამ მისი ქედი მაინც ვერ მოდრიკა, მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად სრულიად განმარტოებით უხდებოდა მტერთან ბრძოლა, რადგან კახეთი, იმერეთი და მესხეთი შაჰ-თამაზთან კარგი განწყობილების დაჭერას არჩევდნენ. საკმაო ძალის უქონლობის გამო დიდს ჯარს სპარსელებისას მეფე ლუარსაბ ჩვეულებრივ გაეცლებოდა ხოლმე, ცოტას კიდევ მამაცურათ შეებმებოდა დღისით თუ უფრო კიდევ ღამით, ზოგს რაზმს უკან წაეწეოდა და ზოგს კიდევ ვიწრო გასასვლელ გზაზედ დახვდებოდა. ამიტომაც ყოველი ქართლზე გალაშქრება ყაენს ძლიერ ძვირად უჯდებოდა და ადგილობრივ ქართლში მკვიდრად ფეხის მოკიდებასაც სპარსნი ვერ ახერხებდნენ.

საქართველოს გაყოფა ოსმალეთსა და სპარსეთს შორის. ოსმალეთისა და სპარსეთის ესა თუ ის ლაშქრობა საქართველოს რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ არსებითად წარმოადგენდა ნაწილს იმ დიდ ომებისას, რომელსაც აწარმოებდა ურთიერთ შორის ეს ორი დიდი იმპერია წინა-აზიაში თავისი ბატონობის განსამტკიცებლად. 1553 წ. ამ ომებმა დროებით ჰპოვა დასასრული ორივე იმპერიის მიერ დადებულ ხელშეკრულობაში, რომლითაც განსაზღვრულ იქმნა ორთავეს სამფლობელო და გავლენის სფერო წინა-აზიაში. ხელშეკრულობაში შეტანილ იქმნა აგრეთვე საქართველო. ქართლი, კახეთი და ქაიხოსრო ათაბაგის სამფლობელო მიეკუთვნა სპარსეთს, ხოლო იმერეთის სამეფო საგურიელო და სადიანოსთან ერთად მოექცა ოსმალეთის მფლობელობასა და გავლენაში. ოსმალეთსავე დარჩა ოსმალების მიერ ძალით დაჭერილი საათაბაგოს სამხრეთი ნაწილები.

საქართველოს სამთავროების შინაური ვითარების ახალი მიმართულება. ოსმალეთის და სპარსეთის მძლავრება საქართველოს ამ გვარად უყენებდა წინ ფრიად რთულ საკითხს —ბრძოლას თვითმყოფობისა და არსებობის შესანარჩუნებლად. საქართველო თავიდანვე, ოსმალეთისა და სპარსეთის მეტოქეობის დროს, მოყვა თავისი ცალკე ნაწილების მხრივ ამ ორ სახელმწიფოს ინტერესთა ფარგალში, რასაც შემდეგ იურიდიული განსახიერება მიეცა 1553 წლის ხელშეკრულობით საქართველოს ორად გაყოფის შესახებ. ასეთს პირობებში თვითმყოფობისა და არსებობის შენარჩუნების ინტერესები შეუძლებლად ხდიდა ქართველ ერისთვის ერთიან სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და ერთ მთლიან საგარეო პოლიტიკის წარმოებას. პირიქით, სწორედ ეს არსებითი ინტერესები მოითხოვდა დანაწილებულ საქართველოში ცალკე სამეფო-სამთავროების განმტკიცებას, რადგანაც ცალკე მხარეებში განკერძოებულ პოლიტიკის

წარმოებით თუ ბრძოლით უკეთესად შესაძლებელი იყო ოსმალთა და სპარსთა მოწოლილ მძლავრ ტალღის რამოდენადმე შეჩერება. ამ გვარად განკერძოებულ კუთხობრივ ინტერესებს საქართველოში, საერთო პოლიტიკურ მიზეზებისა გამო, ეხლა მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ცალკე სამეფოების და სამთავროების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ არსებობის გამკვიდრებას.

როგორც სამეფოებში, ისე საათაბაგოშიც ადგილობრივი ცენტრალური მთავრობა ცდილობდა თავისი ხელმწიფების განმტკიცებას და მთელი ძალა-უფლების ადგილობრივ ცენტრებში მოთავსებას. უფრო ცხადად ეს მიდრეკილება სჩანდა კახეთსა და აფხაზ-იმერეთის სამეფოში და აგრეთვე საათაბაგოში. მაგრამ ამ მიდრეკილებას თან ხვდებოდა პატრონ-ყმობაზე აგებული სოციალური და პოლიტიკური წყობილება, რაც ხელს უწყობდა პირიქით ცალკე სამთავროებშიდაც განკერძოებულ კუთხობრივ ინტერესების გაძლიერებას და წინ წამოყენებას. დიდ თავადთა გვარეულობანი ეწინააღმდეგებოდნენ მეფის ძალა-უფლების განმტკიცებას და ცდილობდნენ თავიანთ სამფლობელოებში მეტი დამოუკიდებულების მოპოებას და სახელმწიფო უფლების სრულ განსახიერების მიღწევას.

ყველა ამ გარემოებებმა საქართველოს სამთავროების წეს-წყობილებას და ცხოვრებას მე-XVI საუკუნეში მისცეს თავისებური მიმართულება.

ქართლის სამეფოში ჩვენ ვხედავთ კუთხობრივ ინტერესებისა და ცალკე დიდშემძლე გვარეულობათა ძალა-უფლების კიდევ მეტად განმტკიცებას. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დავით მეფის დროს სამუხრანოს სამფლობელოს დაარსებას. პირველი მუხრან-ბატონი ბაგრატი და აგრეთვე მისი შვილი—ერეკლე მეფის ხარისხსაც კი ატარებდნენ. მუხრან-ბატონი იყო იმავე დროს ცალკე გამოყოფილ სადროშოს სარდალიც. მუხრან-ბატონს, როგორც მემარცხენე სარდალს, ემორჩილე ბოდა ქსნის ერისთავი და ზოგი სხვა თავადი.

სამუხრანოს სადროშოსთან ერთად შექმნილ იქმნა ქართლში კიდევ ორი სადროშო. ერთი—მეწინავე სადროშო (სომხით-ლორე-საბარათიანო) დამკვიდრდა ბარათაშვილის გვარეულობაში, მეორე კი—ზემო-ქართლისა უმთავრესად ციციშვილების გვარში იყო. უკანასკნელს სადროშოს მემარჯვენე ეწოდებოდა. ამ სამ სადროშოს გარდა ქართლში არსებობდა კიდევ მეოთხე—საკუთრივ მეფის სადროშო. სადროშოების დაარსებამ კიდევ უფრო განაძლიერა იმ სათავადო გვარეულობათა თავბატონების მნიშვნელობა, რომელთა ხელში სარდლის თანამდებობა განმკვიდრდა.

სადროშოებზე მიწერილი იყვნენ როგორც ცალკე თავადთა გვარეულობანი, ისე აგრეთვე საეპისკოპოსოებიც. კერძოდ კათალიკოსის ხარდალი მიწერილი იყო მეფის დროშაზე. სადროშოების შემოღების გამო

ჯარის გაწვევა ამის შემდეგ უფროს მეტად და განსაკუთრებით ხდებოდა შეწერით ცალკე თავადებზე და ეპისკოპოსებზე. რომელთაც გამოყავდათ სალაშქროდ თავიანთი აზნაურნი და მსახურნი. ამ გარემოებამ ფრიად განადიდა თავადების და ეპისკოპოსების მნიშვნელობა. ეპისკოპოსები, ისე როგორც თავადები, პირადად უფროსობდნენ თავიანთ რაზმებს ლაშქრობისა და ბრძოლის დროსაც.

კახეთის სამეფოში მიდრეკილება მეფის ძალა-უფლების განმტკიცებისაკენ გამოიხატა მე-XVI საუკუნის პირველ ნახევარში ცალკე სამოურაოების დაარსების მხრივ. ასე, მაგალითად, დანიშნულ იქმნა ცალკე მოურავი ქიზიყისა, კაკ-ელისენისა და სხ. მაგრამ რადგანაც სამოურაოები დამკვიდრდა ცალკე დიდ-შემძლე გვარეულობათა შორის, ამიტომ ეს გარემოება პირიქით მალე გახდა დიდ თავადების ძლიერების განმტკიცების მიზეზად წინააღმდეგ სამეფო ტახტის ინტერესებისა.

სამხედრო წყობილების მხრივ კახეთი აგრეთვე გაყოფილ იქმნა ლეთ სადროშოდ, რომელთა შორის ერთი მეფისა იყო. მხოლოდ ცალკე გვარეულობათა თავ-ბატონების მაგივრად სადროშოები აქ თავიდანვე ჩაბარებული ჰქონდათ ეპისკოპოსებს: მეწინავე სადროშო—ბოდბელს, მემარცხენე რუსთველს და მემარჯვენე ნეკრესელს. ამით სამეფო ტახტს საშუალება მიეცა სამხედრო ორგანიზაციაში მეტი მთლიანობა დაეცვა, რადგანაც ეპისკოპოსები მეფეებისაგან მაინც უფრო მჭიდრო დამოკიდებულობაში გრძნობდნენ თავს, ვიდრე თავადთა გვარეულობის თავ-ბატონები.

აფხაზ-იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივ წყობილებაში თავადების მნიშვნელობა მე-XVI საუკ. დასაწყისს აგრეთვე ფრიად დიდი იყო. თავადების გვარეულობათა თავ-ბატონები შეადგენდნენ დარბაზს, რომლის წევრთა რიცხვი მე-XV საუკ მიწურულს 27-ს უდრიდა, მათ შორის 8 სადადიანოდან (ოდიშ-აფხაზეთიდან) და 4 საგურიელოდან. დარბაზს ჰქონდა მიკუთვნებული საკანონმდებლო და საადმინისტრაციო ფუნქციებიც. მიდრეკილება იმერეთის მეფეებისა ცენტრალურ ძალა-უფლების განმტკიცებისაკენ გამოიხატა, სხვათა შორის, რაჭის ერისთვის უფლების დროებით გაუქმებაში. მაგრამ სწორედ ლიხთ-იმერეთს კუთხობრივი ინტერესების ძლიერება და შეუძლებლობა პატრონ-ყმობის წეს-წყობილების პირობებში მძლავრ ცენტრალურ მართველობის დამყარებისა განსაკუთრებულის სიცხადით იჩენდა თავს. სადადიანო და საგურიელო თანდათან მეტს დამოუკიდებლობას იჩემებდნენ, საკუთრივ სამეფოშიც ცალკე თავადთა გვარეულობანი მეტს თავისუფლებას და ძალაუფლებას იკუთვნებდნენ.

ესევე შეიძლება ითქვას სამცხე-საათაბაგოს შესახებ. მზეჭაბუკ ათაბაგის ცდას ათაბაგთა სახლის უმცროს შტოების ავტონომიურ სამფლობელოების მოსპობის მიმართ მოყვა თავადთა გვარეულობათა მნიშვნელობის გაზრდა. განსაკუთრებით დიდი ძალა მოიპოვა ამ დროს მესხეთში

შალიკაშვილის გვარეულობამ, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა საათაბაგოს საქმეებზე. შალიკაშვილთა გვარის თაიი-ბატონი ითვლებოდა ათაბაგის სახლის ვეზირად და თავისი შემძლებლობით ათაბაგის სახლს მეტოქეობას უწევდა.

II.

სპარსეთის ბატონობის დამკვიდრება ქართლ-კახეთში.

შაჰ-თამაზის მეოთხე შემოსევა ქართლში. 1553 წლის ხელშეკრულობას სპარსეთსა და ოსმალეთს შორის საქართველოში ყველგან ერთნაირად არ შეხვდნენ. კახეთის მეფე ლევანმა აღიარა თავი სპარსეთისაგან დამოკიდებულობაში. ასევე მოიქცა ათაბაგი. დასავლეთი საქართველოც ბოლოს შეურიგდა ოსმალთა უზენაეს უფლების აღიარების აუცილებლობას. მხოლოდ ლუარსაბ ქართლის მეფე გადაჭრით უარს იყო ყაენისთვის მორჩილების გამოცხადებაზე. ამით იხსენება, რომ 1554 წ. შაჰ-თამაზი კვლავ მოეშურება ქართლისაკენ ლუარსაბის დასამორჩილებლად.

სპარსელების დიდი ლაშქარი ჩამოვიდა საბარათიანოში. მცხოვრებნი მთლად აყრილიყვნენ და ციხე-სიმაგრეებში შესულიყვნენ. ლუარსაბ მეფე იმერეთს გადავიდა. სპარსელებმა აიღეს რამოდენიმე ციხე, მიადგნენ გორს და შემდეგ შემოერტყნენ ატენის ციხეს. აქ იყო გახიზნული ლუარსაბის დედა მრავალი თავად-აზნაურთა ჯალაბით. ციხის აღება გაძნელდა, მაგრამ როდესაც ერთმა ატენელმა გლეხმა სიკვდილის შიშით სპარსელებს ციხისთვის წყალის მოსაკრელი გზა ასწავლა, მაშინ ციხეც დანებდა. შაჰ-თამაზმა გამოიყვანა ციხიდან ლუარსაბის დედა და ყველანი მასთან მყოფნი, მოარბია, მოაოხრა ქართლი და ყარაბაღისაკენ გაეშურა. მისს ჯარს თან მიჰყავდა ქართლიდან 30 ათასი ტყვე. მეფე ლუარსაბ უკან აედევნა სპარსელებს, მცირე შეტაკებებში მტრის პატარა რაზმებს დიდს ნავნებს აძლევდა; მაგრამ ვერც თავისი დედის განთავისუფლება მოახერხა და ვერც სხვა მრავალი ტყვეებისა. დამწუხრებული ლუარსაბი დაბრუნდა უკან და ძალას იკრებდა ქვეყნის გამოსახსნელად. ტფილისი, საბარათიანო და სომხითი ლორითურთ ისევ სპარსთ ეჭირათ.

ლუარსაბ მეფის სიკვდილი. შაჰ-თამაზი დიდს მნიშვნელობას აძლევდა ტფილისის შემომტკიცებას და მისი თვალყურის დევნება მიანდო შაევერდი-სულთანს, რომელიც განჯის ხანად იყო დასმული. ლუარ-

საბმა ნელ-ნელა იწყო სპარსელების განდევნა მათ მიერ დაკავებულ ადგილებიდან და მალე დაიპყრო თითქმის მთელი წართმეული ქვეყანა, გარდა ქალ. ტფილისისა. მაშინ შაევრდი-სულთანმა შემოიკრიბა მთელი მდ. არეზის აქეთი ლაშქარი და გამოემართა შიდა-ქართლისკენ. მეფე ლუარსაბ გორიდან წამოვიდა მისი შესახვედრად. მოხდა სასტიკი ბრძოლა. როდესაც შაევრდი-სულთანი რაზმ-წყობით დაუახლოვდა ქართველებს, ესენი ხელმარჯვედ გადაეშენენ მტრის შუაგულ ჯარში. სპარსელები შედრკნენ, რაზმი გაირღვა და მტერიც გაიქცა. ქართველები ხოცით უკან სდევდნენ. მეფე ეპისკოპოსებისა და მოხუცებულ ერისკაცთა თანხლებით უკან იდგა და მდევარის დაბრუნებას ელოდა. გაქცეულ სპარსელების ერთი რაზმი იქვე ახლოს ტყეში დამალულიყო და თავისთვის გზის გასაფავად შეეტაკა შეფესთან დარჩენილ მცირე გუნდს. ეპისკოპოსებმა და მოხუცებულ ერისკაცებმა იარაღს ხელი გაიკრეს, მეფემაც მეაბჯრეს შუბი გამოართვა და ეცა მტერს. გახურდა ომი. პოლოს მეფეს იარაღი შემოემტვრა და მარტო ცხენის ძგერებით იბრძოდა. დაძგერებისას მეფის გაჩენებულ ცხენს ფეხი ხვრელში ჩაუვარდა და მეფე წაქცეულს ცხენს ქვეშ მოყვა. სპარსელებმა დააყარეს წაქცეულს მეფეს ისარი და მოჰკლეს (1557 წ.). ამ გამარჯვებას სპარსელებზე თან შეეწირა ამ გვარად ლუარსაბ მეფის სიცოცხლე.

სვიმონის ბრძოლა სპარსელებთან. ლუარსაბ მეფის დამარხვის შემდეგ მცხეთას, იქვე აკურთხეს მეფედ უფროსი შვილი მისი სვიმონ, რომელიც მცხეთიდან გორს ავიდა და იქიდან მართავდა ქვეყანას. უმთავრესი საზრუნავი მეფისა იყო ტფილისის განთავისუფლება მტრის ხელიდან. სვიმონს ყავდა ცოლად კახეთის მეფის ლევანის ასული ნესტან-დარეჯან და ეს ნათესაური კავშირი, რასაკვირველია, ძლიერ სასარგებლო იყო ქართლის დაკნინებულ ტახტისათვის. წვრილ-წვრილი ურთიერთ ხდომა ქართველთა და სპარსთ შორის ხშირად სწარმოებდა, მაგრამ ამით სპარსთ ძლიერება ქართლში, რასაკვირველია, არ ეცემოდა. ამ ერთ მოხდომის დროს სპარსელებმა შეიპყრეს საფურცლეს მყოფი არჩილ მუხრან-ბატონიშვილი ჯალაბითურთ და გაგზავნეს სპარსეთს. (1560 წ.). მეორე წელს მეფემ შემოიკრიბა თავისი ჯარი, მოიწვია დასახმარებლად თავისი ცოლის ძმა კახი ბატონიშვილი გიორგი კახელებითურთ და ემზადებოდა ტფილისზე გასალაშქრებლად. ქართველების ჯარი იმყოფებოდა ციხედიდს. ამისი მცნობი შაევრდი-სულთანი მსწრაფლ წამოვიდა სპარსელების ლაშქრით ტფილისიდან და აღდგომა დილას მოულოდნელად თავს დაესხა ქართველთ. თაედასხმა მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ წინა ხაზზე დარაჯათ დადგინებული ფარეშატ გერმანოზიშვილი თავისი ამალით აღდგომა ღამეს ასულიყო მუხათგვერდს წირვის მოსასმენად და ამიტომ მტერმა შესძლო სადარაჯო ხაზის შეუმჩნეველად გავლა. ასტყდა სასტიკი ბრძოლა და ქართველნი დამარცხდნენ. კახი ბატონიშვილი გიორგი მოკლეს, დაიღუპა აგრეთვე

ბევრი რჩეული მეომარი ქართლისა და კახეთისა. სხვათა შორის ამ ომში მოკლულ იქმნა ცხრა წეერი ამილახვართა გუარისა.

სვიმონ მეფე ამ გვარად სპარსელების წინააღმდეგ ისევე ენერგიულად მოქმედებდა, როგორც მამა მისი, მეფე ლუარსაბ. მხოლოდ სპარსთა ძლიერება ქართლში იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მისი შერყევა ფრიად საძნელოდ სჩანდა. მაგრამ მეორეს მხრივ ვერც სპარსთ მოახერხეს მთლად ქართლის შემომტკიცება და ტფილისის მიდამოებს ვერ გასცილდნენ. სპარსეთის მთავრობა ყოველს შემთხვევაში რაიმე ხელსაყრელს გარემოებას უცდიდა, რომელიც მას ნებას მისცემდა ქართლის მეფის ურჩობა აელაგმა. ასეთი დროც დადგა. უმცროსი ძმა სვიმონ მეფისა დავითი, ზნე-წამხდარი ადამიანი, გადუდგა თავისს ძმას, წავიდა სპარსეთს, გამაჰმადიანდა, მიიღო დაუთ-ხანის სახელი და შეფიცა ერთგულება ყაენს. შაჰ-თამაზმა დიდი პატივი სცა დაუთ-ხანს, უბოძა მას 2 ათასი თუმანი, ხალათი, სამეფო თაჯი და ხმალი და გამოგზავნა დიდძალი ჯარით ქართლის მეფედ. დამხმარედ მიუჩინეს მას განჯის ხანი. დაუთ-ხანი მოვიდა ტფილისს. სვიმონი ჯარით დადგა დიღომს. დაუთ-ხანი ვერ ბედავდა ძმასთან შებრძოლებას, მაგრამ სპარსელ სარდალმა ყარამანლუ ხალიფამ მაინც ომი გარდასწყვიტა უფრო საკუთრად სახელის მოსაპოებლად. ომი გათავდა სპარსელების დამარცხებით. მათი სარდალიც ომში დაიღუპა. (1567 წ.) ამის შემდეგ დაუთ-ხანმა მოიწვია ტფილისს უსეინ-ბეგ ყარამანლუ ახალი ჯარით. სამადლოს ბრძოლაში ეს ჯარიც დამარცხდა (1568 წ.) და დაუთ-ხანი ისევე ტფილისში ჩაიკეტა. სვიმონი მოადგა ქალაქს, ეგონა მოქალაქენი მომენდობიანო, მაგრამ ყაენის შიშით ისინი ისევ დაუთ-ხანის მორჩილებაში დარჩნენ. ციხიდან კიდევ თოფებს ისროდნენ, რასაც ქართველი ჯარისათვის ენება მოჰქონდა და ამიტომ მეფე იძულებული გახდა გორს დაბრუნებულიყო. ამის შემდეგ ყაენმა დაუთ-ხანს მისისავე თხოვნის თანახმად მიაშველა შაქისის სულთანი აზერბეიჯანის ჯარით. სპარსელების ჯარი მოვიდა ფარცხისს, სადაც მას შეხვდა სვიმონ მეფე ქართველებით. მტრის ლაშქრის სიდიდის გამო ქართველთ სიმაგრეში დადგომა არჩიეს, მაგრამ რადგან სპარსნი გარემო სოფლებს არბევდნენ, ამიტომ სვიმონ მეფე გავიდა საომრად და შუბ მოღერებული თავისი რაზმით შეიჭრა სპარსელების ჯარში. მეფე მხნედ იბრძოდა, მაგრამ უცბად მეფეს შუბი გაუტყდა და ამავე დროს ერთმა ვინმემ, როგორც მაშინ ამბობდნენ, ქართველთაგანმა მეფეს შუბი კრა და ცხენიდან გარდმოსვა. სპარსნი მისცვივდნენ და შეიპყრეს სვიმონ მეფე ტყვედ (1569 წ.).

ამის შემდეგ დაუთ-ხანმა დაიპყრა ქართლი, ხოლო სვიმონი წაიყვანეს სპარსეთს. შაჰ-თამაზმა ის ძლიერ კარგად მიიღო და აიძულებდა მაჰმადიანობის შიღებას, მაგრამ მეფემ რჯულის გამოცვლაზედ უარი განაცხადა, რის გამო ის დააპატიმრეს ალამუტის ციხეში. ხოლო დაუთ-

ხანი განაგრძობდა განცხრომით ცხოვრებას ხან ტფილისს და ხან ქვეშის ციხეში და ქვეყნის საქმეებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

კახეთის მეფე ლევან. ამასობაში გარდაიცვალა კახეთის მეფე ლევანი (1574 წ.), რომლის ხანგრძლივი მეფობის დროს კახეთი შედარებით საქართველოს სხვა ნაწილებთან მოსვენებით იყო. ამისი მიზეზი რამოდენადმე ლევან მეფის ფრთხილი და გარემოებასთან შეწონილი პოლიტიკა იყო. სპარსთა გაძლიერების დროს ის ცდილობდა თავისი მოქმედების არსებულ პირობებთან შეთანხმებას, თუნდაც ამისათვის თავისი უფლებათა შეკვეცაც საჭირო ყოფილიყო. ამიტომაც ლევანმა, რაკი სხვა გზა აღარ იყო, შედარებით ადვილად იკისრა სპარსეთის ბატონობის აღიარება და ხარჯის ძლევაც. 1550-იან წლებში ლევანი ცდილობდა რუსეთთან კავშირის გაბმას, ცოტა ხნით მცირეოდენი რუსის რაზმიც მოწვეულ იქნა კახეთის ციხეებში დასაყენებლად, მაგრამ როგორც კი შაჰთამაზმა ოსმალებთან ომებს თავი დააღწია, მაშინვე ლევანმა ყაენის რისხვის თავიდან ასაცილებლად რუსის ჯარი ისევ სამშობლოში დააბრუნა. შიგნით სამეფოში მეფე ცდილობდა წესიერების და მშვიდობიანობის დამყარებას, სასტიკი ზომებით ებრძოდა ავაზაკობასა და ქურდობას. მანვე თავისი მეორე სატახტო ქალაქად გახადა გრემი, სადაც აიშენა თავისთვის ჩინებული სასახლე კარის ეკლესიითურთ.

ალექსანდრე II-ის გამეფება კახეთს. ლევანის გარდაცვალებას თან მოყვა კახეთში მის ძეთა შორის შფოთი. უფროსი შვილი—ალექსანდრე მამის მიერ დამდაბლებული იყო და ამიტომ ლევან მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტის დაპატრონებას შეეცადნენ ალექსანდრეს უმცროსი ძმანი —ელიმირზა, ვახტანგ და ხოსრო, რომელნიც დედით ენათესავებოდნენ დაღისტნის შამხალს და მისგან დახმარებას პოულობდნენ. მაგრამ ალექსანდრეს მომხრე იყო დაუთ-ხანი, ქართლის მპყრობელი, სიმამრი მისი ამილახორი ბარძიმ და ქსნის ერისთავი ელიზბარ. ამათი დახმარებით ალექსანდრე დაეცა თავისს ძმებს თორღას, დაამარცხა ისინი და ამოსწყვიტა, რის შემდეგ თითონ გახდა უცილობელი პატრონი კახეთისა.

ალექსანდრე კახ-ბატონი იყო დაუდგრომელი ხასიათის კაცი და იმავე დროს მორალურ სიმტკიცეს მოკლებული. გამეფების შემდეგ მან განამტკიცა კავშირი ქართლის ბატონთან დაუთ-ხანთან და მტრულ განწყობილებას იჩენდა თავისი დის დედოფალ ნესტან-დარეჯანისადმი, რომელიც ცოლი იყო სვიმონ მეფისა და ამ ხანად შიდა-ქართლს ცხოვრობდა სვიმონის ერთგულ თავადების დახმარებით.

დაუთ-ხანი ქართლში. დაუთ-ხანის მფლობელობა ქართლში არც თუ ფრიად მტკიცე იყო. ზოგიერთი ქართლის გავლენიანი თავადი მას არ ემორჩილებოდა. მათ შორის იყო სომხით-საბარათიანოს სარდალი საჩინო ბარათაშვილი, რომელმაც კოჯრიდან მიმავალმა კლდიდან გარდააგდო კახაბერ ყორღანაშვილი, სვიმონ მეფის მოღალატე. ამ ყორღანაშვილმა უწინამძღვრა სპარსელების იმ ჯარს, რომელიც უკანასკნელ მო-

ვიდა ქართლს და სვიმონ მეფე შეიპყრა. ამის შესახებ მე-XVIII საუკუნეში დარჩენილი იყო ძველი გამოთქმა: ყორღანასძე ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გარდაფრინდა. შიდა-ქართლის ის თავადები, რომელნიც დაუთ-ხანს არ სცნობდნენ, მიეკედლნენ ვახტანგ მუხრან-ბატონს, რომელიც სათავეში ჩაუდგა მათ. მეორეს მხრივ დაუთ-ხანს ჩინებული განწყობილება ჰქონდა ალექსანდრე კახეთის მეფესთან, რომელიც სვიმონის ცოლის ძმა იყო. დაუთ-ხანისავე მომხრენი იყვნენ ბარძიმ ამილახორი და ელიზბარ ქსნის ერისთავი. ალექსანდრე მეფე ამათთან ერთად თავს დაესხა სვიმონ მეფის ცოლს და თავისს და დედოფალს, რომელიც კავთისხევს იმყოფებოდა. თავდამსხმელთ წაიღეს ყოველი ქონება სვიმონ მეფისა, რომელიც იქ იყო დატოვებული.

ოსმალების შემოსვლა აღმ. საქართველოში და სვიმონ მეფის სპარსეთის მხარეს გადასვლა. 1576 წ. გარდაიცვალა შაჰ-თამაზი, რომელმაც ამდენი უბედურება მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს. მისი სიკვდილის შემდეგ შაჰად დაჯდა ჰაიდარ, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ამ უკანასკნელის ძმა ისმაილი, რომელიც მალე მოკლულ იქმნა და შაჰად დაჯდა ხუდა-ბენდე. ყაენების ამ გვარი ხშირი ცვალებადობით და საზოგადოდ ერანში ამით გამოწვეულ არეულობებით ისარგებლა ოსმალეთმა, რომელმაც 1577 წ. კვლავ გამოუცხადა ომი სპარსეთს. ოსმალეთის ჯარმა მუსტაფა-ლალა-ფაშის წინამძღოლობით დაიპყრა თავრიზი, ნახიჩევანი, ერევანი, ერთი სიტყვით თითქმის მთელი აზერბეიჯანი. ოსმალებმა ამასთანავე კავშირი გააბეს საქართველოს მეფე-მთავრებთან და თავისი მხარეზე გადაიყვანეს სპარსელების მიერ ქართლის ბატონად დასმული დაუთ-ხანი. ეს მოლაპარაკება არ დარჩა შეუმჩნეველი სპარსეთის მთავრობას, რომელმაც თავის მხრივ მოინდომა სვიმონ მეფის გამოყენება თავისდა სასარგებლოდ. სვიმონიც, დიდი ხნის ტყვეობით მობეზრებული, დათმობის გზას დაადგა, მიიღო მაჰმადიანობა და დადვა მორჩილობის პირობა სპარსეთისადმი. ეს გარემოება ფრიად ხელ-საყრელი იყო სპარსეთის მთავრობისათვის, რადგან ოსმალთა ჯარი უკვე გადმოსულიყო საქართველოში და სამცხის გზით დიდის ბრძოლით მისულიყო ქართლს. შიდა ქართლის გამგედ ამ დროს იყო ვახტანგ მუხრან-ბატონი. ვახტანგი განაგებდა უფლისწულობით ქართლის იმ ნაწილს, რომელიც დაუთ-ხანს არ სცნობდა. სპარსეთის მოწინაღმდეგე ქართლის თავადები თუმცა კმაყოფილი არ იყვნენ ოსმალთა მოსვლით, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ამ დროს შეტევაზე გადასულ სპარსელებმა დაამარცხეს ოსმალები ქურთისტანში. მაშინ მუსტაფა-ლალა-ფაშა ახალი დიდის ჯარით კვლავ დაიძრა აღმოსავლეთისაკენ. მისი მთავარი მიზანი იყო აზერბეიჯანის შემომტკიცება და იმავე დროს აღმოსავლეთ კავკასიიდან სპარსელების განდევნა. სივასში მას მიეგებნენ ჩერქესთ ბატონები, დიდიანი და გურიელი, ხოლო არზრუმის ახლოს იმერეთის მეფე გიორგი II-ც. ამისი გამგონე სპარსელების სარდალი თოჰმა-ხანი 30 ათასი კაცით

შემოვიდა ჩილდირში. ააოხრა არტაანის მხარე, რომელიც ამ დროს ოსმალთ ეჭირათ და ემზადებოდა მტრის დასახვედრად. 10 აგვისტოს 1578 წ. მოხდა ჩილდირის დიდი ბრძოლა, რომელიც გათავდა ლალა-ფაშის გამარჯვებით.

ამ გამარჯვებამ გარდასწყვიტა, როგორც ქართლის ისე აგრეთვე მესხეთის ბედი. ოსმალთ ჯერ დაიჭირეს საათაბაგო და აიძულეს ათაბაგის სახლი ოსმალეთის ქვეშევრდომობა მიეღო და შემდეგ წამოემართნენ ქართლისკენ. სპარსელებს ქართლი მისი ბედის ანაბარად დაეტოვებინათ და ამიტომ ოსმალნი თავისუფლად შემოვიდნენ ქართლში, დაიჭირეს ტფილისი და დაუთ-ხანი გაგზავნეს სტამბოლს მისი მომავალის იქ გარდასაწყვეტად. ლალა-ფაშას ქართლი სთხოვეს გიორგი II-მ, იმერეთის მეფემ, თავისი შვილისთვის, ხოლო კახეთის მეფე ალექსანდრემ თავისთვის. ლალა-ფაშამ წინადადება მისცა კახ-ბატონს გამაჰმადიანებულიყო და როდესაც მისგან უარი მიიღო, ტფილისის ფაშად დასვა მაჰმად-ფაშა, ციხეში ჩააყენა ათასი კაცი 100 ციხის თოფით და ორი ეკლესიაც ქალაქში მეჩეთად გადააქცია. ხოლო კახ-ბატონის გულის მოსაგებად ოსმალთ დახმარება გაუწიეს მას შაქისის მხარის დასალაშქრებლად.

ოსმალნი გაძლიერდნენ ქართლში და იწყეს ციხეების აშენება. ტფილისის გარდა მათ, სხვათა შორის, ეჭირათ გორიც. ოსმალების პოლიტიკა თანდათან აშკარავდებოდა,—მათ უნდოდათ ქართლის მთლად თავისთვის დაპყრობა. ამის შემდეგ თვით ის ხელმძღვანელი ქართველი პირნი, რომელნიც აქამდის სპარსეთს ებრძოდნენ, ეხლა თანდათან სპარსელების მხარეს გადავიდნენ, რადგან სპარსეთი შინაურ თვით-მართველობას მაინც არ ეხებოდა, მაშინ როდესაც ოსმალეთი ქართლში თავისი საკუთარ მართველობის დამყარებას ლამობდა.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც სპარსეთის მთავრობამ საბოლოოდ გარდასწყვიტა სვიმონ მეფის ქართლს გამოგზავნა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მას მისცეს აუარებელი საჩუქრები, 9 ათასი თუმანი ფულად, ყველა სპარსეთს ტყვედ მყოფი ქართველები და გამოისტუმრეს. სპარსეთში იმედი ჰქონდათ, რომ სვიმონ მეფე შესძლებდა ქართლის თავადების შეკავშირებას და მათს აძხედრებას ოსმალების წინააღმდეგ. მართლაც, ოქტომბერში 1578 წ. სვიმონი მოვიდა სომხითს და შემდეგ შიდა-ქართლში. მრწველისას მეფე მაშინვე შეუდგა დიდ თავადებთან მორიგებას და მალე მას მიერთვნენ მთელი ქართლის დიდ გვარეულობათა წარმომადგენელნი. სვიმონის გაძლიერებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ოსმალთ ამ დროს ქართლისათვის არ სცალოდათ. თვით მუსტაფა-ლალა-ფაშა გადავიდა სამცხეს და იქიდან წავიდა არზრუმს სპარსეთის წინააღმდეგ ახალი ძალების დასამზადებლად. მალე ამის შემდეგ სვიმონმა დაიპყრა თითქმის მთელი ქართლი გარდა ქალ. ტფილისა და ზოგიერთ ციხეებისა სომხითსა და ლორეში.

სვიმონ მეფე ებრძვის ოსმალთ. მეფის მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა ტფილისის განთავისუფლება ოსმალებისაგან. მას დახმარებას უწევდნენ სპარსელები, რომელთა მფარველობის ქვეშ ითვლებოდა სვიმონი. 10 ათასი კაცი სპარსელების ჯარი ოსმანყული-ხანის წინამძღოლობით გამოგზავნილი იყო სვიმონის დასახმარებლად. ტფილისს უკვე კარგა ხანია მჭიდრო ალყა ჰქონდა შემორტყმული და 1580 წლის ზაფხულში ქალაქი და მასში ჩამწყვდეული ოსმალების ჯარი დიდს გაჭირვებას განიცდიდა უსურსათობის გამო. ოსმალნი მაინც მედგრად იცავდნენ ქალაქს, სანამ ამაღე წლის შემოდგომაზე მუსტაფა-ლალა-ფაშის მოადგილემ სინან-ფაშამ არ გამოილაშქრა ტფილისის დასახსნელად გაჭირვებისაგან 20 ათასი კაცით და 170 ზამბურაკით. სინან-ფაშა ომით მოვიდა ტფილისს, გაარღვია სპარს-ქართველთა ჯარის წრე და შევიდა ქალაქში. ტფილისის მართველი მაჰმად-ფაშა გადაყენებულ იქმნა და მისს მაგივრად ფაშად დასვეს სულთანის ბრძანებით სვიმონ მეფის ერთი ძმა გიორგი. ბატონიშვილი, რომელიც დასთანხმდა მაჰმადიანობის მიღებაზე, რის შემდეგ მას სახელად დაარქვეს უსუფი. ამით ოსმალნი ძლიერ გაძლიერდნენ და მათთან ბრძოლა სვიმონისთვის უკვე ფრიად ძნელი იყო. ეს იყო მიზეზი, რომ ზამთარში 1580 წ. სვიმონმა არჩია მოლაპარაკების გამართვა სინან-ფაშასთან. სიმონი თხოულობდა ქართლის მისთვის დამტკიცებას ოსმალთა ბატონობის აღიარების პირობით და ამასთანავე თანხმობას აცხადებდა ყოველ წლიურ ხარკად 100 ათასი დუკატის გარდახდაზე ოსმალეთის სასარგებლოდ და პირობათა შესრულების გარანტიად იძლეოდა მძევლად თავისს შვილს. ამ მოლაპარაკებიდან ბოლოს და ბოლოს არა გამოვიდა რა. ოსმალთ უარყვეს სვიმონის მიერ წარმოდგენილი პირობები, რადგან სვიმონთან შემორიგებას ისინი თავისი პოლიტიკისათვის და თავისი ძალა-უფლების ქართლში საბოლოოდ განსამტკიცებლად საზარალოდ სთვლიდნენ. ამის შემდეგ მეფეს იმისი მეტი გზა აღარ დარჩენოდა, რომ ახალის ენერგიით განეგრძო მოქმედება ოსმალთა ხშირ თარეშების წინააღმდეგ თავისი ქვეყნის დასაცავად.

ოსმალებთან ბრძოლის წარმოებას აძნელებდა ქართლის შინაურ ძალთა დაქსაქსვა. ამდენ გამოვლილ აოხრებათაგან ქვეყანა ძალიან მისუსტებული იყო, შიგნითაც გავლენიან თავადთ შორის ერთიანობა არ იყო, არ იყო ერთიანობა აგრეთვე ქართველ მეფე-მთავართა შორის. ალექსანდრე II, კახეთის მეფე, ცოლის ძმა სვიმონისა, პირადი სიძულვილით იყო განმსჭვალული სიძისადმი. 1580 წ. ალექსანდრე მოულოდნელად დაესხა თავს დილომს მყოფ თავისს სიძეს და თუმცა ქართლის მეფემ თავისი ოჯახით და მხლებლებით გაქცევა მოასწრო, მაგრამ მთელი მისი ქონება აფორიაქებულ იქმნა. ამ თავდასხმამ ქართლში დიდი აღშფოთება გამოიწვია, სვიმონ მეფემ შემოიკრიბა თავისი ჯარი და წავიდა ალექსანდრეს დასასჯელად, დაამარცხა ის ბრძოლაში ჰოტორთან

და დაატყვევა კახეთის მრავალი წარჩინებული პირი. მეფემ ყველა კახნი წამოიყვანა მცხეთას და აქ სვეტი-ცხოველის წინაშე დააწყევლინა თავიანთი თავი: „ღმერთმან ნურას ჟამს ნუ მისცეს ძლევა კახთ ქართლელებზედაო“, რის შემდეგ ისინი გაანთავისუფლა. ამავე წელს ყვარყვარე ათაბაგი მოუხდა ლორეს და აოხრა ის.

ყველა ეს ფაქტები ცხადი დამახასიათებელი იყო იმ გამწვავებულ ურთიერთობისა, რომელიც ამ დროს არსებობდა შიგნით საქართველოში ცალკე მეფე-მთავრებს შორის. ეს იყო მიზეზი, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა ქართლში სუსტად მიდიოდა და თუ კიდევ ამ მხრივ რამე კეთდებოდა, ისევ სვიმონ მეფის პირადი ენერგიისა და მხნეობის მიზეზით. მეფე ცდილობდა წვრილ-წვრილ თავდასხმებით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ოსმალთა შეწუხებას. ერთი ასეთ თარეშთაგანი მეფემ გაუსია ტფილისის ახლოს მობალახე საქონლის ჯოგებს. ოსმალების რაზმი გამოვიდა ქალაქის გალავნიდან და შეებრძოლა ქართველებს, მაგრამ დამარცხდა და ისევ ციხეში გაიქცა. სვიმონ მეფემ თავისი ჯარით მისდია მტერს გალავნის კარამდის, მაგრამ ქალაქში კი ვერ შევიდა.

ამ გვარმა წვრილ თარეშებმა საკმაოდ გააძლიერეს მეფე სვიმონ. ათაბაგი ყვარყვარე და მისმა ძმა მანუჩარი ამ დროს უკვე ოსმალთა მტკიცე მორჩილებაში იყვნენ. მანუჩარი მონაწილეობასაც ღებულობდა ოსმალების მიერ სვიმონის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. მაგრამ ყვარყვარესა და მანუჩარს მაინც უნდოდათ ოსმალების წინააღმდეგ საჭიროების დროს ქართლიდან ხელის გაწვდენის იმედი ჰქონდათ. ამ დაახლოვების ნიშნად მანუჩარმა უარყო მაჰმადიანობა, რომელიც მას მიღებული ჰქონდა და შეირთო ცოლად სვიმონ მეფის ასული ელენე (1582 წ.). ამის შემდეგ მეფე სვიმონი უფრო მეტის ენერგიით განაგრძობდა ოსმალებთან ბრძოლას. ამავე წელს მან აიღო ლორის ციხე. შემდეგ დაეცა ოსმალთა ჯარს, რომელიც ტფილისიდან მასთან საბრძოლველად გამოსულიყო და საშინლად დაამარცხა ის ტაბახმელასთან. მალე ოსმალეთის სარდლობამ გამოგზავნა დიდი ჯარი სვიმონის დასასჯელად. ეს ჯარი მოვიდა ლორეს და დადგა იქ. ქართველების ჯარიც დაიძრა ლორისკენ. მამაცმა სვიმონ მეფემ, რომელიც ყოველთვის თითონ წინამძღოლობდა თავისს ჯარს, განიზრახა საკუთარი თვალით დაეზვერა ოსმალების ბანაკი და ამ მიზნით მივიდა ფაშასთან, როგორც დესპანი ქართველთ მეფისა, ზავის წინადადებით და მორჩილების აღიარებით. უკან დაბრუნებისას მეფემ საჩქაროდ ღამით გადაიყვანა თავისი ჯარი ოსმალთა საბინადრო ადგილისაკენ და დილას ადრე თავს დაესხა მტერს, რომელიც სასტიკად დამარცხდა.

მიუხედავად ამ გამარჯვებისა სვიმონმა ვერ მოახერხა ლორის ციხის განთავისუფლება და ლორე ამის შემდეგაც ოსმალთა ხელში დარჩა.

ამ გვარად ქართლის ოფიციალური და მოწინავე წრეები დაადგნენ პოლიტიკურად სპარსეთის ორიენტაციას. ამ ორიენტაციის გამარჯვებამ

ხელი შეუწყო ქართლსა და კახეთშიდაც სპარსულ წეს-წყობილების და კულტურულ გავლენის განმტკიცებას. თვით სვიმონ მეფე კარგი მცოდნე იყო სპარსული ენისა და სპარსეთში ტყვეობისას განსაკუთრებით კარგად გაეცნო იქაურ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას. სპარსეთში არსებულ მართველობის სისტემის მიხედვით შემოღებულ იქმნა ზოგიერთ ახალი თანამდებობაც. ასე, მაგალ., მის დროს განმტკიცებულ იქმნა ტარიელისა და მელიქის თანამდებობა, საადმინისტრაციო ფუნქციებით სხვადასხვა ადგილებისათვის. საზოგადოდ სვიმონის მეფობის დროსაც ვე უნდა დაარსებულიყო ქართლში სპარსეთის მიბაძვით განსაკუთრებულ ვეზირისა და აგრეთვე მდივანბეგის თანამდებობა. მდივანბეგი ითვლებოდა ერთი და მის ხელთ იყო სამართლის საქმის წარმოება.

სპარსული გავლენის გაძლიერება თანდათან დაეტყო ქართველ თავადების ყოფა-ცხოვრებას. სპარსული ზნე-ჩვეულების ნორმები თანდათან ფეხის მოკიდებას იწყებდა საქართველოში. მაჰმადიანობის მიღებაც წარჩინებულთა წრეებში, თუნდაც მარტო ფორმალურად, თანდათან ხშირ მოვლენად ხდებოდა. თუ აქამდის საზოგადოდ საქართველოს მაღალ წრეებში თურქული ენა საკმაოდ ფეხ-მოკიდებული იყო, ეხლა ქართლ-კახეთში თურქულს მეტოქეობას უწევს სპარსული ენა.

III.

ოსმალეთის ბატონობის დამკვიდრება ლიხთ-იმერეთსა და მესხეთში.

ოდიშისა და გურიის გამოყოფა იმერეთის სამეფოდან. იმერეთის მეფე ბაგრატ III, რომელიც ასეთს ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა ოსმალების წინააღმდეგ, იყო ერთი შესანიშნავი პიროვნებათაგანი იმერეთის ტახტზედ. ის მრავალ მხრივ ცდილობდა თავისი ქვეყნის შინაურ ცხოვრების დალაგებას და იმავე დროს მიზანშეწონილ საგარეო პოლიტიკის წარმოებასაც. მისი ცდა ოსმალთა გავლენის წინ-სვლის შეჩერებისა, სამცხე-სათაბაგოში ფეხის მომაგრებით, უნაყოფო გამოდგა. 1553 წლის ზავით კიდევ სპარსეთმა აფხაზ-იმერეთის სამეფო იცნო ოსმალეთის გავლენის სფეროდ. შიგნით სამეფოში თანდათან მტკიცდებოდა დადიანისა და გურიელის დამოუკიდებლობა. ამ მხრივ გარდამწყვეტი მნიშვნელობა იქონია მეფის საათაბაგოში დამარცხებამ, რის შემდეგ ათაბაგი ქაიხოსრო გახდა სადადიანოს სეპარატიული მიდრეკილებათა ბუნებრივი დამხმარე. მეფემ აქაც სცადა ენერგიულ ზომებისათვის მიემართნა. დადიანი ლევან, რომელიც ამ დროს ფლობდა ოდიშსა და აფხაზეთს, მეფის მთავრობის ურჩობისათვის შეპყრობილ იქმნა (1546 წ.). ის დააპატიმრეს გელათის სამრეკლოში. მაგრამ ორი წლის შემდეგ იმე-

რეთის ერთ წარჩინებულ თავადის ხოფილანდრე ჩხეიძის დახმარებით, რომელსაც ხელს უწყობდა აგრეთვე ათაბაგი, დადიანი გაიპარა იმერეთიდან და მივიდა თავისს სამფლობელოში. ამის შემდეგ უკვე ფაქტიურად მოისპო დადიანის დამოკიდებულება იმერეთის მეფისაგან.

ოდიშის მთავრის მოქმედებამ გავლენა იქონია გურიელზედაც, რომელიც ამიერიდან აგრეთვე მეფის მთავრობის დაუკითხავად აწარმოებდა თავისი სამთავროს საქმეებს.

ამ გვარად. მე-XVI საუკუნის ნახევარში ოდიში და გურია გახდნენ ფაქტიურად მეფისაგან დამოუკიდებელი სამთავრონი. სახელით, მართალია, ამის შემდეგაც როგორც დადიანი, ისე გურიელი აღიარებდნენ მეფის უფლების უპირატესობას. ამ მხრივ ერთგვარი ნომინალური დამოკიდებულება ოდიშისა და გურიისა იმერეთის მეფისაგან შემდეგაც არ შეწყვეტილა. მხოლოდ ამ დამოკიდებულების ცხოვრებაში განსაზღვრებლად და გასაღრმავებლად მეფის მთავრობას უკვე საკმაო ძალა არ შესწევდა.

წეს-წყობილების ფეოდალიზაციის გაძლიერება ლიხთ-იმერეთს. სადადიანოს და საგურიელოს ფაქტიური გამოყოფა იმერეთის სამეფოსაგან ცხადი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ პატრონ-ყმობის უფლებაზედ აღმოცენებული და შემდეგ განვითარებული ფეოდალური წეს-წყობილება შეუძლებლად ხდიდა ძლიერ ცენტრალურ ძალა-უფლების დამყარებას და ამ სტიქიურად მომქმედ ფაქტორის წინაშე უძლური იყო ისეთი ენერგიული პიროვნებაც, როგორიც იყო ბაგრატ III. მართალია, დადიანი ჯერ კიდევ ატარებდა მანდატურთ-უხუცესის ხარისხს, გურიელი კიდევ ითვლებოდა ამირ-სპასალარად, მაგრამ ფაქტიურად მეფის უფლება უკვე არ ვრცელდებოდა ორივე სამთავროზე. თვით სამეფოს შიგნით ვითარებაში ამ დროს უკვე მომხდარიყო მთელი რიგი ფაქტებისა, რომელიც დამახასიათებელი იყო ძალა-უფლების და ხელმწიფების გადატანის პროცესისთვის ცენტრიდან—სამეფო ტახტიდან ცალკე კუთხეებში—თავადთა გვარეულობების თავ-ბატონებზე. ასე, მაგ., დარბაზი, როგორც სამეფო ტახტის წინაშე თავადთა გვარეულობების წარმომადგენელთა ინსტიტუტი, უკვე ფაქტიურად არ არსებობდა. თავადთა გვარეულობათ ამით მეფისაგან მეტი დამოუკიდებლობა და მეტი ძალა მიეცათ. ცენტრალური მთავრობის შემადგენლობაც, საერთოდ ცენტრის მოსუსტებისა გამო, განმარტივებულიყო. მე-XVI საუკუნის დასაწყისში მეფის მთავრობას იმერეთში შეადგენდა საეზირო, რომელშიდაც 8 ვეზირი ითვლებოდა, ამავე საუკუნის 50-იან წლებში საეზიროს მარტო 4 პირი შეადგენდა. ვეზირთა შორის არ იხსენიება უკვე ერისთავთ-ერისთავი ე. ი. სწორედ ისეთ თანამდებობის მატარებელი, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად გამოსახავდა სამეფო ძალა-უფლების შესუსტებას კუთხობრივ ინტერესების სასარგებლოდ. თვით სამეფოს ფარგლებში ბაგრატ III იძულებული იყო კვლავ დაედასტურებინა რაჭის საერისთაოს

ნახევრად დამოუკიდებელი არსებობა. სახელდობრ, მისი მეფობის დროს აყვანილ იქმნა რაჭის ერისთაისა და სპასპეტის ხარისხში შოშიტა ჩხეტიძე, რომლის შთამომავალნი ამის შემდეგ განაგრძობდნენ მემკვიდრეობით რაჭის ერისთაობას. ყველაფერი ეს დამამტკიცებელი იყო იმისა, რომ იმერეთის ცხოვრებაში გამოდიოდნენ ახალი ფაქტორები მთავართა და თავადთა გვარეულობების სახით.

თავადების საწინააღმდეგოდ სამეფო ტახტი ცდილობდა ეკლესიას დაყდრნობოდა. ამ მხრივ მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის სამეფოში 1529 წლიდან გელათის, ხოლო 1544 წლიდან ნიკორწმინდის სამღვდელმთავრო კათედრის აღდგენას. ეპისკოპოსნი წარმოადგენდნენ თავადებისაგან რამოდენადმე დამოუკიდებელ ძალას, თუმცა ფეოდალიზაცია წესწყობილებისა ეტყობოდა საეკლესიო ცხოვრებასაც. თვით საეპისკოპოსო კათედრები ლიხთ-იმერეთს ამ დროს ხშირად გადადიოდა მემკვიდრეობით ბიძიდან ძმისწულზე. მაგალ. ქუთათლების კათედრა მე-XVI საუკუნეში ჩხეტიძის გვარეულობის ხელში იყო. 1529 წ. გარდაიცვალა ქუთათელი გერმანე ჩხეტიძე და მის მაგივრად დაჯდა ქუთათლად ძმისწული მისი სვიმონ. სვიმონის შემდეგ ქუთათლად ბასილი და შემდეგ სვიმონ ჩხეტიძე იყო. ეს ფაქტი ცხადად ასურათხატებს თავადების ცალკე გვარეულობათა ძლიერებას.

ოსმალთა მიერ ჰანეთის დაპყრობა. 1553 წელს ოსმალეთსა და სპარსეთს შორის დადებულ ხელშეკრულობის ფაქტიურად დასავლეთ საქართველოს მიმართ განსახორციელებლად ოსმალეთის ჯარი დაიძრა პირველად გურიის საზღვრებისაკენ, დაიპყრო ჰანეთი, გადმოვიდა მდ. ჭოლოხს და დადგა ბათომს, სადაც შეუდგა ციხის შენებას. გურიის მთავარმა რუსტომ გურიელმა შეშინებულმა თავისი ჯარი დაეცა ოსმალთ და აიძულა ისინი საჩქაროდ ბათომიდან უკან დაეხიათ. ზღვაზე გემები და ნავები ოსმალთ შეელოდა წესიერად უკან დახევას. გურიის ჯარი მიადგა ჭოროხს, მაგრამ გაღმა გასვლა ვერ შესძლო ძალთა სიმცირისა გამო. ოსმალნი ძლიერდებოდნენ ჰანეთში, დახანება არ შეიძლებოდა და ამიტომ გურიელმა საჩქაროდ მიმართა დახმარების თხოვნით მეფე ბაგრატ III-ს და ლევან დადიანს. მეფემ გაგზავნა თავისი ძმა ვახტანგ ბატონიშვილი 500 კაცით, მაგრამ ამასთანავე დაავალა მას, რომ გურიელისა და დადიანის გაერთიანებისათვის ხელი შეეშალა. მეფე უკმაყოფილო იყო იმით, რომ ბრძოლა ოსმალებთან სწარმოებდა გურიელის სახელით და არა სამეფოს ერთიან მართველობის მხრივ და თუმცა ეს გარემოება აიხსნებოდა გურია-ოდიშის ამ დროს უკვე ფაქტიური დამოუკიდებლობით იმერეთისაგან, მაგრამ მეფის მთავრობას არ სურდა, რომ სამთავროების ამ ფაქტიურ დამოუკიდებლობას ოსმალებთან ბრძოლაში მოეპოვა თავისი განმტკიცება. ვახტანგ ბატონიშვილი მივიდა საჯავახოს და იქიდან გამოელაპარაკა ლევან დადიანს, რომელიც დიდის ჯარით რიონზე მოსულიყო. ვახტანგი ვითომდა მეგობრულად გაენდო ლევან და-

დიანს და აცნობა მას მეფესა და როსტომ გურიელს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულობა, რომელიც ვითომდა მიმართული იყო ოდიშის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. არაფელი ამისი მსგავსი ნამდვილად არ არსებობდა, მაგრამ ყოველივე ამ გვარმა ნალაპარაკევმა დადიანზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან თავისი ჯარი ისევ უკან გააბრუნა. ამის შემდეგ როსტომ გურიელმა ვერ შესძლო ოსმალებთან ბრძოლის გაგრძელება და ჰოროხს გაღმა ლაშქრობა. ჰოროხის პირს ოსმალებმა ააშენეს გონიის ციხე და საზოგადოდ მტკიცედ ფეხი მოიმაგრეს ჰანეთში. ჰანეთი ამის შემდეგ დაკარგა გურიელმა.

იმერეთ-გურია-ოდიშმა აღიარეს ოსმალეთის ბატონობა. ცოტა ხნის შემდეგ ოსმალნი კვლავ ამოძრავდნენ. მათი მიზანი იყო 1553 წელს სპარსეთთან დადებულ ხელშეკრულობით მოპოებული უფლებების ფაქტიურად ცხოვრებაში გატარება. ამ ხანად მათ გაუშვეს თარეშები როგორც ხმელეთით, ისე ზღვიდან გურია-ოდიშ-იმერეთზე. ამ თარეშებმა მოაოხრეს სოფლები, დასწვეს ეკლესიები და წაიყვანეს ტყვედ მრავალი მცხოვრები. ოსმალთ აგრეთვე შეკრეს ზღვა, რის გამო მოისპო ყოველი კავშირი ზღვით დასავლეთ საქართველოს სანაპიროებთან. ეს გარემოება ფრიად ცუდს მდგომარეობაში აგდებდა ქვეყანას, რადგან ამით დასავლეთ საქართველოს მოესპო ზოგიერთ აუცილებელ საგნის, მაგ., მარილის მიღების შესაძლებლობა. ამ მდგომარეობამ, გახშირებულ თარეშებთან ერთად, აიძულა ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროები ქედი მოეხარათ ოსმალეთის წინაშე და დათანხმებულიყვნენ ყოველ-წლიურ ხარჯის გარდახდას სულთანის ხაზინის სასარგებლოდ. ნაწილი ამ ხარჯისა გამოიხატებოდა განსაზღვრულ რაოდენობის ქალ-ვაჟთა გაგზავნაში.

ოსმალთა მფლობელობის განმტკიცებას ხელს უწყობდა განკერძოებითი ხასიათის მიდრეკილებანი ოდიშის და გურიის სამთავროებისა. მთავრები ცდილობდნენ ოსმალეთთან კარგი განწყობილების დაჭერით უზრუნველ ეყოთ თავისი დამოუკიდებლობა მეფისგან. განსაკუთრებით ოდიშის მთავარი სთვლიდა ამას თავისთვის სასარგებლოდ და გარემოებაც ამ მხრივ მას ხელს უწყობდა, რადგან ოსმალნი არ ემუქრებოდნენ ქვეყნის წართმევით პირდაპირ მისს სამფლობელოს. 1557 წ. დადიანი ოსმალეთისადმი თავისი ერთგულობის დასამტკიცებლად გაემგზავრა სტამბოლს, სადაც წარუდგა სულთანს და მიართვა მას საჩუქრად ძვირფასი ლალი.

შინაური მდგომარეობა. საეკლესიო კრება. იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს ხვდა ამ გვარად მთელი რიგი უბედობათა: ცდა სამცხე-საათაბაგოს შემოერთებისა დიდის მარცხით გათავდა, შიგნით სამეფოში კიდევ უმეტესად განმტკიცდა დამოუკიდებლობა სადადიანოსა და საგურიელოს სამთავროებისა და ბოლოს თვითონაც მეფე იძულებული გახდა ოსმალთა ბატონობა აღეარებინა. შინაური მდგომარეობაც თანდათან

უარესდებოდა. ოსმალებთან ხანგრძლივად გამწვავებულმა მდგომარეობამ, ომებისა, ხშირ-ხშირ თარეშებისა და ზღვის შეკვრის გამო, ქვეყანა გასაჭირში ჩააგდო. გახშირდა სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება და განსაკუთრებით ტყვის ყიდვა, რასაც ოსმალნი თავისს მხრივ ფრიად ხელს უწყობდნენ. მოწინავე წრეები და განსაკუთრებით ეკლესია ცდილობდნენ ამ ბოროტ-მოქმედებებთან ბრძოლას. 1550-იან წლებში მოწვეულ იქმნა საეკლესიო კრებაც, რომელსაც დაესწრო აფხაზეთის კათალიკოზი ევდემოს, განსაკუთრებულ მიწვევით ქართლის კათალიკოზი მალაქია და 10 ლიხთ-იმერეთის ეპისკოპოსი: სვიმონ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმინდელი, ცაიშელი. ამ საეკლესიო კრებამ იქონია მსჯელობა განმრავლებულ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ და შეიმუშავა ხალხის ზნეობრივ ცხოვრების ამაღლების მიზნით ეგრედ წოდებული „სამართალი კათალიკოზისა“.

მაგრამ ასეთი ზნეობრივი ხასიათის გამოსვლანი, რასაკვირველია, ვერ შეაჩერებდა დასავლეთ საქართველოს ცხოვრების უკან სვლას, რაც ღრმა მსოფლიო მნიშვნელობის მიზეზებით იყო გამოწვეული და რაც თანდათან უფრო მეტის სიცხადით იჩენდა თავს. ეს ნელის ნაბიჯით მიმდინარე დაცემის პროცესი პოვებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისებურს გამოხატულებას.

არევ-დარევა დასავლ. საქართველოში გიორგი II-ის დროს. ბაგრატ III გარდაიცვალა 1565 წელს და მის მაგივრად გამეფდა ძე მისი გიორგი II. ახალი მეფის გამეფებისთანავე იჩინა თავი მეფე-მთავართა შორის არსებულმა ინტერესთა წინააღმდეგობამ, ხოლო ზნეობრივი აღვირ-ახსნილობა ამ წინააღმდეგობას თავისებურ გამოხატულებას აძლევდა.

ლევან დადიანის ძემ გიორგიმ გაუშვა თავისი ცოლი, ასული როსტომ გურიელისა და დაი ამ დროინდელ გურიის მთავრის გიორგი გურიელისა და შეირთო ცოლად თავისი ბიძის ბათულიას ცოლი, რომელიც წაართვა ქმარს. გურიელი ამისათვის გადაემტერა დადიანს, რომელიც იძულებული გახდა მშვიდობიანობის ჩამოსაგდებლად მიეცა მისთვის თავისი ასული ცოლად. გურიელი დასთანხმდა ამ გვარ მოყვრობას იმ მიზნით, რომ დადიანის სახლისთვის კიდევ მეტი შეურაცხყოფა მიეყენებინა. მართლაც მალე მან შურის საძიებლად გაუშვა დადიანის ასული და ჯვარი დაიწერა მეფის გიორგის დაქვრივებულ მამიდაზედ. ამის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. დადიანმა ეხლა თავისი სიძულვილი მეფეზედ გადაიტანა და მოინდომა მისი ტახტიდან ჩამოგდება და მისი ბიძაშვილის ხოსრო ბატონიშვილის გამეფება. სამეფო ტახტს ოპოზიციაში უდგა ამ დროს დიდად გაელენიანი ჭილაძეთა გვარეულობა. დადიანმა მიიმხრო ჭილაძე ვარაზ, ჭილაძის გვარეულობის თავი, შემოიკრიბა თავისი ჯარი, თან წამოიყვანა ოდიშის უდიდესი თავად-

თაგანი ლიპარტიანი, სალიპარტიანოს მპყრობელი, . და მოულოდნელად დაესხა თავს მეფის ბანაკს სოფ. იანეთს, მაგრამ არა გამოვიდა-რა: მეფემ მოასწრო თავისი ამალით იანეთიდან წასვლა. ამის შემდეგ დადიანს უკვე ოდიშს არ დაედგომებოდა და ამიტომ ის იძულებული გახდა წასულიყო სტამბოლს გურიელისა და მეფის წინააღმდეგ შემწეობის სათხოვნელად. სულთანმა გამოატანა დადიანს დიდი ჯარი, რომელიც მოვიდა და დადგა სატყეპელას. გურიელს მაშინ მეტი გზა არ დარჩენოდა, რომ დადიანთან შერიგება მოეწყო. გურიელმა მისცა სისხლად დადიანს მისი დის გაშვებისათვის 10 ათასი დრაჰკანი და დაეზავა მას. დადიანი მივიდა ოდიშს. მაგრამ ეხლა უკვე მეფე ამოძრავდა, რადგან დადიანის და გურიელის დაზავება მისთვის ხელ-საყრელი არ იყო. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ჭილაძეთა გვარეულობის დატუქსვა, რადგან ამ გვარის ახალი მეთაურიც ჯავახ ჭილაძე მეფეს არ ემორჩილებოდა და დადიანისა და გურიელის მხარეზედ იყო. მეფემ მოაკვლევინა ჯავახი და ემზადებოდა დადიანისა და გურიელის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მაგრამ მათ დაასწრეს, ისინი ჩამოვიდნენ ჯარით ჭილაძის სამფლობელოში და თვით დაიპყრეს ის. მაშინ მეფემ მოინდომა დადიანთან მორიგება. ამ დროს ლევან დადიანი უკვე მოკვდარიყო (1571 წ.) და მისს მაგივრად მთავრად იჯდა ძე მისი გიორგი, რომლის დაი მეფემ მოგვარა ცოლად თავისს შვილს, ტახტის მემკვიდრეს ბაგრატ ბატონიშვილს. გურიელმა მაშინ თავისს მხრივ გარდაიბირა თავისკენ დადიანის ძმა მამია, შერთო მას თავისი დაი ცოლად და შემდეგ გურიის ჯარით გადავიდა ოდიშს, დაამარცხა ბრძოლაში ზუგდიდთან დადიანი, გარდააგდო ის და დასვა დადიანად თავისი სიძე. გიორგი დადიანი გაიქცა აფხაზეთს, საიდანაც წამოიყვანა დიდი ჯარი, მაგრამ ხელმეორედაც დამარცხდა. მაშინ გიორგი დადიანმა მიმართა მეფეს და სთხოვა დახმარება. მეფის შუამავლობით გურიელი და გიორგი დადიანი დაზავდნენ იმ პირობით, რომ დადიანს უნდა მიეცა სისხლი გურიელის დის გაშვებისათვის ისე, როგორც უწინ გურიელი იძულებული იყო ასეთივე სისხლი მიეცა დადიანისათვის. დადიანი დასთანხმდა, მან აღუთქვა გურიელს იგივე 10 ათასი დრაჰკანის მიცემა და ამავე დროს სთხოვა მეფეს ცოლად კავშირის სიმტკიცისათვის მისი ცოლის და, ჩერქესის ბატონის ასული, რომელიც ქუთაისს მეფის სასახლეში იზრდებოდა. მეფე დასთანხმდა, გიორგი დაჯდა ისევ დადიანად და ამ გვარად დროებით მშვიდობა დამყარდა.

ასეთი იყო ის ახალი ურთიერთობა, რომელიც დამყარდა ლიხთ-იმერეთის მეფესა და მთავართ შორის სამთაეროების დამოუკიდებლობის განმტკიცების შემდეგ და ოსმალთ გაძლიერების დროს.

მეტოქეობა დადიანისა და გურიელის სახლს შორის. იმერეთის მეფე გიორგი II გარდაიცვალა 1583 წ. და მის მაგივრად ტახტზედ დაჯდა თორმეტის წლის ერთად-ერთი ძე მისი ლევანი. მეფის მცირე წლოვანობით ისარგებლა ბიძა მისმა კონსტანტინე ბატონიშვილმა და

დაიპყრა არგვეთი, აგრეთვე ციხე სკანდა და კაცხი. ლევან მეფე დაემოყვრა ოდიშის მთავარს მამია დადიანს, რომელსაც ოდიში დაეპყრა თავისი ძმის გიორგი დადიანის სიკვდილის შემდეგ, შეირთო ცოლად და მისი და შემდეგ მისივე დახმარებით გაილაშქრა თავისი ბიძის წინააღმდეგ, ჩამოართო მას დაპყრობილი ციხეები და მოურიგდა საუფლისწულოს მიცემით.

კოსტანტინეს აჯანყება აიხსნებოდა იმერეთის სამეფოს შინაგან ერთიანობის შესუსტებით. ამასთანავე დადიანის და გურიელის კირთებამ მიბაძვა ჰპოვა სხვა დიდ თავადებს შორის, რომელთა ურჩობა, ნაკარნაჩევი ხშირად პირად უსიამოვნობით თუ შურიანობით, მალ-მალე წამოყოფდა ხოლმე თავს. ეხლაც ზემო-იმერეთის თავადებმა დადიანის გაძლიერების შურით წინადადება მისცეს სვიმონ ქართლის მეფეს იმერეთი დაეპირა. სვიმონისთვის ეს კარგი შემთხვევა იყო იმერეთზე გავლენის განსამტკიცებლად. ამიტომ მან შემოიკრიბა თავისი ჯარი და გადავიდა იმერეთს. ლევან იმერეთის მეფემაც დაამზადა თავისი ჯარი და ამასთანავე დახმარება მოსთხოვა დადიანსა და გურიელს, მაგრამ ესენი ერთმანეთისადმი შურიანობისა გამო არ მივიდნენ. გოფანთოს მომხდარ ბრძოლაში 1588 წ. ლევანი დამარცხდა და იძულებული იყო ლეჩხუმს გაქცეულიყო. სვიმონმა დაიპყრა იმერეთი, გამოართვა მძევლები წარჩინებულ გვარეულობათ და დაბრუნდა უკან. ლევანი ამის შემდეგ მოვიდა ლეჩხუმიდან და თავისი მომხრე თავადების დახმარებით ისევ შემოიმტკიცა იმერეთი, მაგრამ მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მეფის მთავრობა ძალიან უკმაყოფილო იყო მამია დადიანით, რომელმაც არ გამოგზავნა ჯარი სვიმონ მეფის ლაშქრობის დროს და ეძიებდა რაიმე ღონეს მის დასაჯელად. დადიანმა ეს რომ გაიგო, თითონ გამოილაშქრა თავისი, სიძის—მეფის წინააღმდეგ, მოადგა 1590 წ. ქუთაისს, ჯიღო ის, დაატყვევა მეფე და დააპატიმრა ოდიშს ზეფის ციხეში, სადაც ლევანი მოკვდა კიდეც რამოდენიმე ხნის შემდეგ.

იმერეთში ამის შემდეგ გამეფდა როსტომ კოსტანტინეს ძე, ბიძაშვილი ლევან მეფისა. მას უჭერდა მხარს ერთი ნაწილი წარჩინებულ იმერთა და აგრეთვე მამია დადიანიც. მაგრამ გიორგი გურიელი როსტომის წინააღმდეგი იყო. მას უნდოდა იმერეთის ბატონიშვილის ბაგრატ თეიმურაზის ძის გამეფება, მაგრამ რადგანაც მარტო თავისი ძალით ეს არ შეეძლო, ამიტომ მოიშველია ოსმალნი და გაილაშქრა ქუთაისს, დასვა მეფედ ბაგრატ ბატონიშვილი და მიუყენა მას საქმეების გამგედ ძმა თვისი მამია გურიელის-ძე. ბაგრატისათვის ტახტის განსამტკიცებლად მან დატუქსა ურჩი თავადები. საჩიჯავაძოს თავი გადააყენა, აიღო ციხე სებეკა და დასვა საჩიჯავაძოს პატრონად სხვა ჩიჯავაძე, ხოლო თითონ დაბრუნდა გურიას. როსტომ მეფე კი წავიდა ოდიშს, სადაც ამ დროს მთავრად იჯდა მანუჩარ დადიანი, ძმა მამია დადიანისა.

ლიხთ-იმერეთის თავადები ამ გვარად ამ დროს გაყოფილი იყვნენ

ორ მთავარ ბანაკად. ერთს ნაწილს სათავეში უდგა დადიანის სახლი, ხოლო მეორეს გურიელისა. ბრძოლას მათ შორის ჰქონდა სარჩულად ამ ორ სამთავრო სახლის ერთმანეთთან მეტოქეობა და მისწრაფება პირველობისადმი ლიხთ-იმერეთს.

იმერეთში მომხდარ ამბებმა კვლავ მიიქცია სვიმონ მეფის ყურადღება მით უმეტეს, რომ მასაც ჰყავდა უკვე იმერეთში თავისი მომხრეები, რომელნიც თაკილობდნენ დადიანისა და გურიელის მძლავრებას და მათ თავს არ უყადრებდნენ. ამიტომ სვიმონი გადავიდა იმერეთს, მივიდა ქუთაისს, გამოიყვანა ბაგრატ ბატონიშვილი, გამოართვა თავადებს ერთგულობის ნიშნად მძევლები და დაბრუნდა უკან. მაშინ მანუჩარ დადიანმაც წამოიყვანა როსტომ მეფე და აიღო ქუთაისი. იმერეთის მეფედ გახდა ისევ როსტომი. ეს უკვე სვიმონ მეფის პირდაპირი შეურაცხყოფა იყო. ამასთანავე ბოგმა იმერეთის წარჩინებულ გვარეულობის—ჩხეიძეების, აბაშიძეების და წერეთლების მეთაურებმა მიმართეს წინადადებით სვიმონ მეფეს იმერეთში მისულიყო. სვიმონმაც შემოიკრიბა ჯარი, თან წაიღო დიდ-დიდი ზარბაზნები და გადავიდა ლიხის მთას. იმერეთის თავადების დიდი ნაწილი მიერთო მას. სვიმონი ქართლის და იმერეთის შეერთებული ჯარით მივიდა ქუთაისს, ხოლო მანუჩარ დადიანი და როსტომ მეფე დადგნენ ოფიშკვითის ახლოს. დადიანმა სთხოვა სვიმონ მეფეს მორიგებით საქმის გათავება და აღუთქვამდა მას როგორც თავისი, ისე როსტომ მეფის მხრივ მორჩილებას, მაგრამ სვიმონს აზრად ჰქონდა საბოლოოდ გარდაწყვეტა იმერეთის საკითხისა, ამიტომ რაიმე დათმობაზე მან უარი განაცხადა და მოითხოვა სრული მორჩილება. მაშინ როსტომ მეფე და დადიანი შეეცადნენ სვიმონ მეფის ჯარში მყოფ იმერლების გადაბირებას, რაც მოახერხეს კიდეც და როდესაც ოფიშკვითს რაზმები საბრძოლველად ეწყობოდნენ, გამოირკვა, რომ იმერეთის ჯარის დიდი ნაწილი სვიმონ მეფეს გარდადგომოდა და დაფანტულიყო. გაიმართა ომი, რომელიც გათავდა სვიმონ მეფის ძლიერი დამარცხებით. ზარბაზნები და მთელი ბანაკი ქართლის მეფისა დარჩა ხელთ დადიანს და როსტომ მეფეს. დამარცხება ისე ძლიერი იყო, რომ ჯარი მთლად დაიფანტა და თვით მეფემ, დიდად დამწუხრებულმა, მარტოდ-მარტო ავლო ქართლი. როსტომ მეფემ კი დაიპყრა იმერეთი და ცოტა ხნის შემდეგ მოურიგდა სვიმონ მეფესაც.

რადგანაც როსტომ მეფე დადიანის მიერ იყო წამოყენებული, ამიტომ მისი გამარჯვებით მეტოქეობა დადიანისა და გურიელის სახლს შორის დამთავრდა დადიანის სახლის სასარგებლოდ. ამიერიდან ოდიშის სამთავრო თანდათან ძლიერდებოდა და მას მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ასეთი იყო ის მიმდინარეობა, რომელიც მიეცა ლიხთ-იმერეთის შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებას ოსმალეთის ბატონობის დამკვიდრების შემდეგ. გარდა პოლიტიკურ ხასიათის არევ-დარევისა, რაც გამოიხატა

მეფე-მთავართა შორის გამწვავებულ ურთიერთობაში, ოსმალეთის გაძლიერებამ მოუტანა დასავლ. საქართველოს ეკონომიურად გალარიბება და კულტურულად საერთოდ უკან დახევა. სიმშილობა, ეპიდემიურ სენთან — ჟამთან ერთად საკმაოდ ხშირი სტუმარი ხდებოდა. 1568 წ., მაგ., იმერეთში იყო დიდი ჟამი, რამაც მცხოვრებთა რიცხვი 16,5%-ით შეამცირა. ამას თან ემატებოდა კიდევ ტყვეთა ყიდვა, რასაც ოსმალნი ძალიან უწყობდნენ ხელს და რომელიც ძალიან დიდ ზარალს აძლევდა ქვეყანას მოსახლეობის მხრივ. ყველა ამ მიზეზებისა გამო ლიხთ-იმერეთის საერთო ვითარება საგრძნობ გაუარესებას განიცდიდა.

ამავე დროს ოსმალნი ფეხს იკიდებდნენ სამცხე-საათაბაგოშიაც.

ქაიხოსრო ათაბაგი—სპარსეთის მორჩილი. ქაიხოსრო ათაბაგი, თავისი შემცირებული სამფლობელოთი, თანახმად 1553 წ. სპარსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულობისა, ყაენების მორჩილების ქვეშ დარჩა. ოსმალთა მძლავრება აიძულებდა მას სპარსეთის ერთგულობის გზაზე სვლას. სპარსეთის მთავრობაც ათაბაგს ყურადღებით ეპყრობოდა. შაჰ-თამაზმა შეირთო ცოლად ოთარ შალიკაშვილის ასული და ეს გარემოება კიდევ უფრო აკავშირებდა საათაბაგოს სპარსეთთან.

დედისიმედი და შალიკაშვილის გვარი. საათაბაგოს მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა, როდესაც 1573 წ. გარდაიცვალა ქაიხოსრო ათაბაგი და ათაბაგად გახდა ძე მისი ყვარყვარე. ფაქტიურად კი ამის შემდეგ საათაბაგოს საქმეების მართველი იყო ყვარყვარეს დედა და ქაიხოსროს ქვრივი დედისიმედი, ბაგრატ მუხრან-ბატონის ასული, ფრიად ენერგიული და მომქმედი პიროვნება. ძალა-უფლების მოყვარული დედისიმედი ვერ ითმენდა საათაბაგოს სახლთან ერთად ძლიერ გვაროვნებათა არსებობას. შალიკაშვილის გვაროვნებას ამათში ეჭირა პირველი ადგილი. შალიკაშვილთ ემორჩილებოდა ვრცელი მხარე მრავალ აზნაურთა გვარებით და ციხეებით საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილში. შალიკაშვილის გვარეულობას ეკუთვნოდა, სხვათა შორის, თმოგვი, ეანის ქვაბები, ქაჯის ციხე, ფოსო, ყველი, აწყური. შალიკაშვილთა ძლიერება არ იყო სასარგებლო ათაბაგის სახლისათვის და ამიტომ დედისიმედმა მოაკვლევინა ამ გვარის მეთაური ოთარის ძე ვარაზა (1574). მაშინ კიდევ ცოცხალი იყო შაჰ-თამაზ, რომელსაც ცოლად ყავდა ვარაზას და. ეს იყო მიზეზი, რომ შაჰმა გამოგზავნა საათაბაგოს დასალაშქრებლად სპარსელების ჯარი, რომელმაც მოაოხრა და მოარბია სამცხე. ქვეყანა ძლიერ დაზიანდა, მაგრამ განსაკუთრებით დაზარალდა ამ შემოსევის დროს ოცხე. თვით ათაბაგის სახლი იძულებული იყო გადახიზნულიყო აჭარას და დაბრუნდა უკან მხოლოდ სპარსელების წასვლის შემდეგ. შალიკაშვილთა გვარეულობა ვარაზას მოკვლის შემდეგ ჩაუდგა ოპოზიციაში ათაბაგის სახლს.

ოსმალნი იპყრობენ საათაბაგოს. ამ დროს ატყდა სპარსეთ-ოსმალეთის ომი. ოსმალნი ამოძრაველნენ, მოადგნენ საათაბაგოსაც და შა-

ლიკაშვილებიც ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ მათი დახმარებით ათაბაგის სახლზე შურისძიებას. შალიკაშვილების მიერ ოსმალებთან გაბმული კავშირი იყო მიზეზი, რომ ყვარყვარე ათაბაგი იძულებული გახდა მიემართა შემწეობის თხოვნით ისევ სპარსეთისათვის და ამ გვარად იმ ახალ ომში, რომელიც იწყებოდა ოსმალეთსა და სპარსეთს შორის, ათაბაგის სახლი მოყვა სპარსეთის მხარეზე, მაშინ როდესაც შალიკაშვილები ოსმალეთს ერთგულობდნენ. საათაბაგოს ტერიტორია გახდა შინაურ ბრძოლისა და ურთიერთ ხდომის ასპარეზად. გამარჯვება პირველად, მართალია, დარჩა ათაბაგის სახლს. შალიკაშვილების და მათი მომხრეების ციხეების ნაწილი—თმოგვის ქალაქი და შემდეგ ციხე, ოლადის ქვაბები, თეთრი-ციხე, ახჩის ქვაბები, ქაჯის-ციხე, ველი, ურთის-ციხე, ყველის-ციხე—აღებულ იქმნა, მაგრამ ამ შინაურმა ბრძოლამ საშუალება მისცა ოსმალთ მით უფრო ადვილად გადმოელახათ სამცხის საზღვრები. ოსმალთა სარდლის მუსტაფა-ლალა-ფაშის ჯარის ერთმა ნაწილმა აიღო ქაჯის-ციხე, ამოსწყვიტა მისი მცველნი და შემდეგ ბრძოლით იკვალავდა გზას ჩრდილოეთისაკენ. გზაზედ ოსმალთ გადაეღობა სპარსელების ჯარი, მოწვეული დასახმარებლად ათაბაგის მიერ. სპარსელები დამარცხდნენ და ოსმალნი ამის შემდეგ მოადგნენ ახალციხეს, რომელსაც იცავდა ყვარყვარე ათაბაგის ძმის მანუჩარის ჯარი. თვით მანუჩარი კი ქართლს გადასულიყო სვიმონ მეფესთან. ახალციხის მეციხოვნენი მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ოსმალთ. მესხთ იმედი ჰქონდათ სპარსელების მოშველებისა, მაგრამ ამ დროს მუსტაფა-ფაშამ ჩილდირის ომში აგვისტოში 1578 წ. დაამარცხა სპარსელების სარდალი თოჰმა-ხანი და ამის შემდეგ სამცხის ბედიც გარდაწყვეტილი იყო. წინააღმდეგობის გაწევაზე, რასაკვირველია, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მართლაც, ჩილდირის ომის მოგების შემდეგ მეორე-მესამე დღეს ახალციხე დანებდა ოსმალთ. ამილახორის შვილი ქოიარ მიეგება არტანში ფაშას და მისძღვნა მას 2 ციხე. მეორე წარჩინებულმა პირმა სამცხისამ, სახელით არფაქსად ამატაკმა, მისთავაზა ოსმალთ 6 ციხე, მათ შორის ხერთვისი. ყვარყვარე ათაბაგის ძმა მანუჩარიც იძულებული იყო გადაეცა მათთვის თმოგვის ციხე. ახალქალაქი ადრევე კიკოლა შალიკაშვილს, ეარაზას ძეს, მიეცა ოსმალთათვის. დედისიმედმა და ყვარყვარე ათაბაგმაც ამის შემდეგ მორჩილება გამოუცხადეს ოსმალთ. მუსტაფა-ფაშამ ჯარით გაიარა ქართლისაკენ და, როგორც ნახსენები იყო, დაიჭირა ტფილისი. უკან დაბრუნებისას და არზრუმისაკენ წასვლისას მუსტაფა-ფაშამ თან წაიყვანა ყვარყვარე ათაბაგი და მანუჩარი, ძმა მისი. მანუჩარი მალე გამოჰმადიანდა, ეწოდა მუსტაფა-ფაშა და დაინიშნა სულთანის მიერ ოლთისისა და აწყურის მხარეების მართველად, რომელნიც ოსმალთ სანჯაყებად ექცათ. ყვარყვარე კი დატოვებულ იქმნა სტამბოლს, სადაც მან დიდად თავი მოაწონა სულთანს თავისი არაჩვეულებრივი ფიზიკური ღონით: სულთანის თანადასწრებით გამართულ დიდს ჭიდაობაში

ყვარყვარემ დასცა სახელგანთქმული ოსმალო ფალავანი. ამან ისე კარგად იმოქმედა სულთანზე, რომ ყვარყვარეს ნება მისცა ქრისტიანედ დარჩენილიყო და ათაბაგობაც მას ისევ დაუბრუნეს.

ამ გვარად სამცხე იძულებული გახდა საბოლოოდ ქედი მოეხარა ოსმალთა წინაშე. მართველ წრეებში თანდათან იწყო შემოსვლა მაჰმადიანობამ. მაჰმადიანობასთან ერთად თანდათან გზას იკვალავდა ოსმალური ენა და ზნე-ჩვეულება.

IV

სპარსეთის ბატონობის გაძლიერება ქართლ-კახეთში.

სვიმონ მეფის ბრძოლა ოსმალებთან. გორის აღება. ოსმალებთან ბრძოლის საჭიროება ქართლის სამეფოს დამოკიდებულებას სპარსეთისაგან თანდათან უფრო მეტად ხდიდა. ოსმალნი ცდილობდნენ ქართლში მტკიცედ ფეხის მომაგრებას. გორი, ლორე და დმანისი კიდევ უფრო გაამაგრეს. მარტო ლორის ციხეში მათ ჩაყენებული ყავდათ 2 ათასი კაცი. ამავე დროს ისინი აძლიერებდნენ ტფილისის მეციხოვნე ჯარსაც. ასე, მაგ., 1584 წ. ამ მიზნით ტფილისისაკენ დაიძრა რიშვანფაშა 20 ათასი კაცით. გზად მას დაეცა სვიმონ მეფე, მაგრამ დამარცხდა და ოსმალნი თავისუფლად მივიდნენ ტფილისს. პარტიზანული ომის წარმოება ოსმალების წინააღმდეგ სვიმონს შემდეგაც არ შეუჩერებია, მით უმეტეს რომ სპარსეთის საქმეებმაც შაჰ-აბაზ I-ის 1587 წ. ტახტზე ასვლის შემდეგ რამოდენადმე გამოკეთება იწყო. იმერეთში ნანახმა მარცხმა მართალია რამოდენადმე შეასუსტა სვიმონის ენერგია, მაგრამ 1599 წ. მეფე კვლავ ამხედრდა ოსმალთა წინააღმდეგ. ქართლის შუაგულს, გორის ციხეში იდგა ძლიერი რაზმი ოსმალებისა და მათი განდევნა მეფის ერთს უახლოეს მიზანთაგანს შეადგენდა. მრავალ თარეშულ ბრძოლის შემდეგ მეფემ გარდასწყვიტა გორის აღება და შემოადგა გორს, მაგრამ ციხის მიუდგომლობისა გამო მისი აღება ფრიად ძნელი იყო. ციხეში მდგარი ოსმალოს ჯარიც ძლიერ შეწუხდა სურსათის ნაკლულევანებით, მაგრამ ციხის მიცემას მაინც არ აპირობდა. ნუზლის საშოვნელად ოსმალნი გამოდიოდნენ დიდ დასად და ახლო-მახლო სოფლებს არბევდნენ. ერთ ასეთ გაჭირვების დროს ციხიდან გამოსულიყო 500 რჩეული მეომარი, ახლო-მახლო სოფლებიდან ნუზლი დაეტაცა, ხურჯინები გაეესო, გამოერეკა მრავალი ცხვარი და ძროხა და ციხისაკენ მიდიოდა. ამ რაზმს გადაეღობა გოჩა ბატონიშვილი ბაგრატიონი, მეწინავე დროშის სარდალი, 500 კაცით, დაამარცხა ის, ბევრი დახოცა, მაგრამ ნაწილმა მაინც მოასწრო ციხეში ნუზლით შესვლა.

მეფე ამის შემდეგაც გორს ადგა და არ ეშვებოდა მას. გაგრძელდა ალყა. ამ ალყის დროს შემთხვევა ჰქონდა ერთს სვიმონისთვის ფრიად დამახასიათებელ ფაქტს. ერთხელ გორის-ჯვარს მჯდარ მეფემ, სადილის შემდეგ ცოტაოდნად გამხიარულებულმა, გადახედა გორის ბაღებს და მიმართა თავისს რაზმს. „არა არს თუ სირცხვილი თქვენდა, რამეთუ მნებავს მწვანილი, ვხედავ და ვერ მიგემებიეს“. ამისი გამგონე ქართველები გადაეშვნენ ბაღებში მწვანილის მოსატანად, რომელიც თუმცა მიართვეს მეფეს, მაგრამ მისმა მოტანამ იმსხვერპლა მრავალი სახელოვანი მეომარი, მათ შორის თვით გოჩა ბატონიშვილი, რადგან ციხიდან ოსმალებმა თოფ-ზარბაზნებიდან სროლა ასტეხეს. ამის გამო სვიმონს უწოდეს გიჟი-სვიმონ, ანუ თურქულად „დელი-სვიმონ“.

ცოტა ხნის შემდეგ გორის ციხეც, ალყის დაწყებიდან მეცხრე თვეზედ, აღებულ იქმნა. დიდი მარხვა დადგა და ქართველების ჯარი ციხეს მოსცილდა. ოსმალთ იცოდნენ ქართველების ჩვეულება დიდ მარხვის დროს ომზე მორიდების შესახებ და ამიტომ თითონაც სიფრთხილეს უკლეს. მეფეს კი ნაბრძანები ჰქონდა გორის მოურავად ნამყოფ სულხან თურმანისძისა და ფარსადან ციცი შვილისთვის, რომ მათ თავთავიანთ მამულში ბლომად კიბეები გაეკეთებინათ და მთვარის დალევის ჟამს ბნელს ღამეს მტკვრისა და ლიახვის შესართავთან ჭალაში მოსულიყვნენ თავისი ჯარით. პაემანზე მეფეც იქ მივიდა ჯარით. ქართველები ხმა-ამოუღებლივ გაემართნენ ციხისაკენ და მიადგეს მას კიბეები. ამ დროს ოსმალთაც გაიგეს ქართველების მოსვლა, აანთეს მაშხალები, მაგრამ უკვე გვიან იყო. ნაწილი ქართველთა ჯარისა კიბეებით უკვე ციხეში გადადიოდა. შეიქმნა ბრძოლა. ოსმალებთან ერთად ციხეში მესხებიც იყვნენ, რომელნიც იქვე ციხეში მყოფ ოქონის ხატს მიენდვნენ. მათ მეფემ საფიცარი გამოართო და გაუშვა როგორც ისინი, აგრეთვე ტყვედ დაჭერილნი ოსმალნიც (1599 წ.).

სვიმონის დატყვევება ოსმალების მიერ. ამ ამბის მიღებისთანავე ოსმალეთის სარდლობა შეუდგა მზადებას ქართლზე გასალაშქრებლად. მეორე წელს თავრიზის ბეგლარბეგი ჯაფარ-ფაშა დიდის ჯარით დაიძრა საქართველოსაკენ და მოვიდა მდ. ალგეთზე. მეფეც მიეგება მას ცოტას ჯარით. თავი კაცნი წინააღმდეგნი იყვნენ შებრძოლებისა და ურჩევდნენ მეფეს ჯარების მოცდას. ჯერ არც საბარათიანოს ჯარი მოსულიყო, არც სომხითისა და შიდა-ქართლიდანაც გიორგი ბატონიშვილს, სვიმონის შვილს, ჯერ ჯარი არ მიეყვანა. გარდა ამისა, მოახსენებდნენ მეფეს, ალგეთზე ბრძოლა ქართველებისათვის ძველიდანვე ავად დაცდენილია და გავეცალოთო. მაგრამ მეფე თავისი შეუდრეკელი ხასიათისა, მამაცობისა და სიმხნის გამო მაინც არ დასთანხმდა,—ტფილისს რომ მიაღწიონ ბრძოლა შემდეგ უფრო გაჭირდებაო და ამიტომ ბრძანება გასცა ომის დაწყების შესახებ. ყველა ქართველნი ეზიარნენ და დაემზადნენ საომრად. როდესაც ორივე მოწინააღმდეგეთა ჯარი სათოფეზედ დაუახლოვდა ერთმანეთს, მეფემ თავისი ცხენი დასძრა და ქართველები შუბ-და-

გრძელებულნი ცხენჯენებით ეტაკნენ ოსმალთა რაზმებს, მრავალი გარდმოყარეს შუბებით და გაიარეს შიგ შუაგულ რაზმებში. მეფე თითონაც მამაცურად იბრძოდა შუბით. გახურდა ომი, მაგრამ რადგან ოსმალნი ბევრად სჭარბობდნენ ქართველებს, ამიტომ 5 საათის შემდეგ ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა. თავადებმა ძლივს დააჯერეს მეფე, რომ უკან დახევა ებრძანებინა. გამოქცეულ ქართველთ უკან დაედევნა ოსმალთა რაზმები. ამ დროს ვიწრო საფლობიან გზას ერთმა მხედარმა მეფის ცხენს უნებლიეთ თავისი ცხენი შეაგდერა და მეფე, ცხენს მჯდომი, ტალახში ჩაეფლა. ვერაფრის ცდით სვიმონი ტალახიდან ვერ ამოიყვანეს. მეფის გამოსახსნელად მრავალი ქართველი შეაკვდა მტერს, მაგრამ არ გამოვიდა რა. თითონ მეფე კი, მუხლის თავამდის ტალახში ჩაფლობილი, ისარს ისროდა და ახლოს არავის უშვებდა. ოსმალების ჯარში იყო ერთი გამაჰმადიანებული ქართველი ფაშა, გვარით ბარათაშვილი, რომელმაც მეფე იცნო და ჯაფარ-ფაშას მოახსენა — ჯარი არავინ შერჩენია, მაგრამ ტალახში ჩაფლობილი ისევ ამაყად ისარს ისვრისო. ჯაფარ-ფაშა გაკვირვებული თვით წამოდგა წინ და რომ მეფის ამ გვარი მამაცობა დაინახა, უბრძანა ჯარს მოკლოდნენ, არავინ ისარი ან თოფი არ ესროლოსო, ტალახისათვის გზა გასჭრან და გამოიყვანონო. შემდეგ ბარათაშვილი — ფაშა ცხენით კვლავ მიუახლოვდა მეფეს სალამი მიუძღვნა და ცუდად სიკვდილის მაგიერად დამორჩილებას სთხოვდა. მეფემ გაჯავრებულმა უპასუხა: „მამი შენის შვილი მე რასთვის სიკვდილს მაშინებ? მე სიკვდილისათვის გაჩენილი ვარ“-ო. ბარათაშვილმა კიდევ ტკბილი სიტყვები უთხრა, შეაქო მისი სიმამრე, ასეთი მამაცობა არც ძველს გმირებს გამოუჩენიათ, არც როსტომს და არც ვახტანგ გორგასალსო და კვლავ სთხოვა დანებება. მეფემ ბოლოს განაცხადა, გარდა პირადად ჯაფარ-ფაშისა არავის დავნებდებიო. მოვიდა თვით ოსმალების სარდალი, ტალახიდან გამოყვანილს მეფეს გარდაეხვია, გარდაკოცნა და შეაქო. ჯაფარ-ფაშამ მეფე დიდის პატივით დააბინავა, ქართველი ტყვეებიც მასთან მოაყვანინა. მაგრამ რადგანაც ოსმალთ ამასთანავე შიში ჰქონდათ, სვიმონის უფროსი შვილის, ქართლის ტახტის მემკვიდრის ბატონიშვილის გიორგის გალაშქრებისა მამის გამოსახსნელად, ამიტომ მალე აიყარნენ, სვიმონ მეფე წაიყვანეს და წავიდნენ (1600 წ.). სვიმონის დატყვევების შემდეგ მისი ძე გიორგი X ბევრს ეცადა თავისი მამის გამოხსნას. რადგანაც ოსმალთ მოითხოვეს დიდ-ძალი თანხა მეფის გამოსაშვებად, ამიტომ სტამბოლს გაგზავნილ იქმნა ყოველი სიმდიდრე სამეფო ხაზინისა, ეკლესია-მონასტრებისა და წარჩინებულ ქართველებისა. მაგრამ გამოსახსნელ სახსრის მისვლამდის სვიმონ მეფე უკვე გარდაცვლილიყო. ოსმალთ მაინც დაიჭირეს გამოგზავნილი სიმდიდრე და მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ მისცეს ქართველებს გვამი მეფისა, რომელიც მოასვენეს და დაფლეს მცხეთას (1611 წ.).

სვიმონ მეფე იყო ნამდვილი წარმომადგენელი რაინდულ საქართ-

ველოსი, შეუპოვარი მეომარი და თავისი ქვეყნისთვის თავდადებული გმირი. თავისი შეურყეველი მამულიშვილური რწმენით, სამართლიანობით და ქვეშევრდომთადმი ღირსეულ და ტაქტიურ მოპყრობით მას დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თანამედროვეთა შორის. შემდეგ თაობებშიაც მისს სახელს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთ პატივისცემით იხსენიებდნენ.

შაჰ-აბაზ I დიდი. იმ დროს, როდესაც სვიმონ მეფე გაცხარებით ებრძოდა ოსმალთ, სპარსეთის საქმეებმაც თვალსაჩინოდ გამოკეთება იწყეს. სპარსეთის ყაენად ამ დროს იყო შაჰ-აბაზ I დიდი (1587—1628 წ.), ერთი უშესანიშნავესი ხელმწიფეთაგანი აღმოსავლეთში. მისს მთავარ საზრუნავს საქმეს შეადგენდა ოსმალების მიერ წინა ომებში წართმეულ სპარსეთის ქვეყნების დაბრუნება და, მაშასადამე, ოსმალთა განდევნა აღმ. ამიერ-კავკასიიდანაც. ამ მიზნით ის დიდს მნიშვნელობას აძლევ და თავისი სამხედრო ძალთა ჯეროვან დონეზე დაყენებას როგორც ორგანიზაციულად, ისე აგრეთვე ტეხნიკურის თვალსაზრისით. ამასთანავე შაჰ-აბაზი ძალიან დიდს ყურადღებას აქცევდა სპარსეთის შინაურ ცხოვრების გაუმჯობესებას, ცდილობდა ხანების ალაგმვით ძლიერ ცენტრალურ ხელმწიფების დამყარებას, ვაჭრობა-მრეწველობის წარმატებას და საზოგადოდ თავისი იმპერიის ეკონომიურად და კულტურულად მოღონიერებას.

საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1603 წ. შაჰ-აბაზის მიერ ოსმალეთთან დაწყებულ ომს. სპარსელებმა ამ ომში დაიბრუნეს თავრიზი და ამასთანავე თანდათან ფეხს იკიდებდნენ ქურთისტანსა და მესოპოტამიაში. 1603 წლის ბოლოს შაჰ-აბაზი დიდის ჯარით მიადგა ერევანს, რომელიც ამ დროს უკვე დიდ მნიშვნელოვ-ნ პუნქტად ითვლებოდა. ერევანი გაშენებული იყო მე-XVI საუკუნეში სპარსელების თაოსნობით ამ მხარის მოადგილედ დანიშნულის რევან-ხანის მიერ, რომლისაგან თვით ქალაქსაც მიეცა თავისი სახელი. როგორც სამხედრო ბაზა და აგრეთვე ცენტრალური სავაჭრო ადგილი, ერევანი თანდათან მეტს მნიშვნელობას პოულობდა. ოსმალთ ამიერ-კავკასიაში თავისი გაძლიერების შემდეგ, ერევანი 1581 წლიდან გარდააქციეს დიდ ციხედ, რომელიც თანდათან შენდებოდა და იზრდებოდა.

ერევნის აღებას შაჰ-აბაზი მოუნდა 6 თვეს. მის აღებაში მონაწილეობას ღებულობდა ქართლის მეფე გიორგი, სვიმონის შვილი, თავისი ჯარით და აგრეთვე კახ-ბატონი ალექსანდრე II-ც. შერიფ-ფაშა, ოსმალების მეცხოვნე ჯარის უფროსი, იძულებული გახდა დანებებოდა შაჰს. როდესაც შერიფი წარუდგინეს შაჰ-აბაზს, ამ უკანასკნელს მარცხენა მხარეს გვერდს უსხდნენ ქართველ-ბატონები, გიორგი და ალექსანდრე, რომელნიც ამ დროს ყაენთან საზოგადოდ კარგად მიღებულნი იყვნენ.

ოსმალთა წინააღმდეგ სპარსელების ომი გრძელდებოდა. როგორც ქართლის, ისე აგრეთვე კახეთის მეფენი ამ ომის დროს შაჰ-აბაზის გან-

კარგულებებს ემორჩილებოდნენ და ხშირად თავისი ჯარით ღებულობდნენ მონაწილეობას ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე

ლორის სახანო. 1606 წ. შაჰმა დაიპირა განჯა და შემდეგ ლორეც. ლორის მემკვიდრეობითი ერისთავი ოსმალთა ბატონობის დროს მაჰმადიანობაში გადასულიყო და მაჰმად-ფაშად იწოდებოდა. მაჰმად-ფაშამ მორჩილება გამოუცხადა შაჰს, მიიღო პატიება და საჩუქრები—ხალათი, დოლბანდი, ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხმალი და სხვა და ამიერიდან უკვე ლორის ხანად იწოდებოდა.

გიორგი მეფემ შუამდგომლობა აღძრა, რომ ლორე მას დაბრუნებოდა, მაგრამ ამ შუამდგომლობიდან არ გამოვიდა რა. სამუქფოდ მიეცა მას მხოლოდ რამოდენიმე სოფელი ქართლის სამეფოს გარეშე და ამასთანავე დაენიშნა 300 თუმანი წლიურად.

ტფილისის განთავისუფლება ოსმალთაგან. ლორეს დაჭერის შემდეგ შაჰ-აბაზის ჯარმა აიღო დმანისი, დაიმორჩილა სომხითი და შემდეგ დადგა მდ. ალგეთს. ტფილისში ოსმალთა ჯარის უფროსად ამ დროს იყო აბდალატიფ-ფაშა, რომელმაც, რადგანაც განჯა უკვე სპარსელთ ეჭირათ და გარდა ამისა შაჰ-აბაზის ერთი რაზმი ახალციხესაც შემორტყმოდა, საქმე წაგებულად ჩასთვალა და არჩია ციხის და ქალაქის სპარსელებისთვის უბრძოლველად დანებება. მართლაც სპარსელების ჯარი მშვიდობიანად შემოვიდა ტფილისს (1606 წ.). ცოტა ხნის შემდეგ შაჰ-აბაზი თითონ ეწვია ტფილისს, დანიშნა იქ თავისი ციხისთავი და ჩააყენა ციხეში ყიზილბაშები.

ამ დროს გიორგი, ქართლის მეფე, უკვე მომკვდარიყო და შაჰმა დაუმტკიცა ტფილისი და ქართლი მისს შვილს ახალგაზრდა ლუარსაბ II-ს, რომლის და თინათინ თითონ შეირთო ცოლად. თინათინს ამის შემდეგ ეწოდა ლელა და ფატმან-ბეგუმ.

ბორჩალოს ელის დასახლება სომხითში. გიორგი მეფისთვის შაჰ-აბაზის მიერ ლორეს დაუბრუნებლობის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ შაჰ-აბაზს გარდაწყვეტილი ჰქონდა ქართლის ტერიტორიის მომავლისათვის შემოსამტკიცებლად მიეღო ენერგიული ზომები. ამ მიზნით ის არ დაკმაყოფილდა ლორის დაპყრობით და მოინდომა სომხითისაც ანუ ძველი ხუნანის საბოლოოდ შემომტკიცება. სომხითი ამ დროს, მე-XVI საუკუნეში გამოვლილ აოხრებათა შემდეგ, ძალზე დაცალიერებული იყო. გეოგრაფიული მდებარეობა ამ პროვინციისა ტფილისის და შიდა-ქართლის სამხრეთით ძალიან უწყობდა ხელს ამ დაცალიერებას. სომხითის მელიქი, რომელიც აგრეთვე ათაბაგის ხარისხსაც ატარებდა, უკვე მაჰმადიანობაში იყო გადასული და საზოგადოდ სპარსეთის ერთგულად ითვლებოდა. ამ სომხითის ათაბაგის ან მელიქის სამფლობელოში შაჰ-აბაზის ბრძანებით ჩასახლებულ იქმნა ერთი თათრის ელი (ტომი), სახელით

ბორჩალო. ამის შემდეგ ეთნიური შემადგენლობა ამ მხარისა, თათართა მოსახლეობის გამრავლებით, ძირიანად შეიცვალა.

სპარსეთის ყველა ამ ზომებით ქართლის მართველი წრეები ძლიერ უკმაყოფილო იყვნენ, მაგრამ მაინც იძულებულნი იყვნენ სპარსელებთან ერთად ებრძოლათ უფრო საშიშ მტრის — ოსმალების თავიდან მოსაშორებლად.

ლეკების გაძლიერება. კახეთის სამეფო ტახტი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ამ დიად შეხლა-შემოხლის დროს საზოგადოდ ფრთხილ და მორიგების ტაქტიკას ადგა. თუმცა კახეთი სპარსეთის მოხარკე იყო, მაგრამ როდესაც ოსმალეთმა ფეხი მოიკიდა აღმ. ამიერ-კავკასიაში, მეფე ალექსანდრე II-მ ოსმალებსაც დაუწყო ხარკის ძღევა. ამასთანავე სპარსეთშიდაც ხარკი, თუმცა შეცირებული სახით, მაინც იგზავნებოდა.

ოსმალეთის მძლავრების დროს კახეთის ხელმძღვანელ პირთა მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა აგრესიული მოქმედება ლეკებისა და საზოგადოდ დაღისტნის ტომებისა, რომელნიც თანდათან აძლიერებდნენ კახეთზე მიპარვით თავ-დასხმას, სოფლების აოხრებას და მცხოვრებთა ტყვედ წაყვანას. ლეკთა საშიშროებას კახეთისათვის საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ლევან მეფის დროს, რომელმაც დაასახლა ფიფინეთს ალაზანს გაღმა ლეკები და დაადგა მათ ბეგარად კავკასიის მთიდან ზაფხულისთვის ყინულის მიტანა. ლეკებმა თანდათან იწყეს ფეხის მომაგრება ფიფინეთს, რომელსაც შემდეგ ეწოდა ჰარი. ამით დაღისტნის ლეკებს გაუჩნდათ კავკასიის ქედის აქეთ თავისუფალი ბაზა, საიდანაც ადვილი ხდებოდა წვრილ-წვრილ თარეშების გაშვება კახეთის სოფლებზე. ლევანის შვილის ალექსანდრე II-ის დროს ლეკნი უკვე ისე გაძლიერდნენ, რომ მათ წინააღმდეგ საჭირო იყო რაიმე თვალსაჩინო ზომების მიღება. დაღისტნის მფლობელთა შორის პირველი ადგილი ეჭირა ამ დროს შამხალს, რომელსაც გავლენა ჰქონდა ლეკების ყველა ტომებზე და რომლის სატახტო ქალაქად ითვლებოდა ტერკი კასპიის ზღვის პირას. თითონ შამხალს დიდი ძალა არ ჰქონდა, ამ დროს მას შეეძლო გამოეყვანა 12 ათასი კაცი, მაგრამ ერთის მხრივ იმ გავლენისა გამო, რომელიც მას ჰქონდა დაღისტნის ტომებზე და გარდა ამისა თარეშების პარტიზანულ ხასიათის მიზეზით, კახეთს ძალიან უძნელდებოდა ამ ახალს მტერთან გამკლავება.

მთავარი მიზეზი ლეკთა თარეშების გაძლიერებისა იყო ის, რომ დაღისტნის მწირი ბუნება ვერ იტევდა მომრავლებულ ხალხს, საწარმოო ძალთა განვითარებაც წინა-აზიის ცხოვრების საერთოდ დაცემის გამო, შეჩერებული იყო და ამიტომ მოჭარბებული ძალა მთიულ ტომებისა თარეშებსა და ცარცვა-გლეჯაში პოულობდა გამოსავალს.

რუსეთის მფარველობის ძიება კახ-ბატონისაგან. ეს ორი გარემოება, ერთის მხრივ მთელს საქართველოზე გავრცელებული ოსმალთა მძლავრება და მეორეს მხრივ ლეკთა თარეშების გახშირება საჭიროდ

ხდიდა კახეთისთვის რაიმე გარდამწყვეტ ზომების მიღებას თავისი თვით-მყოფობის უზრუნველსაყოფად. სპარსეთი ამ დროს თითონაც უძლური იყო ოსმალეთის წინაშე და მისგან რაიმე თვალსაჩინო რეალური დახმარების მიღება მოსალოდნელი არ იყო. ამით აიხსნება, რომ ალექსანდრე II-მ არჩია ისევ კავშირის გაბმა რუსეთთან, რომელთან ურთიერთობის დაჭერა კახეთის სამეფო სახლისთვის უკვე ახალი საქმე არ იყო. მეფემ დაიწყო მოლაპარაკება რუსეთის მეფე თეოდორესთან და ამ მოლაპარაკებას მოყვა ის, რომ რუსეთმა აღუთქვა კახეთს დახმარება როგორც ოსმალებისა, ისე შამხალის წინააღმდეგ, ხოლო ალექსანდრე II-მ თავისს მხრივ აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა, მოაწერა ხელი 28 სექტ. 1587 წ სათანადო აქტს და იკისრა ყოველ წლიურ ხარკად გაგზავნა რუსეთს 50 ნაჭერი სპარსულ ოქროქსოვილ ფარჩისა და 10 ოქრო-ვერცხლით მოქარგულ ხალისა. მეფესთან ერთად ქვეშევრდომობის აქტს ხელი მოაწერეს ყველა დიდებულთ. რიცხვით შვიდმა. ამ დროს კახეთი უკვე აძლევდა ხარკს როგორც ოსმალეთს, ისე სპარსეთს. სახელდობრ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებთან მიდიოდა ხარკის ანგარიშში წლიურად 30 საპალნე აბრეშუმი, სპარსეთს კიდევ იგზავნებოდა 20 საპალნე, გარდა ამისა საუკეთესო ცხენები და სხვა საჩუქრებიც. რუსეთის წინაშე ახალ ვალდებულობის ცნობით კახეთი ფაქტიურად გახდა ერთსა და იმავე დროს სამი სახელმწიფოს მოხარკე.

რუსეთთან დადებულ მორჩილების ხელშეკრულობის შემდეგ კახეთის მეფემ კვლავ გაგზავნა ელჩები მოსკოვს. ამ ელჩებს დავალებული ჰქონდათ სამხედრო დახმარების შესახებ შუამდგომლობის აღძრა. გარდა ამის მათ უნდა ეთხოვათ გამოგზავნა სწავლულ პირთა—განათლების განსამტკიცებლად, მღვდლებისა—საეკლესიო წესთა განსამართავად და მხატვრებისა—ეკლესიების მოსახატავად. რუსეთმა უპირველესად ყოვლისა შეასრულა თხოვნა ბერების გამოგზავნის შესახებ, მაგრამ სამხედრო დახმარებას კი აგვიანებდა. ამით აიხსნება, რომ მეფე გულნატკენი შეხვდა რუსის საელჩოს, რომელიც კახეთში 1589 წლ. დასასრულს მივიდა თავ. ზვენიგოროდსკის მეთაურობით და არ მისცა ნება ამ საელჩოში მყოფ რუსის სასულიერო პირთ ადგილობრივ სასულიერო საქმეებში ჩარეულიყვნენ. მეფე უკმაყოფილო იყო, რომ თუმცა რუსის მთავრობამ გაგზავნა ჯარი შამხალის წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც ამ უკანასკნელმა მორჩილება განაცხადა, საქმე მორიგებით გაათავა, მიუხედავად იმისა, რომ ლეკნი წინანდებურად თავს ესხმოდნენ კახეთს, ეხლა უფრო გაძლიერებული თარეშებით აოხრებდნენ ქვეყანას და მიჰყავდათ მთებში ტყვედ მშვიდობიანი მცხოვრებნი. მეფე კვლავ თხოულობდა შამხალის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნას, სამი კარგი მხატვრის გამოგზავნას ტაძრების მოსახატავად და აგრეთვე ზარბაზნის ჩამომსხმელთა და მისი მოხმარების მცოდნე პირთა კახეთში გამოსტუმრებას. ამის შემდეგ რუსის მთავრობამ უფრო მეტის ენერგიით მოკიდა ხელი მთიულებ-

თან ბრძოლას. შამხალს რუსებმა დაუქციეს ერთი ქალაქი და შემდეგ დაიწყეს ბრძოლა ყუმუხების წინააღმდეგ. 1593 წელს უკვე ეს ბრძოლა დაწყებული იყო და რუსეთმა მოსთხოვა ალექსანდრეს მასში თავისს მხრივაც მონაწილეობის მიღება. რუსეთი ამასთან თხოულობდა მძევლად მეფის ერთ-ერთი შვილის ან ძმისწულის გაგზავნას და სპარსეთთანაც მომავალში ყოველგვარ კავშირის გაწყვეტას. მაგრამ ამ დროს სპარსეთში მდგომარეობა, შაჰ-აბაზის თანდათანობითი გაძლიერებისა გამო, საფუძვლიანად შეცვლილ იყო და ამიტომაც ალექსანდრე II-მ არჩია უფრო ფრთხილად მოქცევა, ბატონიშვილის მძევლად გაგზავნაზე უარი განაცხადა და არც ყუმუხების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში მოინდომა მონაწილეობის მიღება. მეფის სიფრთხილის მიზეზი იყო ის გარემოება. რომ სპარსეთთან დამოკიდებულების აშკარად გაწყვეტა ესლა, როდესაც შაჰი თანდათან ძალაში შედიოდა, კახეთისთვის სახიფათო იყო. გარდა ამისა მეფის ერთი შვილთაგან — კოსტანტინე ბატონიშვილი შვიდი წლიდან დაწყებული სპარსეთში იყო მძევლად და ყაენის კარზედ იზრდებოდა. მაინც კახეთის მთავრობა ცდილობდა რუსის ძალის თავისს სასარგებლოდ გამოყენებას განსაკუთრებით დაღისტნის ტომების ასალაგმავად. ეს იყო მიზეზი, რომ თუმცა რუსეთი ყველა დაპირებებს არ ასრულებდა, მაგრამ კახეთი მასთან ურთიერთობას არ სწყვეტდა. ბევრის შუამდგომლობის შემდეგ 1601 წ. რუსის ჯარი დაიძრა შამხალის რეზიდენციის ტერკის წინააღმდეგ, მაგრამ ამ დროს კახეთში არეულობა ასტყდა, ლაშქრობაც ძნელი გამოდგა და რუსეთმა მალე მას თავი მიანება.

შფოთი კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ოჯახში. რუსეთთან კავშირის გაბმა კახეთის მართველ წრეების მიერ, რასაკვირველია, არ იყო სასიამოვნო სპარსეთისათვის, რომელიც ალექსანდრე II-ს როგორც თავის ვასსალს და მოხარკეს უყურებდა. სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთისაგან რაიმე რეალური დახმარება არ სჩანდა და ამიტომ გასაკვირველი არაა, თუ მეფეს ცალი თვალი ისევ ოსმალეთისაკენ ეჭირა. ოსმალეთის სარდლობასთან კახეთის მთავრობა ცდილობდა მეგობრულ განწყობილების დაჭერას. ალექსანდრეს შვილმა გიორგი ბატონიშვილმა განჯაში ოსმალებისაგან ფაშად დასმულ ქაიხოსროს ასულიც კი შეირთო ცოლად. კახეთის მართველი წრეები ცდილობდნენ ერთსა და იმავე დროს როგორც სპარსეთსა და რუსეთთან, ისე აგრეთვე ოსმალეთთან კეთილ განწყობილების დაჭერას თავისი ქვეყნის რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. მაგრამ სამივე ამ სახელმწიფოსი და განსაკუთრებით სპარსეთისა და ოსმალეთის ინტერესები ერთმანეთის წინააღმდეგნი იყვნენ და ასეთს პირობებში სწორწონაობას დაცვა ძლიერ ძნელი იყო. ამ გვარმა პოლიტიკურმა მერყეობამ შექმნა შესაფერისი ნიადაგი იმ ოჯახურ შფოთისა და არევ-დარევისათვის, რომელმაც დასცა ალექსანდრე II-ის სახლი და კახეთისათვის საზოგადოდ ძლიერ ცუდი შედეგები იქონია.

ალექსანდრეს ორ უფროსს შვილს დავითს და გიორგის ჰყავდათ თავისი გავლენიანი მომხრეები კახეთის თავადებს შორის. გიორგი, რომელსაც ცოლად განჯის ოსმალთა ფაშის ასული ჰყავდა ცოლად, ითვლებოდა ოსმალეთის მომხრედ. ეს გარემოება იყო მიზეზი ძმათა შორის ჩამოვარდნილ შფოთისა, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო, როდესაც მეფის ერთს მძიმე ავადმყოფობის გამო მართველ წრეებში ლაპარაკი ასტყდა ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. დავითმა დაასწრო თავის ძმას, შეიპყრა ის და ციხეში შეაგდო, ხოლო 12 მისი მომხრეთაგანი ჰრეთის ციხიდან გადმოაგდებინა. შემდეგ მან მოსთხოვა მამას ტახტის მისთვის გადაცემა და ჩვეულებისამებრ სამეფო დროშისა, თაჯისა და სამეფო ხრმალის მისთვის ჩაბარება. მეფემ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად თანხმობა განაცხადა და დაულოცა მას ტახტი.. დავითს ცოლად ჰყავდა ქეთევან მუხრან-ბატონის ქალი, კეთილი და სათნოიანი ადამიანი და ერთი ძე თეიმურაზი, რომელიც სპარსეთს იყო გაგზავნილი და იქ იზრდებოდა ყაენის კარზედ.

მალე თავისი ხასიათის სისასტიკით დავითმა აღაშფოთა ყველა წარჩინებული თავადები. თვით ალექსანდრე ძლიერ დამწუხრებული იყო შვილის მისდამი მოპყრობით და როდესაც დავითი სწვდა თვით მისს მომხრეებს, დევნა და სიკვდილით დასჯაც დაუწყო მათ, მაშინ მამის მოთმინების ფიალა აივსო. ალექსანდრე შევიდა ეკლესიაში, დაამხო ქუდი და საშინელი წყეველით დასწყეველა თავისი შვილი. აღსანიშნავია, რომ ერთი კვირის შემდეგ დავითი მართლაც მოკვდა უცნაურის სიკვდილით, მას მუცელი გაუსკდა და საშინელს ტანჯვაში დალია სული (21 დეკ. 1602 წ.) თანამედროვენი ამას აწერდნენ მამის მიერ შვილის დაწყეველას.

ტახტი ისევ მეფე ალექსანდრემ დაიპყრო. მან მაშინვე გაანთავისუფლა ციხიდან როგორც გიორგი ბატონიშვილი, ისე ყველა დავითის მიერ დაპატიმრებულნი. ცოტა ხნის შემდეგ შაჰ-აბაზმა დაიბარა ალექსანდრე კახეთის ჯარით თავისთან ოსმალების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად. ამ დროს შაჰ-აბაზი ერევანს შემოსდგომოდა. მან დიდის პატივისცემით მიიღო ალექსანდრე და თავისთან დაიტოვა მთელი წელიწად-ნახევარი. მხოლოდ 1605 წ. დასაწყისს, როდესაც ოსმალთ უმთავრესი ოპერაციები ბაღდადის მიმართულებაზე გადაიტანეს, შაჰმა ნება დართო ალექსანდრეს კახეთში დაბრუნებულიყო. ალექსანდრესთან ერთად წამოვიდა კოსტანტინე ბატონიშვილი, გამაჰმადიანებული ძე მისი, რომელიც სიყრმიდანვე სპარსეთში იზრდებოდა. შაჰს კოსტანტინესთვის ებოძებინა შირვანი და ქალ. შემახა და თან გამოეტანებინა 4 ხანი 8 ათასი კაცით. მამა-შვილი მოვიდნენ კახეთს და დადგნენ ბაზარს, სადაც მათ შეხვდა გიორგი ბატონიშვილი, რომელიც მამის სპარსეთში ყოფნის დროს სამეფოს განაგებდა. შაჰს გაცემული ჰქონდა ბრძანება გიორგი ბატონიშვილის, როგორც ოსმალეთის მოძმის, დაპატიმრების ან მოკვლის შესახებ. 12 მარტს 1605 წ. კოსტანტინე ხანე-

ბისა და მრავალი სპარსელების თანხლებით დილა ადრიანად მივიდა თავისი მამის კარავში, სადაც ამ დროს იყვნენ გიორგი ბატონიშვილი, რუსთველი ეპისკოპოსი, ძმა მისი აბელ და ზოგი კახნი დარბაისელნი. რა ლაპარაკი იყო ამ კარავში, ცნობილი არ არის, მაგრამ როგორც სჩანს მოლაპარაკების უმთავრესი საგანი იყო შირვანზე საერთო ძალით გალაშქრება. ალექსანდრე II და საზოგადოდ კახნი წინააღმდეგნი იყვნენ ამ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებისა. ყოველს შემთხვევაში ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ სპარსნი ეცნენ მეფე ალექსანდრეს, გიორგი ბატონიშვილს და ყველა კარავში მყოფ კახთ და დახოცეს. კოსტანტინე ამის შემდეგ გამოცხადდა კახეთის მეფედ.

მამისა და ძმის მკვლელმა გამოიწვია კახეთში უდიდესი აღშფოთება. კოსტანტინემ მიმართა თავისს რძალს ქეთევან დედოფალს წინადადებით, ცოლად გამომყეო,—მაჰმადიანთა რჯული ამის ნებას იძლეოდა. ღრმად აღშფოთებულნი კახეთის თავადები შეკრბნენ ქეთევანთან და გვერდში ამოუდგნენ მას. ქეთევანმა მას ზიზღით უარი შეუთვალა ცოლად გაყოლაზე და რაკი რომ შაჰმაც არ მოიწონა კოსტანტინეს მიერ მამის მკვლელობა და ავად იხსენიებდა მას, ამიტომაც ქართველებმა გაილაშქრეს მის წინააღმდეგ. ქეთევანი თვით წარუძღვა თავისს ჯარს და შირვანისაკენ მიმავალს კოსტანტინეს დაეცა თავს. კოსტანტინე დამარცხდა და ბრძოლაში მოკლულ იქმნა.

ქეთევანი მივიდა გრემს და სთხოვა შაჰს თავისი შვილის თეიმურაზის კახეთის ბატონად გამოგზავნა. ყაენმა ამ ამბის მიღებისთანავე გამოიყვანა 16 წლის თეიმურაზი, ქრისტიანობითვე გადააყარა მას, ქართული ჩვეულების თანახმად, ოქრო და მიულოცა კახ-ბატონობა. თეიმურაზი მივიდა კახეთს, ბოდბეს მან იკურთხა გვირგვინი და შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმის დაკვირვებას.

არაგვის საერისთაო უერთდება ქართლს. ამ დროს კახეთის სამეფოდან უკვე გამოყოფილი იყო არაგვის საერისთაო. სპარსთა ბატონობამ დაასუსტა ქართლსა და კახეთში მეფის უფლება, რამაც ხელი შეუწყო როგორც თვითნებობისა და ძალმომრეობის გამრავლებას, ისე ცალკე გვარეულობათა გაძლიერებას. ასე, მაგ., სვიმონისა და ალექსანდრე II კახთა მეფის დროს ვანათელმა აზნაურმა ამოსწყვიტა ჭარმეულის და თურმანიძის გვარეულობა და შემდეგ დაიპყრო არაგვის საერისთო. ამისი შვილისშვილი ნუგზარ ერისთავი აუჯანყდა 1603 წ. კახეთის მეფეს, რის შემდეგ გადავიდა ქართლის მეფის გიორგი X-ის მხარეს და აღიარა ამ უკანასკნელის ბატონობა. ამის შემდეგ არაგვის საერისთაო ემორჩილებოდა ქართლის მეფეებს.

გიორგი საააკაძე. მეფის უფლებას განსაკუთრებით ასუსტებდა წარჩინებულ თავადების გვარეულობათა გაძლიერება, რაც აღმოს. საქართველოში სპარსთა მძლავრებასთან ერთად თანდათან მეტის სიცხადით ჩენდა თავს. ლუარსაბ II ცდილობდა ქართლში მტკიცე მართველობის

დამყარებას და ამიტომ დიდს თავადებს გარეშე ეძიებდა ახალს ძალებს თავისი ტახტისა და სამეფო უფლების განსამტკიცებლად. ამ დროს წარჩინებულ გვარეულობათა წარმომადგენლებს გარეშე ყურადღებას იქცევდა ტფილისის მოურავი გიორგი სააკაძე, რომელიც იმავე დროს იყო ცხინვალისა და დვალეთის განმგედ. ის იყო განდიდებულ აზნაურის გვარიდან, მამა მისი სიაოშ ითვლებოდა აგრეთვე ტფილისის მოურავად, მაგრამ არც თავისი გვაროვნობით და არც მამულის სიდიდით ის არ ეკუთვნოდა დიდებულთა წრეს, სადაც საგვარეულო ტრადიციებს და ისტორიულ წარმომავლობაზე დამყარებულ უპირატესობას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თავისი ნიჭით, ჭკუით და საქმიანობით გიორგი სააკაძემ მალე მიიქცია საერთო ყურადღება. მან შეირთო ცოლად არაგვის ერისთავის ნუგზარის ასული. არაგვის ერისთავთან დამოყვრებით სააკაძემ კიდევ უფრო განაძლიერა თავისი გავლენა.

ყირიმელ თათრების შემოსევა. 1609 წ. ოსმალებმა წაართვეს სპარსელებს ბაღდადი. ოსმალების ლაშქარში შეყოფ ყირიმელ თათრების ჯარმა მოინდომა კავკასიის გზით თავისს სამშობლოში დაბრუნება. ყირიმელებს იმედი ჰქონდათ გზად ბლომად ნადავლი და ტყვე ეშოვნათ და ისე წასულიყვნენ. თათრებს წინამძღოლობდა ჯელალ-ფაშა, რომლის ხელქვეით იყო ფერჰად-ფაშა. თათრების მოსვლა თუმცა მოულოდნელი იყო, მაგრამ მეფე მაშინვე შეუდგა მზადებას. მტრისათვის გზების ჩასახერგავად გაგზავნა იარალი მცირე რაზმით, თითონ კი მივიდა ცხირეთს. გზის ჩამხერგველს იარალს და მისს რაზმს მძინარეს წაუწყდნენ თათარნი და მთლად ამოხოცეს, რის შემდეგ ისინი ამოვიდნენ მანგლისს, დასწვეს ის და გამოემართნენ შიდა-ქართლისაკენ. კელთას მათ შეეპყრეს თევდორე მღვდელი, რომელსაც მოთხოვეს გზად წინამძღოლობა. მღვდელმა გასწირა თავისი თავი და წაიყვანა თათრები სხვა მიმართულებით. როდესაც თათრები მიხვდნენ შეცდომას, თევდორე წამებით მოკლეს, მაგრამ ამ დაგვიანებით ისარგებლა მეფემ და უკვე საკმაო ჯარი შეკრიბა და როდესაც თათარნი გადმოვიდნენ ახალ-ქალაქს, მათ აქ აედევნენ გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი 1,500 კაცით. ეს ჯარი ნიაბის ახლოს თავს დაესხა თათართ, დაამარცხა ისინი და დახოცა მრავალი. ზაზა ციციშვილმა თვით მოკლა ფერჰად-ფაშა, მაგრამ თავის პრის დროს მას შემოერტყნენ თათრები. ზაზამ თავს მაინც ხელი არ გაუშვა, კბილით წვერი დაიჭირა, ხმალ-და-ხმალ გაარღვია თათართა გუნდი და ქართველების ჯართან ერთად მივიდა მეფესთან, მიართო მას მოკლული ფაშას თავი და ნადავლი. თათრები ამის შემდეგ წავიდნენ გორზედ, მაგრამ რადგან მტკვრის ხიდი აყრილი დახვდათ, ამიტომ ისინი გაემართნენ საციციანოსკენ, მოაოხრეს ქვეყანა, ბრბონას ახლოს გასდევს ხიდი მტკვარს და დადგნენ ტაშის კარს. ქართველების ჯარი ცხენის ცურვით გავიდა მტკვარს, შემდეგ ჩაიარა ფარულად მტკვრის პირი და განთიადისას თავს დაეცა მტერს, რომელიც საშინლად დამარ-

ცხდა (1609 წ.). დამარცხება ისეთი დიდი იყო, რომ თათარნი მთლად დაიფანტნენ, ასე რომ მესამე დღეზე ისინი დედა-კაცებსაც კი გამოყავდათ მშიერნი ტყეებიდან. მეფემ ეს გამარჯვება სიხარულით აცნობა შაჰ-აბაზს და გაუგზავნა მას დახოცილთა თავები. ამ ომის დროს განსაკუთრებით თავი ისახელა გიორგი სააკაძემ, რომელმაც თავისი მამაცობით და გონიერი განკარგულებებით ფრიად ხელი შეუწყო თათართა სრულს დამარცხებას. ბრძოლიდან დაბრუნებული მეფე იწვია გიორგი სააკაძემ თავისს მამულში ნოსტეს, სადაც მეფე გაეცნო მოურავის დას და ცოტა ხნის შემდეგ მოინდომა მისი ცოლად შერთვა. მოურავი თუმცა გახარებული იყო მეფის წინადადებით, მაგრამ ანგარიში გაუწია დიდ თავადების მოსალოდნელ უკმაყოფილებას და დაბეჯითებით სთხოვა მეფეს ეს აზრი უკუეგდო. მეფემ მაინც თავისი არ დაიშალა და ქორწილიც გარდახდილ იქმნა.

მოურავის შიში გამართლდა. დიდ თავადების წარმომადგენლებმა ითაკილეს მოურავის დის დედოფლობა და ამ ნიადაგზე გაიბა ინტრიგების რთული ქსელი. საქმე ისე გამწვავდა, რომ ბოლოს მეფემ დააპირა, გიორგი სააკაძის მოძულე თავადების შთაგონებით, მოურავის მოკვლა. მოურავს თავისს მხრივ ჰყავდა მომხრეები მეორე ხარისხოვან თავადებს შორის და ამიტომ მეფის ეს განზრახვა არ დარჩა მისთვის შეუმჩნეველი. ფარეშთ-ხუცესმა კახაბერ ხერხეულიძემ მეფის გარდაწყვეტილება მისი შეპყრობის შესახებ შეატყობინა მას მაშინ, როდესაც ის მოსულიყო ლუარსაბთან წავკისს მეფისავე მიწვევით. მოურავი ფიცხლავ შეჯდა ცხენს, იმავე ღამეს მივიდა ნოსტეს, აყარა თავისი ოჯახი და გადავიდა თავისს სიმამრთან — ნუგზარ არაგვის ერისთავთან დუშეთს. აქ მათ დაასკვნეს წასვლა შაჰ-აბაზთან. სპარსეთში მისულნი მოურავი და არაგვის ერისთავი ყაენმა ორივე ძლიერ კარგად მიიღო, ნუგზარ ისევ უკან დააბრუნა, ხოლო მოურავი კი თავისთან დაიტოვა.

შაჰ-აბაზის პირველი შემოსევა (1614 წ.) ამ დროს როგორც ქართლის მეფეს ლუარსაბს, ისე აგრეთვე კახ-ბატონს თეიმურაზს სპარსეთთან კარგი განწყობილება ჰქონდათ. თეიმურაზს გამეფებისას შეერთო ცოლად გურიელის ასული ანნა, რომლისაგან მას ეყოლა ორი ვაჟი, ლევან და ალექსანდრე. ანნა გარდაიცვალა 1610 წ.. მგლოვიარე თეიმურაზი იხმო თავისთან შაჰ-აბაზმა შავის გამოსაცვლელად და სანუგეშებლად. მეფემ თან წაიყვანა თავისი და წარჩინებულ ოჯახებიდან ტყვე ქალ-ვაჟნი და მივიდა შაჰთან, რომელმაც დიდის პატივით მიიღო, გამოუცვალა მას შავეულობა, დიდად დაასაჩუქრა და შემდეგ წინადადება მისცა შეერთო ცოლად ლუარსაბ მეფის და ხვარაშან. ერთი და ლუარსაბისა ცოლად ჰყავდა შაჰ-აბაზს და ამიტომ ის აგულიანებდა თეიმურაზს ლუარსაბის დის შერთვას ურთიერთ შორის ნათესაურად დაკავშირებისათვის. თეიმურაზმა ჯერ უარი განაცხადა ამ ქორწინებაზე ახლო ნათესაობისა გამო (ხორეშანი მოხვდებოდა მას მეორე თაობის ბი-

ძაშვილად), მაგრამ შემდეგ, რადგანაც მეტი გზა აღარ იყო, დასთანხმდა, დაბრუნდა გრემს და დიდის დიდებით გარდაიხადა ქორწილი (1612 წ.).

ამ დროიდის ურთიერთობას ქართლ-კახეთის ბატონებსა და შაჰ-აბაზს შორის ნორმალური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მდგომარეობა თანდათან გამწვავდა. როგორც ქართლსა, ისე კახეთში იყვნენ მეფეებით უკმაყოფილო ელემენტები, რომელნიც შურს სთესავდნენ მეფეებსა და სპარსეთის მთავრობას შორის. თვით თავადებს შორის არსებული ინტრიგები კიდევ არღვევდა ქვეყნის შინაგან ძალების სიმტკიცეს. ამ ინტრიგების წყალობით თეიმურაზმა მოაკვლევინა კახეთის უწარჩინებულესი პირთაგანი ქაიხოსრო ომანიშვილი ჩოლაყაშვილი, რომელიც გაგზავნილი იყო დაღისტანს სალაშქროდ და ლეკთა ასალაგმავად, მხოლოდ იმიტომ, რომ მან მოითხოვა ლეკების თავზარ-დასაცემად სამეფო ბუკი. ქაიხოსრო შეასმინეს მტრებმა მეფესთან: „ნებავს კახეთი და ამისთვის ითხოვს ბუკსაო“. შესმენამ გასჭრა და ქაიხოსრო მოკლულ იქმნა. ამ უსამართლო სიკვდილმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თავადების ერთს ჯგუფში.

ამ დროს გიორგი სააკაძეც ჩავიდა სპარსეთს და აქეზებდა შაჰს საქართველოსა და განსაკუთრებით ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ. ის მეგობრობაც, რომელიც დამყარდა ლუარსაბსა და თეიმურაზს შორის მათი ახლად დამოყვრების შემდეგ, აგრეთვე ყველა ამასთან შეხამებული, საეჭვოდ უჩანდა ყაენს. ამ დროს შაჰი მაზანდერანში სანადიროდ წავიდა და თეიმურაზი ლუარსაბთან ერთად თავისთან ჰიიპატიჟა. მეფეებმა შაჰს კარგა ხანს პასუხი არ გასცეს და შემდეგ არ წავიდნენ. ეს შაჰმა თავის შეურაცხყოფად მიიღო და ამის შემდეგ მეფეებისადმი უნდობლობაც გაანაძლიერა. 1614 წ. ყაენი მოვიდა ყარაბაღს ოსმალთა წინააღმდეგ ლაშქრობის დასამზადებლად, რადგან შაჰ-აბაზს ოსმალეთისთვის უარი ეთქვა წინანდელ ომის შემდეგ თავისს თავზე მიღებულ ვალდებულებაზე—ხარკის გადახდის შესახებ და ოსმალეთის მთავრობაც სარმარ მზადებას შესდგომოდა. შაჰი ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, რომ ქართველ-ბატონები ამ ომის დროს შესაძლებელია ოსმალთა მხარეს გადასულიყვნენ და ამიტომ მოსთხოვა თეიმურაზს, რომელიც მას ლუარსაბზე უფრო საეჭვოდ მიაჩნდა, ერთგულობის ნიშნად ერთ-ერთი შვილის მასთან გაგზავნა. ყაენს უნდოდა ოსმალეთთან მოსალოდნელ ომის დროს კახეთის მხრივ ყოველგვარ შემთხვევისაგან უზრუნველი ყოფილიყო. თეიმურაზი წინააღმდეგი იყო შვილის გაგზავნისა, მაგრამ თავადების იძულებით მაინც გაგზავნა უმცროსი შვილი და თან გააყოლა თავისი დედა ქეთევან დედოფალი და ნოდარ ჯორჯაძე სხვა მხლებლებითურთ. შაჰმა ეხლა მოითხოვა უფროსი შვილის გაგზავნა და როდესაც თეიმურაზმა თავადების იძულებით ესეც აახლო, მაშინ თითონ მეფეც დაიბარა. ეხლა კი თეიმურაზი აშკარად გადადგა, გაავლო მუკუზანიდან გაღმა მხარემდე დიდი ჯებირი, გაამაგრა კახეთი და უცდიდა

გარემოების განვითარებას. შაჰი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, მაგრამ როდესაც სპარსეთში მყოფმა ბატონიშვილმა ბაგრატ, დაუთ-ხანის შვილმა, ყაენის შიშით მიართო მას თეიმურაზისაგან მიღებული წერილი, სადაც შაჰი ავად იყო მოხსენებული, მაშინ შაჰ-აბაზი, რომელთანაც იმყოფებოდა უკვე მაჰმადიანობაში გადასული გიორგი სააკაძეც, დაიძრა თეიმურაზის დასასჯელად.

მალე დიდის ჯარით შაჰ-აბაზი მოადგა კახეთს და გამოვიდა მტკვარს. აქ სპარსელებმა შეიპყრეს კახელი მწყემსები. შაჰმა წყალობით შეხედა მწყემსთ, მისცა მათ ხალათები და გაისტუმრა. შაჰი ავრცელებდა ხმებს, რომ ის იბრძვის მეამბოხე თეიმურაზისა და არა ხალხის წინააღმდეგ. ამისი გამგონე კახნი ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ შაჰთან, რომელიც მათ უხვად ასაჩუქრებდა. ამ ტაქტიკის წყალობით კახნი მალე გაეცალნენ თეიმურაზს, რომელიც იძულებული გახდა ბრძოლაზე ხელი აეღო და როდესაც შუა-კახეთში შესული შაჰი ჯებირს გვერდზე მოექცა, მაშინ მეფე გაიქცა კახეთიდან. გზად ჟალეთს თეიმურაზი შეხვდა სპარსელების დიდს რაზმს, მოსწყვიტა ისინი და მივიდა მუხრანს, სადაც დახვდა მას ლუარსაბ მეფე. ქართლის თავადებიც, ქვეყნის მოოხრების შიშით, წინააღმდეგი იყვნენ ყაენთან შებრძოლებისა. ზოგი მათგანი, როგორც მაგალითად ნუგზარ არაგვის და იესე ქსნის ერისთავნი, ან დუყაფარ ამილახორი და სხვანი მიივიდნენ ყაენთან. თავადების ამ გვარ სულიერ განწყობილებისა გამო მეფენი იძულებული გახდნენ იმერეთს წასულიყვნენ.

სპარსელების ჯარი მოედვა კახეთს და საშინლად ააოხრა ის. ეკლესიები გაცარცვეს და მათში პოვნილი სიმდიდრე გაგზავნილ იქმნა ისპაანში შაჰის ცოლებისათვის. ხალხი აღწერეს სიით და დაადვეს მას ხარკი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ამ წინასწარ შედგენილ სიების მიხედვით მცხოვრებთა ნაწილი, ასე 30 ათასი, კაცი და ქალი, ტყვედ შეიპყრეს, დააწყვეს გუნდ-გუნდად და გადაასახლეს სპარსეთში, უფრო მაზანდერანს, სადაც უმრავლესი მალე გაწყდა მავნე ჰაერის გამო.

შაჰმა კახეთის საქმეები ჩააბარა სამს ხანს, რომელთაც დაუტოვა თავისი ჯარის საკმარისი ნაწილი, ხოლო თვითონ კი კახეთს დაჰყო 50 დღე და შემდეგ გადავიდა ქართლს. აქ მას მოუვიდა ელჩად იმერეთის მეფის გიორგი III-საგან აფხაზეთის კათალიკოზი მალაქია და ლევან აბაშიძე, რომელთაც სთხოვეს მას სამეფოების დაბრუნება ლუარსაბისა და თეიმურაზისათვის. ყაენმა თეიმურაზის მინდობაზე უარი განაცხადა, ხოლო ლუარსაბ მეფეს აღუთქვა დიდის პატივით მიღება. შაჰმა ტირილით დაარწმუნა შადიმან ბარათაშვილი, ლუარსაბის გამზრდელი: „როგორ უგულებელს ვყოფ სეიმონ მეფის შვილის შვილსა და გიორგი მეფის შვილსა“. ყაენი ლუარსაბის გადადგომას თეიმურაზს აბრალებდა და მასთან შერიგებაზე თანახმა იყო. აზერბეიჯანის ვეზირი სარუ-ხოჯა გაგზავნილ იქმნა იმერეთში საჩუქრებით და წერილებით გიორგი III-სა და ლუარსაბ მეფესთან. სხვათა

შორის, მას მიჰქონდა ლუარსაბისთვის ძვირფასად მოოქვილი ხმალი და წერილი მისი დისა, რომელიც იყო შაჰ-აბაზის ცოლი. მაგრამ სარუ-ხოჯა ვერას გახდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც შაჰ-აბაზმა მოლაპარაკება დაიწყო გიორგი III-სთან მისი შვილის ქართლში გამეფების შესახებ, ლუარსაბი გადმოვიდა ქართლს. შაჰი პატივისცემის ნიშნად შორს გაეგება მეფესა და ტირილით უთხრა: „როგორ გიყოფ ბოროტსა ახოვანსა და მშვენიერსა, ერთგულთა ჩემთა ძესა!“ და პატივით წამოიყვანა ტფილისს. აქედან მეფე შაჰმა მალე მიიპატიჟა ყარაიას სანადიროდ, შემდეგ ყარაბაღს, იქიდან მაზანდერანს, სადაც წინადადება მისცა გამაჰმადიანებულიყო. რადგანაც ლუარსაბმა ამაზე გადაჭრით უარი განაცხადა, ყაენმა გაგზავნა ის დასაპატიმრებლად გულაბის ციხეში შირაზის ახლოს, სადაც ლუარსაბმა დაჰყო 1622 წლამდის. ამ წელს, რადგანაც რუსეთი შუამდგომლობდა მისი განთავისუფლების შესახებ, ლუარსაბი შაჰის ბრძანებით მოაშთვეს შვილდის საბლით. საქართველოს ეკლესიამ შერაცხა ის წმიდათა შორის.

შაჰ-აბაზის მეორე შემოსევა. ლუარსაბის დაპატიმრების შემდეგ შაჰ-აბაზმა ქართლის მეფედ გამოგზავნა დაუთ-ხანის შვილი ბაგრატ, რომელიც ფრიად მიდრეკილი იყო მაჰმადიანობისადმი. ამ მიზეზით ქართლის თავადებმა უარი განაცხადეს მის დამორჩილებაზედ. ბაგრატი ფაქტიურად ფლობდა მხოლოდ ტფილისს და საბარათიანოს და ამიტომ მას კიდევ საბარათიანოს ბატონს ეძახდნენ.

ამავე დროს კახეთის მართველად დაინიშნა ისა-ხანი, გიორგის ძე, თეიმურაზის ბიძაშვილი. მაგრამ, როგორც მაჰმადიანმა, ისა-ხანმა კახეთში ფეხი ვერ მოიდგა და ბოლოს არდებილში წავიდა, კახეთის მართვა კი მიანდო სახლთუხუცესს ნოდარ ჯორჯაძეს და დავით ასლანის შვილს. დავითი ითვლებოდა ისა-ხანის ვექილად. კახეთის ახალი გამგეები სპარსელების წინააღმდეგი იყვნენ და მხოლოდ შემთხვევას ეძებდნენ აჯანყების დასაწყებად. ასეთი შემთხვევაც დადგა, როდესაც ალავერდში ალავერდობას ქართველებს ჩხუბი მოუვიდათ სპარსელებთან, რომელთაგან ბევრი იქვე მოკლულ იქმნა. ამის შემდეგ ვექილმა დავითმა მოიწვია, კახეთის თავადებთან შეთანხმებით, თეიმურაზი იმერეთიდან და აგრეთვე დამხმარე ჯარი შირვანიდამაც. შირვანი ამ დროს სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულიყო. სპარსელებს კახეთში ბლომად ჯარი ჰყავდათ დაყენებული, მაგრამ ამ გარემოებამ ვერ შეუშალა ხელი კახეთის თავადებს თავისი ქვეყნიდან სპარსთა საბოლოოდ განდევნაზედ ეზრუნათ. შაჰ-აბაზის წასვლის უკან სამი თვის შემდეგ თეიმურაზი გადმოვიდა ქართლს და მოადგა კახეთს. არაგვამდის ის ჯარით მოაცილეს იმერეთის მეფემ, დადიანმა და გურიელმა. შაჰ-აბაზმა კახეთის დასაცავად სწრაფად გამოგზავნა ალი-ყული-ხანი, რომელსაც მის განკარგულებაში ჩააბარა მთელი აზერბეიჯანის ჯარი. ალი-ყული-ხანი 15 ათასი კაცით მოვიდა ტფილისს და აქედან დაიძრა თეიმურაზის წინააღმდეგ. გზის

მაჩვენებლად მას ჰყავდა ქართველები, რომელთაც დაუმალეს სპარსელებს თეიმურაზის ჯარის ნამდვილი მსვლელობის გზა. ამ მიზეზით 5—6 ათასი კაცით თეიმურაზი მოულოდნელად დაეცა თავს სპარსელების ჯარს და სასტიკად დაამარცხა ის.

თეიმურაზმა შესძლო კახეთში მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში გაძლება. 1616 წელს გაზაფხულზე შაჰი წარმოემართა ისევ საქართველოსკენ მტკიცე განზრახვით კახეთის საკითხი საბოლოოდ გარდაეწყვიტა. დიდძალი ჯარი სპარსელებისა მოადგა კახეთს. ამავე დროს შაჰ-აბაზმა შეაგულიანა ლეკები, რომ გაქცეულ კახელებისთვის დაღისტანში თავშესაფარი არ მიეცათ. კახელები თავისი ჩვეულებისამებრ გამაგრებულ იყვნენ სიღნაღებში, რომელნიც წარმოადგენდნენ ტყეში ჩახერგილ თავშესაფარ ადგილებს. სიღნაღები ამასთანავე ირგვლივ წყლით სავსე ღრმა თხრილებით იყო გარშემოვლებული. ამ თხრილებში პატარა ტივით ან ბორნით გადიოდნენ. ამ სიმაგრეების აღება ძალიან ძნელი იყო. ერთი სპარსელის უსეინ-ბეგის ყორჩითა რაზმი, მაგალითად, გაუფრთხილებლობით მოყვა სიღნაღის შიგნით შორს ტყეში. ამ სიღნაღში გამაგრებული იყო 10 ათასამდის ოჯახი, რომელსაც იცავდა საკმაო შეიარაღებული ძალა. შიგ მოყოლილი სპარსელების რაზმი ქართველების მიერ ნაწილ-ნაწილ გაწყვეტილ იქმნა. ბოლოს, თანდათანობით ბევრის ცდის შემდეგ ყველა ამგვარი სიმაგრეები აღებულ იქმნა. იქ მყოფი ჯარი სპარსელებმა დახოცეს და დანარჩენი ტყვედ წაიყვანეს. კახეთის მთავარი ნაწილი მალე დაკავებულ იქმნა, მაგრამ საზოგადოდ კი ლაშქრობამ მთელს წელიწადს გასტანა. ცალკე ადგილებს და სიმაგრეებში კახელები კიდევ განაგრძობდნენ მედგარ წინააღმდეგობას, სანამ 1617 წ. გაზაფხულს ხორნაბუჯის ციხის აღებით სპარსეთის ჯარმა არ დაამთავრა კახეთის დაპყრობა.

კახეთის აწყვეტა. აუწერელი იყო ის საშინელება, რომელიც გამოიარა კახეთმა განსაკუთრებით შაჰ-აბაზის ამ მეორე შემოსევის დროს. ყოველ მხრივ გზა მოკრილი კახელები უწყალოდ იხოცებოდნენ ან და ტყვედ უვარდებოდნენ მტერს. ამ დროს წამოიშალნენ ლეკნი და იმათაც მუსრი გაავლეს დაღისტნის მხრისაკენ ლტოლვილ კახელებს. ქვეყანა მთლად აოხრდა და უკაცურ შეიქმნა. გადამწვარი და დანგრეული ქალაქები დაცარიელდნენ, სოფლები გაერანდნენ. რიცხვი გაჟლეტილთა აღწევდა 60 - 70 ათასამდის, დატყვევებულ იქმნა 100 ათას სულზე მეტი, ქალი და კაცი, ჩვილი, ახალგაზდა და მოხუცი. ამას გარდა 30 ათასი სულის შესახებ ცნობა ვერ იქმნა შეკრებილი. მარტო კაკ-ელისენიდან ეითომდა თავის ნებით გადასახლდა მაზანდერანს 2—3 ათასი კომლი. სპარსელების თარეშებმა დაარბიეს აგრეთვე შიდა-ქართლიც, რომლის თავადები შაჰის მიერ ქართლის ბატონად დაყენებულს ბაგრატს არ ემორჩილებოდნენ. მარტო რუის სურჭმის რაიონიდან წაყვანილ იქმნა 500 კაკი ტყვედ. აუარებელი სიმდიდრე და საქონელი ჩაუვარდათ ხელში ძლევებს. მარტო ერწო-თიანელთ დაჰკარგეს 40 ათასი ცხვარი. ქვეყნის

ეკონომიურად დაცემის მიზნით შაჰ-აბაზმა ბრძანება გასცა შენებულობების ყველგან დანგრევის შესახებ. რადგან მეაბრეშუმეობას ქვეყნისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ განკარგულება იყო გაცემული თუთის ხეების აჩეხვისა, სადაც კი ეს შესაძლებელი იქმნებოდა. დასასრულ, მთელი ტყეედ შეპყრობილი ხალხი თავისი ბარგით დააყენეს ჯარის წინ და გადარეკეს სპარსეთში, სადაც დაასახლეს ქირმანს, მაზანდერანს, ფერეიდანს და სხ. თანდათან მათში გავრცელდა მაჰმადიანობა და სპარსული, აგრეთვე სხვა ადგილობრივი ენები. უმეტესი ნაწილი ამ გადასახლებულ ქართველებისა გადაგვარდა, თუმცა ბევრს ადგილას ისინი კიდევ თავისს თავს ეხლაც გურჯებს (ქართველებს) უწოდებენ. მხოლოდ მცირეოდენმა ნაწილმა ფერეიდანში, სადაც ქართველები ერთს ჯგუფად მოთავსდნენ, შეინარჩუნა აქამდის თავისი დედა-ენა. მათი რიცხვი უწევს ეხლა 15—17 ათას სულამდის.

ქართველების ყულის ჯარი სპარსეთში. ქართველების მრავლად სპარსელების ტყვეობაში ჩავარდნამ შესამჩნევად წინ წასწია სპარსეთში ყულის (მსახურთა) ჯარის მოწყობა, რომელსაც შაჰ-აბაზ I დიდს მნიშვნელობას აძლევდა. შაჰს უნდოდა ამით დაეცა ყიზილბაშთა (ყორჩის) ჯარის მძლავრება. ყორჩნი ამ დროს უკვე 50—60 ათასს ცხენოსანს შეადგენდნენ და შაჰის ძალა-უფლებისთვის სახიფათო გამხდარიყვნენ. ამათ წინააღმდეგ ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ოსმალთა ენიჩარების მიბაძვით შაჰ-აბაზ I-მა შექმნა ყულის ახალი ჯარი, რომლისთვის დანიშნული იყვნენ მაჰმადიანობაში აზრდილნი ტყვე-ქრისტიანები, უმთავრესად ქართველები. შაჰ-აბაზ I-ის დროს ამ ჯარს შეადგენდა 10 ათასი ცხენოსანი და 12 ათასი ქვეითი. ყულნი არსებობდნენ მე-XVII და მე-XVIII საუკუნეშიც. მათი უფროსად თითქმის ყოველთვის ინიშნებოდა გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი ან თავადიშვილი.

ქართლსა და კახეთს ინიშნებიან მაჰმადიანი მართველნი. კახეთის აწყვეტისა და აოხრების შემდეგ მის მართველად დაინიშნა ფეიქარ-ხანი, რომელმაც ყაენის ბრძანების თანახმად იწყო დაცარიელებულ ადგილებზე თათრის ელების დასახლება. კაკ-ელისენსა და მის მიმდგომ მხარეს გაჩნდა თათართა მოსახლეობა. ფეიქარ-ხანს ამასთანავე ნაბრძანები ჰქონდა სპარსელების შემოსევის დროს განადგურებულ სატახტო ქალაქის ზაგემის განახლება. ქალაქში დასახლების მსურველნი სამი წლით განთავისუფლებულ იქმნენ გარდასახადებისაგან. მართლაც, გაოხრებულ ქალ. ზაგემის მაგივრად ფეიქარ-ხანმა იწყო შენება ახალი დაბისა, რომელსაც ეწოდა ყარაღაჯ და რომელიც ამიერიდან გახდა კახეთის ხანების ადგილ-სამყოფელად.

თეიმურაზ კახ-ბატონი მიმართავს ოსმალეთს. თეიმურაზ მეფე ჯერ კიდევ 1616 წ., კახეთში შაჰ-აბაზის შემოსვლისთანავე, რადგან სპარსელებთან აშკარა ომში შებრძოლება მათი სიმრავლისა გამო შეუძლებელი იყო, გადავიდა იმერეთს და იქიდან მიიყიდა სამცხეს, საიდანაც

შემწეობა და მფარველობა სთხოვა ოსმალეთის სულთანს. სულთანმა დაუნიშნა მას სარჩოდ გონია და მისი მიმდგომი ქვეყანა. მეფე ახალციხიდან მივიდა ოლთისს, დასტოვა აქ დედოფალი ხვარაშან და მასთან ერთად სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე და თითონ კი 700 მდიდრულად აღკაზმული კაცით წავიდა სტამბოლს. ეს იყო უკვე 1619 წ.. სულთანმა თეიმურაზი დიდის პატივისცემით მიიღო, მაგრამ ჯარის თხოვებაზე, ევროპაში ომებით უცალობის გამო, უარი უთხრა. დიდად დასაჩუქრებული მეფე წამოვიდა უკან.

ამასობაში შაჰ-აბაზმა ხვარაშან დედოფლის ასაკლებად გაუსია ჯარი ოლთისს თაბუნ-სულთანის და ამირგუნა-ხანის წინამძღოლობით, მაგრამ დედოფლის მცველ ჯარმა დაამარცხა სპარსელები და თითონ თაბუნ-სულთანიც ბრძოლაში მოკლა. ამასობაში თეიმურაზმა გამოიარა მცირე აზია, სადაც გზად მას რამოდენჯერმე მოუხდა შეტაკება ჯელალებთან—ოსმალთა სამსახურიდან დათხოვნილ ჯართან. ყველა ამ შეტაკებიდან მეფე გამარჯვებული გამოვიდა და მიაღწია მშვიდობით საათაბაგოს და დადგა თავისი ოჯახობით გონიას.

მას შემდეგ, რაც თეიმურაზმა ოსმალეთის იმპერიას შეაფარა თავი, შაჰ-აბაზმა ბრძანება გასცა დაესაჭურისებინათ თეიმურაზის შვილები ლევან და ალექსანდრე, რომელნიც სპარსეთის მთავრობის ხელში იყვნენ. ხოლო ქეთევანი დაეპატიმრებინათ შირაზის ციხეში. შემდეგ, რადგანაც ქეთევანი უარს ამბობდა მაჰმადიანობის მიღებაზედ, ამიტომ ის საშინელის წამებით მოკლეს 13 სექტემბერს 1624 წ.. ქეთევანი საქართველოს ეკლესიის მიერ წმიდანად არის აღიარებული.

ქართლის თავადების განწყობილება ურთიერთ შორის. ქართლის ბატონად დასმული ბაგრატ გარდაიცვალა 1619 წ.. მას დარჩა ძე სეიმონი, აგრეთვე მაჰმადიანი. ქართლის თავადები ახლაც განდგომილი იყვნენ სპარსელებისაგან და მხოლოდ ტფილისი და სომხით-საბარათიანო აღიარებდა სეიმონის უფლებას. ცენტრალურ მართველობის შერყევამ არივ-დარია ქართლის საქმეები. კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას ფეოდალებს შორის არსებული ინტერესთა წინააღმდეგობა, ხოლო ურთიერთ ხდომაც განსაკუთრებით ასუსტებდა ქვეყანას. საბარათიანოს დაპყრობა მოინდომა მეპატრონე გვარის წევრმა ყაფლანმა, რომელმაც ამოსწყვიტა თავისი მეგვარეები. მაშინ ძმისწული მისი ბარათა წავიდა ყაენთან, რომელმაც გამოგზავნა ჯარი, ყაფლანი მოაკვლევინა და საპატრონო კი ბარათას უბოძა. ასევე, ნუგზარ არაგვის ერისთავის სიკვდილის შემდეგ ერისთავად დამჯდარიყო ბაადური, რომელსაც აუჯანყდა ძმა მისი ზურაბ. მოურავის გიორგი სააკაძის შუამდგომლობით შაჰმა ერისთაობა უბოძა ზურაბს, რომელიც მოვიდა, დაიპყრა ბაზალეთი და თავისი ძმა. ბაადური გააგდო. ბაადური ცოლით წავიდა იმერეთს და შეეხიზნა საზვერელ ჩიჯავაძეს. ჩიჯავაძე დაუახლოვდა ბაადურის ცოლს და მისი თანხმობით მოაკვლევინა ერისთავი. ამისმა მსმენელმა ზურაბ შეკრიბა ჯარი,

სამცხით გადალახა ფერსათის მთა, დაეცა საზვერელს, მოკლა ის და მოკვეთა თავი. თავის ძმის ცოლს კი ვერა ავნო რა, რადგან მას ციხეში ასვლა მოესწრო. ზურაბმა შეჰკრა კავშირი საბარათიანოს სარდალთან ბარათა ბარათაშვილთან და მისი დახმარებით დაიმორჩილა მთიულ-მოხევენი. ზურაბი თანდათან ძლიერდებოდა და ამიტომ სვიმონმა დააპირა ყაენთან წასვლა, რომ შეეჩიელა მისთვის ქართლის თავადების ურჩობა. მაშინ ზურაბ ერისთავიც წავიდა შაჰ-აბაზთან, რადგან მისგან შესმენისა ეშინოდა. იქ დახვდა მათ მოურავი გიორგი სააკაძე, რომელსაც შაჰ-აბაზის სხვა-და-სხვა ლაშქრობაში ბაღდადსა და ყანდაარზე უკვე დიდად თავი ესახელებინა და ყაენის კარზე საზოგადოდ გავლენა მოეპოვა. შაჰმა სვიმონი დანიშნა ქართლის მეფედ, თან გამოატანა მოურავი და ზურაბ და აგრეთვე ყარჩი-ხანი სპარსელების დიდი ჯარით. სვიმონს ამასთანავე შაჰმა ცოლად მისცა თავისი შვილისშვილი, ასული ყორჩიბაშისა ჯანბანუმ.

რადგანაც სვიმონი ჯერ ძლიერ ახალგაზრდა იყო, ამიტომ მისი საქმეების მოსურნედ და მაშასადამე ქართლის ფაქტიურ გამგედ დაინიშნა გიორგი სააკაძე.

გიორგი სააკაძის ამბანყება. ყარჩი-ხანის ჯარში ირიცხებოდა 10—12 ხანი. ამ ჯარის სიდიდე ძლიერ უკვირდათ ქართველებს, მაგრამ მოურავმა და ზურაბმა დაარწმუნეს თავადები, რომ შაჰს არავითარი ბოროტი განზრახვა არ აქვსო. ნამდვილად კი შაჰს გარდაწყვეტილი ჰქონდა ბოლო მოელო სხვა-და-სხვა ამბოხებათათვის ქართლ-კახეთში მთელი ქვეყნის მთლად აწყვეტით და ქართველების მაგივრად თათრებისა და საზოგადოდ მაჰმადიანების დასახლებით. შაჰ-აბაზი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ამ გზით შესაძლებელი იქმნებოდა სპარსეთის ძალა-უფლების საბოლოოდ განმტკიცება ქართველების ტერიტორიაზე. ამიტომ ის არ ენდობოდა თვით მოურავსაც, რომელიც ეხლა ქართლში პირველობდა და თავისი ლოიალური პოლიტიკით ცდილობდა ქვეყნის დაწყნარებასა და მშვიდობიანობის ჩამოგდებას. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ქართლისა და კახეთის თავადნი სპარსელების მშვიდობიან ტაქტიკისა გამო საკმაოდ მინდობილნი იყვნენ, ყარჩი-ხანი შეუდგა, თანახმად სპარსეთიდან მიღებულ საიდუმლო ბრძანებისა, თავისი გეგმის შესრულებას. მუხრანის ახლოს, აღაიანის მინდორში მან დაიბარა კახეთის თავადები და ჯარი... სულ 12 ათას კაცამდის ვითომდა ყაენის წყალობის გამოსაცხადებლად და როდესაც თავი-კაცნი შეეიდნენ შემოვლებულს თეჯირში ხანის წინაშე წარსადგომად და ხალათების მისაღებად, მათ დაეცნენ მომარაგებულნი სპარსნი ჯარისკაცნი და დახოცეს მრავალი. დანარჩენთ იკრეს ხელი ხმალს, გამოვლეს ბრძოლით და გაიქცნენ კახეთს (1623 წ.). ამ ვერაგულმა თავდასხმამ კახელებზე და მათმა ამოხოცვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართლის თავადებში.

ამ დროს მოურავი ლოჭინის ხევში ნადირობდა, დაინახა მიმავალი

შიკრიკი, და შეიპყრა ის. შიკრიკს აღმოაჩნდა შაჰ-აბაზის ბრძანება ყარჩი-ხანის სახელზე მთლად კახეთის აწყვეტისა, ქართლის აყრისა და მოურავისათვის თავის მოკვეთის შესახებ. მოურავი ეხლა კი მიხვდა შაჰის ნამდვილს გულის წადილს, შიკრიკი მოკლა და იქვე დაფლა და თითონ კი სწრაფად წავიდა ზურაბ არაგვის ერისთავთან და წინადადება მისცა მას სპარსელების წინააღმდეგ აჯანყება მოეხდინათ. ზურაბი ჯერ ყოყმანობდა, რადგან ცოლი ისპაანში ყავდა, მაგრამ როდესაც მოურავმა ფეიქარ-ხანის ცოლის, ლელა ბატონიშვილის, ბაგრატის დის, შერთვა აღუთქვა, ერისთავმა გასწირა თავისი ცოლი ისე, როგორც გიორგი სააკაძემ თავისი ამ დროს სპარსეთში მყოფი შვილი პაატა. დაასკვნეს ღალატით სპარსელების ამოხოცვა და მათი საქართველოდან განდევნა. ამასთანავე მათ კავშირი გააბეს ოსმალეთთან, რომელიც ამ ჟამადაც სპარსეთთან მტრულ განწყობილებაში იყო. მოურავი ამის შემდეგ წავიდა ყარჩი-ხანთან და გამოითხოვა ნება-რთვა ქართლის თავადების შეყრის შესახებ ყაენის ბრძანებათა გამოსაცხადებლად. შეკრებილ თავადთ მოურავმა აუწყა საქმის გარემოება და მოუწოდა ქვეყნის დასაცავად. თავადებმა ერთხმად ფიცით აღუთქვეს საბრძოლველად გამოსვლა და საქმის ხელმძღვანელობა მიანდვეს მოურავსა და ზურაბ ერისთავს. შეთქმულობაში არ ღებულობდა მონაწილეობას წარჩინებულთა შორის მხოლოდ ანდუყაფარ ამილახორი, რომელიც ფრიად მაჰმადიანობდა, მას მეფის სვიმონ II-ის ცოლის-და ჰყავდა მეუღლედ და ამით ყაენსაც ენათესავებოდა. ამ მიზეზით თავადები მას ვერ ენდვნენ, დაიჭირეს და არშის ციხეში შეაგდეს. თავადებმა დასძრეს თავისი ჯარი. ყარჩი-ხანმაც შემოიკრიბა თავისი ლაშქარი, მოიშველია შირვანის და სხვა მხარეების ჯარიც და 30 ათასი კაცით გაემართა ქართველების წინააღმდეგ. მარტყოფის ახლოს მოხდა ბრძოლა. ქართველებს ეჭირათ მოხერხებული პოზიციები მაღლობებზე და მოულოდნელად დაეცნენ თავს სპარსელებს ვიწრო ხეობაში. ბრძოლა გათავდა სპარსელების საშინელი დამარცხებით. ქართველებმა შეუბრალებლად დახოცეს ყველანი, მხოლოდ მცირეოდენმა ნაწილმა (დაახლოვებით მეათედმა) მოასწრო გაქცევა (1624 წ.). მოურავმა თავისი ხელით მოკლა ბრძოლაში ყარჩი-ხანი, ხოლო მისმა შვილმა ზურაბმა ყარჩი-ხანის შვილი. ამავე ბრძოლაში დაიღუპა უსუფ შირვანის ხანი და სხვა ხანები და სულთნები. ქართველებს დარჩათ აუარებელი სიმდიდრე: ოქრო, ვერცხლი, თვალი, მარგალიტი. შემდეგ ერთი რაზმი მოურავმა გაგზავნა შიდა-ქართლს, მეორე ზურაბი ერისთავითურთ—კახეთს ლელა ბატონიშვილის შესაპყრობლად, ხოლო თვით მოურავი კი დაეცა ტფილისს და ალიო ის, ციხის გარდა. შემდეგ მოურავი გაეშურა კახეთისაკენ ზურაბის დასახმარებლად, მაგრამ ფეიქარ-ხანს უკვე მოესწრო თავისი ცოლის ლელა ბატონიშვილის წაყვანა. მოურავმა და ზურაბმა სდიეს მას ბარ-

დამდის, მაგრამ ვერ დაეწივნენ, მოარბიეს განჯა, ყარაბაღი და დიდის ალაფით დაბრუნდნენ უკან.

ამის შემდეგ კახეთის მეფედ თეიმურაზის მიერ მოწვეულ იქმნა თეიმურაზი, რომელმაც თავისი ასული დარეჯან მიათხოვა ზურაბ ერისთავს, ხოლო ქართლის გამგედ კი დადგენილ იქმნა ქაიხოსრო, ვახტანგ მუხრან-ბატონის ძე (1623 წ.). ფაქტიურად კი ქართლის საქმეების გამგე იყო ისევ მოურავი.

მარაბდის ომი. ქართლ-კახეთი ამ გვარად გადუდგა სპარსეთს. ამ ამბის მიღებისათანავე შაჰ-აბაზმა გამოგზავნა დიდი ჯარი ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით, რომელიც მივიდა და დაებანაკა მდ. ალგეთზედ. ქართველებმაც იწყეს შეკრება. კახ-ბატონი თეიმურაზიც თავისი ჯარით მოვიდა და დადგა კოჯორს. აქვე მიეიდა ათაბაგი მანუჩარ, ამას წინად სამცხიდან გამოქცეული, 300 კაცით და აგრეთვე საბარათიანოს სარდალი ბარათა ბარათაშვილი. უკანასკნელს ეშინოდა საბარათიანოს ჯარის გაფანტვისა, ქვეყნის მოოხრების შიშით, და ამიტომ მოითხოვა ომის დაჩქარება. მოურავისა და თეიმურაზის ბრძანებით ქართველები დაეცნენ სპარსელებს და დამარცხეს ისინი (ივნისს 1624 წ.). გაქცეულ სპარსელებს მარაბდის გორაზე შემოეყარა ერევნის ბეგლარბეგი ამირგუნა-ხანი დიდი ჯარით, გამოაბრუნა ის და ეკეთა ქართველებს. ამ დროს მოჰკლეს თეიმურაზ მუხრან-ბატონი, მაგრამ ჯარში ამაზე გავარდა ხმა კახბატონის სიკვდილის შესახებ, რამაც დიდი არევ-დარევა გამოიწვია და ჯარმაც გაქცევა იწყო. სპარსელები უკან მოეკვნენ ქართველებს და ხოცდნენ უწყალოდ. ამ ბრძოლაში დაიღუპა 18 ათასი სპარსელების ჯარიდან, 9 ათასი ქართლ-კახეთის ჯარიდან და კიდევ 900 კაცი მოუკლეს ზურაბ ერისთავს.

გიორგი სააკაძის ბრძოლა სპარსელებთან. გამარჯვებული სპარსელები მოვიდნენ ტფილისს და განამტკიცეს ისევ სვიმონ II-ის უფლება. მოურავი კი წავიდა ზემო-ქართლს, ხერგავდა გზებს, ამაგრებდა ქვეყანას სპარსელების წინააღმდეგ და წვრილ-წვრილ ბრძოლით ცდილობდა მათთვის რაც შეიძლება მეტი ზიანის მიყენებას. ამავე დროს ის სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც სპარსელებისა და მათ მიერ დადგენილის სვიმონ მეფის მომხრე იყო. ასე, ერთხელ მოურავი დაეცა ტფილისთან მოხერხებულს ადგილას სპარსელების რაზმს 60 კაცით და 700 კაცი გასწყვიტა. ანდუყაფარ ამილახორის გასანთავისუფლებლად ქსნის ხეობაში წასულს სპარსელების ჯარს უკან წამოსვლისას მოურავი დახვდა ქსნის ბოლოს და მუსრი გაავლო. სპარსელების ამ ჯარს მეთაურობდა ბაგრატიონი ხოსრო-მირზა, შემდეგ როსტომ მეფედ ხმობილი.

ასეთ სხვა-და-სხვა თავდასხმათა გამო სვიმონი ტფილისიდან ვერ გამოდიოდა, ხოლო მოურავმა და ზურაბ მოიყვანეს ისევ ქაიხოსრო მუხრან-ბატონის ძე და დასვეს ქართლის გამგედ. სომხით-საბარათიანო კი ისევ სვიმონ მეფეს ემორჩილებოდა. მაგრამ ამ ნაწილშიდაც მოურავი

განაგრძობდა სპარსელებზე თავ-დასხმას. მოურავი დაეცა სომხითის მელიქს ათაბეგს და ზაქუმს, მაგრამ ვერ დაიჭირა, მხოლოდ მათი ოჯახი ჩაიგდო ხელში. ქაიხოსრო ბარათაშვილს ბირთვისის ციხეში ხუთასი სპარსელი მეთოფე დაეყენებინა. მოურავმა შეიპყრო ქაიხოსრო, მოაცემინა ხუთასივე ყიზილბაში და ყველას თავი გააგდებინა.

მოურავის გაქცევა ოსმალეთს და მისი იქ სიკვდილი. სპარსელებთან ბრძოლას აძნელებდა ის გარემოება, რომ ქართლის უწარჩინებულეს თავადებს შორის წარმოებდა დროგამოშვებით შინაური ბრძოლა და უთანხმოება. გამაჰმადიანებულმა ანდუყაფარ ამილახორმა შესწამა ღაზნელს მონაწილეობის მიღება მისი თავადების მიერ შეპყრობის საქმეში. ქსნის ერისთავთან შეთანხმებით ორნივე დაეცნენ ღაზნელს, ამოსწყვიტეს ეს გვარი სრულიად და გაიყვეს თვის შორის ღაზნელთა საგვარეულო მამული. შემდეგ ზურაბ ერისთავიც გადუდგა მოურავს, თავისს ძმას გიორგის დასწამა საერისთოს დაპყრობის სურვილი და თვალები დასთხარა მას. ამასთანავე მოიყვანა კახ-ბატონი თეიმურაზ და მოინდომა მისი ქართლში გამეფება. ამისმა მსმენელმა მოურავმა შემოიკრიბა ჯარი ქართლიდან, ითხოვა შემწეობა იმერთა მეფის გიორგისა და ახალციხის საფარ-ფაშისაგან და ქაიხოსრო ქართლის გამგესთან ერთად დაეცა თეიმურაზსა და ზურაბს დუშეთს. ბრძოლამ, რომელიც მოხდა ბაზალეთს, ისეთი სასტიკი ხასიათი მიიღო, რომ არ დარჩენილა დაუპრელი არც ერთი კაცი, დაიპრნენ თვით მეფე თეიმურაზ, მოურავი და ზურაბ. მოურავი და ქაიხოსრო დამარცხდნენ და წავიდნენ სამცხეს (1626 წ.), ხოლო იქიდან სტამბოლს. აქ ისინი შევიდნენ სულთანის სამსახურში. 1628 წ. ივნისში მოურავმა მიიღო სუნიტობა და იწოდა მაჰმად-ბეგი. ამის შემდეგ ის ღებულობდა მონაწილეობას ოსმალეთის სხვა-და-სხვა ლაშქრობაში, ხოლო უკანასკნელ ბინადრობდა კონიას. მალე მოურავი და მასთან მყოფი 41 ქართველი შესმენილ იქმნენ დიდი ვეზირის წინაშე, რის შემდეგ ანატოლიის ბეგლარბეგს ებრძანა მათი შეპყრობა. მოურავი, მისი შვილი ზურაბ, ქაიხოსრო მუხრან-ბატონის ძე და სხვანი მიიყვანეს დიდი ვეზირის კარავის წინაშე. მოხუცი მოურავი ამ დროსაც ისეთი უშველებლის ტანის და ღონის იყო, რომ მას ეძახდნენ ბუღას. ყველა ისინი გადასცეს ჯალათს და სიკვდილით დასაჯეს (1629 წ. ივლ.).

გიორგი სააკაძე იყო ნამდვილი შვილი იმ საშინელ არევ-დარევისა, რომელიც გამძლავრებულ სპარსეთისაგან განიცადა უკან დახევის გზაზე დამდგარ აღმოს. საქართველომ ყაენების და ხონთქრების ურთიერთ შორის მეტოქეობის დროს წინა-აზიაში. სააკაძის ძლიერი ნების-ყოფის და მაღალნიჭიერი პიროვნება ვერ შეეგუა გავლენიან თავადების წრეს, რომელსაც მოურავი დაბადებით არ ეკუთვნოდა. მისი ენერგიით და მხნეობით ისარგებლა სპარსეთის მთავრობამ საქართველოსთვის დამღუპველ თვისს ზრახვათა განსახორციელებლად კახეთსა და ქართლში. განშორებული როგორც დინასტიას, ისე ფეოდალთა წრეს,

გიორგი სააკაძე არსებითად მარტოდ გრძნობდა თავს თვით მისი ცხოვრების საუკეთესო დროში, როდესაც მან ბრძოლა გამოუცხადა სპარსელებს და სიმარტოვეშივე დალია მან სული ოსმალეთში.

თეიმურაზი — ქართლ-კახეთის მეფე. ამასობაში ზურაბი მოუწიგდა სვიმონ მეფეს და გადუდგა თავისს სიმამრს თეიმურაზს. ამისი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ თეიმურაზი მეტს დამოუკიდებლობას იჩენდა და ამიტომ უფლება მოყვარული ერისთავი მას ვერ შეეწყო. სვიმონმა დაიახლოვა ზურაბი და თავისს მამას უძახდა. ამ დროს უკვე გარდაცვლილიყო შაჰ-აბაზ I († 1628 წ.) და თეიმურაზმა დააპირა სპარსეთს წასვლა სპარსეთის მთავრობასთან საბოლოოდ მორიგების მიზნით, რათა ამით ზურაბ ერისთავის მძლავრობისაგან თავი დაეხსნა. ამ გარემოებამ შეაფიქრიანა განლაღებული არაგვის ერისთავი. თეიმურაზის უკუნთან წასვლა ზურაბმა თავისთვის სასარგებლოდ არ დაინახა, წავიდა ცხვილობის ციხეში სვიმონ მეფესთან და მოკლა ის (1629 წ.), ხოლო თავი მისი წარუვლინა თეიმურაზს. ამის შემდეგ თეიმურაზი მივიდა ქართლს და ტფილისს და დაიპყრო იგი.

ამ გვარად თეიმურაზი გახდა ქართლ-კახეთის მეფედ. თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად მან გარდასწყვიტა იმერეთის სამეფო სახლთან დაახლოვება. ამავე დროს შიგნით ქართლში ზურაბ ერისთავი მეტად თავისუფლად გრძნობდა თავს და რადგანაც თეიმურაზს უკვე მისი ნდობა არ ჰქონდა განსაკუთრებით სვიმონ მეფის ვერაგულად მოკვლის შემდეგ, ამიტომ შეუჩინა მას კაცნი და მოაკვლევინა, ხოლო თავისი ქალი და მისი ცოლი დარეჯან მიათხოვა იმერეთის სამეფოს შემოსამტკიცებლად იმერთა მეფის გიორგი III-ის ძეს ალექსანდრეს.

თეიმურაზი ყოველის მხრივ ცდილობდა ქვეყნის შემომტკიცებას და თავისი უფლების განმკვიდრებას როგორც ქართლსა, ისე კახეთში. ქვეყანა ამ დროს, გამოვლილ აოხრებათა შემდეგ, მეტის მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო. თვით სამეფო სახლიც შევიწროვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი პრესტიჟიც ამიტომ, განსაკუთრებით ქართლში, მაღლა არ იდგა. ამასთანავე სპარსეთის მიმართ თეიმურაზს თავი საკმაოდ დამოუკიდებლად ეჭირა, თუმცა ხარკის გზავნის შეწყვეტას, აშკარა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ვერ ბედავდა. მაგრამ მალე ურთიერთობა სპარსეთის მთავრობასა და თეიმურაზს შორის მაინც გაუარესდა. თავისი მიზან შეწონილი ზომებით და თავადებთან დამყარებულ კარგ ურთიერთობით თეიმურაზი თანდათან მეტს სიმტკიცეს პოულობდა, რაც რასაკვირველია არ შედიოდა სპარსეთის მთავრობის ინტერესებში, რადგან თეიმურაზის გაძლიერება პროპორციულად უდრიდა ქართლ-კახეთიდან სპარსეთის სამსახურის დაკლებას. ბოლოს თეიმურაზი იმდენად მომაგრდა, რომ რამოდენიმე თავისი პრესტიჟის ასამაღლებლადაც გადავიდა გარეშე ლაშქრობაზე. ქართლ-კახეთის ჯარმა დალაშქრა ამ დროს, სხვათა შორის, ყარაბაღი.

სპარსეთის მთავრობა საზოგადოთ დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს თეიმურაზის გაძლიერებას, მაგრამ ჯერჯერობით არაფელ სერიოზულ ზომებს არ ღებულობდა, ცოტა ხნის შემდეგ სპარსეთს გადუდგა განჯის და ყარაბაღის ბეგლარბეგი გამაჰმადიანებული ქართველი დავით უნდილაძე, რომელიც ქართველ ბატონიშვილის ხოსრ-მირზის, დაუთ-ხანის ძის, მიზეზით შეურაცხყოფით განდევნილ იქმნა ყაენის კარიდან. დავით-ხანმა კავშირი შეკრა თეიმურაზთან, მასთან შეთანხმებით თავი გააგდებინა 700 კაცს ყაჯარის ელიდან და შემდეგ მოიწვია თეიმურაზი აზერბეიჯანის დასალაშქრებლად. თეიმურაზმა მოიშველია იმერეთის მეფის ჯარიც და 40 ათასი კაცით გაემართა ყარაბაღისკენ, საიდანაც მალე დიდძალი ნადავლით დაბრუდა უკან. თეიმურაზს იწვევდნენ თავრიზზე გასალაშქრებლადაც, მაგრამ ყაენის შიშით ეს წინადადება მან უარჰყო. ქართლში დაბრუნებისას მას მოჰყავდა თან როგორც დავით-ხანი, ისე აგრეთვე სპარსელებისაგან გადამდგარი სომეხთა კათალიკოზი, რომელნიც დაბინავებულ იქმნენ გორს. უნდილაძის ელიც შეეკედლა თეიმურაზს, რომელმაც დაასახლა ის იორის პირს. მაშინ სპარსეთის ყაენმა, შაჰ-აბაზ I-ის შვილის შვილმა შაჰსეფიმ გარდასწყვიტა თეიმურაზის თავიდან მოშორება, ქართლის ამფედ დანიშნა ბაგრატიონი ხოსრო-მირზა, ხოლო კახეთი კი ჩააბარა სალიმ-ხანს. ესენი დიდის ჯარით, რომელსაც მეთაურობდა სპარსეთის სპასალარი როსტომ საყაძე, მოვიდნენ ხუნანს. თეიმურაზი აპირობდა შებრძოლებას, მაგრამ როდესაც ბარათაშვილები და ზოგი სხვა თავადები გადავიდნენ სპარსელების მხარეს, მეფემ ომი ვერ შესძლო და თავისი ოჯახით და დიდი ამალით გადავიდა იმერეთს.

ხოსრო-მირზა მოვიდა ტფილისს და სალიმ-ხანი დადგა კახეთს.

თეიმურაზის მხარეზე გადასულ დავით უნდილაძის სპარსეთში მყოფი ნათესაობა კი ყაენის ბრძანებით თანდათან მთლად ამოხოცილ იქმნა. თვით უნდილაძე იძულებული გახდა ოსმალებთან გაქცეულიყო.

ამიერიდან სპარსეთის ბატონობას ქართლ-კახეთში მეტი სიმტკიცე მიეცა.

V.

ქართლ-კახეთის თავადების ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ.

როსტომ მეფე. ხოსრო-მირზა, რომელსაც გამეფებისას ეწოდა როსტომ მეფე, იყო უკანონო, სპარსეთში დაბადებული შვილი დაუთ-ხანისა. ახალგაზრდობისას ის აახლეს შაჰ-აბაზს, რომელმაც დანიშნა ხოსრო ქართველების ყულის ჯარში. მისი განდიდება დაიწყო დიდ-მოურავის გი-

ორგი სააკაძის სპარსეთში ჩასვლიდან. როდესაც ხოსრო-მირზა მივიდა სააკაძესთან სადარბაზოდ, მოურავმა სპარსელ ხანების თანადასწრებით, დიდი პატივი სცა მას, დასვა თავისს ადგილს და თითონ კი დაუჯდა მოშორებით. სპარსნი გაკვირვებულნი იქვნენ მოურავის ამ საქციელით, მაგრამ მოურავმა აუხსნა მათ ხოსრო-მირზის მაღალი შთამომავლობა, რომ ის არის ძე მისი ხელმწიფის, ქართველთ-ბატონისა. მოურავი მოიქცა ასე, რათა სპარსეთის მთავრობის თვალში აღემაღლებინა კიდევ ერთი ბაგრატიონი ლუარსაბ ქართლის მეფის საწინააღმდეგოდ. მართლაც, მოურავის და მისი მხლებელ ქართველების მიერ ხოსრო-მირზასადმი გამოხატულ ღრმა პატივისცემას მიაქცია ყურადღება შაჰ-აბაზმა, დაიახლოვა ის და მალე დანიშნა ყულარაღასად (მონათ-უხუცესად). შემდეგ როდესაც ქართველების ყულის ჯარმა თავი ისახელა შაჰ-აბაზის მიერ წარმოებულ მრავალს ლაშქრობასა და ომებში, ხოსრო-მირზასაც მეტი პატივი დაედო და სპარსეთის მთავრობასთან ფრიად მიჩნეულ პირად გახდა. შაჰ-აბაზ I-ის მეფობის უკანასკნელ წლებში ხოსრო-მირზა ისპაანის მოურავად დაინიშნა. როდესაც შაჰ-აბაზ I გარდაიცვალა, მან მის მემკვიდრეთა შორის სისხლის ღვრის ასაცილებლად, თავისი ყულის ჯარით გამოიყვანა ყაენის შვილის შვილი სეფი და მიუყენა მას მეფობა. ამით აიხსნება, რომ შაჰ-სეფი ხოსრო-მირზას დიდს პატივსა სცემდა და თავისს მამას უძახოდა.

ქართლის მეფედ დანიშვნისას როსტომი იყო უკვე 67 წლისა. როგორც რჯულით მაჰმადიანი და თავიდანვე სპარსულ წესზე აღზრდილი, ახალი მეფე დიდი მომხრე აღმოჩნდა ქართლში სპარსულ ცხოვრების ნორმების დამყარებისა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას. რომ სპარსეთში თითქმის მთელი თავისი სიცოცხლის გატარებას მასში მაინც ვერ აღმოეფხვრა ქართული შეგნება. მან ძლიერ კარგად იცოდა ქართული ენა და ქრისტიანული სარწმუნოებრივი გრძნობაც მისთვის უცხო არ იყო.

სპარსეთის გავლენის გაძლიერება. ტფილისს მოსვლისთანავე როსტომი შეუდგა ქვეყნის შემომტკიცებას. ტფილისს გარდა სპარსელების ჯარი მან დააყენა გორს, რომლის ციხე კვლავ განაახლა, და სურამს. როსტომს თან ჰყავდა წამოყვანილი მრავლად სპარსეთიდან გამაჰმადიანებული ქართველები, რომელთა შორის ბლომად იყვნენ წევრნი სხვადასხვა თავადების გვარეულობათა და ეს ძალა წარმოადგენდა მისთვის ფრიად სანდო ელემენტს. მართველობაში და სამეფო კარზე თანდათან დიდი გავლენა მოიპოვა სპარსულმა ენამ. სპარსეთიდან მოსულმა ქართველებმა თან ჩამოიტანეს სპარსული ზნე-ჩვეულება, ზნეობრივი აღვირ-ახსნილობა და აღმოსავლეთურ ყაიდაზე უზრუნველად და მხიარულად დროს გატარება. სახელმწიფო მართველობასაც დაეტყო სპარსული გავლენის გაძლიერება ხელისუფალთა ძველი ან ქართული სახელწოდების ახალ სპარსულისად შეცვლით. მაგალითად: სპასპეტს ამიერიდან საბოლოოდ დაუმკვიდრდა სარდლის სახელი, მონათ-უხუ-

ცესს ეწოდა ყულარაღასი, მსახურთ-უხუცესს — ყორჩიბაში, მანდატურთ-უხუცესს — ეშიყაღასი, მანდატურს — სოჰბათ-იასაული, ბოქაულს — ელიაღაჯი, ჩაჩნაგირს — სუფრაქეში, ჩუხჩერახს — სუფრაჩი, ეზოს მოძღვარს — ნაზირი, მესტუმრეთ-უხუცესს მეჰმანდარი, ხუროთ-მოძღვარს სარაიდარი და ასე სხვა თანამდებობის პირთ. უკვე მე-XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სვიმონ I-ის დროს შემოღებული იყო სპარსეთის კარის მიხედვით თანამდებობა ვეზირისა. მე-XVII საუკუნის პირველ მეოთხედში სვიმონ II-ის დროს შემოვიდა კიდევ თანამდებობა ვექილისა (მოადგილისა) და ამას კიდევ ეხლა მოემატა ზოგი კიდევ სხვა მეორე ხარისხოვანი და უფრო წვრილი თანამდებობაც. მაგალითად, მუსტაფი (ბეჭდის დამკვრელი სხვადასხვა აქტებზე), ყაფუჩი (ხელ-ჯოხიანი), უზბაში (ასისთავი) და სხ. როსტომამდი ქართველთ-ბატონების სასახლე იმყოფებოდა ტფილისს ისანის ციხეში, ხოლო მან გააშენა ახალი დიდი და მდიდრული სასახლე სპარსულ რიგზე მტკვრის პირას სიონსა და ანჩის-ხატს შუა, გადასახლდა იქ, და სასახლის წინ კარის ეკლესიასთან ერთად აღაშენა კარის მეჩეთიც. თავისი ძალაუფლების დამყარებისას როსტომ მეფე აგრეთვე ემყარებოდა ყაენის კარს. ზოგი დიდი ხელისუფალი მის დროს ღებულობდა ჯამაგირს ყაენის კარიდან. ამ გვარივე საშუალებით ცდილობდა მეფე იმ დიდ თავადების ალაგმვას, რომელნიც მას პირველად ურჩობას უცხადებდნენ, მაგრამ შემდეგ იძულებული იყვნენ მის წინაშე ქედი მოეხარათ. მეფე ამ გვარად ხელს უწყობდა, რომ ქართლის თავადები მეტს დამოკიდებულებაში ყოფილიყვნენ სპარსეთის მთავრობისაგან, რათა ამით მათ მეტი მორიდება ჰქონოდათ მისი, როგორც შაჰის უზენაეს უფლების წარმომადგენელისა ტფილისში.

როსტომიდან გამკვიდრდა ქართლში მაჰმადიან მეფეების ბატონობა, რომელიც გაგრძელდა ამის შემდეგ კიდევ ერთი საუკუნე. ამიერიდან აღმ. საქართველო უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა სპარსეთს. მეფეები ინიშნებოდნენ შაჰის მიერ და ატარებდნენ სპარსეთში კვლავინდებურად ხანის სახელს, ქვეყანას კი ისინი განაგებდნენ როგორც შაჰის მოადგილენი (ვალი, ჯანიშინი). ეს გარემოება მაინც არ უშლიდა მათ მეფის ტიტულის ხმარებას ადგილობრივ, საქართველოში. მეფენი აგზავნიდნენ ყაენის ხაზინაში ყოველ წლიურხარკს, ხოლო პირადად ყაენისთვის ცალკე საჩუქრებს და აგრეთვე მონებს — ქალ-ვაჟთ.

ფეოდალები და სპარსელების ბატონობა აღმ. საქართველოში. როსტომ მეფის პოლიტიკას და საზოგადოდ სპარსულ გავლენის დამყარებას წინააღუდგნენ ქართლის ფეოდალები. ამ დროს წარჩინებული გვარეულობანი ქართლში იყვნენ: სამეფო დინასტიის უმცროსი შტო შუხრან-ბატონის სახლი, ქსნის და არაგვის ერისთავის სახლი, ამილახორისა, ციციშვილისა და ორბელიშვილის სახლნი. ამ გვარეულობათა თავი-ბატონები უდგნენ სათავეში ქართლის თავადებს, რომელთა ხელში იყო, მეფის გარეშე, მთელი ქართლის მოსახლეობა და ძალა. ქართლის

ფეოდალებს ეშინოდათ, რომ მეფის გაძლიერება, სპარსელების დახმარების წყალობით, შეარყევდა მათს მძლავრებას და ამიტომ ისინი ენერგიულად გამოდიოდნენ მეფის წინააღმდეგ. მაგრამ რადგან მეფენი მაჰმადიანობისადმი იყვნენ მიდრეკილნი და ამასთანავე მთლად გარეშე ძალას — სპარსეთს ეყრდნობოდნენ, ამიტომ ფეოდალების ბრძოლა მეფეებთან ღებულობდა ეროვნულ თავისუფლებისა და ქრისტიანობისათვის ბრძოლის ხასიათს. წოდებრივ და პირად ინტერესებს ამგვარად ეძლეოდა იდეური ელფერი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალების ჯგუფს ასუსტებდა შიგნით მათ შორის არსებული უთანხმოება. თითქმის არასოდეს ისინი ერთად არ გამოდიოდნენ. ზოგი მათგანი არჩევდა პირადი სარგებლიანობას ან ვინმესადმი მტრობის მიზეზით მოწინააღმდეგის ბანაკში გადასვლას. საზოგადოდ მათ მოქმედებაში ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინტრიგებს, შურიანობას და სხვა პირად ზრახვებს.

ასეთივე ხასიათი ჰქონდა სპარსელების მართველობასთან ბრძოლას კახეთში, სადაც აგრეთვე ფეოდალები ხშირად გამოდიოდნენ სპარსთა წინააღმდეგ.

ფეოდალები გამოდიან როსტომ მეფის წინააღმდეგ. ქართლში შემოსვლისთანავე როსტომი შეუდგა თავისი ძალა-უფლების განმტკიცებას. მისთვის ფრიად საშიში მოწინააღმდეგე იყო თეიმურაზ მეფე, რომელსაც იმერეთიდან კავშირი ჰქონდა გაბმული ქართლის დიდებულ თავადებთან. რადგანაც თეიმურაზი თავისი ქალის იმერეთის ტახტის მემკვიდრეზე გათხოვებით დაემზახლა იმერთა მეფეს, ამიტომ როსტომმა თავისს მხრივ მოინდომა დამოყვრება ოდიშის მთავართან, ლევან II დადიანთან, რომელიც შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო იმერეთის მეფისა და შეირთო ცოლად მისი და მარიამი, გურიელის ნაცოლარი. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დააჩქარა ქართლის ფეოდალების გამოსვლა როსტომის წინააღმდეგ, რადგან მეფის გაძლიერება თანდათან ართულებდა მათს მდგომარეობას.

რადგანაც სპარსეთის გავლენის მოწინააღმდეგე თავადების თვალში ტახტიდან გადაყენებული თეიმურაზ მეფე ამ დროს წარმოადგენდა ალმოს. საქართველოს ბრძოლის განსახიერებას თვითმყოფობისა და თავისუფლებისთვის, ამიტომ ქართლის თავადებმა გარდასწყვიტეს როსტომ მეფე თავიდან მოეცილებინათ და ისევ თეიმურაზი გაებატონებინათ. ამ მოძრაობაში მონაწილენი იყვნენ: არაგვის ერისთავი დათუნა, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, ქაიხოსრო ბარათაშვილი, იესე ქსნის ერისთავი, გიორგი გოჩაშვილი-ბაგრატიონი, კათალიკოზი ევდემონ დიასამიძე. პირველად როსტომ მეფემ მოინდომა დათუნა ერისთავის დასჯა, შეკრიბა ჯარი და მივიდა მუხრანს, საიდანაც გამოელაპარაკა ერისთავს, მაგრამ რადგანაც მან უარი განაცხადა როგორც დამორჩილებასა, ისე ყაენის კარს წასვლაზედ, ამიტომ მიუჩინა მას გაბაშვილი და თურქისტანიშვილი და მოაკვლევინა (1635 წ.). ერისთავის თავი მეფემ გაუგზავნა შაჰს,

თითონ კი გაემართა დუშეთისაკენ. დათუნას ადგილი საერისთოში დაიჭირა მისმა ძმამ ზაალმა, რომელიც იყო გატაცებული მამულიშვილი და ქრისტიანობისათვის მედგარი მებრძოლი. ზაალმა, როგორც საერისთაოს მემკვიდრემ, შეკრა სიმაგრენი და დაიწყო ბრძოლა. როსტომი ვერას გახდა და იძულებული იყო ტფილისს დაბრუნებულიყო. მაშინ ზაალ ერისთავმა შეკრა პირი იესე ქსნის ერისთავთან და სხვა თავადებთან და მოუწოდა თეიმურაზ მეფეს იმერეთიდან. თეიმურაზი მივიდა დუშეთს და იქიდან ცდილობდა ქართლის დაპყრობას, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან როსტომს თან ჰყავდა ძლიერი ჯარი სპარსელებისა და გარდა ამისა ყაზახ-შამშადილის და ლორის ხანები თავიანთი ჯარით თავიდანვე შაჰის ბრძანებით მისს განკარგულებაში იყვნენ. ქართველ თავადებშიც როსტომმა უკვე მოახერხა ზოგ გავლენიან პირთ თავისკენ გადაბირება. მაგრამ ყველაზედ უფრო მისანდო მისთვის იყვნენ საკაძენი და განსაკუთრებით დიდ მოურავის შვილი იორამ, რომელიც მან, გიორგი საკაძის მიერ მისდამი გაწეულ სამსახურის სამუქფოდ, მოაყვანია არზრუმიდან და თავისთან ამყოფებდა დიდის პატივით.

ნოდარ ციციშვილის დამარცხება. როსტომის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეთ გარდასწყვიტეს მცხეთას თავიანთ ჯარით თეიმურაზს შეყროდნენ. მაგრამ მოძრაობის ერთმა მთავარმა მონაწილემ ნოდარ ციციშვილმა არ დაუცადა თეიმურაზისა, ერისთვებისა და ამილახორის შეყრას და სახელითვის სამარტოოდ გამარჯვება მოინდომა. ციციშვილი თავისი ჯარით ამოვიდა საჯავახიანოში და დადგა ხოვლეს. შუადღისას ეს ამბავი ტფილისში მოუვიდა მეფეს და მაშინვე მან ქალაქის მოურავს უბრძანა: ქალაქში მყოფ. ქართველთ, თათართა და სომეხთ გამოუცხადეთ, ვინც ცხენის მყოლებელია, მზად იყვეს. ქანარის დაკვრისას სწრაფად წავიდნენ და მცხეთის საბაჟოსთან დაგვიხდნენო. ვინც არ წამოვა, თავი მოჰკვეთეთ და მისივე ცხენით მამწყივეთო. საღამოს ქანარის დაძახებისას ჯარი გავიდა მცხეთისაკენ, მთელი ღამე იარა და დილას მიადგა ხოვლეს. მეფეს ურჩევდნენ მოულოდელად თავ-დასხმას, მაგრამ მან უარი განაცხადა: მინდა ჩემს ყმაზე ღვთის სამართალი გავსინჯო, თუ რომელი ვსტყუით. და ამიტომ პირდაპირ შევებმიო. გაიმართა ომი. ციციშვილი დამარცხდა, ჯერ ვერის ციხეში გაიქცა, ხოლო იქიდან ზოვრეთის ციხეში გამაგრდა. მასთან მყოფ თავად-აზნაურები და მათი კაცები ზოგი გაიქცა და ზოგი როსტომს ჩაუვარდა ტყვედ.

ნოდარ ციციშვილის უდროოდ გამოსვლამ და მისმა დამარცხებამ არიე-დარია შემთქმელთა გეგმა. იოთამ ამილახორი არაგვის საერისთოში წავიდა, ქაიხოსრო ბარათაშვილი ტფილისში შეიპყრეს და ღამით კოშკიდან გადააგდეს. მეფე ჯარით მიადგა ციციშვილს ზოვრეთის ციხეში, დაუშინა ზარბაზნები, მაგრამ ძალით ვერ აიღო. მხოლოდ რამოდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ციხის მცველ ჯარში შინა-გამცემნი

გაჩნდნენ, ნოდარმა ამჯობინა მეფეს დანებებოდა და ძველი ჩვეულებისამებრ როსტომთან შესახვეწრად თავისი დედა კახეთის ბატონიშვილი გამოგზავნა. მეფემ ბატონიშვილი პატივით მიიღო, ფეშქაშიც მიართვა. მისი შუამდგომლობა შეიწყნარა და ნოდარს უვნებლობის საფიცარი გაუგზავნა. ნოდარი გამოვიდა ციხიდან და წავიდა ახალციხეს.

თეიმურაზის ისევ გამეფება კახეთს. ნოდარის დამარცხების შემდეგ თავადებმა ქართლში როსტომ მეფის წინააღმდეგ ბრძოლას დროებით თავი მიანებეს და მთავარი ყურადღება კახეთს მიაპყრეს: არაგვის და ქსნის ერისთავნი გადავიდნენ კახეთს, თან წაიყვანეს თეიმურაზ მეფე და გადევნეს სალიმ-ხანი. თეიმურაზი კვლავ გაბატონდა კახეთს 1636 წ. როსტომის მოწინააღმდეგე ელემენტებს ამით მოემატა ახალი ძალა.

თეიმურაზი შეუდგა თავისი აოხრებულ ქვეყნის გაშვებლობას და ცდილობდა განსაკუთრებით რუსეთთან კავშირის გაბმით თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თეიმურაზის ურთიერთობა რუსეთთან. რუსეთთან მოლაპარაკებას თეიმურაზის სახელით აწარმოებდა მის მიერ ელჩად გაგზავნილი მიტროპოლიტი ნიკიფორე. გვარით ერუბაქიძე-ჩოლაყაშვილი. ნიკიფორე იყო ფრიად განათლებული კაცი, შეუძლია რამოდენიმე ენისა, რის გამო მას ხშირად ანდობდნენ დიპლომატიურ ხასიათის მოლაპარაკებებს უცხო სახელმწიფოებთან. ნიკიფორე ნამყოფი იყო დასავლეთ ევროპაშიაც, სადაც რომს ყოფნის დროს მან მიიღო მონაწილეობა ქართულ ასოების ჩამოსხმასა და ქართულ-იტალიანურ ლექსიკონის გამოცემაში. ეს ლექსიკონი დაიბეჭდა რომს 1629 წ.

ნიკიფორე მიტროპოლიტის საშუალებით თეიმურაზი სთხოვდა რუსეთის მეფეს კახეთის სამეფოს მიღებას თავისს მფარველობაში და გარეშე მტერთა—განსაკუთრებით აზავებულ ლეკთა—წინააღმდეგ დახმარების გაწევას. თეიმურაზი აგრეთვე ჩივოდა სპარსთა მძლავრებას საქართველოში და ქრისტიანობის შევიწროებულ მდგომარეობას კახეთის მოსაზღვრე ქვეყნებში. თეიმურაზის შუამდგომლობის პასუხად რუსეთის მეფემ 1637 წ. გამოგზავნა თავისი საელჩო თავ. ვოლკონსკის მეთაურობით, რომელმაც შემდეგ წელს არაგვის საერისთაოს გზით მიაღწია კახეთამდის. ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ 1639 წლის დასაწყისს თეიმურაზმა თავისი შვილთან, დავით ბატონიშვილთან, ეპისკოპოსებთან და თავადებთან ერთად მიიღო ფიცი რუსეთის მეფის ერთგულობაზე და ხელი მოაწერა სათანადო აქტს. რუსეთის ელჩებმა ქვეყანა ნახეს მეტის მეტ ცუდ მდგომარეობაში. ყველგან ისინი ხვდებოდნენ ნანგრევებს. ნამოსახლი ადგილები ამ დროს უკვე დაფარული იყო ტყით. გაპირვება იმდენად დიდი იყო, რომ სამეფო კარი ხშირად საელჩოსაც ვერ აწვდიდა ჯეროვან და დამაკმაყოფილებელ რაოდენობის სანოვაგეს.

რუსეთის მფარველობაში შესვლამ კახეთს ვერაფერი გაუმჯობესება მოუტანა. რუსეთის ინტერესები ამ დროს ძლიერ დაშორებული

იყო საქართველოზე, და ამიტომ მოსკოვის მთავრობა თუმცა ურთიერთობის კავშირს არ სწყვეტავდა საქართველოს სამეფო-სამთავროებთან, მაგრამ რეალურ დახმარებას ვერ იძლეოდა. ამ მიზეზით საქართველოს სამეფო-სამთავროებსა და რუსეთს შორის კავშირს ამ დროს უფრო პლატონიური ხასიათი ჰქონდა. რუსეთი განსაკუთრებით ინტერესს იჩენდა ქრისტიანობის მდგომარეობისადმი საქართველოში და ყოველს თავისს საელჩოში აგზავნიდა სასულიერო პირთაც ადგილობრივ საეკლესიო ცხოვრების გასაცნობად. პოლიტიკური შედეგები კი რუსეთთან ურთიერთობის დაჭერისა ამ დროს კიდევ უმნიშვნელო იყო.

ახალი შეთქმულობა ქართლის ფეოდალებისა. თეიმურაზი ეხლა ქართლის დიდებულ თავადებმა აშკარად დაუპირდაპირეს როსტომ მეფეს. პირველი იყო მათ თავში საქართველოს თვითმყოფობის, მეორე კი სპარსეთის ბატონობის წარმომადგენელი. ამიტომ თავადები კვლავ ემზადებოდნენ როსტომის წინააღმდეგ ახალ გამოსვლის მოსაწყობად. მიზეზიც მალე გაჩნდა.

რადგანაც როსტომს შვილი არ ყავდა, ამიტომ მან შუამდგომლობა აღძრა შაჰის წინაშე თავისი ბიძაშვილის თეიმურაზ-მირზის შვილის ლუარსაბის ქართლის მემკვიდრედ დანიშვნის შესახებ. ლუარსაბი მაჰმადიანი იყო და სპარსეთში იზრდებოდა, ამიტომ ყაენმა ამაზე თანხმობა განაცხადა. ქართლის ფეოდალები ამით ძალიან უკმაყოფილო დარჩნენ, რადგანაც ამით სპარსულ გავლენას და მაჰმადიანობასაც ქართლში ახალი სიმტკიცე ეძლეოდა. ამიტომ თავადებში კვლავ აღიძრა საკითხი თეიმურაზ მეფის ქართლში გაბატონების შესახებ. ამ ხანად თავადები უფრო ფრთხილად იქცეოდნენ და როსტომის წინააღმდეგ ბაგრატიონთ გვარის ბატონიშვილი გიორგი გოჩაშვილი შეაგულიანეს და მას გამეფებას დაპირდნენ. მათი საბოლოო მიზანი იყო ისევ თეიმურაზის გამეფება, მაგრამ ჯერ ხნობით გოჩაშვილის თავისდა სასარგებლოდ გამოყენება უნდოდათ. შეთქმულობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ერისთავები, რევაზ ბარათაშვილი, ივანე და ზურაბ საააკაძენი, ევდემონ კათალიკოზი, სომხითის მელიქი ყორხმაზ-ბეგ და სხვანი. გარდაწყვეტილი იყო სოფ. ცხირეთს ცოტა კაცით მდგარ როსტომზე მოულოდნელად თავ-დასხმა და მისი მოკვლა. უკანასკნელ წუთში სომხითის მელიქი შეშინდა, დადებულ ფიცს ყურადღება არ მიაქცია და როსტომ მეფეს ყველაფერი აცნობა. თავადები უშიშრად გორს მივიდნენ, სადაც მოულოდნელად მათ დახვდა ჯარით როსტომ მეფე, შემთქმელთ ერთი ნაწილი თავიანთ კაცებით ტყვედ შეიპყრა, სხვები კი გარდაიხვეწნენ. თეიმურაზ მეფეც, ქართლს შემოსული, იძულებული გახდა კახეთს დაბრუნებულიყო. შეპყრობილთა შორის როსტომმა გიორგი გოჩაშვილისათვის თვალები დაათხრევინა, ხოლო კათალიკოზი ტფილისში გაგზავნა და ციხის კოშკიდან გარდააგდებინა. იოთამ ამილახორს შეუმუსრა ცხვილოსის ციხე, გვემით დასაჯა და შემდეგ ფიცის ქვეშ გაუშვა.

ფეოდალები ამ გვარად დამარცხდნენ. ცხადი იყო, რომ აშკარა შებრძოლებით როსტომ მეფესთან. არა გამოდიოდა რა ქვეყნის აოხრებისა და თვით მათი საკუთარი ძალთა დაქსაქსვის მეტი და ამიტომ მათ არჩიეს მორიგების გზაზე დადგომა. ზაალ არაგვის ერისთავმა და იოთამ ამილახორმა სთხოვეს მეფეს ყაენთან წასვლის ნება, რაც როსტომს ფრიად სასიამოვნოდ დაურჩა და ორნივე დიდის საჩუქრებით ისპაანს გაისტუმრა. შაჰმა ისინი დიდის პატივისცემით მიიღო, ერისთავს უბოძა 500 თუმანი, ხალათი, ოქროთი შეკაზმული ცხენი, 15 სოფელი უაზმინს ახლო, ამილახორს 50 თუმნის ჯამაგირი, აგრეთვე ფული, ხალათი და ოქროთი შეკაზმული ცხენი. ყაენმა გამოუშვა მათთან ერთად ყველა ტყვედ მყოფნი ქართველები და დიდის პატივით მეჰმანდარის თანხლებით გამოისტუმრა. როსტომისთვის კიდევ მათ ყაენისაგან მოჰქონდათ წყალობის ნიშნად ხალათი და ოქროთი შეკაზმული ცხენი. სამშობლოში ჩამოსვლისას მეფე მათ. გაეგება დიდის ამალით შორს ქალაქიდან. ერისთავმა და ამილახორმა დიდს მანძილზე დაიქვეითეს და მეფეს, ცხენზე მჯდომს, ავაჟანდას აკოცეს. მეფე ცხენიდან ჩამოხტა, ყაენის ნაბოძები ხალათი ჩაიცვა და დიდის ამბით და შადლუხით ქალაქში შემოვიდა.

თეიმურაზ მეფის განდევნა კახეთის სამეფოდან. ქართლის ფეოდალების თავ-კაცების—ზაალ არაგვის ერისთავისა და ამილახორის შემორიგებამ დაასუსტა მეფის მოწინააღმდეგეთა ძალა და განამტკიცა როსტომის უფლება ქართლში. თეიმურაზი ამის შემდეგ განმარტოებული დარჩა. როსტომი ედავებოდა მას თავისი ძმისწულის სეიმონ მეფის სისხლს, რომლის და აგრეთვე სხვა სადავო საკითხების გარდაწყვეტამდის თეიმურაზს ქართლის მეფისთვის დადებული ჰქონდა წინდად 3 სოფელი. ზაალ არაგვის ერისთავის როსტომთან შემორიგების შემდეგ ურთიერთობა ორივე მეფეს შორის კიდევ უფრო გამწვავდა, თეიმურაზს მიწერ-მოწერა ჰქონდა თავისს სიძესთან — იმერეთის მეფესთან როსტომის წინააღმდეგ სამოქმედოდ, და როდესაც კიდევ კახ-ბატონმა ქართლის მეფეს წინდათ მიცემულ სოფლებიდან მოხელეები გამოუყარა, მაშინ როსტომმა გარდასწყვიტა კახეთის წინააღმდეგ გალაშქრებულიყო. ბახუტა-ბეგ მუხრან-ბატონი როსტომმა ჯარით გაგზავნა თიანეთზე, სადაც იდგა თეიმურაზი, ხოლო ამავე დროს სპარსელების ჯარი მიადგა მაღაროს, სადაც მათ დახვდა კახელებით თეიმურაზის შვილი დავით ბატონიშვილი. თეიმურაზი დამარცხდა თიანეთთან და ჩაიდა გარეთ-კახეთს და ამავე დროს დავით ბატონიშვილი მოკლეს სპარსელებმა ბრძოლაში და მისი ჯარიც განფანტეს. ულონო ქმნილმა თეიმურაზმა გამოგზავნა როსტომთან თავისი მეუღლე ხვარაშან დედოფალი და სთხოვა გზის დანებება იმერეთზე. მეფემ ძველი ჩვეულებისამებრ პატივი დასდო დედოფალს, ათხოვა თეიმურაზს ცხენები და ჯორები, თან გააყოლა კათალიკოზი და გაუშვა იმერეთისკენ (1648 წ.). დავით ბატონიშვილის და სხვა დახოცილ კახთა თაეები როსტომმა

გაგზავნა ყაენთან, თითონ კი დაიპყრო კახეთი, რომელიც დაუმტკიცა მას შაჰმაც.

კახეთი ეპირა როსტომს 1656 წლამდის. ამ წელს შაჰის ბრძანებით კახეთის მართველად დაინიშნა ისევ სალიმ-ხანი, რომელსაც განჯის სახანოც ებარა, ხოლო ერწო-თიანეთი კი მიეცა ზაალ არაგვის ერისთავს, რომელიც ამავე დროს დაინიშნა სალიმ-ხანის ვეზირად და, მაშასადამე, კახეთის ფაქტიურ გამგედ.

თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში როსტომი უკვე მეტის ყურადღებით ეპყრობოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, რაც რამოდენადმე მიეწერება აგრეთვე მისი მეუღლის, დადიანის ასულის მარიამ დედოფლის ზედგავლენას. მარიამ დედოფალი იყო კეთილ-სათნოიანი ადამიანი, გლახაკთა და დავრდომილთა მოწყალე, ეკლესიათა მაშენებელი. თვით როსტომ მეფე აგრეთვე ყოველთვის ზრუნავდა ეკლესიათა გამშვენიერებისა და გამდიდრებისათვის. 1656 წ. ჩამოიქცა მცხეთის ტაძრის გუმბათი, რომელიც მისივე ხარჯით აღდგენილ იქმნა. ალავერდის ტაძრის გუმბათიც აგრეთვე მის მიერ იქმნა გაკეთებული. აღსანიშნავია, რომ როსტომის ბეჭედზე მისი მეფობის უკანასკნელ წლებში გამოსახული იყო ჯვარი. ყველაფერი ეს ცხადი მაჩვენებელი იყო იმისი, რომ განსაკუთრებით თავისი მეფობის მეორე ნახევარში როსტომი, თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანი, მაინც უკვე თვალსაჩინოდ იხრებოდა ქრისტიანობისაკენ.

როსტომის მეფობის უკანასკნელ ხანში მეფის ერთს მთავარს საზრუნავს შეადგენდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. ბატონიშვილი ლუარსაბ, მემკვიდრედ დანიშნული, მოკლულ იქმნა ნადირობის დროს უცნობ პირის მიერ (1653 წ.). შიოშ ბარათაშვილმა ხელი დაადვა ბაადურ თუმანიშვილს, სარწმუნოებით სომხეთის ეკლესიის მიმდევარს, რამაც ორ ბანაკად გაჰყო ტფილისის ქართველობა და სომხობა. რადგანაც ბაადურ უარყოფდა დანაშაულს, ამიტომ ორივე შეაბრძოლეს ერთმანეთს სამართალზე. ორივემ თავთავიანთ საყდრები დაიარეს, ილოცეს და დანიშნულს დროზე ტფილისში მტკვრის მარცხენა ნაპირას გამოცხადდენ მეფის სასახლის პირდაპირ. სასახლის ახლოს მარჯვენა ნაპირიდან მეფე, ამალა, ლაშქარი და ხალხი უყურებდა შებმას. შემბმელნი, საომარ იარაღით ცხენზე ამხედრებულნი, დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს. შებმა გათავდა იმით, რომ თუმცა თუმანიშვილი დაიჭრა, მაგრამ ბარათაშვილი მაინც ჩამოაგდო ცხენიდან და სამართალიც მას დარჩა. ეს გასამართლება, ფრიად დამახასიათებელი თავისი დროისთვის, ამ გვარად გათავდა ბარათაშვილის დამარცხებით, მაგრამ ამით ბატონიშვილის მკვლელობა მაინც, რასაკვირველია, გამოურკვეველი დარჩა.

მეფემ ამის შემდეგ ტახტის მემკვიდრედ ითხოვა ჯერ ლუარსაბის ძმა ვახტანგ ბატონიშვილი, აგრეთვე გამაჰმადიანებული და სპარსეთში მცხოვრები, მაგრამ ეს ვახტანგიც მალე გარდაიცვალა და მაშინ ტახტის

მემკვიდრედ როსტომის შუამდგომლობით დანიშნულ იქმნა ბახუტა-ბეგ მუხრან-ბატონი, რომელსაც მიეცა ახალი სახელი ვახტანგი.

თეიმურაზის ბედი. კახეთიდან განდევნის შემდეგ თეიმურაზი ცხოვრობდა იმერეთს სკანდის ციხეში. 1661 წ. ქართლის მეფემ შაჰნავაზმა დალაშქრა იმერეთი და გამოიყვანა ის იქიდან. თეიმურაზმა ითხოვა მისი ყაენის კარზე გაგზავნა. დიდის პატივისცემით, ისპაანიდან სპეციალურად გამოგზავნილ მეჰმანდარის თანხლებით თეიმურაზი ყაენის ნებართვით გაგზავნილ იქმნა სპარსეთს, სადაც შაჰ-აბაზ II-მ მიიღო ის დიდის პატივისცემით, მაგრამ შემდეგ, რადგანაც თეიმურაზი უარს ამბობდა გამაჰმადიანებაზედ, ის დააპატიმრეს ასტრაბათს, სადაც მრავალტანჯული მეფე გადაიცვალა ზამთარს 1663 წ.

ასე დაამთავრა თავისი სიცოცხლე მე-XVII საუკუნის ერთ უკეთილშობილეს ქართველმა, დიდმა პატრიოტმა და მაღალ-ნიჭიერმა პოეტმა.

შაჰ-ნავაზი გამოცხადდა ქართლის მეფედ. ღრმა მოხუცებული როსტომ მეფე გარდაიცვალა 1658 წ. და მისს მაგივრად ყაენის მიერ მეფედ დამტკიცებულ იქმნა შაჰ-ნავაზად წოდებული ვახტანგ მუხრან-ბატონი. ყაენმა ამასთანავე თავისთან დაიბარა მარიამ დედოფალი. დედოფალმა გაუგზავნა შაჰს თავისი თეთრი თმა მოხუცებულობის დასამტკიცებლად და სთხოვა მისი ქართლში დატოვება. მაშინ ყაენმა უბრძანა შაჰ-ნავაზს მარიამ დედოფლის ცოლად შერთვა. მეფეც იძულებული იყო ეს ბრძანება შეესრულებინა, გაეყარა ყაფლან ბარათაშვილის ასულს როდამს, რომლისაგან ჰყავდა შვილები არჩილ, გიორგი, ლევან, და შეირთო ცოლად მარიამი.

შაჰ-ნავაზი სწორედ მეფობის შესაფერისი იყო. ჰკვიანი, მწერლობის კარგი მცოდნე, ბრძოლებსა და ომებში ფრიად გამოცდილი, თვითანაც მხნე და შემმართებელი. უხვი და იმავე დროს მრისხანე, გარეგნობით მაჰმადიანი, მაგრამ გულით კი ქრისტიანე. თუმცა შაჰ-ნავაზს სპარსეთის მთავრობა უმაგრებდა ზურგს, მაინც მას შიგნით სამეფოში თავიდანვე ბევრი დაბრკოლება შეხვდა. რადგანაც შაჰ-ნავაზი სპარსეთის მომხრედ ითვლებოდა, ამიტომ თავადები მისი წინააღმდეგი იყვნენ. ზაალ არაგვის ერისთავმა, რომელსაც ერწო-თიანეთიც ეპყრა, არ სცნო ის მეფედ, ჯერ კიდევ შაჰის ბრძანების მოსვლამდის შაჰ-ნავაზის მეფობის დამტკიცების შესახებ მივიდა ტფილისს და დადგა ავლაბარს ჯარით, რათა ხელი შეეშალა მისი გამეფებისათვის. უკმაყოფილებას შაჰ-ნავაზის წინააღმდეგ ბადებდა დიდ თავადთა წრეში ის გარემოება, რომ ახალი მეფე იყო წარმომადგენელი სამეფო სახლის უმცროსი შტოსი და ამიტომაც ფეოდალური ელემენტები მით უფრო მეტის ენერგიით ეწინააღმდეგებოდნენ მისს ხელში ძლიერ ძალა-უფლების დაამყარებას. როდესაც სპარსეთის მთავრობამ შაჰ-ნავაზი საბოლოოდ დამტკიცა მეფედ, ზაალ ერისთავი დაბრუნდა საერისთაოში, მაგრამ მხოლოდ მარჯვე დროს უცდიდა ახალ გამოსვლის მოსახდენად.

სპარსეთის მთავრობა არ იყო კმაყოფილი შაჰ-ნავაზსა და ზაალ ერისთავს შორის გამწვავებულ ურთიერთობით. შაჰმა სპეციალურად გამოგზავნა ტფილისში საფი-ყულ-სულთანი უსტაჯლუს ელისა ამ საქმის მშვიდობიანად მოსაგვარებლად ანდა ზაალის სპარსეთში წასაყვანად. მაშინ ზაალმა არჩია დიდის ამალით სპარსეთში წასვლა ყაენის კარზე თავის გასამართლებლად. ერისთავს ყველგან დიდის პატივისცემით ღებულობდნენ, ისპაანში მას მიუჩინეს ბინა პირველი ვეზირის ეტიმადოვლეს სასახლეში, უძღვნეს მრავალი საჩუქრები და საზოგადოდ დიდის ყურადღებით ეპყრობოდნენ. მაზანდერანში ნადირობად წასვლისას ზაალი ეახლა შაჰს. აქ მან თავისი ამალით მიიღო მაჰმადიანობაც, რის შემდეგ უხვად დასაჩუქრებული დაბრუნდა სამშობლოში.

დროებით ამ გვარად ზაალი შეურიგდა სპარსელების რეჟიმს. მაგრამ მშვიდობამ დიდ ხანს არ გასტანა.

თათრების დასახლება კახეთში. კახეთი ამ დროს ჩაბარებული ჰქონდა განჯის ხანს სალიმს, რომელსაც დავალებული ჰქონდა კახეთის დასახლება თათარ ელებით. განზრახული იყო ყოფილ კახეთის სამეფოს სხვა-და-სხვა ადგილას სამი მაგარ ციხის აშენება და აზერბეიჯანიდან და ყარაბაღიდან 50 ათასი კომლი თათრის ჩასახლება კახეთის სხვა-და-სხვა ადგილას. ამით სპარსეთის მთავრობას უნდოდა თავისი ბატონობა კახეთში სამუდამოდ უზრუნველ ეყო. განზრახულ გეგმის სავსებით შესრულება არ მოხერხდა, მაგრამ მაინც აზერბეიჯანიდან ამ მიზნით წამოყვანილ იქმნა 15 ათასი კომლი თათარი ჯევანშირისა, ბაიათ-არბატანისა და სხვა ელთა და ყველანი დასახლებულ იქმნენ—უმრავლესი კახეთის განაპირა ადგილას, ხოლო ნაწილი კი თვით შიგნით კახეთს.

თათრების ამოწყვეტა შიგნით კახეთში. კახეთის მომავალი ამ გვარად ამ დროს ქართველებისთვის ფრიად საბედისწერო ხასიათს ღებულობდა. ამ გარემოებამ ჩააფიქრა არა მარტო კახეთის თავადები, არამედ კახეთის ვეზირი ზაალ ერისთავიც, რომელიც ქართლის თავადებსაც სათავეში უდგა. ქართლის ფეოდალების ყურადღებას იქცევდა არა მარტო ქართლის მდგომარეობა, არამედ კახეთის საქმეებიც. სალიმ, კახეთის ხანი, ენერგიულად მოქმედებდა მაჰმადიანობის გასავრცელებლად. შიგნით კახეთს დასახლებულ თათრებს ჩაუვარდათ ხელში ბახტრიონი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი ადგილები, ეკლესიები დაანგრიეს ანდა საქონლის სამყოფელად გახადეს. თათრების ძალადობას თან ემატებოდა ლეკების თარეშები. ლეკნი კვლავინდებურად დას-დასად ეცემოდნენ სოფლებს და აოხრებდნენ ქვეყანას. ზაალ არაგვის ერისთავი თუმცა სალიმ-ხანის ვეზირად ითვლებოდა, მაგრამ სპარსელების პოლიტიკასთან ვერაფელს აწყობდა. როდესაც თათართა მძლავრება ყოველს საზღვარს გარდასცილდა, რაც გამოიხატა, სხვათა შორის, ერთი მღვდლის ყოვლად უგვანოდ შეურაცხყოფაში, მაშინ

ზაალ ერისთავმა იშიშვლა ხმალი, შემოიფიცა საერისთაო, თუშ-ფშავ-ხევსურნი, სუფრაჯი ბიძინა ჩოლაყაშვილი, ქსნის ერისთავი შალვა, ამისი ძმა ელიზბარ ერისთვისშვილი და ყველანი ესენი თავისი შვილის მეთაურობით თავს დაასხა ბახტრიონს თათართ, რომელნიც მთლად ამოსწყვიტეს. ამის შემდეგ ესეც ჯარი დაეცა თათართ ალავერდს და აგრეთვე შიგნით კახეთის სხვა ადგილებს და ყველგან მათ მუსრი გაავლეს ისე. რომ ძუძუ-მწოვარა ბავშვებიც არ დაუზოგავთ. შიდა-კახეთში ამ ნაირად მოსპეს ჩამოსახლებული თათრობა (1659 წ.). ყარაღაჯს მყოფი სალიმ-ხანი გაიქცა სპარსეთს, საიდანაც მალე წამოვიდა კახეთის ახალი ხანად დანიშნული მურთუზ-ალი ჯარით და შეუდგა სპარსელების ძალა-უფლების ხელახლავ დამყარებას კახეთში.

ზაალ ერისთავის სიკვდილი და ამისი შედეგი. ზაალ არაგვის ერისთავი განაგრძობდა შაჰ-ნავაზის წინააღმდეგ მოქმედებას. 1661 წ. შაჰ-ნავაზს საშუალება მიეცა დასავლეთ საქართველოში ატეხილ ანარქიისა გამო ლიხთ-იმერეთის საქმეებში ჩარეულიყო. შაჰ-ნავაზი იმერეთს გასალაშქრებლად დიდს მზადებაში იყო, მაგრამ ამ დროს ზაალ ერისთავმა ისარგებლა მეფის ძალთა იმერეთისკენ დაბანდებით და აჯანყება მოახდინა. შაჰ-ნავაზმა გადაიბირი თავისკენ ზაალის ძმისწულნი და დისწულნი, რომელთაც მოაკვლევინა დუშეთს მათი ბიძა. შაჰ-ნავაზმა ამით გაინთავისუფლა თავი ერთი თავის შინაურ მოწინააღმდეგისაგან, არაგვის ერისთავად კი ამის შემდეგ დანიშნულ იქმნა ზაალის ერთი მკვლელ ძმისწულთაგანი—ოთარი.

ამ ნაირად დაიღუპა ზაალი, ქართლ-კახეთის ცხოვრების ზედა-პირზედ ამ დროს ერთი შესანიშნავი პიროვნებათაგანი.

ზაალის სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო სპარსეთის მოწინააღმდეგე ფეოდალთა ჯგუფისათვის. ამ სიკვდილმა გაუადვილა შაჰ-ნავაზს ურჩ ქართლის ფეოდალების შემორიგების საქმე. მართლაც მალე ქართლის თავადები დაემორჩილნენ შაჰ-ნავაზს. კახეთის თავადებმაც ამის შემდეგ სპარსელებს მორჩილება გამოუცხადეს. ზაალის ტრაღიკულმა სიკვდილმა დააშინა აგრეთვე ქსნის ერისთავი შალვა, ზაალის სიძე და ძმა მისი ელიზბარ. ამიტომ ამათაც სპარსელებზე მინდობა გარდასწყვიტეს, მხოლოდ შაჰ-ნავაზთან მისვლას ისევ მურთუზ-ალი-ხანთან შერიგება არჩიეს. როგორც შალვა, ისე ელიზბარი და აგრეთვე ბიძინა ჩოლაყაშვილი სხვა თავადებთან ერთად ჩავიდნენ ხანთან ყარაღაჯს, მაგრამ იქ სამნივე შეპყრობილ და გაგზავნილ იქმნენ სპარსეთს ყაენთან, რომელმაც გადასცა ისინი კახეთში ამოწყვეტილ თათრების ელის მესისხლეთ. ამათგან 1661 წ. შალვა, ელიზბარ და ბიძინამ მიიღეს მოწამეობრივი სიკვდილი, რისთვისაც ისინი საქართველოს ეკლესიის მიერ შერაცხილ არიან წმიდათა შორის.

ამ გვარად შაჰ-ნავაზის მეფობის პირველს ხანშივე თავადები იძულებული გახდნენ ქედი მოეხარათ მისი და სპარსეთის წინაშე. შინაგანი

ბრძოლა და წინააღმდეგობა მეფისა და თავადებს შორის თვალსაჩინოდ მინელდა და ამის შემდეგ შაჰ-ნავაზს მეტი საშუალება მიეცა ეზრუნა თავისი ძალა-უფლების განმტკიცებისათვის ქართლში. დასავ. საქართველოს ლაშქრობამ 1661 წ., რომელიც გამოწვეული იყო იმერეთში ამ დროს ამტყდარ ანარქიით, შაჰ-ნავაზს მისცა დიდძალი სიმდიდრე. მთელი განძეულობა და ოქრო-ვერცხლეულობა იმერეთის სამეფო სახლისა, რომელიც ახლად გამეფებულს ოდიშის მთავარს ვამეყ დადიანს მიეთვისებინა, შაჰ-ნავაზმა წამოიღო ტფილისში. ქუთაისში კიდევ მან მეფედ დასვა თავისი უფროსი შვილი არჩილი. მართალია, არჩილი მალე გამოწვეულ იქმნა იმერეთიდან, რადგანაც ოსმალეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა სპარსეთს შაჰ-ნავაზის იმერეთს გალაშქრებისა გამო, მაგრამ საზოგადოდ ამ ძლევა-მოსილმა ლაშქრობამ ძლიერ ასწია შაჰ-ნავაზის ავტორიტეტი ქართლში. შაჰ-ნავაზი ამასთანავე იყო თავისი ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მუდამ მზრუნავი ხელმწიფე. თავისი სამართლიანი მართველობით მან ხელი შეუწყო წესიერ ცხოვრების დამყარებას თავისს სამეფოში და ქვეყანამაც რამოდენადმე მოღონიერება იწყო, მით უმეტეს რომ გარეშე საფრთხე, მართველ წრეების სპარსეთისადმი ლოიალურ ტაქტიკის წყალობით, უკვე აღარ არსებობდა.

ამავე დროს კახეთის მართვას კვლავინდებურად განაგრძობდა სპარსელი ხანი, მაგრამ რადგანაც კახეთის მთლად გათათრების პროექტი, თავადების წინააღმდეგობისა გამო, მაინც მარცხით გათავდა, ამიტომ სპარსეთის მთავრობა ეძიებდა ახალს საშუალებას თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად კახეთის ტერიტორიაზე ადგილობრივ გავლენიან წრეებთან შეძლების დაგვარად ნორმალურ განწყობილების დაჭერით.

არჩილის გამეფება კახეთში. კახეთი ამ დროს მურთუზ-ალი-ხანის მართველობის ქვეშ ძლიერ მოუსვენარ მდგომარეობაში იყო. კახეთის თავადების საუკეთესო ნაწილი, სპარსელების მძლავრებით თავ-მობეზრებული, ოპოზიციაში უდგა ხანს. ამასობაში თუშეთს მოსულიყო კახეთის ზოგ თაფი-ყაენების მიერ მოწვეული ერეკლე ბატონიშვილი, თეიმურაზ შეფის შვილისშვილი, 1648 წ. ომში მოკლულ დავითის ძე, რომელთანაც შეკრბენენ სპარსელებით უკმაყოფილო ელემენტები და იწყეს ბრძოლა ქვეყნის გასანთავისუფლებლად. შაჰ-ნავაზ მეფემ და კახეთის ხანმა აუწყეს ეს ამბავი ყაენს, რომელმაც ბრძანა ერეკლეს შეპყრობა ან განდევნა და ამისთვის დანიშნა შაჰ-ნავაზის განკარგულებაში ყაზახ-შამშადილის და ლორის ხანები თავიანთი ჯარებით. ერეკლე დამარცხდა და ბოლოს იძულებული შეიქმნა თორღას ციხეში ჩაკეტილიყო. ციხე უკვე უკანასკნელს მდგომარეობაში იყო და ამიტომ ერეკლეს დედამ ელენემ სთხოვა შაჰ-ნავაზს მათი გაპარება ციხიდან, რათა ამით იხსნას ისინი სპარსთ ტყვეობისა და გამაჰმადიანებისაგან. შაჰ-ნავაზმა პატივი დასდო ელენეს თხოვნას და გაუშვა ფარულად დედა-შვილი ციხიდან. ერეკლე წავიდა თუშეთს, ხოლო შაჰ-ნავაზმა დაიპყრო კახეთი (1664 წ.).

კახეთის არეულობებმა შთაბეჭდილება იქონია სპარსეთის მთავრობაზე, რომელმაც გაიწვია უკან სპარსელი ხანი და მის მაგიერად კახბატონად დანიშნეს არჩილი, შაჰ-ნავაზის ძე, რომელიც ამას წინად უკვე იმერეთს იჯდა მეფედ. არჩილი მასთან მყოფ გივი ამილახორთან და სხვა ქართველებთან ერთად გამაჰმადიანდა. მას მიეცა შაჰ-ნაზარ-ხანის სახელი, რის შემდეგ ის დიდის საჩუქრებით მოვიდა სპარსეთიდან კახეთს (1664 წ.).

არჩილი იყო კარგად აღზრდილი, ჩინებული მცოდნე და ფრიად მოყვარული ქართული ლიტერატურისა და საღმრთო წერილისა და ამასთანავე ღვთის მოსავი ადამიანი. მან აგრეთვე კარგად იცოდა ისე, როგორც ყველა მის თანამედროვე ქართველ წარჩინებულმა, სპარსული ენაც. ჩინებული მშვილდოსან-მოასპარეზე, ბრძოლაში შემმართებელი, ამაყი და კეთილშობილი ხასიათისა—ის იყო ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი თავისი ეპოქისა. ქვეყნის არევ-დარევის დროს განმრავლებულ ბიწიერებას ვერ შეერყია მისი რაინდული კეთილშობილი ბუნება და ამიტომ ამ საშინელ დაცემის ხანას ის წარმოადგენდა საქართველოს ცხოვრების ზედა-პირზე ქვეყნის საუკეთესო პირთა გუნდის ნამდვილ დამამშვენებელს. არჩილი იყო იმავე დროს საკმაოდ ნიჭიერი პოეტიც, რომელიც მელექსეობაში პოულობდა შვებას მრავალგვარ პოლიტიკურ უბედობის დროს. ხოლო ეს უბედობა მას ძლიერ ხშირად ხვდებოდა როგორც საკუთარ პოლიტიკურ ალღოს უქონლობისა, ისე საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრების პირობებისა გამო.

არჩილს გამეფებისთანავე მოუხდა ბრძოლა კახეთის ტახტის პრეტენდენტ ერეკლე ბატონიშვილთან, რომელიც თუშეთიდან ეკირთებოდა კახეთს. შაჰ-ნავაზი ქართლიდან თითონ წავიდა თავისი შვილის დასახმარებლად, დაამარცხა თუშნი, დახოცილთა თავთაგან გააკეთა კოშკი, ხოლო მათი თავების ტყავები გაუგზავნა ყაენს, რომელმაც თავის მხრივ უძღვნა მამა-შვილს დიდი საჩუქრები. ერეკლე კვლავ შევიდა თუშეთს, სადაც ცხოვრობდა ძლიერ ღარიბად და შემდეგ წავიდა ისევ რუსეთს. შიგნით კახეთში მაინც კიდევ იყვნენ მომხრეები ერეკლესი, როგორც კახეთის სამეფო დინასტიის კანონიერი წარმომადგენლისა. ამიტომ არჩილ მეფემ ბოლოს-და-ბოლოს გარდაწყვიტა ნათესაური დაკავშირებით მოეველო ამ დაბრკოლებისათვის, რომელიც მას ხელს უშლიდა ტახტის შემომტკიცების საქმეში. ამ დროს ახალციხეს იყო იმერეთის დედოფლის დარეჯანის მიერ ფაშისთვის წინდად მიცემული ერეკლე ბატონიშვილის და ქეთევანი, რომელიც დარეჯანს ჯერ თავისი გერისთვის, ბაგრატ იმერეთის მეფესთვის მიეთხოვებინა, მაგრამ შემდეგ მიეცა ახალციხის ფაშისთვის დაპირებულ ქრთამის წინდად. შაჰ-ნავაზმა მისცა ფაშას 2 ათასი თუმანი, მოაყვანინა ქეთევანი და გადაუხადა თავისს შვილს ქორწილი (1667 წ.). ამ გარემოებამ რამოდენადმე დააშოშმინა კახეთის თავადები და არჩილიც ამის შემდეგ შეუდგა შინაურ საქმე-

ების მოგვარებას. თავისი სატახტო ქალაქად მან გახადა თელავი, სადაც გაიშენა სასახლე, განაახლა ეკლესიანი, დასვა ეპისკოპოსები და საზოგადოდ ცდილობდა მოსახლეობის მოლონიერებას. ლეკნი ამ დროს აოხრებდნენ წვრილ-წვრილ თარეშებით განსაკუთრებით ელისენს და გალმა-მხარს, მაგრამ აქაც მეფე ახერხებდა მათ რამოდენადმე ალაგმვას. ლეკთა დასატუქსავად ერთხელ მეფემ გაილაშქრა დაღისტნისაკენ, დაეცა ჰურმუტს, მოაოხრა, დაანგრია სიმაგრენი და გამარჯვებული დაბრუნდა უკან. ლეკების რამოდენადმე ალაგმვის წყალობით კახეთი შედარებით წინა-დროსთან მოსვენებით იყო და გაეერანებულ ქვეყანას თანდათან მოლონიერება ეტყობოდა.

შაჰ-ნავაზი და სპარსეთი. ქართლშიდაც ცხოვრება შედარებით წესიერად მიმდინარეობდა. შაჰ-ნავაზმა დაამყარა მშვიდობა და ქვეყანა მოსვენებას მიეცა. დიდებულნი ხან-და-ხან წამოყოფდნენ ხოლმე თავს, მაგრამ მეფე სწრაფად ახერხებდა ყოველგვარ მოულოდნელობის დასწრებას. ქვეყანამ მოკეთება იწყო, თითონ შაჰ-ნავაზიც თავისი აზრიანი პოლიტიკის წყალობით ძლიერ გაძლიერდა. მისი გავლენის ზრდას ხელს უწყობდა დიდი სიმდიდრე, რომელიც მან მოიხვეჭა ლიხთ-იმერეთს ლაშქრობის დროს. ბოლოს შაჰ-ნავაზის განდიდებას ყურადღება მიაქციეს სპარსეთში და შაჰის მთავრობა უკვე სხვა-და-სხვა ღონეს ეძიებდა ერთის მხრივ შაჰ-ნავაზის გავლენის შესასუსტებლად და მეორეს მხრივ ყოველ შემთხვევისათვის თავისი უფლების უზრუნველსაყოფად აღმოსავლეთ საქართველოში. ასე, მაგალითად, შაჰმა გაიწვია თავისთან ოთარ არაგვის ერისთავი, რომელიც შაჰ-ნავაზ-ხანისა და არჩილის ურჩობაში იყო შენიშნული და დიდის საჩუქრებით უკან გამოისტუმრა. შაჰმა შემდეგ უბრძანა მეფეს მოეველო ტფილისისთვის ქვითკირის ზღუდე და გამოეგზავნა მას ამისთვის საჭირო თანხა. ზღუდე მართლაც შემოაველეს ქალაქს და ამასთანავე კარებში დააყენეს მცველებად ყიზილბაშნი. მეფეს ეჭვი ჰქონდა, რომ მცველები დაყენებული იყვნენ საჭიროების დროს მისი შესაპყრობად და სპარსეთს გასაგზავნად. ამიტომ მან გაიშენა სასახლე ასპარეზის თავს, ზღუდეს გარედ მტკვრის პირად და იქ დადგა. მაშინ სპარსეთის მთავრობა მიხვდა თავისს შეცდომას და ტფილისის ზღუდის კარებიდან მცველები მოხსნა. შაჰ-ნავაზს საზოგადოდ ფრთხილად ეჭირა თავი,—რომ არც სპარსეთის მთავრობისათვის გამხდარიყო შურისგების საგნად და იმავე დროს ქვეყნის საქმეებიც ჯეროვანად წარემართა. ბოლოს შაჰ-ნავაზის დასასუსტებლად სპარსეთის მთავრობამ განიზრახა რუსეთიდან ერეკლე ბატონიშვილის გამოწვერა, რათა კახეთის ტახტისათვის კანონიერი მემკვიდრე ყოველ შემთხვევისათვის ხელში ჰყოლოდა. 1675 წ. ერეკლე ბატონიშვილი მოვიდა რუსეთიდან თუშეთს, საიდანაც ის დიდის სიყვარულით ისტუმრა, როგორც თავისი ცოლის ძმა, არჩილ მეფემ და შემდეგ დიდის საჩუქრებით გაისტუმრა სპარსეთს. როგორც კეთილშობილი და პატიოსანი ადამიანი, არჩილი

გრძნობდა, რომ ერეკლესთვის მემკვიდრეობითი წესით მასზედ უფრო უპრიანია კახეთს ბატონობა. ამასთანავე სპარსთა ბატონობის ქვეშ მაჰმადიანობის ნიღაბით ყოფნა ქრისტიანობის ისეთ მოყვარულ ადამიანისათვის როგორც იყო არჩილი, ფრიად ძნელი იყო. ამ დროს იმერეთში ამტყდარ შინაურ არევ-დარევისა გამო ერთი ჯგუფი იმერთა თავადებისა სთხოვდა არჩილს იმერეთში გამეფებას. ახალციხის ფაშასთანაც ამის შესახებ უკვე მოლაპარაკება გამართული იყო. ყველა ამ მიზეზებით აიხსნება, რომ არჩილმა ბოლოს გარდასწყვიტა კახეთისთვის თავის მინებება და იმერეთის სამეფო ტახტის დასაჭერად მეცადინეობის დაწყება. არჩილი გადავიდა ქართლს და იქიდან ახალციხეს. უფრო ადრე კიდევ ახალციხესვე წასულიყო არჩილის ძმა ლუარსაბიც აგრეთვე იმერეთის მეფობის საძიებელად. ლუარსაბის და არჩილის ახალციხის საფაშოში წასვლა ფრიად ორჭოფულ მდგომარეობაში აყენებდა შაჰ-ნავაზხანს. ამ დროს გადგა კიდევ ქსნის ერისთავი იესე. ყველა ამ გარემოების გამო შაჰ-ნავაზმა გარდასწყვიტა სპარსეთს წასვლა თავისი შვილების ოსმალეთში გადასვლის შესახებ ყაენის წინაშე თავის გასამართლებლად, მაგრამ ისპაანს ჩასვლამდის გარდაიცვალა ხოშკარს (1675 წ.).

გიორგი XI-ის გაბატონება ქართლს. შაჰ-ნავაზის სიკვდილის შემდეგ შაჰ-სულეიმანს უნდოდა ქართლის მიცემა ერეკლე ბატონიშვილისათვის. მაშინ არჩილ მეფე ჩამოვიდა სადგერიდან ქართლს და დაიწყო თავადების შემომტკიცება. ამით არჩილს უნდოდა საქმე გაეკეთებინა თავისი ძმის გიორგისთვის, რომლისთვის ყაენი, არჩილის ამოძრავების გამო და ქართლის განდგომის შიშით, იძულებული იქმნებოდა ქართლის ტახტი მიეცა. ასეც მოხდა. გიორგიმ მიიღო მაჰმადიანობა და დაინიშნა ქართლის ბატონად. გიორგი XI მოვიდა ტფილისს 10 იანვარს 1676 წ. და შეუდგა ქვეყნის მართვას.

სპარსეთის მთავრობა ცდილობს ქართლის ფეოდალების გადაბირებას. გიორგი XI-ს თავიდანვე დიდს დაბრკოლებებთან მოუხდა ბრძოლა. ქართლის ბატონად ის დანიშნულ იქმნა წინააღმდეგ თვით სპარსეთის მთავრობის სურვილისა, ამიტომაც მისი მდგომარეობა ფრიად სერიოზული იყო. მას უხდებოდა ამ გარეგან გარემოებისათვის სპარსეთთან ურთიერთობისათვის ანგარიშის გაწევა და იმავე დროს ტახტის მოწინააღმდეგე შინაურ ძალებთან ბრძოლა. სპარსეთის მთავრობა გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა საქართველოს საქმეებს და ცდილობდა მეფის უფლების თან-და-თან შესუსტებას და დამცირებას მით უმეტეს, რომ ყაენის ერთი მისანდო პირთაგანი სპარსეთის ეტიმადოვლე და ვეზირ-აზამი შიხალი-ხანი იყო პირადი მტერი გიორგი მეფისა. ეს მტრობა დაიწყო იმ დროიდან, როდესაც შაჰ-ნავაზ მეფემ თავისი ქალი და შაჰ-აბაზ II-ის ცოლ-ყოფილი ბატონიშვილი ანუკა მიათხოვა ლოღის ხანს და არა შიხალი-ხანს, თუმცა უკანასკნელი ამისი დიდად მოწადინებული

იყო. ამის შემდეგ შიხალი-ხანი გახდა დიდი მოწინააღმდეგე საზოგადოდ შაჰ-ნავაზის ოჯახისა.

ამ დროს ქართლს იმყოფებოდა არჩილ მეფე, რომელსაც სურამიდან მოლაპარაკება ჰქონდა გამართული იმერეთის თავ-კაცებთან მისი ქუთაისს გამეფების შესახებ. არჩილის იმერეთში დამკვიდრება სპარსეთისათვის არ იყო ხელსაყრელი, რადგანაც ეს ამწვავებდა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობას—პორტას იმერეთში სპარსეთის ქვეშევრდომის გაბატონება თავისი ინტერესების შებღალვად მიაჩნდა—და გარდა ამისა ამით ძლიერდებოდა საზოგადოდ გიორგი XI-ის გავლენა. ამიტომ სპარსეთის მთავრობამ გიორგი XI-ს მოსთხოვა მისი ძმის არჩილის ქართლიდან განდევნა. მაგრამ ამ დროს არჩილი უკვე იმერეთში გადასულიყო და ტახტი დაეპყრა (1678 წ.).

არჩილის ბატონობა იმერეთს ეხლაც, ისე როგორც პირველად 1660-იან წლებში, დიდს ხანს არ გაგრძელებულა. ოსმალებმა მხარი დაუჭირეს იმერეთის კანონიერ მემკვიდრეს ბაგრატ IV უსინათლოს და არჩილიც აზრუმის ფაშის მიერ ძალით გარდაგდებულ იქმნა. არჩილი ისევ ქართლს მოვიდა. მაშინ ყაენმაც ოსმალეთის მორიდებით მოითხოვა გიორგი XI-საგან, რომ ქართლში კვლავ შემოხიზნული არჩილ მეფე შეეპყრათ ანდა საზღვარ გარედ გაეგდევნათ. ამისი მსმენელი არჩილი ძმის თხოვნისამებრ წავიდა დვალეთს, მაგრამ როდესაც სპარსეთის მთავრობამ მოითხოვა აქედანაც მისი გაძევება, მაშინ ის იძულებული გახდა რუსეთს წასულიყო. თან მან წაიღო ქართლის მონასტრებიდან ქრისტეს სამსჭვალი, სუდარი და საბელი. ამ სიწმიდეთა დაკარგვამ ქართველ მოწინავე როგორც საერო, ისე სასულიერო წრეებში მაშინ დიდი მწუხარება გამოიწვია.

არჩილის რუსეთს წასვლის შემდეგ სპარსეთის მთავრობა უფრო ენერგიულად შეუდგა თავისი პოლიტიკის წარმოებას გიორგი XI-ის მიმართ. მეფეს თავი საკმაოდ დამოუკიდებლად ეჭირა და ეს გარემოება ამხედრებდა მის წინააღმდეგ მართველ წრეებს ისპაანში. ამას თან მიემატა შაჰ-სულეიმანის პირადი უკმაყოფილება გიორგი მეფეთი, რასაც ხელი შეუწყო შემდეგმა ფაქტმა. გიორგი მეფეს შძიმედ ავად გაუხდა თავისი ცოლი თამარ დედოფალი, კახთ ბატონიშვილი. ამ დროს ახალი გარდაცვალებული იყო როსტომ და შაჰ-ნავაზ მეფეთა ცოლი მარიამ დედოფალი, გიორგი XI-ის დედინაცვალი. მისანის სიტყვის მიხედვით თამარ დედოფლის ავადმყოფობა მიცვალებულს მარიამ დედოფალს დაბრალდა, მცხეთას კაცი გაგზავნეს, ბარით მარიამ დედოფლის ცხედარს თავი ჩოსჭრეს და გვერდით ამოდვეს. თამარ დედოფალს ამან მაინც ვერ უშველა—ის მალე მოკვდა, ხოლო თვით ამ ამბავმა ისპაანამდისაც მიაღწია და რადგან მარიამ დედოფალს ყაენის კარის ერთგულის სახელი ჰქონდა დაკარგნილი, ამიტომ დედოფლის საფლავის ამ გვარ შეურაცხყოფით შაჰ-სულეიმანი მეტად უკმაყოფილო დარჩა,

ქართლის საქმეები მინდობილი ჰქონდა თავრიზის ბეგლარბეგს

აჯი-ალი-ხანს, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა დიდ თავადების გულის მოგება და მათი სპარსეთისაკენ გადაბირება. აჯი-ალი-ხანი დაადგა უკვე ნაცადს გზას და უფრო განავითარა არსებული სისტემა ქართლის თავადების გადაბირებისა. ის ამასთანავე ცდილობდა თავადების ძალებში უთანხმოების შეტანას. მართლაც, ზოგი ქართლის წარჩინებულთაგანი თან-და-თან აშკარად მიემხრო სპარსეთის პოლიტიკას, ღებულობდა ჯამაგირს ყაენის ხაზინიდან და თავისი ერთგულობის უფრო დასადასტურებლად მაჰმადიანობაშიც გადადიოდა. ამ გვარად თან-და-თან გადუდგნენ მეფეს და გადავიდნენ სპარსეთის მხარეს არაგვის ერისთავი იასონ, მუხრან-ბატონის ძე ერეკლე, რომელიც თვით გიორგი XI-ის მიერ იყო აღზრდილი, სომხითის მელიქი ქამარ-ბეგი, ხოლო საამილახეროდან იესე და ელიზბარ მაჩაბელნი, თუმცა თითონ საამილახეროს თავი გივი ამილახორი დიდი ერთგული იყო მეფისა. მეფის მხარეზე იყო აგრეთვე დიდი გაელენის მქონე თეიმურაზ მუხრან-ბატონი და ქაიხოსრო ციციშვილიც, ხოლო ქსნის ერისთავი შემომტკიცებულ იქმნა მეფის ასულის მასზე გათხოვებით. მეფის მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე უფრო სასტიკი მტერი გიორგი XI-ისა იყო იასონ არაგვის ერისთავი, რომელიც მუდამ აბეზღებდა მეფეს სპარსეთის მთავრობასთან. ბოლოს განჯის ხანის შუამავლობით იასონი დამტკიცებულ იქმნა ერისთავად თვით შაჰის მიერ სწორედ იმ დროს, როდესაც ურთიერთობა მეფესა და ერისთავს შორის უკვე მწვავდებოდა. ეს ფაქტი ცხადი მაჩვენებელი იყო, თუ როგორ უყურებდა სპარსეთის მთავრობა გიორგი XI-ის ბატონობას, მაგრამ მიუხედავად ამისა მეფე მაინც მედგრად შეუდგა მისგან განდგომილთა დასჯას და დატუქსვას. იასონ არაგვის ერისთავი, რადგანაც მისი შემობრება გივი ამილახორისა და მის შორის არსებულ მტრულ განწყობილებისა გამო შეუძლებელი იყო, დაახრჩობინეს შეჩენილ კაცთ. სომხითის მელიქიც ასე შეჩენითვე მოკლულ იქმნა, ხოლო მაჩაბლები ციხეში ჩაგდეს. მაგრამ შინაური მდგომარეობა ამით სრულიადაც ვერ განმტკიცდა. არაგვის საერისთაო დაიპყრა იასონის შვილმა გიორგიმ. რომელიც მამის ტრაღიკულ სიკვდილის შემდეგ, რასაკვირველია, მეფეს ვერ ეწდობოდა და ისევ სპარსეთისაკენ იხედებოდა. სხვა ზოგ დიდს თავადსაც რყევა ემჩნეოდა და ეს გარემოება შეუძლებლად ხდიდა სამეფოს შიგნით და გარედ განმტკიცებას. ეს ცხადად გამოჩნდა 1688 წ., როდესაც გიორგი XI-მ მოინდომა კახეთზე გალაშქრება და მისი დაპყრობა.

კახეთი სპარსელ ხანების ხელში. კახეთი არჩილ მეფის წასვლის შემდეგ 1675 წლიდან ეპყრათ უშუალოდ სპარსელებს. ხანი, კახეთის მართველი, იჯდა ყარაღაჯს და განაგებდა ქვეყანას. ხანი ცდილობდა კახეთის საბოლოოდ სპარსეთთან შემომტკიცებას მაჰმადიანებისა—ლეკებისა და თათრებისადმი მფარველობის გაწევით და რადგანაც კახნი წინააღმდეგობას უწევდნენ ხანის პოლიტიკას, ამიტომ ის ნებას აძლევდა ჰარელ ლეკებს და ფადარის თათრის ელს ბუდმიე ქურდულ თავ-დასხმე-

ბით შეეწუხებინათ კახეთის ურჩი სოფლები და თავადები. ამ თავ-დასხმებმა ფრიად შეავიწროვა ქვეყანა და მე-XVII საუკუნის დასაწყისში გამოვლილ დიდ აოხრებათაგან ამ დროს ცოტად უკვე მოღონიერებული კახეთი კვლავ გაჭირვებაში ჩავარდა. როგორც ქართლში, ისე კახეთშიც სპარსეთის პოლიტიკას ჰყავდა თავისი მომხრეები გავლენიან თავადებს შორის. ამ დროს ყარაღაჯში მჯდარ ხანს გვერდში უდგნენ სახლთუხუცესი გამაჰმადიანებული რევაზ ჩოლაყაშვილი, ქისიყის მოურავი აბელ და ელისენის მოურავი მერაბ, რომელნიც ფაქტიურად აწარმოებდნენ ხანის ხელმძღვანელობის ქვეშ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს. მათ ოპოზიციაში უდგნენ სხვა თავადები, რომელნიც პირიქით ეძიებდნენ ღონეს ქვეყნის სპარსეთის მიერ დაყენებულ ხანის მძლავრებისაგან დასახსნელად და ამისთვის ხელსაყრელ დროს უცდიდნენ. ეს დროც დადგა, როდესაც შაჰმა მოსთხოვა გიორგი XI-ს მძევლად თავისი ძმის ლევან ბატონიშვილისა და შვილის ბაგრატის სპარსეთს წარგზავნა და მეფემ გარდასწყვიტა ყაენისაგან უკუდგომა. გიორგი XI შეუთანხმდა კახეთის თავადებს და განიზრახა მათის დახმარებით კახეთის დაპყრობა და ხანის იქიდან გაძევება, რათა შემდეგ შეერთებული ქართლ-კახეთის ძალით უფრო ადვილი ყოფილიყო სპარსეთთან გამკლავება. მეფემ შემოიკრიბა ჯარი და დადგა ყარუყუთს, რათა ღამით მოულოდნელად გადასულიყო ყარაღაჯს. კახნიც შეკრებილი იყვნენ და უცდიდნენ მეფის გამოლაშქრებას. მაგრამ ამ დროს მეფის ლაშქრიდან გაიქცა თავისი ჯარით მეწინავეს სარდალი თამაზ ყაფლანიშვილი და არ მოინდომა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება. თამაზი ბიძა იყო მეფისა, მაგრამ იმავე დროს სიმამრი არაგვის ერისთავის გიორგისა და რადგანაც მეფის გამარჯვება დასცემდა გიორგი ერისთავის ძალა-უფლებას, ამიტომ მან არჩია მეფისაგან გადადგომა და ლაშქრობის ჩაშლა. ამ მიზეზით გიორგი XI-მ ვერ შესძლო თავისი გეგმის კახეთის შესახებ სისრულეში მოყვანა და ამის შემდეგ ყაენის წინააღმდეგობაზედაც ლაპარაკი არ შეიძლებოდა. გიორგი XI იძულებული გახდა გაეგზავნა სპარსეთს მძევლად ყაენის მიერ მოთხოვნილი ორივე ბატონიშვილი.

კახეთის ლაშქრობის ასე მოულოდნელად ჩაშლამ შეარყია გიორგი XI-ის ავტორიტეტი. მალე მოკვდა მეფის დიდი მომხრე თეიმურაზ მუხრან-ბატონი, რამაც აგრეთვე იქონია ამ მხრივ თავისი გავლენა. მეფის ურჩი ფეოდალები და განსაკუთრებით არაგვის ერისთავი გიორგი ამის შემდეგ უფრო განლაღდნენ. ამიტომ მეფემ განიზრახა ბრძოლით უკუდგომილ თავადების ალაგმვა და გაილაშქრა პირადად უპირველესად ყოვლისა არაგვის ერისთავის წინააღმდეგ. ამავე დროს ქსნის ერისთავს დავითს ებრძანა გრემის-ხევის მიმართულებით თავ-დასხმა არაგვის საერისთაოზედ. მეფის ლაშქრობა კარგად მიდიოდა, თუმცა პირველ შეტაკებაში მისი ჯარი ძლიერ დაზარალდა. ამ ბრძოლაში სხვათა შორის მოკლულ იქმნენ ტფილელი მთავარეპისკოპოსი იოსებ საკაძე, დიდ მოუ-

რავის შვილისშვილი, და ქაიხოსრო ციციშვილი, მაგრამ ბოლოს მეფემ მაინც მოახერხა ბაზალეთის დაჭერა, საიდანაც გაუშვა თარეში დუშეთისა და მისი არე-მარეს ასაკლებად. მაგრამ ქსნის ერისთავი არა თუ არ მიყვა მეფეს, არამედ მან საშუალება მისცა დამარცხებულ გიორგი ერისთავს თავის თავისთვის ეშველა და შემდეგ თავადებთან შეთანხმებით უკან გააპარა მეფის ჯარის ერთი ნაწილი. ასეთს პირობებში, რასაკვირველია, ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი იყო და მეფეც იძულებული გახდა კოჯორს დაბრუნებულიყო ლაშქრობის მოშლით.

ქართლის ბატონად ინიშნება ერეკლე I—ნაზარალი-ხანი. ქართლში მომხდარმა ამბებმა და განსაკუთრებით გიორგი XI-ის სპარსეთის ერთგულ არაგვის ერისთავის წინააღმდეგ გალაშქრებამ იქონია შთაბეჭდილება ყაენზე, რომელმაც გარდასწყიტა ქართლში სხვა ბატონის გაგზავნა. უკვე 14 წელიწადი ისპაანში ყაენის კარზედ იმყოფებოდა ერეკლე ბატონიშვილი, რომელიც აქამდის უარს ამბობდა მაჰმადიანობის მიღებაზედ. მაგრამ ეხლა, როდესაც კიდევ დაისვა საკითხი ქართლში ახალი მეფის დაყენების შესახებ, მან თავისი მხლებელ კახთა დაჟინებითი თხოვნით თანხმობა განაცხადა გამაჰმადიანებაზე, მიიღო ნაზარალი-ხანის სახელი და დაინიშნა ქართლის მეფედ. გიორგი XI-ს გაეგზავნა შესაფერისი ბრძანება და წინადადება მიეცა სპარსეთში წასულიყო. ამისი გამგონე ქართლის თავადების დიდი ნაწილი შეუდგა მზადებას ახალი მეფის შესახვედრად. სარდალი თამაზ ყაფლანიშვილი შევიდა ტფილისის ციხეში და აშკარად გადუდგა თავისს დისშვილს გიორგი XI-ს. სხვებიც შეეგებნენ ერეკლე მეფეს გზად და ჩამოიყვანეს ის ტფილისს. გიორგი XI კი წავიდა რაჭას (1688 წ.).

ერეკლე I-ის ქართლის მეფედ დანიშვნით სპარსეთს უნდოდა დაემყარებინა ქართლში მტკიცე უფლება და ამავე დროს თავისი გაელენის სიმკვიდრეც აქ უფრო უზრუნველ ეყო. თავრიზის ბეგლარბეგს აჯი-ალიხანს ებრძანა მოთხოვნისათანავე ერეკლესთვის დახმარება გაეწია წეს-რიგის დამყარებასა და თავისი ურჩთა დამორჩილებაში. ერეკლეს თხოვნისამებრ მას მიეცა დარაჯად თუშნი და ქიზიყელნი, რომელნიც მისთვის, როგორც მემკვიდრეობით კახ ბატონიშვილისათვის, უფრო მისანდონი იყვნენ. ამავე დროს, რადგანაც კახეთის ხანმა ვერ შესძლო თავი გაერთო ადგილობრივ საქმეებისათვის და თავადები თავისს მხარეზე მოებინა, განჯის ბეგლარბეგს აბაზ-ყული-ხანს ებრძანა ეკისრა კახეთის მართველობაც და ეცადნა მშვიდობიანობის დამყარება ადგილობრივ თავადებთან. განჯის ბეგლარბეგიც ცდილობდა დავალების შესრულებას ერეკლე მეფესთან მჭიდრო კავშირის დაჭერით და მისი რჩევის თანახმად მნიშვნელოვან საკითხების გარდაწყვეტით.

ერეკლე I—ნაზარალი-ხანი. ახალი მბრძანებელი ქართლისა იყო ქართულ ზნე-ჩვეულებათა სრულიად უცოდინარი და ადგილობრივ პირობებში ჩაუხედავი პიროვნება. მთელი თავისი სიცოცხლე მას გაეტა-

რებინა ჯერ რუსეთს და შემდეგ სპარსეთს. ყაენის კარის ცხოვრებას მასზე დიდი დაღი დაემჩნია და ამიტომ გამეფებისთანავე მან მოინდომა ისეთივე უკიდურესად პირადული პოლიტიკის წარმოება, როგორც ეს ამ დროს სპარსეთში იყო. უპირველეს ხელისუფლებად დანიშნა თავისი ერთგულნი პირნი, ზოგი მათგანი არა დიდ-თავადთა წრიდან, მსხვილი ფეოდალური ელემენტები, ისეთნიც კი, რომელნიც წინა-მეფობის დროს გიორგი XI-ს ოპოზიციაში უდგნენ, დაამდაბლა და დაამცირა. ასე, ეზირად დანიშნულ იქმნა თათარი ყიასა, მსაჯულთ-უხუცესად ბარძიმ, ძმა არაგვის ერისთვის გიორგისა, სახლთუხუცესად ბებურიშვილი (კახეთიდან) და ყულარაღასად ყაფლანიშვილი ლუარსაბ. ამ პირთ ჰქონდათ მინდობილი ქვეყნის მართვა-გამგეობა, რომელსაც ერეკლე საზოგადოდ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და უფრო სპარსეთის კარის წესით მხიარულად დროს გატარებით ერთობოდა. ქართლის დიდებულნი თავადნი— გივი ამილახორი, სარდალი თამაზ ყაფლანიშვილი, დავით ქსნის ერისთავი, აშოთან მუხრან-ბატონი—თვალსაჩინოდ დამცირებულ იქმნენ და სამეფო კარზე მათ უკვე წინანდელი მნიშვნელობა არ ჰქონდათ. კათალიკოზი ნიკოლოზ გადაყენებულ იქმნა და მის მაგივრად საკათალიკოზო ტახტზე დაინიშნა იოანე დიასამიძე. აგრეთვე ქართლის მთავარეპისკოპოსისა, თბილელისა და მანგლელის კათედრებზე ნაზარალი-ხანმა გამოცვალა ეპისკოპოსები და მათ მაგივრად დანიშნა თავისი მომხრეები. მის მთავარს დასაყრდნობ ძალას წარმოადგენდა ტფილისის ციხის მცველი ყიზილბაშთა ჯარი, რომელიც მის დროს ფრიად განლაღდა, ხშირად იტაცებდა ტყვედ მშვიდობიან მცხოვრებთ, შემდეგ ყიდდა მათ ან და ამაჰმადიანებდა. ეს ტფილისის მცველი ჯარი სპარსელებისა იმდენად გათამამდა, რომ ნამდვილს შიშის ზარს გვრიდა მცხოვრებთ. ამით აიხსნება, რომ ბევრი გაჭირვებულ ცხოვრების გამო ქართლის სამეფოდან იყრებოდა და სახლდებოდა კახეთში, სადაც ამ დროს განჯის ბეგლარბეგის მართველობის ქვეშ შედარებით უკეთესი პირობები იყო.

ქართლიდან კახეთისაკენ გადასახლების მისწრაფება, რომელიც ამ დროს დიდად ძლიერი იყო და არა მარტო გლეხთ, არამედ აზნაურთაც სწვდებოდა, ფრიად სასიამოვნოდ რჩებოდა ერეკლე მეფეს. საზოგადოდ ერეკლე ქართლში თავისს ბატონობას უყურებდა როგორც დროებით მოვლენას. მისთვის უფრო სასურველი იყო კახეთის მოპოება და რადგანაც ამისი იმედი მას, როგორც კახეთის ბატონიშვილს, დაკარგული არ ჰქონდა, ამიტომ ის ცდილობდა ტფილისში ბატონობის დროსაც ხელი შეეწყო კახეთის მოსახლეობის აღორძინებას და საზოგადოდ მისს განვითარებას. ამავე მიზნებით ერეკლე მხოლოდ თავისი ნების წინააღმდეგ სპარსელების შიშით აკეთებდა ქართლში გიორგი XI-ის ოჯახობის წევრებს და ან მისს მომხრეებს და თუმცა თითონაც აღიარებდა გიორგი XI-ის უფლებას ქართლის ტახტზე, მაგრამ სპარსეთის მთავრო-

ბის ბრძანებით მაინც იძულებული იყო მის წინააღმდეგ ბრძოლა ეწარმოებინა.

ბრძოლა ქართლის თავადებისა გიორგი XI-ის ხელმძღვანელობით სპარსეთის წინააღმდეგ. გიორგი XI ამასობაში რაჭიდან გადასულიყო ოდიშს, ოდიშიდან გურიას, ხოლო გურიიდან ახალციხის საფაშოში. ყველა ამ ადგილებში მყოფობისას გიორგი XI მთელს თავისს გავლენას ხმარობდა იმერეთის მეფის ალექსანდრე IV-ის წინააღმდეგ და ქუთაისში თავისი ძმის არჩილ მეფის უფლების განსამტკიცებლად. მაგრამ ბოლოს-და-ბოლოს აქედან არა გამოვიდა რა. ყაენმა მოსთხოვა სულთანს არჩილისა და გიორგის, როგორც მისი ქვეშევრდომების, მიცემა, ხოლო იმერეთში კანონიერ მემკვიდრის ალექსანდრე IV-ის გამეფება. პორტა დასთანხმდა ამაზე და ახალციხის ფაშას ებრძანა გიორგი მეფის შეპყრობა და სპარსელებისათვის გადაცემა. მაშინ წარჩინებულ მესხთა რჩევით გიორგი მეფე თავისი ოჯახის და მხლებელთა გადასარჩენად მიენდო ახალციხის ჯარის უფროსს და ენიჭართ და მაჰმადიანობაც მიიღო. ამ დროს უკვე ქართლის თავადებს, რომელნიც ფრიად ამხედრებული იყვნენ ერეკლე I-ის წინააღმდეგ მისი პოლიტიკის გამო წარჩინებულთა მიმართ, მიწერ-მოწერა ჰქონდათ გამართული გიორგი XI-სთან. მას სთხოვდნენ ქართლში ჩამოსვლას და შეერთებული ჯარით მეფე ერეკლე I-ისა და სპარსელების წინააღმდეგ გალაშქრებას. როდესაც უკვე ყველაფერი მზად იყო, გიორგი მეფე გამოაპარეს ახალციხის ზღუდიდან თვით ადგილობრივ მესხთა დახმარებით და ჩამოიყვანეს ქართლს (1691 წ.).

გიორგი მეფე მოვიდა შიდა-ქართლს, სადაც მას ნელ-ნელა მიერთვნენ ქართლის წარჩინებულნი: გივი ამილახორი, აშოთან მუხრან-ბატონი, გიორგი არაგვის ერისთავი, ძმა მისი ბარძიმ მდივანბეგი, სარდალი თამაზ ყაფლანიშვილი და სხ. ქართლის უდიდესი ნაწილი გადავიდა გიორგი მეფის მხარეზე. ამისი გამგონე ერეკლე —ნაზარალი-ხანს დაეტოვებინა კოჯორი და შესულიყო ტფილისს. იქვე მივიდნენ მისს ერთგულობაზე დარჩენილნი, როგორც, მაგალითად, საციციანოს ბატონი ქაიხოსრო ციციშვილი. გიორგი მეფემ კათალიკოზად ისევ უწინდელი პატრიარქი ნიკოლოზი დასვა, საციციანო კი მისცა ქაიხოსროს ძმისწულს ციცი ციციშვილს და შემდეგ მოადგა ქალ. ტფილისს. აქედან მან დაუწყო მოლაპარაკება კახთ, რომელთა ერთს ნაწილს აგრეთვე უნდოდა აბაზ-ყული-ხანის მართველობის თავიდან მოცილება და არჩილის კახეთში გამეფება. თუმცა არჩილმა უარი განაცხადა კახეთში გამეფებაზე, რადგან მას არ უნდოდა სპარსეთის მორჩილებაში ყოფნა, მაინც გიორგი მეფე ჯარით გავიდა ლილოზედ, ხოლო იქიდან კი გაგზავნა ბარძიმ მდივანბეგის მეთაურობით ლაშქარი, რომელშიდაც გივი ამილახორი და სარდალი თამაზიც იყვნენ. ამათ მოეგება თავისი ჯარით კახეთის სახლთუხუცესი რევაზ ჩოლაყაშვილი, რომელიც აგრეთვე სპარსელებს

გადადგომოდა. ქიზიყის. მოურავი დუშიაც დაიძრა თავისი ჯარით და აპირებდა ბარძიმ მდივანბეგთან მოლაპარაკების გამართვას. მაგრამ ბარძიმი ამ დროს დამთვრალიყო და დუშიას მოახლოვების გაგონებისთანავე მან გარემოების გამოუკითხავად უბრძანა თავისს ჯარს შეტევაზე გადასელა. გაიმართა ბრძოლა, რომლის დროს თვით ბარძიმიც დაიჭრა, ხოლო გიორგი მეფის ჯარი იძულებული გახდა უკან გამოქცეულიყო. ამის შემდეგ გიორგი მეფეც აიყარა და დაბრუნდა ქართლს.

ბარძიმის ამ მარცხმა საშუალება მისცა ერეკლეს მეტი აქტივობა გამოეჩინა. ერეკლე წავიდა ყარაღაჯს აბაზ-ყული-ხანთან მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკებას მოყვა მათი შეერთებულ ძალთა გალაშქრება არაგვის ერისთავზე მისთვის ერწო-თიანეთის წასართმევად. არაგვის ერისთავს ეჭირა ეს მხარე ჯერ ისევ 1656 წლიდან. პირველად ამ ლაშქრობამ თითქოს მიაღწია მიზანს, მაგრამ მალე გიორგი XI-მ ისევ დაიპყრო თიანეთი.

ბრძოლა ერეკლეს და გიორგის შორის გრძელდებოდა. გიორგი XI-მ გაგზავნა ზაალ ხერხეულიძე მარტყოფის მოსარბევად, მაგრამ უკან დაბრუნებისას მას გამოედევნა ერეკლე მეფე. ხერხეულიძემ მოასწრო მცხეთაში შესვლა და ჩაიკეტა გალავანში. მას მოეშველა გიორგი მეფეც, რის გამო ერეკლე გავიდა ჯვარს და იქ დადგა თავისი ჯარით. ორივე მხარეს შორის ხდებოდა წვრილ-წვრილი შეტაკებანი. შემდეგ ერეკლემ მოატანინა ტფილისიდან ზარბაზნები და ცდილობდა არტილერიის საშუალებით მოწინააღმდეგის გამოდევნას მცხეთის გალავნიდან, მაგრამ არა გამოვიდა რა, მხოლოდ ზარბაზნის ყუმბარებიდან დაზიანდა თვით მცხეთის საკათალიკოზო ტაძარი. მცხეთის აღება მაშინაც არ მოხერხდა, როდესაც ნაზარალი-ხან—ერეკლეს მიეშველა კახეთიდან აბაზ-ყული-ხანი. ამიტომ ბოლოს ერეკლემ მოხსნა ალყა და დაბრუნდა ტფილისს.

ურთიერთ ხდომა გიორგი XI-სა და ერეკლეს შორის ამის შემდეგაც გრძელდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ გიორგი XI დაეცა ერეკლეს ბოლნისს მყოფს. ერეკლე მსწრაფლ გაეცალა ბორჩალოს, ხოლო გიორგი დაეცა 300 თუშისაგან შემდგარ რაზმს, რომელიც ნაზარალი-ხანის დასახმარებლად მიდიოდა და დაამარცხა ის. ამ ბრძოლის დროსავე გიორგი ეკვეთა სპარსელების ჯარს, რომელიც გამოეგზავნა ახლად სპარსეთის ტახტზედ ასულს შაჰ-სულთან-უსეინს ტფილისის ციხეში მყოფ მცველთა მოსანაცვალედ და რომელიც ტფილისისკენ მიეშურებოდა და ამასაც მუსრი გაავლო.

მიუხედავად ამ ხშირ-ხშირ ბრძოლისა, გარდამწყვეტ შედეგამდის ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, გიორგი XI-ის მხარეზე მყოფი თავადები ძალიან შიშიანობდნენ სპარსელებთან ურთიერთობის გამწვავებას და ამიტომ ძლიერ ფრთხილად მოქმედობდნენ. იყო შინაგამცემლობის შემთხვევებიც და, რასაკვირველია, ასეთი ატმოსფერა გიორგი მეფეს

ხელს ვერ შეუწყობდა მისი მიზნის მიღწევის საქმეში. გიორგი XI ცალკე შემთხვევებში ენერგიულად მოქმედობდა და მკაცრად სჯიდა ღალატში შენიშნულ პირთ. ასე, მისი ბრძანებით ჩამოაღრჩვეს ციცი ციციშვილი, რომელსაც ბრალდებოდა კავშირის გაბმა ერეკლესთან მყოფ ქაიხოსრო ციციშვილთან, ხოლო საციციანო მიეცა სხვა ციციშვილს, ფარსადან ნოდარის ძეს. მაგრამ ამგვარი სისასტიკე ვერ სპობდა ოპორტუნობას და პირადი ინტერესებით გამოწვეულ საეჭვო მოქმედობას ცალკე პირებისას. მეორეს მხრივ არც ნაზარალი-ხანის მომხრეებს შორის იყო ერთსულოვანება და გატაცება გიორგი XI-ის წინააღმდეგ ბრძოლით, რაც აიხსნებოდა, სხვათა შორის, იმ გარემოებით, რომ ამ ბრძოლაში დაპირდაპირებული იყო ქართველ ფეოდალთა და სპარსეთის მთავრობის ინტერესები და ამიტომ ერეკლესთან სხვა-და-სხვა ანგარიშებისა თუ მიზეზებისა გამო მყოფ თავადთაგან ბევრი არ იყო დაინტერესებული გიორგი XI-ის საბოლოოდ შემუსვრაში. ამ გვარ სულიერ განწყობილებაში გასაკვირველი არაა, თუ კახეთის მართველი აბაზ-ყული-ხანიც ვერ უწევდა ერეკლეს ენერგიულ დახმარებას, რის გამო ეს ხანი კიდეც შესმენილ იქმნა სპარსეთის მთავრობის წინაშე გიორგი XI-სთან საიდუმლოდ დაკავშირებაში. თუნდაც რომ ეს ბრალდება გადამეტებული ყოფილიყო, სპარსეთში მას მაინც ყურადღება მიაქციეს და უბრძანეს ერეკლეს აბაზ-ყული-ხანის შეპყრობა და ისპაანს გაგზავნა, რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი.

ბრძოლა ერეკლესა და გიორგი XI-ს შორის ფრიად გაჭიანურდა და რადგანაც ადგილობრივი ძალით მისი გათავება შეუძლებელი იყო, ამიტომ ერეკლემ ბოლოს მიმართა ყაენს დახმარების თხოვნით. სპარსეთიდან გამოგზავნეს ჯარით ქალბალი-ხან, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამასთანავე კახეთის მართველობაც. გიორგი XI-ს უნდოდა ბრძოლით შეხვედროდა სპარსეთიდან მომავალს ჯარს, მაგრამ ამისი წინააღმდეგი გახდნენ თავადები. სარდალს თამაზ ყაფლანიშვილს ეშინოდა თავისი მამულების მოოხრებისა, სხვებს კიდევ საზოგადოდ სპარსელების სისხლის დადებისა. ამიტომაც მეფე იძულებული იყო მხოლოდ წვრილი შეტაკებებით დაკმაყოფილებულიყო და შემდეგ, როდესაც სპარსნი შემოვიდნენ ტფილისსა და შიდა-ქართლში, ხოლო საციციანო დაიპყრო ერეკლეს მომხრემ ქაიხოსრო ციციშვილმა, გიორგი XI გადავიდა იმერეთს (1695 წ.).

ამის შემდეგ გიორგი XI-ის მომხრე დიდებული თავადები დაიქსაქსნენ. არაგვის ერისთავი გიორგი გამოცხადდა ერეკლე მეფესთან და მორჩილება გამოუცხადა მას. ასევე მოიქცნენ პაპუნა მუხრან-ბატონი და თამაზ ყაფლანიშვილი. შემდეგ ამისა ქალბალი-ხანთან მივიდა თვით ქაიხოსრო ბატონიშვილი ლევანის-ძე, ძმისწული გიორგი XI-ისა. ყველა ეს პირნი მიღებულ იქმნენ პატივით და ქალბალი-ხანის მიერ სპარსეთში იქმნენ გაგზავნილი. ამის შემდეგ გიორგი XI-საც იმის მეტი არაფელი

დარჩენოდა, რომ თითონაც სპარსეთის მთავრობასთან მორიგება ეცადნა. შესაფერი შუამავლობა იკისრა ქალბალი-ხანის პირადი მტერმა ერევნის ხანმა მისდამი შურის გამო. ერევნის ხანის შუამდგომლობით ყაენი შეურიგდა გიორგი მეფეს და გამოუგზავნა მას მეჰმანდარი (მესტუმრე), რომელმაც პატივით მიაცილა მეფე სპარსეთს.

ამ გვარად ბრძოლა ნაზარალი-ხანისა და სპარსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ ქართლის ფეოდალების დამარცხებით გათავდა. ერეკლემ ამის შემდეგ დაიპყრა მთელი ქართლი და ცდილობდა ყველა მნიშვნელოვან ადგილზე თავისი მომხრეთა ჩაყენებას. კათალიკოზი ნიკოლოზ გადაყენებულ იქმნა და მის მაგივრად დაინიშნა ისევ იოანე დიასამიძე, ქსნის ერისთაობა მიეცა დავითის (დათუნას) ბიძაშვილს დავითს, არაგვის ერისთავად დაინიშნა ბაინდურ, მუხრან-ბატონად კოსტანტინე, ამილახორად იოთამ, მეწინავე სარდლად ლუარსაბ ყაფლანიშვილი. ნაზარალი-ხანის მარჯვენა ხელს კი შეადგენდა ვეზირი ყიასა, ტომით თათარი, რომელიც ფაქტიურად აწარმოებდა ქართლის მართვა-გამგეობის საქმეს. ტფილისსა, გორსა და სურამში ჩაყენებული იყო ძლიერი რაზმები სპარსელებისა, რომელნიც აწიოკებდნენ ხალხს, ატყვევებდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და ყიდდენ. ქართლში ცხოვრება ისევ გაჭირდა. თუმცა კახეთიც განიცდიდა აოხრებას ლეკებისაგან, მაგრამ იქ მაინც შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო და ამიტომ მრავალი კვლავინდებურად იყრებოდა ქართლიდან და მიდიოდა კახეთს. კახეთის მოშენებას ეხლაც ხელს უწყობდა ერეკლე, რომელმაც თითონ აიშენა სასახლე ნაგებს ანუ ძველს რუსთავს კახეთის სანაპიროზე და ზამთრობით იქ ცხოვრობდა.

ამ ნაირად მე-XVII საუკუნის მიწურულს ქართლის და აგრეთვე კახეთის დიდებულ თავადების მიერ შაჰ-აბაზ I-ისა და როსტომ მეფის დროიდან სპარსელების და მათ მიერ დაყენებულ მაჰმადიან მეფეების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა დამთავრდა თავადების დამარცხებით. ქართლ-კახეთში ამის შემდეგ სპარსეთის მართველობას და პოლიტიკას ძლიერი მოწინააღმდეგე არ ჰყავდა.

VI

მაჰმადიანობის დამკვიდრება მესხეთში და ოსმალთა ბატონობის განმტკიცება ლიხთ-იმერეთს.

მესხეთი მანუჩარ I ათაბაგის დროს. ოსმალთა მძლავრებამ მე-XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ფრიად დაამცირა ათაბაგის სახლი. შიგნით საათაბაგოში ძლიერდებოდნენ ათაბაგის მოწინააღმდეგე ფეოდალები. ამას გარდა ოსმალეთს და სპარსეთს შორის ატეხილ ომების

დროს მესხეთი, როგორც მოსაზღვრე ქვეყანა, ფრიად დაზარალდა. მოსახლეობა შემცირდა, ხალხი გაღარიბდა, მუდმივ აღრევისა და რბევა-ხდომის გამო მშვიდობიანი ცხოვრება მოისპო. ყველა ამან შეასუსტა საათაბაგოს შინაგანი ძალა და ენერგია და დააჩქარა ოსმალეთის მიერ მისი სრული დაპყრობა.

მანუჩარ ათაბაგის (1582—1614 წ.) ცდა უმთავრესად იმისკენ იყო მიპყრობილი, რომ ქვეყანა ახალ აოხრებათა და განადგურებათაგან დაეხსნა. ამიტომ როდესაც მე-XVII საუკუნის პირველ წლებში შაჰ-აბაზ I-სა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო და ყაენი სამცხის საზღვრებს მიუახლოვდა, მანუჩარმა გამართა მასთან მოლაპარაკება, დაუთმო მას ხერთვისისა და ზოგი სხვა ციხე და აგრეთვე მძევლად მისცა ძე თვისი შანუჩარ. საათაბაგოს ამ დროს შეადგენდა მხოლოდ სამცხე და აჭარა.

მანუჩარ II. მანუჩარ ათაბაგის სიკვდილის შემდეგ ოსმალთ გამოიყვანეს ძე მისი მანუჩარიევე, რომელიც ერევნის ამირგუნა-ხანთან იზრდებოდა და სულთანის ბრძანებით დასვეს ათაბაგად. შინაური მდგომარეობა საათაბაგოსი თანდათან უარესდებოდა, რადგან ურჩნი მეპატრონენი გამაჰმადიანების გზით ჰპოულობდნენ დახმარებას და მფარველობას ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელებისაგან. მანუჩარი ცდილობდა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ოსმალეთის მთავრობაზე დაყრდნობით. 1621 წ., მაგ., ის მიდის სტამბოლს ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ბოლოს თვით ათაბაგი, როგორც ქრისტიანობის მომხრე და ოსმალთა მძლავრების წინაშე შეძლებისა დაგვარად ქვეყნის ინტერესების დამცველი, ვერ შეეგუა ოსმალთა მძლავრებას. აზრუმის ფაშამ გამოგზავნა მის წინააღმდეგ ჯარი და ათაბაგი იძულებული გახდა ქართლს გადასულიყო (1624 წ.). რამოდენიმე ხანს აქ მყოფობის შემდეგ ათაბაგი წავიდა სტამბოლს სულთანის წინაშე, შეწყნარების და წყალობის სათხოვნელად. მისი შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, მაგრამ უკან დაბრუნებისას შეხვდა მას გზაში ბიძა მისი ბექა, რომელმაც ისტუმრა ძმისწული და საწამლავით მოაკვლევინა ის, რის შემდეგ თითონ წავიდა სტამბოლს, გამაჰმადიანდა და გამოითხოვა ათაბაგობა. სულთანმა უბოძა მას ორ-თუღიანი ფაშობა საათაბაგოს მთელი ტერიტორიისა ტაო-არტანუჯ-არტაანითურთ საფარ-ფაშის სახელოში (1625 წ.).

ამიერიდან საათაბაგოს ყოფილი ტერიტორია წარმოადგენდა ახალციხის ანუ ჩილდირის საფაშოს, რომლის ფაშებად ინიშნებოდნენ სულთანის მიერ მთელს სიგრძეზე მე-XVII საუკუნისა თვით მე-XVIII-ს. დასასრულამდის ათაბაგის სახლის წევრნი. საფაშოს მართველი ითვლებოდა ორ-თუღიან ფაშად.

საფარ-ფაშა. სათაბაგოში ვრცელდება მაჰმადიანობა, საფარ-ფაშამ (1625—1635 წ.) დაამკვიდრა ყოფილ სათაბაგოში ოსმალეთის მართველობის წესები. ქრისტიანობის აღმსარებელ მოსახლეობას დაედვა,

გარდა ჩვეულებრივ გარდასახადებისა, სულზე დრაჰკანი, გარდა ამისა მოსავლის 1/7, ცხვარზე 2 შაური, ძროხაზედ აბაზი, ცხენსა და კამეჩზედ 6 შაური. საფაშოთ კიდევ დადებული იყო სულზე დრაჰკნის მესამედი. წარჩინებულთა შორის, ოსმალეთის სამსახურში პირადი დაწინაურებისა და წარმატების მისაღებად, თანდათან ვრცელდებოდა მაჰმადიანობა. ეკლესიას და მისს უფლებებს მოაკლდათ ადგილობრივ მეპატრონეთა მფარველობა, რის გამო მონასტრებმა იწყეს დაცალიერება. საეპისკოპოსო კათედრები თანდათან მოისპნენ. უდიდესი საეკლესიო სიწმინდენი მესხეთიდან გადაჰქონდათ ქართლსა, კახეთს და ლიხთ-იმერეთს.

საათაბაგოს გათათრების დაწყება. ქრისტიანობის დასუსტებას საათაბაგოში მოჰყვა თან იმ საძირკვლის შერყევა, რომელზედაც დაყრდნობილი იყო ქართული ეროვნული კულტურა და მისი ძლიერება. ამიტომაც ქრისტიანობის დაცემასთან ერთად პარალელურად მიდიოდა პროცესი ქართულ ეროვნულ შემეცნების მისუსტებისა და მოსპობისაც. ეს პროცესი წარმოებდა, რასაკვირველია, თანდათანობით, მაგრამ უკვე მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარში რამოდენიმე, ქრისტიანობის მედგრად დამცველ წარჩინებული გვარეულობა გადმოსახლდა საათაბაგოდან უმეტესად ქართლს. ეს გვარეულობანი იყვენენ: ავალიშვილი, ხერხეულიძე, ხიმშიაშვილი, დიასამიძე, თაქთაქიშვილი. ქართულ ეროვნულ შემეცნების დაცემასთან ერთად თან-და-თან ვრცელდებოდა და ფეხს იკიდებდა, ჯერ წარჩინებულთა წრეებში, ოსმალური ენა და ზნე-ჩვეულება.

მესხეთი გადადის მაჰმადიანობაში. საფარ-ფაშის სიკვდილის შემდეგ ახალციხის ფაშად დანიშნულ იქმნა სულთანის მიერ ძე მისი უსუფი, რომელიც გარდაიცვალა 1647 წ.. მის შემდეგ ფაშად დამტკიცებულ იქმნა მისი ძე როსტომი (1647—1659 წ.), რომელიც ფრიად დიდი მომხრე იყო მაჰმადიანობის გავრცელებისა. როსტომ-ფაშის ცოლი. წარჩინებულ მესხის ოჯახიდან, ისე როგორც სხვა მესხეთის თავადების ცოლები და ქალები, ჯერ კიდევ აღიარებდა ქრისტიანობას. საზოგადოდ წარჩინებულთა ქალები მესხეთში ამ დროს მედგრად იცავდნენ მამა-პაპათა სარწმუნოებას. ერთის ცნობის მიხედვით ოსმალეთის ცენტრალურ მთავრობისაგან მიღებულ წინადადებისა გამო, მაგრამ შესაძლებელია თავისი საკუთარი თაოსნობითაც როსტომ-ფაშა აიძულებდა თავისს ცოლს მაჰმადიანობაში გადასულიყო. მაგრამ ამაზე მან სხვა მესხ წარჩინებულთა ცოლების მიერ რჯულის გამოცვლამდის გადაჭრით უარი განაცხადა. მაშინ ოსმალთა მთავრობის მძლავრობის მორიდებით და როსტომ-ფაშის შიშით მესხეთის თავადთა ცოლების უმეტესი ნაწილი შეურიგდა დროს და გარემოების მოთხოვნილებას და გადავიდა მაჰმადიანობაში. მათ მაგალითს მიბაძა როსტომ-ფაშის ოჯახობამაც.

ამის შემდეგ მაჰმადიანობამ უფრო გაიდგა ფეხი მესხეთში. სოფლებში გაჩნდა მეჩეთები. გამაჰმადიანებული თავადები ითვისებდნენ მო-

ნასტრების და საყდრების მამულებს. მამულებ-მიტაცებულნი ეკლესია-მონასტერნი დაცალიერდნენ და მხოლოდ ზოგიერთი საეპისკოპოსო კათედრები განაგრძობდნენ ჯერ კიდევ არსებობას. მე-XVII საუკ. ნახევარში, მაგალითად, ჯერ კიდევ არსებობდნენ იმხანისა-ტბეთისა და აწყურის კათედრები.

გლეხობა ყველაზედ უფრო დიდხანს იცავდა მესხეთში ქრისტიანობას, მაგრამ თან-და-თან ისიც მაჰმადიანობაში გადადიოდა. ამას ფრიად უწყობდა ხელს გლეხთა უფლებრივ მდგომარეობის საგრძნობლივ გაუმჯობესება, რაც თან ჰყვებოდა სარწმუნოების გამოცვლას, სახელდობრ—ქრისტიანეთათვის დადებულ გარდასახადებისაგან განთავისუფლება და გარდა ამისა მაჰმადიან-მებატონის პირადი დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა. მაჰმადიანური კანონმდებლობა არ სცნობდა ბატონ-ყმობას, როგორც ადამიანის პიროვნულ დამოკიდებულების ინსტიტუტს და ამიტომ მაჰმადიანობაში გადასვლას თან მოჰქონდა გლეხთათვის უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესება. ოსმალებმა განამტკიცეს, თანახმად იმპერიის ძირითად ნაწილებში მიღებულ წესებისა, მიწის სარგებლობაზე აშენებული წყობილება და შემოიღეს გაცემულ მამულზე მოლაშქრეთა განსაზღვრულ რიცხვის გაყვანა. ყოველი საპატრონოს მფლობელს—ფაშას, ბეგს, ალაი-ბეგს, სანჯახ-ბეგს და აღას უნდა გამოეყვანა საჭიროების დროს განსაზღვრული რიცხვი მოლაშქრეთა. ეს რიცხვი დამოკიდებული იყო ამა თუ იმ საპატრონოს შემოსავლიანობაზედ. მოლაშქრენი გამოდიოდნენ მხოლოდ მაჰმადიანთაგან და მათ მიწის განსაზღვრულ რაოდენობით სარგებლობის უფლება ჰქონდათ.

ამ წესმა, რომელიც პირველად შემოღებულ იქმნა მესხეთს როსტომ-ფაშის დროს, ფრიად დიდი შედეგი იქონია მაჰმადიანობის გავრცელების საქმეში როგორც იმ მცირეოდენ თავადთა და აზნაურთა შორის, რომელნიც ჯერ კიდევ ქრისტიანობას ადგნენ, ისე თვით ხალხის ფართო მასაშიც.

ახალციხის საფაშო. ახალციხის საფაშოს მტკიცე საზღვრად ორგანიზაციის მოწყობის შემდეგ როსტომ-ფაშას დაექვემდებარა ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროები. ამიერიდან ახალციხის ფაშა იყო თვალყურის მადევნებელი ლიხთ-იმერეთის ამბებისა და შეუწ-მთავართა შორის არსებულ ურთიერთობისა. თავისი წამქეზებელ პოლიტიკით ახალციხის ფაშები კიდევ უფრო ხელს უწყობდნენ დასავლეთ საქართველოს ცხოვრების არევ-დარევას, რაც განსაკუთრებულის სიძლიერით იჩყება მე-XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. მუდმივი რბევა იმერეთისა და გურიაოდიშისა დიდი სარგებლობის მომტანი იყო ახალციხის ფაშებისა და მათი ლაშქრისთვის. ტყვეთა ყიდვა აგრეთვე ძლიერ ამდიდრებდა მაჰმადიან მესხთ. მრავალი ლიხთ-იმერთა ტყვეთაგანი მე-XVII საუკ. მეორე ნახევრიდან მაჰმადიანდებოდა და ესახლებოდა აღგილობრივ მებატონეთა მიწებზე. ზოგი ამ ტყვეთაგანი ახერხებდა თავის დაწინაურებას. ასე

როსტომ-ფაშის შვილისშვილის უსუფ-ფაშის (1680—1690 წ.) დროს ერთმა გურიელის მიერ გაყიდულმა მღვდელმა ფირიაღისშვილმა მაჰმადიანობაში გადასვლის შემდეგ იშოვა ფული, წავიდა სტამბოლს და დიდის ქრთამით მოიპოვა ჯავახეთის ფაშობა, რაც მისმა მემკვიდრეებმა განიმტკიცეს კიდეც თავისს გვარში. მისი შთამომავლობა ფაშობდა ჯავახეთს მე-XVIII საუკუნის შუაშიც.

მიუხედავად მაჰმადიანობის თან-და-თან გავრცელებისა და მაღალ წრეებში ოსმალურ ზნე-ჩვეულების ფეხის მოკიდებისა, ქართული ენა რჩებოდა საფაშოში შეურყეველად. თვით ოფიციალური მიწერ-მოწერა ადგილობრივ მოხელეთა შორის სწარმოებდა უმეტესად ქართულად. ქართულადვე აწარმოებდნენ ახალციხის ფაშები თავისს მიწერ-მოწერას საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილების მეფე-მთავრებთან თვით მე-XIX საუკუნის დასაწყისამდის.

აფხაზეთის სამთავრო. მე-XVI საუკუნის დასასრულიდან ოდიშის სამთავრომ დაიჭირა, გურიის სამთავროსთან შედარებით, უპირატესი ადგილი ლიხთ-იმერეთში. სადადიანო ამ დროს ირიცხებოდა გურიიდან ვიდრე ჯიქეთამდე. მაგრამ დაქსაქსვის პროცესი ხვდა წილად ოდიშის სამთავროსაც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მე-XVI საუკუნის დასასრულს აფხაზების გაძლიერება, რასაც შედეგად მოყვა ცალკე, დადიანებისაგან დამოუკიდებელ აფხაზეთის დაარსება, სადაც ბატონობდა რამოდენიმე თავადის გვარეულობა, ხოლო პირველობა მათ შორის ეკუთვნოდა შერვაშიძეს. ამ ახალ სამთავროს აღმოსავლეთ საზღვრად დაიდო მდ. კოდორი, მთავრის უფრო მნიშვნელოვან ადგილ-სამყოფელად კი ითვლებოდა ზუფუ (ლიხნე). მალე აფხაზნი იმდენად გაძლიერდნენ, რომ კირთება დაუწყეს ყველა მეზობელ ქვეყნებს. მათი სათარეშო ნავები აღწევდნენ გურიასაც.

ამ გვარად მე-XVII საუკ. დასაწყისს დასავლეთ საქართველოში იმერეთის სამეფოს გარდა ირიცხება 3 სამთავრო: ოდიშისა (სადადიანო), გურიისა (საგურიელო) და აფხაზეთისა, სადაც პირველობდა შერვაშიძის გვარეულობა. მეფის უპირატესობა მთავრების მიერ მხოლოდ ნომინალურად იყო ხოლმე ცნობილი, ფაქტიურად კი სამთავროები განაგრძობდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ არსებობას. მათ აერთებდათ მხოლოდ საერთო დამოკიდებულობა ოსმალეთისაგან, რომელსაც როგორც დადიან-გურიელი და შერვაშიძე, ისე აგრეთვე მეფეც აძლევდნენ ხარკს. სამეფოსა და სამთავროებს შორის კვლავინდებურად არსებული ანტაგონიზმი უშლიდა ხელს მათ ერთ მთლიან ფრონტად დარაზმვას, რაც, რასაკვირველია, უფრო ცხად ჰყოფდა მათ საერთო სისუსტეს ოსმალთა მძლავრების წინაშე.

ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი. ასეთი იყო მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში, როდესაც პოლიტიკურ ცხოვრების ზედაპირზე გამოჩნდა ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი, მაღალ ნიჭიერი,

ენერგიული და ფართო ზრახვათა მქონე პიროვნება, რომელსაც ამავე დროს ბედად ხვდა დასავლ. საქართველოსთვის საბედისწერო როლის შესრულება.

მამა ლევანისა იყო მანუჩარ დადიანი, რომელსაც ირმებზე ნადირობის დროს ზუგდიდის ახლოს შემთხვევით შეაძგერა ცხენი ერთმა ცხენოსანმა, რის გამო ის გარდაიცვალა (1611 წ.). ლევანი ამ დროს 14 წლისა იყო. მთავრის სრულწლოვანად გახდომამდის ოდიშს მართავდა ბიძა მისი გიორგი ლიპარტიანი, სალიპარტიანოს მფლობელი, ჭკვიანი და ხახელმწიფო საქმეებში ჩახედული კაცი. მთაყარს ახალგაზრდობიდანვე ეტყობოდა ხასიათის სიმტკიცე და დიდი ინტერესი სახელმწიფო მართველობისადმი. მართლაც, როგორც კი მან მიაღწია სრულწლოვანობას, მაშინვე თავისი კვალი დაამჩნია სამთავროს საზოგადო პოლიტიკის მიმდინარეობას. უპირველეს ყოვლისა ლევან დადიანმა მოინდომა მეზობელ მთავრებთან, შერვაშიძესა და გურიელთან, დაკავშირება. თითონ შეირთო აფხაზეთის მთავრის ქალი, ხოლო თავისი და, ბატონიშვილი მარიამ, მიათხოვა მამია გურიელის ძეს სვიმონს.

ლევან II დადიანი იწყებს იმერეთის წინააღმდეგ ლაშქრობას. მთავრების ამ გვარმა დაკავშირებამ დაარღვია სწორ-წონაობა დასავლეთ საქართველოში სამეფოსა და სადადიანოს შორის, რის გამოც ურთიერთობა მეფესა და დადიანს შორის თანდათან მწვავდებოდა. იმერეთის მეფედ ამ დროს იყო გიორგი III (1604—1639 წ.), ძმა როსტომ კოსტანტინეს ძისა. ამ დროს ოდიშის მთავრის მხარეს გადავიდა იმერეთის ერთი წარჩინებულთაგანი, მეფის პირადი მტერი პაატა წულუკიძე, რომელსაც კიდევ წუწკს ეძახდნენ. პაატა მალე გახდა დადიანთან დაახლოებული პირი და მისი მრჩეველი. მეფისადმი პირადი ღვარძლიანობით გამსჭვალული პაატა კიდევ უფრო ამწვავებდა იმერეთსა და ოდიშს შორის ურთიერთობას. ბოლოს ლევან დადიანი აშკარად გამოვიდა გიორგი III-ის წინააღმდეგ. 1623 წ. ლევან II-მ გაილაშქრა ქუთაისზე, ქალაქის ახლოს გოჭოურზე მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომლის შემდეგ გამარჯვება დარჩა დადიანს. ოდიშართ შეიპყრეს მრავალი ტყვე და ყველა მათ შემდეგ დაახსნეკინეს თავი ფულით.

ეს იყო პირველი შემთხვევა დასავლ. საქართველოში შინაურ ომში წაყვანილ ტყვეების თავის დასახსნელად ფულის მოთხოვნისა. ამის შემდეგ განმტკიცდა ეს ახალი წესი, რამაც თავისს მხრივ ძლიერ შეუწყო ხელი ურთიერთ ხდომისა, რბევისა და ადამიანთ ტყვედ წაყვანის გახშირებას.

ოდიშის შემდეგდროინდელი პოლიტიკური ამბები გადახლართული იყო ლევან II-ის პირად და საოჯახო ცხოვრების ფაქტებთან.

დადიანის ურთიერთობა აფხაზეთთან. ეს საოჯახო ფაქტები ფრიად დამახასიათებელია იმ ზნეობრივ დაცემისთვის, რომელიც ამ დროს ეტყობოდა საქართველოს ცხოვრებას. ლევან დადიანს უყვარდა თავისი ბიძის

გიორგი ლიპარტიანის ცოლი როვანოზ ჭილაძის ასული ნესტანდარეჯან, ხოლო ამავე დროს ცოლი მისი შერვაშიძის ასული ყვაროობდა ლევანის ვეზირს პაპუნას. ეს კავშირი მალე გამოაშკარავდა ლევან დადიანმა და-საჯა ცოლი ცხვირის მოჭრით და უპატიოდ გაისტუმრა მამასთან, ორი შვილი კი, მისგან ნაყოლი, მოაკვლევინა. ვეზირი პაპუნა გაიქცა გურიას, მაგრამ მალე მოკლულ იქმნა. შემდეგ დადიანმა წაართვა ცოლი წესტანდარეჯანი თავისს ბიძას, გიორგი ლიპარტიანს და თითონ შეირთო. ამ გარემოებამ ბევრი აღაშფოთა დადიანის წინააღმდეგ. შესდგა შეთ-ქმულობა, რომელსაც ხელს უწყობდნენ აფხაზეთის მთავარი და აგრეთვე პოლიტიკური მოსაზრებით იმერეთის მეფეც. შეთქმულობის მიზანი იყო ლევანის მოკვლა და მის მაგივრად მისი ძმის იოსების დადიანად დასმა. მაგრამ ამ შეთქმულობიდან არა გამოვიდა რა. შემთქმელნი დაეცნენ ლევანს ვახშმობის დროს სასახლის ეზოში, მაგრამ დადიანი გადარჩა მსუბუქი ჭრილობით. შეთქმულობის გამოაშკარავებისთანავე ლევანმა თვა-ლების დათხრით დასაჯა თავისი ძმა იოსები, სიკვდილს მისცა ყველა მისი მომხრეები და შემდეგ გაილაშქრა შერვაშიძის წინააღმდეგ, რომე-ლიც ოდიშის სანაპირო ქვეყნებში ჩამომდგარიყო და სოფლები საშინ-ლად აეოხრებინა. ლაშქრობა შერვაშიძის წინააღმდეგ მოხდა ორჯელ. პირველ შესევისთანავე დადიანმა მიაღწია შერვაშიძის ადგილ-სამყოფელს ზუფუს, ააოხრა ის და აგრეთვე ყველა გზად მდებარე სოფლები. მეორე შესევაზე აგრეთვე ლევანმა ბრძოლით გაიარი მთელი აფხაზეთი ზუფუმ-დის, სიმაგრეები აიღო, კაპოეტის წყალზე დაამარცხა აფხაზების ჯარი მარშანიების წინამძღოლობით და გამარჯვებული, ალაფით და ტყვით სავსე, დაბრუნდა უკან. აფხაზეთის მთავარს მაინც ამის შემდეგაც ბრძო-ლა არ შეუწყვეტია, სანამ იძულებული არ გახდა შერიგება ეთხოვა. დადიანმა მას ხარჯად დაადგა ყოველ წლიურად რამოდენიმე საუკეთე-სო მწევარ-მეძებრის მოცემა.

მიუხედავად ამ შერიგებისა, შერვაშიძე მაინც ცდილობდა ოდიში-სათვის წვრილი თარეშებით რაც შეიძლება მეტი ვნების მოტანას. ის ნებას აძლევდა თარეშობისას როგორც თავისს ქვეშევრდომთ, ისე სხვა მოსაზღვრე მთიულ ხალხებს, რომელნიც მის გავლენის ქვეშ იმყოფე-ბოდნენ, ანდა დამოუკიდებელნი იყვნენ. ამ თარეშების მოსაგერიებლად დადიანი იძულებული გახდა საზღვრის ახლოს გაეყვანა ზღუდა და მთებს შორის 60 ათასი ნაბიჯის სიგრძე ჯებირი ხის კოშკებით, რომელშიდაც დააყენა მეთოფეები. ამ მეთოფეებს რიგ-რიგობით აყენებდნენ ოდიშის ეპისკოპოსები და წარჩინებული თავადები, თანახმად მთავრის განკარ-გულებისა.

გურიაში მთავრად ჯდება მალაქია კათალიკოზი. ამასობაში გურიის მთავრის ძემ სვიმონმა, დადიანის სიძემ, მოაკვლევინა შეჩენილ კაცთ თავისი მამა მამია გურიელი და თითონ დაჯდა მთავრად. (1625 წ.) ამ ბოროტ-მოქმედებით გამოწვეული აღშფოთება ხელზე დაიხვია

ლევანმა, დიდის ჯარით წავიდა გურიას, დაამარცხა სვიმონი ლანჩხუთთან ბრძოლაში, წაართო მას თავისი და მარიამი და თითონაც ის ტყვედ დაიჭირა. სიმონს თვალები დასთხარეს, ხოლო მარიამი შემდეგ მითხოვდა ქართლის მეფეს რუსტომს და მერმე შაჰნავაზს. სვიმონის შეპყრობის შემდეგ ლევან დადიანმა დასვა გურიელად ბიძა მისი, მამია გურიელის ძმა და ძე გიორგი გურიელისა აფხაზეთის კათალიკოზი მალაქია, რომელიც აბიერიდან ერთსა და ამავე დროს ეკლესიასაც განაგებდა და გურიის მთავრადაც იყო.

მალაქია, კათალიკოზი და გურიელი, იყო საქართველოში ერთი მოწინავე პიროვნებათაგანი მე-XVII საუკ. პირველ ნახევარში. კათალიკოზად ის აკურთხეს 1614 წ., მას ამ დროს ეჭირა კათედრები ცაიშელისა, ჯუმათელისა და შემდეგ დაიჭირა ხონელის კათედრაც. რადგანაც ყოველი ეპისკოპოსი საეკლესიო ყმების და მამულების სიმრავლით, მოლაშქრეების რიცხვით და საზოგადოდ გავლენის მხრივ არაფერით ჩამოუვარდებოდა უწარჩინებულესს თავადებს, ამიტომ მალაქიამ სამი საეპისკოპოსო კათედრის დაჭერით და კათალიკოზობით მოიხვეჭა ფრიად დიდი ძალა. კერძოდ ეკლესიურ ცხოვრებაში ის ცდილობდა წეს-რიგის შეტანას. მისი ბრძანებით შედგენილ იქმნა საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი. ის საზოგადოდ ესწრაფოდა ეკლესიის საშეურნეო მხარე ჯეროვან დონეზე დაეყენებინა. მის მიერვე ხელახლავ აშენებულ იქმნა მიწის ძვრისაგან დანგრეული ცაიშის საეპისკოპოსო ტაძარი.

მაგრამ როგორც მისი გავლენა, ისე პირადი ენერგია უძლური იყო იმ უდიდეს ბოროტების — ტყვეთა ყიდვის წინაშე, რომელსაც თანდათან ფეხი მოკიდებული ჰქონდა დასავ. საქართველოს ტერიტორიაზე და ამ დროს ქვეყნის დამლუპველ ხასიათს ღებულობდა. მეფის ცენტრალურ ძალა-უფლების დაქსაქსვამ, მეფე-მთავართა და ცალკე დიდ თავადებს შორის გამწვავებულმა ურთიერთობამ, გახშირებულ ხდომა-რბევამ, უფრო ღრმა ეკონომიურ მიზეზებთან ერთად, გაამრავლა ტყვის ყიდვა. როგორც ოდიშიდან, ისე გურიიდან ყოველ წელს გაჰყავდათ გემებით ოსმალეთის ბაზრებზე რამოდენიმე ათასი ტყვე. ეკლესია და მალაქია კათალიკოზი ებრძოდნენ ამ ბოროტ-მოქმედებას, მაგრამ საერთო სტიქიურ მოვლენას შარტო ზნეობრივი ხასიათის ზომები, რასაკვირველია, ვერ შეაჩერებდა.

ლევან II დადიანი უკავშირდება სპარსეთს. სვიმონ გურიელის გურიიდან გაგდებისა და შერვაშიძის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ იმერეთის მეფეს ადგილობრივ უკვე მოკავშირე არ ჰყავდა გამძლავრებულ ლევან დადიანის წინააღმდეგ. ამით აიხსნება, რომ გიორგი III დაუმყარდა თემურაზ მეფეს, რომელიც ამ დროს ქართლ-კახეთს ფლობდა და ითხოვა თავისი შვილის და ტახტის მემკვიდრის ალექსანდრესთვის მისი ასული დარეჯან, ქერიეი ზურაბ არაგვის ერისთავის (1629 წ.). იმ ბრძოლაში, რომელსაც სპარსეთი აწარმოებდა თემურაზის წინააღმდეგ,

გიორგი III მოხვდა ამ გვარად ყაენის მოწინააღმდეგეთა მხარეზედ. ამ გარემოებამ გამოიწვია დაახლოვება ლევან დადიანისა სპარსეთის მთავრობასთან, რომელმაც მას მალე ჯამაგირიც დაუნიშნა. როდესაც ქართლი დაიჭირა ყაენის ბრძანებით როსტომ მეფემ, ამ უკანასკნელსა და დადიანს შორის განმტკიცდა მეგობრული განწყობილება. ცოტა ხნის შემდეგ როსტომმა ითხოვა დადიანისაგან და მისი მარიამ, გურიელის ნაცოლარი. დადიანი სიხარულით დასთანხმდა, რადგან ქართლის მეფესთან დაკავშირება უადვილებდა მას გიორგი III-სთან ბრძოლას. იმერეთის მეფემ გარდასწყვიტა არ მიეცა როსტომისა და დადიანისათვის საშუალება ერთმანეთთან შეყრისა და ამ დროს იმერეთს გარდახვეწილ თეიმურაზ მეფესთან ერთად, გადაელობა იმერეთში გზად მიმავალ დადიანს, რომელსაც დიდის ჯარით და მდიდარის მზითევით წამოეყვანა თავისი დაი და სამიქელაოს გზით როსტომის შესაყრელად მიისწრაფოდა. როსტომი კი ამ დროს აგრეთვე ჯარით სამცხეს გადასულიყო. გიორგი III, ძმა მისი—თავისი მამაცობით ცნობილი მამუკა ბატონიშვილი, ძე ალექსანდრე და თეიმურაზ კახეთის მეფე ჯარით დაეცნენ თავს ლევან დადიანს, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. დადიანს ხელთ ჩაუვარდა მრავალი ტყვე და მათ შორის თვით მეფე გიორგიც.

ამის შემდეგ კაკას ხიდზე როსტომ მეფე და ლევან დადიანი თავისუფლად შეხვდნენ ერთმანეთს. როსტომმა წამოიყვანა მარიამი და იმერეთის გზით ჩამოვიდა ქართლს და ტფილისს, სადაც გარდაიხადა დიდი ქორწილი (1634 წ.). დატყვევებულ გიორგი მეფეს განსათავისუფლებლად კი ლევანმა მოითხოვა 50 კომლი ქალაქ ჩხარის სომეხი და ისრაილი ვაჭარი, რომელნიც წაიყვანა და დაასახლა რუხს.

ალექსანდრე III-ის გამეფება იმერეთს. 1639 წ. გარდაიცვალა გიორგი მეფე და იმერეთის ტახტზედ ავიდა ძე მისი ალექსანდრე.

ალექსანდრე III-ის მეფობის დროს იმერეთის მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა ბრძოლა ლევან დადიანთან, რომელსაც მუდმივ თავდასხმით ქვეყანა სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა.

დადიანის თავდასხმანი იმერეთზე. 1639 წ. გარდაიცვალა კათალიკოზი მალაქია გურიელიც, რომელიც რამოდენიმე ცდილობდა ურთიერთ კირთების შესუსტებას და ამის შემდეგ ლევან დადიანმა უმატა იმერეთზე თავდასხმას. მისი მიზანი იყო იმერეთის სამეფოს დაპყრობით დასავლეთ საქართველოს თავისი მფლობელობის ქვეშ გაერთიანება. თავისს სამთავროში მან ალაგმა ურჩნი და დაამყარა მტკიცე მართველობა—დაამკვიდრა მართლ-მსაჯულობა, აღკვეთა ქურდობა, თავისთვის გაიშენა სნვა-და-სხვა ადგილას 12 სასახლე ამ სასახლეთა უახლოეს წყაროებს გაუკეთა ძეწკვით ოქროს ფიალები, უშორესს ვერცხლისა, რომელთა მოპარვას ვერვინ ბედავდა—ისეთი დიდი იყო შიში დადიანისადმი. ზუგდიდში კიდევ მან გამართა ზარაფხანა, სადაც სპარსული ფული იჭრებოდა. მთავარი საზოგადოდ ძლიერ ცდილობდა თავისი სამთავროს ეკონომიურ

მდგომარეობის გაუმჯობესებას, კერძოდ ვაჭრობის გაჩაღებას, რა მიზნითაც იმერეთის მეფის დასახსნელად ვაჭრების მიღების შემდეგ მან გააშენა ქალაქი რუხი.

თარეშული და დროგამოშვებითი თავდასხმა იმერეთზე ოდიშიდან ამის შემდეგაც გრძელდებოდა.

ლევან დადიანის მძლავრება აიძულებდა მეფე ალექსანდრეს დაყრდნობოდა ოსმალთ, რომელთაც ის განსაზღვრულ ხარკს აძლევდა. მეფის თხოვნით ოსმალეთის მთავრობამ მოსთხოვა დადიანს და მასთან ერთად გურიელსაც შეეჩერებინათ მუდმივი თარეშული თავდასხმანი იმერეთზე. მაგრამ ლევან დადიანი ამ დროს უკვე იმდენად განლაღებული იყო, რომ ოსმალეთის მთავრობის ბრძანებასაც მასზე ჯეროვანი გავლენა არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მჭიდრო კავშირი ქართლის მეფე როსტომთან მას გაჰირვებისას სპარსეთის გამოქომაგების იმედს აძლევდა.

იმერეთის მეფესთან ბრძოლის მიზნით ლევან დადიანი დიდს ყურადღებას აქცევდა თავისს სამხედრო ძალთა გაძლიერებას. მან გაიჩინა ძლიერი არტილერია, 30-მდის ზარბაზანი, რომელიც ჩამოასხმევინა და გაამართვინა ერთს ფრანგს მეზარბაზანეს. ამ არტილერიით დადიანი ფიქრობდა ქუთაისის ციხის აღებას. 1645 წ. ლევან II-მ დიდის ჯარით და ზარბაზნებით გაილაშქრა იმერეთზე და დაეცა ქუთაისს, რომელსაც იცავდნენ იმერეთის ჯარის გარდა ლენტეხელი სვანები და ოსმალ-მესხთა ჯარი საფარ-ფაშისა. თუმცა ქუთაისის აღება დადიანმა ვერ მოახერხა,—თვით ქალაქს ალექსანდრე მეფის ბრძანებით შემოვლებული ჰქონდა მტკიცე ჯებირი ხის კოშკებით და თხრილებით გამაგრებული,—მაგრამ მაინც დიდი ნავნები ქნა: აიკლო ქალაქის ერთი ნაწილი. დაანგრია ზარბაზნებით მეფის სასახლეები, დაარბია ახლო-მახლო სოფლები და დიდის ნადავლით დაბრუნდა უკან. ერთი კვირის შემდეგ დადიანი კვლავ დაეცა ქუთაისს და ქვემო იმერეთს და აუარებელი ტყვე წაასხა. ლაშქარის ცოტაოდენ შესვენების შემდეგ დადიანი ისევ მიეშართება იმერეთისაკენ (1646 წ. თებერვალს). ლევანმა კვლავ მოარბია იმერეთი, დასწვა ქალ. ჩიხორი და ააოხრა ქალ. ჩხარი და სხვადასხვა სოფლები. „წამოველით გამარჯვებული და ნაშოვრით სავსე,—სწერს ის თავისს თავზე ერთ მის მიერ მოჭედილ ხატის წარწერაში,—რომ ლაშქარნი ვერ დაეპირენენ. ბალახვანზე რიონს გამოვედით და ქუთაისის ციხისდაღმა მეფე და სრულ იმერელი ლაშქარი შეყრილი თვალით გვიმზერდენ. მეფე მისი თემის და ქვეყნის ამოწყვეტას ხედავდა, ამდენი ნაშოვარის ტყვეების ჟლიეილი ყურით ესმოდა, მაგრამ ციხისდაღმა თავი არ გამოყვეს და ვერცარა დაგვაკლეს. ასრე შევარცხვინეთ და წამოველით ოდიშს გამარჯვებული"-ო.

ლევან დადიანის თარეშებს რამოდენადმე წინააღმდეგობას უწევდა მეფე ალექსანდრეს ძმა მამუკა ბატონიშვილი, ცნობილი თავისი მხნეობით. მამუკა დიდად ავნებდა ოდიშარხა რაზმებს, რომელნიც იმერეთისკენ გადმოდიოდნენ. დადიანი ძლიერ ცდილობდა მისი შეპყრობას, მაგ-

რამ ამაოდ. ბოლოს ოდიშართა ერთი თარეშის გამოსვლის დროს მამუკა თავისი რაზმით გამოედევნა მოთარეშეთ. მას ჰყავდა სახელ-განთქმული ცხენი ზერდაგი, რომელიც ამ ჟამად მეფის ბრძანებით მისთვის დაემალათ, რადგან ალექსანდრეს ეშინოდა ძმის ომში სიკვდილისა. მამუკა თარეშის გამოჩენისას მაინც გავიდა ბრძოლად სხვა ცხენით, რომელიც გაქცეულ ოდიშართა დევნის დროს წაიქცა. დადიანის ჯარისკაცები მისცვივდნენ და შეიპყრეს მამუკა ტყვედ. მეფე ალექსანდრე ამის შემდეგ ბევრს ცდილობდა ძმის გამოხსნას ტყვეობიდან. სპეციალურად ამ მიზნით შემდეგ წავიდა დადიანთან იმერეთიდან თეიმურაზ, ყოფილი კახეთის მეფეც, მაგრამ ამაოდ. ტყვე-ქმნილს მამუკას ბოლოს თვალები დასთხარეს, რის შემდეგ ის მალე გარდაიცვალა.

ოსმალნი ლევან დადიანის წინააღმდეგ. დადიანის მძლავრება აიძულებდა იმერეთის მეფეს ოსმალთ დაახლოვებოდა, რათა მათი დახმარებით ცდილიყო თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. იმერეთი კვლავინდებურად აძლევდა ხარკს ოსმალეთს, მხოლოდ ეხლა ამ ხარკმა, რომელსაც სახვანთქრო ეწოდებოდა, უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღო და ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელნი კერძოდ ახალციხის ფაშა, მეფის შევიწროებულ მგდომარეობისა გამო, უფრო მეტის დაჟინებით მოითხოვდნენ ამ ხარკის დროზე გარდახდას. დადიანის მძლავრება არ იყო სასარგებლო ოსმალეთის ინტერესებისათვის, მით უმეტეს რომ ოდიშის მთავარს კავშირი ჰქონდა გაბმული ქართლის მეფე როსტომთან და სპარსეთის მთავრობასთან. ამიტომ ახალციხის ფაშა ოსმალეთის მთავრობის ინტერესების მიხედვით ეხმარებოდა იმერეთის მეფეს დადიანის წინააღმდეგ სამეფოს დაცვაში. როდესაც 1645 წ. ქუთაისს დაეცა დადიანი, ქუთაისის ციხეს იცავდა ოსმალ-მესხთა ჯარიც. ამავე წელს, იმერეთის მეფის თხოვნით, ახალციხის საფარ-ფაშამ მიმართა დადიანს და გურიელსაც გაფრთხილებით შესახებ იმერეთის სამეფოს საზღვრების ხელუხლებლობისა. მაგრამ რადგანაც დადიანის თავდასხმა იმერეთზე განმეორდა შემდეგ წელს და საზოგადოდ კვლავინდებურად გრძელდებოდა, ოსმალეთის მთავრობამ გარდასწყვიტა ლევან დადიანის ალაგმვა. ამ მიზნით განზრახული იყო დიდი ლაშქრობის მოწყობა. სულთანის ბრძანებით სტამბოლიდან გამოიგზავნა დიდი ვეზირის შვილი შაჰმად-ფაშა და კიდევ 6 სხვა ფაშა დიდი ჯარით. ეს ჯარი შეევიდა ოდიშში და მოარბია რს. დადიანი იძულებული გახდა მორჩილება გამოეცხადებინა ოსმალებისათვის და მორიგებოდა მათ.

მიდრეკილება რუსეთისაკენ. ოსმალეთის მძლავრება და ამისგან გამომდინარე შინაური ურთიერთობის აწეწვა განსაკუთრებით საჭიროდ ხდიდა დასავ. საქართველოსთვის რუსეთთან კავშირის აუცილებლობას. ჯერ კიდევ მამა ალექსანდრე III-ისა გიორგი III 1619 წ. სთხოვდა რუსეთის მეფეს მფარველობას და შეწევნას. მაშინ მეფესთან ერთად რუსეთის მფარველობას თხოულობდა გურიელიც. მიზეზი რუსეთიდან და-

ხმარების ძიებისა იყო, რასაკვირველია, ოსმალთა მძლავრება, ხოლო საბაბი—უკიდურესი მდგომარეობა თეიმურაზ მეფისა, რომელიც სპარსელების წინააღმდეგ შეწევნას ეძიებდა როგორც ოსმალეთისა, ისე რუსეთისაგან და ამ მიზნით დასახელებულ წელს საელჩოს აგზავნიდა მოსკოვს. 30-იან წლებში უკვე ლევან დადიანიც ცდილობდა რუსეთთან დაკავშირებას, რისთვისაც მან 1636 წ. გაგზავნა ელჩი მოსკოვში. დადიანის რუსეთისადმი მიმართვის მიზეზი იყო ერთის მხრივ შურიანობა იმერეთის მეფისადმი, რომელიც თეიმურაზის საშუალებით რუსეთს თავისს თავს აცნობდა და მეორეს მხრივ პრაქტიკული ინტერესი—უკრაინელ ყაზახების წინააღმდეგ რაიმე დახმარების მოპოებისა. ყაზახები ხშირად ეცემოდნენ ზღვით ლდიშის ნაპირებს, ხალხს ატყვევებდნენ და სრფლებს ცარცევავდნენ. მათი თავდასხმა და თარეშები საზღვაო ვაჭრობასაც დიდად ვნებდნენ, რადგან მათი შიშით გემები თავისუფლად ვერ მოდიოდნენ და ვერ მოჰქონდათ მარილი და ზოგი სხვა ადგილობრივ საჭიროებისათვის აუცილებელი საგანი. რუსეთის მფარველობის ძიების დროს დადიანი მაინც ძლიერ ფრთხილად იქცეოდა. მას უნდოდა რუსეთისაგან რაიმე სარგებლობა მიეღო, შეძლებისა დაგვარად იმერეთის მეფისათვის მოსკოვის მთავრობასთან საქმე გაეფუჭებინა, ხოლო თავისს თავზე რაიმე გარკვეულ ვალდებულების მიღებას გაურბოდა. რუსის მთავრობაც ამიტომ მას ნდობით არ უყურებდა და 1640 წლამდის გაგრძელებულმა ელჩობამ უშედეგოდ ჩაიარა.

მით უფრო მეტის ენერგიით ეძიებდა იმერეთის მეფე ალექსანდრე III რუსეთის მფარველობას, რადგანაც მისი სამეფოს მდგომარეობა მართლაც რომ სერიოზული იყო. 1651 წ. ივნისში ქუთაისს მოვიდნენ რუსეთის მეფის ალექსის ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და დიაკი იეველევი მრავალის საჩუქრებით. მეფემ ისინი დიდის პატივით მიიღო. ელჩები განცვიფრებული დარჩნენ ქუთაისში ნახული ციხით და სხვა შენებულებით და აგრეთვე მეფის სასახლის სიმდიდრით. სამეფო სახლი ამ დროს ჯერ კიდევ საკმაო იყო რამოდენიმე თაობათა განმავლობაში დაგროვილ დოვლათით, ოქრო-ვერცხლეულობით და ძვირფასეულობით. 1651 წ. 14 სექტ. მეფემ მიიღო ფიცი რუსეთის ერთგულობაზე კათალიკოზისა, ეპისკოპოსთა და წარჩინებულ თავადებთან ერთად. პრაქტიკულად ამ ერთგულობის ფიცს და რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების აქტს არავითარი დადებითი შედეგი იმერეთისათვის არ მოუტანია. რუსეთს ჯერ არ შეეძლო საქართველოს საქმეებში აქტიურად ჩარევა.

ლევანის სიკვდილის შემდეგ იმერეთის მეფე იპყრობს ოდიშს. ლევან II დადიანის კირთება იმერეთის წინააღმდეგ შემდეგ, მართალია, რამოდენადმე მინელდა, მაგრამ საერთოდ მაინც გაგრძელდა თვით მისი სიკვდილამდის. მისი პირადი ცხოვრება არ იყო ბედნიერი. ნესტან-დარეჯანისაგან ლევანს ჰყავდა ორი ვაჟი, ერთი მათგანი ახალგაზრდობაშივე მოკვდა, მეორესაც ცოლის შერთვის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია. 1657

წ. ლევანმა თავისი მეორე მიცვალებულ შვილის კუბოზე მწუხარებისაგან კეტი დაირტყა თავში და მოკვდა. ოდიშის დიდებულთ დადიანად გამოაცხადეს ლევანის ძმისწული ლიპარიტ იესეს ძე, მაგრამ მის წინააღმდეგ გამოვიდა გიორგი ლიპარტიანის შვილი ვამეყი, რომელმაც აგრეთვე მოინდომა დადიანად დაჯდომა. ამით ისარგებლა იმერეთის მეფემ ალექსანდრე III-მ, დიდის ჯარით გადავიდა ოდიშს, აოხრა ქვეყანა, გადააგდო ლიპარიტ და დასვა დადიანად ვამეყი. მეფემ თან წაიყვანა დიდ-ძალი ტყვე, რომელთაც შემდეგ ფულით დაახსნევინა თავი. ოდიშიდან გაქცეულმა ლიპარიტმა შემწეობა სთხოვა ქართლის მეფეს როსტომს და ახალციხის ფაშას როსტომს. ქაიხოსრო გურიელი, მიქელაძეები და ჯილაძეები აგრეთვე მას მიემხრნენ. ლიპარიტი მთელი თავისი ძალით მივიდა და დადგა ბანძას. მეფე ალექსანდრემ შემოიკრიბა მთელი თავისი ჯარი და ვამეყ დადიანთან ერთად დაეცა მოწინააღმდეგეს 1658 წელს ივნისში. სასტიკი ბრძოლა გათავდა მეფის გამარჯვებით, თვით ლიპარიტი მოკლულ იქმნა. მეფის მოწინააღმდეგეთა მხარეს იმყოფებოდა, სხვათა შორის, ოტია მიქელაძე, რომელსაც ბრძოლის წინა-ღამეს მეფისთვის შემოეთვალა: „მაცნობე ხვალინდელი დღისა კურტაკი და ცხენი შენი, არ თუ ხარ ჯაბან და მეც ვაცადუნო შუბის წვერი სათვალესა ზარადისა შენისასა“. მეფემ აცნობა ნიშნეულად თავისი ტანისამოსი და ცხენი და მეორე დილას, რაზმთა წყობის წინ მოუწოდა ოტია მიქელაძის სიძეს ლევან აბაშიძეს, უწყალობა მის თავისი კურტაკი და ცხენი და ისე გაუშვა ომში. ლევან აბაშიძე, დიდი ერთგული მეფისა, გახარებული დარჩა ბატონის ამ გვარი წყალობით. ბრძოლის დროს ოტია მიქელაძემ იპოვა მეფის ნანიშნი ცხენი და კურტაკი, ჰკრა მხედარს შუბი, გაავლო კეფას და შესძახა: „მე ვარ ოტია“. სასიკვდილოდ ცხენიდან წაქცეულმა აბაშიძემ მაინც მოასწრო თქმა: „რას ეტყვი ასულსა შენსა, უკეთუ შენ ხარ ოტია“. ასეთი შეცდომით თავზარდაცემული ოტია ომის წაგების შემდეგ არ ილტვოდა, არამედ თავისი ნებით დანებდა მეფეს. მეფის ბრძანებით მას იქვე დასწვეს თვალები ზუმბით.

ბანძის ომის შემდეგ გამარჯვებულმა მეფემ დაამტკიცა კვალად ვამეყი დადიანად, ხოლო გურიელად დასვა სვიმონ გურიელის შვილი დემეტრე, რომელიც ბერად იყო შესული, მაგრამ მონასტრიდან გამოიყვანეს და გაპარსეს.

მალე ალექსანდრე მეფეც მოკვდა (1 მარტს 1660 წ.).

ბაგრატ IV-ის გამეფება და მისი ტახტიდან ჩამოგდება. ლევან დადიანის ომებმა იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ და საზოგადოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მე-XVII საუკუნეში გამრავლებულმა ურთიერთ კირთებამ ფრიად დაასუსტა ქვეყანა და ძირიანად შეარყია მისი კეთილდღეობა, ხოლო ტყვეთა ყიდვის გაძლიერებამ შეამცირა მოსახლეობა და დასცა ხალხი ზნეობრივად. ამ ომიანობათა ქვეყნისთვის დამღუპველ შედეგმა თავი იჩინა ალექსანდრე მეფის გარდაცვალებისთა-

ნავე, როდესაც იმერეთის მეფედ გამოცხადებულ იქმნა ძე მისი ბაგრატ.

დასავლეთ საქართველოში დაიწყო სამოქალაქო არეულობის ხანა. რომელიც გაგრძელდა თითქმის ერთი საუკუნე.

ბაგრატის მეფობა შეიშფოთა მისმა დედინაცვალმა დედოფალმა დარეჯანმა, თეიმურაზ კახ-ბატონის ასულმა. დარეჯანმა ჯერ შეირთო ბაგრატს თავისი ძმისწული კახეთის ბატონიშვილი ქეთევან, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თითონ მისცა წინადადება გერს ცოლად გაყოლის შესახებ და როცა ამის შესახებ აღშფოთებულ ბაგრატისაგან უარი მიიღო, შეიპყრო ის. დარეჯანი თავისს მრჩეველებს ხუთს დღეს ეთათბირებოდა ბაგრატის სვე-ბედის შესახებ, რჩევამ გაღასწყვიტა მისთვის თვალების დათხრა, რაც კიდეც შესრულებულ იქმნა. ამის შემდეგ დარეჯანმა წინადადება მისცა თავისს მამას თეიმურაზ მეფეს, რომელიც ამ დროს სკანდის ციხეში ცხოვრობდა, იმერეთის ტახტი დაეჭირა. თეიმურაზიც თავისი ქალის საქციელით ძლიერ შეწუხებული იყო და ამ წინადადებაზედ უარი შესთვალა. მაშინ დარეჯანმა შეირთო ქმრად ვახტანგ ბაგრატიონი, რომელსაც პუპუნიას შვილს ეძახდნენ და აკურთხა ის იმერეთის მეფედ.

ვამეყ დადიანის გამეფება. დარეჯან დედოფლის საქციელით ძლიერ უკმაყოფილო დარჩნენ იმერეთის ზოგი თავი-კაცები. ერთმა ნაწილმა მათგან მოიწვია ქართლიდან შაჰ-ნავაზ მეფე იმერეთის დასალაშქრებლად, ხოლო სხვებმა — ვამეყ დადიანი. მაშინ დარეჯანმაც თავის მხრივ მიჰმართა შაჰ-ნავაზს და აღუთქვა მას ბაგრატის ნაცოლარის ქეთევანის მისი შვილზე არჩილზე გათხოვება და ამ უკანასკნელის იმერეთში გაბატონება. ამ დროს ვამეყ დადიანს გამოელაშქრა იმერეთისკენ და უკვე ქუთაისის ციხეს შემოსდგომოდა. მაშინ შაჰ-ნავაზმა დარეჯანის თხოვნისამებრ მიაშველა მას მეთოფეები, რომელნიც შეაპარა ციხეში დარეჯანის მხარეზე მყოფმა აფხაზეთის კათალიკოზმა სვიმონ ჩხეტიძემ. მაგრამ მალე დადიანმა მოახერხა დარეჯანის ქმრის ვახტანგის ციხიდან გამოტყუება, შეიპყრო ის და თვალები დაათხრევინა. ამის შემდეგ დარეჯანმაც დასთმო ქუთაისის ციხე.

ვამეყ დადიანი გამოცხადებულ იქმნა იმერეთის მეფედ. მან მაშინვე იმერეთის მეფეების მთელი სიმდიდრე, რამოდენიმე თაობათა განმავლობაში დაგროვილი, ოდიშს გაგზავნა. მარტო ოქრო-ვერცხლეულობა წაღებულ იქმნა 12 ურმით.

არჩილის გამეფება იმერეთს. დადიანის მეფობა იუკადრისა პაატამ, აბაშიძის გვარეულობის თავმა, რომელიც ამ დროს პირველობდა ზემო-იმერეთს და აგრეთვე ზემო-მხარის სხვა თავადებმა. გურიის მთავარი დემეტრე გურიელიც დადიანის გამეფების შურით მათ მიემხრო. ყველა ამათ მოიწვიეს შაჰ-ნავაზი ქართლიდან. შაჰ-ნავაზს ვამეყ დადიანთან შეთანხმებით უკვე მიღებული ჰქონდა იმერეთის ნაწილი ბუჯის წყლის აღმოსავლეთით, ხოლო ეხლა, როდესაც იმერეთის მეფობა დაიპყრო ვამეყ დადიანმა, შეფემ იმერეთის თავადების თხოვნით გაილაშქრა

ქუთაისზე, აიღო ის და შემდეგ დალაშქრა ოდიშიც. ვამეყ დადიანი გაიქცა სვანეთს. ზუგდიდში შაჰ-ნავაზს გამოეცხადა აფხაზეთის მთავარი სუსტარ შერვაშიძე დიდ-ძალი საჩუქრებით. ოდიშში და ქუთაისში მან ხელში ჩაიგდო დიდ-ძალი სიმდიდრე, მთელი ძვირფასი ჭურჭლეულობა და განძეულობა იმერეთის სამეფო სახლისა, რომელიც გაჰყვანა ტფილისს. გელათის მონასტრიდან კიდევ წამოღებულ იქმნა სამსხვალი და წიგნები. საზოგადოდ იმერეთში ამ დროს მოკრებილ იქმნა იმდენი სიმდიდრე, რომ როგორც თვით შაჰ-ნავაზი, ისე ქართლის თავადები ნაშოვნით აივსნენ. ნადავლს კიდევ ემატებოდა მრავალი ტყვე. იმერეთის მეფედ შაჰ-ნავაზმა დასვა თავისი 14 წლის შვილი არჩილი, თითონ წამოიყვანა სკანდის ციხეში მყოფი თეიმურაზ მეფე, რომელიც შემდეგ დიდის პატივისცემით სპარსეთს იქმნა გაგზავნილი, აგრეთვე უსინათლო ბაგრატიც და დაბრუნდა ქართლს (1661 წ.).

სვანეთს გაქცეული ვამეყ დადიანი მალე მოკლულ იქმნა შეჩენილ კაცთა მიერ. მის მაგივრათ შაჰ-ნავაზს დადიანად დაესვა ლევან (იგივე შამანდავლე) იოსების ძე, ძმისწული ლევან II-სა, რომელსაც მიათხოვა თავისი ძმისწული თამარ, განსაცვიფრებელ სილამაზის ქალი. ეს ის თამარია, რომელიც შემდეგ საცილობელ საგნად გახდა მეფე-მთავართა შორის.

ახალგაზდა არჩილი ქუთაისში შეუდგა მეფობას. მის ვეზირად ითველებოდა ლეჩხუმის თავი ხოსია ლაშხიშვილი.

შაჰ-ნავაზის იმერეთში შემოსვლა და მის მიერ არჩილის გამეფება ქუთაისს ფაქტურად წარმოადგენდა სპარსეთის შაჰის მოადგილის მიერ ოსმალეთის გავლენის და დამოკიდებულების ქვეშ მყოფ ქვეყნების შინაურ საქმეში ჩარევას. ახალციხის ფაშამ, რომელსაც საზოგადოდ მინდობილი ჰქონდა იმერეთის სამეფო-სამთავროებისთვის თვალყურის დევნება, ფიცხლავ აცნობა ეს გარემოება პორტას, რომელმაც მაშინვე მოსთხოვა სპარსეთს ამის შესახებ განმარტება და არჩილის ქუთაისიდან გაწვევა. ამის გამო არჩილი მალე იძულებული გახდა იმერეთისათვის თავი დაენებებინა (1663 წ.).

დეიტრე გურიელის გამეფება. სულთანის ბრძანებით ქუთაისს ჩავიდა ახალციხის ფაშა არზრუმის და ყარსის საფაშოების ჯარებითურთ. აქ მან მოუწოდა იმერეთის წარჩინებულ პირთ და ხონთქარის სახელით მეფედ დასვა დემეტრე გურიელი, რომელსაც მისცა აგრეთვე დადიანობაც, ხოლო ლევან დადიანი კი, როგორც შაჰ-ნავაზის მიერ დაყენებული, გადააყენა.

დემეტრე ამის შემდეგ აწოდებოდა მეფედ, დადიანად და გურიელად.

დემეტრეს გადაგდება და ისევ ბაგრატ IV-ის გამეფება. თავადებმა ახალი მეფის ერთგულობაზე იძულებით ფიცი მიიღეს, მაგრამ ოსმალოს ჯარის იმერეთიდან გასვლის შემდეგ დასთხარეს თვალები

დემეტრე მეფეს და გაამეფეს ისევ ბაგრატ IV. დადიანობაც დაიპყრო აგრეთვე ლევან III დადიანმა, გურიაში კი გურიელად დაჯდა გიორგი.

ამის შემდეგ იმერეთის საქმეები კიდევ უფრო აირია.

ლევან დადიანმა არ სცნო ბაგრატ IV მეფედ და წამოვიდა საომრად, მაგრამ დამარცხდა და თითონაც ტყვედ ჩაუვარდა მეფეს. ბაგრატ IV-მ მოაყვანინა დატყვევებულ დადიანს ცოლი თამარ დედოფალი. თითონ განუტევა ამ უკანასკნელის დაი, რომელიც შაჰ-ნავაზს მისთვის ძალით მიეთხოვებინა და დაიწერა ჯვარი თამარზედ, ხოლო დადიანს კი შერთო თავისი და, გოშაძის ნაცოლარი, და გაანთავისუფლა.

ამის შემდეგ მეფეს გადუდგა სახლთუხუცესი სეხნია ჩხერძე, რომელმაც მოიყვანა ოსმალნი და შეაყენა ქუთაისის ციხეში (1666 წ.).

ბაგრატ IV-ის მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა.

მართალია, 1667 წ. ქუთაისის მოურავმა ბეჟან ლორთქიფანიძემ ქუთაისის ციხიდან მოახერხა ოსმალთა განდევნა, მაგრამ სწორედ ამ გარემოებით ისარგებლეს ბაგრატ IV-ის მტრებმა ახალციხის ფაშის წასაქეზებლად მის წინააღმდეგ.

დარეჯან დედოფლის მოკვლა. ამ დროს წამოჰყო თავი დარეჯან დედოფალმა, რომელმაც აღუთქვა ფაშას 20 ათასი მარჩილი, თუ კი მას და მისს ქმარს ვახტანგ ჭუბუნიასშვილს გაამეფებდა. ფაშა მართლაც ჩამოვიდა იმერეთს, სადაც მას შეხვდნენ დადიან-გურიელი და სეხნია ჩხეიძე. მან დასვა ბატონად დარეჯან დედოფალი და ვახტანგ, მოსწვა, მოაოხრა ქვეყანა და აუარებელი ტყვით და ნადავლით დაბრუნდა უკან (1668 წ.).

დარეჯანს დიდხანს არ უმეფნია. სახლთუხუცესის სეხნია ჩხეიძის და ლეჩხუმის თავის ხოსია ლაშხიშვილის მეთაურობით იმერეთში დაიწყო მოძრაობა ბაგრატ IV-ის სასარგებლოთ. მაშინ დარეჯან დედოფალმა იხმო თავისთან სეხნია ჩხეიძე და ლაშხიშვილი, რომელნიც მოვიდნენ ქუთაისს თავისი ჯარით. აქ გენათელის თაოსნობით ხოსია ლაშხიშვილი მიუჩინეს დარეჯანს, რომელმაც მინდობის ნიშნად იშვილა ხოსია, ჩვეულების თანახმად, ძუძუზე კბილის დადებით. ხოსიას ამასთანავე უნდა მიეღო ფიცი დედოფლის მიერ დაწერილ ქაღალდის მიხედვით მის ერთგულობაზე, მაგრამ ფიცის დროს, როდესაც მას ხატი ჩაუსვენეს ხელში, ხოსიამ დედოფლის მიერ მიცემული წიგნი მუხლს ქვეშ ამოიდვა, მაჯაში კი ჩაიდვა წინდაწინვე მომზადებული ქაღალდი, რომელშიდაც ეწერა— არ ვიყო შენი ერთგულიო და კიდეც რაც ხელიდან გამომივიდეს, ისე გიმტეროო. ამის შემდეგ ლაშხიშვილმა შეფიცა: ღა გვარადაც ამ წიგნში ეწეროს, ისე ერთგული ვიყო და კიდეც ასე გავათავო. მეორე დღეს ხოსია ლაშხიშვილი და სეხნია ჩხეიძე შევიდნენ დედოფალთან ქუთაისის ციხეში, კრეს მას თოფი და მოკლეს. ქმარი მისი ვახტანგ ჭუბუნიასშვილიც აგრეთვე მოკლულ იქმნა (1668 წ.)

ქუთაისის ციხეს იპყრობენ ოსმალნი. ხელახლავ გაეფებულს

ბაგრატ IV-ს კვლავ წინააღუდგნენ ლევან დადიანი და გიორგი გურიელი, რომელთაც ეხლა მიემხრო სეხნია ჩხეიძე. ჩხეიძემ ჩამოიყვანა ახალციხის ფაშის ჯარი და ჩააყენა ისინი ქუთაისის ციხეში, რომელიც ოსმალთ ამის შემდეგ საბოლოოდ დაიპყრეს და ამით უფრო მეტად განამტკიცეს თავისი გავლენა იმერეთში (1669 წ.).

ამის შემდეგ სეხნიამ მოიმხრო დადიანი და დიდის ჯარით წამოვიდა და მეფის წინააღმდეგ. ბაგრატ მეფემ შემოიკრიბა რაჭა-ლეჩხუმელნი და ოკრიბელნი და მივიდა ჩხარს, სადაც მოხდა დიდი ბრძოლა. ჩხეიძე დამარცხდა და თვითონაც ის მოკლულ იქმნა.

დადიანი და გურიელი ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. სახლთუხუცესის სეხნიას მოკვლის შემდეგ მეფის მთავარ მოწინააღმდეგეთ დარჩა ლევან დადიანი და გიორგი გურიელი. ლევან დადიანი ესწრაფოდა თავისი პირველი ცოლის თამარ დედოფლის დახსნას და ებრძოდა ბაგრატ IV-ს. გიორგი გურიელი, მხნე, მამაცი, მაგრამ მესისხლე და შეუბრალებლად ტყვის მყიდველი, ავრეთვე ეტრფიალებოდა თამარს და უნდოდა მისი წართმევა ბაგრატისათვის. ლევან დადიანი მიუხტა ბაგრატს, მაგრამ დამარცხდა. ომში თითონაც ის ტყვედ შეიპყრეს და შემდეგ ფიცის ქვეშ გაუშვეს (1671 წ.). გიორგი გურიელმა კი მოისყიდა ახალციხის ფაშა, ამასთანავე შეასმინა მასთან ბაგრატ მეფე და წამოიყვანა ის ჯარით იმერეთს (1672 წ.). ფაშამ დაამარცხა ბაგრატი, შეიპყრო მეფე ტყვედ, მაგრამ თამარ დედოფალი ხელთ ვერ ჩაიგდო, შემდეგ მოარბია ოდიში, რადგან დადიანი მეფეს ხომ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არც ოსმალებს ემორჩილებოდა და დიდძალი ტყვეებით და ნადავლით დაბრუნდა ახალციხეს.

კაცია ჩიქვანი. ამ საშინელ არევ-დარევის დროს თან-და-თან გავლენას პოულობდა კაცია ჩიქვანი, მხნე და ჭკვიანი კაცი, მაგრამ ამასთანავე სასტიკი და დაუნდობელი. კაცია ჩიქვანი იყო გორდელი ღარიბი აზნაურის შვილი, მისი მამა ტვირთით ეზიდებოდა სვანეთში თაფლს და თავისს ოჯახს მით არჩენდა. ამ აზნაურის ერთი შვილი ბერად იყო შესული გაბრიელის სახელით. გაბრიელი ჯერ კიდევ იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის დროს დანიშნული იყო ცაგერელ ეპისკოპოსად, ხოლო შემდეგ თავისი ნიჭით და ჭკუით მან მოახერხა ჭყონდიდლობის მიღებაც. ამის შემდეგ კაციამაც იწყო დაწინაურება, ძმის ჭყონდიდლობას მისთვის ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სეხნია ჩხეიძის მძლავრების დროს კაცია მიემხრო მას. ჩხეიძემ მოაკვლევინა შეჩენილ კაცთ ლეჩხუმის თავი ხოსია ლაშხიშვილი, რომელიც ბაგრატ IV-ის ერთგული იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა, რის შემდეგ ლეჩხუმის თაობა დაიპყრო კაცია ჩიქვანმა. ჩხეიძის ომში მოკვლის შემდეგ კაცია მიემხრო ბაგრატ მეფეს, რომელმაც მისცა მას საინასარიძო და გარდა ამისა დანიშნა თავისი ვეზირად. ჭყონდიდლის რჩევით დადიანმა უბოძა კაციას კიდევ სალიპარტიანოს ბატონობა, რათა ამით იმერეთის მეფე

დაესუსტებინა და ჩიქვანი თავისთან დაეახლოებინა. მალე ის გახდა სადიადიანოს ვეზირიც.

ოდიშში კაცია ჩიქვანმა კიდევ უფრო ფართოდ გაშალა ფრთები. შინაური არევ-დარევა, რომელიც განსაკუთრებულის სიძლიერით იჩენდა თავს დადიანის სამთავროში, ხელს უწყობდა მას თავისი მდგომარეობის განმტკიცების საქმეში. კაცია ყოველი შემთხვევით სარგებლობდა წარჩინებულ და დიდ-გვარიან სახლთა დასამცირებლად და ამოსაწყვეტად. ამით მას უნდოდა უზრუნველ ეყო ოდიშს თავისი საკუთარი ბატონობა.

ბაგრატის მეფობის უკანასკნელი წლები. ლეჩხუმის თავის კაცია ჩიქვანის დადიანის მხარეზე გადასვლის შემდეგ ბაგრატ IV შეუდგა გიორგი გურიელთან მორიგებას და მიათხოვა მას თავისი ასული დარეჯან, ნაშობი თამარ დედოფლისაგან (1677 წ.). მეფეს იმედი ჰქონდა, რომ გურიელი ეხლა მაინც დაანებებდა თავს თამარის ტრფიალებას. მაგრამ გურიელის შემორიგებითაც მეფემ თავისი მდგომარეობა ვერ განამტკიცა. შემდეგ წელს ლევან დადიანმა და იმერეთის ზოგმა თავადმა ჩამოიყვანეს არჩილ მეფე და ახალციხის ფაშის როსტომის დახმარებით დასვეს ის მეფედ (1678 წ. სექტემბ.), ბაგრატი კი წავიდა გურიელთან. არჩილმა გამოიყვანა თამარ დედოფალი სკანდის ციხიდან და მისცა დადიანს. ბაგრატმა და გურიელმა მიმართეს ოსმალეთის მთავრობას. ხონთქარმა გამოგზავნა არზრუმის ფაშა დიდის ჯარით, რომელსაც მიეგება ბაგრატ მეფე და გურიელი. იმერეთის თავადებიც გადავიდნენ ოსმალთ მხარეზე. მაშინ არჩილი ივლტოდა რაჭას, ოსმალნი მიყვნენ. რაჭა ჯერ აქამდის არ დარბეულიყო. ოსმალნი შევიდნენ რაჭას, მოსწვეს, მოატყვევეს და საშინლად ააოხრეს დიდის ხნით შენახული ქვეყანა.

ბაგრატი კვლავ გამეფდა (1679 წ.). ცოტა ხნის შემდეგ მან შეკრიბა ჯარი, წავიდა ოდიშს, დაამარცხა დადიანი და წაართვა მას თამარ დედოფალი.

ლევან III დადიანი ემზადებოდა მეფის წინააღმდეგ შურის საძიებლად, მაგრამ ის მალე მოკვდა (1680 წ.). დადიანობის დაპყრობა მოინდომა გიორგი გურიელმა. მასთან იმყოფებოდა მისთვის მძევლად მიცემული დადიანის ძე მანუჩარ. გურიელმა მოაკვლევინა მანუჩარი და ცდილობდა ოდიშის დაჭერას. დიდის ცდით მან მოახერხა სტამბოლიდანაც სულთანის ბრძანების მიღება მისი დადიანად დანიშვნის შესახებ. მაგრამ ოდიშართ მანუჩარის სიკვდილის შემდეგ გიორგი გურიელი თავისი მესისხლედ მიაჩნდათ. მათ გაამაგრეს ოდიში და არ მიუშვეს იგი სადიადიანოს დასაპერად. ოდიშში ამით გამოწვეულმა არევ-დარევამ კიდევ უფრო გააძლიერა კაცია ჩიქვანი, რომლის სიკვდილის შემდეგ სალიპარტიანო დაიპყრო მისმა შვილმა გიორგიმ. ამან მოიწვია ლევან III დადიანის უკანონო შვილი ლევანი, გამოითხოვა მისთვის ოსმალეთის მთავრობისაგან დადიანობა და დასვა მთავრად, თითონ კი გახდა ახალ-

გაზრდა მთავრის საქმეების მოურნედ, მისი ვეზირად და ოდიშის ფაქტიური გამგედ.

გიორგი ლიპარტიანი იყო კაცი მესისხლე და უწყალოდ ტყვის მყიდველი.

გიორგი გურიელის გამეფება. 1681 წ. გარდაიცვალა უსინათლო ბაგრატ IV-ც და რადგანაც ტახტის მემკვიდრე, მისი უკანონო შვილი ალექსანდრე, ქართლს იყო მძევლად მეფე გიორგი XI-სთან, ამიტომ მეფობა დაიპყრო გიორგი გურიელმა. თავისი მეფობის დასაწყისი მან აღნიშნა, სხვათა შორის, იმით, რომ გაუშვა ცოლი დარეჯანი და შეირთო თავისი სიდედრი თამარ. მაშინ იმერეთის თავადების ერთმა ნაწილმა, რომელსაც მიემხრნენ ოდიშარნიც, სთხოვა ოსმალეთის მთავრობას კანონიერ მემკვიდრის გამეფება. მართლაც მალე სულთანისაგან ბრძანება მოვიდა ალექსანდრეს გამეფების და ოდიშს ლევან II დადიანის უკანონო შვილის ლევანის, რომელიც ახალციხეში ცხოვრობდა, გადადიანების შესახებ. ეს ბრძანება სისრულეში იქმნა მოყვანილი 1683 წ.. გიორგი გურიელი წავიდა გურიას, ხოლო თამარ დედოფალი ოდიშს ახალ მეფის წინააღმდეგ ოდიშართა ასამხედრებლად. იმავე წელს თამარი მოკვდა.

შერვაშიძეები იპყრობენ ოდიშის ნაწილს მდ. კოდორის აღმოსავლეთით. იმ დიდ არეულ-დარეულის ხანაში, რომელიც დაიწყო დასავლეთ საქართველოში მე-XVII საუკ. 60-იან წლებიდან, თანდათან იწყეს გაძლიერება აფხაზეთის მთავრებმა შერვაშიძეებმა, რომელნიც აგრეთვე ოსმალეთის მოხარკეებად ითვლებოდნენ. კირთება და ოდიშზე დრო გამოშვებით მოხდომა, რომელიც ხშირად სწარმოებდა ლევან II-ის დროსაც, შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. მხოლოდ ეხლა აფხაზთა თარეშები უკვე ვერ პოულობდნენ შესაფერ წინააღმდეგობას, რადგან ოდიში თითონ ჩათრეული იყო ანარქიის საშინელ მორევში და თავდაცვის უნარი არ ჰქონდა.

აფხაზნი თანდათან გადმოვიდნენ კოდორის აღმოსავლეთით და სულ ოციოდე წლის განმავლობაში მთლად მოსპეს ადგილობრივი მოსახლეობა. ვინც მახვილს, სიმშილს და ავადმყოფობას გადარჩა, მრავალ თავდასხმის დროს ტყვედ იქმნა წაყვანილი—ოსმალეთიდან გემებით მომავალ ვაჭრებზე ან ჩერქეზეთში გასასყიდად, ნეშტი კიდევ დაიფანტა. მთელი მხარე მდ. კოდორსა და ეგრისს შორის დაცალიერდა და ამ დაცალიერებულს ადგილებზე დაესახლა აფხაზობა. აფხაზეთის მთავრად ამ დროს იყო სორეხ შერვაშიძე, ძე სუსტარისა, რომელიც იმდენად გაძლიერდა, რომ დადიანის ლევან III-ის სიკვდილის შემდეგ ლამობდა მთლად ოდიშის დაპყრობას. თუმცა ეს მან ვერ შესძლო, მაგრამ მაინც მოახერხა თავისი უფლების განმტკიცება ოდიშის დიდს ნაწილზე თვით მდ. ენგურამდის. სორეხის მემკვიდრე იყო ზეგნაყ შერვაშიძე, რომელსაც ჰყავდა 3 შვილი. უფროსმა როსტომმა მამის სიკვდილის შემდეგ

დაიპყრო აფხაზეთი და ქვეყანა მდ. კოდორამდის, მეორე ძმა, ჯიქეშია შერვაშიძე, ფლობდა მთელს მხარეს მდ. კოდორსა და ეგრისს შორის, რომელსაც ეხლა ეწოდებოდა აბჟუა, ანუ შუა-ქვეყანა, ხოლო უმცროსმა ძმამ ყვაპუმ დაიპყრო მხარე ეგრისსა და ენგურს შორის. ეს იყო უკვე მე-XVIII საუკ. დასაწყისში.

სამურზაყანო. ყვაპუ შერვაშიძის მემკვიდრედ მისს საბატონოში ეგრისსა და ენგურს შუა იყო ძე მისი მურზაყან, რომლისაგან ამ მხარეს ეწოდა სამურზაყანო.

მეფე ალექსანდრე IV'. გიორგი გურიელის განდევნის შემდეგ იმერეთის მეფედ დაჯდა ალექსანდრე IV' (1683 წ.). ოდიშს თუმცა დადიანად ირიცხებოდა ლევან IV', მაგრამ სამთავროს ფაქტიური მართველობა კაცია ჩიქვანის ძეს გიორგი ლიპარტიანს ჩაუვარდა, რომელსაც თავისი მამის სიკვდილის შემდეგ ლიპარტიანობა დაეპყრო. გიორგი ლიპარტიანი, ისე როგორც მამა მისი, თავისი ძალა-უფლების განმტკიცების მიზნით, სასტიკად სდევნიდა ოდიშის წარჩინებულ პირთ.

ალექსანდრე IV' ნამდვილი შვილი იყო ამ საშინელ არევ-დარევის და ზნეობრივად საერთო დაცემის ხანისა,—მხნე და ბრძოლაში მამაცი, უხვი და იმავე დროს ყოვლად დაუნდობელი ტყვის მყიდველი. მან დაიახლოვა სეიმონ ქუთათელი, ძე სეხნია ჩხეიძისა, რომელიც თუმცა მღვდელთ-მთავარი იყო, მაგრამ უწირავ-ულოცავი, მეძავ-მემრუშე, კაცის მკვლელი, ტყვის მყიდველი და ცრუ-ფიცი. მეფის მთავარ დასაყრდნობ ძალას კვლავინდებურად წარმოადგენდა აბაშიძეთა გვარეულობა, რომელიც არგვეთს ფლობდა.

როკითის ომი (1685 წ.). გიორგი გურიელმა სამეფო ტახტის დაკარგვის შემდეგ სცადა იმერეთის წარჩინებულ თავადების შეკავშირება მეფის წინააღმდეგ. მან მიიმხრო რაჭის ერისთავი შოშიტა, ჩიჯავაძე, ბეჟან ლორთქიფანიძე. მის მხარეზედ იყო აგრეთვე გიორგი ლიპარტიანიც, რომლის ინტერესი მოითხოვდა მეფის რაც შეიძლება მეტს დასუსტებას. ალექსანდრე IV'-ის მხარეს დარჩა პაატა აბაშიძე, არგვეთის პატრონი, და სეიმონ ქუთათელი. მალე გიორგი გურიელი თავისი ჯარით შემოვიდა საჩინოს, სადაც მას მიეგებნენ მისი მომხრეები ლიპარტიანი ოდიშის ჯარით, ლეჩხუმელნი, ჩიჯავაძე, რაჭის ერისთავი, ლორთქიფანიძე. მოკავშირეები მივიდნენ როკითს, სადაც მათ შეხვდა მეფე ალექსანდრე დიდის ლაშქრით. ალექსანდრეს მხარეზე იყვნენ: აბაშიძე, ზემო-იმერელნი და გიორგი მიქელაძე. გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომლის დროს მოკლეს თითონ გიორგი გურიელი და შოშიტა რაჭის ერისთავი. ამ ბრძოლაში დაილუპა მრავალი თავად-აზნაურობა, საბოლოოდ გამარჯვება კი დარჩა ალექსანდრე მეფეს, რომელმაც დაიყიდა ვერცხლზე მრავლად დარჩენილი ტყვე გურულ-იმერ-ოდიშარნი. გიორგი გურიელის შვილები გაიქცნენ ახალციხეს, გურიელად კი დაჯდა გიორგის ძმა მალაქია (1685 წ.).

როკითის ომმა ძლიერ დაასუსტა იმერეთ-გურია-ოდიში.

ურთიერთ ხლომა, განუწყვეტელი ომები, უზომო ტყვის ყიდვა ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა.

მეფე ალექსანდრეს ბრძოლა თავადებთან. მეფის მდგომარეობა როკითის ომის შემდეგ ფრიად რთული იყო, რადგანაც მისი მოწინააღმდეგე თავადები თუმცა დამარცხდნენ, მაგრამ მეფემაც ამ ომში ძლიერ დიდი ზარალი ნახა. თავადებს ალექსანდრე მეფის მიმართ ისევ შეურიგებელი პოზიცია ეჭირათ. მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ქართლის მეფე გიორგი XI-სთან, რომელიც იმერეთში თავისი ძმის არჩილის გამეფების მოსურნე იყო და ამიტომ ხელს უწყობდა თავადების წინააღმდეგობას ალექსანდრესადმი. მაშინ ალექსანდრემ გიორგი XI-ის შემოსარიგებლად და ამით იმერეთის ურჩ თავადებთან საერთო ენის გამოსანახავად სთხოვა გიორგი მეფეს ჯერ ასული ცოლად, შემდეგ ძმისწული, მაგრამ ორივე წინადადებაზედ უარი მიიღო. რადგანაც ამ რიგად მშვიდობიანი გზით არაფელი გამოვიდა, ალექსანდრემ გაილაშქრა რაჭის ერისთავის პაპუნას, შოშიტას ძის, წინააღმდეგ, აიღო და დასწვა რამოდენიმე ციხე-კოშკი და შემდეგ შემოადგა ნინიას-ციხეს. გიორგი XI-მ ქართლიდან გაუგზავნა პაპუნა ერისთავს მაშველი ჯარი და ამავე დროს გამართა მოლაპარაკება მეფის ჯარში მყოფ პაატა აბაშიძესთან, რომელმაც მალე მოახსნევინა მეფეს ალყა ნინიას-ციხისთვის. ალექსანდრე მეფის ლაშქრობა ამ გვარად უშედეგოდ ჩატარდა.

გიორგი აბაშიძე. პაატა აბაშიძე როკითის ომში მიღებულ ჭრილობისაგან გარდაიცვალა უმემკვიდრეოდ. არგვეთის საპატრონო და საბაშიო უმკვიდროდ გადადიოდა და ამიტომ პაატას ძმა მალაქია, რომელიც ბერად იყო აღკვეცილი, გამოვიდა მონასტრიდან, გაიხადა ჩოხა და იწოდა გიორგი. მან შეირთო მეორე ცოლად გიორგი გურიელის და, კაცია ჩიქოანის ქვრივი, დიდი მდიდარი ქალი. აბაშიძე მალე განდიდდა და მოიპოვა უდიდესი გავლენა მთელს დასავლეთს საქართველოს საქმეებზე. ოფიციალურად მას ეჭირა ციხის-თავის თანამდებობა, ნამდვილად კი ის მალე გახდა ლიხთ-იმერეთის ბედის ჩარხის ერთი მთავარი მატრიალებელი. გიორგი აბაშიძე ემხრობოდა ალექსანდრე მეფეს, მაშინ როდესაც იმერეთის სხვა წარჩინებულნი გიორგი ლიპარტიანთან ერთად მეფეს ებრძოდნენ.

თავადების მძლავრება აიძულებდა ალექსანდრე მეფეს ოსმალთა ძალას დაყრდნობოდა და ახალციხის ფაშის მოდგომით განემტკიცებინა თავისთვის იმერეთის ტახტი.

გიორგი ლიპარტიანი. ამ დროს ოდიში ფაქტიურად გიორგი ლიპარტიანის ხელთ იყო. ლევან III დადიანი სახელით ოდენ ითვლებოდა სამთავროს მართველად. ლიპარტიანი სასტიკად სდევნიდა ოდიშის წარჩინებულთ და შეუბრალებლად ყიდდა ტყვეებს ოსმალებზე. ოდიშის ძველ გვარეულობათა დამცირებით ლიპარტიანი ჰფიქრობდა თავისი ბატონო-

ბის თანდათან დამყარებას სადადიანოში. მაშინ ლევან IV-მ თავისი მომხრე თავადების რჩევით განიზრახა სამთავროს შესანარჩუნებლად ალექსანდრე მეფესთან დამოყვრება და შეირთო ცოლად მეფის და თინათინი. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა მეფესა და გიორგი ლიპარტიანს შორის. პაპუნა რაჭის ერისთავიც კვლავინდებურად არ ემორჩილებოდა ალექსანდრეს და არ სცნობდა მას მეფედ. ამ დროს გიორგი XI, ქართლიდან ლტოლვილი, გადავიდა რაჭას. ალექსანდრემ უბრძანა პაპუნა რაჭის ერისთავს არ მიეღო გიორგი XI, მაგრამ ეს ბრძანება ერისთავმა უყურადღებოდ დასტოვა. ალექსანდრე მაშინ შევიდა რაჭაში, მოსწვა, მოაოხრა ქვეყანა, მაგრამ ერისთავი და გიორგი მეფე ვერ შეიპყრო.

ყველა ამ გარემოებამ, გიორგი XI-ის რაჭაში ჩამოსვლასთან ერთად, დააჩქარეს ლიპარტიანის და რაჭის ერისთავის ახალი გამოსვლა ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ.

არჩილის კვლავ იმერეთში გამეფება. ამ დროს რაჭის საზღვრებს მოახლოვებოდა რუსეთიდან წამოსული არჩილ მეფე, რომელიც იქ შემწეობის სათხოვნელად იყო წასული. რუსის მთავრობას ჯარის თხოვებაზე არჩილისთვის უარი ეთქვა, მისთვის მიეცათ მხოლოდ რამოდენიმე ფული (11½ ათასი მან.), რის შემდეგ არჩილი წამოსულიყო იმერეთისაკენ.

არჩილის კვლავ გამეფება იმერეთში. ამასობაში რაჭის ერისთავსა და ლიპარტიანს უკვე პირობა შეეკრათ ბეჟან ლორთქიფანიძესთან და ჰილაძე-მიქელაძეებთან ალექსანდრე IV-ის გარდაგდებისა და არჩილის გამეფების შესახებ. ალექსანდრეს მხარეზე დარჩნენ გიორგი აბაშიძე და სვიმონ ქუთათელი. არჩილი რუსეთიდან მოვიდა რაჭას, სადაც მას დახვდნენ მოკავშირეები. რომელნიც მოელოდნენ 20 ათასი კაცის შეკრებას. ნამდვილად კი მათ ჯერჯერობით ჰყავდათ მხოლოდ 7 ათასი კაცი. ამ ძალით ისინი დადგნენ გველისთავს. ალექსანდრე 15 ათასი კაცით მივიდა იქვე. ძალთა უთანასწორობისა გამო არჩილი და მისი მოკავშირენი ცოტა შეტაკების შემდეგ ომს მოერიდნენ და დაიშალნენ. არჩილ მეფე და ძმა მისი გიორგი გადავიდნენ ლიპარტიანთან ოდიშს, სადაც დაყვეს ერთი წელიწადი. მათ გამართული ჰქონდათ მოლაპარაკება ხონთქართან როგორც პირდაპირ და უშუამავლოდ, ისე ყირიმის ხანის საშუალებითაც. რომელსაც წინადვე აღეთქვა არჩილისთვის პორტასთან შუამდგომლობა მისთვის ტახტის დაბრუნების შესახებ. ალექსანდრე მეფეც თავისს მხრივ ღებულობდა ზომებს და სხვათა შორის, არჩილის ოდიშიდან გაგდების ნაცვლად დაპირდა ლიპარტიანს ლეჩხუმის თაობას. ლიპარტიანიც ამის გამო მეფეს მიემხრო, რის შემდეგ არჩილი წავიდა აფხაზეთს, სადაც შერვაშიძემ ისტუმრა ის დიდის პატივით ზუფუს. აფხაზეთიდან არჩილი დაბრუნდა საჩილაო-სამიქელაოს.

ამასობაში სულთანმა ყურად იღო არჩილის შესახებ მისი ძმის გიორგის, ახალციხის ფაშის, ყირიმის ხანის და სხვათა შუამდგომლობა, მაგრამ

თავადების და წარჩინებულ პირთა სურვილის დასაკითხავად მაინც გამოგზავნა იმერეთს თავისი ყაფუჩი. ახალციხეს ამ ყაფუჩს დახვდა არჩილის ძმა გიორგი მეფე. აღუთქვა მას მორჩილება ხვანთქრისადმი და ამასთანავე მისცა დიდი ქრთამი. აქვე მათ მოაკრევინეს იმერეთის წარჩინებულთა ბეჭდები, გააკეთეს შუამდგომლობის ქაღალდი არჩილისათვის ტახტის დამტკიცების შესახებ და გაგზავნეს სტამბოლს. ხონთქარმა ამის შემდეგ დაამტკიცა იმერეთის მეფედ არჩილი და გამოუგზავნა მას იმავე ყაფუჩის ხელით ხალათი და ხმალი. არზრუმის ფაშამ გამოგზავნა დიდის ჯარით თავისი ქეჰა, რომელიც ახალციხის სალიმ-ფაშასთან ერთად ჩამოვიდა იმერეთს, სადაც მას შეეგება არჩილი.

არჩილი ამ გვარად დაჯდა მეფედ ქუთაისს. ალექსანდრე მეფე კი გადავიდა ქართლს და შეეხიზნა ერეკლე I-ს. მას თან წაყვნენ მისი კარისკაცნი, ვეზირი ქვარიანი და სხვანი (1690 წ.). ალექსანდრე IV-ის მომხრეთაგან ზოგიერთი და მათ შორის სვიმონ ქუთათელი გადავიდა არჩილის მხარეს, ხოლო გიორგი აბაშიძემ უარი განაცხადა ახალი მეფის აღიარებაზე. არჩილი მხნედ შეუდგა შინაურ საქმეების მოგვარებას და ცდილობდა წესიერების და სამართლიანობის დამყარებას დიდ თავადების, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ალაგმვით, ე. ი. დაადგა ამ არევ-დარევის დროში ისეთს გზას, რომელსაც მისთვის მხოლოდ ახალი მტრების გაჩენა შეეძლო. ასე, მაგალითად, ახალი მეფე უბრუნებდა ძლიერ და წარჩინებულ პირთა მიერ მიტაცებულ მამულებს თავიანთ პატრონებს, ებრძოდა ტყვეთა ყიდვას და სხვ.

ამასობაში ალექსანდრე მეფემ მიმართა დახმარებისათვის სპარსეთის შაჰს, რომელმაც ნიშნად წყალობით მოპყრობისა გამოუგზავნა ლტოლვილ მეფეს სამეფო გვირგვინი, ოქროს ქამარი, ოქროთ აღკაზმული ცხენი და სხვა ძვირფასი საჩუქრები. ყაენმა ამასთანავე მიმართა ოსმალეთის სულთანს თხოვნით რომ არჩილი და გიორგი მეფენი, როგორც მისი ქვეშევრდომნი, თავისი იმპერიიდან დაეთხოვა და იმერეთი მემკვიდრე მებატონისთვის მიეცა. სულთანმა შეიწყნარა ყაენის შუამდგომლობა და ბრძანება გასცა არჩილის გადაგდებისა და ალექსანდრეს კვლავ გამეფების შესახებ. მიწერ-მოწერა ამის შესახებ სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ჯერ დამთავრებული არ იყო, რომ გიორგი აბაშიძეს და ზემო-იმერელთ უკვე მოეწვიათ ალექსანდრე მეფე, რომელიც გადავიდა იმერეთს. არჩილთან შეკრბნენ ჯარით პაპუნა რაჭის ერისთავი, სვიმონ ქუთათელი, გიორგი მიქელაძე და ბეჟან ლორთქიფანიძე. მოწინააღმდეგენი ეწყვნენ ერთმანეთს გოდოგანს. ალექსანდრე დამარცხდა და დაბრუნდა ქართლს.

ამ დროს უკვე გამოირკვა, რომ ოსმალეთს არ სურს არჩილის იმერეთში დატოვება. მაშინ არჩილი თვით ამხედრდა მათ წინააღმდეგ, უბრძანა გიორგი ლიპარტიანსაც მისვლა და შემოერტყა ქუთაისის ციხეს. ციხის მცველი ოსმალოს ჯარი იმდენად შეწუხდა სიმშილისაგან, რომ ქალამ-

ნის ტყავსა ხარშავდნენ და სჭამდნენ. ციხის დანებება განზრახული იყო. მაგრამ ამ დროს გიორგი ლიპარტიანმა წამოაყენა საკითხი მისთვის ლეჩხუმის მიცემის შესახებ. მეფე ცოტაოდენ ყოყმანის შემდეგ იძულებული იყო დათანხმებულიყო. მაგრამ ლიპარტიანმა შეამჩნია ამ დაპირების არა გულწრფელობა, უღალატა მეფეს, გამოიყვანა ღამით ციხიდან ოსმალნი, მისცა მათ სურსათი, თითონ კი თავისი ჯარით იმავე ღამეს გაიპარა ოდიშს. ქუთაისის ციხის აღების საქმე ამით ჩაიშალა და არჩილმაც მოხსნა ალყა. ალყის დროს ციხეს ძლიერად ებრძოდენ, სხვათა შორის, ქუთაისის ტაძრიდანაც შიგ ჩამდგარი მეთოფეები. ამის საპასუხოდ ოსმალთ ციხიდან ატეხეს სროლა ტაძრის მიმართ, რომელიც ძლიერ დაზიანდა. ამის შემდეგ ციხიდან გამოიღნენ ოსმალოს ჯარის-კაცნი და დაანგრიეს ეკლესია, ეს საუკეთესო ძეგლთაგანი ქართულ ხუროთმოძღვრებისა, აშენებული აფხაზთა და ქართველთა მეფის ბაგრატ III-ის მიერ 1003 წელს. ეს მოხდა 1691 წ—

ეს იყო უკანასკნელი მძლავრი გამოსვლა ოსმალების წინააღმდეგ და უკანასკნელი ცდა მე-XVII საუკუნეში იმერეთის სამეფოს მთავარი სიმაგრის—ქუთაისის ციხის მათგან განთავისუფლებისა. ამის შემდეგ ოსმალთა ბატონობა ლიხთ-იმერეთს მკვიდრად განმტკიცებული იყო. აოხრებულ და ღონე გამოლეულ ქვეყანას წინააღმდეგობის უნარი არ ჰქონდა და თვით ლეგიტიმური სამეფო დინასტია, მთავრებთან გამუდმებული ბრძოლით დასუსტებული, ოსმალთა დახმარებით ცდილობდა თავისი მდგომარეობის განმტკიცებას.

VII

საქართველოს საერთო მდგომარეობა მე-XVI—XVII საუკუნეში.

საქართველოს ეკონომიურად უკან დახევა. საქართველოს ეკონომიური ვითარება განვლილს ეპოქაში თანდათან უკან დახევის გზას ადგა. ოსმალეთის გაბატონებამ კოსტანტინოპოლსა და შავს ზღვაზე მოსპო ან ფრიად შეასუსტა მანამდის არსებული საეკლო და კულტურული ურთიერთობა შავი ზღვის სანაპიროებსა და დასავლეთს ქვეყნებს შორის. ოსმალეთი კიდევ თავისს მხრივ მუდმივ ომებში იყო გართული და არავითარ ეკონომიურ და კულტურულ შემოქმედებას თავისი უზარმაზარ იმპერიის საზღვრებში არ იჩენდა. ამ გარემოებამ დასცა ეკონომიურად დასავლეთი საქართველო.

ასეთსავე მდგომარეობას განიცდიდა აღმოსავლეთი საქართველო.

სპარსეთის იმპერიის ეკონომიური ძარღვის სამხრეთისაკენ გადახრის შემდეგ ჩრდილოეთი პროვინციები და მათთან ერთად აღმოს. საქართველოც თავისი მატერიალურ ძალთა განვითარების მხრივ შედარებით ცუდს პირობებში ჩავარდნენ. ამასთანავე საზოგადოდ უკან სვლა წინა-აზიის ცხოვრებისა, რასაც, როგორც მოხსენებული იყო, მსოფლიო ისტორიული მიზეზები ჰქონდა, შეუძლებლად ხდიდა საქართველოს სამხრეთით მოსაზღვრე ქვეყნებში მშვიდობიან აღმაშენებლობით მუშაობას. მუდმივი ომები სპარსეთსა და ოსმალეთს შორის, რასაც თან მოსდევდა ქვეყნის აოხრება, აიხსნებოდა არა მარტო სპარსელებსა და თურქებს შორის არსებულ რასიულ წინააღმდეგობით, არამედ უმთავრესად ეკონომიურ ცხოვრების საერთო დაცემით წინა-აზიაში. ეკონომიური გაჭირვება ბადებდა შინაურ უთანხმოებას, ცალკე ინტერესების ერთმანეთთან ტლანქ დაჯახებას და შემდეგ თვით დიდ-დიდ ომებს, რომელიც ანიავებდა წინა-აზიის კეთილ-დღეობას. ეს ომები, სპარსეთსა და ოსმალეთს შორის წარმოებული, სწვდებოდა საქართველოსაც. ქართლმა მე-XVI საუკუნეში მრავალჯერ გამოიარა აოხრება, კახეთი მე-XVII საუკ. პირველ ნახევარში შაჰ-აბაზის მიერ მთლად აწყვეტილ და მიწასთან გასწორებულ იქმნა. ამ აოხრებათ დააჩქარეს ძირითადი მიზეზებით გამოწვეული დაცემა ქვეყნის კეთილდღეობისა და კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩააგდეს ქართველი ხალხი.

როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სიღარიბე თანდათან ძლიერდებოდა. მეფეთა საჭურჭლე ცარიელდებოდა, თავადების გვარეულობათ მოაკლდათ სიმდიდრე, ხალხი მთლად გაღატაკდა. ოქრო და ვერცხლი, როგორც სიმდიდრის მაჩვენებელი და საგარეო ვაჭრობის წარმოების მთავარი საშუალება, თანდათან შემცირდა და გაძვირდა, მისმა ტრიალმა კლება იწყო. უფრო თვალსაჩინოდ ეს პროცესი სწარმოებდა მე-XVI საუკუნეში. 1540-იან წლებიდან 1570-იან წლებამდე დასავლ. საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ იმერეთში, ვერცხლი გაძვირდა დაახლოვებით 25%-ით. ვერცხლის გაძვირება იწვევდა ფასების შესაფერისად დაწევას ადგილობრივ ნედლ მასალისა და მეურნეობის სხვა-და-სხვა საგნებზე, რაც თავის თავად აღარიბებდა ქვეყანას საგარეო ვაჭრობის წარმოების დროს. რადგანაც ამასთანავე ქვეყნის საწარმოო ძალა მუდმივ ომებისა და აოხრების გამო სწრაფის ნაბიჯით უკან მიდიოდა, ამიტომ საქართველო ვერ პოულობდა საგარეო ვაჭრობის საწარმოებლად საკმაო ექვივალენტს. ამავე დროს ოსმალეთი და სპარსეთი მუდმივ ომიანობისათვის საჭიროებდნენ ცოცხალს ძალას, რის მოსაპოვებლად ამ ორივე სახელმწიფომ გააჩაღა ტყვეებით ვაჭრობა. უკიდურესს გაჭირვებაში მყოფ საქართველოსაც მალე მოედო ეს სენი და ცოცხალი ადამიანი გახდა საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ საექსპორტო საგნად.

ტყვეები წარმოადგენდნენ იმ ექვივალენტს, რომელიც საშუალე-

ბას აძლევდა გაჭირვებულ ქვეყანას უცხოეთიდან მიეღო მისთვის საჭირო საგნები.

ტყვეთა ვაჭრობა. ტყვეთა ვაჭრობა მძვინვარებდა საქართველოში მე-XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-XVII საუკუნეში და მე-XVIII საუკ. მეორე ნახევრამდის. განსაკუთრებულის სისასტიკით ეს სენი მოვდო დასავლეთ საქართველოს, საიდანაც ოსმალთ გაჰყავდათ აუარებელი ტყვეები. მე-XVII საუკ. პირველ ნახევარში გურიის სანაპიროდან მიდიოდა ოსმალეთის ბაზარზე 10—12 ათასი ტყვე წელიწადში, ხოლო ოდიშიდან 10—15 ათასი სული. შესაძლებელია, ეს ციფრები რამოდენადმე გადამეტებული იყოს, მაგრამ ტყვეთა ყიდვის საშინელი გავრცელება მართლაც რომ დიდი იყო. სხვა, უფრო ობიექტიური ცნობის მიხედვით, მარტო ოდიშიდან მე-1640 წლებში გაჰყავდათ წლიურად 2 ათასი ტყვე, ხოლო საზოგადოდ მთელ საქართველოდან მხოლოდ შავი ზღვის გზით 4 ათასი სული. ამავე საუკუნის 70-იან წლებში, შინაურ ანარქიის გაძლიერების დროს, ოდიშიდან გაჰყავდათ ოსმალეთშივე წლიურად 12 ათასი ტყვე, ამათში 3 ათასი მიდიოდა პირდაპირ სტამბოლს. ეს ტყვეები იკრიბებოდნენ დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხიდან და რამოდენადმე აღმოსავლეთ საქართველოდანაც. გარეშე მტრის შემოსევა, შინაური ბრძოლა და უფროს მეტად კიდევ ცალკე მებატონეების ყაჩაღური თავდასხმა ერთმანეთის სოფლებზე და გლეხებზე იძლეოდა ტყვეთა ვაჭრობისათვის დაუშრეტელ წყაროს. დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა ადამიანთა გაზიდვა მას შემდეგ, რაც 1660-იან წლებიდან დაიწყო მეფე-მთავრებს შორის განუწყვეტელი ომიანობა და ქვეყნის კეთილდღეობის ყოველ გვარი ნასახი გაუთავებელმა ანარქიულმა მდგომარეობამ შთანთქა. ტყვეების ფასი ამ დროს იმდენად დაეკა, რომ ოდიშის სანაპიროზე, მაგალითად 1672 წ., 25—40 წლის მამაკაცი ღირდა მაშინდელი ფულით თუმანი, ხოლო ახალგაზრდა ქალი 13—18 წლისა 13½ ბანეთი. ტყვეები ვაჟები ოსმალო ხშირად მიჰყავდათ ენიჩართა ჯარისთვის, სრულ წლოვანი მამაკაცები რჩებოდნენ მონებად. ახალგაზრდა ქალები კიდევ იყიდებოდნენ ჰარამხანებისთვის. ოსმალეთის მთავრობა თვალყურს ადევნებდა, რომ ტყვეებით ვაჭრობა არ შეწყვეტილიყო და ყოველის მხრივ ხელს უწყობდა მას. საქართველო, ჩერქესელ ტომებთან ერთად, იყო ოსმალეთისათვის მონა ქალ-ვაჟთა მომცემი მუდმივი წყარო.

მოსახლეობის შემცირება. ასეთს პირობებში, მუდმივ აოხრებათა, ომებისა და ტყვეთა ყიდვის გამო, მოსახლეობამ საქართველოში დიდად შემცირება იწყო. მე-XV საუკუნის შუაში ქართლის ტერიტორიაზე სომხით-ლორე-ბამბაკითურთ უნდა ყოფილიყო დაახლოებით 480 ათასი სული ორისაგე სქესისა და კახეთს კიდევ 320 ათასი სული, ხოლო კომლეულად ქართლს დაახლოებით 60 ათასი კომლი და კახეთს 40

ათასი. მე-XVI საუკუნის სიგრძეზე ქართლის მოსახლეობა იმ მუდმივ ომებისა გამო, რომელსაც აწარმოებდნენ ქართლის მეფენი ჯერ სპარსელებთან და შემდეგ ოსმალებთან, თანდათან შემცირებას განიცდიდა, ასე რომ მე-XVII საუკუნის პირველ ნახევრისთვის მოსახლეობა ქართლში შემცირებული იყო თითქმის ერთი სამად. როსტომ მეფის დროს ქართლმა რამდენადმე მოღონიერება იწყო, ასე რომ 1653 წლისთვის აქ ირიცხებოდა 24 ათასი კომლი. ეს რიცხვი ნაგულისხმევი უნდა იყოს ქართლის სამეფოს მე-XVII საუკუნეში უკვე შემცირებულს ტერიტორიაზე, ლორე-ბამბაკის გამოკლებით, მაგრამ სამაგიეროდ არაგვის საერისთაოს მიმატებით.

კახეთში მე-XVI საუკუნის განმავლობაში მოსახლეობა რამოდენადმე მატულობდა კიდეც. ალექსანდრე II-ის დროს კახეთი ისე მჭიდროდ იყო დასახლებული, რომ ნადირობის ძალზე მოყვარული მეფე ხუმრობით ხშირად ამბობდა თურმე: „ნეტარძი ოხერ შექმნეს კახეთი, რათა მაქვნდეს სანადირონი მრავლადი“. მაინც საწარმოო ძალთა განვითარების შეუძლებლობა მოსახლეობის ამ ბუნებრივ ზრდასაც ერთგვარ საზღვარს უდებდა, ასე რომ მე-XVII საუკუნის დასაწყისისთვის, შაჰ-აბაზ I-ის შემოსევათა დაწყებამდის, კახეთის სამეფოში უნდა ყოფილიყო დაახლოვებით 50 ათ. კომლი ანუ 400 ათ. სული მკვიდრი. შაჰ-აბაზის შემოსევებმა დასცა კახეთის მოსახლეობა, რომლის საერთო ზარალი 1614—1617 წლებში შეიძლება 300 ათას სულამდის იქმნას ნავარაუდევი. შემდეგ კახეთმა ისევ ნელ-ნელა მოღონიერება იწყო, ასე რომ 1653 წლისთვის აქ უკვე 20 ათასი კომლი ან 160 ათასი სული ირიცხებოდა. ამ უკანასკნელს რიცხვში არ უნდა შედიოდეს არაგვის საერისთაოს მოსახლეობა, რადგან ეს მხარე ამ დროს უკვე ქართლის სამეფოს ტერიტორიას ეკუთვნოდა.

მთლად ქართლ-კახეთში ამნაირად 1653 წლისთვის ირიცხებოდა 44 ათასი კომლი. ამავე დონეზე დაახლოვებით, მხოლოდ ოდნავ მომატებით, დარჩა ძირი-მოსახლეობა აღმ. საქართველოში მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარშიდაც. მას მიემატა მხოლოდ ივრის პირს ამ დროს დასახლებული თათრის ელი, რომლის რიცხვი 10—12 ათასი კომლი შეიძლება ნავაურაუდევი ყოფილიყო.

იმერეთს მე-XV საუკუნის შუაში ირიცხებოდა დაახლოვებით 40 ათასი კომლი ანუ 320 ათასი სული, მესხეთს 70 ათასი კომლი ანუ 560 ათასი სული, სადადიანოსა და საგურიელოს ერთად მესხეთზე ოდნავ ნაკლები. მესხეთის მოსახლეობის ცვალებადობის გათვალისწინება მე-XVI—XVII საუკუნეებში ჯერჯერობით ძნელია. იმერეთს კი მოსახლეობა 1550-იან წლებამდის დაახლოვებით ერთსა და იმავე დონეზე იყო, მხოლოდ შიგა და შიგ აოხრებათა თუ სიმშილობის გამო ცალკე ხანებში ცვალებადობას განიცდიდა. მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 1568 წლის ჟამის გამო, მოსახლეობამ იმერეთში საერ-

თოდ დაიკლო. 1610 წლის ახლოს ერთი რაღაც სტიქიურ უბედურებისა გამო მცხოვრებთა რიცხვმა აქ კიდევ ერთი დაკლება განიცადა, ასე რომ 1620 წლის ახლოს იმერეთში ითვლებოდა მხოლოდ 19 ათასი კომლი. შემდეგ ამ ციფრმა ოდნავ იმატა და 1650 წლის ახლოს დაახლოებით 23—24 ათასი კომლი ითვლებოდა. საწარმოო ძალთა შეფერხება, ძნელი ეკონომიური პირობები და მუდმივი შინაური ომები შეუძლებლად ხდიდა მოსახლეობის მომრავლებას. ამის შემდეგ მცხოვრებთა რიცხვი იმერეთში, კერძო ცვალებადობის გარდა, ერთს დონეზე იდგა.

ოდიშის მოსახლეობაც მე-XVI საუკუნეში აგრეთვე შემცირებას განიცდიდა, ასე რომ 1640 წლის ახლოს სადადიანოში ითვლებოდა 19 ათასი კომლი. 1660—1670 წლებში ოდიშმა დასავ. საქართველოს სხვა ნაწილებთან ერთად გამოიარა საშინელი აოხრება, მდ. ენგურის ჩრდილოეთით მდებარე მხარეც მოსწყდა სამთავროს და დანარჩენ ნაწილში დარჩა დაახლოებით მხოლოდ 5 ათასი კომლი.

ამ ცნობებიდან ცხადად სჩანს, თუ როგორ თანდათან, საერთო ვითარების გაუარესებისა გამო, მოსახლეობის რიცხვის მხრივაც საქართველო უკან მიდიოდა.

საქალაქო ცხოვრებაც კლებულობს. ეკონომიურად უკან დახევისა გამო საქალაქო ცხოვრებამაც კლება იწყო. ტფილისი მე-XVI საუკუნეში თანდათან დაეცა, ასე რომ 1597 წ., როდესაც ქალაქი ოსმალებს ეკუთვნოდა, იქ ითვლებოდა 2 ათასი კომლი მცხოვრები. რადგანაც ტფილისში უმეტეს ნაწილად მძლავრობდნენ სპარსელები (ხოლო 1578—1606 წლებში ოსმალები), ამიტომ ქართველობა არ ეტანებოდა მას და გაურბოდა კიდეც სატახტო ქალაქში ცხოვრებას. როსტომ მეფის დროიდან, როდესაც სპარსელების მფლობელობის მტკიცედ დამკვიდრებისთანავე შესწყდა გარეშე შემოსევანი, ტფილისმა რამოდენადმე მოკეთება იწყო, ასე რომ 1667 წ. ერთი ცნობით ტფილისში 70—80 ათასი სული ირიცხებოდა, თუმცა ეს ცნობა რამოდენადმე შეიძლება გადამეტებული იყოს. ერეკლე—ნაზარალი-ხანის დროს ტფილისმა სპარსთა მძლავრების გამო ისევ კლება იწყო: 1702 წ. იქ ირიცხებოდა სულ 2,500 კომლი და 20 ათასი სული მცხოვრები.

ქალაქ გორში 1672 წ. ფრანგ მოგზაურის შარდენის სიტყვით 500 კომლი მცხოვრები იყო, მაგრამ წინად ამ ქალაქში, როგორც მისთვის უთქვამთ, 12 ათასი კომლი ყოფილა. თუნდაც ეს ციფრი გადაჭარბებული იყოს, მაინც ის ფრიად დამახასიათებელია ქვეყნის მიერ გამოვლილ აოხრების დასასურათებლად. 1672 წლის შემდეგ გორი კიდევ უფრო შემცირდა და თუმცა ვახტანგ VI-ის გამგებლობისა და მეფობის დროს ქალაქმა კვლავ მოსულიერება იწყო, მაგრამ 1723

წლისათვის მისი მცხოვრებთა რიცხვი მაინც 300 კომლს ვერ გარდასცილდა.

შარდენს 1672 წ. გაუვლია აგრეთვე ქართლის ახალქალაქში, რომელიც მის დროს თითქმის მთლად დანგრეული იყო, ხოლო უწინ, მისივე სიტყვით, ქალაქი ყოფილა, რასაც. რასაკვირველია, თვით სახელი ამტკიცებს.

ქუთაისში დაახლოვებითის ანგარიშით მე-XVI საუკ. შუაში უნდა ყოფილიყო 450—500 კომლი. მე-XVII საუკ. პირველ ნახევარში ის საკმაოდ კარგი სავაჭრო ქალაქი იყო, 1672 წ. კი იქ ირიცხებოდა მხოლოდ 200 კომლი. ამ დროს ოსმალნი ქუთაისში ახლად ჩამდგარნი იყვნენ. შემდეგ კიდევ ქალაქმა ფერიც იცვალა. ქუთაისის ციხეში მდგარი ოსმალოს ჯარი უმეტეს ნაწილად გამაჰმადიანებულ მესხთაგან შესდგებოდა. ჯარის უფროსი აღაც უმეტეს შემთხვევაში ქართველი მაჰმადიანი იყო. მაგრამ მათი მძლავრებისა გამო ბევრი ადგილობრივი მცხოვრები იმერელიც ღებულობდა მაჰმადიანობას და მათ ეკედლებოდა, ასე რომ მალე ქუთაისის მცხოვრებთა თვალსაჩინო ნაწილი მაჰმადიანთაგან შესდგებოდა.

ქართულ საბელმწიფოების ფინანსიური მდგომარეობა. საერთო მდგომარეობის გაუარესებამ უკან დასწია საქართველოს სამეფო სამთავროთა ფინანსები და გააღარიბა მეფე-მთავართა ხაზინა. 1577 წ. ახლოს ქართლის სამეფოს უნდა ჰქონოდა წლიური შემოსავალი დაახლოვებითის ანგარიშით 25,200 ათასი ასპრი ოსმალურ ფულად, ანუ 210 ათასი დუკატი (ოქრო), ხოლო ვერცხლზე გადატანით 6,300 ათასი დანგი. ერთი საუკუნის შემდეგ კი, 1690-იან წლებში ნაზარალიხანის დროს ქართლის სამეფოს შემოსავალი იყო 5 ათასი თუმანი, ანუ ვერცხლზედ გადატანით 2,400 ათასი დანგი.

განსაკუთრებით ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა კახეთის სამეფო შაჰ-აბაზ I-ის მიერ კახელების აწყვეტის და გარდასახლების შემდეგ. ქვეყანა იმდენად გაღარიბდა, რომ როდესაც 1636 წლიდან თეიმურაზ მეფემ ისევ დაიპყრო კახეთი, ის იძულებული იყო ქოხებში ეცხოვრა.

1660-იან წლებიდან ფრიად გაღარიბდა დასავლ. საქართველოც. ფული თანდათან გაჰქრა და ვაჭრობა უმეტესად პირველყოფილ წესს, საქონლის გაცვლა-გამოცვლას უბრუნდებოდა. მეფეების და მთავრების შემოსავალი თანდათან კლებულობდა. როგორც სამეფო სახლი, ისე მთავარნი შეეწროვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

დასავლ. საქართველოს სამეფო-სამთავროების ფინანსიურ მდგომარეობის წარმოსადგენად შეიძლება აღნიშნულ იქმნას, რომ 1671 წლის ახლოს ოდიშის მთავრის შემოსავალი აღირიცხებოდა მაშინდელი ანგარიშით $1^1/_2$ ათას თუმნად, გარდა სურსათ-სანოვაგისა სახასო ყმებიდან.

სპარსეთის და ოსმალეთის ბატონობის ხასიათი. როგორც სპარსეთი, ისე ოსმალეთი ხელუხლებლივ სტოვებდა სამეფო-სამთავროების

შინაურ მართველობას. მხოლოდ ყოფილ საათაბაგოს ტერიტორიაზე, რომელიც გარდაიქცა ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშოდ, ვრცელდებოდა ოსმალთა უშუალო მართველობა და აგრეთვე კახეთს, ხანების ბატონობის დროს, სპარსეთის ძალა-უფლება მეტის სიცხადით აჩუნდა კვალს ადგილობრივ ცხოვრებას.

როგორც სპარსეთი, ისე ოსმალეთი ღებულობდნენ სამეფო-სამთავროებიდან განსაზღვრულ რაოდენობის ხარკს, რომლის ნაწილი გამოიხატებოდა ქალ-ვაჟთა გაგზავნაში. შაჰ-ისმაილის მიერ პირველად აღმ. საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართლ-კახეთს ხარკად დაედვა წლიურად 300 საპალნე აბრეშუმი. შემდეგ, საწარმოო ძალთა დაკეტისა გამო, ხარკის ამ რაოდენობამ იკლო და მე-XVI საუკ. დასასრულს კახეთის სამეფო სპარსეთის კარს უგზავნიდა, საუკეთესო ჯიშის ცხენებს გარდა, 20 საპალნე აბრეშუმს წელიწადში. ამავე დროს ოსმალთა გაძლიერებისა გამო კახეთის მეფე ალექსანდრე II ოსმალებს აძლევდა ხარკად 30 საპალნე აბრეშუმს, და კიდევ როგორც რუსეთის მოხარკე, რუსთა მეფესაც უგზავნიდა 50 ნაჭერ ოქროქსოვილ ფარჩას. 1700 წლის ახლოს ქართლის სამეფო აგზავნიდა ყაენების ხაზინის სასარგებლოდ წელიწადში 4 შევარდენს, 300 თუმანს ფულად, რჩეულს ღვინოს 50 საპალნეს, სამს წელიწადში ერთხელ 7 მონას და აგრეთვე ყაენის ჰარამხანისთვის ქალებს.

ოსმალეთი ღებულობდა 1640-იან წლებში იმერეთის სამეფოდან 4,070 პიასტრს, ხოლო ოდიშიდან 30—40 ტყვეს და 800 აღლ ტილოს წელიწადში, მაგრამ შემდეგ ეს ხარკი შეიცვალა. 1670-იან წლებში იმერეთის სამეფო აძლევდა ოსმალთ ხარკად წელიწადში 80 ქალ-ვაჟს 10—20 წლისას, გურია 46 სულს. ხოლო ოდიში სამს წელიწადში ერთხელ 180 ათასს აღლ ტილოს. შემდეგს დროებში კიდევ იმერეთი იხდიდა სამს წელიწადში ერთხელ კომლზედ აბაზს და ერთს საპერანგე ტილოს.

სახელმწიფოებრიობა. სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, ისე როგორც წინა საუკუნეებში, ფრიად შეზღუდული იყო ფეოდალური წყობილების წესებით. მეფეების და მთავრების საბატონოები მათი კუთვნილ სახასო გლეხებით და აზნაურებით გადაბმული იყო მთელს საქართველოს ტერიტორიის სივრცეზედ თავადების დიდ-დიდ საგვარეულო მფლობელობასთან. ამავე დროს თავადების საგვარეულო მფლობელობას საკმაოდ დამოუკიდებელი ადგილი ეკირა სახელმწიფოებრივ წყობილებაში, რის გამოც თავადებიც თავისს თავს თავისუფლად სთელიდნენ რაიმე ვალდებულებისაგან სახელმწიფოს წინაშე. უმეტეს მათგანს, მთლად ანდა ნაწილობრივ, ჰქონდათ მიღებული ეგრედ წოდებული შეუვალობის უფლება, ე. ი. სახელმწიფოს არ შეეძლო მოეთხოვა მათთვის რაიმე გარდასახადები. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ეგრედ წოდებული სათათრო ანუ საყაენო აღმოს. საქართველოში და

სახვანთქრო გარდასახადი ლიხთ-იმერეთის ქვეყნებში—სპარსეთისა ან ოსმალეთის სახარკო, რომელიც ყველაზედ იყო გაწერილი.

მისწრაფება სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისადმი. მე-XV საუკუნეში და მე-XVI ს. პირველ ნახევარში საქართველოში სჩანდა მისწრაფება სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების განმტკიცებისაკენ. ეს გამოიხატა, სხვათა შორის, სამეფო გვარეულობის უმცროსი შტოების დამოუკიდებლობის მოსპობასა ან ფრიად შეკვეცაში. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არგვეთში მყოფი ბაგრატიონთა შტო ატარებდა მე-XV საუკუნეში მეფის ხარისხს. მე-XVI საუკუნეში თანდათან ამ შტოს ნახევრად დამოუკიდებელი არსებობა მოისპო. ყოველს შემთხვევაში მისი წარმომადგენელნი ამის შემდეგ არ იწოდებიან მეფეებად. ქართლში მე-XVI საუკუნეში პირველი მუხრან-ბატონი ბაგრატ ატარებდა მეფის ტიტულს, რომლის შენარჩუნებას ცდილობდა მისი შვილიც, მაგრამ შემდეგ დროინდელი მუხრან-ბატონები უკვე ამ გვარ ცდას აღარ იმეორებენ.

საზოგადოდ მე-XVI საუკ. მეორე ნახევარში მეფის უფლება საბოლოოდ გაერთიანებულია ქართლის, კახეთის და იმერეთის დინასტიის მთავარ წარმომადგენლების ხელში.

ასეთსავე მოვლენას ვხედავთ სამცხე-საათაბაგოში, სადაც მე-XVI საუკ. დასაწყისს მზე-ჯაბუკ ათაბაგმა მოსპო ათაბაგის გვარის უმცროს შტოთა ავტონომიური მართველობა და მთელი მესხეთი გააერთიანა თავისი მფლობელობის ქვეშ.

მეფის ძალების განმტკიცების შეუძლებლობა. მაგრამ ეს მისწრაფება სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების განმტკიცებისაკენ ვერ განვითარდა ჯეროვნად, რადგანაც ქვეყნის ეკონომიურად უკან დახევამ შეუძლებლად გახადა პროგრესი სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებაშიაც. საქართველო საწარმოო ძალთა განვითარების თვალსაზრისით უკან მიდიოდა და ნატურალური მეურნეობაც სწრაფის ნაბიჯით იკიდებდა ფეხს. მამულის და გლეხების ბოძება, აგრეთვე გარდასახადებისაგან განთავისუფლება (შეუვალობა) გახდა ისევ ჩვეულებრივი წესი დასაჩუქრებისა სახელმწიფოს წინაშე გაწეულ სამსახურისათვის. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებდა თავადთა გვარეულობათ და ანიჭებდა მათ მეტს დამოუკიდებლობას სახელმწიფოში. განსაკუთრებით ეს ითქმის დიდ და წარჩინებულ თავადების გვარეულობათა შესახებ.

სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების ვითარება. მე-XVII საუკუნიდან საქართველოს ტერიტორიაზე ცალკე თემობრივ სამეფოების და სამთავროების ჩამოყალიბების მიზეზით და ამასთანავე თავადთა გვარეულობების მიერ მეტ დამოუკიდებელ მდგომარეობის მიღწევისა გამო, სახელმწიფო აპარატი თანდათან უთანაბრდებოდა გაბატონებულ სამეფო ანუ სამთავრო სახლის მოთხოვნილებას. სახლთუხუცესი, რომელიც უპირველესად ყოვლისა მეფის პირადი მამულებისა და მეურნეობის მთავარი

გამგე იყო, თანდათან პირველი ხელისუფალი ხდებოდა. ასევე სხვა ხელისუფალნიც ეხლა უფრო დაკავშირებულნი იყვნენ სპეციალურად მეფის ან მთავრის კარის სამსახურთან. მსხვილ სახელმწიფო საქმეებს მეფე ან მთავარი აწარმოებდა დიდ-შემძლე თავადებთან და ეპისკოპოსებთან შეთანხმებით და მათი აზრის დაკითხვით, მაგრამ ამ მიზნით შემდგარ რჩევებს ან შეკრებილობებს, თავადების განკერძოებულ და თავისუფალ მდგომარეობისა გამო, შემთხვევითი, მხოლოდ დროსა და გარემოების მიხედვით მოწვეულ კრების ხასიათი ჰქონდა.

კერძოდ დასავლ. საქართველოში მეფესთან არსებული საეზირო და დარბაზი, მე-XVI საუკ. პირველ ნახევარში, როგორც მოხსენებული იყო, უკვე შესუსტებული, ამავე საუკუნის მეორე ნახევარში მთლად გაჰქრა. მე-XVII საუკუნეში როგორც იმერეთის მეფესთან, ისე კერძოდ ოდიშში დადიანთან ჩვენ ვხედავთ ერთს ვეზირს, რომელიც უმთავრესად აძლევს მიმართულებას თავისი ბატონის პოლიტიკას. ვეზირი ხშირად ინიშნებოდა არაადგილობრივ დიდგვაროვან თავადთაგან, რაც ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს უკანასკნელნი ხშირად ოპოზიციაში უდგნენ მეფეს და სამთავროებში მთავარს.

თავადებს, კათალიკოზთ და ეპისკოპოსებს ჰქონდათ, მეფე-მთავართა მიბაძვით, საკუთარი კარი, თითქმის ყველა იმავე სახელწოდების მოხელეებით, როგორც ცენტრალური ძალთა-უფლების წარმომადგენელს.

ეკონომიური ვითარება. წარმოების უმთავრეს დარგს შეადგენდა მთელს საქართველოში მიწათ-მოქმედება და ზოგს უფრო მთიან ადგილებში საქონლის მოშენებაც. აღმოსავლეთ საქართველოში უმთავრესად ითესებოდა პური, შემდეგ ქერი, ფეტვი და სხ., დასავლეთ საქართველოში კი—ღომი, რომელიც წარმოადგენდა ხალხის უმთავრეს საშჭელს, შემდეგ ქერი, მჭადი და მცირედ პური. მევენახეობა ყველგან ძალიან გავრცელებული იყო. განსაკუთრებით ბლომად მოდიოდა ღვინო კახეთს და დასავლ. საქართველოში. ფრიად გავრცელებული იყო აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში და უფრო ნაკლებ დასავლეთშიდაც მეაბრეშუმეობა.

უმთავრეს საექსპორტო საქონელს საზღვარ გარედ გასატანად წარმოადგენდა აღმ. საქართველოში აბრეშუმი, ღვინო, ენდრო, სხვადასხვა ტყავეულობა. დასავლეთ საქართველოდან კიდევ გადიოდა, უმთავრესად ზღვით ოსმალეთისკენ, სელი, ადგილობრივი ტილო (სელისაგან), თაფლი, ცვილი, ტყავეულობა, აბრეშუმი და ხე-ტყე (უმთავრესად ბზა). ხოლო საზღვარ გარეთიდან სპარსეთ-ოსმალეთის გზით საქართველოში შემოდიოდა ხალები, უნაგირები, სხვადასხვა შალები და მაუდები, შვილდისრები, თოფ-ზარბაზანი თავისი წამლით, სხვადასხვა იარაღი, მარილი, რკინეულობა, შაქარი და სხვა წერილმანი ნივთეულობა.

ბევრი გადიოდა, განსაკუთრებით ოსმალეთისკენ, როგორც უკვე ნათქვამი იყო, ცოცხალი ადამიანიც ტყვეთა სახით, რომელიც ავსებდა

განსხვავებას შემოტანილ და გატანილ საქონლის ღირებულობათა შორის. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ოდიშში, თავადები მე-XVII საუკუნეში პირდაპირ აცხადებდნენ, რომ მათ არ შეუძლიათ ტყვეთა ყიდვის გარეშე თავისი ხარჯთა დაფარვა განსაკუთრებით უცხოეთიდან მოტანილ საქონლის შესაძენად.

ადგილობრივი ვაჭრობა უმთავრესად სწარმოებდა სპეციალურ დღეობებზე და ბაზრობებზე. ოდიშში მე-XVII საუკ. პირველ ნახევარში ზოგს ამ გვარ ბაზრობაზე იკრიბებოდა 20 ათას კაცამდის. ამ გვარი დროგამოშვებითი ბაზრობები განსაკუთრებით გავრცელებული იყო დასავლ. საქართველოში, სადაც საქალაქო ცხოვრება შედარებით ნაკლებ იყო განვითარებული. აღმ. საქართველოში კი, აქ არსებულ ქალაქების გამო, ასეთ ბაზრობებს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა.

მუდმივ სავაჭრო პუნქტებს მთელს საქართველოში წარმოადგენდნენ ქალაქები, რომელთაგან პირველი და უმთავრესი ადგილი ეჭირა ტფილისს.

ქალ. ტფილისი. თავისი სიდიდით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოს ქალაქებში ეჭირა ქალ. ტფილისს. ის იყო იმავე დროს საკმაოდ განცხოვლებული სავაჭრო ცენტრიც. 1673 წ. ტფილისში იყო ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელიც გადმოგვცემს, რომ ტფილისი ულამაზეს ქალაქად შეიძლება ჩაითვალოს მთელს სპარსეთის იმპერიაშიო. ქალაქი გარშემოვლებული იყო მაგარი და ლამაზი გალავნით ყველა მხრიდან, გარდა მდ. მტკვრის სანაპიროსა. ქალაქს ჰქონდა ციხე. სადაც იდგა სპარსელების ჯარი. მცხოვრებნიც ამ ციხეში შთამომავლობით სპარსეთიდან იყვნენ. საუკეთესო შენობად ტფილისში და მის დამშვენებლად ითვლებოდა მეფის სასახლე, რომელიც თავისი ვრცელი დარბაზებით მდ. მტკვარზე იყო გადაკიდებული (ეს სასახლე აშენებული იყო როსტომ მეფის მიერ). სასახლესთან გაშენებული იყო მშვენიერი ბაღები, აქვე იყო მოწყობილი საფრინველო, საუკეთესო საშევარდნო და სამეძებრო. სასახლის წინ გაშლილი იყო ოთხ-კუთხი მოედანი, რომელზედაც შეიძლებოდა ათასი ცხენოსნის დატევა. მოედნის გარშემო დუქნები იყო მოთავსებული, ხოლო მოედნის იქით იწყებოდა ბაზარი. საბაზრო ადგილი გაშენებული იყო ქვისაგან და სუფთად ინახებოდა. ქალაქშივე უცხოელებისთვის ჩამოსახლომად არსებობდა ქარვასლაც, აგრეთვე ქვითკირისა.

შარდენის სიტყვით, სამეფო კარი ტფილისში შესდგებოდა მრავალ წარჩინებულ პირთაგან და თავისი მრავალრიცხოვანობით და სიმდიდრით სრულიად შესაფერისი იყო დედა-ქალაქისათვის.

ტფილისის მოსახლეობას ამ დროს შეადგენდნენ სომეხნი, შემდეგ ქართველნი და აგრეთვე თათარნიც. ქართველებს შარდენის სიტყვით ჰქონდათ 6 ეკლესია, ხოლო სომხებს 8. გარდა ამისა ამ დროს ტფილისში არსებობდა კათოლიკეთა მისიონი, რომელსაც თავისი ეკლესიაც ჰქონდა. მაჰმადიანების მეჩეთი კი, თუ არ ჩავთვლით კარის მეჩეთს,

შარდენის დროს ტფილისში არ იყო. სომხური მოსახლეობის გაზრდა განსაკუთრებით დაეტყო ტფილისს მე-XVII საუკუნის ნახევრიდან, როდესაც ქალაქს მიემატა ახლად მოსული სომეხნი—ვაჭარნი და ხელოსანნი.

ტფილისში ბლომად იყვნენ საზოგადოდ უცხოელები, რომელნიც საგარეო ვაჭრობის განვითარებაში ღებულობდნენ მონაწილეობას.

უმთავრესი საექსპორტო საგნები, რომელიც მე-XVII საუკუნეში ტფილისის გზით გადიოდა საზღვარ-გარეთ, იყო აბრეშუმი, ღვინო, ენდრო და სხვა ნედლი მასალა. 1760 წლის ახლო ხანებში მარტო ენდრო გადიოდა ტფილისის გზით საზღვარ-გარეთ 2,000 საბალნე.

ქალაქის მართველობას სათავეში ედგა მოურავი, რომელსაც მე-XVI საუკუნეში და მე-XVII საუკუნის დასაწყისშიდაც კიდევ ძველი სახელწოდება—ამირათ-ამირა ჰქონდა. მოურავი ინიშნებოდა მეფისაგან, ხშირად ერთი და იმავე ოჯახის ან გვარეულობის წევრთაგან. მოურავს ჰქონდა საადმინისტრაციო და რამოდენადმე სამოსამართლო ფუნქციებიც. სახელდობრ მოურავს ექვემდებარებოდა სამოქალაქო საქმეების გარჩევა.

მოურავის თანაშემწეებად ითვლებოდნენ მელიქი—სომეხ მცხოვრებთათვის, მამასახლისი—დანარჩენთათვის და კიდევ ნაცვალი.

ხხვა ქალაქები. ტფილისის გარდა საქართველოს სამეფო-სამთავროებში იყო სხვა ქალაქებიც, მაგრამ ყველა ისინი ბევრად ჩამოუვარდებოდნენ ტფილისს თავისი სიდიდით და მნიშვნელობით. ქართლში მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში იყო კიდევ სამი ქალაქი—გორი, სურამი და ალი. სურამი გორის ნახევარს შეადგენდა, ალიც ეგრეთვე პატარა ქალაქად ითვლებოდა.

გორი, როგორც შიდა-ქართლში ცენტრალურ მდებარეობის მქონე, შედარებით მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. მართველობის წესი აქ ისეთივე იყო, როგორც ტფილისში. ქალაქს სათავეში ედგა მოურავი, რომელსაც ორი თანაშემწე ჰყავდა—მელიქი სომხურ სარწმუნოების მოსახლეობისთვის და მამასახლისი მართლმადიდებელთათვის.

ქალაქის ვითარების აღსანიშნავად საგულისხმოა, რომ 1668 წ. გორში ითვლებოდა 12 ეკლესია, სომხებისა და მართლმადიდებლებისა.

კახეთში მე-XVI საუკუნეში მთავარი ქალაქი იყო ზაგემი, ხოლო ლევან მეფის დროიდან იქვე მნიშვნელობა მოიპოვა ქალ. გრემმაც. გრემის სიდიდის წარმოსადგენად მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მე-XVI საუკ. დასასრულს და მე-XVII ს. დასაწყისს, 1636 წლის დროინდელ ცნობების მიხედვით, იქ უნდა ყოფილიყო 15 ეკლესია, უმრავლესი სომხებისა და უმცირესი მართლმადიდებლებისა. გარდა ამისა კახეთის სამეფოში ცნობილი იყო ქალ. ბაზარი, სადაც მე-XVI საუკ. მეორე ნახევარში მარტო საკათალიკოსო ყმა იყო 27 კომლი ვაჭარი სომხის და ისრაილის რჯულისა. მე-XVII საუკუნეში კი კახეთის სამეფოში საქალაქო ცხოვრება ფაქტიურად არ არსებობდა.

ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროებში მთავარი მნიშვნება ჰქონდა ქალ. ქუთაისს. ქალაქი, ტოლოჩანოვის მიერ 1651 წ. შედგენილ აღწერილობის მიხედვით, გაყოფილი იყო ორ ნაწილად—ქვემო და ზემო ქალაქად. ქალაქის ქვემო ნაწილი გაშენებული იყო დაბლობზე რიონის მარცხენა ნაპირას და გარშემოვლებული იყო ქვითკირის გალავანით, რომელსაც ორი კოშკი ჰქონდა ოთხი ზარბაზნით. ერთი ამ კოშკთაგანი 15 საჟენის სიმაღლისა იყო. ქალაქის ამ ნაწილში იყო მეფეთა პალატები, რიცხვით ოთხი. ქალაქის ზემო ნაწილი კი გაშენებული იყო მთაზე რიონის მარჯვენა ნაპირას. $2^1/_2$ ვერსის სიგრძის გალავანი, სიმაღლით 3 საჟენი და სისქით 1 საჟენი, 15 დიდი და პატარა კოშკით, გარშემოვლებული ჰქონდა ქალაქის ამ ნაწილს. ბაგრატის საკრებულო ტაძარს, ცნობილს თავისი მშვენიერებით და სიმდიდრით, ჰქონდა კიდევ შიგნით გალავანი 2 საჟენის სიმაღლისა. ქალაქის ამ ნაწილში მაღლობზე მდებარეობდა საკუთრივ ქუთაისის ციხე, რომლის გალავანი თითქმის ნახევარი ვერსის სიგრძისა იყო, ხოლო სიმაღლით 10 საჟენი და სისქით საჟენზე ნაკლები. ციხეს ჰქონდა 7 კოშკი თითო 12 საჟენის სიმაღლე. ქალაქის ორივე ნაწილის ირგვლივ კი, გალავნებს გარედ, გაყვანილი იყო ჯებირი დაახლოვებით 4 ვერსის სიგრძისა ღრმა თხრილით და ხის კოშკებით.

ქუთაისი მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარში კარგი სავაჭრო ქალაქი იყო. აქ მოდიოდნენ სავაჭროდ, სხვათა შორის, ქართლიდან, მესხეთის მხრიდან მესხნი და ოსმალნი და სპარსეთიდანაც. ვაჭრობა უმთავრესად სომხების ხელში იყო.

ქალაქის მართველობა მე-XVII საუკუნეში ამირათ-ამირას ხელში იყო. შემდეგ ამირათ-ამირას მოურავი ეწოდა.

გარდა ქალაქ ქუთაისისა იმერეთის სამეფოში მე-XVII საუკუნეში ცნობილია ქალაქები ჩხარი და ჩიხორი. უკანასკნელში 1672 წ. 50 კომლი მცხოვრები იყო.

გურია-ოდიშსა და აფხაზეთში საქალაქო ცხოვრება ძლიერ ნაკლებ იყო განვითარებული. ლევან II დადიანის მიერ გაშენებული ქალ. რუხი მოსპო შემდეგ დროინდელ შინაურმა არევ-დარევამ.

სამცხე-საათაბაგოში უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა ქალ. ახალციხეს. ამას გარდა ცნობილია მე-XVI საუკუნეში ქალ. თმოგვი. საგულისხმებელია ამ დროს სხვა პატარა ქალაქებიც მესხეთის ტერიტორიაზე. ოსმალების მართველობის დამყარების შემდეგ მესხეთსა და აჭარა-ქობულეთ-ჯანეთს აღსანიშნავია ახალციხეს გარდა პატარა ქალაქი აწყური, კიდევ მცირე ქალაქი ბათომი, რომელიც ამ გვარადვე იხსენიება მე-XV საუკუნეშიდაც, და სხ.. ახალციხეში 1672 წ. 400 კომლი იყო.

სამართლის წარმოება. სამართლის საქმის წარმოება დამოკიდებული იყო კერძო დაინტერესებულ პირთა თაოსნობაზე. მხოლოდ იშვიათად და ისიც უმთავრესად სისხლის სამართლის მსხვილ საქმეებში სახელმწიფო

საჭიროდ სთვლიდა ჩარევას და კერძო პირის ინტერესების დაცვას. ფეოდალური წეს-წყობილება თავისი ნაკლებ განვითარებული სახელმწიფოებრივი აპარატით ამ მხრივ ფართო გზას სტოვებდა კერძო პირის თაოსნობისთვის ხშირად იარაღის საშუალებით თავისი შელახულ უფლების დასაცავად.

სამართლის წარმოების უმაღლესი უფლება იყო მეფისა, ხოლო სამთავროებში მთავრის ხელში. სამართლის წარმოება ხდებოდა ყოველთვის კრებით—მეფის ან მთავრის მიერ ყოველი დიდ საქმისთვის საგანგებოდ დანიშნულ პირთა მონაწილეობით. ქართლში მდივანბეგის თანამდებობის შემოღების შემდეგ სამართლის საქმის წარმოება მდივანბეგის ხელში იყო მოთავსებული. მდივანბეგად ჩვეულებრივად ინიშნებოდა ერთ-ერთ თავადის გვარეულობის წევრი. მაგრამ აქაც უდიდესი საქმეები უნდა წარდგენილიყო მეფესთან და მისი დასტურით უნდა ყოფილიყო გამოტანილი შესაფერისი განაჩენი.

ბევრს ადგილას კიდევ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მე-XVII საუკუნეში შემოღებული იყო ურთიერთ დავის გარჩევა სახელმწიფოს ძალა-უფლების უზენაეს წარმომადგენლის გარეშე, სახელდობრ ურთიერთთან შეთანხმებით მედიატორე მოსამართლეთა დანიშვნით.

ეკლესია სარგებლობდა სასამართლოს საქმეში სრული შეუვალობით. ის თვით იყო, კათალიკოზისა და ეპისკოპოს-წინამძღვრების სახით, თავისი ყმების განმსამართლებელი. დავა საეკლესიო და საერო ყმათა შორის ირჩეოდა ეკლესიის წარმომადგენლის თანადასწრებით.

საქმეების გარჩევის დროს სახელმძღვანელოდ უმთავრესად რჩებოდა დროთა ვითარებაში დაკანონებული ადათები და ჩვეულებანი. ამას თან ემატებოდა წერილობითი განკარგულებანი მეფეებისა და დადგენილებანი ადგილობრივ საეკლესიო კრებებისა.

სისხლის სამართლის საქმეებისთვის (კაცის მოკვლა, დაჭრა, ქალის მოტაცება და სხ.) დამნაშავე მხარე იხდიდა განსაზღვრულ რაოდენობის ფასს სისხლისას დაზარალებულის მხარის გვარის მიხედვით. თავადისა და აზნაურის გვარის სისხლი, განსაკუთრებით დასავლ. საქართველოში, ხშირად განსაზღვრული იყო კერძო შემთხვევებში მეფეების მიერ ცალკე ბოძებულ ძველ საგვარეულო სიგელებით.

საეკვო შემთხვევებში დანაშაულობის გამოსარკვევად მიღებული იყო სხვა-და-სხვა საშუალება, მაგ., გამოცდა ცეცხლით (გახურებულ რკინის ნაჭერის ხელში მიცემით) ან მდუღარით (მდუღარე წყალში ხელის ჩაყოფით ჯვარის ან რაიმე რკინის ნაჭერის ამოსაღებად). გამოცდა ხდებოდა ლოცვის შემდეგ. დიდი საქმისთვის, როგორც მეფის ღალატი ან ორგულობა, დანიშნული იყო ცხენით შებმა. შემბმელთ თან ჩაატანდნენ სეკუნდანტებს, ეგრედ წოდებულ მემათრახეთ. შებმა ხდებოდა საჯაროდ და დამარცხებული მხარე რჩებოდა ღვთის სამართლით გამტყუნებულად. გამარჯვებულს მიეცემოდა გამტყუნებულის იარაღი და მემათრახესაც ცხენი.

თუ ცხენით შებმა ეკლესიის მეთაურს, მაგ., მღვდელთ-მთავარს, ხვდებოდა, მაშინ ეპისკოპოსის მაგივრად გამოდიოდა ერთ-ერთი მისი აზნაური.

თავადები. თავადთა საბატონოს განაგებდა გვარის უფროსი, თავი-ბატონი. გვარეულობის სხვა წევრთ ჰქონდათ მიცემული საუფლისწულოები. თავი-ბატონი იყო იმავე დროს საბატონოდან გამოსულ ჯარის შემომკრები და უფროსი. თავისს საბატონოში თავადს მიკუთვნებული ჰქონდა რამოდენადმე მოსამართლის ფუნქციები, მასვე ჰქონდა აგრეთვე უფლება ბაჟის აღებისა მის საბატონოში გამვლელ სავაჭრო ქარავნებზედ.

თავადებს შორის განირჩებოდნენ შეძლების და ძლიერების მიხედვით დიდებულნი ანუ წარჩინებულნი თავადნი, დიდ შემძლე გვარეულობათა თავნი. გაღარიბებასა ან გაყრისთანავე გვარს აკლდებოდა მნიშვნელობა. ქართლში, მაგალ., მე-XVII საუკ. დასასრულს გაყრის გამო დამცირდა ციციშვილი, რომლის თავი მანამდის დიდებულთა პირველ რიგში ირიცხებოდა. მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში როსტომ მეფის შემდეგ იქვე უკვე ძველი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჯავახიშვილის გვარეულობას, რომლის ძლიერების უკანასკნელ წარმომადგენლად რამოდენადმე შეიძლება მიღებულ იქმნას როსტომ მეფის დროინდელი მდივან-ბეგი როინ ჯავახიშვილი. იმერეთში მე-XVI—XVII საუკუნეში განსაკუთრებით მძლავრობდა ჩხეტიძის ანუ ჩხეიძის გვარეულობა, რომლის ცალკე შტო ერისთაობდა რაჭასაც. მას მიყობოდა ჩიჯავაძე, აბაშიძე და შემდეგ ლორთქიფანიძე, მიქელაძე და სხ.. ოდიშს ამავე საუკუნეებში მძლავრობდნენ ლიპარტიანი, ჯილაძე, ქორთოძე, ჯაიანი, ჩიჩუა,გურიაში კიდევ მაჭუტაძე, თავდგირიძე და შემდეგ ნაკაშიძე.

დიდებულ თავადების ძალას გვისურათებს შემდეგი ცნობები. მე-XV საუკ. მეორე ნახევარში ბარათაშვილის გვარეულობა ქართლში გაიყო 3 შტოდ: ბარათაშვილის, აბაშიშვილისა და ორბელიშვილისა. ორბელიშვილის გვარს მე-XVII—XVIII საუკუნეში პირველი ადგილთაგანი ეჭირა ქართლის თავადებს შორის, მე XVII საუკ. დასაწყისს, 1½ საუკუნის განმავლობაში გამოვლილ აოხრებათა გამო, ამ საგვარეულოს ჰყავდა საკუთრივ მბოლოდ 513 კომლი გლეხი გარდა აზნაურთა გლეხებისა. ერთი საუკუნის შემდეგ რჩება დაახლოებით იგივე რიცხვი: 1721 წ. საორბელიშვილო (საყაფლანიშვილო) შეიცავს 575 კომლს საკუთრივ გლეხებს, 310 აზნაურთა კუთვნილ გლეხებს და 85 კომლს აზნაურს, სულ 970 კომლს ბოკანოთა და აყრილთა გარდა. რამოდენიმე წლის შემდეგ ახალი აღწერით საყაფლანიშვილოში აღნიშნულია 93 კომლი აზნაური, 1118 კომლი გლეხი თავადებისა და აზნაურებისა, 263 კომლი ბოგანო, 698 კომლი კიდევ აყრილი.

საყაფლანიშვილოს შემოსავალი მე-XVIII საუკ. პირველ ნახევარში უდრიდა 400—500 თუმანს..

მე-XVIII საუკ. პირველ წლებში დასაწყისს საციციანო საბატონო, შეიცავდა, მაგალ., 859 კომლს და სხ.

ეკლესია. თავისი მდგომარეობით ეკლესია კიდევ უფრო დამოუკიდებელი იყო სახელმწიფოსაგან, ვიდრე დიდებული თავადები. ეკლესია სარგებლობდა შეუვალობის უფლებითაც თავადებთან შედარებით ბევრად უფრო მეტად. კათალიკოზებს და ეპისკოპოსებს ჰქონდათ თავისს მამულში სამართლის წარმოების უფლებაც.

კერძოდ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში ამ მხრივ ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზ-იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის დროს და მისი სახელით აფხაზეთის კათალიკოზის ევდემონ ჩხეტიძის თაოსნობით შედგენილს დიდს საკათალიკოზო იადგარს, რომელიც ერთის მხრივ ადასტურებდა საკათალიკოზო ყმების —აზნაურთა, მსახურთა და მოინალეთა—სამართლის წარმოების საქმეში შეუვალობას და ამასთანავე კათალიკოზისა და საზოგადოდ ბიქვინტის ყმების სისხლის საქმეს გარკვეულს ნორმაში აყენებდა.

ქართლის კათალიკოზი ბევრად უფრო შემძლე იყო აფხაზ-იმერეთის კათალიკოზზედ, ხოლო აფხაზეთის კათალიკოზს მე-XVII საუკ. დასაწყისს ჰყავდა 540 კომლი, ქუთათელ მთავარეპისკოპოსს მე-XVI საუკ. შუაში 540-ზე მეტი კომლი, ხოლო 1576 წ., მცხოვრებთა რიცხვის დაკლებისა გამო, 454 კომლი, მე-XVII საუკ. დასაწყისს ცაიშელს ჰყავდა 367 კომლი გლეხი და აზნაური, ხონელს კი მხოლოდ 59 კომლი.

მღვდელთ-მთავრების მდგომარეობის დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს მათი შემოსავლის რაოდენობა. ქუთათელს, მაგ., მარტო გლეხთა საბეგრო გარდასახადისაგან 1560-იან წლებში შემოსავალი ჰქონდა ფულად 2312 თეთრი ანუ დაახლოვებითის ანგარიშით, მაშინდელი კურსის მიხედვით, 330 მარჩილი ანუ კიდევ 20 თუმანი, ღვინო დაახლოვებით 8½ ათასი კოკა, ბლომად ღომი და გარდა ამისა განსაზღვრული რაოდენობა პურისა, ქერისა, მატყლისა, ერბოსი, მარილისა და სხ.. გარდა ამისა გლეხთა უშრავლესობას ედვა მეტნაკლებობით 12 თეთრის საკლავი (ღორი). შედარებით უფრო ღარიბს ხონის მთავარეპისკოპოსს მე-XVI საუკუნის დასასრულს საბეგრო გარდასახადებისაგან შემოსავალი ჰქონდა 429 თეთრი, ღვინო 840 კოკა და 2 ბუდი, ღომი 501 კოდი და 25 ურემი, 42 ურემი თივა, 98 საკლავი, 273 ქათამი და სხვა.

მღვდელთ-მთავრების რიცხვი შედარებით დიდი იყო. კახეთის სამეფოში 1640 წლის ახლოს მხოლოდ 60 მღვდელი იყო, მაგრამ 7 ეპისკოპოსი. შაჰ-აბაზ I-ის შემოსევებამდის კი კახეთში 300 ეკლესია ყოფილა. საკუთრივ იმერეთის სამეფოში 1514 წლიდან 5 საეპისკოპოსო კათედრა იყო. ოდიშის სამთავროში მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარში 7 საეპისკოპოსო კათედრა იყო.

ბევრი ეპისკოპოსი თავისი ძალით, სიმდიდრით და გავლენით უთანასწორდებოდა უდიდეს თავადებს და ზოგჯერ აღემატებოდა კიდეც მათ. დიდი გავლენა ჰქონდათ აგრეთვე მონასტრების წინამძღვრებს, რომელთა რიცხვი აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო. მარტო საკუთრივ იმერეთის სამეფოში 1660-იან წლებში 13 მონასტერი ითვლებოდა.

კათალიკოზს და ეპისკოპოსებს გამოჰყავდათ თავისს საბატონოდან ჯარი, რომელსაც თვითონ წინამძღოლობდნენ. ქართლის კათალიკოზს ჰყავდა საკუთარი სარდალიც. აფხაზეთის კათალიკოზის საკუთარ მოლაშქრეთა რიცხვი 1621 წ. უდრიდა 358 კაცს. ამავე წელს ცაიშელ ეპისკოპოსის მოლაშქრეთა რიცხვი იყო 159, ხონის მთავარეპისკოპოსისა 30 და ჯუმათელ ეპისკოპოსისა 53.

კახეთის სამეფოში თვით სადროშოები ეპისკოპოსების ხელში იყო. მეწინავე სადროშოს სარდლათ ითვლებოდა ბოდბელი, მემარცხენისა რუსთველი და მემარჯვენე ნეკრესელი.

ეკლესიის პრივილეგიურ მდგომარეობას აღიარებდა კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში გარეშე ძალაც. მაგ., ტყვეების მოკრეფის დროს სპარსეთის მთავრობა ანთავისუფლებდა ტყვის მიცემის ვალდებულობისაგან ეკლესიას, განსაკუთრებით საკათალიკოზო ტახტს. ერთს წერილში, მიწერილს კათალიკოზის მიერ არჩილ კახეთის მეფისადმი, მოთხრობილია ამ მხრივ ფრიად საგულისხმიერო ფაქტი. შაჰ-აბაზ I-ის ტფილისში მოსვლისას დედა-ქალაქში მოუკრეფიათ ტყვეები. მათში მოყოლია ერთი ობოლი, სვეტის-ცხოვლის ყმის შვილი, რომელიც უკვე ყულებში ჩაეყენებინათ. მაშინ შაჰთან მისულა იესე დეკანოზი, ერთი ხონჩა ბალი მიურთმევია და მოუხსენებია: მის ჟამში სვეტის-ცხოვლის ყმას ტყვე არ გამორთმევიაო, თქვენის მამისა და ბიძისაგან თარხანი არისო. ამაზე შაჰს უთქვამს, თუ მართლა საყდრის ყმას ტყვე არ გამორთმევია, არც მე გამოვართმევო და უკვე ყულად ჩარიცხული სვეტის-ცხოვლის ყმა გაუნთავისუფლებია.

აზნაურნი, მსახურნი და გლეხნი. თავადები წარმოადგენდნენ მღედელთ-მთავრებთან ერთად თავისუფალ პირთ საქართველოში, დანარჩენი მოსახლეობა კი, როგორც აზნაურნი, ისე მსახურნი და გლეხნი იმყოფებოდნენ უფლებრივის მხრივ თავისს ბატონისაგან დამოუკიდებელ მდგომარეობაში. აზნაური ეწეოდა თავისი ბატონის წინაშე მხოლოდ საპატიო სამსახურს. მსახურს და გლეხს ჰქონდა კიდევ თავისი საკუთრება, რომლითაც ის სარგებლობდა განუსაზღვრელად, მხოლოდ ბატონის წინაშე გარკვეულ ვალდებულების შესრულებით. ეს ვალდებულებანი სხვადასხვა გვარისა იყო, მაგრამ ჩვეულებრივ აზნაურის ვალდებულებას შეადგენდა ცხენით თანხლება თავისი ბატონისა და გარდა ამისა წელიწადში ერთხელ ან მეტჯერ კარგად გამასპინძლება, დასავლეთ საქართველოში „როგორც თავი ესახელებოდესო“.

აზნაურნი იყვნენ როგორც სამეფო (ტახტისა), ანუ სამთავრო (და-

საელ. საქართველოს სამთავროებში), ისე საეკლესიო. უკანასკნელნი ემორჩილებოდნენ კათალიკოზს, ეპისკოპოსებს და მონასტრების არქიმანდრიტებს.

მსახურს ედვა გარდა ბატონის გამასპინძლებისა კიდევ სხვადასხვა სამსახური და ბეგარაც განსაზღვრულ რაოდენობისა.

მოყალნე ანუ მებეგრე გლეხს დასაელეთ საქართველოში მე-XVI საუკუნეში ეძახდნენ მეგრული სახელწოდებით მოინალეს. შემდეგ დროებში კი ეს სახელი დარჩა ოდიშში, იმერეთში კი ეხედავთ ამავე კატეგორიის გლეხისთვის ტერმინს მესეფეს.

მოყალნე ანუ მებეგრე გლეხს, გარდა ბეგარისა და სხვადასხვა სამსახურისა, ხშირად ედვა კიდევ ქვეითად თანხლება ბატონისა და ტვირთვის ზიდვაც.

გააზატებულნი გლეხნი, შინაყმებთან ერთად, შეადგენდნენ გლეხთა მაღალ კატეგორიას, რომელსაც ეჭირი ადგილი აზნაურსა და მსახურს შორის.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში მსახურის სისხლი მოყალნე გლეხთა სისხლზე უფრო მაღლა იდგა, დასავ. საქართველოში ჯერ კიდევ მე-XVI საუკუნეში მოინალის სისხლს ჩამოუვარდებოდა. ასე, 1550-იან წლებში შედგენილ ბიკვინტის დიდ საკათალიკოზო იადგარის მიხედვით საკათალიკოზო მსახურის სისხლი ფასობდა 600 ათას თეთრად, ხოლო მოინალისა 700 ათასად. ეს გარემოება ცხადი მაჩვენებელია, რომ უკვე ამ დროს მსახურთ დაკარგული ჰქონდათ თავისი წინანდელი პრივილეგიური მდგომარეობა, როდესაც, როგორც ეს იყო მე-XIII საუკ. დასასრულს და მე-XIV საუკუნეში, მათსა და აზნაურთ შორის საქართველოში ჯერ კიდევ ფრიად ცოტა განსხვავება არსებობდა.

საზოგადოდ, მე-XVI საუკუნიდან საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების არევ-დარევამ, საერთო გაჭირვებამ, ამასთანავე გახშირებულმა ურთიერთ ხდომამ და ტყვედ ადამიანთა მოტაცებამ თანდათან გაუარესა გლეხთა უფლებრივი მდგომარეობა. მსახურთა, მებეგრე გლეხებთან შედარებით, პრივილეგიური მდგომარეობა შეირყა და მსახურიც უფლებრივად თანდათან უახლოვდება გლეხს. ამასთანავე XVII საუკუნეში და ამ დროიდან მსახურთა რიცხვი თანდათან კლებულობს: ნაწილი მათი თანდათან გადადის მებეგრე გლეხთა კატეგორიაში. მოყალნე ანუ მებეგრე გლეხის ვითარებაც თანდათან გაუარესდა.

წოდებათა შორის რიცხვეულ ურთიერთობის წარმოსადგენად ინტერესს მოკლებული არ არის შემდეგი ცნობები, რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოს. 1560-იან წლებში ქუთაისის სამღვდელოთ-მთავრო კადეთრის კუთვნილ ყმათა შორის ირიცხებოდა: აზნაური 4,3%, აზატი და შინა-ყმა, რომელიც თავისი უფლებრივის მდგომარეობით აზნაურს მისდევდა,—11%, მსახური 53,1%, მოინალე 31,6%. ხონის

მთავარეპისკოპოსის ყმებში 1600 წლის ახლოს აზნაური იყო 5%, და მსახური 41%. თუ როგორ თანდათან მე-XVI საუკუნის დასასრულს და მე-XVII საუკუნის დასაწყისს გლეხთა უფლებრივი მდგომარეობა, მსახურთა კატეგორიის შემცირებით და მოინალე გლეხთა გამრავლებით, გაუარესებას განიცდიდა, ამისი მაჩვენებელია ცაიშელი ეპისკოპოსის ყმების ვითარება 1621 წლის ახლოს. ცაიშელის კუთვნილ 367 კომლს შორის ამ დროს აზნაური იყო 5,2%, და მსახური მხოლოდ 28,9%.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ დაახლოებით მე-XVII საუკუნის დასასრულიდან დასავლეთ საქართველოში ჩნდება ახალი კატეგორია ეგრედ წოდებულ მოჯალაბე გლეხთა. მოჯალაბე შეადგენდა სრულს საკუთრებას ბატონისას და თავისი მდგომარეობით ის უფრო შეჰგავდა მონას. მართალია, მოჯალაბეთა რიცხვი დიდი არ იყო, მაგრამ მათი გაჩენა ცხადად ამტკიცებს, თუ როგორი გავლენა ჰქონდა ტყვეთა ყიდვის გაძლიერების ხანას გლეხთა უფლებრივ მხარეზედ.

სამხედრო წყობილება. სამხედრო თვალსაზრისით სამეფოები ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა გაყოფილი იყო თითო 4 სადროშოდ, რომელთაგან ერთი იყო თვითონ მეფისა, დანარჩენი კიდევ განსაკუთრებულ სარდლებისა. სარდლები ინიშნებოდნენ ქართლსა და იმერეთში განსაზღვრულ და წარჩინებულ გვარეულობათაგან. ხოლო კახეთში სადროშოები ეკუთვნოდათ, როგორც ნახსენები იყო, მღვდელთ-მთავრებს—ბოდბელს, რუსთველს და ნეკრესელს.

სარდალს მშვიდობიანობის დროსაც ჰქონდა თავისი შემოსავალი. იმერეთში, მაგალითად, ზემო-ქვეყნის სარდლის წერეთლის სარგო ბოლოს დროში იყო კოპლზე სამს წელიწადში ერთხელ თითო კოკა ღვინო.

ციხეები ებარა ციხისთავს. იმერეთში ციხისთავი ითვლებოდა ერთ უპირველეს თანამდებობის პირად.

ჯარი გამოდიოდა თითქმის სულ ცხენოსანი, ქვეითი იყო მცირედი ნაწილი. ცხენი ამიტომ ჰყავდა ყოველ ოჯახს, წარჩინებულებს ასობითაც. მრავალრიცხოვანი იყო მეფე-მთავართა ჯოგიც. ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს ჰყავდა, მაგ., 5 ათასი ცხენი. ჯარის მთავარ შემადგენლობას პირველად წარმოადგენდნენ აზნაურნი და მსახურნი. მხოლოდ შემდეგ თანდათანობით—განსაკუთრებით მე-XVII საუკუნის სიგრძეზე—ჯარში გასვლა სავალდებულო გახდა მოყმენე ანუ მებეგრე გლეხთათვისაც.

ჯარის იარაღი იყო მშვილდ-ისარი, ხმალი და შუბი. მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება თოფი და ზარბაზანიც და მე-XVII საუკუნეში უკვე შვილდის ადგილს თანდათან იჭერს თოფი.

ჯარის რიცხოვანობის და აგრეთვე შეიარაღების ვითარების წარმოსადგენად საინტერესოა 1589 წლის ცნობა კახეთის სამეფოს ჯარის აღწერის (ეგრედ წოდებულ ნადირობის) შესახებ. ამ წელს რუსეთის ელჩების წინ გამოყვანილ კახეთის ჯარის რიცხვი უდრიდა 10 ათას ცხენოსანს,

3 ათასს ქვეითა ჯარს და ცალკე 500 ცხენოსანისაგან შემდგარ რაზმს. ეს რაზმი თოფებით იყო შეიარაღებული, მაშინ როდესაც დანარჩენი ჯარის იარაღს მშვილდ-ისარი შეადგენდა.

ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის ჯარი უდრიდა 30 ათას კაცს, სულ ცხენოსანს.

სამხედრო ბეგარა, ეგრედ წოდებული ლაშქარ-ნადირობა (ლაშქრობა ომის დროს, ნადირობა მშვიდობიანობისას) იყო ერთი ისეთი ვალდებულობათაგანი, რომელზედაც ფრიად იშვიათად ვრცელდებოდა შეუვალობის უფლება. თვით საეკლესიო ყმებს, რომელნიც ხშირად იყვნენ განთავისუფლებულნი სხვადასხვა ვალდებულობისაგან სახელმწიფოს წინაშე, ლაშქარ-ნადირობაში მაინც უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

ჯარი გამოყავდათ შეწერით თავადებს, ეპისკოპოსებს, ხოლო სახასო ყმანი მეფის ან მთავრის მოხელეთ. როგორც წარჩინებულნი, ისე სხვანი ომში ჩვეულებრივ მიდიოდნენ საუკეთესო ტანისამოსით და მდიდრული ბარგით. ომი თავდებოდა ერთი შეტევით მოკლე ხანში, ყოველს შემთხვევაში არა უმეტეს რამოდენიმე საათისა.

განათლება, მწერლობა, ხელოვნება. ცხოვრების საერთო დაცემა, რასაკვირველია, დაეტყო ერის სულიერ კულტურასაც. განათლების ცენტრები, მონასტრები, ეხლაც განაგრძობდნენ თავისს საგანმანათლებლო მოღვაწეობას, მაგრამ შემოქმედებითი სამეცნიერო მუშაობა არ სჩანდა.

მე-XVII საუკუნეში განათლების უმთავრესს მოთხოვნილებას საქართველოში წარმოადგენდა: წიგნის და სხვადასხვა ენის ცოდნა, დამწერლობა (კალიგრაფია), ლექსთ(სიტყვის)-თარგმნელობა, მესტროლაბობა (ვარსკვლავთ-მეტყველება), მელექსობა.

სპარსეთსა და ოსმალეთან ურთიერთობის გახშირებისა გამო მოწინავე წრეებში თანდათან ვრცელდებოდა ოსმალური და სპარსული ენა. მე-XVI საუკუნეში საქართველოს მაღალ წრეებში საკმაოდ ფეხ მოკიდებული იყო თურქული ენა. ამ საუკუნის დასასრულს კახეთის სამეფო კარზედაც კი სხვა უცხო ენებთან შედარებით უფრო ემარჯვებოდათ თურქული. მე-XVII საუკუნეშიდაც თურქული საქართველოში საკმაოდ გავრცელებული იყო და ამ დროსაც რამოდენადმე ინტერნაციონალურ ენის როლს ასრულებდა. თურქული ენის ასეთი გავრცელების დროს ეკუთვნის რამოდენიმე მაგალითი ოსმალურ ენიდან სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა გადმოღებისა. დაუთ-ხანმა სტამბოლს ყოფნის დროს 1578 — 1580 წ. წ. გადმოთარგმნა ოსმალურიდან კარაბადინი. ოსმალურიდან ვერსიებიდან გადმოღებულ იქმნა სპარსელ მწერლის ფირდოუსის „შაჰნამეს“ (მეფეთა წიგნის) ზოგიერთი ნაწილები (მაგ., საამიანი ბარძიმ ვაჩნაძის მიერ მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარში).

მაგრამ ოსმალური ზედ-გავლენა ხანგრძლივი და ნაყოფიერი არ ყოფილა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (საათაბაგოში) ქართული

ეროვნული კულტურა მაჰმადიანობის ფეხის მოკიდებისთანავე ჰქრებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს მალე მოედო ანარქიის ცეცხლი და გარდა ამისა ოსმალთა მძლავრება, მათი მტრული, ამპარტავნული და ზე-მხედველე განწყობილება ქრისტიან ხალხებისადმი შეუძლებლად ხდიდა მათთან კულტურული კავშირის გაბმას.

სულ სხვა იყო ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოსი სპარსეთთან. ქართლ-კახეთში სპარსთა ბატონობის დამკვიდრების შემდეგ მოწინავე ქართველ წრეებმა ხელახლავ იწყეს სპარსული მწერლობის გაცნობა. სპარსული ენაც მაღალ წრეებში ამასთანავე ნელ-ნელა ვრცელდებოდა, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქართველნი მრავლად შედიოდნენ სპარსეთის სამსახურში და ყაენების კარზე თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ.

სპარსულ კულტურასთან ამ დაახლოებას მოჰყვა ქართული მწერლობის ახალი აღორძინება. თეიმურაზ I იყო პირველი დიდი პოეტი მე-XVII საუკ., ძლიერი ლირიკოსი და ამავე დროს სპარსული პოეზიის თაყვანისმცემელი, რომელმაც გადმოიღო სპარსულიდან რამოდენიმე ნაწარმოები („ვარდ-ბულბულიანი", „შამ-ფარვანიანი", „ზილიხანიანი", „ლეილ-მიჯნუნიანი").

ჯერ კიდევ მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარში და მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარშივე გადმოღებული იქმნა სპარსულიდან „შაჰნამეს" ზოგი ნაწილი და ამით შევსებულ იქმნა „მეფეთა წიგნის" მანამდის ქართულად არსებული ვერსიები.

ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში სპარსული წყაროები პირველად გამოყენებულ იქმნა ფარსადან გორგიჯანიძის მიერ (მე-XVII საუკ. დასასრულს), რომელმაც გადმოიღო ქართულად სპარსულ ისტორიკოსთა ცნობები თემურლენგისა, შაჰ-ისმაილის და შაჰ-თამაზის შემოსევათა შესახებ საქართველოში.

ამ აღორძინებას მოჰყვა ორიგინალურ შემოქმედების გაძლიერებაც მწერლობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია განსაკუთრებით არჩილ მეფე. მას ეკუთვნის, სხვათა შორის, „არჩილიანი", რომელიც წარმოადგენს თეიმურაზ I-ის ისტორიას. როგორც ორიგინალურ ნაწარმოებთა ავტორი. აღსანიშნავია კიდევ იოსებ ტფილელი, ავტორი „დიდ-მოურავიანისა", დათუნა ქვარიანი, დამწერი წმ. გიორგის წიგნისა ლექსად და სხვანი.

დიდი ხნის შეწყვეტის შემდეგ ქართულ ისტორიულ მწერლობამაც ამ დროს ფეხის აღგმა იწყო. ფარსადან გორგიჯანიძე წარმოადგენს ამ მხრივ მე-XVII საუკუნის საინტერესო მწერალს.

მხატვრობამ აღმოსავლეთ საქართველოში მე-XVII საუკ. სიგრძეზედ დიდი ნაბიჯი გარდასდგა წინ. აქაც სპარსული გავლენა ფლობს შემოქმედებას ან დიდად სპარბობს მასში.

დასავლეთ საქართველოში მხატვრობა ცდილობს რამოდენადმე ტრადიციულ გზაზე სვლას. ასეთია, მაგ., მე-XVI საუკუნის ფრესკები

გელათში, რომელიც წარმოადგენს ჩვენს საეკლესიო მხატვრობაში მიღებულ ბიზანტიურ რიგის გაგრძელებას. მე-XVI საუკუნის მხატვრობა წარმოდგენილია დასავლ. საქართველოს ზოგ სხვა მონასტერშიდაც, როგორც, მაგ., ხონს, ხოფის ერთი ეკვდერს, ტაბაკინს, და სხ.. ზოგს ამ მხატვრობას ეტყობოდა თვითმყოფობობის ნიადაგზე აღმოცენებულ შემოქმედების მეტი გავლენა ან და კიდევ, როგორც ტაბაკინისას, რამოდენადმე სპარსული რიგის გავლენაც. საინტერესოა აგრეთვე, როგორც ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი, იმერეთის მეფის მდიენის მამუკას მინიატიურები, 1646 წ. შესრულებული ხელნაწერ „ვეფხის-ტყაოსნისთვის".

ოქროთ-მკანდაკებელთა შორის მე-XVI საუკ. მესამე მეოთხედში ცნობილია იმერეთს მამნე. ოქროთი ქანდაკებას, ისე როგორც ფრესკის მხატვრობას თავისებური სიცხოველე ეტყობოდა ოდიშში ლევან II დადიანის დროს მისი დახმარების წყალობით.

VIII

ქართლ-კახეთი კულტურულ აღორძინების ეშაზე სპარსეთის დასუსტებისას.

ერეკლე—ნაზარალი-ხანის მეფობა. ერეკლე—ნაზარალი-ხანის მეფობას ქართლისთვის ფრიად ცუდი შედეგი ჰქონდა. პირადად ნაზარალი-ხანიც სუსტი ნებისყოფის პატრონი იყო, პოლიტიკური საქმეებიც ამასთანავე ჰას ნაკლებ აინტერესებდა და რადგანაც მასთან დაახლოვებულ დიდ-გვარიან ქართველთაგან, ფეოდალური მოწინავე ჯგუფის საბოლოოდ დამარცხებისა და დაქსაქსვის შემდეგ, ნიჭიერი და საქმიანი პიროვნებანი არ სჩანდნენ, ამიტომ მალე მთელი სამეფოს მართვა-გამგეობა ხელთ ჩაუვარდა ვეზირს ყიასას, ტომით თათარს. ყიასა იყო ბუნებით ჰკვიანი ადამიანი და ამასთანავე ფრთხილი და მოქნილი კარისკაცი. მალე მან მოახერხა ერეკლე—ნაზარალი-ხანის მთლად ხელში ჩაგდება. ყიასას გაავლენა ერეკლეზედ ისეთი ძლიერი იყო, რომ, ერთი თანამედროვის თქმისა არ იყოს, „იმის-უნებურად მეფე წყალსაც ვერ დალევდის"-ო. ყიასას დაახლოვებამ კიდევ უფრო დააშორა ერეკლე—ნაზარალი-ხანი ქართლში დარჩენილ მოწინავე ელემენტებს. ამის შემდეგ მეფეს იმის მეტი არაფელი დარჩენოდა, რომ კიდევ უფრო მეტის ინტენსიობით დამყარებოდა სპარსეთის მთავრობას და მისგან ეძებნა თავისი ძალა-უფლების განმტკიცება. ამით აიხსნება, რომ ერეკლე—ნაზარალი-ხანის მეფობის შემდეგს წლებშიაც ტფილისის ციხის მცველ თათართა მძლავრება კვლავინდებურად გრძელდებოდა. გავრცელდა ადამიანთ მოტაცება და მათი ტყვედ დაყიდვა. ტფილისის ციხის მცველთა მაგალითს მისდევდნენ გორსა და სურამს მდგარნი თათარ-

ნი. ტყვეთა ყიდვა შეერია ქართველთაც, რამაც დიდად გააუარესა ქვეყნის შინაური მდგომარეობა. ამ გვარს პირობებში და განსაკუთრებით პიროვნების უზრუნველყოფის გამო გასაკვირველი არ არის, რომ მცხოვრებთა რიცხვი ყიზილბაშების ჯარების სიახლოვეს კლებულობდა გასაოცარის სისწრაფით. ეს ითქმის განსაკუთრებით ტფილისსა და გორის შესახებ. ტფილისში მე-XVII საუკ. მე-60 წლებში ერთი ცნობის მიხედვით 70—80 ათასი მცხოვრები უნდა ყოფილიყო, ყოველს შემთხვევაში ის იყო საკმაოდ მრავალრიცხოვან მოსახლეობის მქონე ქალაქი. 1702 წ. კი ტფილისში ირიცხებოდა 2.500 კომლი 20 ათას სულად. გორში 1672 წ. იყო 500 კომლი, მე-XVIII საუკ. პირველ წლებისთვის ეს რიცხვი ფრიად დაკლებული და თითქმის განახევრებული იყო.

სპარსეთის დასუსტება. სპარსეთის ტახტზე ამ დროს იჯდა შაჰ-სულთან-უსეინი (1694 1722 წ.), სუსტი ნების ყოფის პიროვნება, რომელიც მთელს თავისს დროს ჰარამხანაში ატარებდა და სახელმწიფო საქმეებს ყურადღებას არ აქცევდა. სპარსეთი ამ დროს დაცემის გზაზედ იყო დამდგარი. ჯერ ერთი რომ მე-XVII საუკ. პირველ ნახევარში წარმოებულ ომებს საკმაოდ გამოეფიტა მისი ძალა და შემდეგ ამას თან დაერთო დესპოტიური ხასიათის და ყოვლად უვარგისი წესი მართველობისა. იმპერიის უმაღლესი მართვა-გამგეობა ხელში ჩაუვარდათ უმაღლეს სასულიერო პირთ და შაჰის ჰარამხანიდან გამოსულ საჭურისებს, რომელთა მოღვაწეობა, როგორც პირდაპირ ყაენისაგან მონურად დამოკიდებულ პირებისა, კიდევ უფრო აძლიერებდა გაბატონებულ მკაცრ დესპოტიურ რეჟიმს და ამასთანავე ხელს უწყობდა თვითნებობის და უკანონობის გახშირებას.

ავღანელები. სპარსეთის შინაგან ძალთა დასუსტება ნათლად გამოაშკარავდა, როდესაც მე-XVII საუკუნის მიწურულში იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე ამოძრავდნენ ავღანელები. ავღანისტანი თუმცა დასახლებული იყო ერანელების მოდგმის ტომებით, მაგრამ რადგანაც ისინი სუნიტები იყვნენ, ამიტომ სარწმუნოებრივი განსხვავება დიდად აშორებდა მათ შიიტ სპარსელებს. მიუხედავად მათი ხალხოსნურ და სარწმუნოებრივ ერთიანობისა, ავღანელ ტომებმა მაინც ვერ შესძლეს ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმის შექმნა. მათი მეთაურნი უფრო პირადი დამოუკიდებლობის განმტკიცებით ანდა თავისიან მეზობლებთან ანგარიშის გასწორებით იყვნენ გატაცებულნი, ვიდრე მკვიდრ სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების შექმნით. ასეთი იყო მდგომარეობა, ვიდრე დიდმა შაჰ-აბას I-მა არ დაიპყრა ყანდაარი და არ დაიმორჩილა ავღანელთა რამოდენიმე ტომი. ამ ტომებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ღილჯი და აბდალი, რომელთაგან უკანასკნელის მეთაურმა მე-XVII საუკუნეში თანდათან განამტკიცა თავისი უფლება. ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან ავღანელებში თანდათან იკიდებს ფეხს შიიტ სპარსელებისაგან დამოუკიდებლობის მოპოების აზრი, რაც

ინდოეთის მოგოლთა იმპერიის თანაგრძნობას პოულობდა. მოგოლთა მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ავღანელების სპარსეთის წინააღმდეგ ამხედრებით თვით მოახერხებდა მათზე თავისი გავლენის განმტკიცებას. მე-XVII საუკ. მიწურულში ავღანელების მეთაურად ითვლებოდა მირვეისი, სასტიკი და მკაცრი ხასიათის ადამიანი, მაგრამ იმავე დროს ნიჭიერი სარდალი და მხნე მეომარი.

მირვეისის წინამძღოლობით ავღანელები წამოიშალნენ. მალე მათ შექმნეს ფრიად სერიოზული საფრთხე სპარსეთისათვის. შაჰ-სულთან-უსეინი პირველად ყურადღებას არ აქცევდა აღმოსავლეთ საზღვარზე მომხდარ ამბებს, მაგრამ როდესაც რამოდენჯერმე გაგზავნილი სპარსელების ჯარი სასტიკად დამარცხდა და ავღანთა ამბოხებაც თანდათან იზრდებოდა, მაშინ ისპაანის მთავრობამ გარდასწყვიტა სერიოზულ ზომების მიღება. საჭირო იყო ისეთივე ენერგიულ და მხნე სარდლის დანიშვნა, როგორიც იყო მირვეისი, რომ მასთან გამკლავება შესაძლებელი ყოფილიყო. შაჰის არჩევანი შეჩერდა გიორგი მეფეზედ, რომელსაც წინადადება მისცეს ეკისრა ავღანთა წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარის სარდლობა. სამაგიეროდ მას ქართლის მიცემას დაპირდნენ. გიორგი ჯერ უარზე იყო, მაგრამ შემდეგ მასთან მყოფ ქართველთა იძულებით დასთანხმდა. მეფეს ამ თავითვე მისცეს ქირმანი, ხოლო თითონ უწინამძღვრეს სპარსელების ჯარს, რომელიც გაეშართა ყანდაარის გარემო ქვეყნებისა და ხორასანის მოსაბრებლად წამოშლილ ავღანელების წინააღმდეგ. მეფეს თან ახლდა ქართველების რაზმებიც. ბრძოლა ავღანელებთან გაგრძელდა. ამ დროს ქირმანის მართველად გიორგი მეფის მიერ გაგზავნილ ლევან 'ბატონიშვილს აგრეთვე დაემორჩილებინა ადგილობრივი აჯანყებულნი ტომები, რისთვისაც ყაენმა ლევანს უწყალობა ერანის მსაჯულთ-უხუცესობა, ხოლო ლევანის ძეს ქაიხოსროს ისპაანის ტარუღობა. ცოტა ხნის შემდეგ გიორგის წინადადება მისცეს მიეღო მთელი სპარსეთის სპასალარობის თანამდებობა ავღანელებთან ბრძოლის გასაგრძელებლად და ამასთანავე ქართლის მეფობაც. მეფე სპარსეთში სალაშქროდ დარჩენის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ქართველების დაჟინებით იძულებული გახდა ყაენის წინადადებაზე დათანხმებულიყო. გიორგი დარჩა სპარსეთს, ხოლო ქართლის გამგედ კი მისი თხოვნისამებრ დანიშნულ იქმნა ძმისწული მისი, ვახტანგ ლევანის ძე. ქართლის მეფეს ერეკლე—ნაზარალი-ხანს კი მიეცა კასეთი და ყულარაღასობა (1703 წ.).

ვახტანგ სჯულმდებელი ქართლის გამგე. ვახტანგ ბატონიშვილი ერეკლე—ნაზარალი-ხანის მძლავრობის დროს იძულებული იყო თავისი სკოლით, ჩერქესის ბატონის ასულით, და შვილებით თავი იმერეთს შეეფარებინა. იქიდან ის უკვე ეპირებოდა რუსეთს წასვლას, როდესაც 1701 წ. სპარსეთში მყოფ გიორგი მეფის მუამდგომლობით შაჰ-სულთან-უსეინმა უბრძანა ნაზარალი-ხანს ვახტანგი ქართლში გადმოეყვანა და მისთვის საუფლისწულო მიეცა. თუმცა თავისდა უნებურად,

მაგრამ ნაზარალი-ხანი იძულებული იყო ყაენის ეს ბრძანება შეესრულებინა და ვახტანგი დიდის პატივისცემით მიეღო. ქართლის გამგედ დანიშვნის შემდეგ ვახტანგი კვლავ მივიდა ტფილისს და შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას. ერეკლე—ნაზარალი-ხანი კი წავიდა სპარსეთს ყაენთან (მაისს 1703 წ.). ამავე წლის ივლისში მოვიდა ტფილისს სპარსეთიდან ლევან ბატონიშვილი, რომელიც თავისს შვილთან ვახტანგთან ერთად ცდილობდა სამეფოს საქმეების მოგვარებას. ცოტა ხნის შემდეგ გიორგი მეფის შუამდგომლობით სპარსეთიდან დაბრუნების ნება მიეცათ გიორგი ერისთავს, პაპუნა მუხრან-ბატონს და სხვა ქართველთ. თვით ლევანმა კი გაუგზავნა ძმას ავღანელებთან ბრძოლაში დასახმარებლად 2 ათასი რჩეული ქართველი მხედარი და 15 თვის ქართლში შყოფობის შემდეგ წავიდა ისევ სპარსეთს.

ქართლის გაშგე ვახტანგი ქვეყნის შინაგან ძალთა შემომტკიცების მხრივ შედარებით კარგს პირობებში იმყოფებოდა. ამისი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ საზოგადოდ გიორგი XI, ნაზარალი-ხანთან და სპარსელებთან ბრძოლის დროს, ფეოდალთა ჯგუფს ეყრდნობოდა და ეხლა, როდესაც მისი ოჯახის წევრი მოექცა სათავეში სამეფოს ფაქტიურ მართვა-გამგეობას, დიდ-შემძლე თავადებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, რასაკვირველია, ადვილი საქმე იყო. ვახტანგი ამასთანავე დიდის ტაქტით ეპყრობოდა ყველა იმ პირთ, რომელნიც სპარსთა პოლიტიკის მძლავრობის დროს გიორგი XI-ის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ლევანიც ქართლში მყოფობის დროს ერიდებოდა ისეთ აქტებს, რომელთაც შეეძლოთ ნაზარალი-ხანის დროს წინ წაწეულ ელემენტების ამბედრება ახალი ბატონების წინააღმდეგ. ასეთმა პოლიტიკამ დააშყარა შიგნით მშვიდობიანობა და შესაძლებლად გახადა სახელმწიფოებრივ შემოქმედებით მუშაობასა და კულტურულ აღორძინებაზე ფიქრი. საერთო განმაცხოველებელი ხაზი დაეტყო სამღვდელოებასაც, რომელიც უმაყოფილო იყო როგორც გიორგი XI-ის მომსრე კათალიკოზის ნიკოლოზისა, ისე აგრეთვე ნაზარალი-ხანის მიერ კათალიკოზად დაყენებულ ევდემოსისა. პირველს აბრალებდნენ მეტის-მეტ სოფლიერობას, მეორეს კი უმეცრებას და ეკლესიის მართველობისთვის ჯეროვან მომზადების უქონლობას. ამიტომ ეპისკოპოსნი და არქიმანდრიტნი შეიკრიბნენ და ვახტანგის ნებადართვით კათალიკოზად აირჩიეს რუსეთიდან ახლად ჩამოსული ძმა მისი დომენტი ბატონიშვილი (1705 წ.), რომელიც შემდეგ ბევრს ცდილობდა დაკნინებულ ეკლესიის საქმეების მოგვარებას და გაუმჯობესებას.

ვახტანგი ამასთანავე დიდის ენერგიით შეუდგა დადებითი აღმაშენებლობით მუშაობას. სოფლების გაშენებით და არხების გაყვანით ის ცდილობდა მეურნეობის აწევას და მოსახლეობის მომრავლებას. ამავე მიზნით მან მოაყვანინა თავიანთ საბინადრო ადგილებზე უმეტესი ნაწილი ნაზარალი-ხანის დროს კახეთში ქართლიდან გადასულ მცხოვრებლებისა.

რადგან ტყვის ყიდვა დიდად აზარალებდა მოსახლეობას, ამიტომ ის მთლად აღკრძალულ იქმნა. ტფილისში მყოფი სპარსელების მცველი ჯარი ვახტანგმა დაამდაბლა, შეამცირა აგრეთვე თათართა და მაჰმადიანთა მნიშვნელობა სამეფოში. მისივე განკარგულებით შესდგა კომისია, რომელსაც უნდა ეზრუნა მე-XIV საუკუნეზე შეწყვეტილ ქართულ მატიანეების შესადგენად. სამართლის საქმის განსამტკიცებლად დამზადებულ იქმნა ქართული სჯულის წიგნი. ამ წიგნს შეადგენდა 52 მუხლი მოსეს კანონებიდან ამოკრებილი, ბიზანტიის იმპერატორების ლეონ ბრძენის, კოსტანტინეს და სხვა კანონები, ეგრედ წოდებული სომხური კანონები, მეფის გიორგი ბრწყინვალის ძეგლის-დადება, ბექას, აღბუღას და ბაგრატ მეფის კანონები, სამართალი კათალიკოზისა და ბოლოს თვით ვახტანგის სამართალი, რომელიც შეიცავდა 267 მუხლს. ვახტანგი ამასთან შეუდგა სტამბის გამართვას ტფილისში, რისთვისაც მან ელახეთიდან გამოიწერა მესტამბე მიხეილ სტეფანოვიჩი. 1709 წ. ამ სტამბიდან გამოვიდა პირველი წიგნი—სახარება, რომელსაც მოყვა 6 სხვა სასულიერო წიგნების დაბეჭდვა. 1712 წ. კიდევ მხედრული ასოებით დაიბეჭდა „ვეფხის-ტყაოსანი“ თვით ბატონიშვილის მიერ შედგენილ ვრცელი განმარტებებით. ვახტანგმა შეადგინა კიდევ ვრცელი გარიგება სამეფო კარისა და სახელმწიფო შემოსავლისა, ეგრედ წოდებული დასტურლამალი და მოაწყო მეთოფეთა მუდმივი რაზმი ჯამაგირით. ამ მეთოფეთა რაზმს შეადგენდა სულ 120 კაცი—40 თავადი, სხვანი აზნაურნი და მცირედ მსახურნი. ყველანი გაყოფილნი იყვნენ სამ რიგად. ვახტანგის მრავალმხრივმა მოღვაწეობამ გაამაგრა ქართლის სახელმწიფოებრიობის ნიადაგი და ხელი შეუწყო ქვეყნის შინაურ მდგომარეობის გაუმჯობესებას გამოვლილ შინაგან შფოთისა და არევ-დარევის შემდეგ.

გიორგი მეფე და ქაიხოსრო- სპარსეთის სპასალარნი. გიორგი მეფე ერანის სპასალარად დანიშვნის შემდეგ 20 ათასი სპარსელების ჯარით და ქართველთა რაზმებით აწარმოებდა ბრძოლას ავღანელების წინააღმდეგ. მტრის რამოდენჯერმე დამარცხების შემდეგ გიორგიმ დიდის სისასტიკით დაიწყო აჯანყების ჩაქრობა. ავღანელებმა გაგზავნეს თხოვნა ისპაანში, აღუთქვამდნენ ყაენს მორჩილებას და სთხოვდნენ ლაშქრობის შეწყვეტას. თხოვნაზე პირველს ხელი ეწერა მირვეისს, რომელიც უანდაარის ქალანთაარის სახელწოდებას ატარებდა. ისპაანში ამ თხოვნას, რა საკვირველია, ყურადღება არ მიაქციეს და ლაშქრობა გაგრძელდა. ბოლოს გიორგი მეფემ შეიპყრო თვით მერვეისი და გაგზავნა ის სატახტო ქალაქში, თითონ კი დარჩა აღმოსავლეთ ქვეყნებში ავღანელების წვრილ-წვრილ აჯანყებათა სალიკვიდაციოთ. აქედან მან გაგზავნა ერუსალიმს 2 ათასი თუმანი გოლგოთის და ჯვარის მონასტრის სახსრად, გამოისყიდა აგრეთვე ოქონის ხატი და სხვა წმიდა ნაწილები და ჯვრები, რომელიც ოსმალთ სამცხიდან გაეტანათ და გაუგზავნა ქართლში ვახტანგ

ბატონიშვილს. მაჰმადიანი გარეგნობით, გიორგი XI შორეულს უცხოეთშიც არ ივიწყებდა თავისს მამა-პაპეულ სარწმუნოების ინტერესებს.

ისპაანში ჩაყვანილმა მირვეისმა მალე მოახერხა თავის სასარგებლოდ ინტრიგების ქსელის გაბმა, დაუახლოვდა ყაენის კარზე წარჩინებულ პირთ და ცოტა ხნის შემდეგ ნებართვა ითხოვა მექას ჩამოსალოცავად წასვლის შესახებ. მექაში მან გამოითხოვა სუნიტების უმაღლეს ულემისაგან დალოცვა შიიტების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის წარმოების საქმეში. ამ დალოცვის ქაღალდით ის დაბრუნდა ისპაანში.

ამ დროს სპარსეთში მიიდა რუსეთის მეფის პეტრე დიდის მიერ ელჩად დანიშნული შთამომავლობით სომეხი ისრაელ ორი, რომელსაც თან მოყვა დიდძალი ამალა, უმეტეს-ნაწილად სომეხ ვაჭართაგან შემდგარი. ისრაელ ორს რუსის მთავრობის წინაშე, განსაკუთრებით ოსმალეთში, სამსახური მიუძღოდა და ამიტომ პეტრე დიდმა გაწეულ შრომის ჯილდოდ მისივე თხოვნისამებრ დანიშნა ის რუსეთის ელჩად სპარსეთში. ამასთანავე როგორც ის, ისე მისი მხლებლები, უმეტესად საეჭროდ წამოსულნი, განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარ საბაჟო გარდასახადისაგან. სპარსეთში ჩასვლისას ისრაელ ორის ამალამ ხმების დაყრა დაიწყო თავიანთ მეთაურის ძველ სომხეთის მეფეთაგან ჩამომავლობის შესახებ და როდესაც ცოტა ხნის შემდეგ ისრაელი შეეცადა გიორგი მეფესა და წარჩინებულ ქართველებთან დაახლოვებას, მაშინ სპარსეთში დაიწყო მითქმა-მოთქმა რუსეთის პლანების გარშემო ვითომდა დამოუკიდებელ საქართველოს და სომხეთის სამეფოების აღდგენის შესახებ. ამ გარემოებით ისარგებლა მირვეისმა და დიდის მოხერხებით დასტყუა შაჰ-სულთანუსეინს თავის შესახებ უანდაარის უკან დაბრუნების ნებართვა ვითომდა გიორგი მეფის მძლავრების წინააღმდეგ სწორ-წონაობის დასაცავად. მირვეისი დაბრუნდა ავღანისტანს იმ აზრით, რომ ღალატით თბილისიდან მოეშორებინა სპარსეთის ნიჭიერი სპასალარი—გიორგი მეფე. მალე მირვეისმა მეგობრობის განმტკიცების ნიშნად შეაძლია მეფეს ცოლად თავისი ქალი და როდესაც გიორგი თავისი ამალით მივიდა მისს ბანაკში, ის აქ ვეროგულად მოკლულ იქმნა. მასთან ერთად დაიღუპა მისი ამალაც, რომელთა შორის უმეტესობა ქართველები იყვნენ (1709 წ.). მოკლულ მეფეს მირვეისმა აყარა სატი, ჯვარი და ფსალმუნი, რომელიც მას თან ჰქონდა და გაუგზავნა ყაენს საბუთად იმისა, თუ მეფე როგორ გატყუებდა თავისს მაჰმადიანობაშიო. ამის შემდეგ მირვეისი მოადგა უანდაარს, რომელიც სპასალარის სიკვდილის გაგებისთანავე დანებდა მას. უანდაარში მყოფი ჯარი ალექსანდრე ბატონიშვილის წინამძღოლობით წამოვიდა უკან, მაგრამ გზაში ყველა ამ ჯარში მყოფი ავღანელები გაიქცნენ და დარჩნენ მხოლოდ ქართველები, რომელთა რიცხვი ხუთასს არ აღემატებოდა. მაგ აედევნა უკან 15 ათასი კაცი მირვეისის ჯარისა. გასაოცარი სიმამაცით და გზა-გზა მედგარი ბრძოლით ქართველთ გაევლეს ასის ვერსის მანძილი და მიაღწიეს მ. ხილმენდს. ავღანელები ფე-და-ფე

მისდევდნენ მათ. მაშინ ქართველთ შეაცურეს ცხენები მდინარეში და უვნებლად გავიდნენ მეორე ნაპირს. წინა ნაპირს დარჩენილიყო კლდეზე მხოლოდ ერთი მეომარი ქართველი, რომელსაც ცხენი დაღუპოდა. ავღანელები მისცვივდნენ მას ტყვედ წასაყვანად, მაგრამ მან იშიშვლა ხმალი, გაჰკვეთა მთლად ჯაჭვნოსანი ავღანი, მოახტა მისს ცხენს და გავიდა მდინარის მეორე ნაპირს. ქართველნი შევიდნენ გირიშკის ციხეში და იქ გამაგრდნენ. მირვეისი ლამობდა ციხის შემორტყმას 13 ათასი კაცით, მაგრამ ქართველნი მიეგებნენ წინ, უეცრად თავს დაეხსნენ განთიადისას და სასტიკად დაამარცხეს ისინი. დახოცილ ავღანელთა თავებისაგან მათ ააგეს კოშკი, ხოლო ტყავები კი გაუგზავნეს ყაენს.

გიორგის სიკვდილის შემდეგ შაჰ-სულთან-უსეინმა სპარსეთის სპასალარად და იმავე დროს ქართლის მეფედ დანიშნა ლევანის-ძე ქაიხოსრო. თვით ლევან ბატონიშვილი კი ფრიად დაავადმყოფებული იყო და ამავე წელს მიიცვალა. ქაიხოსრო განაგრძობდა სპარსეთში აზვავებულ ავღანელებთან ბრძოლას, ხოლო ქართლის გამგედ კი დარჩა ისევ ვახტანგი, რომელმაც გაუგზავნა თავისს ძმას მის მოთხოვნილებისამებრ კიდევ 1500 ქართველი მხედარი. მირვეისი ამის შემდეგ კვლავ შემოერტყა ციხე გირიშკს, სადაც გამაგრებული იყო წინანდელი და ახლად მოსული ქართველების ჯარის ნაწილი. მეციხოვნენი ფრიად შეაწუხა სიმშილმა. ქაიხოსრომ გაგზავნა ქართველების გამოსასხნელად 5 ათასი სპარსელების ჯარი, რომელშიდაც ქართველებიც ერიენენ. ამ ჯარს მირვეისი დახვდა გზაზედ და მთლად ამოსწყვიტა. გადარჩა მხოლოდ ორი კაცი და ისიც ქართველი. გირიშკის მეციხოვნეთ მირვეისმა მძევლად გამოართვა სეხნია ციციშვილი, რომელმაც დასდო თავი თვისი თანამემამულეთათვის. ამის შემდეგ ავღანთა წინამძღოლი წაიყვანა ყანდაარს. მირვეისმა მოითხოვა ციციშვილის გამოსახსნელად დიდი თანხა, მაგრამ როდესაც ამისი მიცემა ყაენის დაუკითხავად ქაიხოსრომ ვერ შესძლო, მძევალს თავი გააგდებინეს. შემდეგ მირვეისმა ამოსწყვიტა 4 ათასი ავღანთა ერთ-ერთ ტომის აბდალთა მხედარი, რომელნიც ქაიხოსროს შესაწევნად მიდიოდნენ და საზოგადოთ განაცხოვლა სამხედრო მოქმედება. მაშინ ქაიხოსრომ შემოიკრიბა 25 ათასი სპარსელების ჯარი, რომელშიდაც იყვნენ მემარჯვენე ნაწილის უფროსად ძმა მისი იესე ბატონიშვილი, ხოლო მემარჯვენედ ალექსანდრე ბატონიშვილი. მალე ჯარს სურსათის ნაკლებობა დაეჩნდა, მუცლის სენმა კიდევ ბევრი მეომარი იმსხვერპლა. ამას თან დაერთო სულის დაცემა თვით ჯარში. ყიზილბაშნი და სპარსნი დიდის შიშით უყურებდნენ ავღანელებს. ქაიხოსრომ არჩია უკან დახევა, მაგრამ ავღანელები გამოედევნენ და ბრძოლათა მთელის რიგში თითქმის მთლად ამოსწყვიტეს სპარსელების ჯარი. 26 ოქტომბრის 1711 წლის ომში ავღანელებმა მოკლეს თვით სპასალარი და ქართლის მეფე ქაიხოსრო. მასთან ერთად დაიღუპა აგრეთვე ბევრი ქართველი.

იესეს დანიშვნა ქართლის მეფედ. ამის შემდეგ ყაენმა მისცა

ქართლი ვახტანგს, რომელმაც ნებართვა ითხოვა ყაენის კარზე წასვლის შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ მართლაც მოვიდა ყაენის მეჰმანდარი (მესტუმრე), რომლის თანხლებით ვახტანგი გაემართა ისპაანს. ქართლის გამგედ კი მან დასტოვა ძმა თვისი სვიმონი. ყაენმა ვახტანგი დიდის პატივისცემით მიიღო, მაგრამ მოსთხოვა მაჰმადიანობის მიღება. თუმცა ვახტანგმა ამაზედ უარი განაცხადა, მაგრამ ყაენს მაინც უნდოდა მისთვის მეფობის დამტკიცება, რომ ამის წინააღმდეგ სჯულის მოძღვარნი ომარნი არ გამხდარიყვნენ. ამავე დროს ვახტანგის წინააღმდეგ ამხედრდნენ ქსნისა და არაგვის ერისთავნი, რომელნიც, სხვათა შორის, უკმაყოფილო იყვნენ ვახტანგის მიერ დაქირავებულ მეთოფეთა მუდმივ რაზმის შედგენით და ამაში თავიანთ უფლებისათვის საფრთხეს ხედავდნენ. ქართლის გამგე სვიმონიც, რომელმაც გიორგი არაგვის ერისთავის და შეირთო ცოლად, აგრეთვე თაისი ძმის ვახტანგის წინააღმდეგი გახდა. ერისთავებმა სთხოვეს ყაენს ქართლის მეფობის დამტკიცება ვახტანგის ძმის იესე ბატონიშვილისათვის და რადგანაც იესე დიდი ხანია მაჰმადიანობაში გადასულიყო, ალი-ყული-ხანად იწოდებოდა და მაჰმადიანობისადმიც ამასთანავე ფრიად მიდრეკილი იყო, ამიტომ ბოლოს ქართლის მეფედ ის დაინიშნა (1714 წ.). იესე ვახტანგს მტრობდა და ამიტომ ეს უკანასკნელი იესეს მოთხოვნით მალე გაგზავნილ იქმნა ქირმანს, სადაც ვახტანგი თავისუფლად ცხოვრობდა და ლიტერატურულ შრომას ეწეოდა. აქ გადათარგმნა მან სპარსულიდან „ქილილა და მანა“.

იესე დაჯდა მეფედ ტფილისს. მისი უკიდურესი მიდრეკილება მაჰმადიანობისადმი უკმაყოფილებას იწვევდა სამღვდელოებაში და ქრისტიანობის წესზე მკვიდრად მდგარ გავლენიან წრეთა ნაწილში. მართალია, ქართლის ზოგი წარჩინებული პირი, როგორც მუხრან-ბატონი ერეკლე და სარდალი ლუარსაბ ორბელიშვილი მიემხრნენ მას, მაგრამ ბევრისთვის მაინც მეფედ ისევ ვახტანგი იყო სასურველი. ამით აიხსნება, რომ კათალიკოზმა და ეპისკოპოსებმა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იესე მეფედ დანიშნული არ იყო, ნება დართეს ვახტანგს მაჰმადიანობაში გადასვლისა, რადგან საერთო აზრის მიხედვით ვახტანგი მაჰმადიანიც კი უკეთ დაიცავდა ქრისტიანობისა და ხალხოსნობის ინტერესებს. ქართველნი ამიტომ მუდამ ურჩევდნენ ვახტანგს დაეთმო ამ საკითხში სპარსეთის მთავრობისათვის და სარწმუნოება გამოეცვალა. მაგრამ ვახტანგი ჯერჯერობით ამ საკითხში დაათმობაზედ უარს იყო. ისეთი კულტურულ მიდრეკილების პიროვნებისათვის და პატრიოტისათვის, როგორიც იყო ვახტანგი, მამა-პაპეულ და ეროვნულ სარწმუნოებაზე ხელის აღება ადვილი საქმე არ იყო.

ქართლის მოწინავე პირნი თავიდანვე ცდილობდნენ ვახტანგის დაბრუნებას სპარსეთიდან. რადგან ამ საქმის გაკეთებას სპარსეთის შაჰის კარზე დიდძალი ფულის დახარჯვა უნდოდა, ამიტომ ვახტანგის მომხრე თავადები ეძიებდნენ საჭირო ნივთიერ საშუალების მოსაპოებლად

სხვადასხვა გზას. საქმე იქამდის მივიდა, რომ ვახტანგის სამშობლოში დაბრუნების მსურველთა თაოსნობით ჯერ კიდევ 1713 წ. ევროპაში გაემგზავრა საბა-სულხან ორბელიშვილი, უკვე ბერად აღკვეცილი და კათოლიკობაშიდაც გადასული, რათა საფრანგეთის მთავრობისაგან ნივთიერი დახმარება გამოეთხოვა ვახტანგის სპარსეთიდან გასანთავისუფლებლად.

ცდა ევროპასთან ურთიერთობის გაბმისა. საბა-სულხან ყაფლანიშვილი-ორბელიშვილი, ავტორი ჩინებულად შედგენილ ქართულ ლექსიკონისა და სიბრძნე-სიცრუის წიგნისა, იყო ამ დროს უკვე მცხოვანი მოღვაწე და თავისი განათლებით ერთი უპირველესი ქართველთაგანი. საქართველოში ამ დროს არსებულ კათოლიკე მისიონის მოღვაწეობამ იქონია ფრიად დიდი გავლენა მის სულიერ სარწმუნოებრივ განცდებზე, რასაც მოყვა მისი კათოლიკობაში გადასვლა. ის სპორადიული ხასიათის მუშაობა, რომელიც სწარმოებდა საქართველოში დასავ. ევროპიდან მოსულ კათოლიკე სამღვდელოების წარმომადგენლების მიერ, მე-XVII საუკუნეში შეიცვალა უკვე საკმაოდ მუდმივ მოღვაწეობად. ამ ფაქტს განსაკუთრებით თვალსაჩინო მნიშვნელობა საქართველოს კულტურულ ვითარებისთვის ჰქონდა მე-XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ვახტანგის გამგებლობის ქვეშ დაწყებული კულტურულ ძალთა აღორძინება ეძიებდა ახალს გზებს თავისი მომავალ განვითარების უზრუნველსაყოფად. კათოლიკეთა მისიონი და კათოლიციზმი ამ დროს უჩვენებდა ქართველ მოწინავე პირთ ამ განვითარების უზრუნველსაყოფად ახალს გზას დასავლეთ ევროპის კულტურისა და განათლებისაკენ. მაგრამ გეოგრაფიული სიშორე და ამავე დროს ევროპის სახელმწიფოებისთვის წინა-აზიასა და კერძოდ საქართველოში ამ დროს რაიმე რეალურ ინტერესების უქონლობა შეუძლებლად ხდიდა ჯერჯერობით უშუალო კულტურულ კავშირის გაბმას ტფილისიდან დასავლეთ ევროპის ცენტრებთან და ამიტომაც ქართველ მოწინავე პირთა მიდრეკილება ევროპის კულტურისაკენ ვერ პოულობდა ამ დროს შესაფერ პირობებს თავისი განსავითარებლად და ვერც შესაფერ გამოძახილს ადგილობრივ, საქართველოშივე.

საბა-სულხან ორბელიშვილი დასავლეთ ევროპაში მოგზაურობის დროს წარუძღვა, სხვათა შორის, რომის პაპას და შემდეგ პარიზში. საფრანგეთის მეფეს ლიუდოვიკ XIV-ს. ორივე ადგილს ის თხოულობდა კარგ და დახელოვნებულ მისიონერების საქართველოში გამოგზავნას. მისიონერები იმავე დროს, ნაგულისხმევი იყო, ექიმობასაც უნდა ყოფილიყვნენ გაცნობილი. კერძოდ საფრანგეთის მთავრობისაგან საბა-სულხანი თხოულობდა კიდევ 300 ათას ეკუს ანუ მაშინდელი ანგარიშით 120 ათას თუმნის გადადებას, რათა ამ ფულის დახარჯვით, ქრთამად თუ საჩუქრებად, სპარსეთის შაჰის კარზე საფრანგეთის მთავრობას შესაძლებლად გაეხადა ვახტანგის ისევ ქართლის გამგედ დანიშვნა. ფულით დახმარებაზე საფრანგეთის მთავრობამ უარი განაცხადა, ასე რომ პატივისცემით და კეთილად,

როგორც საფრანგეთის მთავრობისა, ისე განსაკუთრებით კათოლიკე სამღვდელოების მიერ მიღებული საბა-სულხანი იძულებული იყო ხელი-ეარიელი დაბრუნებულიყო (1715 წ.), მაგრამ მას წამოჰყვა თან 12 კათოლიკე მღვდელი, რომელთაგან უკვე ქართლში მყოფ 6 მღვდელთან ერთად შესდგა საქართველოს შუაგულში საკმაოდ ძლიერი ცენტრი დასავლეთ ევროპის კულტურის და კათოლიციზმის პროპაგანდისა.

ვახტანგის მდგომარეობა ამ გვარად ვერ შეიცვალა და ქართლში ისევ მისი ძმა იესე, სპარსეთისადმი ძლიერ მიდრეკილი, ბატონობდა. მაგრამ მალე ისპაანშიც იესეთი უკმაყოფილო გახდნენ, რადგან მას აღეთქვა მეფობის მიცემის წილ ვახტანგის ცოლშვილის გაგზავნა სპარსეთში და აგრეთვე 500 კომლი ქართველის მიცემა ფარაბადს დასასახლებლად, მაგრამ ვერც ერთი ამ პირობის შესრულება ვერ შესძლო.

ვახტანგის ქართლის მეფედ დამტკიცება. მაშინ, მასთან მყოფ ქართველების დაჟინებით, 1716 წ. ვახტანგმა დიდი ყოყმანის შემდეგ მიიღო მაჰმადიანობა, რის შემდეგ მას მისცეს ქართლის სამეფო და ერანის სპასალარობა, ხოლო მისს შვილს ბაქარს ქართლის გამგებლობა. ვახტანგმა ამასთანავე მოითხოვა თავისი ძმის იესეს შეპყრობა. ყაენის მიერ გამოგზავნილმა მურდარმა შეიპყრო ამასობაში კახეთს შეხიზნული იესე და მიგვარა ბაქარს, რომელმაც დააპატიმრა ის ტფილისის სასახლეში. იესეს მომხრენი მკაცრად დასაჯეს. ერეკლე მუხრან-ბატონს ამოხადეს თვალები, ხოლო სამუხრანო მისცეს ამ დროს უკვე გარდაცვალებულის პაპუნა მუხრან-ბატონის შვილს ლევანს, სარდალი ლუარსაბ ორბელიშვილი შეიპყრეს, პაპუნა დიასამიძე ჩამოაღრჩევეს და ზოგი სხვა განდევნეს სამეფოდან. სპარსეთის სპასალარად დანიშნული ვახტანგი ეპირებოდა ხვარასანს წასვლას ავღანელების წინააღმდეგ სალაშქროდ და ამიტომ მან სთხოვა ყაენს, ქართლის მეფედ მისი შვილი ბაქარი დაენიშნა. ყაენმა თანხმობა განაცხადა მხოლოდ მაჰმადიანობაში გადასვლის პირობით. კოჯორში ბაქარი მოაქციეს მაჰმადიანობაზე, მისცეს შაჰ-ნაზარ-ხანის სახელი, რის შემდეგ ის შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას, როგორც ქართლის მეფე (1717 წ.).

ბაქარმა ვერ გაართო თავი ქართლის მართვა-გამგეობის რთულ საქ-ეებს. გამეფებიდან ცოტა ხნის შემდეგ მან ჩამოართვა სახლთუხუცესობა ქსნის ერისთავს დათუნას და მისცა ედიშერ ციციშვილს. მაშინ გულნაწყენი ერისთავი გადუდგა მეფეს, რომელმაც მის დასამორჩილებლად გაგზავნა ძმა თვისი ვახუშტი ბატონიშვილი, შემდეგში ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი. ომი აუცილებელი იყო, მაგრამ ამ დროს მოკვდა დათუნა ერისთავი, ხოლო შვილი მისი შანშე კი წავიდა ყაენთან მფარველობის სათხოვნელად. ვახტანგის შუამდგომლობით შანშეს არა თუ არ მოუსმინეს, არამედ დაიჭირეს და ისე გამოუგზავნეს უკან ბაქარს, რომელმაც პატიმარ ჰყო ის ტფილისს.

ასეთს გართულებულ შინაურ მდგომარეობას ამ დროს კიდევ მიე-

მატა. გასშირებული ლეკთა თარეშები, რომელნიც განსაკუთრებით საშიში შეიქმნენ, როდესაც კახეთი იძულებული გახდა მორიგებოდა ლეკთა ბელადებს მათთვის ქართლისკენ გზის დანებების პირობით.

კახეთის მეფე დავით—იმანყული-ხანი. 1703 წ. კახეთი შაჰსულთან-ჰუსეინის მიერ ებოძა მანამდის ქართლის მეფედ მყოფ ერეკლე – ნაზარალი-ხანს, რომელიც ბრძანების მიღებისთანავე წავიდა ყაენის კარს. კახეთის მიღება შეადგენდა ერეკლეს დიდი ხნის ნატვრას, რადგან ამ სამეფოს ის სთვლიდა თავისი სამკვიდროდ. მაგრამ რადგან ყაენი მას არ უშვებდა თავისი კარიდან, ამიტომ მან შუამდგომლობა აღძრა კახეთი მისი შვილისთვის დავითისთვის ანუ მაჰმადიანობაში იმანყული-ხანისთვის დამტკიცებინათ. ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და კახეთი მიეცა იმანყული-ხანს, რომელიც მოვიდა ყარაღაჯს და შეუდგა ბატონობას (1703 წ.).

კახეთის ახალი მეფე იყო ფრიად ერთგული მაჰმადიანი და თუმცა სპარსულთან ერთად ჩინებულად იცოდა წერით და კითხვით ქართული ენაც, მაგრამ სრულიად დაშორებული იყო ქართულ ზნე-ჩვეულებას. ჩამოსვლისას მან მოინდომა ადგილობრივ წესთა შესწავლა, მოაღობინა ასპარეზი და შიგნით ვარჯიშობდა სხვების დაუნახავად ქართული ასპარეზობის მიხედვით. ცოლიც მისი ფარიჯან-ბეგუმ დაღისტნის შამხალის გვარისაგან, ასული ერევნის ბეგლარბეგისა, მამა-პაპეულად ისპაანს აღზრდილი იყო.

ელისენის დაპყრობა ლეკების მიერ. კახეთი ამ დროს ძალიან დიდს გაჭირვებას განიცდიდა ლეკთა თარეშებისაგან, რომელთათვის საიმედო ბაზას წარმოადგენდა ჭარი. იმანყული-ხანმა ჯერ ხარკი დაადო ჭარელებს, მაგრამ შემდეგ მათი საბოლოოდ დასამორჩილებლად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. კახელებმა პირველად გაიმარჯვეს კიდეც, მოსწვეს და მოაოხრეს ჭარის სოფლები, მაგრამ ლაშქრობის ბედი მაინც უკუღმა ჯადატრიალდა. ერთს ადგილას 60 კაცით თვისი ჯარისაგან განმარტოებით ძმამავალს იმანყული-ხანს დაეცნენ ჩასაფრებულნი ჭარელნი და მეფესაც ახყვედ შეიპყრობდნენ, რომ ამ დროს თუშთა რაზმი არ გაჩენილიყო, რომელმაც მეფე გამოსტაცა მტრის რაზმებს. ამ გაუფრთხილებლობამ ცრია მოლაშქრე კახთა ჯარი, რომელიც დაიფანტა და ნაწილ-ნაწილ თავის საშველად გაიქცა. ლეკნი გამოედევნენ უკან და მრავალნი დახოცეს (1706 წ.).

ამ დამარცხების შემდეგ ლეკების თარეშები კახეთზე უფრო გახშირდა. ლეკებმა ამასთანავე დაიპყრეს ელისენის მხარე და მოსწყვიტეს ეს კახეთს.

მალე ლეკნი იმდენად საშიში შეიქმნენ, რომ იმანყული-ხანისთვის საჭირო გახდა რეზიდენციის ყარაღაჯიდან ჩრდილოეთით გადატანა. მან გაიშენა სასახლე თელავს, სადაც იმყოფებოდა ზამთრობით, ხოლო ზაფხულობით კი ცხოვრობდა მაღაროს. ის იყო ფრიად ერთგული შაჰისა და

ყოველ წელს უკზავნიდა მას თავისს წინამოადგილეებზე უმეტესად ტყვე ქალ-ვაჟთ, რომელთაც კრებდა წარჩინებულ გვარეულობათაგან. თუმცა იმანყული-ხანი ფრიად მტკიცედ ადგა მაჰმადიანობას, მაგრამ ქრისტიან სამღვდელოებასაც ხელს უწყობდა და საზოგადოდ ეკლესიის ინტერესებს ყურადღებით ეპყრობოდა.

თეიმურაზი—კახეთის გამგე. 1709 წ. სპარსეთში გარდაიცვალა იმანყული-ხანის მამა ერეკლე—ნაზარალი-ხანი და კახ-ბატონიც მოემზადა ყაენის კარს წასასვლელად, რათა იქ შაჰისთვის პირადად მოხსენება გაეკეთებინა კახეთის საქმეების შესახებ. კახეთის მართველად მან დასტოვა თავისი ძმა თეიმურაზი, რომელსაც ქართლის მართველ წრეებთან მტკიცე კავშირის შესაკვრელად უთხოვა ცოლად ქართლის გამგის ვახტანგის ასული თამარი და თითონ წავიდა სპარსეთს. თეიმურაზი კათალიკოზ-ეპისკოპოსთა ნებადართვით გაეყარა თავისს ცოლს, ბაინდურ ერისთავის ქალს და შეირთო თამარი, რომელზედაც დაიწერა ჯვარი 1712 წ..

კახეთის საზრუნავს ახლაც შეადგენდა კვლავინდებურად ლეკთა თარეშები. ქვეყნის აოხრებას ხშირად ხელს უწყობდა პირად ანგარიშებით ზოგიერთი კახეთის თავადი. ასე, მაგ., ქისიყის მოურავმა რევაზმა დაასხა ლეკის ჯარი ელისენთ მოურავს მერაბს, რომელმაც ძლივს მოასწრო სახლის ერდოდან გაქცევა. შემდეგ მერაბმაც ამავე გზით გარდაუხადა სამაგიერო ქისიყის მოურავს.

თეიმურაზი განაგებდა კახეთს 5 წელიწადს. მან დააწინაურა ნიკოლოზ ალავერდელი, რომელიც ფაქტიურად განაგებდა საქვეყნო საქმეებს, რაც მას, როგორც სასულიერო პირს, ასეთ არევ-დარევის და გარეშე მტრის მძლავრების დროს არ ეხერხებოდა. ამიტომაც კახეთის საქმეები ამ დროს საკმაოდ არეული იყო. ლეკნი კვლავინდებურად ანიავებდნენ მთელს მხარეს, ასე რომ როდესაც 1715 წ. იმანყული-ხანი დაბრუნდა კახეთს, მას დახვდა ქვეყანა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში.

ლეკთა თარეშების სიძლიერე. იმანყული-ხანმა ჩამოსვლისთანავე მიაქცია ყურადღება ლეკთა თარეშების ალაგმვას. ამ მიზნით მან დააწინაურა მის მამასთან ქართლში ნამსახური ყიასა ვეზირი, მისცა მას კახეთის თაობა და შასვე ჩააბარა აგრეთვე ქისიყის მოურაობაც. ყიასა ენერგიულად შეუდგა მოქმედებას და მართლაც მოკლე ხანში მან რამოდენადმე შესძლო მდგომარეობის გაუმჯობესება, თუმცა აზვავებულ ლეკების მთლად ალაგმვაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. თარეშების სიძლიერის დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი. იმანყული-ხანმა შაჰის ბრძანებით მიათხოვა თავისი და ქართლის მეფეს იესეს, რომელმაც გამოგზავნა მენიშნედ ეშიკაღასბაში (მანდატურთ-უხუცესი) ზურაბი, მასთან ერთად ზაზა ავალიშვილი და რევაზ ყაფლანიშვილი. ამ დროს ჰარელნი გამოსულიყვნენ კახეთის მოსარბევად. შეკრებილნი კახეთის თავადები თავიანთი კაცებით საჩქაროდ გაემართნენ ლეკების წინააღმდეგ. მათ მიყვნენ მენიშნენიც. პირველ შეტაკებაში ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ შემდეგ

სასტიკად დამარცხდნენ. ამ ბრძოლაში დაიღუპა, სხვათა შორის 25 კახეთის თავადიშვილი და ამათთან ერთად რევაზ ყაფლანიშვილი და ზაზა ავალიშვილი.

იმანყული-ხანმა ლეკებთან საბრძოლველად მოიწვია თავისი ახალი სიძე იესეც, მაგრამ არა გამოვიდა რა. ერთს შეტაკებაში გამარჯვება ქართველთ დარჩათ, მაგრამ შემდეგ ლეკებმა გაიმარჯვეს და დიდი ნადავლი აიღეს. ცოტა ხნის შემდეგ ლეკები მიადგნენ შილდას და ყვარელის ციხეს, აიღეს ესენი, გასწყვიტეს მრავალნი და ათასობით წაასხეს ტყვე მცხოვრებთაგან.

ასეთმა თარეშებმა კახეთი სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა. მაშინ ნიკოლოზ ალავერდელის და ზოგ სხვა წარჩინებულთა წინადადებით მოხდა მორიგება ლეკებთან იმ პირობით, რომ კახელებს ლეკთა თარეშებისთვის წინამძღვრობა უნდა გაეწიათ გზის ჩვენებით და თავისუფლად გაშვების პირობით ქართლისკენ, ყაზახ-შამშადილოზე, ყარაბაღსა და შირვანზედ. ამის შემდეგ იწყება ლეკთა შესევა მთელს ამ ტერიტორიაზედ.

მშვიდობიანი ცხოვრება ამ თარეშების გამო ძალიან გაძნელდა. კერძოდ ქართლში ლეკთა თარეშები თანდათან იმდენად განცხოველდა, რომ ხანდახან ის ღებულობდა საკმაოდ დიდი ლაშქრობის ხასიათს. 1717 წ., მაგალითად, სომხითს შეესია ლეკის 8 ათასი კაცი, ააოხრა ბოლნისი და და ქციის-ჴევი. ამ ჯარს მიუხტა ბაქარ მეფის ბიძა სვიმონ ბატონიშვილი, ყოფილი გამგე ქართლისა, სამასი კაცით. პირველ შესევაზე მას გაემარჯვა, მაგრამ შემდეგ სასტიკად დამარცხდა. ლეკებმა გაიარეს ყარაიას ველი, სადაც მათ ძალიან დიდი ზარალი ნახეს უწყლობისა და სიცხისა გამო, და წავიდნენ.

ლეკები მოედვნენ ქართლის ყველა მხარეებს და გუნდ-გუნდათ აოხრებდნენ ქვეყანას. იტაცებდნენ მშვიდობიან მცხოვრებთ და შემდეგ ყიდდენ მათ. ამ თარეშების წყალობით ქართლში ცხოვრება მეტის მეტად გაჭირდა. ფრიად ცუდს მდგომარეობაში იყო აგრეთვე შირვანის სახანო და ყარაბაღიც. ლეკთა თარეშები უკვე ფრიად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა სპარსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებისათვის ამ ქვეყნებში და ამიტომ ბოლოს სპარსეთის მთავრობამ მიიქცია ამ გარემოებას ყურადღება, გაანთავისუფლა ვახტანგი სპასალარობის თანამდებობიდან და გამოგზავნა ტფილისს ლეკებთან ბრძოლის მოსაწყობად (1719 წ.).

ვახტანგი მოვიდა ტფილისს, სადაც მას დიდის ამბით შეხვდნენ. სასახლეში მას წარჩინებულთ, თავადებმა და აზნაურთ და კათალიკოზ-ეპისკოპოსებმა გადააყარეს თავს ოქრო და ვერცხლი და მიულოცეს გამეფება.

ვახტანგმა ტფილისში მოსვლისთანავე ყურადღება მიაპყრო ყველა იმათ, რომელთაც იესეს ბატონობისას და მის ქართლში არმყოფობის დროს მისდამი ორგულობა გამოიჩინეს. სომხითის მელიქი თოფით დახვრიტეს, ხოლო ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ჯა-

მასპი ხერხეულიძე, რევაზისშვილი პაპუნა, რომელნიც კათალიკოზმა იხსნა სიკვდილისაგან, დაყიდეს ოსებში თხებზედ. ამის შემდეგ მეფე შეუდგა ლეკთა წინააღმდეგ მზადებას.

ვახტანგ მეფე ლეკების წინააღმდეგ. ლეკთა თარეშები ამ დროს მოდებული იყვნენ კახეთს, განჯას, ბარდას და შირვანს და აოხრებდნენ ქვეყანას. ვახტანგ მეფემ მოიწვია თავისთან მუხრანს კახ-ბატონი იმანყული-ხანი, სადაც იმათ იქონიეს თათბირი ლეკების წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ. გაზაფხულს 1720 წ. ვახტანგ მეფემ გაგზავნა კახეთს საბარათიანოს ჯარით სარდალი ერასტი ყაფლანიშვილი, რომელმაც დაყო იქ სამი თვე, მაგრამ ამ ლაშქრობას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, რადგან კახეთის თავადებს ეშინოდათ ლეკებთან შებრძოლებით მათი საბოლოოდ გადამტერებისა და ამიტომ აშკარა გამოსვლას ლეკების წინააღმდეგ ერიდებოდნენ. ვახტანგი თვით ემზადებოდა ფართო სალაშქროდ ლეკებზედ, მაგრამ ამ დროს განდგა შანშე ქსნის ერისთავი. მეფემ მსწრაფლ შეკრიბა ჯარი, მოიწვია იმერეთიდან შოშიტა რაჭის ერისთავი, სვიმონ და ლევან აბაშიძენი და მივიდა ჭურთას, სადაც გამაგრებულიყო შანშე. უღონო ქმნილი შანშე გამოეცხადა ხმალ-კისერკიდებული მეფის ძეს ბაქარს, რომელმაც ერისთავი წარუდგინა მეფეს. ცოტა ხნის შემდეგ ერისთავმა მაინც მოახერხა გაქცევა და გამაგრდა ისევ ჭურთას.

ამ დროს ყაენს ლეკებთან ბრძოლაში დასახმარებლად გამოეგზავნა კახეთს შირვანის ხანი. მაგრამ გზაში შაქს მას დაეცნენ ლეკები და მოკლეს. ვახტანგი მაშინ წამოვიდა დიდის ჯარით და კახეთის ეპისკოპოსთა და თავადების თხოვნით გადავიდა კახეთს. ლეკები მოდებული იყვნენ მთელს კახეთზე და უჯარმამდის მოსულიყვნენ. მაგრამ კახთ ეს გარემოება დაუმალეს ვახტანგს, რადგან მათ ეშინოდათ, რომ ლეკების ამ მარბიელ ჯარის დამარცხების შემდეგ მეფე ისევ ქართლში არ დაბრუნებულიყო. მათი სურვილი კი იყო ჰარს გალაშქრება თარეშების ბუდის ძირიანად აღმოსაფხვრელად. მაგრამ ამ დროს ყაენიდან ბრძანება მოვიდა ლეკების წინააღმდეგ ლაშქრობის შეწერების შესახებ და ვახტანგი უკან დაბრუნდა. მაშინ ჰარელნი და საზოვადოდ ლეკნი უფრო გათამამდნენ და იწყეს ქვეყნის რბევა. კახნი გაიხიზნენ ციხე-სიმაგრეებში თელავს, ალავერდს, ლალის-ყურს, შილდას, ყვარელს, გავაზს, ვეჯინს. საგარეჯოს, ხაშმს და სხვაგან და შეძლებისა დაგვარად იგერიებდნენ გარეშემოხვეულ მტერს. ამასობაში მოკვდა მეფე დავით—იმანყული-ხანი კახთა. ის წაასვენეს დასასაფლავებლად სპარსეთს, ყუმს, სადაც იმარხებოდნენ მაჰმადიანი ქართველნი მეფენი (1722 წ.). კახეთის ბატონად კი მის მაგივრად დაჯდა ძმა მისი მაჰმად-ყული-ხანი (კოსტანტინე).

ისპაანის აღება ავღანელების მიერ. ვახტანგის მიერ ლეკებზე ლაშქრობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების მიღების მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ამ დროს თვით ყაენი, დინასტია და სპარსეთის სატახტო

ქალაქი ისპაანი აღანელებისაგან უდიდეს განსაცდელში იმყოფებოდნენ და ყაენიც ქართლიდან შემწეობას ითხოვდა. აღანთა ბატონი მირვეისი გარდაცვლილიყო 1715 წ. და მისი ადგილი დაეჭირა მისს ძმიშო და სუსტი ხასიათის ბიძას აბდულას. 1717 წ. მირვეისის შვილი, ენერგიული და მტკიცე ნებისყოფის მქონე მაჰმუდი აუჯანყდა მას. მაჰმუდმა შეიპყრო თავისი ბიძა, საკუთარი ხელით ყელი გამოჰკრა მას და შემდეგ გამოაცხადა თავისი თავი ყანდაარისა და აღანისტანის ემირად. სპარსეთი ამ დროს ძალიან ცუდს მდგომარეობაში იყო. ჯერ კიდევ მირვეისის მიერ გაღვიძებულმა შფოთმა სუნიტებსა და შიიტებს შორის მთლად შეარყია სპარსეთის იმპერიის საფუძველნი. ეს შფოთი მოედო მთელს სპარსეთს დაწყებული შირვანიდან და გათავებული ხორასანამდის. ქურთისტანის სუნიტი მოსახლეობაც აჯანყდა. უზბეგებმა ააოხრეს ხორასანი, ხოლო აბდიდის ელის მეთაურმა ასადულამ ისარგებლა სახელმწიფოს საერთო მდგომარეობით, დაიპირა ქალ. ჰერატი და გამოაცხადა თავისი თავი ყაენისაგან დამოუკიდებლად. მის წინააღმდეგ გაგზავნილი სპარსელების 30 ათ. ჯარი საშინლად დამარცხდა (1719 წ.). შემდეგ წელს კიდევ დაიძრა თვით მაჰმუდი, აღანელების ემირი. მას ეხმარებოდა იარაღის და ომისათვის საჭირო მასალების მიცემით ინდოეთის დიდ მოგოლთა მთავრობა, რომელიც ფრიად დაინტერესებული იყო სპარსეთის დასუსტებასა და დაცემაში, რადგან ძლიერი სპარსეთი მისი სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვრებისათვის საშიში იყო. მაჰმუდმა დაიჭირა ქირმანის ოლქი, მაგრამ აქ ის დაამარცხა სპარსელების ნიჭიერმა სარდალმა ლუტფალი-ხანმა, რომელიც იყო სპარსეთის ეტიმადოველეს ძმა. მაჰმუდი წავიდა უკან ყანდაარს, მაგრამ მალე ისევ დაბრუნდა ახალი ჯარით. შირაზში მის დასახვედრად ლუტფალი-ხანს შზად ჰყავდა დიდი ჯარი, მაგრამ ამ დროს ყაენის კარზე მისა და მისი ძმის წინააღმდეგ ინტრიგები დაიწყო. ეტიმადოველე დააბრმავეს და ლუტფალი-ხანიც გადაყენებულ იქმნა მთავარსარდლობიდან. ამას მოყვა სპარსელების ჯარის დაშლა, რის შემდეგ მაჰმუდს უფრო ადვილად შეეძლო თავისი გეგმის შესრულება სპარსეთის დაპყრობის შესახებ.

1721 წ. უბედური წელიწადი იყო სპარსეთისათვის. შირვანი შემახითურთ დაიპყრეს ლეკებმა და იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილებში კიდევ არეულობები იყო. ამას თან დაერთო წმინდა სტიქიური უბედურება. საშინელმა მიწის ძვრამ იმსხვერპლა მარტო თავრიზში 80 ათასი სული. აი ასეთს პირობებში მაჰმუდი 1722 წლის იანვარში ხელ-ახლავ დაინძრა ყანდაარიდან. მას ჰყავდა სულ 25 ათასი კაცი რჩეული მეომარი, რომელნიც მდიდარი დავლის იმედებით აღფრთოვანებულნი მისდევდნენ თავისს წინამძღოლს. მაჰმუდმა ბრძოლით გაიარა წინააღმდეგობის უნარს მოკლებული და დაცემის გზაზე დამდგარი სპარსეთი და გაზაფხულზე მიუახლოვდა ისპაანს. ამ გარემოებამ თავზარი დასცა შაჰ-სულთან-ჰუსეინს და მისს ვეზირებს. ყაენმა პირველად შეაძლია მაჰმუდს დიდძალი ფული,

მაგრამ როდესაც ამისაგან არაფელი გამოვიდა, ეხთემ-დოვლეს წინამძღოლობით გაუშვა ავღანელების წინააღმდეგ 60 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი 24 ზარბაზნით. ბრძოლა მოხდა ისპაანიდან 15 ვერსზე. სპარსელების მარჯვენა ფრთას წინამძღოლობდა ქართველი ბატონიშვილი ყულარაღასი როსტომ, ძმა ვახტანგ მეფისა. სპარსელების ჯარი დამარცხდა და მხოლოდ მარჯვენა ფრთამ, სადაც ყულის და ქართველების ჯარი იბრძოდა, რამოდენადმე დასწია უკან მტერი. მაგრამ როდესაც ბრძოლაში მოკლეს თვით როსტომ ბატონიშვილი, მაშინ მისი ჯარიც ივლტოდა. მაჰმუდმა დაიჭირა სომხებით დასახლებული ქალ. ჯულფა, ისპაანის განაპირას მდებარე, გამოართვა მცხოვრებლებს 70 ათასი თუმანი და 50 ქალწული საუკეთესო ოჯახებიდან და შემდეგ ალყა შემოარტყა ისპაანს, სადაც ჩაიკეტა შაჰ-სულთან-უსეინი მთელი თავისი კარის-კაცებით, ხაზინით და წარჩინებულებით. ისპაანში ამ დროს იყო 600 ათასი მცხოვრები, ჯარიც იყო დაახლოვებით 40 ათასი კაცი, მაჰმუდს კი ჰყავდა მხოლოდ 20 ათასი კაცი. მაგრამ სპარსეთი ამ დროს იმდენად ძალა-გამოლეული აღმოჩნდა, მისი ძალები ისეთს დეზორგანიზაციას და დემორალიზაციას განიცდიდნენ, რომ ავღანელების თვით ასეთი შედარებით სუსტი ლაშქარი საფრთხეს უმზადებდა იმპერიის ცენტრს. ალყის შემორტყმამდის ისპაანიდან წავიდა ყაენის შვილი თამაზი და მასთან ერთად გაგზავნილ იქმნა სპეციალური ბრძანებანი ხანების მიმართ წესახებ მოშველებისა, მაგრამ შემწეობა არსაიდან სჩანდა. სხვათა შორის ასეთი შინაარსის ბრძანება მოუვიდა ვახტანგ მეფესაც, რომელიც ამ დროს ხუნანს იდგა და ჯარს აგზავნიდა განჯაზედ, რადგან განჯას ლეკები შემოსდგომოდნენ. ქართველების ჯარში ხმა გავარდა, მეფე სპარსეთს გვაგზავნისო და ამ ნიადაგზე ამბოხებაც მოხდა. მეფე იძულებული იყო რეპრესიულ ზომებისათვის მიემართა, ზოგი აზნაური სიკვდილით და ზოგიც სხვა რიგად იქმნა დასჯილი. ამის შემდეგ ჯარი დაიძრა განჯისაკენ. მაგრამ ვახტანგმა ჯარის ამ გვარი სულიერ განწყობილებისა და საერთოდ პოლიტიკურ მდგომარეობის მეტად გართულებისა გამო ყაენს მიშველებაზედ უარი განუცხადა.

ვახტანგის უარმა სასოწარკვეთილებაში ჩაგდო სპარსეთის მთავრობა, რადგან ქართლი იყო სპარსელების უკანასკნელი იმედი. ამასობაში ისპაანის ალყა გრძელდებოდა. ქალაქში საშინელი სიმშილობა გაჩნდა, რომლისაგან აუარებელი ხალხი იხოცებოდა. მაჰმუდი კი ყოველგვარ პირობებზე უარს ამბობდა, თხოულობდა ყაენისაგან სრულს დამორჩილებას და სპარსეთის მისთვის გადაცემას. მაჰმუდი არც ჩქარობდა ქალაქის აღებას, რადგან სიმშილისაგან ქალაქის მცხოვრებთა შემცირება უფრო ადვილად უზრუნველყოფდა მომავალ მისს ბატონობას ისპაანში. მართლაც, როდესაც ქალაქის მცხოვრებთაგან მხოლოდ ნახევარი იყო დარჩენილი და მეტი გაძლება ყოველად შეუძლებელი იყო, შაჰ-სულთან-უსეინი დანებდა მაჰმუდს. ყაენი იძულებული გახდა ავღანელების ბანაკ-

ში საკუთარის ხელით დაედგა მაჰმუდისთვის შაჰის გვირგვინი (22 ოქტომბერს 1722 წ.).

მაჰმუდი გახდა ერანის მპყრობელად. მთელი სიმდიდრე სპარსეთის აყენთა მას ჩაუვარდა ხელში. ამის შემდეგ დაიწყო ხანა საშინელი ტერორისა. მაჰმუდმა თავზარი დასცა სპარსეთს. ნადიმის დროს მოხანათურად ამოახოცვინა 300 ყოფილი ვეზირი და სპარსელი ხანი, მათ შორის ერთი 12 წლის ქართველი ბატონიშვილი. ასეთსავე სპეციალურად გამართულ ნადიმის დროს ავღანელებმა ამოხოცეს 3 ათასი სპარსელი ჯარის-კაცი, რომელიც უწინ შაჰ-უსეინის მცველ რაზმს შეადგენდა და ეხლა მაჰმუდის სამსახურში იმყოფებოდა. ქალ. შირაზის აღების შემდეგ 1724 წ. აპრილში მაჰმუდის ბრძანებით ამოსწყვიტეს მცხოვრებლები სრულიად. თვით მაჰმუდმა საკუთარის ხელით დაკლა 30 თუ მეტი წევრი—მამაკაცი სეფიანთ დინასტიისა. სპარსეთში ავღანელების შემოსევისა და ამ ტერორის დროს დაკარგა 1 მილიონ სულამდის. შემდეგ მაჰმუდს უკვე აშკარად დაეტყო ფსიხიური აწონორმალობა და თითონაც მოკლულ იქმნა (1725 წ. აპრ.).

მაჰმუდის შემოსევა და მის მიერ ასე ადვილად სპარსეთის დაპყრობა იყო პირველი აშკარა გამომხატველი სპარსეთის დაცემის დაწყებისა. ამის შემდეგ სპარსეთში იწყება ხანა გამუდმებული ომებისა, შინაურ დაშლის და უთანხმოებისა, რომელმაც მთლად დასცა სპარსეთის კეთილდღეობა, გამოფიტა მისი შინაგანი ძალა, ფრიად შეამცირა მოსახლეობა და, შეუძლებლად გახადა ერანის მიერ კვლავინდებურად დიდ პოლიტიკის წარმოება.

რუსეთი ერევა სპარსეთის საქმეებში. ტახტიდან გადამდგარ შაჰ-სულთან-უსეინის შვილმა თამაზმა თაბრიზში გამოაცხადა თავისი თავი ყაენად, მაგრამ მისი უფლება სწვდებოდა ფრიად განსაზღვრულ ტერიტორიას. სპარსეთის დასუსტებით მოინდომეს სარგებლობა რუსეთმა, რომელიც ეხლა პირველად აქტიურად ერეოდა სპარსეთის მონაპირე ქვეყნების ბედში და აგრეთვე ოსმალეთმაც. იმპერატორმა პეტრე დიდმა 30 ათ. კაცით აიღო ტერკი, შემდეგ დარუბანდი და ჩააყენა შიგ 2 ათასი კაცი. რუსთ მალე დაიპირეს აგრეთვე ბაქო და ემუქრებოდნენ გილანს და ასტრაბადს. ეს ლაშქრობა მით უმეტეს ადვილი იყო, რომ შაჰ-თამაზი თვით სთხოვდა პეტრე დიდს ავღანელების წინააღმდეგ დახმარებას და ამის სანაცვლოდ უთმობდა რუსეთს თითქმის კასპიის ზღვის მთელს სანაპიროს, რომელიც სპარსეთს ეკუთვნოდა.

ოსმალების აღმოძრავება. ამასობაში ოსმალთაც თავი წამოყვეს. ამის საბაბად იყო 1722 წლის დასასრულს შირვანიდან მათდამი მიმართული თხოვნა სუნიტების დაცვის შესახებ შიიტების ძალადობისაგან. შირვანელნი ჩიოდნენ, რომ შიიტებმა და სპარსელებმა მეჩეთები საჯინიბოდ აქციეს და სასულიერო პირნი დახოცეს. ლეკებიც ამასთანავე ოხოულობდნენ ოსმალთაგან დახმარებას რუსების წინააღმდეგ. ოსმალეთის

შეიხ-ულისლამმა გამოსცა ჯარისადმი ფეტვა, სადაც კანონით ნებადართული იყო შიიტების ქალ-ვაჟთა დახოცვა, თუ ისინი ისლამის რჯულში არ გადავიდოდნენ და სუნიტობას არ აღიარებდნენ, ხოლო შიიტები მამაკაცები უნდა დახოცილ ყოფილიყვნენ. რაც შეეხება ქრისტიანებს, მათი ძალით გამაჰმადიანება აღკრძალული იყო, შეიძლებოდა მხოლოდ ქონების ალაფად აღება და ქალ-ვაჟთა ტყვედ წაყვანა. არზრუმის ფაშა იბრაიმ გაიგზავნა ტფილისზე, ხოლო ტრაპეზუნტის ფაშის ვეზირი ყარა-მუსტაფა ბაქოზე.

ტფილისის აოხრება ლეკების მიერ. ამ გვარად აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ერთმანეთს შეეჯახა სამი სახელმწიფოს ინტერესი—სპარსეთის, რომლის წარმომადგენლად სთვლიდა თავისს თავს ნომინალურად შაჰ-თამაზი, რუსეთისა და ოსმალეთისა. ქართლ-კახეთი მოექცა ამ საერთაშორისო პოლიტიკის ნასკვის ახლოს. ვახტანგი პირველად, მიუხედავად ოსმალთა და სპარსთა მოპატიჟებისა, დადგა რუსეთის მხარეზე, შემოიკრიბა ქართლის და მის გარშემო ქვეყნების ჯარი 40 ათასი კაცი და მივიდა განჯას, სადაც სამს თვეს უცდიდა პეტრე დიდის გამოსვლას (1722 წ. შემოდგომას). მაგრამ იმპერატორ პეტრეს თავისი ლაშქრობა სპარსეთისაკენ გადაედო და ამიტომ ვახტანგი უკან დაბრუნდა. ვახტანგის ამ გვარმა ქცევამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც შაჰ-თამაზსა, ისე ოსმალებში, მაგრამ მაინც ორივე მხარე, როგორც წინად, ისე ეხლაც იწვევდა მეფეს და ცდილობდა მისი თავისკენ გადაბირებას. მიუხედავად ამისა, ვახტანგი ჯერ ისევ რუსეთის ერთგულად იყო რადგან პეტრე დიდს აღთქმული ჰქონდა 1723 წლის გაზაფხულზე გამოლაშქრება, მაშინ შაჰ-თამაზმა, ვახტანგის საწინააღმდეგოდ, ქართლის უბოძა კახ-ბატონს შაჰმად-ყული-ხანს, რომელმაც აცნობა ეს ამბავი ტფილისის სპარსელ მეციხოვნეთ. მათ ღამით ციხის კარები გამოკეტეს და იწყეს თოფ-ზარბაზნის სროლა (იანვარი 1723 წ.). მაჰმად-ყული-ხანი მოვიდა და ჯარით დადგა ავლაბარს, ხოლო მისმა ძმამ ბატონიშვილმა თეიმურაზმა დაიჭირა მცხეთა. ვახტანგმა ცოლშვილი გაგზავნა გორს, თითონ კი ჯარით დადგა ტფილისს. მაჰმად-ყული-ხანმა დაიჭირა ტფილისს კლდის უბანი, მაგრამ ბაქარ ბატონიშვილმა ის მალე გამოდევნა იქიდან. მცხეთის ასაღებად ვახტანგის მიერ გაგზავნილ იქმნა ვახუშტი ბატონიშვილი, რომელსაც უკვე დაემშვიდებინა სომხითში შემოსული განჯის ხანის მიერ აჯანყებული ბორჩალოს ელი. ვახუშტი 600 კაცით მიადგა მცხეთას იმ დროს, როდესაც კახნი ტაძარში ლოცულობდნენ. ვახუშტის მოსვლისთანავე კახელებმა მსწრაფლ ჩაკეტეს გალავანი და დაიწყეს ბრძოლა, მაგრამ მალე იძულებული გახდნენ დაებებულიყვნენ. ამასობაში მაჰმად-ყული-ხანი ავლაბრიდან მტკვრის მეორე ნაპირს გადასულიყო და სეიდაბადს დამდგარიყო. აქედან მან ააღებინა თავისთან მყოფ თუშთ და ლეკებს თაბორის კოშკი. მაშინ მეფის-ძე ბაქარ გავიდა მათ წინააღმდეგ, დაამარცხა ისინი და გარდაყარა მტკვრის მეორე ნაპირს.

თვით მაჰმად-ყული-ხანმა ძლივს მოასწრო გაქცევა, ხოლო ძმა მისი თეიმურაზ ბატონიშვილი კი ტფილისის ციხეში შევიდა.

ლტოლვილმა და დამარცხებულმა მაჰმად-ყული-ხანმა შეკრიბა კახეთს ახალი ჯარი, იშოვა ფულით და ტფილისის გაცარცვის დაპირებით დიდძალი ლეკი და ცოტა ხნის შემდეგ მოადგა ტფილისს. სვიმონ ბატონიშვილს, თავისი ძმისწულის ვახტანგ მეფისადმი შურიანობით, არც საფარი გაემაგრებია და მტკვრის მარცხენა ნაპირიდან უკან დახევის დროს არც ტფილისის ავლაბრის ხიდი აეყარა. მეფე ვახტანგ და ძე მისი ბაქარ ძაინც შეებრძოლნენ მოწინაღმდეგეს ქალაქის პირს, მაგრამ ვერას გახდნენ და მცხეთისკენ დაიხიეს. ლეკნი შემოვარდნენ ქალაქში და საშინლად აოხრეს ის. ციხის მცველნი თათარნიც გამოვიდნენ და დასწვეს სიონის ტაძარი. მრავალი სული დაიღუპა და დატყვევდა (4 მაისს 1723 წ.). გადარჩენილთ ქალაქის მცხოვრებთ კიდევ მაჰმად-ყული-ხანმა გაჰწერა 40 ათასი თუმანი, რომელიც მას აღეთქვა ლეკთათვის.

ოსმალნი შემოდიან ტფილისს. ამ დროს ოსმალების სერასკირი არზრუმის ფაშა იბრაიმი უახლოვდებოდა ქართლს. ვახტანგმა მასთან მოლაპარაკება გამართა და აღუთქვა ოსმალეთის ხაზინაში ყოველწლიურად ხარკის შეტანა, თუ ტფილისი და ქართლი მისს ოჯახს დაუბრუნდებოდა. ფრკაში ტფილისისკენ მომავალს ოსმალების ჯარს შეხვდა ვახტანგის ძმა იესე, შემდეგ კიდევ შვილი მისი ბაქარი. ორნივე ამასთანავე მეორეჯელ გამაჰმადიანდნენ და მიიღეს ეხლა სუნიტობა. იესეს ეწოდა მუსტაფა, ხოლო ბაქარს იბრაიმი.

ამასობაში მაჰმად-ყული-ხანმაც (კოსტანტინემ) გამართა ოსმალებთან მოლაპარაკება და ტფილისის ციხის კლიტეები მათ უომრად ჩააბარა. ოსმალთა ჯარი მშვიდობიანად შემოვიდა ტფილისში. სტამბოლში ამ ამბავმა დიდი სიხარული გამოიწვია და ტფილისის დაჭერა იქ ილუმინაციით გარდაიხადეს (1723 წ.).

მაჰმად-ყული-ხანი პირდებოდა სერასკირს განჯასა და ერევანზე ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას და შეძლია მას 300 ქისა ფული. მაგრამ იბრაიმ-ფაშამ ქართლი მაინც ბაქარს მისცა—წლიურად 40 ათასი პიასტრის გარდახდის პირობით ხარკის ანგარიშში.

ქართლის გამგედ იესეს დანიშვნა. სერასკირი იბრაიმ-ფაშა მეტის მეტი თვითნება კაცი გამოდგა და თავისი პირდაპირი და ტლანქი ტაქტიკით მოიმდურა როგორც ბაქარი და მაჰმად-ყული, ისე სხვა ადგილობრივი გავლენიანი პირნი. მაჰმად-ყული-ხანი კახეთში წავიდა და ბაქარმაც მალე მიატოვა ტფილისი და გორს თავისს მამასთან მივიდა. სტამბოლში ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს, იბრაიმ-ფაშა გამოცვალეს და მის მაგივრად სერასკირად ყარსის მუსტაფა-ფაშა დაინიშნა. ქართლის გამგედ კი ბაქარის წასვლის შემდეგ ოსმალებმა მიიწვიეს იესე, რომელსაც ეხლა მუსტაფა-ფაშა ეწოდებოდა. იესე მალე ოსმალების ბრძანებით უნდა წასულიყო ბაქარის წინააღმდეგ საბრძოლველად. ოსმალთ

უნდოდათ მისი შეპყრობა ან განდევნა ქართლიდან. იესემ განდევნა ბაქარი საბარათიანოდან, მაგრამ 1724 წლის გაზაფხულს ბაქარი დაეცა ტფილისისკენ მიმავალს 500 ოსმალთ და მთლად ამოსწყვიტა ისინი. მაშინ მის წინააღმდეგ გაგზავნეს იესესთან ერთად ახალციხის ისაყ-ფაშა. ამათ დაიპყრეს გორი და ბაქარი მთებში განდევნეს.

ყველა ამ ამბებისა გამო ვახტანგის მდგომარეობა გასჭირდა. ქართლში მას უკვე, ბაქარზე ოსმალების გადაკიდების გამო, არ დაედგომებოდა. მას ჰქონდა მიღებული მიწვევა პეტრე დიდისაგან, რომელმაც კავკასიაში ლაშქრობის გაგრძელება ვერ მოახერხა, მაგრამ მეფეს რუსეთში თავშესაფარს პირდებოდა და თან წინადადებას აძლევდა მრავალ-რიცხოვან ამალის წაყვანის შესახებ —რუსეთში ქართველების ჯარის შესადგენად. მართლაც, დიდის ამალით, რომელშიდაც ირიცხებოდა 4 ეპისკოპოსი, თავად-აზნაურობა და სხვა წოდების პირნი, სულ 1,200 სული ორისავე სქესისა, ვახტანგი თავისი ოჯახობასთან ერთად რაჭისა და დიგორის გზით წავიდა რუსეთს (1724 წ.). ცარიცინში მეფემ გაიგო იმპერატორ პეტრე დიდის გარდაცვალება (25 იანვ. 1725 წ.). იმპერატრიცა ეკატერინე I-მა მიიღო მეფე დიდის პატივისცემით და დაუნიშნა მას შესაფერისი სარჩო. მისს ამალაში მყოფ თავად-აზნაურთ რუსეთში მიეცათ მამულები. მათგან შეადგინეს ქართველ ულანების პოლკი, რომელიც 1835 წლამდის არსებობდა. რუსის მთავრობა ცდილობდა ვახტანგი გამოეყენებინა თავისი დიპლომატიურ საქმეებისთვის და გაგზავნა ის კიდეც ამ მიზნით ელჩად სპარსეთს. მაგრამ საქართველოში დაბრუნება ვახტანგმა უკვე ვერ შესძლო. დაშორებული სამშობლოს და საბოლოოდ ქართლის ტახტის დამკარგველი ვახტანგი მეორედ სპარსეთისკენ ელჩად წასვლის დროს გარდაიცვალა 27 მარტს 1737 წ. ასტრახანს.

ვახტანგ მეფის მიერ მრავალ-რიცხოვანი ამალის წაყვანა დიდი დანაკლისი იყო ქართლ-კახეთისათვის. ამ ამალაში ირიცხებოდნენ საუკეთესო პირნი როგორც ქართლიდან, ისე რამოდენადმე კახეთიდანაც და მათი ადგილობრივი ცხოვრებისათვის დაკარგვამ ძლიერ შეასუსტა ქვეყნის მაჯისცემა იმ საბედისწერო დროს, როდესაც ტფილისსა და ქართლს ოსმალები დაეპატრონენ.

ურთიერთობა რუსეთთან. ვახტანგ მეფის გამგზავრება რუსეთს მრავალ-რიცხოვანი ამალით იყო უკვე მკაფიო გამოხატულება იმ საკმაოდ ძლიერი მიდრეკილებისა, რომელიც დროგამოშვებით ცხადდებოდა საქართველოში განვლილ თაობათა სიგრძეზე და ეხლა, მე-XVIII საუკუნის დასაწყისს, განსაკუთრებულის სიცხადით აჩენდა თავისს კვალს კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრებას. რაც რომ ცხად ხდებოდა სპარსთა და ოსმალთა მძლავრება საქართველოს მიმართ, მით უფრო მეტის ძლიერებით იზრდებოდა ქართველთა ხელმძღვანელ წრეებში სიმპატიები რუსეთისადმი. მე-XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, ასტრახანის სამეფოს შემოერთების შემდეგ, რუსეთი საკმაოდ მიუახლოვდა საქართველოს,

თუმცა არა იმდენად, რომ ამიერ-კავკასიის საქმეებში პირდაპირი ჩარევა მოეხერხებინა. საქართველო რუსეთს უყურებდა როგორც დიდს საქრისტიანო სახელმწიფოს, რომელიც შესძლებდა ქრისტიანობის დაცვას მოზვავებულ მაჰმადიანობისაგან. ქრისტიანობა კი ამ დროს შეადგენდა ქართულ ეროვნების და ხალხისნობის მთავარს და შეიძლება ითქვას ერთად-ერთ საფუძველს. ამ აზრით მე-XVI საუკუნის დასასრულიდან ქართველი მეფეები იწყებენ მიწერ-მოწერას რუსეთის ხელმწიფეებთან. ამ მიწერ-მოწერას განსაკუთრებული სიცხოველით აწარმოებდა თემურაზ I კახეთის მეფე, რომელმაც თავისი სიცოცხლის ნახევარი თავისი სამეფოს გარეშე გაატარა. 1658 წ. თეიმურაზი თან წავიდა მოსკოვს შემწეობის გამოსათხოვად რუსეთის მეფის ალექსისაგან. არჩილ, კახეთის და შემდეგ იმერეთის მეფე, აგრეთვე არა ერთხელ თხოულობდა დახმარებას რუსეთისაგან. 1699 წ. ის საბოლოოდ მიემგზავრება მოსკოვს, სადაც გარდაიცვალა კიდეც (1712 წ.). რუსეთიდან ეძიებდნენ დახმარებას აგრეთვე იმერეთის მეფეები და მთავრებიც. ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის თანდათან ვითარდებოდა, თუმცა ქართველ მეფეებისთვის მას თვალსაჩინო სარგებლობა არ მოჰქონდა: რუსეთის ინტერესები ჯერ კიდევ არ თხოულობდა კავკასიის საქმეებში ჩარევას და ამიტომ დახმარების მთხოვნელ მეფეებს ცარიელი ნუგეშისა და იმედების მეტი არა ხვდებოდათ რა. პირველად იმპერატორმა პეტრე დიდმა მოინდომა 1722 წ. ამიერ-კავკასიის ფარგლებში თავისი მოქმედების გადმოტანა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ რუსეთისთვის ეს ნაბიჯი მაშინ კიდევ ნაადრევი ყოფილიყო. მაინც პეტრე დიდის ამ გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ცხად ჰყო სიახლოვე იმ დროისა, როდესაც რუსეთის სასიცოცხლო ინტერესები უეჭველ ჰყოფდა ჩრდილოეთის იმპერიის ჩარევას ამიერ-კავკასიის საქმეებში. მართლაც, მე-XVIII საუკუნეში რუსეთი თანდათან გზას იკვალავდა შავი ზღვისაკენ და ცდილობდა მის სანაპიროზე გამაგრებას. ამასთან ერთად მე-XVIII საუკუნეში რუსეთი ნელნელა ღებულობდა ევროპის სახელმწიფოს სახეს. ასეთს პირობებში მისწრაფებას რუსეთისადმი საქართველოში აძლიერებდა, გარეშე ქრისტიანობის დაცვის მიზნისა, მიდრეკილება ევროპიულ კულტურისა და განათლებისადმი. შემოქმედებითი ძალა ქართველი ხალხისა, მოდუნებული სპარსეთისა და ოსმალეთის ბატონობის დროს, ეძიებდა გამოსავალს, რომლის პოვნის იმედს აძლევდა მას დიდ რუსეთის ძლევა-მოსილი წინ-სვლა ოსმალეთის წინააღმდეგ და საზოგადოდ სამხრეთისაკენ.

რუსეთში მე-XVIII საუკუნის დასაწყისში მოქმედობდნენ საკმაოდ მნიშვნელოვანი ქართული ახალშენები, რომელნიც ხელს უწყობდნენ საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურულ ურთიერთობის განმტკიცებას. განსაკუთრებით ძლიერი იყო მოსკოვის ახალშენი, სადაც არჩილ მეფის თაოსნობით დაარსებულ იქმნა ქართული სტამბა (1705 წ.).

ვახტანგის მრავალრიცხოვანი ამალის რუსეთში ჩასვლით იქ მყოფ ქართველებს მიემატა ახალი ძლიერი კულტურული ძალა. ამ ამალაში მყოფნი განათლებული პირნი ეწეოდნენ რუსეთში ქართულ ენაზე ლიტერატურულ და მეცნიერულ მუშაობას. მათ შორის იყო მამუკა ბარათაშვილი—ავტორი „ჯაშნიკისა", სარიდან ჩოლაყაშვილი, ქაიხოსრო ფავლენიშვილი—ავტორი „ვახტანგიანისა", საბა-სულხან ორბელიშვილი, ნიკოლოზ ორბელიშვილი, გივი მდივანი და სხ.. მათ მიემატა კიდევ დავით გურამიშვილიც, ერთი უდიდესი ქართველი მწერალთაგანი მე-XVIII საუკუნისა. ვახტანგთან ერთად რუსეთს გადასულიყო აგრეთვე შვილი მისი ვახუშტი ბატონიშვილი—ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი.

რუსეთში ქართულ კულტურულ ნიადაგზე მომუშავე ქართველთა დასი თავისი მუშაობის გეზით და პერსონალური შემადგენლობითაც ფაქტიურად იყო გამგრძელებელი მე-XVIII საუკუნის დასაწყისს ვახტანგის გამგებლობის დროს ქართლში დაწყებული კულტურულ ძალთა აღორძინებისა. ამ აღორძინების საუკეთესო წარმომადგენელად და იმავე დროს ფაქტიური ხელმძღვანელად ქართლში იყო თვით ვახტანგი, რომლის მიერ 1722 წ. რუსეთის ორიენტაციის ამორჩევას ჰქონდა მთელი ქართულ კულტურულ ვითარებისთვის მე-XVIII საუკუნეში ნიშანდობლივი მნიშვნელობა. საქართველომ ამის შემდეგ კულტურულ ორიენტაციის მხრივაც საბოლოოდ პირი იბრუნა ჩრდილოეთისაკენ, რუსეთის გზით ევროპის კულტურასთან დასაახლოვებლად და აღმოსავლეთ იმპერიებთან—სპარსეთთან და ოსმალეთთან საბოლოოდ კავშირის გასაწყვეტად.

ამის შემდეგ კათოლიკე მისიონების მუშაობაც საქართველოში სუსტებოდა და თავისს წინანდელ მნიშვნელობას თანდათან ჰკარგავდა მით უმეტეს, რომ დასავლეთ ევროპასთან კავშირის გაბმას აძნელებდა არა მარტო სარწმუნოებრივი განსხვავება დასავლეთ ევროპის ხალხებთან, არამედ უმთავრესად გეოგრაფიული სიშორეც.

IX

ქართლ-კახეთი სპარსეთისაგან განთავისუფლების გზაზე.

ოსმალნი ქართლში. ვახტანგ VI-ის რუსეთს წასვლის შემდეგ ოსმალთ ფეხი მოიკიდეს ქართლში. ისინი ცდილობდნენ საბოლოოდ თავისი ბატონობის განმტკიცებას ქართლში და ამასთანავე თავისი ბრძანებლობის უზრუნველყოფას მთლად აღმ. ამიერ-კავკასიაში. კერძოდ ქართლში გარეგნულად ქვეყნის მართველად ირიცხებოდა იესე ბატონიშვილი, ნამდვილად კი საქმეებს განაგებდა

ტფილისს დაღგენილი ახალციხის ფაშა ისაყი. ოსმალთ ასწერეს ქართლი და დაიდვეს ხარკი კაცის სულზე დრაჰკანი, ცხვარზე ორი შაური, ძროხაზე აბაზი, კაშხეჩსა და ცხენზე ექვსი შაური, მოსავალზე ხუთისთავი. ამ ხარკმა ქვეყანა დიდს გასაჭირში ჩააგდო. ოსმალნი ამასთანავე ცდილობდნენ სხვადასხვა ზომებით ქვეყნის შემომტკიცებას. ქართლის ფაქტიური მართველი ისაყ-ფაშა უპირველეს ყოვლისა ცდილობდა დაყრდნობოდა დიდებულ თავადთა გარეშე მდგარ წრეებს. ასე, ისაყ-ფაშის დროს თანდათან დაწინაურდა და ქართლის მართველობის საქმეებზე უდიდესი გავლენა მოიპოვა ტფილისის მელიქმა აშხარ-ბეგ ბებუთაშვილმა.

ოსმალთა მძლავრება თანდათან აუტანელი ხდებოდა. მაშინ ქართლის კათალიკოზმა დომენტი ბატონიშვილმა განიზრახა სტამბოლს წასვლა ოსმალეთის მთავრობასთან ქართლის მდგომარეობის შემსუბუქებაზე შუამდგომლობის აღსაძრელად. სტამბოლს მისული დომენტი სულთანმა მიიღო დიდის პატივისცემით. მაგრამ მალე ის შესმენილ იქმნა ოსმალეთის მთავრობასთან ტფილისიდან, ისაყ-ფაშის მიერ რის გამო კათალიკოზი რამოდენიმე ხანს დაპატიმრებულიც იყო თენედოსის კუნძულზე.

დიდ-თავადები და კახ-ბატონი ოსმალთ წინააღმდეგ. ოსმალთა დამპყრობელ გეგმის წინააღმდეგ ამხედრდნენ ქართლის წარჩინებული თავადები, რომელთაც მეთაურობდა გიევი ამილახორი, ჰკვიანი და ენერგიული პიროვნება და ამავე დროს კარგი მამულიშვილი. ოსმალთ წინააღმდეგ მოქმედობდა აგრეთვე კახ-ბატონი მაჰმად-ყული-ხანი, რომელსაც კახეთის გარდა ჰქონდა მიცემული სპარსეთის მთავრობისაგან განჯა, ყაზახი და შამშადილი, ხოლო წინად განჯის მაგიერად ერევანიც. განსხვავება მათ შორის იყო ის, რომ მაჰმად-ყული-ხანი გამოდიოდა ოსმალთა წინააღმდეგ როგორც სპარსეთის ერთგული, ხოლო გიევი ამილახორი თავისი ჯგუფით იბრძოდა ქართლის თვითმყოფობის დაცვის მიზნით.

ოსმალებთან ბრძოლას აძნელებდა ის გარემოება, რომ ქართლის ფეოდალთა შორის არ იყო ერთობა. მაშინ როდესაც გიევი ამილახორი და ქსნის ერისთავი შანშე მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ ოსმალთ, მეორე წარმომადგენელი ქართლის დიდ თავადებისა—ერასტი ყაფლანიშვილი ტფილისში შყოფ ისაყ-ფაშას უდგა გვერდში. მაჰმად-ყული-ხანი და გიევი ამილახორი შეებრძოლნენ ოსმალთ, რომლებთანაც იმყოფებოდნენ აგრეთვე იესე ბატონიშვილი და ერასტი ყაფლანიშვილი. მაგრამ ბრძოლა გათავდა მაჰმად-ყული-ხანის სასტიკი დამარცხებით, რომლის შემდეგ ყაფლანიშვილმა ურჩებით წააგებინა დახოცილ ქართველთა თავები ტფილისში მყოფ რაჯაბ-ფაშასთან, რომლისაგან მიიღო საჩუქრად 30 ოქრო.

ამის შემდეგ ოსმალთ უფრო შემოიმტკიცეს ქართლი და მალე გადაივიდნენ შეტევაზე თვით კახეთში მაჰმად-ყული-ხანის წინააღმდეგ,

რომელიც იძულებული შეიქმნა თავისი ოჯახობით ფშავეთს გახიზნულიყო.

მაჰმად-ყული-ხანმა დაჰყო ფშაველთს დიდს სიღარიბეში მთელი წელიწადი. ამ დროს კახეთში კვლავინდებურად მძლავრობდნენ ლეკნი. ისინი მოედვნენ მთელს მხარეს, ასე რომ კახეთი გახდა ლეკების სათარეშო ასპარეზად. ქვეყანა მთლად აოხრდა. ციხეები მათ ჩაუვარდათ ხელში. ზოგ სოფლებში მათ დაყენებული ჰყავდათ მოლები და ხალხი იძულებით, ფიზიკურ არსებობის შესანარჩუნებლად, მაჰმადიანობისაკენ იხრებოდა. ბოლოს ხალხის მოთმინების ფიალა აივსო. პირველად აჯანყდნენ ერთი მღვდლის მეთაურობით თელაველნი, რომელთაც ამოსწყვიტეს თელავში ჩამომდგარი ლეკნი. მათ მაგალითს შემდეგ მიბაძეს კახეთის ბევრმა სხვა კუთხეებმაც და ლეკნი ზოგ მნიშვნელოვან ადგილიდან მთლად განდევნილ იქმნენ.

ხალხის ამ გვარმა სიმაგრემ საშუალება მისცა მაჰმად-ყული-ხანს თელავს ჩამოსულიყო და შესდგომოდა ქვეყნის მართვა-გამგეობას. რადგანაც ლეკთა მძლავრება მაინც ფრიად დიდი იყო, ამიტომ მან, კახეთის თავი-კაცების რჩევით, არჩია ისევ ლეკებთან მორიგება. ლეკთ ითხოვეს თავისი თარეშებისთვის თავისუფალი გზის მიცემა ქართლისკენ და სამაგიეროდ აღუთქვეს მაჰმად-ყული-ხანს ნადავლის მეხუთედი. მაჰმად-ყული-ხანი დასთანხმდა ამ პირობაზე. ამის შემდეგ ლეკთა თარეშები მოედვნენ ქართლს.

ოსმალნი და ქართლის დიდი თავადები. ლეკთა თარეშების გაძლიერება უძნელებდა ოსმალებს თავისი ბატონობის განმტკიცებას ქართლში. ვინაიდან ამავე დროს კახ-ბატონსაც ორპოფულად ეჭირა თავი, ამიტომ ისაყ-ფაშამ გარდასწყვიტა ქართლის დიდ თავადებთან მორიგების გზას დასდგომოდა. ამ დროს გარდაიცვალა ოსმალთა მიერ ქართლის ბატონად დადგინებული იესე (1726 წ.) და ისაყ-ფაშა ენერგიულად შეუდგა თავადებთან მოლაპარაკებას. ამ მოლაპარაკების შემდეგ სომხით-საბარათიანო მიეცა ერასტი ყაფლანიშვილს (ორბელიშვილს), მცხეთას ზეით ბაგრატ ციციშვილს, ზემო-ქართლი გივი ამილახორს, ხოლო სამუხრანო და არაგვ-ქსნის საერისთონი თავ-თავისს მეპატრონეთ. მაგრამ ყველაზედ უფრო განდიდებული ისაყ-ფაშის მიერ იყო ტფილისის მელიქი აშხარ-ბეგ ბებუთაშვილი, რომლის კანონიერება ბოლოს იქამდის მივიდა, რომ არ მიიღო მასთან სალარბაზოდ მისულნი მეწინავეს სარდალი ლუარსაბ ორბელიშვილი და სხვა ქართლის თავადები.

ქართლის ამ გვარმა დაყოფამ მაინც ვერ მოსპო ოსმალთა საწინააღმდეგო მოძრაობა. თავადები, ზოგი საზოგადო ინტერესის თვალსაზრისით და ზოგი კიდევ პირადი პატივის შემცირებისა გამო, უკმაყოფილონი იყვნენ ახალი რეჟიმით. მალე მართლაც ოსმალთ გადუდგნენ ქსნის ერისთავი შანშე და არაგვის ერისთავი თეიმურაზი. თეიმურაზი ისაყ-ფაშის ბრძანებით გადაყენებულ იქმნა ერისთაობიდან და მის მაგიერად დანიშნულ იქმნა რევაზი, მაგრამ რადგანაც რევაზიც ჯეროვნად

არ ემორჩილებოდა ოსმალთ, ამიტომ ისაყ-ფაშამ მის წინააღმდეგაც დასძრა ჯარი. ამასთანავე ისაყმა უბრძანა კახ-ბატონს მაჰმად-ყული-ხანსაც არაგვის საერისთაოს წინააღმდეგ გალაშქრება. რევაზიც ამის შემდეგ მალე განდევნეს და მის მაგივრად ერისთავად დასმულ იქმნა იმავე გვარის წევრი პაპუნა. არაგვისკენ გაგზავნილმა ოსმალთა ჯარმა არაგვის ხეობასთან ერთად მოარბია ქსანიც, რის შემდეგ შანშე ქსნის ერისთავმაც გაიღო ქრთამი და დაეზავა ისაყ-ფაშას. ოსმალთ ამასთანავე გადადევნეს მათ წინააღმდეგ საამილახვროში აჯანყებული თეიმურაზ მაჩაბელი, მოაოხრეს საამილახვროს ნაწილიც და დაბრუნდნენ გორს.

ოსმალების ამ ლაშქრობაში ღებულობდა მონაწილეობას კახ-ბატონი მაჰმად-ყული-ხანიც. ამ დროს ისაყ-ფაშას უკვე გარდაეწყვიტა კახეთის მთლად დამორჩილება ოსმალეთისთვის და ამიტომ ოსმალთ მოინდომეს მაჰმად-ყული-ხანის მოტყუებით შეპყრობა. მაგრამ კახ-ბატონი დროზე მიხვდა ოსმალთა განზრახვას და თავისი ჯარით წავიდა კახეთს.

შინაური საქმეების ასეთი არევ-დარევით განსაკუთრებით სარგებლობდნენ ლეკთა თარეშები, რომელთა მძლავრების წინააღმდეგ ოსმალნიც უძლური აღმოჩნდნენ. თარეშები ამ დროს ქართლს მეტის-მეტად ანიავებდნენ. ასე, მარტო სოფ. ჭალიდან ერთი დაკვრის დროს ლეკებმა წაიყვანეს ათასი სული. ყოველ გაზაფხულს და შემოდგომას ლეკნი მოედებოდნენ ხოლმე ქვეყანას, აოხრებდნენ სოფლებს და ატყვევებდნენ ხალხს. ოსმალნი შეძლების დაგვარად ებრძოდნენ ამ თარეშებს, მაგრამ ამაოდ. ასე, ისაყ-ფაშის ძე უსუფ-ფაშა ოსმალ-ქართველთა ჯარით დაეცა სათარეშოდ გამოსულ ლეკებს და სოფ. მუხრანთან დაამარცხა ისინი. მაგრამ თვით ბრძოლის დროს გაჩნდა მეორე გუნდი ლეკებისა, რომელნიც ყიჟინის ხმაზე მოვარდნენ, ჩაერივნენ ომში და სასტიკად დაამარცხეს ოსმალ-ქართველთა ჯარი. თვით უსუფ-ფაშამ ძლივს მოასწრო გაქცევა.

ასეთი თარეშები შეუძლებლად ხდიდნენ მშვიდობიან ცხოვრებას ქართლში. მუხრანი, შიდა-ქართლი, საციციანო და ადგილ-ადგილ საბარათიანო-სომხითიც დაცარიელდნენ. ხალხი გაიკრიფა სიმაგრეებში. თვით სამუშაოდაც ჩამოსვლა უანებში შესაძლებელი იყო მხოლოდ პარვით და დიდის სიფრთხილით.

ოსმალნი ცდილობენ კახეთის დაპყრობას. ტფილისში მყოფ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელთა ყურადღებას ამ დროს იპყრობდა კახეთის საქმეებიც, მით უმეტეს რომ მაჰმად-ყული-ხანი, როგორც უფრო სპარსეთის მომხრე, მათ თავს არ უყადრებდა. ოსმალთ გარდაწყვეტილი ჰქონდათ კახეთისაც თავისთვის დაპყრობა და ამიტომ მათ სამჯობინაროდ დაინახეს მაჰმად-ყული-ხანის მთლად თავიდან მოცილება. ისაყ-ფაშის ძემ უსუფ-ფაშამ დაიბარა თავისთან მაჰმად-ყული-ხანი ვითომდა სულთანის ბრძანების გამოსაცხადებლად მისთვის კახეთის დამტკიცების შესახებ. კახ-ბატონი ამის საპასუხოდ, მას შემდეგ რაც

შიდა-ქართლს ლაშქრობის დროს ძლიეს გადარჩა ოსმალთა მიერ ვერაგულ დატყვევებას, აპირობდა ფშაველთში გახიზნვას, მაგრამ ალაეერდელის რჩევით მაინც მივიდა ფაშასთან, რომელმაც მიიღო ის პატივისცემით. დარბაზობის გათავების შემდეგ უკან დასაბრუნებლად გამზადებულს მაჰმად-ყული-ხანს ცხენზე შეჯდომისას დასცეს ხანჯალი და მოკლეს. ოსმალნი ამასთანავე ეცნენ მის მხლებელ კახელების ჯარს და მრავალი გასწყვიტეს. თვით ალაეერდელი შეიპყრეს ტყვედ და უსუფ-ფაშის წინაშე მას თავი წარკვეთეს (1729 წ.). ამის შემდეგ ოსმალთ დაიპყრეს კახეთი, ყარალაჯს ააშენეს ციხე, გაამაგრეს ის ზარბაზნებით და დააყენეს იქ თავისი ჯარი.

მაჰმად-ყული-ხანის მემკვიდრედ კახეთში იყო ძმა მისი თეიმურაზი, რომელიც ჯერ იძულებული გახდა თავი ფშაველში შეეფარებინა, რადგან კახეთს შემოესია ოსმალთა ჯარი, ააოხრა ის და მრავალი სული წაასხა ტყვედ. ოსმალთ უნდოდათ არა მარტო კახეთის დაპყრობა, არამედ ლეკების ალაგმვაც, მაგრამ თუმცა ლეკები დაამარცხეს კიდეც, ფეხი იმ მხარეში მაინც ვერ მოიკიდეს და ქვეყანა ერთის მხრივ ოსმალებისა და მეორეს მხრივ ლეკების გამო სულს ღაფავდა.

ქართლ-კახეთის უკიდურესი მდგომარეობა. როგორც ქართლს, ისე კახეთში მოსახლეობა ამ დროს მთლად აწყვეტის პირს იმყოფებოდა. ქართლში ოსმალთა ფარფაშობას და ფეოდალთა ურთიერთ შორის ანდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას თან დაემატა ლეკთა თარეშები. გუნდ-გუნდად, ათას კაცად ან მეტ-ნაკლებად ლეკნი მოედვნენ ქვეყანას. ქართლის ცენტრალური და ყველაზედ უფრო დასახლებული ადგილები მთლად გაეერანდა. ურთიერთ რბევისა გამო გაბშირდა ტყვის ყიდვა, რაც უკანასკნელს სულს ართმევდა ისედაც სიკვდილის პირზე მიმდგარ ხალხს. ასეთსავე მდგომარეობაში იყო კახეთი. ლეკთა რბევის გამო მრავალი სული გასწყდა, მრავალი დატყვევდა, ხოლო დანარჩენთაგან ბევრმა მუდმივ ძალადობისაგან თავის დასაღწევად არჩია მაჰმადიანობაში გადასვლა. მთელი ქიზიყი და ალაზნის გალმა მხარი საბოლოოდ გალეკებისა და გადაგვარების გზაზედ იყო დამდგარი. მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი, ისიც მომეტებულად თავად-აზნაურობა, ჯერ კიდევ მედგრად იცავდა მამა-პაპურ სარწმუნოებას და ეროვნებას. ჩრდილოეთი ნაწილი კახეთისა კი მთლად სიმაგრეებში იყო გახიზნული.

ერეკლე ბატონიშვილის პირველი გამოსვლა. აი ასეთი იყო ქვეყნის მდგომარეობა, როდესაც ფშაველთში გახიზნულმა თეიმურაზმა დაიწყო ფიქრი ხალხის გამოხსნაზედ. მას გვერდში უდგა ერთად-ერთი ძე მისი ერეკლე ბატონიშვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 15 წლისა, მაგრამ უკვე ქვეყნის გაჭირვებაზე მწვავედ ჩაფიქრებული. თეიმურაზი გამოეხმაურა ადგილ-ადგილ დარჩენილ კახელებს, თავისი შვილი ერეკლე ჩაგზავნა ალაეერდს, ხოლო თითონ კი მივიდა თელავს, სადაც დას-დასად შეიკრიბნენ მასთან მეომრები. საჭირო იყო ქიზიყისა და

გალმა-მხრისათვის ხელის გაწვდენა. რჩეულ მეომართა მცირე რაზ ახალგაზრდა ერეკლე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით თავს დაესხა ნეიშინის მინდორზე ქიზიყის წასახდენად წამოსულ ლეკის ჯარს და სასტიკად დაამარცხა ის (1733 წ.).

ეს იყო ახალგაზრდა ერეკლეს პირველი ლაშქრობა, რომელმაც იხსნა ქიზიყი და გალმა-მხარი მთლად წალეკისა და გადაგვარებისაგან. ამის შემდეგ იწყება სახელოვანი მოღვაწეობა ერეკლესი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის სიგრძეზედ, ხმლით ხელში, დარაჯად ედგა საქართველოს ერის უშიშროებას და მისი მშვიდობიან ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეს.

ნადირის გაძლიერება სპარსეთში. ამ დროს სპარსეთის საქმეებმა გამოკეთება იწყო. სპარსეთში აღმობრწყინდა დიადი სახელი ნადირისა, რომელმაც თავისი სამხედრო ნიჭით ერთხელ კიდევ აიყვანა ამ დროს მთლად დასუსტებული სპარსეთის ძლიერება უმაღლეს წერტილამდის. ის იყო თურქულ ტომის აფშარის მეთაური და შაჰ-თამაზის სამსახურში ითვლებოდა. თანდათან მან გაძლიერება იწყო სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში. 1728 წ. კი მან გაილაშქრა ავღანისტანს ავღანელების სამშობლო ქვეყნის დასამორჩილებლად, რის შემდეგ ბრძოლა შუაგულ სპარსეთსა და ისპაანში დამკვიდრებულ ავღანელებთან უფრო გაადვილდა. მართლაც, ავღანელების ბატონობა სპარსეთში მოისპო ისევე სწრაფად, როგორც მოულოდნელად მოხდა მათი 1722 წ. სპარსეთის მდიდარ დედა-ქალაქს ისპაანში შესვლა. 21 დეკ. 1728 წ. ნადირმა დაიპყრო ისპაანი და სპარსეთი ამ გვარად განთავისუფლებულ იქმნა ავღანთა მძლავრობისაგან. ამ გამარჯვების აღსანიშნავად ნადირმა შაჰ-თამაზისგან მიიღო სახელი თამაზ-ყული-ხანისა (ე. ი. თამაზის მონა).

ძლევა-მოსილი და სახელ-მოხვეჭილი ნადირი მიისწრაფოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებისაკენ. მალე მან ხანებთან შეთანხმებით გადააყენა შაჰ-თამაზი ტახტიდან (26 აგვ. 1732 წ.) და ყაენად გამოაცხადა მისი 6 თვის ვაჟი აბაზ III, რომლის რეგენტად და მაშასადამე ერანის ფაქტიურ მბრძანებლად თვითონ დაინიშნა.

ამის შემდეგ ნადირმა განაახლა ოსმალებთან ბრძოლა და 1733 წ. აიღო ბაღდადი. ოსმალეთმა ამის საპასუხოდ დაიწყო ჯარების დაგროვება ყარსის რაიონში აზერბეიჯანის საბოლოოდ დასაპყრობად და შემდეგ ამ გზით სპარსეთისაკენ გასალაშქრებლად. ნადირმა ამისდა მიხედვით თავისი მთავარი მოქმედება გადაიტანა ჩრდილოეთისაკენ და მოუახლოვდა საქართველოს. 1734 წ. მან უკვე დაიპყრო შირვანი და ცოტა ხნის შემდეგ მოადგა განჯას.

ნადირი იპყრობს ტფილისს. ნადირის გაძლიერებას გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ ქართლ-კახეთში, სადაც მისი დახმარებით ოსმალთა მძლავრებისაგან თავის დაღწევის იმედი ჰქონდათ. თეიმურაზ

კახ-ბატონი პირველი შეუთანხმდა სპარსელებს და აშკარად გამოვიდა ოსმალების წინააღმდეგ,

ამ დროს ისაყ-ფაშის ძემ უსუფ-ფაშამ გაგზავნა 6 ათასი კაცი ქიზიყზე განჯას შემომდგარ ნადირის წინააღმდეგ. თეიმურაზმა სპარსელების დასტურით და მათი სამხედრო მოქმედებათა გეგმასთან შეთანხმებით შეკრიბა 2 ათასი კაცი, დაეცა ოსმალთ და დაამარცხა ისინი. ამის შემდეგ მან კახეთის მმართველად დასტოვა ქიზიყის მოურავი, ხოლო თითონ კახ ეპისკოპოსებისა და თავადების თანხლებით მივიდა ნადირთან, რომელიც განჯის ციხეში 10—11 ათასი კაცით მდგარ ალი-ფაშას შემორტყმოდა. სპარსეთის რეგენტმა თეიმურაზი პატივით მიიღო და თავისთან დაიტოვა. ალი-ფაშა განჯაში 11 თვის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა სპარსეთის ჯარს. მას იმედი ჰქონდა ყარსის რაიონში დაგროვილ 120 ათასი ოსმალოს ლაშქრისა აბდულა-ფაშის წინამძღოლობით. მაგრამ 1735 წ. 8 ივნისს ნადირმა მდ. აბარან-ჩაიზე ალაგეზის მთის ახლოს სასტიკად დაამარცხა ოსმალების სერასკირი აბდულა-ფაშა, რომელმაც დაკარგა ამ ომში 40 ათასი კაცი და თითონაც მოკლულ იქმნა.

ამის შემდეგ აღმოსავლეთ კავკასიის ბედიც გარდაწყდა. ნადირი მიადგა ყარსს, ხოლო ამავე დროს ოსმალთ დასთმეს განჯა. აბდულა-ფაშის დამარცხებისთანავე ნადირ—თამაზ-ხანს გამოეგზავნა ტფილისისკენ სარდალი ასლამაზ-ხანი სპარსელების ჯარით. მას თან მოყვნენ ნადირთან მყოფი ქართველებიც. სპარს-ქართველნი დადგნენ კოჯორის ახლოს. ოსმალნი გამოეიდნენ ტფილისის ციხიდან და დაეცნენ მათ, მაგრამ დამარცხდნენ. ამასობაში სპარსელებმა აიღეს განჯა, რის შემდეგ ოსმალთა ჯარის უფროსმა ტფილისში ისაყ-ფაშამ და მისმა შვილმა უსუფ-ფაშამ უკან დასახევი გზის მოწყვეტის შიშით უმჯობესად დაინახეს მოლაპარაკების გამართვა ნადირთან ტფილისის უომრად დათმობის შესახებ. ისაყ-ფაშა თხოულობდა უვნებლად ოსმალთა ჯარის გაძევებას ტფილისიდან და ამასთანავე ჯარისთვის 300 ურმის თხოვებას. ნადირი დასთანხმდა ამ პირობაზე და ოსმალთა ჯარმაც დასცალა ტფილისი.

ოსმალთ მაგივრად ტფილისი დაიჭირეს სპარსელებმა სეფი-ხანის (ხანჯალ-ხანის) წინამძღოლობით.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველნი ოსმალებთან ბრძოლის დროს სპარსელების მხარეზე იყვნენ, ნადირი — თამაზ-ხანი ქართველ წარჩინებულთა მიმართ ქედ-მაღლურ და შეურაცხყოფით ტაქტიკას ადგა. ასე, მაგ., მან დაიბარა თავ.სთან გივი ამილახორი და მოსთხოვა მას ცოლად ქალი, და როდესაც მისგან უარი მიიღო, ბრძანა მისი შეპყრობა. გივი იძულებული გახდა თავისი ქალი დაებარებინა და მიეცა ის თამაზ-ხანისათვის, მაგრამ ქართლში დაბრუნების ნება-რთვა გივმა ამის შემდეგაც მხოლოდ დიდი დაგიდარაბის შემდეგ მიიღო.

ტფილისის დაჭერის შემდეგ თამაზ-ხანმა დაიბარი თავისთან ერეევნის

ახლოს კახ-ბატონი თეიმურაზ, ძმისწული მისი ძე იმანყულისა ალექსანდრე —ალი-მირზა და ქართლ-კახეთის თავადები--ქისიყის მოურავი აბელი, მუხრან-ბატონი მამუკა, გივი ამილახორი, ალიყული-ბეგ ამირეჯიბი. აქ მან დანიშნა ქართლ-კახეთის ბატონად ბატონიშვილი ალექსანდრე--ალი-მირზა, რომელსაც გამოატანა სარდალი ასლამაზ-ხან სპარსელების ჯარით და ალიყული-ბეგ ამირეჯიბიც, დანარჩენნი კი და მათ შორის კახ-ბატონი თეიმურაზიც თავისთან დაიტოვა.

ასლამაზ-ხანი, რომელიც იყო ორბელიშვილთა გვარისაგან, მაჰმადიანობაში აღზრდილი, ძე მაჰმად-ალი-ხანისა, მიჩენილი იყო მეფესთან ქართლ-კახეთის ფაქტიურ მართველად, ის ითვლებოდა საქართველოს ბეგლარბეგად, ამირეჯიბი კი დანიშნული იყო ქართლ-კახეთის ვექილად.

ალექსანდრე—ალი-მირზა ქართლ-კახეთის მეფედ. ახლად დანიშნულს მეფეს დავალებული ჰქონდა ქართლ-კახეთიდან დიდძალი ხარკის მოკრება და ამასთანავე თამაზ-ხანისთვის ჯარის გაგზავნა. ალი-მირზა სპარსელების ჯარის დახმარებით მხნედ შეუდგა დავალებულ საქმის შესრულებას. ტფილისში მან მოაკრებინა ფულად 8 ათასი თუმანი, სახასო სოფლებიდან კიდევ 3 ათასი თუმანი და 10 ათასი კოდი პური, შემდეგ შეკრიბა ქართლ-კახეთიდან 2 ათასი მოლაშქრე და გაგზავნა სპარსეთის რეგენტთან. ნადირი—თამაზ-ხანი საჭიროებდა დიდძალ ნივთიერ საშუალებათ და ცოცხალ ძალასაც იმ ხანგრძლივ და მეტად ომიანობისთვის, რომელსაც ის აწარმოებდა ოსმალეთთან და ეს იყო მიზეზი ასეთ დიდ მოთხოვნილებების წარდგენისა ქართლ-კახეთისათვის, მაგრამ მეორეს მხრივ გალატაკებულ ქვეყნისთვის ასეთი გარდამეტებულ მოთხოვნილებათა შესრულება მეტისმეტად საძნელო იყო. ამიტომაც ქართლ-კახეთის მოწინავე პირთა შორის დაიწყო მითქმა-მოთქმა სპარსელების მიერ შექმნილ რეჟიმის აუტანელობის შესახებ. უნდობლობაც თამაზ-ხანისადმი თანდათან იზრდებოდა. ასე, რეგენტმა ბოლოს დაითხოვა თავისგან კახბატონი თეიმურაზი, მაგრამ წინადადება მისცა მას საცხოვრებლად ტფილისში გადასულიყო და თან ჩაეყვანა კახეთის წარჩინებულთა ოჯახებიც. თეიმურაზი აპირობდა რეგენტის წინადადების შესრულებას, მაგრამ კახეთის თავადებმა გადაჭრით უარი განაცხადეს თავიანთ ოჯახების ტფილისში ჩაყვანაზე. მაშინ თეიმურაზი და კახეთის თავადები გაიხიზნენ ფშავში.

ასეთი იყო სულიერი განწყობილება ქართლ-კახეთში, როდესაც 22 სექტ. 1735 წ. ნადირმა აიღო ყარსი, ხოლო იმავე წლის 6 ოქტომბერს ის დიდის ამბით შემოვიდა ტფილისს, სადაც მას მიეგებნენ ქართლის თავადები. მოქალაქეთ გაუშალეს ძლევა-მოსილს ნადირს ფიანდაზი ციხის კარიდან დაწყებული სასახლის აივაყაფის ჩარდახამდის.

ნადირს უნდოდა პირადად, თავისი საკუთარ ზრახვათა მიხედვით, მოწყობა ქართლ-კახეთის საქმეებისა. მას თან მოჰყვა დიდი ჯარი და მრა-

ვალი ხანი. სეფი-ხანი დამტკიცებულ იქმნა სპარსეთის მთავრობის წარმომადგენლად ქართლ-კახეთში.

ნადირის მოქმედება ქართლ-კახეთში. ნადირის ტფილისისკენ წამოსვლის დროს უკვე საკმაოდ გამოირკვა სპარსეთის რეგენტის გეგმა. მას განზრახვა ჰქონდა ქართლი საბოლოოდ სპარსეთისათვის შემოემტკიცებინა, თუნდაც ამისათვის საჭირო გამხდარიყო მოსახლეობის აყრა და გადასახლება. ამისდა მიხედვით განზრახული იყო ახლად დანიშნულ ქართლის მართველის უფრო მჭიდრო დამოკიდებულებაში მოქცევა როგორც სპარსეთის უმაღლეს ხელისუფალთაგან, ისე კერძოდ ერევნის ბეგლარბეგისაგან, ვიდრე ეს წინად იყო. ამით აიხსნება, რომ ქართლის თავი-კაცები, რომელნიც პირველად ეახლნენ ნადირს, ეხლა მწვავედ უკმაყოფილო იყვნენ ოსმალების მაგივრად ახალი ბატონების მოსვლით და სპარსეთის რეგენტს წაუვიდნენ. გივი ამილახორი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თამაზ ხანი ტფილისისკენ მოემართებოდა, გაპაროდა მას გზად სომხითიდან და საამილახვროში წასულიყო. ასევე წასვლოდენ მას მამუკა მუხრან-ბატონი და ქართლის სხვა თავადები. გივი ამილახორი გადავიდა იმერეთს, მუხრან-ბატონი წავიდა რუსეთს. სხვა თავადები — ქსნის ერისთავი შანშე, არაგვის ერისთავი ბარძიმ და მათი მომხრენი აგრეთვე არ ემორჩილებოდნენ ახალს რეჟიმს. ნადირმა გაუსია ჯარები ქართლს, 4 ათასი კაცი გაგზავნა ზემო-ქართლს, 4 ათასი საციციანოს. ამ ჯარებმა დააქციეს გორის ციხე, მოწვეს, მოაოხრეს ქვეყანა და წამოასხეს ტყვით ქართლის სხვადასხვა ნაწილებიდან 1300 კომლი და კიდევ 6½ ათასი ტყვე. უველა ესენი წაიყვანეს სპარსეთში დასასახლებლად.

მცხოვრებთა დიდი აყრა ნადირის მიერ. ქართლმა ამ გვარად ნადირის მძლავრების გამო დაჰკარგა თვალსაჩინო ნაწილი თავისი მოსახლეობისა. ასეთივე ზარალი ხვდა წილად კახეთსაც. ქართლის აოხრების შემდეგ ნადირი გადავიდა კახეთს, რადგან კახი თავადები და წარჩინებულნი მის წინაშე გამოცხადებაზე უარს ამბობდნენ და თეიმურაზთან ერთად თავიანთ ოჯახობით გახიზნულიყვნენ. სპარსელებმა მაშინ აყარეს აუარებელი სული გალმა-მხარს და ალაზნის გამოღმაც და წაასხეს ხვარასანს. კახეთიდან სპარსეთის რეგენტი გაემართა ჰარს, აოხრა ის და მივიდა შამახას (1735 წ.).

იმავე წლის ნოემბერს აყარეს კიდევ თიოთქმის მთლად კახეთის თათრის ელი, რომელიც იერის პირად ბინადრობდა, 12 ათას კომლამდის, აგრეთვე ელი ქართლისა, ამას მიუმატეს ერევნის და ყარსის მხარიდან, ყაიყულიდან და ბამბაკიდან აყრილი ხალხი და უველა წაასხეს აგრეთვე ხვარასანს.

ნადირის შაჰად გამოცხადება. საზამთროდ ნადირი დადგა მუღანს, სადაც ნოვრუზის დღესასწაულისათვის (3 თებერ. 1736 წ.) შეიკრიბნენ მიწვეულნი სპარსეთის წარჩინებულნი, ხანები თავისი ამალებით და ჯარი, სულ 100 ათას კაცამდის. იქვე იყვნენ მეფე ალი-მირზა, ქართვე-

ლი ბატონიშვილები და თავადები. ნოვრუზის დიდის ამბით გარდახდის შემდეგ ისპაანიდან მოვიდა ცნობა მკვირე-წლოვან შაჰ-აბაზ III-ის გარდაცვალების შესახებ. როგორც ამბობდნენ, ეს სიკვდილი განგებ იყო მოწყობილი ამ დროისათვის ნადირის მიერ. რადგანაც სეფიანთ დინასტიის წევრი მეტი არავინ იყო, ამიტომ ხანებმა შაჰად ამოარჩიეს თვით ნადირი, რომელმაც 26 თებერვალს დაიდგა კიდეც თავს შაჰის გვირგვინი.

თავადების ბრძოლა შაჰ-ნადირის პოლიტიკის წინააღმდეგ. შაჰ-ნადირი ესწრაფოდა ერთის მხრივ სპარსეთის ბატონობის უზრუნველყოფას ალმ. საქართველოში და მეორეს მხრივ რაც შეიძლება მეტი სარგებლობის გამორჩენას ქართლ-კახეთიდან სპარსეთის ინტერესებისათვის. ნადირი გაბმული იყო მუდმივ ომებში და ამისთვის საჭირო ნივთიერი სახსრის საშოვნელად აწერდა დიდს ხარკს დამორჩილებულ ქვეყნებს. გვირგვინის თავს დადგმის შემდეგ შაჰ-ნადირმა გამოუშვა მასთან მისულნი ქართველნი და თან მოაყოლა ბრძანება ქართლზე 3,300 თუმნის ხარკის გაწერის შესახებ. ამასთანავე ქართლს უნდა გამოეყვანა ტფილისში დასაყენებლად ხუთასი ნოქარი ცოლ-შვილიანად თავისი ცხენ-იარაღით. ოსმალთა ბატონობით გაღარიბებულ ქართლს, მით უმეტეს ნადირის რეგენტობის დროს გამოვლილ აოხრებათა შემდეგ. ამდენი ხარკის გარდახდა ეხლა არ შეეძლო და ამიტომ ქსნის ერისთავი შან შე, გივი ამილახორი და ზემო-ქართლის თავადები, ვახუშტი აბაშიძე და სხ. გადადგნენ. კახეთს დაბრუნებული თეიმურაზ კახ-ბატონიც უკმაყოფილო იყო სპარსელებით: ალექსანდრე—ალი-მირზას დაწინაურება მისთვის სასიამოვნო არ იყო. ქართლის თავადებმა დაუწყეს მოლაპარაკება ხარკის შემცირების შესახებ ტფილისის სეფი-ხანს, მაგრამ ეს უკანასკნელი არავითარ დათმობაზედ არ მიდიოდა. ქართლის ერთმა ნაწილმა აჩრია მაინც სპარსელებს მიკედლებოდა. არაგვის ერისთავი ბარძიმი, საციციანო და საბარათიანო სეფი-ხანს მოურიგდნენ. მაშინ სეფი-ხანმა რამდენჯერმე გაუსია ჯარი ქსანს და სამჯერ საამილახვროს, მაგრამ ვერას გახდა. ასევე უშედეგოდ ჩატარდა სპარსელებისთვის ვახუშტი აბაშიძეზე გალაშქრება ვახანის მიმართულებით. ვახუშტიმ თავისი საბატონოს რაზმით დაამარცხა 2 ათასი კაცისაგან შემდგარი სეფი-ხანის ჯარი და დახოცა მრავალი. თვით სეფი-ხანმა ლტოლვით უშველა თავს. ორასი შეკაზმული ცხენი, სხვათა შორის, დარჩა აბაშიძეს ნადავლად.

ამ პარა ბრძოლით ამ გვარად სპარსელებისთვის არაფელი გამოდიოდა და სეფი-ხანმაც არჩია მოტყუებით განსაცდელისაგან თავის დაღწევა. მან გამართა მოლაპარაკება ქართლისა და კახეთის წარჩინებულებთან და აგრეთვე თეიმურაზ კახ-ბატონთან და მოიწვია ისინი გორს. აქ ხანმა შეიპყრო თეიმურაზი, არაგვის ერისთავი ბარძიმ, გივი ამილახორი, კახეთის სახლთუხუცესი გივი ჩოლაყაშვილი და სხვანი და გაგზავნა ისინი ტფილისის ციხეში, ხოლო იქიდან სპარსეთს ისპაანს შაჰ-ნადირთან.

ამ ამბების მიღებისთანავე ნადირმა ქართლის მეფედ დასვა აბდუ-

ლა-ბეგ (არჩილ), ძე იესე მეფისა, ხოლო კახეთის გამგედ დანიშნა ქართლისა და კახეთის გამგედ ნამყოფი ალი-მირზა, კახი ბატონიშვილი.

მიუხედავად მიღებულ ზომებისა, ქართლში გაძლება სპარსელებისათვის მაინც ძნელი იყო. სპარსთა წინააღმდეგ მოძრაობა არ ნელდებოდა. სპარსელების მთავარი ყურადღება ეხლა მიპყრობილი იყო ქსნის ერისთვის შანშეს დამორჩილებაზე, რადგან დარჩენილ თავადებს შორის ის ყველაზედ უფრო მეტს წინააღმდეგობას უწევდა ტფილისის ხანს სეფის. სეფი-ხანმა დიდის ჯარით რამოდენჯერმე დალაშქრა ქსნის საერისთაო და იმდენად შეავიწროვა ქსნის ერისთავი, რომ ის იძულებული გახდა რუსეთს წასულიყო. შანშეს უნდოდა რუსის მთავრობისაგან რაიმე დახმარება მიეღო, მაგრამ მისი მგზავრობა ამ მხრივ უშედეგოდ ჩატარდა და შანშეც ეპირებოდა ისევ თავისს საერისთაოში დაბრუნებას.

შანშეს რუსეთში ყოფნის დროს ქსნის საერისთაოს სათავეში ედგა ძმა მისი იესე. სეფი-ხანმა დიდის ჯარით გაილაშქრა მის წინააღმდეგ, აიღო იკორთის ციხე, ვანათის და კულბითის ციხე და შემდეგ გადავიდა ზემო-ქართლის სხვა ნაწილებშიც. სპარსელების ჯარი მოედო მთელს ქართლს. იესე ვერ დადგა საერისთაოში და თავისი ცოლშვილით ივლტოდა კახეთისაკენ. ბაზალეთის ტბის ახლოს იესეს ცოლშვილს შეეყარა ამ დროს აქ სანადიროთ წამოსული უთრუთ არაგვის ერისთვის შვილი მასთან სტუმრად მყოფ წარჩინებულ სპარსელებთან ერთად. არაგვის და ქსნის ერისთვის სახლს შორის ამ დროს მტრობაც არსებობდა. უთრუთმა ნება მისცა თავისს თავს თავისს მეგობარ სპარსელთან ერთად იესეს ცოლზე ძალადობა ეხმარა. ეს ამბავი მსწრაფლ გახმაურდა მთელს ქართლ-კახეთში და მიაღწია შანშეს ყურამდისაც რუსეთში. შანშე მაშინვე გამოეშურა საერისთაოსკენ, შეკრიბა თავისი ჯარი, მოიწვია ლეკთა ბელადები დიდის ჯარით, რომლის რიცხვი 12 ათასამდის აწევდა და თავს დაესხა ანანურის ციხეს, არაგვის ერისთვიანთ ადგილ-სამყოფელს. მედგარ ბრძოლის შემდეგ ციხე აღებულ იქმნა. შიგნით მყოფნი დახოცილ იქნენ, კერძოდ არაგვის ერისთვიანთ ოჯახიდან შანშეს ბრძანებით ამოწყვეტილ იქმნენ ყველანი ციხეში მყოფნი.

ასე სასტიკად დაზარალდა არაგვის ერისთავთა სახლი.

არაგვის ერისთვის სახლის ამ გვარმა ამოწყვეტამ აიძულა სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელნი ტფილისში ენერგიული ზომები მიეღოთ შანშეს წინააღმდეგ, მით უმეტეს რომ ანანურის აღების შემდეგ ლეკის ჯარი მოედო ქართლის სოფლებს, მისი მთავარი ნაწილი შეეყარდა სომხითში და აოხრა ის. სეფი-ხანმა რამოდენჯერმე გაგზავნა ჯარი თავისი პირადი თუ სხვათა წინამძღოლობით ამ ლეკების წინააღმდეგ, რომელნიც ნაწილ-ნაწილ დამარცხდნენ. სპარსელების ჯარი მიუხტა შანშესაც მის საერისთაოში, დაანგრია კულბითის ციხე და შემოადგა ვანათის ციხეს, მაგრამ მიუხედავად დიდი ზარალის ნახვისა ვერ აიღო ის და ხელცარიელი დაბრუნდა უკან.

შანშე ამ გვარად უვნებლად დარჩა და სეფი-ხანის ბრძოლაც ქართლის თავადებთან კლავინდებურად გრძელდებოდა. ამის გამო ყიზილბაშ-სეფილებაც სპარსელებისადმი კიდევ უფრო იზრდებოდა. ასე რომ სეფი-ხანი მალე იძულებული შეიქმნა თვით ქართლის გამგე აბდულა-ბეგი დაეჭირა და სპარსეთში გაეგზავნა. შემდეგ გაგზავნილ იქმნენ სპარსეთში სხვა თავადებიც, მათ შორის ოთარ ამილახვრის შვილი, სარდალი ქაიხოსრო ორბელიშვილი, ლორის მელიქი ფარსადან, სომხითის მელიქი ბაადური. ამით ტფილისში მყოფი სპარსელების ხანი ფიქრობდა შაჰ-ნადირის ძალა-უფლების განმტკიცებას მთელს ქართლში.

ერეკლე ბატონიშვილის ნადირ-შაჰთან გაწვევა. ნადირ-შაჰმა როგორც პირველის, ისე მეორე გაგზავნის შემდეგ სპარსეთს მისულნი კახ-ბატონი თეიმურაზი და ქართლელ-კახნი პატივით მიიღო და თან წაიტანა სალაშქროდ ყანდაარს ავღანისტანს. აქ შაჰმა თეიმურაზს განუცხადა: შენი შვილი ერეკლე დაიბარე და რა ის ჩამოვა, შენ მაშინ დაგითხოვო. ამ ამბის მიღებისთანავე ერეკლე ბატონიშვილი წავიდა სპარსეთს და მივიდა ყანდაარს მაშინ, როდესაც შაჰ-ნადირს ეს ციხე უკვე აეღო. შაჰს ეხლა, აღმოსავლეთში დიდი ლაშქრობისა გამო, გარდაწყვეტილი ჰქონდა ქართველების შერიგება და ამიტომ მან ერეკლე თან იახლა, ხოლო თეიმურაზი და მასთან მყოფნი ქართლელ-კახნი სამშობლოში დააბრუნა. ყანდაარიდან ნადირმა გაილაშქრა ინდოეთს და ერეკლეც თან წაიყვანა.

ნადირ-შაჰის ინდოეთს გალაშქრება. ინდოეთში გალაშქრება ნადირ-შაჰისთვის აუცილებელი იყო ავღანისტანის შემოსამტკიცებლად, რადგან ინდოეთის დიდი მოგოლთა იმპერია მოაჯანყე ავღანელთა წაქეზებით მუდმივ საფრთხეს უმზადებდა ამ მხრიდან სპარსეთს. 1730 ათასი კაცით ნადირ-შაჰმა გადალახა ინდოეთის საზღვარი, აიღო ქაბული და 6 თვის ლაშქრობის შემდეგ უახლოვდებოდა დიდ მოგოლთა სატახტო ქალაქს დელის. კურნალის ომში მან 120 ათასი კაცით სასტიკად დაამარცხა ინდოელთა 340 ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი და თვითონ დიდი მოგოლი მამედ-შაჰიც ტყვედ შეიპყრო (1738 წ.). ამავე წლის მარტში ნადირ-შაჰი შეეიდა ქალაქ დელში, სადაც ზავის პირობების თანახმად აიღო ნადავლად აუარებელი სიმდიდრე. მარტო ფულად აღებულ იქმნა 300 მილ. რუპი, ურიცხვი სიმდიდრე დიდ მოგოლთა დინასტიისა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი, ჩაუვარდა ხელში სპარსეთის მბრძანებელს. მისსავე ხელში გადავიდა აგრეთვე ყველა დიდ მოხელეების, კარის-კაცების და აგრეთვე მცხოვრებლების განძეულობა. ყველა ამ სიმდიდრის წამოღებას, გარდა ძვირფასი ქვებისა, დასჭირდა 13 ათასი ცხენი და ჯორი, მთელი ნადავლი კი შეფასებული იყო მაშინდელი ღირებულობის მიხედვით 440 მილ. მანეთად.

მთელი ამ ლაშქრობის დროს ნადირს თან ახლდა ახალგაზრდა ერეკლე ბატონიშვილი, თეიმურაზის შვილი, ქართველების ჯარით. დელიდან ნადირ-შაჰის ლაშქრობა აღანისტანსა, ინდოეთში და საზო-

გადოდ აღმოსავლეთში გაჯარაჟელდა ორს წელიწადს. ეს საკმაოდ გრძელი ხანა, რომელიც დაჰყო ერეკლემ ნადირ-შაჰთან, ჩინებული შკოლა იყო ბუნებით ნიჭიერ და მხნე მეომარ ბატონიშვილისათვის. ნადირ-შაჰის მოწაფეობამ სახელი გაუკეთა მას და ეს იყო სწორედ მიზეზი, როდესაც აღა-მაჰმად-ხანი, 1795 წელს საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული, შიშიანობდა ქართველებთან შებმას ტფილისის გალავნის ქვეშ და ამბობდა: „მე კარგად ვიცი, ერეკლე-ხანი ნადირ-შაჰის მოწაფეა და რამე მახეს დამიგებსო“. ნადირ-შაჰი ძლიერ მადლიერი იყო ერეკლესი მისი სიმხნისა და ერთგულობისათვის და ინდოეთში ლაშქრობის გათავების შემდეგ მაისში 1739 წ. გამოუშვა ის საქართველოში. იმავე წლის დეკემბერში ერეკლე მშვიდად კახეთს.

თეიმურაზი კახეთის ბატონად და სპარსელები ქართლში. ამ გვარად თეიმურაზი და ერეკლე დარჩნენ სპარსეთის მთავრობის მხარეზე. თავისი ერთგული სამსახურით თეიმურაზმა და ერეკლემ შაჰ-ნადირის გული მოიგეს და კახეთი ეხლა შედარებით მოსვენებით იყო თავისი მემკვიდრე მებატონის ხელში.

უფრო რთულ მდგომარეობაში იყო ქართლი, რომელსაც მართავდა შაჰის მიერ დაყენებული სპარსელი ხანი. ეს ხანი ხშირად იცვლებოდა. სეფი-ხანის შემდეგ ქართლის მართველად 1738 წ. დაინიშნა განჯის ხანი უღული-ხან, რომელიც მალე მოჰკლეს ლეკებთან ბრძოლაში და სეფი-ხანი ისევ შეუდგა ქვეყნის მართვას. მას მხარში უდგა საქართველოს ბეგლარბეგად მყოფი ასლამაზ-ხან ორბელიანი, შვილი მაჰმად-ალი-ხანისა. ასლამაზის სიკვდილის შემდეგ 1740 წ. ქართლში ნაიბად დანიშნულ იქმნა ხვარასნელი იმამ-ყული-ხანი. ქართლის მეფედ კი კვლავინდებურად ითვლებოდა არჩილ—აბდულაბეგი, ძე იესე მეფისა, მაგრამ მისი ძალა-უფლება ფრიად შეკვეცილი იყო და ფაქტიურად ქართლ-კახეთის ბედი ნაიბის ხელში იყო. ეს ქართლის გამგე ხანი—ნაიბი იჯდა ტფილისში და განაგებდა ქვეყანას, მაგრამ ქართლის დიდი თავადები კვლავინდებურად წინააღმდეგობას უწევდნენ სპარსეთის მთავრობის პოლიტიკას და არ ემორჩილებოდნენ მას. რადგანაც საკუთარი ძალით ბრძოლა ძნელი იყო, ამიტომ თავადები ოსმალებსა და ლეკებს იშველიებდნენ სპარსელების წინააღმდეგ. ხანი თავის მხრივაც ენერგიულ ზომებს ღებულობდა სპარსეთის მფლობელობის განსამტკიცებლად და ბოლოს-და-ბოლოს ქვეყანა აოხრებას განიცდიდა როგორც სპარსელების, ისე ოსმალებისა, ლეკებისა და ამათი მომწვევ ქართლის მსხვილ თავადების მხრივ. სპარსეთის მთავრობა ამასთანავე ცდილობდა თავადების ძალის დაქსაქსვას —ერთის მხრივ ცალკე ურჩ ფეოდალთა შემუსვრით, ხოლო მეორეს მხრივ ზოგ გავლენიან თავადების მიბირებით.

ქსნის ერისთავის დასჯა. ამ დროს ქართლის წარჩინებულთა შორის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდათ ქსნის ერისთავს შანშეს და გივი ამილახორს. ქსნის ერისთავს სპარსეთთან დამოკიდებულობა საბო-

ლოოდ გაფუჭებული ჰქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც სპარსელების ლაშქრობა მის წინააღმდეგ სეფი-ხანის, ასლამაზ-ხანის და იმამყული-ხანის გამგებლობასა და ხელმძღვანელობის ქვეშ არსებითად უშედეგოდ ჩატარდა. ენერგიული და მხნე შანშე ერისთავი ძალიან დიდს საფრთხეს წარმოადგენდა სპარსელების ბატონობისათვის ქართლში და ამიტომ სპარსეთის მთავრობამ მოინდომა შანშესთვის გივი ამილახორის დაპირდაპირება.

შანშეს ალაგმვა სპარსეთის მთავრობისთვის მით უფრო საჭირო იყო, რომ ამ დროს ქართლში უკმაყოფილება სპარსელებისადმი არაჩვეულებრივ ვითარდებოდა. სპარსეთის მთავრობას მოეხდინა ქართლის აღწერა და ყველა დამუშავებულ მიწებზე გაეწერა დიდი გარდასახადები—თითო ვაზზე ერთი ბისტი, თითო ხილის ხეზე შაური, კაცის სულზე კიდევ ორი მინალთუნი. ასევე გარდასახადი გაწერილი იყო პირუტყვზე, ბოსტანზე და აგრეთვე საზოგადოდ ყოველგვარ შენობაზე. ამ გარდასახადების ატანა ხალხისთვის შეუძლებელი იყო. ამიტომ სპარსეთის მთავრობის შიშით ბევრი სოფელი დაცალიერდა, ბევრი კიდევ, ხარკისაგან თავის გასანთავისუფლებლად, თავისი ხელით კაფავდა ვენახებს და ბაღებს.

ასეთს გაჭირვებულს დროს სპარსეთს გაემგზავრნენ სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი და გივი ამილახორი ნადირ-შაჰისთვის ქართლის უმწეო მდგომარეობის გასაცნობად. ნადირ-შაჰმა მოითხოვა შანშეს შეპყრობა, ქსნის საერისთაო უბოძა გივი ამილახორს, რომელსაც თან გამოატანა 4 სულთანი 6 ათასი კაცით—ამ ჯარში, სხვათა შორის, ინდოელებიც იყვნენ—და შემდეგ უკან გამოისტუმრა. ქართლის ნაიბი იმამყული-ხანი ამასთანავე აყვანილ იქმნა ქართლის ბეგლარბეგის ხარისხში.

გივი ამილახორის ქართლში დაბრუნებისთანავე სპარსელების ჯარი მისი წინამძღოლობით წავიდა ქვეყნის ოხრებით შანშეს წინააღმდეგ, შეიპყრა ცოლშვილი მისი და მისი ძმებისა, თვით შანშემ კი მოახერხა ახალციხეს გაქცევა. ამავე ჟამს ტფილისს მოვიდა იმერეთის მეფე ალექსანდრე, რომელიც ლიხთ-იმერეთის მთავრებს ტახტიდან გარდაეგდოთ და ამ ჟამად ასიოდე კაცის თანხლებით სპარსელებს შეხვეწოდა. ალექსანდრემ სთხოვა დახმარება შაჰ-ნადირს ოსმალების წინააღმდეგ. ამით ისარგებლა უაენმა და მოსთხოვა ახალციხის ფაშას შანშეს მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა ალექსანდრე მეფისთვის დახმარების გაწევას. ფაშა იძულებული გახდა შანშე დაეთმო. ის გაგზავნეს ხორასანს, მაგრამ გზაზედ, გაპარვის ცდის შემდეგ, შეიპყრეს და თვალების დათხრით დასაჯეს.

გივი ამილახორი—ქართლის ვექილი. ჯერ კიდევ შანშეს შეპყრობამდის სპარსეთის მთავრობამ დააწინაურა გივი ამილახორი. მას მისცეს ქსნის საერისთაო და დანიშნეს ქართლის ვექილადაც ასი თუმნის ჯამაგირით. სპარსეთის მთავრობა ცდილობდა სხვა თავადების მობირებასაც. მდივანბეგი ქაიხოსრო ორბელიანი დაინიშნა ქართლის პირველ

ვექილად 200 თუმნის ჯამაგირით. ასევე ქართლის ყველა გავლენიან თავადებს მიეცათ სახელოები ჯამაგირით. თვით არჩილ—აბდულაბეგი ხელეხლავ დამტკიცებულ იქმნა ქართლის გამგედ 300 თუმნის ჯამაგირით.

გივის მდგომარეობა ქართლში საკმაოდ მტკიცე იყო, მით უმეტეს რომ არაგვის ერისთავი ბეჟანიც მას შემობირებული ჰყავდა. ქართლის ვექილად დანიშვნის შემდეგ ის ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ქართლის საქმეების მოსაგვარებლად, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართლში მშვიდობა მაინც არ დამყარდა. ამისი ერთი მიზეზთაგანი იყო ის გარემოება, რომ შაჰ-ნადირი თავისი ხშირ ლაშქრობათა გამო იძულებული იყო ხალხისათვის ისეთი მოთხოვნილებანი წამოეყენებინა, რომელიც აღემატებოდა ქვეყნის გარდამხდელობის შესაძლებლობას. გარდა ამისა შაჰ-ნადირი ამ დროს აწარმოებდა ლეკების წინააღმდეგ დაღისტანში დიდს ლაშქრობას, რაც არაჩვეულებრივს მსხვერპლს ითხოვდა არა მარტო ჯარის მიცემით, არამედ სურსათის და მის გადასატან საშუალებათა დამზადების სახით. მარტო ერთგზობისას სურსათის გადასატანად დაღისტანში მომქმედ ჯარისათვის სპარსელებმა მოითხოვეს 3 ათასი უღელი ხარი, რომელიც არ დაუბრუნებიათ, 2 ათასი ურემი კიდევ სხვა იქმნა გაგზავნილი, 300 ათასი კოდი პური ცალკე გაიგზავნა. ამას გარდა ქვეყანას მრავალი ახალი გარდასახადები, რომლის გარდახდა მცხოვრებთ ვერ შესძლეს, რის გამო ქართლიდან მრავალი აიყარა და ახალციხის საფაშოში და სხვა მეზობელ მხარეებში გარდასახლდა.

გივი ამილახორის აჯანყება. ქართლის ვექილი გივი ამილახორი ფრიად უკმაყოფილო იყო სპარსელების ქცევით. ამ დროს მას წარუდგინეს ახალი მოთხოვნილება 600 ქალ-ვაჟისა, 500 კომლი კაცისა და 200.000 კოდი პურის წარდგენის შესახებ. ეხლა კი მრავრმინებიდგან გამოსულმა გივმა განიზრახა სპარსელების წინააღმდეგ გამოსვლა. გივს შემომტკიცებული ჰყავდა არაგვის ერისთავის გარდა ზემო-ქართლის თავადებიც. კახ-ბატონს თეიმურაზს წინადადება მისცეს აჯანყებას მიმხრობოდა, მაგრამ მან უარი განაცხადა. მაშინ გივი ამილახორმა ტფილისის ხანს შეაგულიანა დაღისტანზე გალაშქრება, თითონ კი ტფილისიდან შიდა-ქართლს გაიქცა (11 აპრილს 1742 წ.) და სპარსელების წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალა.

თეიმურაზი სპარსელების მხარეზე დგება და იპყრობს არაგვის საერისთაოს. როდესაც პირველად ნადირ-შაჰს ამბავი მოუვიდა ხარკის და სურსათის შეუკრებლობისა და ამის შესახებ ამტყდარ უკმაყოფილების შესახებ, მან პირველად მოინდომა მშვიდობიანად ამ ამბავის ლიკვიდაციის მოხდენა. გივის შეუთვალეს პატივება და დაიბარეს სპარსეთს, მაგრამ სპარსეთში წასვლაზე მან გადაჭრით უარი განაცხადა. მაშინ ნადირ-შაჰმა დაიბარა ტფილისიდან ქართლის ბატონად დანიშნული არჩილ—აბდულა-ბეგი, სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი და სხვანი თავი-

კაცნი. ამათ ჩასვლისას შაჰმა აპატივა ხარკი ეკლესიას, საქვეყნო გარდასახადიც ფრიად შეამცირა და ყველა თავი-კაცები ისევ უკან დააბრუნა.

ამასობაში ქართლი კვლავინდებურად განიცდიდა აოხრებას. ტფილისის ხანი წასულიყო შიდა-ქართლს და გორს მისულიყო, საიდანაც მოლაპარაკება დაეწყო ზემო-ქართლის თავადებთან. მაგრამ ამ მოლაპარაკებიდან არა გამოსულიყო რა, რადგან სპარსელებს უპირველეს ყოვლისა გაწერილი ხარკის მიცემა მოეთხოვათ. ამ მიზეზით ხანის ბანაკიდან გაიპარნენ ის საპატიო კაცნიც, რომელნიც პირველად ხანთან მისულიყვნენ. მაშინ ხანმა გაუსია ჯარი სოფლებს, აიღო კასპის-ციხე და დიდძალი ტყვით დაბრუნდა ტფილისს.

მდგომარეობა ამ გვარად ქართლში არ უმჯობესდებოდა. გივი ამილახორმა შემოიბირა ლეკთა ბელადები და სპარსელებთან ბრძოლის დროს ლეკებს იხმარიებდა. ამ ლეკის ჯარის რიცხვი ხანდახან 7 ათასამდის აღწევდა. ლეკნი ფრიად დიდს დახმარებას უწევდნენ გივს, მაგრამ ქვეყანასაც თავისი მტაცებლობით ძალიან დიდს ვნებას აძლევდნენ. შიდა-ქართლი გახდა ლეკებისთვის ახალ შიგნითი ბაზად, საიდანაც ისინი დროგამოშვებით აწყობდნენ დაკვრას აღმ. საქართველოს რომელიმე პროვინციაზე. გახშირდა ისევ ლეკთა თარეშები, ქართლში ცხოვრება მათგან მეტისმეტად გაჭირდა. ბევრი სოფელი განადგურებულ და გადაბუგულ იქმნა, მრავალი ხალხი ტყვედ იქმნა წაყვანილი. ლეკთა თარეშები ამასთანავე ფრიად აწუხებდნენ შირვანს, განჯას და მათი მიმდგომ მხარეებს და ამიტომ სპარსეთის მთავრობა მტკიცე ზომებს ღებულობდა ლეკთა ასალაგმავად. სპარსელები ლაშქრობდნენ დაღისტანში და ცდილობდნენ ლეკების საფრთხის მთლად მოსპობას. ნადირ-შაჰი ხშირად პირადად ხელმძღვანელობდა დაღისტანზე გამართულ ლაშქრობას, მაგრამ დაღისტნის ტომთა საბოლოო დამორჩილება, მთიან ადგილებში ბრძოლის წარმოების სიძნელისა გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა. კერძოდ ქართლ-კახეთისთვის ამ ლაშქრობას მეტად მძიმე შედეგები ჰქონდა, რადგანაც რაც უფრო აშკარავდებოდა დაღისტნელთა წინააღმდეგობის უნარის სიძლიერე, მით უფრო აუტანელი ხდებოდა სპარსეთის მთავრობის მიერ ქართლ-კახეთისადმი ხშირ-ხშირად წარდგენილი მოთხოვნილებანი სურსათისა, ხარ-ურემის თუ ტყვეების მიცემის შესახებ. ეს გარემოება კი ზრდიდა უკმაყოფილებას სპარსელებისადმი ქართლ-კახეთში. ამ უკმაყოფილებით მოხერხებულად სარგებლობდა გივი ამილახორი სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად.

ასეთს პირობებში სპარსეთის მთავრობა შეეცადა ქართლ-კახეთში თავისი პრესტიჟის ასამაღლებლად დაყრდნობოდა თეიმურაზ კახ-ბატონს, მით უმეტეს რომ მისს ერთგულობაში სპარსეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები საკმაოდ დაჯერებულნი იყვნენ. ნადირ-შაჰს გამოწვეული ჰყავდა თავისთან თეიმურაზი, რომელიც მან დიდის პატივის ცემით უკან გამოაბრუნა, თან დანიშნა მასთან თავისი წარმომადგენლად თავისი მუსტოფი

და მასვე მიანდო ქართლის საქმეებისთვის თვალყურის დევნება. ამასთანავე ქართლის თავადებსაც ებრძანა თეიმურაზს დამორჩილებოდნენ.

თეიმურაზის საშუალებით სპარსეთის მთავრობა ცდილობდა ქართლის დაშოშმინებას და გივი ამილახორის შემორიგებასაც. ტფილისის ხანმა და მასთან მყოფ სპარსეთიდან დანიშნულმა ვექილმა და ვეზირმა რამოდენჯერმე გამართეს მოლაპარაკება გივთან, მაგრამ ამ მოლაპარაკებამ ვერ მოიტანა გარდამწყვეტი შედეგი, რადგან ამილახორი უნდობლად უყურებდა სპარსელებს. გივს კლავინდებურად ჰყავდა თან დიდძალი ლეკთა ჯარი, რომელიც ეცემოდა თავს სპარსელებს, მაგრამ სოფლებსაც აოხრებდა. თავის მხრივ სპარსელებს დიდი ჯარი ეყენათ ქართლ-კახეთში, მარტო კახეთში, გივთან მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ, მისულიყო 4 ათასი კაცი ავლანის ჯარი. ბრძოლა ამ გვარად სპარსელებსა ერთის მხრივ და გივი ამილახორსა და მისი მომხრე თავადებს შორის მეორეს მხრივ ისევ გრძელდებოდა და ქვეყანა დიდს აოხრებას განიცდიდა.

რადგანაც არევ-დარევა ქართლში არ წყნარდებოდა, ამიტომ ნადირ-შაჰმა ბოლოს მოინდომა თავისი პოლიტიკის გადასინჯვა. შაჰმა დაიბარა თეიმურაზი და ცოლი მისი თამარ დედოფალი, ხოლო შემდეგ აბდულა-ბეგ—არჩილიც, მიიღო ისინი დიდის პატივისცემით და გამოკითხა მათ ქართლ-კახეთის ამბები. რადგანაც მთავარი მიზეზი უკმაყოფილებისა ხარკიანობა იყო და ქართლის თავი-კაცებიც ქვეყნის აოხრებულ მდგომარეობას ჩიოდნენ, ამიტომ ნადირ-შაჰმა ქართლის გამგედ დაამტკიცა ბატონიშვილი არჩილ—აბდულა-ბეგი, ხოლო ხანად ტფილისში ალი-ხანი, შთამომავლობით ხვარასნელი და შემდეგ გამოგზავნა სპეციალური მოხელეები ქართლის ვითარების გამოსარკვევად. როგორც ამ მოხელეების აღწერილობიდან, ისე განსაკუთრებით სპეციალურად ტფილისიდან დაბარებულის ვეზირის, ქალაქის მელიქის და ქალანთარად დანიშნულის მაჰმადიანის მერალი-ბეგ ციციშვილის მოხსენებიდან შაჰი დარწმუნდა ქართლის უბედურ მდგომარეობაში. მრავალი სოფელი ხარაბად დარჩენილიყო და ციხეების გარეშე ბევრს ადგილას შენობაც არ არსებობდა. ამიტომაც ნადირ-შაჰმა ჯავრი იყარა სპარსეთის მოხელეებზე, რომელთა ანგარებამ თუ არასინდისიერ მოხსენებებმა შესაძლებლად გახადა, აუტანელ ხარკიანობისა გამო, ქართლში აჯანყების გაღვივება. ქართლის მოსტოფი ჯოხის ცემით მოკლულ იქმნა, ქართლის ყოფილ ვეზირს მირზა-აშუმს კიდევ ცხვირი და ყურები მოსჭრეს.

ტფილისის ხანად დანიშნულს ალი-ხანს დავალებული ჰქონდა ზომიერი გეზის აღება. ქართლზე დადებული ხარკიც ამასთანავე თვალსაჩინოდ შემცირებულ იქმნა. ალის თან მოჰყვა სპარსელების დიდი ჯარი, მაგრამ საზოგადოდ ახალი ხანი ცდილობდა ზომიერი პოლიტიკით ქართლის თავადების გულის მოგებას. ამავე დროს ხანს კარგი განწყობილება ჰქონდა თეიმურაზ მეფესთანაც. სპარსელების მთავარ საზრუნავს ქართლში

ეხლაც შეადგენდა გივი ამილახორის ალაგმვა, რადგან გივი განაგრძობდა სპარსელების წინააღმდეგ მოქმედებას.

ალი-ხანმა დაიწყო საომარი მოქმედება გივის და მისი მომხრე თავადების წინააღმდეგ და მივიდა გორს, საიდანაც მან ჯარები გაუსია სურამის რაიონს, ხოლო შემდეგ ზემო-ქართლში სხვადასხვა ადგილას ჩამოსულ ლეკებს. თეიმურაზი ამ ომში სპარსელებს ეხმარებოდა. გივის დიდი მომხრე იყო, სხვათა შორის, არაგვის ერისთავი ბეჟანი, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება ხანს გარდაწყვეტილი ჰქონდა. ამ გარემოებით ისარგებლა თეიმურაზმა, არაგვის ერისთავი მისსავე ყმებს მოაკვლევინა და არაგვის საერისთაო თითონ დაიპყრო. თუმცა კახ-ბატონის გაძლიერება სპარსელების ანგარიშში არ შედიოდა, მაგრამ გივის წინააღმდეგ სპარსელები ქართლში გაცხარებულ ბრძოლას ეწეოდნენ და ამიტომ მეტი გზა აღარ იყო: არაგვის საერისთაო შაჰ-ნადირმა ისევ თეიმურაზს დაუმტკიცა (1743 წ.). ამით კახ-ბატონმა თავისი ძალა და გავლენა გაიზარდა, მაგრამ იმავე დროს ის ქართლის დიდ თავადთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეხლა უკვე აშკარად სპარსელების მხარეზე მოჰყვა.

ქართლის თავადები გივის მეთაურობით განაგრძობენ ბრძოლას. ამ გვარად სპარსელებმა თანდათან ჩაითრიეს კახეთის მეფე თეიმურაზი ქართლის თავადებთან ბრძოლაში. ამ თავადების ჯგუფი იბრძოდა ამ დროს ქართველ ხალხის თავისუფლებისათვის ქართლის ტერიტორიაზედ. ის იყო ამ დროს თავისი მოქმედებით ეროვნულ დროშის მებაირაღტრე, მაგრამ ეს ბრძოლა ხდებოდა მისთვის ფრიად არა ხელსაყრელ პირობებში. გარდა ქართლის დიდებულ თავადების და სპარსელების ძალთა უთანასწორობისა, კახეთის სამეფო სახლიც სპარსეთის პოლიტიკის მხარეზედ იყო და ეს გარემოება, რასაკვირველია, აკნინებდა ქართლელ ფეოდალთა ძალას. ამასთანავე თეიმურაზს პირადი გავლენაც ჰქონდა ქართლის ზოგიერთ წრეებზედ, განსაკუთრებით იმ ნათესაურ კავშირის გამო, რომელიც არსებობდა მას და ქართლში წინად მებატონე დინასტიას შორის ვახტანგ მეფის ასულის თამარის კახეთის დედოფლად ყოფნით. ამით აიხსნება, რომ აჯანყებულთა საქმე წინ ვერ წავიდა. პირიქით. თეიმურაზმა მალე ხელიდან გამოაცალა ქართლის ფეოდალების მეთაურს გივს არა თუ არაგვის საერისთაო, არამედ წაართვა მას ქსანიც. ქსნის საერისთაოს დაკარგვამ შესამჩნევად დაასუსტა გივი, თუმცა მას დამხმარედ ჰყავდა ახალციხის ფაშა და ლეკთა ბელადები. მალე მართლაც ერეკლე ბატონიშვილმა ერთს ბრძოლაში აბო-წმინდასთან სასტიკად დაამარცხა გივი და შეერთებული ოსმალოს, ლეკის და ქართველების ჯარი—5 ათასი კაცი. ამის შემდეგ გივი შეევიდა სურამში, ხოლო ერეკლე დაბრუნდა კახეთს.

მდგომარეობა ამ გვარად ამ დროს ქართლ-კახეთში შემდეგი იყო: სპარსეთის მორჩილნი იყვნენ თეიმურაზ კახეთის მეფე და ძე მისი ერეკლე ბატონიშვილი, ტფილისში იჯდა სპარსელი ხანი, რომლის ხელში

იყო ფაქტიური გამგებლობა ქართლისა, ხოლო ამათ წინააღმდეგ ამხედრებული იყო ქართლის ძლიერი ფეოდალური ჯგუფი გივი ამილახორის მეთაურობით.

თავადების და გივის დამხმარე იყვნენ ოსმალნი, რომელნიც ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ სპარსელებისათვის საქართველოში ბატონობა გაემწარებინათ და, თუ შესაძლებელი იქმნებოდა, ისინი აქედან მთლად გაეგდოთ. 1744 წ., მაგ., ახალციხის უსუფ-ფაშა გადმოვიდა ქართლს და შეუერთდა გივს რუისში. ამათ წინააღმდეგ წამოვიდნენ ალი-ხანი და თეიმურაზ კახეთის მეფე. პირველს ბრძოლაში სპარსნი და თეიმურაზი დამარცხდნენ და გორის ციხეში შეეყარდნენ. უსუფ-ფაშამ სპარსელების წინააღმდეგ ლეკების ასამოქმედებლად ოსმალეთის მთავრობისაგან გამოტანებული ხაზინა გაგზავნა დაღისტანში ლეკების განთქმულ ბელადის მალაჩას ხელით, რომელსაც თან ახლდა ათასი ლეკი და ამდენივე ოსმალო. ხანის მოწერილობით ამ ჯარს არაგვზე დახვდა ერეკლე ბატონიშვილი, რომელმაც დაამარცხა ეს რაზმი, მოკლა თვით ბელადი მალაჩა, დახოცა მრავალი, ნეშტი კი გაიქცა გორს უსუფ-ფაშასთან.

თეიმურაზს მიეცა ქართლი, ხოლო ერეკლეს კახეთი. ამგვარად თეიმურაზ კახეთის მეფე და ერეკლე ბატონიშვილი სპარსელების ჯართან ერთად ენერგიულ ბრძოლას ეწეოდნენ ქართლის ფეოდალთა ჯგუფთან. მაგრამ სპარსელებმა მაინც ვერ მოიპოვეს ბატონობა ქართლში. ტფილისში დადგინებული ხანი მხოლოდ დედა-ქალაქს, მისს არე-მარეს, აგრეთვე სომხით-საბარათიანოსა და ყაზახ-ბორჩალო-შამშადილს ფლობდა, შიდა ქართლი კი ფაქტიურად ქართველ თავადების ხელში რჩებოდა. ამ ბრძოლის დროს თეიმურაზ მეფემ და ერეკლემ დიდი ერთგულება აჩვენეს შაჰ-ნადირს საქართველოს ტერიტორიაზე მისი უფლების განმტკიცების საქმეში. მაგრამ რადგანაც ძალით ქართლის ფეოდალების დამორჩილება სძნელდა და არეულობასაც ბოლო არ უჩანდა, ამიტომ ყაენმა ბოლოს ქვეყნის დასამშვიდებლად და ამავე დროს ქართლის შესანარჩუნებლად 1744 წ. ქართლის მეფობა უბოძა თეიმურაზს, ხოლო კახეთის მეფედ დასვა ძე მისი ერეკლე ბატონიშვილი.

შაჰს იმედი ჰქონდა, რომ თეიმურაზ მეფე უფრო მეტს შესძლებდა ქართლის დამშვიდებაში, ვიდრე სპარსელი ხანი, ტფილისს მჯდომი.

გივი ამილახორის დამორჩილება. სპარსეთის მთავრობა არ შესცდა. თეიმურაზი ქართლში გაბატონებისთანავე მფრიად მხნედ შეუდგა საქმეს. საჭირო იყო ქართლის ფეოდალების შემომტკიცება ძალით ან ნებით. პირველად თეიმურაზი შეეცადა შერიგებით საქმის გათავებას. ამისთვის მან შუამდგომლობა აღძრა შაჰ-ნადირის წინაშე ქსნის ერისთვის შანშეს განთავისუფლების შესახებ. ქსნის ერისთავი განთავისუფლებულ იქმნა და დაბრუნდა ხორასანიდან თავისს სამფლობელოში.

შანშეს შემორიგებამ დასცა და დაასუსტა თავადების ჯგუფი და მათი მეთაური გივი ამილახორი. გივი კიდევ ცდილობდა ქართლის ახალ მეფეს თეიმურაზთან შებრძოლებას. მას მხარს უჭერდნენ ოსმალნი, რომელნიც ცდილობდნენ მისთვის დახმარების გაწევას სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ამ ბრძოლის ბედი ეხლა უკვე გარდაწყვეტილად სჩანდა.

თეიმურაზს სპარსეთიდან წამოსელისას თან წამოეყვანა შაჰის ბრძანებით ალი-მარდან-ხანი 4 ათასი კაცით. ამასთანავე ყაზახსა და ბორჩალოში მყოფ სპარსელების ჯარი თეიმურაზის განკარგულებაში იმყოფებოდა. გივი ამილახორი სურამის ციხეში იყო გამაგრებული. თეიმურაზმა შემოიკრიბა დიდი ჯარი, თან წაიყვანა ალი-მარდან-ხანი მისი ჯარით და გაილაშქრა გივი ამილახორის დასამორჩილებლად. მეფემ აიღო ახალდაბის და კეხვის ციხე და ამასთანავე მთავარი თავისი ძალით ალყა შემოარტყა გივს სურამში. გივთან ციხეში იმყოფებოდნენ მისი შომხრე თავადები და კირილე ქართლის მთავარეპისკოპოსიც. მალე ამილახორის მდგომარეობა გასჭირდა და მან გარდასწყვიტა თეიმურაზთან პირისპირ მოლაპარაკება. შეხვედრა მოხდა ციხის ახლოს. გივმა შეფიცა მეფეს ერთგულობა, მაგრამ ამასთანავე სთხოვა ყაენისაგან უვნებლობის შესახებ საიმედო რაყამის გამოთხოვა. თეიმურაზი დაპირდა და მალე მართლაც მისი შუამდგომლობით გივს მოუვიდა შაჰ-ნადირისაგან პატიების რაყამი. გივი მაინც ვერ ენდო სპარსელებს. ისევ ციხეში დარჩა და გააახლა ბრძოლა. მაშინ ციხეს მისცეს ნაღმი, რის გამო ციხის ნახევარი დაიქცა. ასეთ მდგომარეობაში გივს იმის მეტი არა დარჩენოდა რა, რომ მოლაპარაკება ისევ განეახლებინა და მოითხოვა თეიმურაზის ცოლის თამარ დედოფლის მისვლა—მას მივენდობიო. თამარი მივიდა სურამს, გივმა მას შეფიცა თეიმურაზისადმი ერთგულება, თეიმურაზმა და ერეკლემ თავისი მხრივ ფიცი მისცეს გივს უვნებლობის შესახებ—არც წახდენით და არც სიკვდილით არა გიშავდეს რაო. ამის შემდეგ სურამის ციხე დანებდა თეიმურაზს (1745 წ.). ცოტა ხნის შემდეგ შაჰ-ნადირისაგან ბრძანება მოვიდა გივის შესახებ. შაჰს ებრძანებინა, გივს თვალები დასთხარეთ, ან სპარსეთში გამოგზავნეთო. ამ ბრძანებამ, შაჰისაგან უვნებლობის პირობის მიცემის შემდეგ, ძლიერ დააღონა თეიმურაზი და ერეკლე. თვით გივი არჩევდა თვალების დათხრას, მაგრამ თეიმურაზი ამისი წინააღმდეგი იყო და გივიც გაგზავნილ იქნა სპარსეთს. ის დააბინავეს ხორასანს.

გივი ამილახორის დამორჩილებამ დასცა ქართლში სპარსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ფეოდალთა ძალა. ამის შემდეგ თეიმურაზი, სპარსეთის ძალას დაყრდნობილი, გახდა უცილებელი ბატონი ქართლის სამეფოსი.

ქართლის ფეოდალთა დამარცხებამ გავლენა იქონია კახეთის შინაურ მდგომარეობაზედ. იქაც ერეკლე მეფეს საშუალება მიეცა ამის

შემდეგ უფრო მტკიცე გეზი აეღო თავისი საბატონოს მართველობის საქმეში.

ამ გვარად თეიმურაზმა შესძლო სპარსეთის წინაშე შაჰ-ნადირის მძლავრობის დროს გარკვეულ, მიზან-შეწონილ და ლოიალურ პოლიტიკის საშუალებით ქართლში გაბატონება და იმავე დროს მსხვილ ფეოდალების შესამჩნევად ალაგმვა. ქართლსა და კახეთს პირველად ხანგრძლივ შეწყვეტის შემდეგ გაუჩნდნენ ქრისტიანი ბატონები. ეს იყო იმ დროს დიდი ეროვნული გამარჯვება. მალე თეიმურაზს მოუვიდა შაჰ-ნადირისაგან ნებართვა მცხეთაში სამეფო გვირგვინის კურთხევის შესახებ, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. დიდი ხნის ნარევზის შემდეგ ქართლს უნდა მოვლინებოდა ქრისტიანული წესით ცხებული მეფე.

გვირგვინის კურთხევა მოხდა საგანგებოდ შედგენილ წესის თანახმად. ქართლის კათალიკოზად ამ დროს იყო მეფის-ძე ანტონი, ძე ოქსე მეფისა. ანტონი სულ ახალგაზრდა—24 წლისა აყვანილ იქმნა 1744 წ. საკათალიკოსო ტახტზე, მაგრამ უკვე ამ დროსაც ის იჩენდა თავისს დიდ შუნებოვანობას და არა-ჩვეულებრივ მიდრეკილებას კულტურულ საქმიანობისადმი. ანტონმა ძველად არსებულ მეფის გვირგვინის კურთხევის წესის შესწავლით შეადგინა, შეცვლილ პირობების მიხედვით, ახალი ცერემონიალი. გვირგვინის კურთხევა მოხდა 1745 წ. 1 ოქტომბერს სვეტისცხოვლობას. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ კათალიკოზი და 14 მღვდელთ-მთავარი ქართლისა და კახეთისა. ქართლის ჯარი ამ დღისთვის გაყოფილ იქმნა, თანახმად ძველი ჩვეულებისა, 4 სადროშოდ. მეწინავედ და უფროს სარდლად ითვლებოდა ქაიხოსრო ორბელიანი, შემდეგ მემარცხენედ კოსტანტინე მუხრან-ბატონი, მემარჯვენედ დიმიტრი ამილახორი, ხოლო მეოთხე სადროშო კი რჩებოდა მეფისად. გვირგვინის კურთხევის წესის შემდეგ გარდახდილ იქმნა, აგრეთვე ძველი ჩვეულების თანახმად, დარბაზობა. ცერემონია საზოგადოდ შესრულებულ იქმნა დიდის ამბით, რომელსაც აორკეცებდა სიხარული თითქმის 1½ საუკუნის შემდეგ ქრისტიანე მეფის მოვლინებისა.

ამ დროს ქართლი და კახეთი მამა-შვილის მეფობისა გამო არსებითად გაერთიანებული იყო როგორც სამხედრო ძალის მხრივ, ისე საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. თეიმურაზი და ერეკლე მხნედ შეუდგნენ თავისს მოხრებულ ქვეყანაში ცხოვრების დალაგებას. ბრძოლა ლეკთა თარეშებთანაც საერთო ძალით ეხლა უფრო ადვილი იყო. ქვეყანამ რამოდენადმე მოსულიერება იწყო.

სპარსეთში ისევ არევ-დარევა იწყება. ამ დროს სპარსეთის ძლიერება ისევ დაეცა და მისი დაცემა ისე მალევე მოხდა, როგორც მალე აღმობრწყინდა შაჰ-ნადირის დროს. თავისი მეფობის უკანასკნელ ხანს შაჰ-ნადირს გაუჩნდა დევნის მანია. თავისს შვილს დააბრალა მის წინააღმდეგ შეთქმულობა და თვალები დასთხარა. შვილის-

თვის თვალების დათხრის შემდეგ შაჰ-ნადირი ჩავარდა განუსაზღვრელ წუხილში, არ იცოდა თავისი ჯავრი ვისზედ ამოეყარა და ერთს დღეს სიკვდილით დასაჯა 50 თავისთან დაახლოებული პირი, მხოლოდ იმიტომ, რომ როდესაც ჩემ შვილისათვის თვალების დაწვის ბრძანება გავეცი, თქვენ უნდა დაგეშალათო. ამის შემდეგ დაიწყო სპარსეთში საშინელი ხანა შაჰის ტერორისა. ნადირ-შაჰი ფრიად გაძუნწდა და ხალხს უკანასკნელს ტყავს აძრობდა. დაიწყო ამბოხება სხვა-და-სხვა ადგილას, რასაც მოჰყვა მთელი ქალაქების აწყვეტა. განსაკუთრებით დევნიდა შაჰი შიიტებს, რადგან თითონ სუნიტი იყო. ბოლოს, როდესაც შაჰმა ბრძანება გასცა თავისს ჯარში ყველა სპარსელის გაწყვეტისა, მაშინ თვითონ ის მოკლულ იქმნა ერთ მხედართ-მთავრის მიერ (დგნ 1747 წ.).

შაჰ-ნადირის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში ასტყდა ხანგრძლივი ანარქია.

თეიმურაზი მიდის სპარსეთს დიდი არბაბობის გამო. თავისი მეფობის უკანასკნელ ხანაში და აშკარა სულიერ ავადმყოფობის დროს ნადირ-შაჰმა გააწერა ქართლ-კახეთსაც დიდ-ძალი გარდასახადი. ქართლის ვეჭილად მყოფი ყაზახის ხანი, აგრეთვე თეიმურაზის ვეზირად სპარსეთიდან დანიშნული მირზა-იბრეიმი და სხვა სპარსელი მოხელეები გაწვეულ იქმნენ ყაენთან, რომელმაც მათი თვალების დათხრა ბრძანა და შემდეგ მოსთხოვა თეიმურაზს არბაბი 15 ათასი თუმანი, ერეკლეს 10 ათასი, ხოლო მთლად ქართლ-კახეთს 200 ათასი თუმანი. ამ ფულის გარდახდა ყოვლად შეუძლებელი იყო და მეფეებიც გადუდგნენ შაჰნადირს. თეიმურაზი წავიდა ანანურს, ასევე დიდი თავადები გამაგრდნენ თავ-თავიანთ სამფლობელოებში და ზოგიც ეახლა მეფეს. ლორის ხანმაც, სხვათა შორის, დასტოვა ლორე.

შაჰ-ნადირს რომ ქართლ-კახეთის მეფეების გადადგომის ამბავი მიუვიდა, მაშინვე ბრძანება გასცა დიდი ჯარის გაგზავნის შესახებ თეიმურაზ-ერეკლეს დასასჯელად, მაგრამ მალე ისევ მშვიდობიანად საქმის გათავება ამჯობინა. თეიმურაზს უკვე დიდი სახელი ჰქონდა მოპოებული და გარდა ამისა შეერთებულ ქართლ-კახეთის ჯართან ბრძოლა დიდი ენერგიის დახარჯვას მოითხოვდა. შაჰმა მისწერა თეიმურაზს მშვიდობიანი კილოს რაყამი, მეფეებზე პირადად გაწერილი არბაბიც აპატიეა და საქვეყნო ხარკის გარიგებაც მასზე მიაგდო. შაჰს ამასთანავე თავისთან დაეპატრებინა ერეკლე მეფე.

ამის შემდეგ თეიმურაზმაც არჩია მშვიდობიანად უთანხმოების გათავება, მით უმეტეს რომ სპარსელების შემოსევის შიშით ზოგი თავადი ორპოფულ გზას ადგა და ქართლის ჯარის მთლიანად შეკრებაც არ მოხერხდა. მაგრამ ერეკლეს წასვლას ყაენთან სპარსეთში თეიმურაზმა ისევ თავისი გამგზავრება არჩია. მართლაც თეიმურაზი მალე წავიდა სპარსეთს (მაისს 1747 წ.), ხოლო ქართლი კი ჩააბარა იესეს ძეს ბატონიშვილს აბდულა-ბეგს (არჩილს), რომელსაც ქვეყანა უნდა ემართა

ერეკლესთან შეთანხმებით. გზად გაელისას თეიმურაზმა მისცა ლორის სულთნობა მუსა-ხანს, ლორის წინანდელ ხანის შვილს და მასვე ჩააბარა ლორის ციხე, რომელიც ყაფლან ორბელიანს დაეპირა. ამით თეიმურაზს უნდოდა ქართლში მისი არ მყოფობის დროს ქართლის ამ განაპირა მხარეში ადგილობრივი გავლენიანი პირთა უკმაყოფილება დაეცხრო.

აბდულა-ბეგი. ტფილისის ციხის დაჭერა ქართველების მიერ. თეიმურაზის სპარსეთში ყოფნის დროს ქართლის მართველად დანიშნულმა აბდულა-ბეგმა ისარგებლა მთელს ერანში მოდებულ არეულობით და გამოაცხადა თავისი თავი ქართლის ბატონად. მან დაიპყრო სომხით-საბარათიანო, მოიმხრო ტფილისის ციხის მცველი თათრები (ყიზილბაშები), ხოლო თვითონ გამაგრდა სამშვილდეში. ერეკლე მეფემ დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ და შემოადგა ტფილისის ციხეს. სპარსელი მეციხოვნენი ენერგიულად იბრძოდნენ. მათი ზარბაზნები, კერძოდ ზარბაზნებით ქვის სროლა დიდად ავნებდ ქალაქს. სხვათა შორის, დაზიანდა სიონის ტაძარიც და გასაკუთრებით მეფის სასახლე. მაშინ ერეკლე მეფემ მოატანინა გორიდან ერთი დიდი ზარბაზანი, რომელიც შაჰ-ნადირს ჩამოეტანა ქართლში ერევნიდან. ეს ზარბაზანი 2 ათას ლიტრას იწონიდა, მისი ყუმბარა—ცხრა ათას ლიტრას. ზარბაზნიდან ჰკრეს ტფილისის ციხის თაბორის კოშკს, რომელიც გაშმაგებულ იერიშის შემდეგ აღებულ იქმნა.

ციხის შემდეგ მეტეხის ციხის დამცველთ თანხმობა განაცხადეს ციხის დათმობაზე უვნებლობის პირობის მიცემით, რის შემდეგ მეტეხი დაიჭირა კახელების რაზმმა.

თაბორის კოშკისა და მეტეხის ციხის აღებამ გარდასწყვიტა მთავარი ციხის—ნარიყალას ბედი. ნარიყალას მეციხოვნეებმაც მალე ითხოვეს უვნებლობის ფიცი, რის მიღების შემდეგ მათ დაცალეს ციხე.

პირველად ორი საუკუნის შემდეგ ტფილისის ციხეში შედიოდა ქართველი რაზმები. ერეკლე მეფე თვით ავიდა ნარიყალას დასათვალიერებლად და დააყენა იქ 60 კახი ჯარის-კაცი (1748 წ.).

თეიმურაზს აძლევენ ყაზახს. თეიმურაზმა სპარსეთში დაჰყო თითქმის 2 წელიწადი. ამასობაში სპარსეთში არეულობა გრძელდებოდა. ცალკე პროვინციებში მოხდა განდგომილება. ყაენად მჯდარი ნადირ-შაჰის ძმისწული ადილ-შაჰი შეიპყრო მისმა ძმამ იბრეიმ-მირზამ, დასთხარა მას თვალები და თვითონ გაყაენდა (1749 წ.). თეიმურაზმა თავისი ტაქტით შესძლო ყველა სიძნელისათვის თავი გაეერთო და ახალ შაჰთან სულთან-იბრეიმთანაც კარგი განწყობილება დაიჭირა. 1749 წ. მარტში თეიმურაზი გამოისტუმრეს ტფილისს დიდი საჩუქრებით. ამასთან ერთად თეიმურაზს უბოძეს ბორჩალოს გარდა ყაზახიც.

შაჰ-სულთან-იბრეიმმა ამასთანავე წინადადება მისცა თეიმურაზს ტფილისის ციხეში ისევ სპარსელების მეციხოვნენი დაეყენებინა და ამ მიზნით გამოატანა მას 300 სპარსელი ჯარის-კაცი, რომელნიც შაჰის

ბრძანებით ტფილისის ციხეში უნდა დამდგარიყვნენ. ტფილისში ამ გვარად ისევ ყაენის რაზმი დადგა, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით.

რამოდენიმე ხნის შემდეგ შაჰ-სულთან-იბრეიმის ეთიმადოველეს სალიმ-ხანის შუამდგომლობით თეიმურაზ-ერეკლე მოურიგდნენ აბდულა-ბეგს, რომელსაც მიეცა საუფლისწულო.

არეულობა სპარსეთში. არევ-დარევა სპარსეთში გრძელდებოდა. შაჰ-სულთან-იბრეიმი მალე ჩამოაგდეს ტახტიდან და მის მაგივრად ყაენად დასმულ იქმნა ნადირ-შაჰის შვილისშვილი როქ-მირზა. ამის შემდეგაც შეხლა-შემოხლა არ შეჩერებულა. გაჩნდნენ სხვა-და-სხვა მაძიებელნი ყაენის ტახტისა. შაჰ-როქს მალე თვალები დასთხარეს, ყაენობიდანაც გარდააგდეს, მაგრამ შემდეგ ისევ ტახტზე დასვეს. ბოლოს ერანში თანდათან გაძლიერება იწყო ზენდის ტომის მეთაურმა ქერიმ-ხანმა (1750 წ.). ქერიმ-ხანის გამოჩენის დროს სპარსეთში მძლავრობდნენ: აზერბეიჯანში აზატ-ხანი აველანელებითურთ, გილანში ჰიდასტ-ხანი და ასტრაბადს ჰუსეინ-ხანი ყაჯარი. ქერიმმა დაუწყო ბრძოლა თავისს მოპირდაპირე ხანებს და ბოლოს, რამოდენიმე წლის შემდეგ, გახდა ფაქტიური მბრძანებელი სპარსეთის დიდი ნაწილისა.

ქართლ-კახეთი თავისუფლდება სპარსეთის გავლენისაგან. რადგანაც ამ გვარად ერანში არეულობა არ სწყდებოდა, ამიტომ სპარსეთის პოლიტიკური გავლენა აღმ. საქართველოში თანდათან სუსტდებოდა. სპარსეთში არ იყო ძლიერი ცენტრალური მთავრობა, რომელსაც შეესძლებოდა ქართლ-კახეთის მიმართ თავისი ხელმწიფების გამოჩენა და მისი ჯეროვნად განმტკიცება. ამ მიზეზით მალე ფაქტიურად მოისპო ქართლ-კახეთის დამოკიდებულება სპარსეთისაგან და ტფილისის ციხეც უმტკივნეულოდ ქართველების ხელში გადმოვიდა.

ერევნის სახანო ხდება თეიმურაზ მეფის მოხარკე. არეულობა სპარსეთში საშუალებას აძლევდა თეიმურაზს და ერეკლეს უფრო მეტის ყურადღებით მოქცეოდნენ შინაურ საქმეებს და ამავე დროს სამეფოს საზღვრების გაფართოებისა და თვისი პოლიტიკური გავლენის გადიდებისათვისაც ეზრუნათ.

1749 წ. იბრეიმ-შაჰის მოკვლის შემდეგ, სპარსეთში ამტყდარ დიდი არეულობის დროს ვინმე მაჰმად-ხანი აზერბეიჯანის ქვეყნებს აოხრებდა. ერევნის ხანმა ვერ შესძლო მაჰმად-ხანის წინააღმდეგობა. სპარსეთში იდაც ყველას მიერ აღიარებული ცენტრალური მთავრობა არ არსებობდა. ამიტომ მან მიმართა თეიმურაზ-ერეკლეს და სთხოვა დახმარება, რის სანაცვლოდ აღუთქვამდა ყოველწლიური ხარკის მიცემას. ორნივე მეფენი წავიდნენ მაჰმად-ხანის ასალაგმავად, დაამარცხეს ის და განათავისუფლეს მტრისაგან ერევნის სახანო. რის შემდეგ ხანმა ქართლის მეფის მფარველობა აღიარა და იკისრა ყოველწლიური ხარკის გარდახდა.

განჯის სახანოც ქართლის მოხარკე ხდება. 1750 წ. კიდევ ყარაბაღის ხანი ფანა მოადგა განჯას. მაშინ განჯის ხანმა მოიწერა წიგნი

და ითხოვა შეწევნა თეიმურაზისა და ერეკლესაგან, რომელთაც სწრაფად სალაშქროდ მზადება დაიწყეს. ფანა-ხანმა არ დაუცადა ქართველთა ჯარის მოსვლას და ბრძოლას გაერიდა, მაგრამ მეფეებმა უკან მისდიეს, მოარბიეს ყარაბაღი და გამობრუნდნენ დიდის ნადავლით. ხოლო თვით განჯის სახანო კი ამიერიდან ქართლის მორჩილი იყო, მისს მფარველობას აღიარებდა და ყოველ წელს განსაზღვრულ ხარკს იხდიდა.

სპარსეთის არეულობა ამგვარად თანდათან აიძულებდა თეიმურაზს და ერეკლეს აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლას. ერევნის და განჯის სახანოების საქართველოს გაელენის ქვეშ მოქცევა აუცილებლად ხდიდა საზოგადოდ სპარსეთის არეულ საქმეებისათვის მეტის ყურადღების მიპყრობას. ამით ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკის სფერო შესამჩნევად გაფართოვდა. ამასთანავე მამა თანდათან უთმობდა პირველობას თავისს შვილს ერეკლეს, რომელიც უმთავრესად სამხედრო ოპერაციებით იყო გართული, მაშინ როდესაც შინაური მართველობის გეზს უფრო თეიმურაზი აწარმოებდა.

ერეკლეს გალაშქრება სპარსეთისაკენ. ამ დროს სპარსეთში ჩნდებოდა სხვა-და-სხვა მძლავრი უზურპატორები, რომელთა გაძლიერება ქართველ-ბატონებისათვის არ იყო ხელსაყრელი. 1750 წ., მაგალითად, თანდათან გაძლიერდა ალი-მარდან-ხანი ბახტიარელი, რომელმაც მალე დაიპყრო თვით სპარსეთის სატახტო ქალაქი ისპაანი. 1751 წლის დასაწყისს მის წინააღმდეგ ამხედრდა ქართლ-კახეთის ჯარი ერეკლე II-ის წინამძღოლობით. ყველა ჯარის-კაცს ნიშნად ჰქონდა გაკეთებული ჯვარი,—ემბლემა, რომელიც მთელს ლაშქრობას ჯვაროსნულ ომის ხასიათს აძლევდა და რომელიც ამიტომ დიდს აღფრთოვანებას იწვევდა სპარსეთის ქვეშევრდომ ქრისტიანებს—სომხებსა და სხვებს შორის. ქახბატონმა გაილაშქრა თაერიზის მიმართულებაზე და ემზადებოდა შუა სპარსეთში წასასვლელად, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან აზერბეიჯანში ამ დროს ძლიერ ეებოდნენ ავღანელები. ესენი გადმოვიდნენ თვით არეზის გამოლმა, მოედვნენ ნახიჩევანის მხარეს ერევნამდის, ხოლო ლეკები ამავე დროს მათთან შეთანხმებით მოადგნენ შირვანს. ამიტომაც ერეკლე II იძულებული გახდა 1751 წლ. დასასრულს დაბრუნებულიყო ტფილისში.

აზატ-ხანის დამარცხება. შემდეგ წელს აზერბეიჯანი თავრიზითურთ მთლად დაიპყრო ავღანელების წინამძღოლმა აზატ-ხანმა. თავრიზიდან დახმარება სთხოვეს ქართველ ბატონებს. ამ შუამდგომლობის მიხედვით თეიმურაზმა და ერეკლემ კვლავ დააპირეს ლაშქრობა. მათ მხარს უჭერდათ, გარდა განჯა-ერევნისა, აგრეთვე ყარაბაღისა და შირვანის ხანები. განზრახული იყო ჯერ თავრიზზე წასვლა, შემდეგ კი თვით ისპაანისაკენ ავღანელთა მძლავრების მთლად ასალაგმავად, ხოლო საბოლოოდ გამარჯვების მოპოვებისთანავე ერთ-ერთ პრეტენდენტის სპარსეთის ტახტზედ დამტკიცება. ეს საკითხი ჯერ გარდაწყვეტილი არ იყო,

რომ აზატ-ხანი შემოვიდა ერევნის სახანოში და ლამობდა მის დაპერას. მდგომარეობა ამით მეტად გართულდა, რადგან ერევნის დაპერას შეიძლება მოყოლოდა ყარაბაღსა და განჯაშიც აზატ-ხანის ბატონობის დამკვიდრება და მაშინ ფაქტიურად მთელი აზერბეიჯანი ამხედრებული იქმნებოდა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. თეიმურაზმა ამიტომ ეხლა საბოლოოდ გარდასწყვიტა აზატ-ხანზე გალაშქრება, მით უმეტეს რომ ერევნის ხანი და მისი თავი-კაცები დაჟინებით თხოულობდნენ დახმარებას ავღანთა წინამძღოლის წინააღმდეგ. მაგრამ ქართლის ჯარის დაძვრაც სამეფოს საზღვრებიდან ძნელი იყო, რადგან ქართლს მოდებული იყვნენ ლეკთა თარეშები. ასეთს მდგომარეობაში აზატ-ხანის წინააღმდეგ ლაშქრობის ხელმძღვანელობა იკისრა კახ-ბატონმა ერეკლემ, რომელიც სარდლების თანხლებით და რჩეული ჯარით გაემართა ერევნისაკენ. ერევნის ციხეს აზატ-ხანისაგან უკვე ალყა ჰქონდა შემორტყმული. ერეკლეს ჯარის ერევნის სახანოში გადასვლისთანავე აზატ-ხანმაც დასძრა თავისი ჯარი—18 ათასი კაცი. მოწინავე რაზმი ქართველებისა მეწინავე სარდლის რევაზ ორბელიანის წინამძღოლობით დამარცხდა. მაშინ ერეკლე მეფემ თვით უწინამძღვრა ჯარს, მიმართა მას გამამხნევებელი სიტყვებით და ბრძანება გასცა: სანამდის მე თოფი არ ვისროლო, ნურავინ მოინდომებთ შეტევასაო. ავღანთა ჯარი დაუახლოვდა ქართველებს, გაეარდა ერეკლეს თოფი და ქართველთა მეწინავე ჯარი გადავიდა შეტევაზე. ავღანელები შედრკნენ და იელტოდნენ. დიდძალი დაეცა, თოფხანა, აქლემ-კიდებული ზამბურაკნი, ჯორ-აქლემები, ბარგ-კარვები და სხ. დარჩათ გამარჯვებულებს. ერევნის ციხეც ამით განთავისუფლებულ იქმნა აზატ-ხანის საფრთხისაგან. ერევნის ხანად დანიშნულ იქმნა აბდულა-ხანი, რომელსაც მრჩევლებად მიუჩინეს ქართველთა თავადთაგანნი.

გამარჯვებული ერეკლე დაბრუნდა ტფილისს.

ჰაჯი-ჩელები. აზატ ხანზე გამარჯვებამ კიდევ უფრო განაძლიერა თეიმურაზი და ერეკლე. მოსალოდნელი იყო მათ მიერ მთლად პირველობის ხელში ჩაგდება აზერბეიჯანის ტერიტორიაზე და საზოგადოდ სპარსეთის იმპერიის ჩრდილოეთ ნაწილში. ეს გარემოება დიდს შურს და უკმაყოფილებას იწვევდა აზერბეიჯანის ხანებში, რომელთაც სასიამოვნოდ არ რჩებოდათ ქრისტიან და ქართველ ხელმწიფეების განდიდება. ამ უკანასკნელ ნიადაგზე აზერბეიჯანში გაჩნდა მისწრაფება ქართველ ხელმწიფეთა ბატონობისაგან თათრების განთავისუფლების შესახებ. მოძრაობას სათავეში ჩაუდგა შაქის ხანი ჰაჯი-ჩელები. მაშა ჰაჯი-ჩელებისა იყო სომხის მღვდელი. ამ მღვდლის შვილი ადრიდანვე გადასულიყო მაჰმადიანობაში, ხოლო მას შემდეგ თავისი სიმხნით, მოხერხებით და ჭკუით განემტკიცებინა თავისთვის შაქის სახანო. ჰაჯი-ჩელებს კავშირი ჰქონდა გაბმული დაღისტნის ლეკებთან და მათთან შეთანხმებით მოქმედობდა.

ამავე დროს აზატ-ხანმაც ქართველ მეფეების მდგომარეობის გასარ-

თულებლად მთავარი ყურადღება მიაპყრო ლეკების ამხედრებას როგორც ქართლ-კახეთისა, ისე შირვანისა და განჯის მხრისაკენ.

ჰაჯი-ჩელები ამარცხებს ქართველების ჯარს. ასეთს მდგომარეობაში თეიმურაზი და ერეკლე იძულებულნი გახდნენ ჰაჯი-ჩელების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის განმზადებულიყვნენ. მათ ჯარში იყვნენ ყაზახ-ბორჩალოელი თათრები და აგრეთვე ლეკნიც დაღისტნის შამხლის შვილის წინამძღოლობით. მეფეები მივიდნენ განჯას. აქ მათ დაიბარეს თავისთან აზერბეიჯანის ხანები, რომელნიც გამოცხადების შემდეგ საეჭვო მოქმედებისათვის შეპყრობილ იქმნენ. ამის შემდეგ ჰაჯი-ჩელები შირვანის, ჰარისა და თავისი ჯარით მოადგა განჯის სანახებს, სადაც გაიმართა ბრძოლა. ქართლ-კახეთის ლაშქრის ერთი ნაწილი ყაზახ-ბორჩალოელთა და ლეკთაგან შემდგარი, 4 ათასი კაცი, შეეფეთა მოწინააღმდეგეს არა შესაფერისს ადგილას და დამარცხდა. მათმა გამოქცევამ არია ბრძოლის ველზედ ერეკლეს სხვა რვა ათასი ჯარიც, რის გამო ომი წაგებულ იქმნა. გამოქცეულ ჯარს დაეცნენ გზაზე კიდევ შამშადილელნი, რომელთაც დიდი ნავნები ქნეს.

ამ დამარცხებას მოჰყვა მთლად თათრების გადადგომა ქართლ-კახეთისაგან. ყაზახ-ბორჩალო დაემორჩილა ჰაჯი-ჩელებს. თათრები ამასთანავე ლეკებთან ერთად არბევდნენ სომხით-საბარათიანოს. ასეთს მდგომარეობაში მეფეებმა სცადეს ჰაჯი-ჩელებთან მორიგება, მაგრამ ის გადაჭრით თხოულობდა ქართლის ქვეშევრდომ თათრებზე ხელის აღებას და აზერბეიჯანის საქმეებში გაურევლობას. შეთანხმება შეუძლებელი იყო, რადგან ეს პირობები ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობას არღვევდა და ამასთანავე ქვეყანას პოლიტიკურ და ეკონომიურ განვითარების გზას უსპობდა. ამიტომ თეიმურაზმა და ერეკლემ დაიწყეს მზადება ჰაჯი-ჩელების წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ჰაჯი-ჩელების დამარცხება. რადგანაც საკუთარი ძალა არ კმაროდა, ამიტომ ერეკლე II წავიდა ჩერქესეთში იქიდან ჯამაგირით ჯარის გამოსაყვანად. ჩერქესებს 4 ათასი კაცის მოსვლის შემდეგ ერეკლემ რამოდენიმეჯერ დაამარცხა ლეკები. აგვისტოში 1752 წ. კი ერეკლემ 7—8 ათასი კაცით ჩერქესებითურთ გაილაშქრა ყაზახზე, სადაც იდგა ჰაჯი-ჩელების შვილი განჯის ხანთან ერთად. ყაზახის ხანი მეფეს მიემხრო. მოხდა სასტიკი ომი, რომელიც გათავდა ჰაჯი-ჩელების ჯარი სრული დამარცხებით. ამ ბრძოლაში დაიღუპა 7—8 ათასი ლეკი და თათარი (31 აგვ. 1752 წ.).

ამ გამარჯვებამ დასცა ჰაჯი-ჩელების ძალა და აზერბეიჯანის ხანებმაც არჩიეს ქართველ მეფეებთან მორიგების გზაზე დადგომა. ყაზახ-ბორჩალო დარჩა ქართველ ბატონებს და გარდა ამისა მალე აზატ-ხანიც შეეცადა მეფეებთან შემორიგებას. თეიმურაზმა და ერეკლემ ისევ

შემოიმტკიცეს განჯა-ერევანი და თვალსაჩინოდ გაძლიერდნენ აღმოს. ამიერ-კავკასიაში.

ერეკლეს სახელი ევროპაში. აზერბეიჯანის და საზოგადოდ სპარსეთის საქმეებში აქტიობის გამოჩენამ დიდი სახელი მოუპოვა ერეკლეს. ევროპაში მას ამ დროს სთვლიდნენ მთელს ირანში უპირველეს და უძლიერეს პიროვნებად, რომელიც დღეს-ხვალ სპარსეთის ბედს გარდასწყვეტდა. ერეკლეს შესახებ სწერდნენ არა მარტო გაზეთებში, არამედ 1754 წ. პარიზში გამოვიდა სპეციალური წიგნიც სპარსეთ-საქართველოს არეულობათა შესახებ, სადაც ევროპიელი ავტორი უპირველესს მნიშვნელობას აძლევდა სპარსეთის ამბებში ერეკლე მეფეს და კერძოდ მის პიროვნებას არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით იხსენიებდა. ავტორი აღნიშნავდა ირაკლის, მიუხედავათ მისი ახალგაზრდობისა, არაჩვეულებრივ სიდარბაისლეს, ჭკუასა და გამოცდილებას, უშესანიშნავეს, მხნეობასა და მამაცობას, ღვთის მოშიშობას და კეთილმორწმუნეობას, სამართლიანობას და თავის ქვეშევრდომებისადმი განუსაზღვრელ ლიბერალურ მოპყრობას. თუ რამდენად დაინტერესებული იყვნენ ევროპაში ერეკლეს პიროვნებით, ეს სჩანს იქიდანაც, რომ დასახელებული წიგნი მეორე წელსავე გადაითარგმნა გერმანულად და დაიბეჭდა მაინის ფრანკფურტში. ერეკლეს პოპულიარობა იყო მიზეზი, რომ ათქმევინა პრუსიის მეფეს ფრიდრიხ დიდს:—ევროპაში მე ვარ პირველი, ხოლო აზიაში ერეკლეო.

ლეკთა მძლავრება. ფაქტიურად მალე თეიმურაზი და ერეკლე იძულებული გახდნენ სპარსეთის მიმართ დიდ პოლიტიკის წარმოებაზედ ხელი აეღოთ. ამისი ერთი მთავარ მიზეზთაგანი იყო გამუდმებული თავ-დასხმა ლეკებისა ქართლ-კახეთზე. დიდ-დიდ დასებად ლეკნი შემოდიოდნენ, აოხრებდნენ სოფლებს და ატყვევებდნენ მრავალ მცხოვრებთ. ბრძოლა მათ წინააღმდეგ ფრიად გაძნელდა.

დაღისტნის მფლობელთა შორის ამ დროს მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა ავარიის ხანს ნურსალ-ბეგს, რომელსაც კიდევ ხუნძახის ბატონს ეძახდნენ. თუმცა თვით მისი საბატონო დიდი არ იყო, მაგრამ თავისი გავლენით მას შეეძლო დაღისტნის უმეტესი ნაწილი თავისი დროშის ქვეშ მოეკრიბა.

ავარიის ხანი ხშირად ესხმოდა თავს ქართლ-კახეთს. 1754 წ. აგვისტოში, მაგალ., მან დიდის ჯარით აიარა კახეთი, გადავიდა ქართლს და შემოერტყა მჭადის-ჯვარის ციხეს. მართალია, ეს შემოსევა მისი დამარცხებით გათავდა, მაგრამ ლეკთა თარეშები მაინც არ შემცირებულა. ერეკლემ მოიწვია ჩერქესების, კალმიკების, ნოღაელების და აგრეთვე სხვა-და-სხვა მთის ხალხის ჯარი და ეწეოდა ენერგიულ ბრძოლას მოზვავებულ ლეკთა წინააღმდეგ.

ნურსალ-ბეგი თავის მხრივაც გაჩერებული არ იყო.

1755 წ., მაგალითად, ის დიდის ძალებით ემზადებოდა კახეთზე

დასაცემად. მის ჯარში იყო, სხვათა შორის, შამხალის ჯარიც. ამ ამბის მიღებისთანავე თეიმურაზ-ერეკლემ დაიწყეს მზადება მტრის წინააღმდეგ. კახეთის მოსახლეობა დახიზნულ იქმნა ციხე-სიმაგრეებში, რომლებშიდაც ამასთანავე სურსათის და ტყვის-წამლის მხრივ ოთხი თვის თადარიგი იყო დაჭერილი. თეიმურაზი ქართლის ჯარით გადავიდა კახეთს და თელავში შეუერთდა თავისს შვილს ერეკლეს. ამასობაში ხუნძახის ბატონს შემოყროდა კიდევ კაკის სულთანი თავისი ჯარით. განჯის ხანსაც მისთვის მაშველი ჯარი გამოეგზავნა. განჯის ხანი თუმცა ქართველ-ბატონის მოხარკედ ითვლებოდა მაგრამ ეხლა, დაღისტნიდან ასეთი დიდი მზადების დროს,—ნურსალი-ბეგს ჰყავდა 20 ათასამდე კაცი—მან შესაძლებლად დაინახა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ სამტროდ გამოსულიყო.

მდგომარეობა ამ გვარად მეტად გართულდა. აშკარად შებრძოლება ასეთი ძლიერ და მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან თეიმურაზ-ერეკლესთვის მეტად ძნელი და სახიფათოც იყო, რადგან ომის წაგებას შესაძლებელია მოყოლოდა სამეფოების მთლად აწყვეტა და დატყვევება. თეიმურაზიც ცდილობდა თავისი ძალის გამრავლებას, მაგრამ ქართლ-კახეთი ამ დროს ხუნძახის ბატონის პირის-პირ იმდენად საშიშ მდგომარეობაში იყო, რომ დახმარების მსურველიც არავინ სჩანდა, ასე, მეფეებმა გაგზავნეს ჯერ ანდრონიკაშვილი, შემდეგ მაჩაბელი ჩერქესებში მთიულთა ჯარის მოსაყვანად. მაგრამ პირველ ცდაზე ჩერქესეთიდან მოვიდა მხოლოდ ერთ-ერთი ჩერქეს-ბატონი მცირე ჯარით, ისიც იმიტომ რომ სიმამრი იყო ერეკლე მეფის უფროსი ვაჟის გიორგი ბატონიშვილისა, მეორე ცდამ კი ვერაფელი შედეგი ვერ იქონია. „საქართველოზე მთელი დაღისტანი წამოვიდაო, ამბობდნენ ჩერქეზთა თავი-კაცები და ჩვენ იმათი ომი არ შეგვიძლიაო“.

ამასობაში ხუნძახის ბატონი დიდის ჯარით გადმოვიდა კახეთს, შეკრა გზები და შემოერტყა დიდად გამაგრებულს ყვარელის ციხეს. მისი მიზანი იყო ამ ციხის აღებით გაღმა-მხარში ფეხის მოკიდება, რის შემდეგ კახეთის დამორჩილებაც ადვილი საქმე იქმნებოდა და ამით, რასაკვირველია, ქართლის ბედიც გარდაწყდებოდა. მტრის მრავალრიცხოვანობის გამო მეფეებმა ლეკებთან აშკარა ომში გასვლა ვერ გაბედეს. რადგან ციხის დაცვა იქ მყოფ მეციხოვნეთა ძალის ამარა ძნელი იყო, ამიტომ მეფეებმა გარდასწყვიტეს საგანგებო რაზმის შედგენა, რომელსაც მტრის ალყა უნდა გაერღვია და ციხეში შესულიყო. რაზმში მონაწილე თავადისშვილს აღუთქვეს შესაფერი სახელო და მამული, აზნაურს და გლეხს ოთხი თუმანი, ორი საკომლო და სითარხნე. ამ მოწოდებას მიყვნენ ქართლის ჯარიდან რამოდენიმე თავადი, ერთი მღვდელი და მცირედ აზნაურნი და გლეხნი, კახეთის ჯარიდან 6 კაცი, ხოლო ქიზიყიდან 130 რჩეული ვაჟკაცი. ყველა ესენი მიენდვნენ თავისს მამაცობას, ღამე გავიდნენ ალაზანს, იშვიათი გმირობით, ხმალ-და-ხმალ ბრძოლით

გავლეს ლეკთა რაზმები და შევიდნენ ყვარელის ციხეში. მეციხოვნენი ამით გამხნევდნენ და განაგრძეს წინააღმდეგობის გაწევა.

ალყა მაინც გრძელდებოდა. მაშინ ერეკლე მეფემ ორჯელ გაუსია ჯარი ჰარს, რომელიც საშინლად მოოხრებულ იქმნა. მრავალი საქონელი წაბოყვანილ იქმნა ნადაელად. ამ ამბის მიღებისთანავე ხუნძახის ბატონს ნურსალი-ბეგს გაექცნენ ჰარელნი, მათ მიყვა კაკის სულთანიც. ამის შემდეგ ნურსალი-ბეგის გეგმაც ჩაიშალა. თავისი ჯარის ნაწილით ის გადმოვიდა ქართლს, შემდეგ მან დაკრა საგარეჯოს რაიონს, აგრეთვე ბორჩალოს მხარეს და დიდის ნადაელით წავიდა განჯას. დანარჩენი ნაწილი ლეკთა ჯარისა კი დაიფანტა დიდ-დიდ გუნდებათ უმთავრესად ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე. მათმა თარეშობამ ქვეყანა მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო და ხალხიც დაიხიზნა ციხე-სიმაგრეებში და მედგარ წინააღმდეგობას უწევდა აზვავებულ ლეკობას. ასე, მაგ., ლეკის ერთი ცხენოსანი რაზმი შეევარდა ბოლნისის ციხეში, რომელსაც ორბელიანთა აზნაურიშვილები იცავდნენ. ციხის მცველნი აცვივდნენ კოშკებში, ქალებმა და ბავშვებმა კიდევ აასწრეს ბოლნისის საყდრის თავში. გაიმართა საშინელი სროლა. ლეკთა თარეშებთან ბრძოლა .ამ დროს თეიმურაზ მეფისაგან მინდობილი ჰქონდა კოსტანტინე მუხრან-ბატონს, რომელიც ამ ამბის მიღებისთანავე თავისი ჯარით დაიძრა ბოლნისის მხრისაკენ, მაგრამ მის მისვლამდის ლეკნი, მეციხოვნეთა მიერ გაწეულ მედგარი წინააღმდეგობისა გამო, უკვე წასულიყვნენ ბოლნისიდან.

ლეკთა თარეშები მოდებული იყო არა მარტო ბორჩალოს და შიდა-ქართლის შორეულ ნაწილებში, არამედ მათი მძლავრობა თავს იჩენდა ტფილისის არე-მარეშიდაც. ამ მიზეზით ტფილისისკენ მიმავალი გზები მთლად შეიკრა, ზემო-ქართლიდან და ახალციხის მხრიდან უკვე ქარავნები ვერ მოდიოდნენ. ტფილისს ამიტომ დაეტყო სურსათის დიდი ნაკლებობა და სანოვაგე ფრიად გაძვირდა. მაშინ თეიმურაზმა შემოიკრიბა ჯარი, დადგა მცხეთას, აქედან გაგზავნა ჯარები გზების გასახსნელად და ტფილისისკენაც დაიწყო დენა პურმა, ღვინომ და ყველაფერმა საზრდომ. ამავე დროს თეიმურაზის განკარგულებით ერეკლე მეფე კოსტანტინე მუხრან-ბატონის თანხლებით გადავიდა ბორჩალოში, გამოელაპარაკა ბორჩალოსა და ყაზახის ხანებს, მისცა მათ შესაფერი დირექტივები ლეკებთან ბრძოლის საწარმოებლად და შემდეგ დაბრუნდა ტფილისს. ამის შემდეგ ლეკთა თარეშობა თითქოს მინელდა.

ქართლ-კახეთი ამ გვარად გადარჩა ერთს დიდს საფრთხეს, მაგრამ ლეკთა მძლავრება მაინც კვლავინდებურად გრძელდებოდა. თვით ქალაქ ტფილისის მიდამოებში ხშირი იყო მათი თარეშობა. მოულოდნელი თავდასხმა სოფლებზე საქონლისა და ადამიანთა წაყვანით ისევ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასე, მაგ., 1756 წ. ქვეითა ჯარი ლეკისა დაეცა გიორგი ციციშვილის ციხეს ნიჩბისის ზეგით, აიღო ციხე და წაიყვანა

ტყვედ ციციანთ ცოლშვილები სხვა ტყვეებთან და ნადავლ საქონელთან ერთად. ამ ჯარს, ყარაიასკენ მიმავალს, გამოუდგა მეფე ერეკლე ქართლ-კახეთის ჯარით, ვერ მიეწია მას, მაგრამ გზად ღამე შეხვდა ლეკთა მეორე რაზმს, რომელიც აგრეთვე ნაშოვრით სავსე მიდიოდა, ეკვეთა მას ხმალ-და-ხმალ და დააყრევინა ტყვეები.

ცოტა ხნის შემდეგ ლეკის ცხენოსანმა ჯარმა დაკრა სათარხნოს სოფლებს, მაგრამ დამცემელთ გამოეკიდა თვით მეფე თეიმურაზი, დაამარცხა ისინი და გაანთავისუფლა ტყვენი.

ამავე ხანებში ლეკთა ერთი ქვეითი რაზმი დაეცა ღართისკარში გზად თავისი ამალით მიმავალს კოსტანტინე მუხრან-ბატონს და მოკლა ის. მუხრან-ბატონის მკვლელ ლეკებს დახვდა ერეკლე მეფე კახელებით და თუშებით და ხმალ-და-ხმალ ბრძოლაში ამოსწყვიტა ისინი. დახოცილ ლეკებს მოსჭრეს თავები, აჰკიდეს ცხენებს და საპალნებით მოართვეს მეფე თეიმურაზს ტფილისში.

ყველა ეს ფაქტები ფრიად დამახასიათებელია იმ მძლავრობისა, რომელსაც ამ დროს იჩენდნენ აზვავებული ლეკები ქართლ-კახეთში. განსაკუთრებით ძლიერი და განმანადგურებელი იყო მათი თარეშები ქართლში და კერძოდ სომხით-საბარათიანოში. სომხითი (ბორჩალო) და საბარათიანო ამ დროს მთლად დაცარიელდნენ; ნაშტი მცხოვრებლებისა გახიზნული იყო კახეთს და ზემო-ქართლის მიუვალ ადგილებში. მეფეები ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ ლეკთა თარეშების ასალაგმავად და ხმალით ხელში იცავდნენ თავისი ქვეყნის მშვიდობიანობას, მაგრამ ამაოდ: ხუნძახის ბატონი და ლეკთა სხვა ბელადები კვლავინდებურად არ იღებდნენ ხელს ქართლ-კახეთის მტრობაზედ. 1757 წ. 4 ათასი ლეკი დაეცა ზემო-ქართლს, ხოლო ორი წლის შემდეგ დაღისტნის ბელადი კოხტა 8 ათასი კაცით წავიდა ქართლს სათარეშოდ და ავიდა ლიახვის ხეობამდის. გარდა ამ შედარებით მსხვილ ლაშქრობათა ქვეყანას ანიავებდა ქურდული თავდასხმა ლეკების უფრო მომცრო დასებისა. მეფე ერეკლე მხნედ მოქმედობდა მტრების წინააღმდეგ, გამუდმებით ლაშქრობდა და ცდილობდა მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებას შიგნით ქვეყანაში, მაგრამ პირადი მისი მხნეობა მაინც უძლური იყო ლეკთა თარეშების საბოლოოდ ასალაგმავად.

ქართ თავადების მოძრაობის იდეური საფუძველის შერყევა. შინაურ ცხოვრებაში ამ დროს უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის ძალა-უფლების დამოკიდებულებას ფეოდალურ ჯგუფთან. თეიმურაზი და ერეკლე ცდილობდნენ მტკიცე მართველობის დამყარებას და სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას. ფეოდალურ წეს-წყობილებას ჯერ კიდევ ძირი მაგრად ჰქონდა გადგმული ქვეყნის ცხოვრებაში და ამას ხელს უწყობდა რამოდენადმე ის დადებითი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა წინად დიდ თავადთა გვარეულობათ ეროვნულ კულტურისა და ვინაობის დაცვის საქმეში. დიდი თავადები ეროვნულ მაჯის ცემის და-

სუსტებისა და გარეშე საფრთხის დროს ხშირად გამოდიოდნენ ეროვნულ თავისუფლების მეძროშედ. ასე იყო, მაგალითად, მე-XVII საუკუნეში სპარსელების წინააღმდეგ და მე-XVIII საუკ. პირველ ნახევარში ოსმალებსა და შემდეგ ნადირ-შაჰის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ბოლოს გათავდა გარეგნულად თავადების დამარცხებით, მაგრამ არსებითად კი დიდი მორალურ გამარჯვებით თუ არა მათი, ყოველს შემთხვევაში იმ ძირითადი აზრისა, რომელიც ახასიათებდა ფეოდალურ წრეების სპარსელების წინააღმდეგ ამხედრებას: ბოლოს-და-ბოლოს ქართლი ხელში ჩაუვარდა ქრისტიან მეფეს თეიმურაზს და მალე მოისპო სპარსეთისაგან დამოკიდებულების ნაშთიც. ამ გვარად იდეა ეროვნულ და სარწმუნოებრივ თვით-მყოფობისა გამარჯვებული დარჩა. ამიტომ მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთში ქრისტიანი და ეროვნული მთავრობა განმტკიცდა, დიდ თავადთა ბრძოლასაც ძლიერ ცენტრალურ ძალაუფლების განმტკიცების წინააღმდეგ გამოეცალა ის მაღალი ზნეობრივი საფუძველი, რომლისთვისაც ასე ხშირად აფრიალდებოდა ხოლმე აჯანყების დროშა—საფუძველი სარწმუნოებრივი და ეროვნული. დიდ თავადების მეთაურმა, სპარსეთში გაგზავნილმა გივი ამილახორმა მალე შეიგნო ეს და შეურიგდა თეიმურაზ მეფეს. სპარსეთში გივი პირველად, როგორც მოხსენებული იყო, დაპატიმრებულ იქმნა შაჰ-ნადირის ბრძანებით ხორასანს. რამოდენიმე ხნის შემდეგ შაჰისავე ბრძანებით ის გაათავისუფლეს პატიმრობიდან და გაიწვიეს ყაენის კარზე. ჭკვიანი და დარბაისელი გივი, ყაენის კარზე მყოფ ქართველთაგან პატივისცემით მიღებული, მალე დაწინაურდა. მისი დიდბუნებოვანი პიროვნება იქცევდა სპარსეთის ხელმძღვანელ პირთა უურადღებას. გივეს წინადადებას აძლევდნენ მაჰმადიანობაში გადასულიყო, მაგრამ ამაზე ის გადაჭრით უარს აცხადებდა. მიუხედავად ამისა გივი, რომელიც სპარსეთში შაჰყული-ხანის სახელით იყო ცნობილი, მაინც დანიშნულ იქმნა სპარსეთის უულარაღასად. გივემა ამასთანავე მოიპოვა დიდძალი სიმდიდრეც. თეიმურაზ მეფის სპარსეთში ყოფნის დროს 1748—1750 წლებში გივემა აჩვენა მას დიდი სამსახური და ერთგულება. გივი მიხვდა, რომ მაშინდელი მომენტი მოითხოვდა მეფესთან შერიგებას და თავისი წინანდელ ოპოზიციაზე კახეთის სამეფო დინასტიისადმი ხელის აღებას. სპარსეთიდან დაბრუნებისას ის მიღებულ იქმნა თეიმურაზ მეფის მიერ პატივით, დაინიშნა ტფილისის მოურავად და ამის შემდეგ თეიმურაზის ერთგულ სამსახურში განაგრძობდა თავისს მოღვაწეობას. გივი გარდაიცვალა 1754 წ..

ქართლ-კახეთის ცხოვრებამ ამ ნაირად თანდათან მიიღო ახალი მიმართულება. ეს გარემოება კი თხოულობდა შინაურ წეს-წყობილების შეთანხმებას შეცვლილ ვითარებასთან და საზოგადოდ შინაური პირობების იმდენად გაუმჯობესებას, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სახელმწიფოებრივი ცხოვრების წინსვლის მკვიდრ გზაზე დაყენება. ეს კარგად ესმოდათ ქართლ-კახეთის მოწინავე წრეებს, თეიმურაზს და გან-

საკუთრებით ერეკლეს, ამიტომ შესაფერისს ზომებსაც ღებულობდნენ. ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა შინაურ პირობების გარდაქმნის მომზადებაში ჰქონდა, რასაკვირველია, კულტურულ მუშაობის გაჩაღებას.

შინაური გაუმჯობესებანი. კულტურული მუშაობა შეფერხებული იყო ოსმალთა ბატონობისა და შემდეგ შაჰ-ნადირის მძლავრების გამო. ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული სტამბაც ტფილისში არ მოქმედობდა. 1749 წ. ეს სტამბა ისევ განაახლეს. საეკლესიო წესთა განსამ რთავად განათლებულის და მეცნიერ კათალიკოზის ანტონ I-ის თაოსნობით მოწვეულ იქმნა ეპისკოპოსთა კრება. მთავრობა საზოგადოდ ხელს უწყობდა სწავლა-განათლების საქმესაც და ბოლოს 1756 წ. ტფილისში დაარსდა ფილოსოფიის სემინარია, რომლის რექტორად დანიშნულ იქმნა განსწავლული შვედელი ფილიპე ყაითმაზაშვილი.

ამასთან ერთად თეიმურაზი და ერეკლე ღებულობდნენ ზომებს შინაური ცხოვრების გასაუმჯობესებლად. გვირგვინის კურთხევის დროს 1745 წ. მეწინავე სარდალს ქაიხოსრო ორბელიანს ებოძა უფროსობა სარდლებში. ამით სამხედრო მართველობას მეტი ერთიანობა მიეცა.

1748 წ. სამართლის საქმის გასაუმჯობესებლად მდივანბეგად დანიშნულ იქმნა იოანე (ჯაბუა) ორბელიანი, ფილოსოფოსი და მეცნიერულ ცოდნით სახელ მოხვეჭილი. 1759 წლის ახლოს კიდევ საქმის წარმოების გასაადვილებლად დანიშნულ იქმნენ ცალკე მდივანბეგნი ქართლს და კახეთს, იოანე ორბელიანი კი დარჩა მსაჯულთ-უხუცესად.

ლეკთა თარეშებთან საბრძოლველად თეიმურაზ მეფემ შეადგინა ნოქრების მუდმივი ჯარი — 1 ათასი კაცი, 30 — 40 მან. ჯამაგირით წელიწადში (1755 წ.). მართალია, ეს ჯარი მალე დაიშალა – სახელმწიფოს არ შეეძლო ასეთი ხარჯის გაწევა — მაგრამ მისწრაფება მუდმივი ჯარის გაჩენისაკენ თანდათან იზრდებოდა.

მიდრეკილება რუსეთისადმი ძლიერდება. ქართლ-კახეთი ამ გვარად ცდილობდა თავისი შინაური ვითარების გაუმჯობესებას, მაგრამ ამისთვის ის საჭიროებდა ახალს გზებს თავისი კულტურული ძალების განსავითარებლად.

ძველი და მდიდარი კულტურის მქონე სპარსეთი ამ დროს გაყინული სჩანდა და მისი ეროვნული შემოქმედება მოდუნებული იყო. მაგრამ ამ დროს უკვე რუსეთთან იყო გაბმული ახალი კულტურული ძაფები, რომლებიც იწვევდა საქართველოს სულ სხვა სარბიელისაკენ. რუსეთში დიდი ხანია მოქმედობდნენ საკმაოდ მნიშვნელოვანი ქართული კოლონიები, რომელთაც თავისი მრავალ-მხროვანი ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობით ხელი შეუწყვეს ქართულ კულტურულ ძალების აღორძინებას და ამასთანავე რუსეთსა და საქართველოს შორის მუდმივ ურთიერთობის დაფუძნებას. ეს კულტურული კავშირი რუსეთთან, ამ დროისთვის უკვე საკმაოდ განვითარებული, რასაკვირველია, მომზადებული იყო იმ პოლიტიკური სიმპატიით და პატივისცემის გრძნობით,

რომელსაც დიდი ხანია, უკვე თითქმის ორასი წლის განმავლობაში, იწვევდა დიდი და ერთ-მორწმუნე რუსეთი საქართველოს სამეფოებსა და სამთავროებში. ხოლო ყველა ამან, სპარსეთის კულტურულ ენერგიის მოდუნებასთან ერთად, შესაძლებლად გახადა საქართველოს ცხოვრების თანდათან ახალს გზაზე დაყენება. კულტურული ინტერესები ამიერიდან ეძიებენ თავისს დაკმაყოფილებას უმთავრესად რუსეთიდან მომდინარე ნაკადის საშუალებით. ამიტომ პოლიტიკური მიდრეკილებაც გაევროპიელების გზაზე დამდგარ საქართველოსი დიდ რუსეთის იმპერიისადმი უფრო ძლიერდება და რუსეთზე დამყარებული იმედებიც უფრო ფართოვდება.

ამ გარემოებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ქართლ-კახეთში თეიმურაზ-ერეკლეს ედგათ წინ ფრიად რთული და პასუხ-საგები მოვალეობა შინაურ ცხოვრების გარდაქმნისა, მისი განმტკიცებისა. მთავრობა ცდილობდა სხვა, უფრო დაწინაურებულ ქვეყნების მაგალითისათვის წაბაძვას. ამ მხრივაც მთავარი მნიშვნელობა ქართლ-კახეთის მოწინავე წრეებისთვის ჰქონდა, რასაკვირველია, რუსეთს. რუსეთის წეს-წყობილების გასაცნობად და მისთვის წასაბაძავად ერეკლე მეფემ გადმოათარგმნინა რუსულიდან ქართულად იოანე მღვდელ-მონაზონს იმპერატორ პეტრე დიდის ბრძანებით შედგენილი რუსეთის სახელმწიფო კოლეგიათა დებულება (1760 წ.).

სხვა-და-სხვა სიძნელენი. მაგრამ ამ დაწყებულის დადებითი მუშაობის დაგვირგვინებას მრავალი ხელის შემშლელი პირობები სდევდა თან. ლეკების თარეშობა შეუძლებლად ხდიდა ქვეყნის მშვიდობიან წარმატებას. სპარსეთის ფეხზე წამოდგომაც კვლავ მოსალოდნელი იყო და საჭირო იყო ამ მხრივაც გარკვეულის გეზის შემუშავება. შიგნითაც, განსაკუთრებით ქართლში, მთავრობის დიდ ყურადღებას იპყრობდნენ დიდი თავადნი, რომელნიც ძლიერ უკმაყოფილო იყვნენ მეფის ძალაუფლების გაძლიერებით. ქართლის გავლენიან თავადების წრეებში ამასთანავე ხელზე იხვევდნენ იმ გარემოებასაც, რომ თეიმურაზი იყო წარმომადგენელი კახეთის სამეფოს სახლისა, ხოლო რუსეთში გარდახვეწილ ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის სახლობაც იმავე დროს უარს არ ამბობდა ქართლის ტახტის დაბრუნებაზედ.

თეიმურაზ II მიდის რუსეთს. ყველა ამის მოსაგვარებლად დასუსტებულს, აოხრებულს და გავერანებულ ქართლ-კახეთს ძალა აღარ შესწევდა. განსაკუთრებით საქმეს აძნელებდა შეუძლებლობა ლეკთა თარეშების ასე ადვილად ალაგმვისა, რის გამო მოუხერხებელი იყო შინაური ცხოვრების დალაგებაც. საჭირო იყო რაიმე გარეშე დახმარება და ამ დახმარების მიღება ქართველობისათვის არსებულ პირობებში შესაძლებელი იყო მხოლოდ რუსეთისაგან, რომლისაგან საქართველოს ცალკე სახელმწიფოების მეფეთ და მთავართ მუდამ ხელის გაწვდენის იმედი ჰქონდათ. რამოდენიმე თაობათა განმავლობაში ქართული საზო-

გადაებრივი აზრი შეეჩვია იმ ფიქრს, რომ მხოლოდ რუსეთში მრავალტანჯული და ბედისაგან დევნილი ქართველი ერი იპოვნის თავისი წყლულების მალამოს. ამ გვარი მიდრეკილება რუსეთისადმი არსებობდა არა მარტო ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეებში, არამედ მაშინდელ ფართო მოაზროვნე საზოგადოებაშიაც. რუსეთი იყო ის აღთქმის ქვეყანა, სადაც ყოველი ადგილობრივი გაჭირვებული, ცხოვრებით თავ-მობეზრებული, ეძიებდა თავშესაფარს და მიისწრაფოდა გარდასახვეწად.

ეს მიდრეკილება რუსეთისადმი ისეთი დიდი იყო, რომ ახლაც თავისი მტრების დასატუქსავად და შინაურ ცხოვრების მოსაწესრიგებლად საჭირო ძალის მოპოებას მთავრობა სწორედ ჩრდილოეთიდან ცდილობდა. თეიმურაზი და ერეკლე უკვე კარგახანია თხოულობდნენ დახმარებას რუსეთის მთავრობისაგან, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს 1760 წ. თეიმურაზ მეფე თვით გაემგზავრა პეტერბურგს რუსეთის მთავრობასთან სათანადო მოლაპარაკების გასამართავად. მაგრამ ამ გამგზავრებისაგანაც არა გამოვიდა რა ცარიელ დაიმედების მეტი. რუსეთის ინტერესი ამ ჟამად კიდევ არ მოითხოვდა საქართველოსთვის დახმარების გაწევას.

ქართლ-კახეთის გაერთიანება ერეკლე II-ის მიერ. პეტერბურგიდან დაბრუნებული თეიმურაზი გარდაიცვალა ასტრახანს 8 იანვარს 1762 წ. და იმავე წლის 29 ივნისს მეფე ერეკლე გამოცხადებულ იქნა შეერთებულ ქართლ-კახეთის მეფედ.

ამის შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო ერთს სახელმწიფოს წარმოადგენდა, საერთო პოლიტიკურ ინტერესების მქონეს. ამას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის საერთო მტრის მოსაგერიებლად და საზოგადოდ გარეშე საქმეთა უფრო კარგად წასაყვანად, მაგრამ შიგნით კი ორივე სამეფო დარჩა მაინც გარეგნულად შეერთებული. ორგანიულ გაერთიანებამდის, თუნდ მართვა-გამგეობის სფეროში, ჯერ კიდევ შორს იყო. მართვა-გამგეობა და ადმინისტრაცია ცალკე იყო როგორც ქართლისა, ისე კახეთის სამეფოსათვის. სახლთუხუცესობა, მაგ., და სხვა უმაღლესი მართველობის თანამდებობანი დარჩა სათითაოდ ქართლისა და კახეთის სამეფოსათვის განკერძოებით. შეერთება ქართლ-კახეთისა მოხდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მართველობითი ფუნქციები მოთავსებული იყო თვით მეფის ხელში. მართალია, მეფის უფლება ქვეყნის მართვა-გამგეობაში ფრიად ფართოთ ერეოდა, ასე რომ არსებითად გამგებლობის წინანდელ წესის შენარჩუნებას ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობაზე გავლენა არ ჰქონდა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცხადი იყო, რომ ქართველ მოწინავე წრეების წინაშე მალე დადგებოდა ფრიად რთული საკითხი ერთ მთლიან მართველობის სისტემის შემუშავების შესახებ. თითონ მეფე ერეკლე მომხრე იყო მკვიდრ ცენტრალისტური მართველობის დამყარებისა. მაგ-

რამ არსებულ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ ქვეყანა არ გამოსულიყო დიდ თავადების მძლავრების ხანიდან და ქართლ-კახეთის ზოგიერთ კუთხეში ჯერ კიდევ მაგრად იყო ჩადგმული საუკუნეებით განმტკიცებული ძველ დიდებულ გვარეულობათა ბუდეები, საჭირო იყო დიდი სიფრთხილე და წინდახედულება მით უმეტეს, რომ ქართლის შემომტკიცება ჯერ გათავებული საქმე არ იყო.

ყაზახისა და ბორჩალოს სახანოების გაუქმება. როგორც ერთერთ ნაბიჯს მკვიდრ ცენტრალისტურ მართველობის დამყარებისაკენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის განაპირა მხარეებში უშუალოდ მეფის მართველობის განმტკიცებას. ბორჩალოს და ყაზახის თათართ ელები წინად ემორჩილებოდნენ თავ-თავიანთ ხანებს, რომელთაც ამტკიცებდა მეფე. ამ ხანების ძალა-უფლების მოქმედება ამ დროისთვის უკვე შეწყვეტილი იყო. ყაზანის ხანის უფლების მოსპობას ხელი შეუწყო 1757 წ. ქართლ-კახეთის თათრის ელების აჯანყებამ. ელებს განზრახვა ჰქონდათ მიეტოვებინათ საქართველოს საზღვრები და სპარსეთისკენ წასულიყვნენ. ამ აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდა ყაზახის ხანი, რომელმაც აყარა ყაზახის ელი და გადავიდა ბამბაკს, ხოლო ბორჩალოს ხანი მუსაკი პირადად საქართველოს ერთგულად დარჩა. თეიმურაზის ბრძანებით ერეკლე მეფემ მაშინვე გაილაშქრა კახეთის ჯარით და ქართლის სარდლების თანხლებით ელების უკან დასაბრუნებლად. აჯანყება დაშოშმინებულ იქმნა. ელები დასჯილ იქმნენ 5 ათასი ცხვარისა, 4 ათასი ძროხისა და ასი ცხენის გამორთმევით, რის შემდეგ ისინი დაბინავებულ იქმნენ თავ-თავიანთ ადგილებში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ყაზახში საბოლოოდ დამკვიდრდა უშუალოდ მეფის მართველობა. ბორჩალოს ხანის უფლება კი გრძელდებოდა კიდევ, სანამ ეს მხარეც უშუალოდ მეფის მთავრობის დამოკიდებულებაში არ იქმნა მოყვანილი.

ყაზახის და ბორჩალოს სახანოების გაუქმება იყო აშკარა გამოხატულება თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ აღებულ გეზისა—ცენტრალისტურ მართველობის გაძლიერებისაკენ და ცალკე კუთხეებში მყოფ ადგილობრივ ნახევრად-დამოუკიდებულ ფეოდალურ მართველთა მნიშვნელობის შემცირებისაკენ.

პაატა ბატონიშვილის შეთქმულობა ერეკლეს წინააღმდეგ. ქართლის ზოგიერთ გავლენიან წრეებში ერეკლეს პოლიტიკით არსებულ უკმაყოფილების ნიადაგზე გაჩნდა შეთქმულობა მეფის წინააღმდეგ. შეთქმულობის მიზანი იყო ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება და ვახტანგ VI-ის უკანონო შვილის პაატას გამეფება. პაატას რუსეთში და ევროპაში ჰქონდა სწავლა მიღებული, იცოდა კარგად არტილერიის საქმე და უკვე კარგა ხანია ტფილისში ცხოვრობდა. შეთქმულობაში მონაწილეობას ღებულობდნენ სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახორი, გლახა ციციშვილი, ელიზბარ თაქთაქიშვილი და სხვანი.

ეს შეთქმულობა ჩაიშალა და შემთქმელნი მწარედ დაისაჯნენ, თვით პაატას თავი მოჰკვეთეს, თაქთაქიშვილი ცეცხლში დასწვეს, დიმიტრი ამილახორი დასაჯეს ვირზე შეჯდომით და ქალაქის ქუჩებზე ამ მდგომარეობაში ჩამოტარებით, ამილახორის შვილს ალექსანდრეს ცხვირი მოსჭრეს (1767 წ). შეთქმულობა ამ გვარად სრული მარცხით გათავდა, მაგრამ ამ გვარი გამოსვლა გაელენიანი თავადებისა ცხადად ამტკიცებდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი შრომა და დრო იყო საჭირო მეფის უფლების საბოლოოდ განსამტკიცებლად.

ლეკთა თარეშების სიძლიერე. შინაურ სახელმწიფოებრივ აღმაშენებლობისათვის ფრიად დიდს დაბრკოლებას წარმოადგენდა გარეშე მტრის დაუცხრომლობა. სპარსეთში ამ დროს ანარქია ჩაენელდა და სახელმწიფოებრივი უფლება თანდათან მოჰყვა ქერიმ-ხან ზენდის ხელში, მაგრამ სპარსეთს მაინც საქართველოსთვის აღარ სცხელოდა. სამაგიეროდ ლეკთა თარეშები კვლავინდებურად შეუძლებლად ხდიდნენ მშვიდ მოქალაქეობრივ ცხოვრების დამყარებას. მგზავრობა შეუძლებელი იყო, თუ არ დიდის ქარავნებით. გლეხი ყანაში სამუშაოდ ვერ მიდიოდა, თუ არ თოფით შეიარაღებული. ყოველი სოფელი ცდილობდა კოშკისა და სიმაგრის აშენებას. მცხოვრებლები, განსაკუთრებით შიშიანობის დროს, ღამით სიმაგრეში შედიოდნენ თავისი საქონლით და სახლებს ცარიელს სტოვებდნენ. დიდკაცობა მოგზაურობდა მხოლოდ დიდის ამალით და ხშირად ეს ამალაც საიმედო დამცველად ვერ ჩაითვლებოდა. ლეკნი აოხრებდნენ ქვეყანას და ატყვევებდნენ ხალხს. დედას შვილი ეკარგებოდა, შვილს კიდევ მამა ან დედა. იშვიათად შემდეგ თუ ვინმე ახერხებდა ტყვეობიდან გამოპარვას, ბევრი მთლად იკარგებოდა და ზოგი კიდევ თავს იხსნიდა ფულით. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა მთელს სიგრძეზე მეთვრამეტე საუკუნისა. მხოლოდ ხანდახან ლეკთა თარეშებს მომეტებული მწვავე ხასიათი ეძლეოდა. ტყვეების ფულით გამოსყიდვა ერთგვარ ხარკად გადაიქცა, რომელსაც საქართველო იძულებით აძლევდა ლეკებს. უბედურება იმდენად დიდი იყო, რომ საჭირო შეიქმნა სახელმწიფოს დახმარება. 1/5 სახელმწიფო შემოსავლისა გადადებული იყო საქველმოქმედო მიზნებისათვის და ამ ფულიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იხარჯებოდა ქვრივ-ობლებსა და დავრდომილებზე, უდიდესი ნაწილი კი მიდიოდა ტყვეების გამოხსნაზედ. ბაირამ ქიზიყში ლეკთა მიერ დატყვევებულთა გამოსახსნელად გაიღო ერეკლე მეორემ 30 წლის განმავლობაში 37 ათასი თუმანი.

კათალიკოზი ანტონ I. მიუხედავად ასეთ ძნელი მდგომარეობისა, კულტურული მუშაობა ქართლ-კახეთში არ შეჩერებულა. ამ მუშაობას სათავეში ედგა კათალიკოზი ანტონ ბატონიშვილი (კათალიკოზად დაჯდა 1744 წ. და მიიცვალა 1788 წ.). თავისი კათალიკოზობის დასაწყისში ანტონი დაუახლოვდა ტფილისში მყოფ კათოლიკე მისიონს.

ეს დაახლოვება უმეტესად წარმოებდა მეცნიერულ და ლიტერატურულ ნიადაგზე, მაგრამ მალე მას დაბრალდა მიდრეკილება კათოლიკობისადმი. სამღვდელოების კონსერვატიულ ნაწილის მოთხოვნით, რომელსაც მხარს უჭერდა თეიმურაზ მეფეც, მოწვეულ იქმნა საეკლესიო კრება. ერთი მთავარი იდეური მოწინააღმდეგეთაგანი ანტონისა იყო მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი, რომელიც მოითხოვდა ანტონის დამხობას საკათალიკოზო ტახტიდან. საეკლესიო კრებამ მოსთხოვა განმარტება კათალიკოზს, რომელმაც პირველად დაადასტურა თავისი მიდრეკილება კათოლიკე ეკლესიისადმი, ხოლო შემდეგ გაგზავნა დოგმატიურ კითხვების შესახებ არსებითად სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხი. მაგრამ აღელვება მის წინააღმდეგ კრებაზე მაინც იმდენად დიდი იყო, მით უმეტეს რომ ანტონმა არ ინება პირადად გამოცხადება და თავის მართლება კრების წინაშე, რომ ეპისკოპოსთა განაჩენით საკათალიკოსო ტახტი გამოცხადებულ იქმნა განთავისუფლებულად. ანტონი ამგვარად გადააყენეს მცხეთის საკათალიკოზო ტახტიდან (1756 წ.). ის ამის შემდეგ წავიდა რუსეთს, სადაც დაინიშნა ვლადიმირის მთავარ-ეპისკოპოსად. მხოლოდ 1762 წ. ერეკლე II-ის მიწვევით ანტონი დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა ისევ კათალიკოზის ხარისხით ეკლესიის გამგებლობას.

რუსეთში ყოფნას ანტონისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იქ მან შეისწავლა რუსული ენა და რუსული ენის საშუალებით ეცნობა და ევროპიულ აზროვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებთ. თანდათან ანტონმა გადმოთარგმნა ქართულად რუსული ენის საშუალებით ბაუმეისტერის ფილოსოფია, ლოღიკა და მეტაფიზიკა, აგრეთვე ვოლფის ფიზიკა და სხ.. მასვე ეკუთვნის თარგმანი არისტოტელის კატეღორიისა, შხითარის მიერ შედგენილ რიტორიკისა და სხ.. მანვე, სხვათა შორის, შეადგინა ვრცელი გრამატიკა ქართული ენისა. ანტონის შრომებზე იზრდებოდა მაშინდელი ქართველი ახალგაზრდობა და განათლების მოყვარული საზოგადოება. თავისი ნაღვაწით ანტონმა მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა საქართველოში ახალი მიმართულების განათლებას. ჩამოშორებული სპარსეთს როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად, აღმოს. საქართველო გზა იკვალავდა რუსეთის საშუალებით დასავლეთ ევროპის კულტურისაკენ.

სამცხე-საათაბაგოს შემოერთების საკითხის წამოყენება. მე-1760 წლებში ამ გვარად ქართლ-კახეთი, გაერთიანებული ერთ სამეფოდ, ეძიებდა კულტურულ და აგრეთვე პოლიტიკურ განვითარებისათვის ახალს გზებს. ასეთს პირობებში ქართლ-კახეთის მოწინავე წრეების ყურადღებას იპყრობდა საქართველოს დაქსაქსვა საზოგადოდ და განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგოს ბედი. ოსმალეთის ხელში მყოფი მესხეთი საბოლოოდ ჰკარგავდა ქრისტიანობას და ამასთანავე შორდებოდა დანარჩენ საქართველოს კულტურულად, ხოლო ზოგიერთ ადგილებში

ხალხის გათურქების პროცესის დაწყებისა გამო ეროვნულადაც. ამიტომ სამცხე-საათაბაგოს შემოერთების საკითხი გარდაიქცა ერეკლე II-ის პოლიტიკისათვის ერთ მთავარ მნიშვნელობის საკითხად. ეს გარემოება კი, რასაკვირველია, ამწვავებდა ქართლ-კახეთის ურთიერთობას ახალციხის საფაშოსთან. ამ დროს გახშირებულ თარეშების სიძლიერეს ფრიად ხელს უწყობდა ოსმალეთისა და კერძოდ ახალციხის ფაშის მფარველობა აღმ. საქართველოზე მუდმივ თავდამსხმელ ლეკებისა. ახალციხის საფაშოსთვის ქართლ-კახეთის გაძლიერება ძლიერ სახიფათოდ სჩანდა, რადგანაც ცხადი იყო, რომ საქართველო პირველ შემთხვევისთანავე ეცდებოდა ძველი სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლებას. ამიტომაც სწორედ ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ ახალციხის ფაშამ მოუმატა ლეკთა დასების მოსევას აღმ. საქართველოზედ. ეს თარეშები კვლავინდებურად შეუძლებლად ხდიდნენ შინაური ცხოვრების დალაგებას და მტკიცე აღმაშენებლობითი მუშაობის დაწყებას. ასეთი მუშაობას შესაძლებლობა კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეხლა, როდესაც ქართლ-კახეთი, განთავისუფლებული ფაქტიურად სპარსეთისაგან, საჭიროობდა შინაგან ძალთა დარაზმვას სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების და ცხოვრების დროის ახალ მათხოვნილებათა მიხედვით შესაცვლელად და გასაუმჯობესებლად.

X

არევ-დარევის ხანა ლიხთ-იმერეთს და ბრძოლა იმერეთის მეფეთა მთავრებთან და თავადებთან.

იმერეთს კვლავ ალექსანდრე IV-ის გამეფება 1691 წ.. მე-XVII საუკუნის დასასრულს ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრების მთავარ ძარღვს წარმოადგენდა ბრძოლა ლეგიტიმურ მეფის ალექსანდრე IV-ისა მის წინააღმდეგ ამხედრებულ მთავრებსა და თავადებთან. ამ ბრძოლის დროს ხშირად ჩნდება არჩილ მეფის კეთილშობილი პიროვნება, რომელიც უძლური იყო საერთო არევ-დარევასა და ანარქიულ მდგომარეობაში ქვეყნისთვის რაიმე თვალსაჩინო სარგებლობა მოეტანა. ალექსანდრე მეფე თავისი ბრძოლის დროს მთავრებთან და თავადებთან იძულებული იყო ოსმალთ დაყრდნობოდა, მაშინ როდესაც არჩილი ხშირად ოსმალთ წინააღმდეგ მოქმედობდა. არჩილის გამოსვლა ოსმალების წინააღმდეგ, მისი იმერეთის მეფედ მყოფობის დროს ქუთაისის ციხის განთავისუფლების მიზნით 1691 წ. აშკარა გამოხატულობა იყო მის მიერ

აღებულ გეზისა, რომელსაც იზიარებდნენ ამავე დროს ყველა იმერეთის თავისუფლების და აგრეთვე ქრისტიანობის თვალსაზრისზე მდგარი თავადები და წარჩინებულნი. ეს გამოსვლა, როგორც მოხსენებული იყო, მარცხით გათავდა და ამის შემდეგ არჩილსა და ოსმალებს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაწყვეტილი იყო. ალექსანდრე მეფე ამასობაში უკვე მისულიყო ახალციხეს, საიდანაც ფაშა ჩამოყვა მას იმერეთს. ოსმალოს ჯარის ჩამოსვლისთანავე არჩილს გაშორდნენ წარჩინებულნი იმერნი და მივიდნენ ალექსანდრესთან. შიდა-ქართლიდან იქ ამ დროს უკვე გაბატონებულ გიორგი მეფის მიერ გაგზავნილი იყო არჩილის დასახმარებლად მდივანბეგის ბარძიმის მეთაურობით ჯარი, მაგრამ ბარძიმმა ვერ მოასწრო დროზე მისვლა, რის გამო არჩილი იძულებული გახდა წასულიყო რაჭას, ხოლო იქიდან მივიდა ქართლს თავის ძმასთან. იმერეთს კი კვლავ გამეფდა ალექსანდრე IV.

ალექსანდრემ ხელახლავ გამეფებისთანავე სამეფო ტახტის თავისთვის განსამტკიცებლად შეირთო ცოლად გიორგი აბაშიძის ასული თამარი, რომელიც ამ დროს 10 წლისა იყო. აბაშიძე ამის შემდეგ ალექსანდრე მეფის მომხრე გახდა. ალექსანდრემ ამასთანავე კავშირი შეკრა ქართლის მეფე ერეკლე—ნაზარალი-ხანთან, რომელიც მედგარ ბრძოლას აწარმოებდა შიდა-ქართლში მყოფ გიორგი მეფესთან და მისი მომხრე ქართლის თავადებთან. ამ კავშირით ალექსანდრეს უნდოდა დაეზღვევა თავისი თავი გიორგის ძმის არჩილ მეფის პრეტენზიებისაგან იმერეთის ტახტის მიმართ. მაგრამ ამ კავშირისაგან ალექსანდრესთვის სახეიროდ არა გამოვიდა რა. ტყვის-მყიდველი და ულუთო ალექსანდრე მალე მოიძულა მისმა ცოლმა აბაშიძის ქალმა თამარმა, რომლის გამო გიორგი აბაშიძეც გადუდგა მეფეს. ამასობაში გიორგი მეფე და ძმა მისი არჩილი, რომელიც პირველად რუსეთში წასვლას აპირობდა, მაგრამ შემდეგ, სპარსეთის მთავრობის ცდით მისთვის ჩერქეზეთში გზების შეკერის გამო, ისევ ქართლს დაბრუნებულიყო, ენერგიულად მუშაობდნენ იმერეთის გავლენიან პირთა ასახმედრებლად ალექსანდრეს წინააღმდეგ. მალე იმერეთში გაჩნდა დიდი ჯამი, რომელმაც ძლიერ ბევრი მცხოვრები იმსხვერპლა. მაშინ ალექსანდრეს წინააღმდეგ დაგუბებულმა უკმაყოფილებამ აშკარად იფეთქა და იმერეთის თავადები—აბაშიძე, რაჭის ერისთავი პაპუნა და სხვანი კათალიკოსისა და ეპისკოპოსების წინამძღოლობით თავისი ჯარით მოადგნენ სკანდის ციხეს, სადაც იმყოფებოდა ალექსანდრე მეფე, გამოიყვანეს ის ციხიდან და ტყვეთ შეპყრობილსავით გაგზავნეს ჯერ მღვიმეს, შემდეგ სვერს, ბოლოს გადაიყვანეს ქართლს და მისცეს ხელთ გიორგი მეფეს. ამ უკანასკნელის ბრძანებით ალექსანდრე მოაშთვეს რუისს. მეფის გვამი დაფლეს იქვე (1795 წ.), ხოლო იმერეთს ერთხელ კიდევ გამეფდა არჩილი.

არჩილი—მეოთხეჯერ იმერეთის მეფედ. არჩილის გამეფების შემდეგ გიორგი აბაშიძემ წინადადება მისცა ამ დროს საჩხერეს გადმოსულ

გიორგი მეფეს ჯვარი დაეწერა მისს ასულზე—თამარ ალექსანდრე მეფის ცოლ-ყოფილზე, რის შემდეგ პირდებოდა მას იმერეთში გამეფებას. გიორგიმ ამაზე ძმის ხათრით უარი განაცხადა. მაშინ აბაშიძემ ამგვარივე წინადადებით მიმართა არჩილ მეფეს, მაგრამ არჩილმაც ამაზე უარი სთქვა. მან მხოლოდ თანხმობა გამოაცხადა მოეყვანა აბაშიძის ასული თავის შვილის ალექსანდრესთვის. რადგანაც ამ გვარად ეს საქმე ჰიანურდებოდა და გიორგი მეფეც ამასობაში უკვე სპარსეთში წასულიყო, ამიტომ გიორგი აბაშიძემ, ოდიშის ბატონს—გიორგი ლიპარტიანთან შეთანხმებით, გამოწვნა ოდიშს მყოფი ვინმე მეფეთა მონათესავე ბაგრატიონთა გვარისა გიორგი გოჩიად წოდებული, შერთო მას თავისი ასული და გამოაცხადა ის იმერეთის მეფედ.

არჩილი წავიდა დვალეთს (1696 წ.).

გიორგი გოჩია. ახალი მეფე ყოვლად შეუფერებელი იყო სამეფო ტახტისთვის—მიჩვეული მხოლოდ მიწის მუშაობას, მაღალი წრის ზნე-ჩვეულების უცოდინარი და ამავე დროს ხეიბარიც. სამეფოს მართვა-გამგეობა მას არ ძალუძდა და ფაქტიურად მთელი საქმეები გიორგი აბაშიძის ხელში იყო. მასვე მორჩილობდნენ ოდიშის და გურიის მთავრებიც.

მალე აბაშიძის ქალმა თამარმა მოიძულა თავისი ახალი ქმარიც და სთხოვა მამას მისგან განთავისუფლება. აბაშიძემ გამართა მოლაპარაკება ისევ არჩილთან, სთხოვდა მას მისი ასულის ცოლად შერთვას და პირდებოდა იმერეთის ტახტის საბოლოოდ მისთვის განმტკიცებას. თამარსაც უნდოდა არჩილზე გათხოვება, მაგრამ არჩილი ამაზე არ თანხმდებოდა და ამდენჯერ ბედის ცვალებადობის გამო არც იმერეთში კვლავ გამეფების სურვილს აცხადებდა. მიუხედავად ამისა იმერეთის წარჩინებულთ აბაშიძის თაოსნობით მაინც გადააგდეს ტახტიდან ორი წლის მეფობის შემდეგ გიორგი გოჩია და სხვა კანდიდატის უყოლობისა გამო მოიწვიეს მეფედ ისევ არჩილი (1698 წ.).

არჩილი მეხუთეჯერ იმერეთის მეფედ. არჩილი შეუდგა სამეფოს მართვა-გამგეობას. მაგრამ მისი მეფობა გაგრძელდა მხოლოდ 6 თვეს. არჩილის გამეფება არ შეეფერებოდა ოსმალეთის ინტერესს, რადგან არჩილი როგორც თავისი წინანდელი გამოსვლებით, ისე აგრეთვე მისი ძმის გიორგი მეფის ამ დროს სპარსეთის მთავრობასთან საბოლოოდ შერიგების გამო, ოსმალეთის მთავრობის ნების ბრმა აღმასრულებლად არ გამოდგებოდა. ახალციხის სალიმ-ფაშამ აცნობა არჩილის გაბატონება პორტას და სტამბოლიდანაც ბრძანება მოვიდა არჩილის გარდაგდების შესახებ. იმერეთის ტახტის მემკვიდრეთ ამ დროს შეიძლება ჩათვლილი ყოფილიყო ალექსანდრე IV-ის უფროსი უკანონო შვილი სვიმონი, რომელიც ქართლს იზრდებოდა ერეკლე—ნაზარალი-ხანთან. ახალციხის ფაშის თხოვნით ნაზარალი-ხანმა არჩილის საწინააღმდეგოდ გაგზავნა სვიმონი ახალციხეს. სალიმ-ფაშა ჯარით გადავიდა იმერეთს და გამოაც-

ხადა მეფედ სვიმონი (1698 წ.). არჩილი კი გადავიდა ლიახვის გზით ჩრდილოეთ კავკასიაში და შემდეგ წავიდა რუსეთს.

სვიმონ მეფე. სვიმონის ბედიც უდღეური აღმოჩნდა. გიორგი აბაშიძემ მაშინვე შერთო ახალს მეფეს თავისი ასული ანიკა, რომელიც წაართვა ქმარს ნასყიდა იაშვილს. თვითონაც გაუშვა თავისი მეორე ცოლი და შეირთო რაჭის ერისთვის შოშიტას დედა, ქვრივი პაპუნასი და ასული ბეჟან ლორთქიფანიძისა. ამ ნათესაურ კავშირისა გამო აბაშიძე კიდევ უფრო გაძლიერდა. მისი ასული თამარიც ერეოდა ქვეყნის საქმეებში და ცხოვრობდა როგორც დედოფალი. ეს უფლება-მოყვარე ქალი არ დაწყნარდა და ეხლა მეშურნეობა დაუწყო თავისს დას ანიკა დედოფალს და სიძეს სვიმონ მეფეს და ბოლოს აიძულა სიძე ქართლს გაქცეულიყო. ამის შემდეგ იმერეთში ბატონ-პატრონად დარჩა გიორგი აბაშიძე და მისი ასული თამარი.

თამარს და გიორგი ლიპარტიანს უყვარდათ ერთმანერთი, მათ გარდასწყვიტეს დაქორწინება. თამარი ამ მიზნით წავიდა ოდიშისკენ და გზად გაიარა თავისს ბიძასთან სამიქელაოს პატრონთან გიორგი მიქელაძესთან, რომლის და ცოლად ჰყავდა გიორგი ლიპარტიანს. როდესაც გიორგი მიქელაძემ გაიგო მიზეზი თამარ დედოფლის მგზავრობისა, წინადადება მისცა მას, მოეწვია ლიპარტიანი სამიქელაოს და ქორწილიც იქ გადაეხადა. ლიპარტიანიც მართლაც ამის შემდეგ თავისი ამალით მივიდა მიქელაძესთან. „განსდიდნი ეგოდენ ჩიქვანი, შეჰყვირა მიქელაძემ ლიპარტიანს მისელისას, — რამეთუ უტეევებ დასა ჩემსა. აწვე მოგაკვდინო, უკეთუ არა სცხო მირონი თამარს“. შეშინდა ლიპარტიანი, სცხო მირონი თამარს და იშვილა ის წესისამებრ. მაგრამ მიუხედავად ამისა, გიორგი ლიპარტიანმა მაინც მალე გაუშვა თავისი ცოლი, რომლისაგან ჰყავდა შვიდი მოზრდილი შვილი და შეირთო აბაშიძის ასული თამარი, რომელსაც ამიერიდან უწოდებდნენ იმერეთის და ოდიშის დედოფალს.

მამია გურიელი — იმერეთის მეფე. გიორგი აბაშიძის სახლის განდიდება შეშურდა მამია გურიელს, მოიყვანა ახალციხის ფაშის დახმარებით იმერეთიდან გაქცეული სვიმონ მეფე, გააშენებინა მას აბაშიძის ქალი. შერთო ცოლად თავისი ასული და დასვა მეფედ. აბაშიძემ და ლიპარტიანმა მაშინ შეუთვალეს გურიელს, თუ სვიმონს მოჰკლავ, შენ გაგამეფებთო. გურიელმაც გაგზავნა თავისი კაცნი და მოაკვლევინა მეფე.

გურიელი გამეფდა, მაგრამ აბაშიძემ მას სამეფო შემოსავალი არ დაანება. ამის გამო ახალი მეფე იძულებული იყო გურიიდან ტყვეები ეყიდა ოსმალებზე და თავისი კარის ხარჯი ისე გაესწორებინა. ბოლოს გურიელმა ვერ მოითმინა თავისი დაშამცირებელი მდგომარეობა, დაანება თავი მეფობას და წავიდა გურიას (1702 წ.).

ოსმალთა გალაშქრება ლიხთ-იმერეთს. იმერეთს ამ ნაირად ბატონად დარჩა გიორგი აბაშიძე, რომელიც ერიად კარგს განწყობილებაში

იყო თავისს ახალ სიძე—გიორგი ლიპარტიანთან. ამ უკანასკნელის თხოვნით აბაშიძემ დალაშქრა აფხაზები, რომელნიც საშინლად აოხრებდნენ ოდიშის სანაპირო ქვეყნებს.

ეხლა უკვე ოსმალეთის მთავრობასაც მიექცია ყურადღება იმერეთის საქმეების ასე უთავბოლოდ არევისთვის. სულთანის ბრძანებით იმერეთის ბატონად დაინიშნა მოკლულ სვიმონ მეფის ძმა გიორგი, რომელიც ახალციხეს იზრდებოდა. იმერეთში გამოგზავნილ იქმნენ დიდის ჯარით არზრუმისა და ახალციხის ფაშები, რომელთაც ამასთანავე ებრძანათ, რომ მუდმივ აოხრებათა და ურთიერთ ხდომის მოსასპობად იმერეთში ჩაეყენებინათ დიდძალი ჯარი შვიდი წლის ვადით, სანამ ცხოვრება ცოტად თუ ბევრად დალაგდებოდა და ახლად დაყენებულ მეფის უფლება განმტკიცდებოდა. ამ ბრძანების შესასრულებლად სერასკირის—არზრუმის ფაშის ლაშქარი წამოვიდა გურიისკენ ხმელეთით და ზღვით, ხოლო არზრუმის ფაშის ქეჰა და ახალციხის ისაყ-ფაშა მოადგნენ იმერეთს ფერსათის მთიდან. გურიელი და გიორგი მიქელაძე თავიანთი მომხრეებით და ჯარით მივიდნენ სერასკირთან. ამის შემდეგ ოსმალნი ადვილად შემოვიდნენ იმერეთსა და ოდიშში, ძლიერის ბრძოლით აიღეს გიორგი აბაშიძის კუთვნილი ჭალა-ტყის კოშკები, მოსწვეს და მოაოხრეს არგვეთი. ოდიშს კიდევ მათ აიღეს რუხის ციხე და შეაყენეს შიგ თავისი მცველნი.

ამ დროს სტამბოლში მოხდა დიდი ამბოხება ენიჩართა ჯარის მონაწილეობით. სულთანი მუსტაფი II ტახტიდან იქმნა ჩამოგდებული. ახალს სულთანს აჰმედ III-ს უპირველეს ყოვლისა უნდა დაემშვიდებინა ეს აჯანყება, რაც მან შესძლო კიდეც დიდის სისასტიკით: 15 ათასი ენიჩარი დაახრჩვეს ზღვაში. ამ არეულობებმა ხელი შეუშალეს ოსმალთ იმერეთის ლაშქრობის გაგრძელებაში. სერასკირს ბრძანება მოუვიდა უკან დახეულიყო. მაშინ ოსმალთა მთავარ-სარდალმა მოლაპარაკება გამართა გიორგი აბაშიძესთან თავისი ქეჰას საშუალებით. აბაშიძე თვით მივიდა ქეჰასთან 500 რჩეული მხედარით, რომელთაგან ნახევარი, რადგან ოსმალთაგან ღალატისა ეშინოდათ, შეჰყვა მას ქეჰას კარავში, ნახევარი კი დადგა კარებთან. ქეჰამ მოითხოვა შორაპნის ციხის დანგრევა, გიორგი ბატონიშვილის მეფედ დასმა და აგრეთვე მძევლების მოცემა. აბაშიძე დასთანხმდა ამ პირობებზე, დაანგრია შორაპნის ციხე და იშვილა გიორგი, რომელიც გამოცხადებულ იქმნა მეფედ. ამის შემდეგ ოსმალნი დაიძრნენ იმერეთიდან (1703 წ.).

იმერეთის მეფე გიორგი VI. გიორგი მეფე ჩამოიყვანეს ქუთაისს, მაგრამ ფაქტიურად ქვეყნის მართვა-გამგეობა ისევ გიორგი აბაშიძის ხელში დარჩა.

აბაშიძე შეუდგა ქვეყნის რამოდენადმე დამშვიდებას, აღკვეთა იმერეთში ტყვის ყიდვა, რომლის უფლება დაიტოვა მხოლოდ თავისთვის. ოდიშს და გურიას კი ტყვის ყიდვა კვლავინდებურად გრძელდებოდა.

აბაშიძის გაძლიერებას შურით ადევნებდნენ თვალყურს იმერეთის წარჩინებულნი, რომელთა შორის დაიწყო მითქმა-მოთქმა გიორგი მეფის დამცირებულ მდგომარეობიდან გამოყვანის შესახებ. ამ დროს ლიპარტიანსაც თავისს სახლში აუტყდა შფოთი, მას გამოექცა ძმა იესე და მივიდა გიორგი მეფესთან ქუთაისს. მასვე აუჯანყდნენ შვილები, რომელნიც გადამტერებულნი იყვნენ მამაზე დედის გაშვებისა და თამარ გიორგი აბაშიძის ასულზე ჯვარის დაწერის გამო. მამა მოურიგდა თავისს შვილებს იმით, რომ უფროსს კაციას მისცა დადიანობა, მეორეს ბეჟანს ლეჩხუმი და გაბრიელს, რომელიც ბერად იყო შესული, ჰყონდიდლობა.

ლიპარტიანის შვილები იყვნენ ღირსეული მემკვიდრენი თავისი მამისა: უნდონი, ტყვის საშინლად გამყიდველნი, მესისხლენი. ამკვარიევე იყო თვით ჰყონდიდლად დანიშნული გაბრიელი, ყოველად გარყვნილი კაცი. ასეთი პირნი, რასაკვირველია, კიდევ უფრო ამოვიებდნენ საერთო ანარქიის ცეცხლს.

აბაშიძის განდიდების მოწინააღმდეგე თავადები ბევრი იყო. მათ შორის პირველი ადგილი ეპირა გიორგი მიქაძეს, რომელიც აჭასთანავე გადამტერებული იყო აბაშიძეზე ლიპარტიანის მიერ მისი დის გაშვების გამო. გიორგი მიქელაძე იყო სიმამრი ქართლის მეფის გიორგისა, რომელიც ამ დროს უკვე მორიგებული იყო შაჰთან და ქართლის მეფედ ითვლებოდა. აბაშიძის შურით მიქელაძემ შეროთ იმერეთის მეუფედ დანიშნულს გიორგი VI-ს თავისი შვილის-შვილი და გიორგი ქართლის მეფის ასული როდამ და დააქორწინა. გიორგი VI ამის შემდეგაც განაგრძობდა ღარიბად ქუთაისის ციხეში ცხოვრებას, მაგრამ ეხლა მას უკვე გაუჩნდენ ძლიერი მომხრეები—მიქელაძე და ქართლის სამეფო სახლი.

მაგრამ მაინც ძალა აბაშიძის მხარეზე იყო. მას შემომტკიცებული ჰყავდა როგორც იმერეთის თავადების ნაწილი, ისე აგრეთვე ლიპარტიანი და გურიელიც. ამიტომ მისთვის დიდს სიძნელეს არ წარმოადგენდა გიორგი მიქელაძის იმერეთიდან გაგდება, რაც მან მალე შეასრულა კიდეც, ხოლო საკილაო-სამიქელაო დაიპყრო ლიპარტიანმა.

გიორგი მიქელაძის განდევნამ მისი სამფლობელოდან დააჩქარა გიორგი აბაშიძის მძლავრებით უკმაყოფილო ელემენტების ამოძრაება. თვით ამ ფაქტს—გიორგი მიქელაძის ქართლში დროებით გადასვლას—თავისი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ბრძოლის შედეგებისათვის, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა დაწყებულიყო ქუთაისში მცხოვრებ იმერეთის მეფეს გიორგი VI-ესა და გიორგი აბაშიძეს შორის. ამ ბრძოლამ იფეთქა, როდესაც საბოლოოდ გამოირკვა, რომ ქართლის სამეფო სახლი, გიორგი მიქელაძესთან დანათესავებული, მხარს დაუჭერდა თავისი ახალი სიძის—ლეგიტიმურ მეფის გიორგი VI-ის უფლების აღდგენას იმერეთში. ეს განსაკუთრებულის სიცხადით გამოაშკარავდა მას შემდეგ, როდესაც ვახტანგ ქართლის გამგებელის მიერ განსაზღვრული დამზახლება გიორ-

გი აბაშიძესთან მისი ქალის აბაშიძის შვილის ლევანისთვის მითხოვებით ჩაიშალა. სახელდობრ, ვახტანგს—ქართლის გამგებელს უნდოდა აბაშიძის შვილის ლევანისთვის ასულის მითხოვება და მისთვის ქართლის საბაბაშოს დამკვიდრება. მაგრამ რადგანაც აქამდის ქართლის სამეფო სახლსა და აბაშიძეს შორის ხშირად ცუდი განწყობილება იყო, ამიტომ გიორგი აბაშიძე ვერ ენდო ვახტანგს, მას ეშინოდა სასიძოდ დანიშნულის ლევანის სპარსეთში გაგზავნისა და საქმეც ჩაიშალა. ამის შემდეგ ვახტანგის სიმპატიები აშკარად გიორგი VI-ის მხარეს იყო, წინააღმდეგ გიორგი აბაშიძისა.

გიორგი VI ებრძვის მთავრებს. 1707 წელს მდგომარეობა გიორგი VI-სათვის იმდენად უკვე გაუმჯობესებული იყო, რომ მან გარდასწყვიტა აშკარად გამოსვლა აბაშიძის წინააღმდეგ და მოსთხოვა მას სამეფოს მართვა-გამგეობის დატოვება და თავისი სამკვიდრო-საბატონოთი დაჯერება. მეფეს მიემხრნენ კათალიკოზი გრიგოლ ლორთქიფანიძე, გენათელი, რაჭის ერისთავი პაპუნა, ლიპარტიანის შვილები და აგრეთვე გიორგი აბაშიძის ძმისწულნი ზურაბ, სვიმონ და ვახუშტი. მეფის მხარეზე გადავიდნენ აგრეთვე ქველი წერეთელი და სხვა თავადები. გიორგი VI-მ გაუსია მარბიელი ვაკის მხარეს, რომლის თავად-აზნაურობა აბაშიძის მხარეს იყო, თითონ კი შემოერტყა კაცხის ციხეს და შემდეგ ნავარძეთს. ამ დროს გადგა რაჭის ერისთავი პაპუნა, რის გამო მეფემ დალაშქრა რაჭა. ერთს ღამეს ერისთავის ჯარისკაცნი შეიპარნენ მეფის ლაშქარში და მოკლეს სახლთუხუცესი ჩხეიძე. მეფე მიადგა ხოტევის ციხეს, მაგრამ ვერ აიღო ის, დაბრუნდა იშერეთს და შემოერტყა აბაშიძის მიერ გამაგრებულ ნავარძეთის ციხეს. ამ დროს ლიპარტიანის შვილებმა კაციამ და ბეჟანმა სთხოვეს დახმარება მეფეს მამის წინააღმდეგ. მეფემ ნავარძეთის ციხეს მიუყენა ქველი წერეთელი, თვითონ კი ჯარით წავიდა ოდიშს. გიორგი ლიპარტიანი ივლტოდა აფხაზეთს. მეფე გადავიდა აფხაზეთს, სადაც შერვაშიძემაც არჩია მორიგებოდა მას. მეფე ამის შემდეგ დაბრუნდა ოდიშს და დადიანად დასვა გიორგი ლიპარტიანის ძე კაცია. მალე ქველმა წერეთელმაც აიღო ნავარძეთის ციხე, რომლის ზარბაზნები მეფემ კაცხს წააღებინა.

ამასობაში რაჭის ერისთავს გადმოელახა რაჭის საზღვარი, მოსულიყო ჭალა-ტყეს ვითომდა აბაშიძის დასახმარებლად, მოეოხრებინა სოფლები და ნადავლით უკან დაბრუნებულიყო.

ოდიშიდან დაბრუნების შემდეგ მეფემ დააპირა გურიელზე გალაშქრება, რადგან გურიის მთავარი მეფის მოწინააღმდეგე თავადების მხარეზე იყო. მეფემ დალაშქრა გურია და დაბრუნდა უკან მრავალი ტყვეებით და დიდის ნადავლით.

მალე ოდიშის მთავარი კაცია მოკვდა და სამთავრო ისევ გიორგი ლიპარტიანმა დაიჭირა. მან შეირთო გურიელის ქალი და ამით შეკრა კავშირი გურიის მთავართან.

მიუხედავად გურიის და ოდიშის მთავრების ამ დაკავშირებისა, მეფე ამ დროს შიგნით იმერეთში თავს უკვე მომაგრებულად სჭვლიდა. გიორგი აბაშიძე კი გამაგრებული იყო სვერის ციხეში. ამ დროს მას და ქართლის გამგებელს ვახტანგს შორის ურთიერთობა უკვე გაუმჯობესებული იყო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აბაშიძის ძმისწულს ვახუშტის შეერთო ვახტანგის ასული. ვახუშტ აბაშიძეს ამასთანავე დამკვიდრებული ჰქონდა ქართლის სააბაშიო. მაგრამ გიორგი აბაშიძის მდგომარეობა ამ დროს მაინც ძლიერ სერიოზული იყო. იმერეთს გაჩერება მისთვის უკვე, მეფის გაძლიერებისა და მთავრების მოღლილობისა გამო, ფრიად საძნელო იყო და ამიტომ მან არჩია იმერეთიდან ქართლს გადასვლა.

გიორგი აბაშიძის წასვლის შემდეგ მეფე დაეზავა გიორგი ლიპარტიანს და მასთან ერთად გაილაშქრა რაჭის ერისთავის წინააღმდეგ. მაგრამ, რადგანაც ერისთავის დასუსტება ლიპარტიანისთვის სასარგებლო არ იყო, ამიტომ ლიპარტიანმა უღალატა მეფეს, რის გამო დაწყებული ლაშქრობის დამთავრება არ მოხერხდა. მეფე, თავისი გეგმის ვერ შემსრულებელი, დაბრუნდა უკან.

მალე მეფის წინააღმდეგ კვლავ გაერთიანდნენ ყველა მთავრები: ლიპარტიანი, გურიელი, რაჭის ერისთავი და ბეჟანიც, რომელიც ითვლებოდა ლეჩხუმის თავად, შეურიგდა თავისს მამას ლიპარტიანს. მათთან მოქმედობდა აგრეთვე გიორგი აბაშიძის ძმისწული ზურაბი. ყველა ამათ შეკრეს პირი, გარდააგდეს გიორგი მეფე ტახტიდან და დასვეს მეფედ მამია გურიელი 1711 წ.

მეფე გიორგი VI წავიდა ქართლს.

მამია გურიელი მეორედჯერ და მესამედჯერ იმერეთის მეფედ. გიორგი მეფე ქართლში მყოფობისას კარგად მიღებულ იქმნა ვახტანგ ბატონიშვილის მიერ. გიორგიმ მოსთხოვა ვახტანგს გიორგი აბაშიძის, როგორც მისი მესისხლის, მისთვის გადაცემა. ვახტანგმა მოარიგა ისინი ერთმანეთს, აბაშიძე ამის შემდეგ დაბრუნდა ისევ სააბაშიოში იმერეთს, ხოლო გიორგი მეფე კი გადაიდა ახალციხეს და სთხოვა დახმარება ისაყ-ფაშას.

მალე აბაშიძის ოჯახში ატყდა უთანხმოება, ზურაბ აბაშიძე გამოექცა ბიძას და მიეიდა მეფესთან. მიზეზი იყო ის გარემოება, რომ გიორგი აბაშიძეს, თავისი ძმისწულის პრეტენზიების უკუსაგდებად სააბაშიოში, მოეთხოვა მისთვის სამკვიდროს გაყოფა. ხოლო ზურაბს გასაყოფი არაფელი ჰქონდა, ვინაიდან მას თავისი წილი გლეხები უკვე მთლად დაეყიდა ტყვედ ოსმალებზე. ამიტომ ურთიერთობა ბიძა-ძმისწულს შორის თანდათან მწვავდებოდა. ბოლოს ენერგიულმა ზურაბმა მაინც ჩაიგდო ხელში სააბაშიო.

ახალციხეს მყოფი მეფე გიორგი VI შეუთანხმდა ლეჩხუმის ბატონს ბეჟანს, ლიპარტიანის ძეს, რის შემდეგ გადმოვიდა ახალციხიდან და ბეჟანთან შეერთების შემდეგ დაეცა გურიელს ჩხარს და სასტიკი

ბრძოლის შემდეგ დაამარცხა ის (1712 წ.). იმერეთში მეორედ გამეფდა გიორგი VI.

ამის შემდეგ იმერეთის საქმეები კიდევ უფრო აირია.

ზურაბ აბაშიძემ თავისი ბიძის მტრობით შეასმინა მეფესთან გიორგი აბაშიძის სიძე, მისი ასულის ქმარი გიორგი ნიჟარაძე, დაათხრევინა მისთვის თვალები, ხოლო ცოლი მისი და თავისი ბიძაშვილი მიგვარა მეფეს ხასად. გიორგი აბაშიძემ მაშინ გადმოიბირა თავისკენ ბეჟან ლეჩხუმის ბატონი და გურიელიც. ლიპარტიანით და ერისთავითურთ დაეცა მეფეს. დაამარცხა ის ოკრიბას და განდევნა იმერეთიდან (1713 წ. ნოემბერს).

იმერეთში მესამეჯერ დაჯდა მეფედ მამია გურიელი, მაგრამ მალე გარდაიცვალა (5 იანვ. 1714 წ.) და მის მაგივრად გურიელობა და მეფობა დაიპყრო მისმა შვილმა გიორგიმ. მაშინ ბეჟან ლეჩხუმის ბატონმა შეაძლია ცოლად მეფე გიორგი VI-ს თავისი და. ზურაბ აბაშიძესაც უნდოდა მეფისათვის თავისი დის მითხოვება და ამიტომ ურთიერთთან შეთანხმებით მათ მიათხოვეს ნიჟარაძის ნაცოლარი, აბაშიძის ქალი, მეფესთან მყოფ მერაბ წულუკიძეს.

ბეჟან ლიპარტიანის გადადიანება. გაზაფხულზე 1713 წ. მეფე ოსმალთა ჯარით ჩამოვიდა იმერეთს, მაგრამ წინააღმდეგ ბეჟანის და ზურაბის მოლოდინისა, აეიდა რაჭას და რაჭის ერისთვის შემოსამტკიცებლად შეირთო მამია გურიელის ქვრივი და ერისთვის დაი ცოლად, თავისი ცოლი კი როდამ დედოფალი გაუშვა. ამისი გამგონე ბეჟან და ზურაბ გადუდგნენ მეფეს, მაგრამ შემდეგ ბეჟანი ისევ მოურიგდა მას, შეაძლია 4 ათ. მარჩილი და სთხოვა ოდიშს გაბატონება. მეფემ დალაშქრა ოდიში და მართლაც გააბატონა ბეჟანი, რომელმაც მიიღო დადიანის ტიტული (1715 წ.). ბეჟანმა ამასთანავე შეიპყრო თავისი მამა გიორგი ლიპარტიანი, რომლის ცოლი თამარ აბაშიძის ასული, იმერეთისა და ოდიშის დედოფლად წოდებული, უკვე 1707 წ. მომკვდარიყო, გააშვებინა მას მესამე ცოლი გურიელის ასული, ჩასვა ციხეში და მიიყვანა მასთან საცხოვრებლად მისი ცოლ-ყოფილი, თავისი დედა.

ბეჟან დადიანმა ამის შემდეგ ჩვეულებისამებრ მაინც მალე უღალატა მეფეს და ზურაბ აბაშიძესა და გიორგი გურიელთან ერთად დიდის ქრთამის გაღებით აღძრა შუამდგომლობა ახალციხის ასლან-ფაშის წინაშე გიორგი VI-ის გარდაგდებისა და გიორგი გურიელის გამეფების შესახებ. ფაშა ჩამოვიდა იმერეთის მეფის შესაპყრობლად და გაიარა აოხრებით და აწიოკებით მთელი ქვეყანა. მეფე გარდამწყვეტ ომში სვიმონ ეთთან დამარცხდა და იძულებული შეიქმნა ქართლს გაქცეულიყო (1716 წ.).

იმერეთის სააბაშიო ამ დროს უკვე ზურაბ აბაშიძის ხელში იყო, რადგანაც გიორგი აბაშიძე, საქვეყნო საქმეების საერთო არევ-დარევით თავშობეზრებული, ქართლს გადასახლდა. ის გარდაიცვალა ტფილისს 1722 წ., მისი ნეშტი დამარხეს კაცხის საგვარეულო მონასტერში.

გიორგი გურიელი მეორეჯერ იმერეთის მეფედ. გიორგი გურიელის მეფობა გაგრძელდა მხოლოდ 3 თვეს. ბეჟან დადიანი, პაპუნა რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძე შეთანხმდნენ ურთიერთ შორის და გაიყვეს იმერეთის სამეფო. გიორგი გურიელი ამის შემდეგ მეფედ ვერ დადგა და იძულებული შეიქმნა გურიას წასულიყო, მაგრამ იქაც მას აუჯანყდა დედა მისი ელენე დედოფალი, რომელმაც გაკრიპა ბერად შესული ძე თვისი ქაიხოსრო და ზემოდ დასახელებული სამი მთავრის დახმარებით გამოაცხადა ის გურიელად. გიორგი გურიელს მეტი გზა აღარ დარჩენოდა, რომ წასულიყო ახალციხეს.

გაზაფხულს 1717 წელს გიორგი VI-ც ახალციხის გზით ჩავიდა იმერეთს, მაგრამ დადიანმა, ერისთავმა და აბაშიძემ არ დააყენეს ის და მეფეც უკან დაბრუნდა ახალციხეს. ახალციხეს ორივე დევნილი—გიორგი VI და გიორგი გურიელი მორიგდნენ. პირველმა შეირთო მეორის ასული, ლიპარტიანის ცოლ-ყოფილი, რომლის შემდეგ სიძე-სიმამრი წავიდნენ სტამბოლს სულთანთან მისგან შემწეობის სათხოვნელად. აზრუმს ჩასვლისას გურიელი გამოაბრუნა უკან აზრუმის ფაშამ და ჯარით გამოგზავნა გურიის დასაპყრობად. მეფე კი წავიდა სტამბოლს.

გიორგი VI-ის კვლავ გამეფება. სტამბოლში გიორგი VI კარგად მიიღეს. ახალციხის ფაშას პორტისაგან ბრძანება მოუვიდა გიორგის კვლავ იმერეთში გამეფების შესახებ. ამ ბრძანების შესასრულებლად ახალციხის ისაყ-ფაშამ ჯარით წაიყვანა ქუთაისს სტამბოლიდან დაბრუნებული გიორგი მეფე და მივიდა ქუთაისს (აგვისტოში 1719 წ.). დადიანი, რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძე არ გამოცხადდნენ. მაშინ მეფე ოსმალთა ჯარით თავს დაესხა ყველა ამ თავ-თავიანთ ჯარით შეკრებილ მთავრებს და დაამარცხა ისინი. დადიანი გაიქცა ოდიშს, ოსმალნი მიყვნენ, მოაოხრეს სოფლები, დასწვეს ეკლესიები. ამის შემდეგ დადიანი მოურიგდა ოსმალთ, დანარჩენი თავადებიც დაეზავნენ მეფეს.

მთავრები არც ამის შემდეგ დაცხრნენ. მათ გარდაწყვეტილი ჰქონდათ გიორგი მეფის დაღუპვა. რამოდენიმე თვის შემდეგ ზემოდ მოხსენებულ სამი მთავრის შეჩენით მეფე გიორგი VI ისტუმრა თხემლის ციხეში სვიმონ აბაშიძემ და ნადიმის დროს თაეის მსახურთ მოაკვლევინა (მარტში 1720 წ.). იმერეთი ისევ დარჩათ ბეჟან დადიანს, რაჭის ერისთავს და ზურაბ აბაშიძეს.

მეფე ალექსანდრე V. ტაბტის მემკვიდრე, გიორგი VI-ის შვილი ალექსანდრე, ქართლს იმყოფებოდა. სტამბოლიდან მიღებული ბრძანების თანახმად ახალციხის ისაყ-ფაშამ მოითხოვა ის და ჩაიყვანა იმერეთს გასამეფებლად. ოსმალების ჯარით ალექსანდრე მეფემ, სვათა შორის, აიღო ზურაბ აბაშიძის ციხე ცუცხვათი, ჩააყენა შიგ ოსმალნი და შემდეგ დალაშქრა ლეჩხუმიც ბეჟან დადიანის საწინააღმდეგოდ. ბეჟან დადიანმა გარდასწყვიტა მორიგებოდა ფაშას და მისცა მას 12 ქესა ფული, რის შემდეგ ის დანიშნულ იქმნა მეფის საქმეთა მოურნედ. ამის

გაგონებაზედ უკუდგა რაჭის ერისთავი შოშიტა, რომელიც უკვე შემორიგებული იყო. ფაშამ გააგდებინა თავი ერისთავის თავდებს ოტია ჩხეიძეს და წავიდა ახალციხეს.

იმერეთი ამ გვარად დაიპყრო ალექსანდრე V-მ. მაგრამ ის სახელით ოდენ განაგებდა სამეფოს, ნამდვილად კი ყველა საქმეებს აწარმოებდა ბეჟან დადიანი, რომელმაც მიათხოვა მეფეს თავისი ქალი ცოლად და ამის შემდეგ კიდევ უფრო გამძლავრდა. ეს გარემოება მით უმეტეს ამხედრებდა რაჭის ერისთავს შოშიტას. მან გამოილაშქრა მეფის წინააღმდეგ, აოხრა სოფლები, დაატყვევა ხალხი და წავიდა (1725 წ.). იმავე წელს მეფე ჯარით ავიდა რაჭას და თავის მხრივ აოხრა ურჩ ერისთავს სოფლები. ასე ურთიერთ ხდომისაგან ოხრდებოდა ქვეყანა.

ოსმალნი იპყრობენ დასავ. საქართველოში ციხეებს. ქვეყნის ამგვარი გაჰირვებული მდგომარეობით სარგებლობდნენ ოსმალნი. მათ ჩააყენეს თავისი ჯარი სოხუმში, ხოლო 1725 წ. ააშენეს ფოთის ციხე და დააყენეს იქ ფაშა, რომელსაც მიათვალეს ოდიშის მთელი შავი ზღვის ნაპირი. რუხის ციხე, რომელიც დაშორებული იყო ზღვას და რომელიც წარმოადგენდა ოდიშის უმთავრესს სიმაგრეს, დაანგრიეს და მისი ნარღვევით ააშენეს ანაკლიის ციხე, რომელსაც უწოდეს რედუთ-კალე.

მეფე ოსმალებზე დაყრდნობით ებრძვის მთავართ. უთანხმოება მეფე-მთავრებს შორის ამის შემდეგაც არ კლებულობდა. ალექსანდრე V ცდილობდა მთავრების მძლავრების აღაგმვას და თუნდაც ოსმალთა დახმარებით თავისი უფლების განმტკიცებას. მეფის ამგვარი მისწრაფება ამხედრებდა მის წინააღმდეგ დადიანის, რაჭის ერისთავის და აბაშიძის სახლს, რომელნიც კვლავინდებურად ჩვეულებრივის მზაკვრობით და ურთიერთ ღალატით განაგრძობდნენ ბრძოლას მეფესთან.

თავადებს შორის არსებული ურთიერთობის დამახასიათებელია აბაშიძის გვარეულობის ვითარება ამ დროს. გიორგი აბაშიძის სიკვდილის შემდეგ საბაშიოს დაპყრობა მოინდომა მისმა შვილმა ლევანმა, მაგრამ მას წინააღუდგა ბიძა მისი ზურაბი, რომელიც კარგა ხანია უკვე ფაქტიურად ბატონობდა საბაშიოს და პირველობდა საზოგადოდ ზემო-იმერეთში. ამ გარემოებამ დაბადა მათ შორის შფოთი. ლევანი თავისი მემკვიდრეობითი უფლების ძიებაში დაემყარა მეფეს, მით უმეტეს რომ ზურაბი, მისი მზაკვრობისა გამო, მეფისთვის სანდო პირს არ წარმოადგენდა. ზურაბ აბაშიძე ამ დროს, მართალია, მეფესთან მორიგებული იყო, მაგრამ, როდესაც გამოირკვა ლევანის მასთან დაახლოვება, ის მაშინვე სამეფო ტახტის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა.

თავადების ფრონტი მეფის წინააღმდეგ ისევ ერთდებოდა. ამ დროს ურთიერთობა ალექსანდრესა და ბეჟან დადიანს შორისაც გამწვავებული იყო. ბეჟანს უნდოდა მეფის მთლად თავიდან მოცილება, არა ერთგზის დააპირა მისი მოკვლა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა ერთის მხრივ თავისი ასულის, ალექსანდრეს ცოლის, გამო და გარდა ამისა ალექსან-

დრეს მხლებლების ერთგული სამსახურის მიზეზით. მაგრამ ეხლა, როდესაც ზურაბ აბაშიძე მოხვდა მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში, დადიანიც აშკარად უკუდგა. რაჭის ერისთავი შოშიტა კი თავიდანვე მეფის მოწინააღმდეგე იყო. ამ გვარად დროებით მეფის საწინააღმდეგოდ გაერთიანდნენ ბეჟან დადიანი, შოშიტა რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძე.

ბეჟან დადიანის მოკვლა. მეფე თავის მხრივ ღებულობდა ზომებს. რაჭის ერისთავის დასასუსტებლად მან გადმოიბირა მისი ძმა გედევან გენათელი, რომელმაც დაანება თავი მღვდელ-მთავრობას, წაართვა ცოლი, ვახტანგ ჭართლის მეფის ასული, თავისს ძმისწულს პაპუნას და ცოლთან შეირთო. მეფემ მას უბოძა მამულები და სოფლები მთის მხარეში ფერსათისკენ, რის შემდეგ ის იწოდა ბარის ერისთავად.

ეს ზომა, რასაკვირველია, არ კმაროდა მტრების დასასუსტებლად. ამიტომ მეფემ მიმართა ოსმალთ. ისაყ-ფაშამ გამოგზავნა ძე თვისი უსუფი, რომელიც მოვიდა ალექსანდრესთან ერთად გეგუთს. უსუფმა მიიწვია თავისთან დადიანი და შოშიტა ერისთავი. ბეჟან დადიანი გამოცხადდა ოსმალებთან თავისი შვილით ოტიათი და ჯარით, მაგრამ როდესაც ის შედიოდა ფაშასთან კარავში, მას დაჰკრეს ხანჯალი და მოკლეს (1728 წ.). ამისი მხილველი ძე მისი ოტია და მეგრელნი ივლტოდნენ. ოსმალნი გამოეკიდნენ და მრავალი დახოცეს. ბეჟანის თავი გაგზავნეს სტამბოლს. ამის შემდეგ ფაშის მოთხოვნით მასთან მივიდა რაჭის ერისთავი, რომელმაც ფაშის კარავში სიფრთხილისათვის თან შეიყვანა თავისი შვილარაღებული ამალაც. ფაშამ დაუზავა ერისთავი მეფესთან და წავიდა ქართლს, რომელიც ამ დროს ოსმალების ხელში იყო.

შორაპნის ციხეს იპყრობენ ოსმალნი. ბეჟან დადიანის მოკვლის შემდეგ დადიანად დაჯდა ძე მისი ოტია. მას აუჯანყდა ძმა მისი კაცია. ოტიამ შეპყრო ის. და გაუგზავნა რაჭის ერისთავს დასაპატიმრებლად. უთანხმოება მეფესა და მის მოწინააღმდეგე წარჩინებულთა ჯგუფს შორის ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. მეფე შემოერტყა შორაპნის ციხეს, რომელიც ამ ხანად ზურაბ აბაშიძეს ეჭირა. წინად ეს ციხე ლევან აბაშიძის ხელში იყო, მაგრამ როდესაც მეფე ჯერ კიდევ ზურაბ აბაშიძესა და ბეჟან დადიანთან იყო დაკავშირებული, წაართვა მას და ზურაბს მისცა. მეფე ციხეს აიღებდა კიდეც, მაგრამ ზურაბმა დაასწრო, შემოიყვანა ციხეში ოსმალთა ჯარი და დაასადგურა იქ. მეფე იძულებული შეიქმნა ციხეს შორცლოდა.

1732 წ. გარდაიცვალა ალექსანდრეს ცოლი ბეჟან დადიანის ასული და მეფემ ცოლად შეირთო ლევან აბაშიძის ქალი. ამავე დროს გურიელის შემოსამტკიცებლად მეფემ მიათხოვა მას თავისი ასული. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გადაჰკიდა მეფეს როგორც დადიანი, ისე გრიგოლ რაჭის ერისთავი, რომელიც მამის შოშიტას სიკვდილის შემდეგ ერისთავად დაჯდა, ძ აგრეთვე ზურაბ აბაშიძეც. დადიანმა გადმოიბირა მეფის ძმა მამუკა და შეირთო მას თავისი და ცოლად. ესენი წამოვიდნენ მეფის წინააღ-

მდეგ, მაგრამ ალექსანდრე შევიდა ქუთაისის ციხეში ოსმალებთან და ომს მოერიდა.

ოსმალნი ოდიშში. ამგვარად ოსმალნი თანდათან ფეხს იკიდებდენ შიგნით ქვეყანაში და ამავე დროს ცდილობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრებასაც. 1733 წ. ოსმალთ გაილაშქრეს ფოთიდან ზღვის სანაპიროს გასავლელად ვიდრე აზოვამდე. მათი მიზანი იყო ყველა მონაპირე ქვეყნების საბოლოოდ დამორჩილება. დადიანი არ გამოცხადდა ფაშასთან, მაშინ როდესაც მეფე დადიანის მტრობით თავისი ჯარით მივიდა ოსმალოს ლაშქრის ბანაკში. დადიანის მიუსყლელობისა გამო ფაშასთან ოდიშის მცხოვრებნი დაიხიზნენ სიმაგრეებში. ოსმალთ ქვეყნის ოხრებიდ გაიარეს ილორამდე, დასწვეს ილორის წმ. გიორგის ეკლესია და შემდეგ გადავიდნენ აფხაზეთს. შარვაშიძე ყოყმანის შემდეგ გამოცხადდა ფაშასთან და გამაჰმადიანდა მთელი თავისი ამალით. აფხაზეთში ფაშამ მეფეს წინადადება მისცა გაჰყოლოდა ჯიქეთს და შემდეგ აზოვს. იმერთ ეს არ მოინდომეს და ღამით გამოიპარნენ. ოსმალნი გამოედევნენ. მეფემ და მისი ჯარის ნაწილმა გამოასწრო მდ. ენგურის მეორე ნაპირას, იმერთა ლაშქრის დანარჩენი ნაწილი კი დაიღუპა. ამ დროს აფხაზებიც წამოიშალნენ და დაუწყეს წვრილ-წვრილი რაზმებით ოსმალთ მიხდომა. ბოლოს მთელი ეს ლაშქრობა გათავდა იმით, რომ ფაშა თავისი ჯარის ნეშტით დაბრუნდა ზღვით უკან მთავარი მიზნის მიუხწეველად (1733 წ.).

ბრძოლის გაგრძელება მთავრებთან. დადიანი ოსმალთაგან ოდიშის აოხრებას მეფეს აბრალებდა და ამიტომ კვლავ შეუდგა ალექსანდრეს წინააღმდეგ საქმიანობას. მან და მისმა მოკავშირეთ ისევ წამოაყენეს მამუკა ბატონიშვილის კანდიდატურა სამეფო ტახტზე და თავისი ჯარით გაილაშქრეს მეფის წინააღმდეგ. ალექსანდრეს მხარეზე იყვნენ ლევან აბაშიძე, მამია გურიელი, დადიანის ძმა კაცია და ბარის ერისთავი. ბრძოლა მოხდა ჩიხორს, ორივე მხრით დაიღუპა მრავალი, მაგრამ გამარჯვება დარჩა მეფეს (1734 წ.). ოტია დადიანი დასჭრეს და ტყვედ შეიპყრეს, ძმა მისი კაცია, რომელიც მეფის მხარეზე იბრძოდა, მოკლულ იქმნა. დაჭრილი დადიანი მეფემ მოარჩენია მკურნალთ, მაგრამ არ გაანთავისუფლა, რადგან დადიანმა უარი განაცხადა ლეჩხუმის დაბრუნებაზე, რასაც მეფე სთხოვდა მას. მეფემ ყველა ტყვეები დაყიდა ოსმალებზე, და რადგან მთავრები ამ დამარცხების შემდეგაც მის წინააღმდეგ ახალს პლანებს აწყობდნენ, ამიტომ მან მიმართა ისევ ისაყ-ფაშას დახმარებისათვის. ისაყ-ფაშამ ქართლიდან მიაშველა მეფეს ოსჰალთა და ქართლის ჯარი მაჰმად-ბეგისა და გივი ამილახორის წინამძღოლობით. ამის შემდეგ დიდებულნი დაეზავნენ მეფეს. დადიანმა დაუბრუნა მას საჭილაო-სამიქელაო, რომელიც გარდაეცა დადიანის თვისმამუკა ბატონიშვილს. მამუკამ კი ამასთანავე მძლავრებით წაართვა საჩიჯავაძო ბეჟან ჩიჯავაძეს, დაიჭირა ციხე სებეკა და შექმნა თავისთვის ამგვარად საკმაოდ ვრცელი საუფლისწულო.

დროებით მეფე-მთავრებს შორის მშვიდობა ჩამოვარდა, მაგრამ მალე ისევ უთანხმოება ატყდა. ზურაბ აბაშიძემ წაართვა აბაშიძესვე მამუკაშვილს ხარაგოულის ცხე და თვითონ ციხის მეპატრონეც მოკლა. აბაშიძესთან ერთად უკუდგა პაპუნა წერეთელი, რომელიც გამაგრდა მოდინახის ციხეში. მეფემ ამ ციხეს ბრძოლით ვერა დააკლო რა და შემდეგ მოიწვია თავისთან დავითი,—ზურაბ აბაშიძის შვილი და თავისი სიძე,—პაპუნა წერეთელთან ერთად, ვარდციხეს, სადაც ღალატით ორივე მოაკვლევინა და შემდეგ წავიდა მოდინახის ციხის ასაღებად. პაპუნა წერეთლის ქვრივი აბაშიძის ქალი ქეთევან გამაგრდა ციხეში და არ შეუშვა მეფის ჯარი, რომელიც უნაყოფო ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

ალექსანდრეს ძმის გიორგის გამეფება იმერეთს. ამ გარემოებამ ისევ არია იმერეთის საქმეები. ზურაბ აბაშიძე, გრიგოლ რაჭის ერისთავი და დადიანი კვლავ ამხედრდნენ მეფის წინააღმდეგ, რომელმაც მოიშველია დაქირავებული ლეკის ჯარი 500 კაცი, დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგენი, ააოხრა ოდიში და დაბრუნდა უკან. რამოდენიმე ხნის შემდეგ მეფემ ზურაბ აბაშიძის შუარით დაასხა თავს ჯარი მისს ძმას ვახუშტი აბაშიძეს, ვახტანგ მეფის სიძეს, რომელიც ქართლში იმყოფებრძა, შეიპყრა ის და დააპატიმრა ნავარძეთის ციხეში. თავის გამოსახსნელად მეფე თხოვდა ვახუშტს 500 ქესა ფულს და ვახანის ციხეს, რაზედაც ის არ თანხმდებოდა. მაშინ ვახუშტის ცოლი ანუკა ბატონიშვილი წავიდა ისაყ-ფაშასთან და სთხოვა მას დახმარება. ფაშამ გამოუგზავნა მეფეს საჩუქრად ოქროთი შეკაზმული ცხენი, ხურჯი და 20 ქესა ფული და სთხოვა ვახუშტის განთავისუფლება, მაგრამ მეფემ ამაზე ეხლაც უარი განაცხადა. ფაშასთან ამის გამო მეფეს ურთიერთობა გაუმწვავდა. ამასობაში დადიანი, ერისთავი და ზურაბ აბაშიძე დაეცნენ იმერეთის სოფლებს და ააოხრეს ისინი(1740 წ.). ცოტა ხნის შემდეგ იმერეთში ჩამოვიდა ისაყ-ფაშის მიერ გამოგზავნილი ოსმალთა ჯარიც. მეფე ალექსანდრემ თავისი ოჯახი დახიზნა ხარაგოულს და თითონ კი თავისი შორეებით წავიდა ქართლს ქსნის ერისთავთან შანშესთან. მან თან წაიყვანა პატიმარი ვახუშტი აბაშიძეც. იმერეთში კი ოსმალთ მეფედ დასვეს ალექსანდრეს ძმა გიორგი, რომელსაც დაემორჩილნენ მთავარნიც. ქართლში ამ დროს შანშე ქსნის ერისთავი გადადგომოდა სპარსელებს და მისი დახმარებით მეფეს რაიმე საქმის გაკეთება არ შეეძლო. ამიტომ მან გაუშვა ვახუშტი აბაშიძე, თითონ კი მივიდა სპარსელებთან და გაგზავნა შაჰ-ნადირთან დაღისტანს პარის ერისთავი გიორგი და სთხოვა მას დახმარება. შაჰ-ნადირმა თავის მხრივ მიმართა ისაყ-ფაშას შუამდგომლობით ალექსანდრესთვის იმერეთის დაბრუნების შესახებ. ფაშამ ამისდა მიხედვით იმავე წელს ჩამოიყვანა იმერეთს ალექსანდრე, დასვა ის მეფედ და მოარიგა მთავრებთან.

ალექსანდრე ისევ იმერეთის მეფედ. ალექსანდრე სასტიკად გაუს-

წორდა თავისი ძმის გიორგის მომხრეთ. თავისს დედინაცვალს თამარ დედოფალს თავი მოკვეთა და სხვა მისი მომხრეები ზოგი დახოცა და ზოგი ტყვეთ დაყიდა ცოლშვილით. ცოტა ხნის შემდეგ დადიანი და ერისთავი კვლავ ამხედრდნენ მეფის წინააღმდეგ. ალექსანდრე ავიდა ქუთაისის ციხეს და აცნობა საქმის გარემოება ახალციხის ფაშას. ამის გაგონებაზე გეგუთს მდგარი მოკავშირენი აიყარნენ, მათ ეწიათ დასაზვერავად გასულნი ლევან აბაშიძე და გიორგი ბარის ერისთავი ქუთაისის ციხის ოსმალოს რაზმით. შეტაკების დროს მოკლულ იქმნა, სხვათა შორის გრიგოლ რაჭის ერისთავი (1743 წ.), დანარჩენი ჯარი კი გაიქცა. ალექსანდრემ ზავი შეკრა დადიანთან და რაჭის ერისთავის გრიგოლის მოადგილესთან—მისი ძმა-ვახტანგთან და ქვეყანა დროებით დამშვიდდა.

ზურაბ აბაშიძის მძლავრება მაინც შეუძლებლად ხდიდა მტკიცე ურთიერთობის დამყარებას მეფესა და მთავრებს შორის. მოუსვენარი და დაუდგრომელი ხასიათის ადამიანი, ის ამ მხრივ მუდმივ საშიშროებას წარმოადგენდა. ამიტომ მეფემ გადასწყვიტა მისი თავიდან მოშორება და ბოლოს აიძულა ქართლს წასულიყო. საბაშიოს მეპატრონედ ზურაბის შემდეგ სთლდა თავისს თავს ლევან აბაშიძე, ალექსანდრე მეფის სიმამრი, რომელიც აქამდის თავისი სიძის ერთგული იყო. ამიტომ მან მოინდომა ზურაბის ციხეების ჩაბარება, წავიდა სვერის ციხის დასაჭერად, მაგრამ მეფემ დაასწრო და თითონ დაიპყრო ზურაბ აბაშიძის საგანძურიოურთ (1744 წ.). ამით გულნაკლული ლევანი მოადგა შორაპას ციხეს და დაიჭირა ის. მეფე ცდილობდა ზურაბ აბაშიძის თავიდან მოშორებას შემდეგ საბაშიოში კიდევ ახალი მძლავრი ფეოდალი არ გაეჩინა, ლევანი კი პირიქით ამდენი სამსახურისა და ერთგულობის შემდეგ უსამართლოდ სთვლიდა მეფის თავისადმი უნდობლობით მოპყრობას. ამ გარემოებამ თანდათან გაამწვავა ურთიერთობა მეფესა და ლევან აბაშიძეს შორის, რომელმაც ბოლოს მაინც მოახერხა საბაშიოს დაპყრობა.

ურთიერთობა ლევან აბაშიძესა და მეფეს შორის მალე იმდენად გართულდა, რომ 1745 წ. მეფე აშკარად ილაშქრებს ჯარით საბაშიოს ახალი მფლობელის წინააღმდეგ. ლევან აბაშიძემ თავისი მხრივ დაიწყო მზადება და შემდეგს წელს თავისი მომხრეებით მთლად განძო თავისი სიძე—ალექსანდრე მეფე იმერეთიდან (1746 წ.). მეფემ თავი შეაფარა რატია დადიანს, რომელიც 1743 წლიდან მეფესთან კარგს განწყობილებაში იყო. თითქმის სამი წელიწადი მეფე თავის სამფლობელოს გარედ იმყოფებოდა, ვიდრე 1749 წ. მან არ ჩამოიყვანა ახალციხიდან ოსმალთა ჯარი და მისი დახმარებით არ დაიბრუნა მეფობა.

იმერეთს გამეფდა სოლომონ I დიდი. 1751 წ. მარტში გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე V და ტახტზე დაჯდა მისი უფროსი 15 წლის შვილი სოლომონ I. მხნე, ქვეყნის ინტერესებისათვის გამუდმებით მზრუნავი და სწორ-უპოვარი მეომარი, მტკიცე ნებისყო-

ფის მქონე ადამიანი, სოლომონ I ღირსეული თანამედროვე იყო ერეკლე II-სი.

დასავლეთი საქართველო ამ დროს იმყოფებოდა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში. გამუდმებულმა ომებმა, ურთიერთ რბევამ და ტყვეთა ყიდვამ ქვეყანა უკანასკნელ დღემდის მიიყვანა. ყველა მნიშვნელოვან პუნქტებში იმყოფებოდა ოსმალთა ჯარი. ქუთაისში იდგა აღა 500 იენიჩარით და არტილერიით. ამ აღას ემორჩილებოდა იმერეთის მთავარ ციხეებში ბაღდადსა, შორაპანსა და ცუცხვათში მდგარი ოსმალთა რაზმები. ამას გარდა ფოთში იდგა ორთულიანი ფაშა 200 იენიჩარითა და 50 ზარბაზნით, სოხუმში ასეთივე ფაშა 200 იენიჩარით და 60 ზარბაზნით.

შიგნით სამეფოში კიდევ მძლავრობდნენ რაჭის ერისთავი როსტომი, მხნე და ენერგიული პიროვნება, და ლევან აბაშიძე, რომელიც იყო პაპა სოლომონ I-ისა.

თავადების აჯანყება მეფის წინააღმდეგ. აბაშიძემ და რაჭის ერისთავმა კვლავ განაგრძეს მეფის ძალა-უფლების განმტკიცების წინააღმდეგ ბრძოლა, შეკრიბეს ჯარი და დაესხნენ თავს სოლომონს, რომელიც დამარცხდა და იძულებული გახდა ახალციხეს წასულიყო ოსმალთაგან შემწეობის სათხოვნელად. ოსმალეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა მეფეს და ამიტომ ახალციხის ფაშას ებრძანა იმერეთი ისევ სოლომონისთვის დაემკვიდრებინა. ფაშა გადავიდა იმერეთს ჯარით, გამეფა ისევ სოლომონი და შეარიგა ის მის წინააღმდეგ აჯანყებულ ფეოდალებთან (1752 წ.).

ტყვის ყიდვის აღკრძალვა. სოლომონი ამის შემდეგ მეტის სიფრთხილით შეუდგა თავისი პოლიტიკის წარმოებას. უპირველეს ყოვლისა ის შეუდგა მძლავრი მოკავშირის მოპოებას, რისთვისაც მან დაპირა დადიანთან დამოყვრება. ამ მიზნით მეფე გაეყარა თავისს ცოლს თავადის ინალიშვილის ასულს აფხაზეთიდან და დაიწერა ჯვარი ოტია დადიანის ასულს მარიამზედ. დადიანის შემომტკიცებით სოლომონს საშუალება მიეცა ქვეყნის კეთილდღეობისა და მისი განთავისუფლების საქმეში უფრო ენერგიულს გზას დასდგომოდა. ყველაზედ უფრო საშინელი შედეგი ხალხისთვის ჰქონდა ამ დროს ტყვის ყიდვას, რაც ქვეყანას მთლად ამოწყვეტას უქადიდა. ამიტომ მეფემ გარდასწყვიტა, თუნდაც ოსმალთა გადამტერების შიშით, ტყვეთა ყიდვა აღეკრძალა.

ხრესილის ომი. ტყვეთა ყიდვის აღკრძალვამ აამხედრა მეფის წინააღმდეგ ოსმალნი და რადგანაც ამავე დროს ურთიერთობა სოლომონსა და ფეოდალებს შორის კვლავინდებურად გამწვავებული იყო, ამიტომ ოსმალთ ამ ჟამად მეფის მოწინააღმდეგე ჯგუფთან დაიჭირეს კავშირი. ლევან აბაშიძე პირადად აეიდა ახალციხეს და იქიდან წამოუძღვა ბაშ-აღის და ქეჰა გოლა-ფაშის წინაამძღოლობით იმერეთზე სალაშქროდ დამზადებულს ახალციხისა და აჭარის ჯარს. იმერეთში გად-

მოსვლისას ამ ჯარს მიერთო რაჭის ერისთავი და ზოგი სხვა იმერეთის თავადი და აზნაური თავისი კაცებით. სოლომონის მხარეზედ იყო სიმამრი ოტია დადიანი, რომელსაც გამოეგზავნა ოდიშის ლაშქრით თავისი უფროსი შვილი კაცია. ოდიშის ჯარში იყო აგრეთვე სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შარვაშიძე. ოკრიბაში ხრესილის მინდორზე მოხდა ბრძოლა, რომელიც გათავდა მტრის სასტიკი დამარცხებით. თვით ბაშ-აღა და ქეჰა გურლა-ფაშა ტყვედ შეიპყრეს და შემდეგ მოკლეს, ლევან აბაშიძე მოკლულ იქმნა, მრავალი ოსმალოს ჯარის-კაცი დაიღუპა, კიდევ მეტი ტყვედ იქმნა შეპყრობილი. მეფის მხარეზედაც დიდი ზარალი იყო. სხვათა შორის ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ხუტუნია შარვაშიძე, რომელსაც ხმლით მტრის 16 ჯარის-კაცი აეკუწა და შემდეგ ოსმალთა რაზმის შუაგულში შევარდნილიყო. მხოლოდ ოსმალთა ჯარის მცირეოდენმა ნაწილმა და აგრეთვე როსტომ რაჭის ერისთავმა გაქცევით უშველეს თავს (14 დეკემბერს 1757 წ.).

ოსმალების ახალი შემოსევანი იმერეთს. ეს დამარცხება, რასაკვირველია, უშედეგოდ ვერ ჩაივლიდა. ახალციხის ფაშად ამ დროს იყო ჰაჯი-აჰმედი. კულტურული მიდრეკილების მქონე პიროვნება, რომელმაც გააშენა ახალციხის ციხეში კოსტანტინოპოლის აია-სოფიის გეგმით დიდი მეჩეთი და დააარსა ამ მეჩეთთან ჩინებული წიგნთსაცავი. მას ბრძანება მოუვიდა სტამბოლიდან იმერეთის დამორჩილების შესახებ. ოსმალთ მოსთხოვეს სოლომონს 300 ქესა ფული რამოდენიმე წლის ხარკად და ჯარიმად და კიდევ ტყვის ყიდვის თავისუფლად წარმოება. ქვეყნის აოხრების თავიდან ასაცილებლად სოლომონი დასთანხმდა პირველ პირობაზე, მეორეზე კი უარი განაცხადა. მაშინ დიდძალი ოსმალთა ჯარი ხუნძახის ბატონთან და ლეკებთან ერთად გადავიდა იმერეთს, მოაოხრა ქვეყანა, აიკლო, სხვათა შორის, გელათის მონასტერი. და აიძულა მეფე ყველა პირობებზე დათანხმებულიყო (1758 წ.). სოლომონი თვით მივიდა ახალციხეს მოლაპარაკების საბოლოოდ დასათავებლად. უკან დაბრუნებისას ფაშამ გამოაყოლა მეფეს 3 ათასი ოსმალოს ჯარი თავისი ქეჰას წინამძღოლობით ზავის პირობათა შესასრულებლად. წინდაწინვე შეთანხმებით ღამით იმერეთში ამ ჯარს თავს დაესხნენ იმერნი, რომელთაც მთლად გასწყვიტეს ის და თვით ქეჰაც კლდეზე გარდაჩეხეს.

ასეთი მარცხის გამო სტამბოლიდან მიღებულ ბრძანების თანახმად ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმედი თანამდებობიდან გარდააყენეს და შემდეგ სიკვდილითაც დასაჯეს.

ახალციხის ფაშად დაინიშნა იბრაიმი, რომელმაც მეფე სოლომონს დაუპირდაპირა ტახტის მაძიებლად ერთი მისი ბიძაშვილთაგანი, თეიმურაზი, და თვითონ 13 ათასი ოსმალოს ჯარით გადავიდა იმერეთს. მას მიემხრო როსტომ რაჭის ერისთავი. პირველად ოსმალებმა გაიმარჯვეს, მაგრამ შემდეგ მათ ჯარში ყოფ იენიჩარებსა და ქურთებს

შორის ატყდა უთანხმოება. პირველ ყოვლისა უნდოდათ ქვეყნის მხოლოდ დამორჩილება, მეორენი კი თხოულობდნენ აოხრების ნებართვასაც. ამ უთანხმოებამ ჯარი დაშალა. იმერნი გამოედევნენ და მრავალი გასწყვიტეს. ფაშა დაბრუნდა ახალციხეს და მალე ისიც გადააყენეს, ხოლო ჩილდირის ვეზირად და ამავე დროს სულთანის ბრძანებით ლიხთ-იმერეთის წინააღმდეგ დამზადებული ჯარის სერასკირად დაინიშნა ჰასან-ფაშა (1765 წ.). ორმოცი ათასი კაცით სერასკირი გადავიდა იმერეთს. რაჭის ერისთავი ეხლაც ოსმალთა მხარეზედ იყო. სოლომონს მხარს უჭერდნენ გურიელი და დადიანიც. სერასკირმა ბრძოლით გაიარა იმერეთის სამხრეთი ნაწილი და შემდეგ გადავიდა გურიას, დაიმორჩილა ის და აიძულა დადიანიც ერთგულობის ნიშნად ოსმალთათვის სურსათი მიეწოდებინა. ლაშქრობა გურიასა და ოდიშს გაგრძელდა და სერასკირი იძულებული გახდა ზამთრად ოდიშს დარჩენილიყო. გაზაფხულზე ჰასან-ფაშა გამოემართა სოლომონის წინააღმდეგ, აიღო 25 დღის ბრძოლის შემდეგ სვერის ციხე და განდევნა მეფე. რადგან წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო. ამიტომ იმერეთის თავადები ნელ-ნელა გამოცხადდენ ფაშასთან ქუთაისს და მოაწერეს ხელი მორჩილების აქტს. მეფედ გამოცხადებულ იქმნა სოლომონის ბიძაშვილი თეიმურაზი, ხოლო სოლომონი კი მხოლოდ 4 კაცის თანხლებით დაიმალა წერეთლების ციხეში მოდინახეში. ქუთაისში ფაშამ დასტოვა იმერეთის ხარკის მოსაკრებად ხარკის ამკრებ 4 ათასი კაცით და თითონ დაბრუნდა ახალციხეს (1766 წ.).

სოლომონ I მოურიგდა ოსმალეთს. სოლომონი ამგვარად დიდს გაჭირვებაში ჩავარდა, მაგრამ მეორეს მხრივ ოსმალთაც ძლიერ ძვირად დაუჯდათ ქვეყნის დროებით დამორჩილება. იმერეთის საბოლოოდ შემომტკიცება ხომ ჯერ კიდევ შორს იყო. სოლომონმა მიწართა რუსეთის მთავრობას და სთხოვა მას შუამდგომლობა ოსმალეთის წინაშე მისთვის სამეფოს დაბრუნების შესახებ ყოველწლიური ხარკის მიცემის პირობით და მხოლოდ ტყვის ყიდვის დაუშეებლად. ამავე დროს სოლომონმა დაიწყო მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან ერეკლე II-ის შუამავლობით. ოსმალეთსაც თავის მხრივ უნდოდა საქმის მშვიდობიანად გათავება, რათა იმერეთის რუსეთთან დაკავშირება თავიდან აეცილებინა და ამიტომ ბოლოს-და-ბოლოს შეთანხმება მოხდა კომპრომისულ ნიადაგზე. ოსმალეთმა აღიარა იმერეთი თავისი მფარველობის ქვეშ და არა უშუალო ქვეშევრდომობაში, ხოლო სოლომონი კისრულობდა კლავინდებურად ხარკის გადახდას და გარდა ამისა ყოველ წლიე 60 ქალ-ვაჟის მიცემას. 1768 წლის დასაწყისში სულთანის ფირმანით სოლომონი კვლავ დამტკიცებულ იქმნა იმერეთის მეფედ.

სოლომონი მიმართავს რუსეთს. ოსმალებთან დადებული პირობები იყო იძულებით მიღებული სოლომონის მიერ და ამიტომ მეფე

ეძიებდა რაიმე საშუალებას ქვეყნის სახსნელად, რადგანაც ცხადი იყო, რომ ოსმალეთი არ დასთანხმდებოდა ტყვეთა ყიდვის აღკრძალვასა და ხარკის ანგარიშში ქალ-ვაჟთა მიცემის შეწყვეტაზედ. ერთად-ერთი იმედი ისევ რუსეთზედ იყო და სოლომონი ამავე 1768 წელს აგზავნის პეტერბურგს ქუთათელ მიტროპოლიტს მაქსიმე აბაშიძეს რუსეთისაგან დახმარების მოსაპოვებლად. მაქსიმე ქუთათელის რუსეთში ჩასვლა მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც რუსის მთავრობა მზადებაში იყო ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დასაწყებად. ამიტომ მისს შუამდგომლობას პეტერბურგში ეხლა ყურადღებით მოეპყრნენ, რადგან ეს გარემოება რუსეთს ოსმალთა წინააღმდეგ განზრახული ომის დროს ამიერ-კავკასიაში ახალი ფრონტის ამოძრავების საშუალებას აძლევდა.

რაჭის საერისთავოს გაუქმება. ოსმალებისაგან გასანთავისუფლებლად საჭირო იყო უპირველესად ყოვლისა შინაური მდგომარეობის განმტკიცება. ამიტომ სოლომონმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია თავისი მთავარი მოწინააღმდეგის — როსტომ რაჭის ერისთავის ალაგმვას. მეფემ გარდასწყვიტა ბოლო მოეღო ფეოდალური ელემენტების ამ უძლიერესი ბურჯისათვის, მით უმეტეს რომ როსტომი კლავინდებურად დამოუკიდებელი გზით სიარულს არჩევდა. საკითხი უნდა გარდაეწყვიტა იარაღს. სოლომონმა თავისი და დაქირავებული ლეკის ჯარით დალაშქრა რაჭა, მაგრამ ერისთავი ვერ შეიპყრო. მეფე უკან დაბრუნდა და ერისთავის დასასუსტებლად გადააყენა კათალიკოსობიდან ძმა მისი ბესარიონი, რომელიც ჯერ ახალციხეს წავიდა, ხოლო შემდეგ გადავიდა ოდიშს. კათალიკოზად კი დანიშნულ იქმნა მეფის ძმა გენათელი მიტროპოლიტი იოსები.

ამის შემდეგ მეფესა და ერისთავს შორის კვლავ გაიმართა მოლაპარაკება. ერისთავმა მოითხოვა უვნებლობის ნიშნად კათალიკოზის მიერ შეფიცება და აღუთქვა მეფეს მორჩილება. მეფემ შეფიცა კათალიკოზს ბარძიმზე, ერისთავს სამაგალითოდ მოვეპყრობიო, რაც მოულოდნელ სისასტიკით შეუსრულა. ღღესაც როსტომი და მისი შვილები მივიდნენ ვარციხეს, აქ ისინი შეიპყრეს და ყველას თვალები დასთხარეს (1769 წლ. დასაწყისს). რაჭა სოლომონმა აიღო თავისთვის სახასოდ, ნაწილი კი უბოძა სარდალს ნიკოლოზს და მისს ძმას პაპუნა წერეთელს, რომელთაც მეფეს წინად დიდი ერთგულება აჩვენეს ოსმალებთან ბრძოლის დროს. რაჭის საერისთავო ამ გვარად მოისპო.

დადიანი იმერეთის მეფის წინააღმდეგ. რაჭის საერისთავოს დაპყრობამ დიდად განაძლიერა მეფე სოლომონი. მისს ხელში იყო ამ დროს უცილობლად მთელი იმერეთი. ამ გარემოებამ იქონია გავლენა ოდიშის მფლობელს კაცია დადიანზედ, რომელიც აქამდის მეფესთან კარგს განწყობილებაში იყო და ოსმალებთან ბრძოლის დროს რამდენადმე მას დახმარებასაც უწევდა. დადიანს ეშინოდა, რომ მეფის აქტიური პოლიტიკა ამის შემდეგ დაისახავდა მიზნად გურიისა და ოდი-

შის სამთავროების სამეფოსთან მჭიდრო დაკავშირებას და მათ დამორჩილებას. ამით აიხსნება, რომ ურთიერთობა მეფესა და დადიანს შორის თანდათან გაუარესდა და ბოლოს გამწვავდა კიდეც. დადიანმა გამოყო ოდიში იმერეთიდან ეკლესიური მხრივაც და თავისი სამფლობელოს ეპისკოპოსები დაუმორჩილა კათალიკოზს ბესარიონს, რომელიც ოდიშს იყო შეხიზნული. ამ გვარად ლიხთ-იმერეთის საეკლესიო საქმეებს სათავეში მოექცა ორი კათალიკოზი: იმერეთში ბატონიშვილი იოსები და ოდიშში ბესარიონი.

ამ რიგათ მე-1760 წლების მიწურულში ხანგრძლივი ბრძოლა იმერეთის მეფეებისა მთავრებთან და თავადებთან ნაწილობრივ დამთავრებული იყო. ალლოშ I-მა შესძლო შიგნით სამეფოში თავისი ხელმწიფების განმტკიცება იმდენად, რომ მას შეეძლო ეხლა ეფიქრა გურიისა და ოდიშის დამორჩილებაზე.

ასეთი იყო მდგომარეობა დასავლ. საქართველოში, როდესაც უკვე დიდ სახელმწიფოდ ქცეული რუსეთი დაუახლოვდა ამიერკავკასიას და ცდილობდა საქართველოს ჩაბმით თავისი პოლიტიკის ფარგლებში ქართველ ერის ძალების გამოყენებას იმ დიად ბრძოლაში, რომელსაც ის იწყებდა დ ცემის გზაზე დამდგარ ოსმალეთის იმპერიასთან.

XI

რ უ ს ე თ ი ს ა კ ე ნ.

იმ დროს, როდესაც რუსეთის იმპერია ეპირებოდა აქტიურ პოლიტიკაზე გადასვლას ოსმალეთის წინააღმდეგ კერძოდ საქართველოს მხრივაც, ჩვენი ქვეყნის შინაური მდგომარეობა აუცილებელ საჭიროებად ქმნიდა ძლიერ გარეშე ძალაზე დაყრდნობას საშინაო და საგარეო სიძნელეთა დასაძლევად. მართალია, ქართლ-კახეთი უკვე კარგა ხანია არ განიცდიდა სპარსეთისა და ოსმალეთის ხშირ დიდ-დიდ შემოსევათა შიშს, მაგრამ ქვეყანა მაინც ჯერ კიდევ არ იყო მოღონიერებული იმ საშინელ აწიოკების და აოხრების შემდეგ, რომელიც გამოიარა ალმ. საქართველომ 1720—1740-იან წლებში ოსმალ-სპარს-ლეკთა მძლავრების დროს. დასაელეთი საქართველოც მუდმივ შინაურ და საგარეო ომების გამო უკეთეს მდგომარეობაში არ იყო. ამ მიზეზებისა გამო მოსახლეობა კერძოდ ქართლ კახეთში არავითარ წინსვლას არ განიცდიდა. 1770 წლის ცნობებით, მაგ., ქართლ-კახეთის სამეფოში ითვლებოდა ყაზახს გარდა 37 ½ ათასი კომლი, ამათგან 52,8% ქართველი, 19% სომეხი, 17% თათარი, 10,9% ოსი და სხ.. ამას გარდა ყაზახ-შამშადილში, რომელიც 1749 წლიდან სამეფოს ეკუთვნოდა, ითვლებოდა 5,200 კომლი თათარი და 2,400 კომლი სომეხი. ხოლო 1702 წ. კი

სულ ქართლ-კახეთის სამეფოებში ირიცხებოდა 60 ათასი კომლი, ამათში 12—15 ათასი კომლი თათრის ელი, რომელიც შემდეგ თითქმის მთლად შაჰ-ნადირმა გადაასახლა სპარსეთს. ამ ათასის ელის გამოკლებითაც ცხადია, რომ ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1770 წელს მე-XVIII საუკუნის დასაწყისთან შედარებით რამოდენადმე დაკლებულიც იყო.

ასეთ პირობებში ცხადია, რომ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობაც წინსვლის გზაზე ვერ დადგებოდა. სახელმწიფოს ფინანსიური ვითარებაც უარესდებოდა და ამიტომ მთავრობა იძულებული ხდებოდა ისეთი დროებითის ხასიათის ზომებით, როგორც, მაგალითად, ფულის განსაზღვრულ ერთეულში ვერცხლის რაოდენობის დაკლებით, დროებით ხაზინის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასე, 1748 წელს აბაზი შეიცავდა $6^1/_3$ დანგ ვერცხლს (მე-XVIII საუკ. პირველ წლებში კი $9^1/_3$ დანგს), ხოლო 1770 წელს მოჭრილი აბაზი კი იწონიდა მხოლოდ $4^2/_3$ დანგს. ოთხ-დანგიანი აბაზი დარჩა შემდეგ მე-XVIII საუკუნის დასასრულამდის. ამგვარი პოლიტიკური ზომა, რაკვირველია, ვერ შეიტანდა ძირითად გაუმჯობესებას სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობაში.

საზოგადოთ, მიუხედავად ერეკლე II-ის ენერგიულ ზომებისა, წინა დროინდელ ჭრილობათა დაამება და ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება მაინც საძნელოდ სჩანდა და შედარებით მე-XVIII საუკ. დასაწყისთანაც კი წინსვლა არ აღინიშნებოდა. საინტერესოა ამ მხრივ სახელმწიფო შემოსავლის რაოდენობის შედარება, რადგან ეჰვს გარეშეა ეს გარემოება რამოდენადმე საშუალებას გვაძლევს საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ ხალხის ხარჯის გარდამხდელობის შესაძლებლობაზედაც. 1769 წელს და მის ახლო ხანებში ქართლ-კახეთის წლიურ სახელმწიფო შემოსავალს შეადგენდა: 10 ათ. მან. განჯის, 30 ათ. მან. ერევნის ხარკი, 10 ათ. მან. ტფილისის ზარაფხანიდან, 10 ათ. მან. ტფილისის საბაჟოდან და სხვადასხვა გადასახადებისაგან 90 ათ. მან., სულ 150 ათ. მან., ხოლო 1690-იან წლებში მარტო ქართლის სამეფოს წლიური შემოსავალი უტრიდა 50 ათას მანეთს. სტატისტიკურ მასალების შესწავლის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში ამ ხნის განმავლობაში ფულის ნომინალური წოდებულების გაიაფება გამოიხატება, როგორც 1:2,1. ამისთანავე სახეში მისაღებია ის გარემოება, რომ განჯა-ერევანი წინად ქართლის მეფის მოხარკე არ იყო. ამისდა მიხედვით სახელმწიფო შემოსავალი კერძოდ ქართლში 1770 წლ. ახლოს არსებითად უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე მე-XVIII საუკ. მიწურულში. აღსანიშნავია, რომ კერძოდ ტფილისის საბაჟოების შემოსავალს ამ ხნის განმავლობაში არაეითარი წინსვლა არ ეტყობოდა. 1702 წ., მაგალითად ამ საბაჟოებიდან შემოდიოდა 5 ათ. მანეთი, ხოლო 1769 წ. 10 ათასი მან., რაც ზემოხსენებულ ფულის გაიაფების მაჩვენებელ პროპორციის მიხედვით არსებითად მცირეოდენი განსხვავებით არ უდრის მე-XVIII საუკ. დასაწყისს აღსებულ შემოსავლის ციფრს.

დასავლ. საქართველოც ეკონომიური განვითარების მხრივ აგრეთვე ფრიად ცუდს გარემოებაში იყო.

ასეთი იყო მდგომარეობა საქართველოში, როდესაც რუსეთმა დაიწყო დიდი ომი ოსმალეთთან.

რუსის ჯარი ტოტლებენის მეთაურობით შემოდის საქართველოში. 1768 წლის დასასრულს გამოცხადდა ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის. რუსეთი აქამდის თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეფოებს და სამთავროებს, მაგრამ ეხლა პეტერბურგში საჭიროდ დაინახეს ამ ძალის თავის სასარგებლოდ აბრუნება. რუსის მთავრობამ გამართა წინასწარი მოლაპარაკება, რომლის შემდეგ გარდასწყდა მეფე ერეკლეს და სოლომონის დადიან-გურიელთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ამხედრება, რისთვისაც რუსეთი თავის მხრივ აგზავნიდა ჯარს გრაფ ტოტლებენის უფროსობით. რუსეთში მიღებული ცნობების მიხედვით ერეკლეს შეეძლო 30 ათასის და სოლომონს 20 ათასი კაცის გამოყვანა, რაც, რასაკვირველია, დააბანდებდა კავკასიაში კარგა მოზრდილს ჯარს ოსმალებისას და ამიტომაც რუსეთი ცდილობდა მეფეების ომში ჩათრევას, მხოლოდ ისე კი, რომ თითონ დიდი მსხვერპლი არ გაეღო. სოლომონი და ერეკლე თავის მხრივ სიხარულით შეხვედნენ რუსის ჯარის საქართველოში გამოგზავნის ამბავს. ერეკლეს იმედი ჰქონდა სამცხე-საათაბაგოს შემოერთებისა, სოლომონს კიდევ უმთავრესად იმერეთიდან ოსმალთ განდევნისა. აგვისტოში 1769 წ. ტოტლებენის ჯარმა გაიარა დარიალის ხეობა და მივიდა ქართლს, ხოლო აქედან იმერეთს სოლომონ მეფის დასახმარებლად და ოსმალების იმერეთის ციხეებიდან გასარეკად. ტოტლებენის ჯარში ირიცხებოდა მხოლოდ 500 კაცი 4 ზარბაზნით. ამ მცირერიცხოვანი რაზმით არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა და მეფენიც დიდს სამხედრო ოპერაციებს მოერიდნენ. რუსის მთავრობამ მაშინ გააძლიერა თავისი ჯარი და 1770 წ. გაზაფხულისთვის საქართველოში უკვე 3½ ათასი კაცისაგან შემდგარი რუსის ჯარი იყო 12 ზარბაზნით.

მაგრამ ამის შემდეგაც საქმე წინ ვერ წავიდა. ტოტლებენმა სრულებით ვერ გაართო თავი ადგილობრივ პიროპებს და ამასთანავე თავისი უტაქტობისა, ამაყობის და მეფეებისადმი შეურაცხმყოფელ მოქმედების გამო ვერ მოახერხა ერეკლე-სოლომონთან მჭიდრო კავშირის დაჭერა. გარდა ამისა ერეკლე მეფის და სოლომონის ერთად ამოქმედებაც ადვილი საქმე არ იყო და ამას კიდევ ემატებოდა ის, რომ სოლომონ მეფეს ოსმალებს გარდა სხვა საზრუნავიც ჰქონდა. მას უნდოდა ესარგებლა რუსის ჯარის იმერეთში ყოფნით როგორც ოსმალების გასარეკად, ისე აგრეთვე დადიანისა და გურიელის დასამორჩილებლად. დადიანი კი პირიქით რუსის ჯარის შემწეობით ფიქრობდა თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ამ მიზეზებისა გამო შესაძლებელი გახდა მხოლოდ კერძო ხასიათის სამხედრო მოქმედების წარმოება განსაზღვრული მიმართულებით.

ასპინძის ომი. 1770 წ. აპრილისთვის მეფე ერეკლე და ტოტლებენი შეთანხმდნენ ახალციხეზე გასალაშქრებლად. მეფის ჯარი შესდგებოდა 7,000 კაცისაგან 3 ზარბაზნით. შეერთებული რუს-ქართველთა ლაშქარი დაიძრა, მაგრამ აწყურთან ტოტლებენი თავისი ჯარით მოულოდნელად უკან გამობრუნდა და სურამს ავიდა. ერეკლე ამის შემდეგ იძულებული გახდა მარტო შებრძოლებოდა ოსმალებს, რომელნიც ახალციხიდან და ახალქალაქიდან რუს-ქართველთა შესახვედრად ჯარებს აგზავნიდნენ აწყურზედ. ასპინძასთან ერეკლე გადაეღობა მტერს და სასტიკად დაამარცხა ის (20 აპრილს 1770 წ.). დამარცხება ისეთი ძლიერი იყო, რომ მტრის 4 ათასი კაცისაგან გადარჩა მხოლოდ 20—25 კაცი. მაგრამ მიუხედავად ამ გამარჯვებისა, მეფემ ვერ შესძლო ჯარის სიცოტავის გამო წინსვლის განგრძობა და დაბრუნდა უკან.

ტოტლებენის მიერ ბრძოლის ველის მინებების მიზეზი იყო მის წინააღმდეგ ზოგი რუსის აფიცრის შეთქმულობა, რომელშიდაც ეკვიანმა გენერალმა რუსის მთავრობის მიერ საქართველოში დანიშნული რეზიდენტი და თვით მეფეც გარია.

ტოტლებენი ისევ გადადის იმერეთს. ასპინძის ბრძოლის შემდეგ ერეკლესა და ტოტლებენს შორის ურთიერთობა, რასაკვირველია, ფრიად გამწვავდა. ტოტლებენი სურამიდან ჩქარის მარშით გორის გზით ავიდა დუშეთსა და ანანურს და დაიჭირა ეს ციხეები. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ტოტლებენმა კიდეც დააპირა ერეკლე მეფის დატუსაღება. მისთვის რუსის ორდენის წმ. ანდრია პირველწოდებულის ჩამორთმევა, ტახტიდან ჩამოგდება და საქართველოს რუსეთთან შეერთებაც. ის კიდეც შეუდგა თავისი აზრის განხორციელებას. დუშეთსა, ანანურსა, გორსა და ცხინვალში ტოტლებენის ბრძანებით ხალხი დაფიცეს რუსის მთავრობის ერთგულებაზედ. მანვე დაიჭირა დუშეთისა და ანანურის ციხეები და შემდეგ სწვდა გორის ციხესაც, მაგრამ ახლა კი ერეკლეს მოთმინების ფიალა აევსო და ამანაც თავის მხრივ დააპირა ტოტლებენის შეპყრობა. ცხადი იყო, რომ ასეთი გამწვავებული ურთიერთობის გამო ტოტლებენს ქართლ-კახეთში არ დაედგომოდა და ამიტომ თავისი ჯარით ის გადავიდა იმერეთს. მიუხედავად ამისა ერეკლე მეფე თავის მხრივ შემდეგ კვლავ ცდილობდა მასთან კავშირის აღდგენას.

ოსმალების განდევნა იმერეთიდან. სოლომონ მეფეს 1769 წლიდანვე, ტოტლებენის იმერეთში პირველი შემოსვლიდან, იმერეთის ციხეებში გამაგრებულ ოსმალებთან ბრძოლა ჰქონდა დაწყებული. კაცია დადიანი ოსმალების მხარეზე იყო და ოსმალებთან ერთად კიდეც შეებრძოლა მეფეს, მაგრამ დამარცხდა. 1770 წლის იანვრისთვის მეფეს უკვე აღებული ჰქონდა ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები და გა-

რეთვე ქალ. ქუთაისი, ხოლო ქუთაისის ციხეში გამომწყვდეულს იენიჩარების აღას ალყა ჰქონდა შემორტყმული. ტოტლებენის ჯარის ხელახლავ იმერეთში გადმოსვლით ისარგებლა მეფემ და ოსმალებთან ბრძოლა განაძლიერა. 1770 წ. ივლისში რუსის ჯარი სოლომონთან ერთად მიადგა ბაღდადის ციხეს, რომელიც სამი საათის ბრძოლის შემდეგ აღებულ იქმნა. აქედან ტოტლებენი გაემართა ქუთაისის ციხის ასაღებად და ალყა შემოარტყა მას. ციხეში ამ დროს აღას შერჩენოდა მხოლოდ სამოცი ჯარისკაცი, რომელთან ერთად ქალაქიდან შეხიზნულიყო 220 მაჰმადიანი მცხოვრები. თუმცა ტოტლებენის და მეფის ჯარი 4 ათასს აღემატებოდა, მაგრამ ქუთაისის მიუდგომელი და ფრიად მაგარი ციხის აღება მაინც გაძნელდა. ტოტლებენის უთაური ხელმძღვანელობის გამო მეციხოვნეთა ამ მცირე რიცხვმაც, სიმშილისაგან შეწუხებულმა, ცოტაოდენი გამონაკლისის გარდა ციხიდან გაპარვა მოახერხა. რუსებმა კი დაკარგეს 70 კაცი. ციხე დაპყრობილ იქმნა 6 აგვისტოს 1770 წ.. იმერეთიდან ამგვარად ოსმალები მთლად განდევნილ იქმნენ. სოლომონ მეფის ბრძანებით აღებული ციხეები და მათ შორის ქუთაისისაც აფეთქებულ და დანგრეულ იქმნა, რათა მომავალში კიდევ ოსმალთ შიგ ფეხი არ მოედგათ.

ტოტლებენის გალაშქრება ფოთზედ. ამის შემდეგ ტოტლებენმა გაილაშქრა ფოთზე და ალყა შემოარტყა მას. კაცია დადიანი, რომელიც აქამდის ოსმალებთან ერთად მეფის წინააღმდეგ მოქმედობდა, ეხლა, ფოთის აღებაში დაინტერესებული, შეუერთდა ტოტლებენს. გაგზავნილმა რუსის რაზმებმა დაიკირეს ოდიშში რუხისა და ანაკლიის ციხეები, საიდანაც ოსმალეთის მეციხოვნენი რუსების მოახლოების გაგონებაზედვე გაიქცნენ. მაგრამ ოსმალების წინააღმდეგ ფართო ოპერაციების დაწყებას შეუძლებლად ხდიდა ერთის მხრივ მეფის და მთავრების ერთმანეთზე გადაკიდება და მეორე მხრივ ტოტლებენის სამხედრო თავმოყვარეობა. მას სურდა საკუთარი სახელით ეწარმოებინა ომი და ამიტომ მეფე-მთავრების შეკავშირებას არ ცდილობდა.

სოლომონ I იმორჩილებს გურიას. სოლომონის ყურადღება ოსმალების იმერეთის ციხეებიდან განდევნის შემდეგ მიმართული იყო დადიანისა და გურიელის დამორჩილებაზედ. 1771 წ. თებერვალში სოლომონი ჯარით შევიდა გურიაში და აიძულა მამია გურიელი მთელი გურიის თავ-კაცებით მისი ბატონობა ეცნო. მეფემ დააფიცა გურიის მოწინავე პირნი თავისს ერთგულობაზე და გაბრუნდა უკან.

გურიის შემომტკიცების შემდეგ მეფის საზრუნავ საგნად დარჩა ოდიშის დამორჩილება, რაც კვლავინდებურად ფრიად ამწვავებდა მეფესა და დადიანს შორის ურთიერთობას.

რუსების ლაშქრობის დასასრული. ფოთის ციხის აღება ტოტლებენმა ვერ შესძლო და სურსათის ნაკლებობის გამო იძულებული გახდა თავისი ჯარით ქუთაისს დაბრუნებულიყო. ამ დროს ტოტლებე-

ნის მაგივრად რუსის ჯარის უფროსად უკვე გენ. სუხოტინი დაენიშნათ, რომელიც აპრილის ბოლოს ჩამოვიდა ქართლს და იქიდან იმერეთს. სუხოტინმა ისევ განაახლა ფოთის ციხის ალყა. მაგრამ სასტიკი ციებ-ცხელებისა გამო, რამაც დიდი ზარალი მოუტანა ფოთთან მდგარ რუსის ჯარს (დაიხოცა 800 კაცი), გენ. სუხოტინი იძულებული გახდა ალყა მოეხსნა (ოქტ. 1771 წ.).

ამგვარად რუსის ჯარის ლაშქრობამ ვერავითარი სარგებლობის მოტანა ვერ შესძლო, გარდა იმერეთის ციხეებიდან ოსმალების განდევნის დაჩქარებისა. ამიტომ 1772 წ. მაისში გენ. სუხოტინი თავისი ჯარით გაიწვიეს უკან რუსეთში.

ერეკლე მეფე ეძიებს რუსეთის მფარველობას. ერეკლე ძლიერ სწუხდა, რომ არ მოხერხდა რუსის ჯარის დახმარებით რაიმე თვალსაჩინო ლაშქრობის მოწყობა ოსმალების წინააღმდეგ. მეფე და ქართლ-კახეთის გავლენიანი წრეები ამას ხსნიდნენ იმ გარემოებით, რომ რუსეთი არ იყო ჯეროვნად დაინტერესებული სამეფოს ბედით, და ამიტომ მტკიცე დახმარების მისაღებად მათ საჭიროდ ჩასთვალეს რუსეთისთვის პრივილეგიური მდგომარეობის შექმნა საქართველოს ტერიტორიაზედ. დახანება არ შეიძლებოდა, რადგანაც ოსმალები განაგრძობდნენ უფრომეტის ენერგიით ლეკების აშლას და თვით აზერბეიჯანშიც და საზოგადოდ ჩრდილოეთ სპარსეთში ხანები მეფე ერეკლეს ებლა, რუსის ჯარის შემოსვლის შემდეგ, ძველის ნდობით არ უყურებდნენ. ოსმალთა წინააღმდეგ ლაშქრობა მეფის ხაზინას ხომ ძლიერ ძვირად დაუჯდა, ლეკების მოგერიების საქმე კიდევ ახალს ხარჯს ითხოვდა და ქვეყანას უკანასკნელს ტყავს აძრობდა. ყველა ამის გამო 1771 წლის ბოლოს გარდაწყვეტილ იქმნა პეტერბურგში საელჩოს გაგზავნა მეფის ძის ლეონისა დ ანტონ კათალიკოზის მეთაურობით, ელჩებს რუსის მთავრობისათვის უნდა ეთხოვნა მფარველობის გაწევა არსებითად იმ პირობებით, რა პირობებითაც უწინ აღმოსავლეთი საქართველო სცნობდა სპარსეთისაგან დამოკიდებულებას. გზად საელჩომ ასტრახანში დაჰყო მთელი წელიწადი და ჩავიდა პეტერბურგს მხოლოდ 1773 წ. იანვარში.

ის პირობები, რომელითაც ერეკლე მეფეს სურდა რუსეთის მფარველობაში შესვლა, შემდეგი იყო: ქართლ-კახეთში მეფის უფლება ისევ უნდა დარჩენილიყო, აგრეთვე ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთის მთავრობას უნდა გამოეგზავნა ჯარი—4 ათასი კაცი გარეშე მტრების მოსაგერიებლად და სამცხე-საათაბაგოს ქართლ-კახეთთან შემოსაერთებლად. ამის სამაგიეროდ მეფე თანახმა იყო გაეგზავნა რუსეთში მძევლად ერთი თავისი შვილი და რამდენიმე თავადიშვილი. ის კისრულობდა აგრეთვე ყოველწლიური ხარკის გარდახდას კომლზე 14 შაურს და აგრეთვე ყოველწლივ რუსის მთავრობისათვის თავისი ხარჯით 2000 ვედრო ღვინის ჩაბარებას.

მეფე უთმობდა კიდევ რუსეთს საქართველოში ყოველგვარ მადნეულობიდან ნახევარს შემოსავალს და თხოულობდა სესხად რამოდენსამე თანხას სამეფოს ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამ წინადადებაზე რუსის მთავრობამ უარი განაცხადა. მიზეზი იყო ის გარემოება, რომ რუსეთის მიერ განზრახული დიდი დივერსია ოსმალების წინააღმდეგ, საქართველოს ამხედრების საშუალებით, ჩაიფუშა და პეტერბურგის მთავრობას არ სურდა ოსმალეთთან ზავის შეკვრის დროს საქართველოს გამო საქმის რაიმე გართულებას შეყროდა.

გალაშქრება ჯავახეთს და ჩხერის ომი. რუსთა ჯარის წასვლის შემდეგ ერეკლე და სოლომონ მეფეები დარჩნენ მარტონი ოსმალთა პირისპირ. ოსმალეთის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ევროპის ფრონტზე სამხედრო მოქმედებისაკენ და ამიტომ საქართველოს წინააღმდეგ პორტა აქტივობას არ იჩენდა. ახალციხის ფაშა მხოლოდ ცდილობდა წვრილი თარეშებით და უფრო ლეკების მისევით გაერთულებინა მეფეების მდგომარეობა. თავის მხრივ ერეკლემ და სოლომონმა შეკრეს ურთიერთშორის მტკიცე კავშირი (ივნისს 1773 წ.) და იმავე წლის ოქტომბერში გაილაშქრეს ჯავახეთისკენ. მათ ჰყავდათ სულ 10 ათასი კაცი. ამ ჯარით ისინი შეესივნენ ჯავახეთს, ალყა შემოარტყეს ახალქალაქს და გაუშვეს თარეშები ყარსისა და არტანისაკენ. ამ დროს ციებ-ცხელებით ავად გახდა სოლომონ მეფე და ამიტომ ლაშქრობა შეწყვეტილ იქმნა. დიდძალის ნადავლით ქართლ-კახეთისა და იმერეთის ჯარი დაბრუნდა უკან.

ცოტა ხნის შემდეგ ამისდა საპასუხოდ ახალციხის ფაშამ დიდი თარეში გამოუშვა იმერეთზე 1774 წლის იანვარში. ახალციხიდან ვახანის გზით წამოვიდა 2,700 ლეკი და ათასი ოსმალოს ჯარის-კაცი სოლომონ მეფეზე თავდასასხმელად. ამავე დროს ახალციხის ფაშასთან შეთანხმებით დაიძრა იმერეთისაკენ კაცია დადიანი, რომელსაც მიწვეული ჰყავდა აფხაზებიც. მაგრამ ერეკლე მეფის მოწერილობამ დადიანი შეაჩერა და ამის გამო სოლომონს საშუალება მიეცა შემოსულ მტრის წინააღმდეგ თავისუფლად ემოქმედნა. ლეკ-ოსმალნი შემოიჭრნენ იმერეთში, მაგრამ რადგან ერეკლე მეფე ქართლიდან წამოვიდა ჯარით ვახანისკენ მათთვის გზის მოსაჭრელად, ამიტომ თარეშმა უკან დახევა დაიწყო. ჩხერთან მას მოულოდნელად თავს დაეცა მეფე სოლომონ და სასტიკად დაამარცხა. მტერმა დაჰკარგა ათასი კაცი მოკლული და 600 ტყვე, რომელნიც ყველანი დახოცილ იქმნენ. სოლომონის ჯარის ზარალი იყო 50 მოკლული და 100 დაჭრილი (6 თებერ. 1774 წ.).

რუს-ოსმალოს ომის შედეგი საქართველოსთვის. მალე გათავდა რუს-ოსმალთა ომიც კუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატით, რომელიც შეკრულ იქმნა 10 ივლისს 1774 წ.. ამ ტრაქტატში მოხსენებული იყო აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებიც. რუსეთი

აღიარებდა ამ ქვეყნებს ოსმალეთის ქვეშევრდომობაში მყოფად და პირობას სდებდა მათ საქმეებში გაურეველობის შესახებ, ხოლო ოსმალეთი თავის მხრივ ვალდებული იყო დაეტოვებინა აღგილობრივი მართველობა უცვლელად. ქუთაისის, შორაპნის და ბაღდადის ციხეები ცნობილ იქმნენ ოსმალების საკუთრებად.

რუს-ოსმალოს ომში ჩარევამ ამნაირად ვერ მოუტანა ქართლ-კახეთის სამეფოს მისი საზღვრების გაფართოება ყოფილ საათაბაგოს მიწების მხრივ, ხოლო იმერეთის მეფეს ოსმალთა ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლება. მაინც ამ ომის შედეგი იმერეთისათვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო. ოსმალეთმა ვერ ისარგებლა კუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატით მიღებული უფლებით და ვერ დაიჭირა იმერეთში დაკარგული ციხეები, რადგან ისინი ყველანი მეფის ბრძანებით უკვე დანგრეული იყვნენ. ამის გამო იმერეთის ოსმალთაგან დამოკიდებულება ფრიად შესუსტდა და თანდათან ნომინალურად იქცა. ხარკის გარდახდაც მოისპო და სოლომონ მეფეს შეეძლო ფაქტიურად განეხორციელებინა თავისი დიდი ხნის ზრახვა ტყვეთა ყიდვის საბოლოოდ აღკვეთის შესახებ.

თუ ასეთი იყო ფაქტიურად რუს-ოსმალეთ ომის შედეგი იმერეთისათვის, ქართლ-კახეთისთვის მას არავითარი ცვლილება არ მოუტანია

მორიგი ჯარის დაფუძნება. რადგან ამ გვარად თვით რუს-ოსმალოს ომის წარმოების დროსაც ქართლ-კახეთი თვალსაჩინო დახმარებას რუსეთიდან ვერ პოულობდა, ამიტომ ერეკლეს მთავრობა იძულებული იყო საკუთარი საშუალებებით მოეევლო ადგილობრივ სიძნელეთათვის. განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენდა მუდმივი ჯარის შედგენა გარეთ და შიგნით ქართლ-კახეთის მდგომარეობის განსამტკიცებლად. მთავრობას ძლიერ კარგად ესმოდა ქვეყნის რთული მდგომარეობა და ეძიებდა რაიმე საშუალებას შინაური ცხოვრების წეს-რიგში მოსაყვანად. გარეშე ძალაზე იმედი ამხანად უკვე არ იყო და ამიტომ ერეკლე მეფე და ქართლ-კახეთის მოწინავე წრეები ცდილობდნენ, რუსეთიდან დახმარებაზე უარის მიღების შემდეგ, საკუთარის ძალ-ღონით საქმის მოგვარებას. უპირველეს ყოვლისა საჭირო მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი იქმნებოდა აზევებულ ლეკობასთან გამკლავება და იმავე დროს შინაურ საქმეებზე ზრუნვა. რუსის ჯარის მაგალითზე ისინი ნათლად ხედავდენ მუდმივი სამხედრო ძალის სარგებლობას 1773 წლის დასასრულს ტფილისში მოწვეულ იქმნა ეპისკოპოსთა და დიდ თავადთა კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა მუდმივი სამხედრო ძალის შექმნის შესახებ. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქმნა და 4 იანვარს 1774 წ. გამოქვეყნდა განჩინება მორიგი ჯარის შესახებ, სადაც დაწვრილებით აღნუსხული იყო წესი მეომართა რიგ-რიგად ქვეყნის დასაცავად გამოსვლისა თავის თოფ-იარაღით და ნუზლით.

მთელი სამეფოს მოსახლეობა მამობრივი სქესისა, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, სიით უნდა აღნუსხულიყო. თავადი, აზნაური,

მოხელე და გლეხი, ყველა გაყოფილი იქმნა 12 რიგად წელიწადში 12 თვის მიხედვით. ყოველ თვეს ახალ-ახალი რიგი გამოდიოდა ქვეყნის დასაცავად და საზღვრებზე ლეკთა მოთარეშე რაზმებისათვის თვალ-ყურის სადევნელად. სამსახურში გამოცხადებაზე დაგვიანებისათვის თავადზე და აზნაურზე ჯარიმა იყო დანიშნული, ხოლო გლეხისათვის რუსულად წკეპლში გატარება.

ამ გვარად გაჩნდა მუდმივი სამილიციო ჯარი. პირველად მორიგეთა რიცხვი ყოველ თვე-და-თვე უდრიდა 4—5 ათასს, მაგრამ შემდეგ დროს მორიგეთა ინსტიტუტის მოსუსტების გამო ამ ციფრმა თანდათან კლება იწყო, ასე რომ სამეფოს მოლაშქრეთა რიცხვი უჩვენებდა მხოლოდ 23 ათასს, მათ შორის 5 ათას თათარს, დანარჩენს ქართველს და რამოდენადმე სომეხს. ამ ანგარიშით ყოველ თვეს მორიგობა დაახლოებით 2 ათასს კაცს იძლეოდა.

მორიგი ჯარი არ წარმოადგენდა გაწვრთნილ და რეგულიარულ სამხედრო ძალას. ასეთი ძალის შექმნა, საჭირო პირობების უქონლობის გამო ჯერ არ ხერხდებოდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდი იყო.

შინაური მშვიდობიანობის განმტკიცება. ეს მუდმივი მილიციური ლაშქარი სწორედ მისწრება იყო საქართველოსათვის. განლაღებული ლეკების თარეშები თანდათან ალაგმულ იქმნენ. რასაკვირველია, მშვიდობიანი ცხოვრების დამყარებამდის ჯერ შორს იყო, მაგრამ მაინც შესაძლებელი შეიქმნა ქვეყნის აღორძინებაზე ფიქრი. ხალხი თანდათან ჩამოვიდა სამალავიდან და ტყე-ღრიდან. სოფლებმა იწყეს გაშენება. მკვიდრთა, რომელიც თითქმის მთლად აწყვეტილი და აყრილი იყო (დარჩენილიყო ერთი თუ ორი კომლი) ხელახლა გაშენდა. ასევე ბევრი სხვა სოფელი. თვით მეფე და ბატონიშვილები მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ მორიგი ჯარში და რიგრიგობით გადიოდნენ სამსახურში. განსაკუთრებით ბევრი ღვაწლი დასდო მორიგი ჯარის საშუალებით ლეკების ალაგმვის საქმეს ლევან ბატონიშვილმა, ერეკლეს საყვარელმა შვილმა, ცნობილმა თავისი განსაკუთრებული სიმამაცით, განათლების სიყვარულით და გონება-განჭრიახობით. ეს ლევან ბატონიშვილი გახდა მალე ნამდვილი სულის ჩამდგმელი მორიგი ჯარისა. მთელი ქართლ-კახეთი შეხაროდა ენერგიულ ბატონიშვილს, რომელმაც ლეკების თარეშებს თავისი სამშობლო ქვეყნის ტერიტორიაზე სიცოცხლე გაუმწარა, სანამ მოულოდნელმა სიკვდილმა 1781 წ. თებერვალში ბოლო არ მოუღო მის მოღვაწეობას.

შინაური მშვიდობიანობის გაუმჯობესებამ გავლენა იქონია ქვეყნის საერთო მოღონიერებაზე. ეკონომიურადაც ქართლ-კახეთმა მოღონიერება იყო. ამისი მაჩვენებელი იყო, სხვათა შორის, სახელმწიფო შემოსავლის ზრდა. 1769 წ. ქართლ-კახეთის სახელმწიფო შემოსავალი იყო განჯა-ერევნის ხარკითურთ 150 ათ. მან., ხოლო 1785 წ. კი—400 ათ. მან., მხედველობაში მისაღებია კიდევ, რომ განჯა-ერევნის ხარკი (40 ათ. მან.)

1769 წლიდან თითქმის არ გაზრდილა. ამავე დროს (უკეთ 1771—1773 წ.) ფულის ნომინალური ღირებულების გაიაფება ქართლ-კახეთში გამოიხატა როგორც 1:2½. სახელმწიფო შემოსავალი—110 ათ. მან. (გარდა განჯა-ერევნის ხარკის) 1769 წლისა უდრიდა 1785 წ. თავისი ღირებულებით 275 ათ. მან.,, ნამდვილად კი ამ წელს სახელმწიფო შემოსავალი (გარდა განჯა-ერევნის ხარკისა) იყო 360 ათ მან., ცხადია რომ ხაზინის მდგომარეობას ქართლ-კახეთში 1770-იან და მე-1780-იან წლების დასაწყისში რამოდენადმე გაუმჯობესება დასტყობია.

ერეკლე კიდევ მიმართავს რუსეთს. მორიგი ჯარის აქტიურმა მოქმედებამ შესაძლებლად გახადა შინაურ ცხოვრებაში გარკვეულ პოლიტიკის წარმოებაც. სამეფოს მდგომარეობა მაინც საჭიროებდა გარეშე დახმარებას. ამით აიხსნება, რომ ერეკლე, მიუხედავად მიღებული უარისა, 1774 წ. 24 აგვისტოს კვლავ თხოულობს რუსეთისაგან შემწეობას. მეფე უთითებდა რუსეთის პირველს მინისტრს, რომ ოსმალების გადამტერება მას ძვირად დაუჯდა, რომ 1770 წლიდან მას დაახარჯა ომებზე 450 ათასი მანეთი და საერგებლობა კი არაფერი გამოვიდა. ერეკლე თხოულობდა სესხად ფულის გამოგზავნას და 3—4 წლით ჯარის თხოვებას. მაგრამ ამ დროს რუსეთს უკვე ოსმალებთან ზავი შეკრული ჰქონდა და ამიტომ საქართველოს საქმეებში ჩარევას თავისთვის სახეიროდ არ სთვლიდა.

ქართლ-კახეთის მთავრობის ასეთი დაჟინებით შუამდგომლობის აღძერის მიზეზი, გარდა მუდმივ გარეშე საფრთხისა, შინაურ პირობებშიც იმალებოდა. თავადების ცალკე ჯგუფებში ჯერ კიდევ ბუდობდა მეფისადმი უკმაყოფილება და ხშირად ეს უკმაყოფილება სახელმწიფოსათვის საშიშ ხასიათს ღებულობდა. 1776 წ., მაგ., თავისი მხნეობით განთქმულმა ზაალ ორბელიანმა მოაწყო შეთქმულობა ერეკლეს წინააღმდეგ. შეთქმულობა დროზე გამოაშკარავდა და შემთქმელნიც შეპყრობილ იქმნენ. როგორც გამოძიებიდან გამოირკვა, შემთქმელთ უნდოდათ ერეკლეს ჩამოგდება ტახტიდან. შემთქმელთ კავშირი ჰქონდათ რუსეთის სამხედრო აგენტს ბაკუნინთან, რომელიც მათ ამხნევებდა. როგორც ამ შეთქმულობიდან გამოირკვა, ზოგი გაბოროტებული თავადი ამ დროს წინააღმდეგი არ იქმნებოდა, თუ კი სამეფო სახლის დაღუპვასთან ერთად ქვეყანაც მთლად რუსეთს გადაეცემოდა.

ეს ფაქტი, რამდენადმე ახასიათებს მაშინდელ ქართლის ზოგიერთი თავადების სულიერ განწყობილებას და აგრეთვე იმ ინტრიგებსაც, რომელსაც ეწეოდა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ზოგი აგენტი.

ქსნის საერისთავოს გაუქმება. ამ სულიერმა განწყობილებამ ერთხელ კიდევ თავი იჩინა მძლავრად 1777 წ., როდესაც აშკარად გადაუდგა მეფეს გიორგი ქსნის ერისთავი. ამის შვილს ჰყავდა ცოლად მეფის ასული და ამიტომ მეფეს არ სურდა საქმის გამწვავება. მაგრამ როდესაც

მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა, მეფე იძულებული გახდა ჯარი გაეგზავნა ერისთავის წინააღმდეგ, რომელიც შეიპყრეს და ჩამოიყვანეს ტფილისს. ამის შემდეგ მეფე ერეკლემ მთლიანად ერისთავობა ქსნისა და მით ბოლო მოუღო ერთს უძველესს და უძლიერესს ბუდეს ქართლის ფეოდალთა წრეებისას.

საქართველოს გაერთიანების აზრი იღვიძებს. ქსნის ერისთავთა ალაგმვის შემდეგ ქართლში უკვე აღარ იყო ისეთი ძლიერი ცენტრთაგანი ფეოდალური ძალა-უფლებისა, რომელსაც შესძლებოდა მეფის განუსაზღვრელი მართველობისათვის წინააღმდეგობის გაწევა. შიგნით სამეფოს შემომტკიცებას მოჰყვა გაღვიძება საქართველოს ერთიანობის აზრისა. რადგანაც სამცხე-საათაბაგოს შემოერთების განხორციელება ჯერჯერობით შეუძლებლად სჩანდა, ამიტომ ქართლ-კახეთის მოწინავე წრეებმა ყურადღების მიპყრობა დაუწყეს ლიხთ-იმერეთს. ამ გარემოებამ გაამწვავა ურთიერთობა ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს შორის. ამისდა საპასუხოდ იმერეთის მეფემ დაიწყო ერეკლეს საწინააღმდეგო მოქმედება და მხარი დაუჭირა ვახტანგ VI-ის შვილის-შვილის ალექსანდრე ბაქარის ძის პრეტენზიებს ქართლის ტახტის მოპოების შესახებ. ალექსანდრე ბატონიშვილი მოვიდა იმერეთს, საიდანაც ის ცდილობდა ქართლში თავისს მომხრეთა ამოძრავებას. ერეკლე II-ს უკვე გარგაწყვეტილი ჰქონდა იმერეთის შემოერთება თუნდაც ომით და მართველად იქ თავისი ნიჭიერი ძის ლევან ბატონიშვილის დანიშვნა, მაგრამ საქართველოს საერთო პირობები და აგრეთვე შიში ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებისა, რადგან ოსმალეთი ლიხთ-იმერეთს თავისს მფარველობაში სთვლიდა, შეუძლებლად ხდიდა ამ გეგმის განხორციელებას.

მიუხედავად ინტერესთა ამკვარი წინააღმდეგობისა ერეკლესა და სოლომონს შორის, დროგამოშვებით მაინც ხერხდებოდა ორისავე მეფის შერიგება, მაგრამ ურთიერთ უნდობლობის გამო ხანგრძლივი მეგობრული განწყობილების დამყარება მათ შორის შეუძლებელი იყო.

ქართლ-კახეთის მთავრობა ცდილობს აზერბეიჯანში თავისი უპირატესობის დამყარებას. ამავე დროს ერეკლე II მიისწრაფოდა სახანოებზე მტკიცედ თავის გავლენის დამყარებას. მთავარი მიზეზი ქართლ-კახეთის მთავრობის მისწრაფებისა ერევნისა და განჯის შემომტკიცებისაკენ იყო ერთის მხრივ ხარკის მიღების საჭიროება სამეფოს ფინანსიურ სწორ-წონაობის დასაცავად, რადგანაც აოხრებული ქვეყნის შემოსავალი საკმარისი არ იყო სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად, და მეორე მხრივ პოლიტიკურის თვალსაზრისით ქართლ-კახეთი დაინტერესებული იყო სახანოების დაქსაქსვაში.

მაგრამ აზერბეიჯანში ქართლ-კახეთის პოლიტიკური გავლენის განმტკიცებლად აუცილებლად საჭირო იყო ოსმალეთთან და სპარსეთთან გარკვეული ურთიერთობის დამყარება,

სპარსეთის დასუსტება. სპარსეთი საზოგადოდ XVIII საუკუნეში დაცემის გზაზედ იდგა. მიუხედავად ნადირ-შაჰის ძლევამოსილ ლაშქრობათა, უკეთ ვთქვათ, სხვათა შორის, სწორედ ამ ლაშქრობათა გამო სპარსეთი თანდათან სუსტდებოდა. ნადირ-შაჰის შემდეგ სპარსეთში ვერც დამყარდა ძლიერი ცენტრალური მთავრობა. მართალია, ქერიმ-ხან-ზენდს ამ დროს ეპირა სპარსეთის უმეტესი ნაწილი, მაგრამ მისი უფლება მაინც ყველგან ერანში არ იყო აღიარებული. ვერც ქერიმის ცდამ სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ მოუტანა სპარსეთს ხსნა. ქვეყანა ნელ-ნელა სუსტდებოდა ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურადაც. თუ რამდენად დაიხია უკან სპარსეთმა მე-XVIII საუკუნეში, ამისი მაჩვენებელია, სხვათა შორის, ის გარემრება, რომ მე-XVII საუკუნის დასასრულს სეფიანთ იმპერიაში ითვლებოდა 40 მილიონამდის მცხოვრები, 1780-იან წლების ახლოს კი სპარსეთში ირიცხებოდა დაახლოვებით 10 მილიონი. ნადირ-შაჰის მიერ ინდოეთიდან წამოღებულმა აუარებელმა სიმდიდრემაც ქვეყნის განვითარებაზე ვერაფერი გავლენა მოახდინა. ნაცარცვით, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო სპარსეთის აღორძინება, მშვიდობიანი შრომისათვის კი ერანის ეროვნული ძალაც მოდუნებულიყო და მუდმივ არევ-დარევისა გამო არც შესაფერისი პირობები არსებობდა.

ერეკლე II პირს იბრუნებს ოსმალეთისაკენ. ასეთს პირობებში სპარსეთზე დაყრდნობა ქართლ-კახეთისთვის შეუძლებელი იყო. რუსეთზე კიდევ სამეფოს მოწინავე წრეები მფარველობის თხოვნაზედ ამდენი უარის მიღების შემდეგ რამოდენადმე გულგატეხილნი იყვნენ.

ამ დროს ოსმალეთსა და სპარსეთის მართველს ქერიმ-ხანს შორის შფოთი ჩამოვარდა და ოსმალეთმა ჯარების დაგროვება დაიწყო, სხვათა შორის, ყარსის საფაშოშიც სპარსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დასაწყებად. პორტას ამასთანავე აინტერესებდა აზერბეიჯანის ხანების სულიერი განწყობილება და აპირებდა მათ თავის მხარეზე გადაბირებას. ამით ისარგებლა ერეკლე II-მ და გამართა მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან. ერეკლე აღუთქვამდა ერთგულებას ოსმალეთს, პირდებოდა აზერბეიჯანის ხანების გადმობირებას ოსმალეთის მხარეს სპარსეთთან ომის დროს და თავის მხრივ, თხოულობდა, რომ სპარსეთთან დადებულ ხელშეკრულობაში მოხსენებული ყოფილიყო საქართველოს სამუდამოდ განთავისუფლება სპარსეთის დამოკიდებულებისაგან. ერეკლე II ამასთანავე პირობას იძლეოდა რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის შესახებ და თანხმდებოდა მძევლად ახალციხეს რამოდენიმე წარჩინებული გვარეულობის წარმომადგენლის გაგზავნას.

ერეკლე II ამგვარად თითქოს ოსმალეთთან კავშირის დაჭერის გზაზე დადგა. ამით მას იმედი ჰქონდა როგორც ქართლ-კახეთის საერ-

თო მდგომარეობის განმტკიცებისა, ისე აზერბეიჯანის უმეტესს ნაწილზე თავისი გავლენის დამყარებისა.

ოსმალეთის მთავრობა სიამოვნებით შეხვდა ერეკლე II-ს შუამდგომლობას. სულთანის სახელით მას ორჯელ გაეგზავნა დიდი საჩუქრები, სულ 12 ათასი ოქრო, საპატიო ჯურჭი და ოქროთი აღკაზმული ცხენი (1778 წ.).

ოსმალეთთან გაბმულმა მოლაპარაკებამ ხელი შეუწყო ქართლ-კახეთის შინაური მდგომარეობის განმტკიცებას. ახალციხის სულეიმან-ფაშასთან მეგობრული ურთიერთობა დამყარდა და ლეკთა თარეშებმაც ამის გამო რამოდენადმე შემცირება იწყეს. საერთოდ კი ოსმალეთთან კავშირის დაფუძნება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან საქართველო უკვე აშკარად მიისწრაფოდა ევროპის კულტურისაკენ, ხოლო ეს გზა ევროპისაკენ მიდიოდა ამ დროს არა ოსმალეთის, არამედ რუსეთის მიმართულებით. შინაური აღმაშენებლობითი მუშაობისთვისაც ქართულ სახელმწიფოებრიობას ოსმალეთისაგან არაფრის მიღება არ შეეძლო. დაწყებული ჯერ კიდევ მე-XVII საუკუნიდან ოსმალეთი თუმცა ჯერ კიდევ ასრულებდა დიდი სახელმწიფოს როლს, მაგრამ როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად აშკარად იდგა დაცემის გზაზედ.

ერეკლე II და აზერბეიჯანი. ამ დროს ხელახლა იღვიძებდა აზერბეიჯანის ხანებს შორის ერთმანეთთან შეკავშირების აზრი ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. ხანები ძლიერ უკმაყოფილო იყვნენ ერევანზე და განჯაზე ერეკლე II-ის უფლების განმტკიცებით და ფიქრობდნენ დაღისტნის ხალხებთან, ხუნძახის ბატონთან და დარუბანდის ხანთან ერთად ქართლ-კახეთის ქვეშევრდომ სახანოებისთვის დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამისდა საპასუხოდ ერეკლე II შეუკავშირდა ყარაბაღის იბრეიმხანს, რომელთან შეთანხმებით განჯაში დაყენებულ იქმნა ორი მართველი—ერთი ქართლ-კახეთის და მეორე ყარაბაღის სახანოს მხრივ.

ყარაბაღის ხანთან შეკავშირებამ დროებით დააცხრო აზერბეიჯანის ხანების მოძრაობა და საქმაოდ განამტკიცა უპირატესი მდგომარეობა ქართლ-კახეთის სამეფოსი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში.

ზრუნვა განათლებისათვის. შინაურ ცხოვრებაში ერეკლე მეფე ცდილობდა დროებით გაუმჯობესება საერთო მდგომარეობისა გამოყენებინა ქვეყნის წარმატებისა და მის საქმეების მოსაწყობად. განახლებული სტამბა ტფილისში ამდიდრებდა წიგნის ბაზარს და ხელს უწყობდა საეკლესიო წიგნით განსაკუთრებით ეკლესიების და მონასტრების საჭიროების დაკმაყოფილებას. მარტო 1780-იან წლებში დაიბეჭდა 14 ათასი ცალი სხვადასხვა — საეკლესიო წიგნი.

ტფილისის ფილოსოფიის სემინარიის საქმეც თანდათან უფრო წინ მიდიოდა. კათოლიკოზი ანტონი თვით ჩაუდგა განათლების საქმეს სათაკეში და თავისი სამწიგნობრო მოღვაწეობით ხელი შეუწყო სწავლის ჯეროვნად დაყენებას. შემდეგ ფილიპე მღვდლისა სემინარიის სა-

თავეში იდგა ანტონის გაზრდილი და მისი მოწაფე გაიოზ არქიმანდრიტი. გარდა სემინარიისა მეფე ყურადღებას აქცევდა განათლების კერის განცხოვლებას სხვადასხვა მონასტრებში თუ ეკლესიებთან. მალე შესაძლებელი შეიქმნა მეორე სემინარიის დაარსება ქალ. თელავში, რომელიც გაიხსნა 28 მაისს 1783 წ. მის პირველ რექტორად იყო გაიოზ არქიმანდრიტი, რომლის ადგილი ტფილისის სემინარიაში დაიკავა ტფილისის სიონის ტაძრის დეკანოზმა იოანე ოსესძემ. გაიოზის შემდეგ. რომელმაც მალე თავი დაანება თელავის სემინარიას, რექტორად იქ იყო დავით ალექსიძე.

ზრუნვა მართველობის გაუმჯობესებისათვის. სამეფოს მართველობაშიაც მეფე ცდილობდა გაუმჯობესების შეტანას. ცენტრალური მართვა-გამგეობის ფუნქციები თვით მეფის ხელში იყო, რაც შეუძლებლად ხდიდა წესიერად საქმის გაძღოლას თვით ისეთი დაუშრეტელი ენერგიის ადამიანისთვისაც კი, როგორიც იყო მეფე ერეკლე. აპარატის მოუწყობლობით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ, ერთის თანამედროვის თქმისა არ იყოს, ყოველი ქვეშევრდომი აბაზიანი საქმისათვის პირდაპირ მეფესთან გარბოდა საჩივლელად. სულ უბრალო საქმეც კი, მაგალითად დავა მამულისა ან ყმის შესახებ, ფულის ვალდებულობისა და სხვა ამგვარი, მიდიოდა პირდაპირ მეფესთან, რომელიც ამის გამო მთელი დღეები ხშირად წვრილმანი საქმეებისა და კინკლაობის გარჩევაში იყო გართული. ეს გარემოება, რასაკვირველია, ძლიერ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი მუშაობის წესიერად წარმოებისათვის. როდესაც ქართლსა და კახეთში ერისთვების და ზოგი სხვა დიდგვარიანი თავადების ხმას თავ-თავიანთ სამფლობელოში გასავალი ჰქონდა, როდესაც მსხვილი ფეოდალები თითონ ასრულებდნენ მართველის და მოსამართლის ფუნქციებსაც, მეფის უფლებასაც, ასე ვთქვათ, ოჯახური ხასიათი ჰქონდა, და მართველობის რთული აპარატის უქონლობა არც თუ დიდს რაიმე ნაკლს წარმოადგენდა. ეხლა კი ფეოდალების უფლების ალაგმვის შემდეგ ცენტრალური მართველობის გაძლიერება აუცილებელი საჭიროება იყო. მეფის უფლებამ დაჰკარგა თავისი წინანდელი ოჯახური ხასიათი. მედარებით ერცელს ტერიტორიას ქართლ-კახეთის სამეფოსას ფართო თვალყურის დევნება სჭირდებოდა, მრავალფეროვანი მოსახლეობის საჭიროებანი მართველობის ახალს უფრო რთულს მეთოდს თხოულობდნენ როგორც ადმინისტრაციულს, ისე მართლმსაჯულების სფეროში. ამისი საჭიროება ძალიან კარგად ესმოდა ერეკლე მეფეს. მან კიდეც მოინდომა რამოდენადმე ამ ახალი გზის გაკაფვა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეფოს უფროს სახლთუხუცესად ერეკლეს მიერ თავის სიძის დავით ორბელიანის დანიშვნის შემდეგ მისსავე ხელში უფროსის სარდლის თანამდებობის მოთავსებას სარდალ-სახლთუხუცესის სახელწოდებით. ამით რამოდენადმე მოხდა სამოქალაქო და სამხედრო მართველობის ვალდებუ-

ლებათა ერთი პიროვნების ხელში გაერთიანება. კერძოდ მართლმსაჯულებაშიც მეფემ მოინდომა დროსდა მიხედვით შეწონილი ცვლილების შეტანა. წინად ყოველი უბრალო საჩივარი პირდაპირ მეფესთან მიდიოდა. ხოლო 1778 წ. აპრილიდან კი ყოველი არზა და საჩივარი უნდა შესულიყო მდივანბეგებთან მათ სამსაჯულოში.

— **სახელმწიფოებრივი ცხოვრების საკუთარი ძალით გარდაქმნის სიძნელე.** მაგრამ საერთო რეფორმების მოსახდენად და მართველობის გარდასაქმნელად ახალი მოთხოვნილების თანახმად ერეკლეს ძალა არ შესწევდა. საქართველოს ცხოვრების ზედაპირზედ არ იყო ისეთი ელემენტი, რომელსაც შესძლებოდა ფეოდალური ძალის მაგიერობა გაეწია და რომელიც უზრუნველ ჰყოფდა ახალი ცენტრალისტური მართველობის დამყარების საქმეს. მოქალაქეობრივი ცხოვრება ქალაქებში, თვით ტფილისშიც, ნაკლებად იყო განვითარებული და გარდა ამისა ქართველობაც ქალაქებს არ ეტანებოდა. არ იყო აგრეთვე არც განსაკუთრებული ხელისუფლობა, როგორც კლასი, თავისი ტრადიციებისა და იდეოლოგიის მქონე, რომელსაც შესძლებოდა სახელმწიფოებრივს აღმაშენებლობით მუშაობაში თავისი ვალდებულობის შესრულება. ერეკლეს მეფობის უფრო მეორე ნახევარში ჩნდებიან კანტი-კუნტად ახალი ხელისუფალნი, ცხოვრების ზედაპირზე ახლად გამოსულნი, რომელნიც მეფის ერთგულობისა და მისი ძალა-უფლების განმტკიცებაში ხედავდნენ თავისს დანიშნულებას. ასეთი იყო, მაგალითად, მდივანბეგი იესე ოსესძე და განსაკუთრებით მაღალ-ნიჭიერი და განათლებული სოლომონ ლიონიძე. თავისი ჩამომავლობით მათ არაფერი ჰქონდათ საერთო თავადების გვარეულობებთან. იესე იყო სამღვდელო წოდებიდან და მამა-პაპით ტფილელის შემკრებალი, ხოლო ლიონიძე იყო შვილი ნალეკარი დეკანოზისა. 14 წლისა სოლომონი ეახლა ერეკლე მეფეს. თავისი ნიჭით მან მალე მიიღო მეფის მდივნობა, ხოლო 1779 წ. კი 25 წლის სოლომონს ებოძა თავადობა ლიონიძის სახელობით. მაგრამ ასეთი პირნი შეადგენდნენ გამონაკლისს და ისინიც ითქვიფებოდნენ თავადების საერთო წრეში.

ამიტომაც მოხელეთა, როგორც კლასის, შექმნაც შეუძლებელი შეიქმნა და მეფე იძულებული იყო ახალი და შეცვლილი ვითარების დროს ისევ ძველი ფეოდალური წრეებიდან გამოსულ ელემენტებს დაყრდნობოდა. თავის თავად იგულისხმება, რომ ქართლ-კახეთი ასეთს პირობებში ვერ შეხძლებდა თავისი შინაური ცხოვრების, ჯეროვნად მოწყობას და თავისი სახელმწიფოებრივი ორგანიზმისათვის ისეთი სიმტკიცის მოპოებას, რომელიც საჭირო იყო განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა თანდათან ხდებოდა მეზობელ სახელმწიფოთა დიდ პოლიტიკის საგნად.

რუსეთი მოიწევს ამიერ-კავკასიისაკენ. ჯერ კიდევ 1770-იანი წლების დასაწყისში რუსეთს, როგორც ვნახეთ, არ ჰქონდა შემუშაევ-

პული გარკვეული ხაზი საქართველოს შესახებ. ამით აიხსნება, რომ ერეკლე მეფის შუამდგომლობა 1772—1773 წ. წ. რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ, განსაზღვრულ პირობებში და სათანადო ტრაქტატის შეკვრით, უარყოფილ იქმნა. მაგრამ შემდეგ თანდათან რუსეთის შებედულება შეიცვალა. ერთი რომ 1777—1778 წლებში რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში კიდევ უფრო წინ წაიწია და უფრო მტკიცედ მოიკიდა ფეხი ყუბანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. მდებარე ქვეყნების დაპყრით. მეორე მხრივ, 1779 წლიდან, ქერიმ-ხანის სპარსეთში გარდაცვალების შემდეგ ერანის ტერიტორიაზე კვლავ ანარქია ასტყდა. ამით მოინდომა სარგებლობა რუსეთმა, სადაც კვლავ გაიღვიძა დიდ-დიდმა პროექტებმა კასპის ზღვის ხელში ჩაგდებისა და საზოგადოდ აღმოსავლეთისაკენ გზის გაკაფვის შესახებ. 1781 წ. რუსის ესკადრამ დაიპირა ასტრაბადის ყურე და მოინდომა იქ საბოლოოდ ფეხის მოკიდება. მართალია, ყაჯარმა აღა-მაჰმად-ხანმა მალე განდევნა იქიდგან რუსები. ასე რომ ამ ცდისაგან არა გამოვიდა რა, მაგრამ ცხადი იყო, რომ რუსეთი ეხლა უფრო ენერგიულად მიდიოდა წინ აღმოსავლეთისა და კავკასიისაკენ.

ერეკლე II ეძებს დახმარებას დასავლ. ევროპაში. ერეკლე მეფე ცდილობდა რუსეთის გარეშეც მოეპოვა რაიმე დახმარება. ამ აზრით მან 1782 წ. მიმართა ვენაში იმპერატორს, აგრეთვე საფრანგეთის მეფეს, სარდინიის, ნეაპოლისა და ვენეციის მთავრობათ. მეფე თხოულობდა დახმარებას ჯარით ან ფულით და თავის მხრივ პირობას სდებდა, რომ შეუსრულებდა მისთვის დახმარების მომცემ სახელმწიფოს ყოველსავე მოთხოვნილებას სპარსეთის თუ ოსმალეთის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალით მოქმედების შესახებ. უმთავრესი გაჭირვება სამეფოსი ამგვარად, როგორც ყველა ამ რუსეთსა და ევროპაში აღძრული შუამდგომლობათაგან სჩანდა, იყო მტკიცე და საკმაო სამხედრო ძალის უქონლობა იმდენად მაინც, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ლეკების და სხვა მტრების ალაგმვა და შინაურ აღმაშენებლობითი შუშაობაზე გადასვლა. ევროპაში გაგზავნილი შუამდგომლობიდან არაფერი გამოვიდა. საქართველო ევროპის სახელმწიფოებისათვის შორს იყო და ამ დროს მათ პოლიტიკის ინტერესებს გარეშე იმყოფებოდა. არა თუ რაიმე რეალური დახმარების მიღება, არამედ უბრალო ხმის მიწვდენაც კი მაშინ ძნელი საქმე იყო.

მფარველობითი კავშირის დადება რუსეთთან. რადგანაც დასავლეთ ევროპასთან კავშირის გაბმა შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ ქართლ-კახეთის მთავრობა იძულებული გახდა მთელი თავისი იმედები ისევ რუსის მთავრობაზე დაემყარებინა. ამ დროს უკვე რუსეთის პოლიტიკური ინტერესიც აღმოსავლეთსა და კავკასიისადმი განცხოველდა და ამიტომ ეხლა თვით რუსის მთავრობამ შეაგულიანა ერეკლე II რუსეთის მფარველობის მოპოების შესახებ შუამდგომლობის აღძრაზედ. მართ-

ლაც 1782 წ. ერეკლე II-მ კვლავ აღსძრა ეს საკითხი, რომელსაც პეტერბურგის მთავრობა ამ ჟამად სიხარულით შეხვდა და შეუდგა სათანადო მოლაპარაკებას. ეს მოლაპარაკება გათავდა 1783 წ. 24 ივლისს ცნობილი ტრაქტატის ხელის მოწერით ქალ. გეორგიევსკში იმპერატრიცა ეკატერინე II ის და ერეკლე მეფის რწმუნებულთა მიერ.

ამ ტრაქტატით ქართლ-კახეთის მეფე აღიარებდა რუსეთის იმპერატორების უზენაეს ძალა-უფლებას და მათს მფარველობას. ტახტზედ ასვლისას ახალი მეფე თავისი ელჩის საშუალებით თხოულობს ტახტზე დამტკიცებას და ინვესტიტურის ნიშნების გამოგზავნას, რომლის მიღებისას მეფე რუსეთის რეზიდენტის თანადასწრებით ღებულობს ერთგულობის ფიცს. გარეშე საჯელმწიფოებთან ურთიერთობა უნდა ხდებოდეს რუსეთის მთავრობასთან შეთანხმებით. ამას გარდა მეფე ღებულობს თავისს თავზე ვალდებულობას იმპერიის სასარგებლოდ მოქმედების შესახებ და საჭიროების დროს ის მზადაა თავისი ჯარით მისი დიდებულების სამსახურისათვის. სამაგიეროდ რუსეთი იძლეოდა გარანტიას ქართლ-კახეთის ტერიტორიის დაცვისა და ხელ-უხლებლობისათვის და სამეფო ტახტის ბაგრატიონები სახლში დამკვიდრების შესახებ. ხელ-უხლებლობის გარანტია ვრცელდებოდა აგრეთვე იმ ქვეყნებზედაც, რომელნიც დროთა განმავლობაში საქართველოსთან იქმნებოდნენ შემოერთებულნი და მასზე დამტკიცებულნი. შინაურ საქმეებში და მართველობაში რუსეთი არ ერევა, დამოუკიდებელ მდგომარეობაში რჩება აგრეთვე საქართველოს ეკლესიაც. კერძო პუნკტებით კიდევ განსაზღვრული იყო, რომ რუსეთი ვალდებული ხდებოდა ყოლოდა ქართლ-კახეთში 2 ბატალიონი ჯარი 4 ზარბაზნით.

3 ნოემბერს 1783 წ. ტფილისში მოვიდა ეს ჯარი, ხოლო 23 იანვარს 1784 წ. ინვესტიტურის ნიშნების მიღების შემდეგ მეფე ერეკლემ დიდის ცერემონიით მიიღო ფიცი იმპერატრიცა ეკატერინე II-ის ერთგულებაზედ.

რუსეთ-საქართველოს შორის დადებულმა მფარველობითი მოკავშირეობის ტრაქტატმა გარკვეულ ფორმებში ჩამოაყალიბა ის პოლიტიკური მიდრეკილება რუსეთის იმპერიისადმი, რომელიც ასე მძლავრად ახასიათებდა ერეკლე მეფის საგარეო პოლიტიკას და რომელიც გამოიხატებოდა მფარველობისა და დახმარების ძიებაში. ამიერიდან საქართველომ საბოლოოდ პირი იბრუნა სპარსეთისაგან ჩრდილოეთისაკენ.

ამ ხელშეკრულობით ქართლ-კახეთის მთავრობას იმედი ჰქონდა საბოლოოდ ჩამოშორებოდა სპარსეთს, თავისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა განემტკიცებინა და გარდა ამისა სამცხე-საათაბაგოს — ახალციხისა და ყარსის მხარეების — შემოერთებით საძირკველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებისათვის.

ტრაქტატი დადებულ იქმნა ღრმა ხელსაყრელ პირობებით, კიდრე ეს ერეკლე მეფისათვის მოსალოდნელი იყო. იმპერატორიცამ უარი

განაცხადა ხარკზე. რომლის გარდახდაზე იყო თანახმა მეფე, მძევლების გამორთმევაც რუსეთში საჭიროდ არ დაინახეს. მეფეს დაუმტკიცეს ტიტული უმაღლესობისა სამეფო გვირგვინის კურთხევის უფლებით. საზოგადოდ საქართველოს მთავრობა ძლიერ კმაყოფილი იყო ამ შედეგებით. ქვეყანას ძლიერი და, როგორც ამ დროს სჩანდა, უანგარო მფარველი გაუჩნდა და სამეფოს შინაური ცხოვრებისათვის იწყებოდა ახალი ხანა წარმატებისა და წინსვლისა. მართლაც, რუსის ჯარის ჩამოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია როგორც მართველ წრეებში, ისე აგრეთვე ფართო ხალხში, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ შორს იყო ბატკანს მყუდროების მოპოვებამდის, რომ, პირ-იქით, სწორედ ეხლა თითქოს ერთად იფეთქეს ყველა ქართლ-კახეთის ირგვლივ მოკალათებულმა მტრებმა.

XII

მფარველობითი კავშირიდან რუსეთის ბატონობის დამყარებამდის.

რუსეთის პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში. პეტერბურგის მთავრობა ამ ხანებში დიდს მნიშვნელობას აძლევდა კავკასიაში ენერგიულ პოლიტიკის წარმოებას და კერძოდ საქართველოში ფეხის მოკიდებით ძლიერ იყო დაინტერესებული. ამავე დროს საქართველოში რუსეთის ჯარის შესვლამ ფრიად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ახლო-მახლო ქვეყნებზედაც: მაშინ, როდესაც იმერეთი თავისი უფროსი მოძმის მაგალითით წაქეზებული, ცდილობდა რუსეთთან ასეთიყე მჭიდრო და ფორმალური კავშირის დაჭერას, დაღისტანმა, აზერბეიჯანის ხანებმა და ახალციხის ფაშამ დაინახეს რუსების ტფილისს შემოსვლაში ფრიად დიდი საფრთხე თავისათვის. რუსეთი არც მალავდა თავისს აგრესიულ ზრახვებს, განსაკუთრებით სომხობის საკითხის წამოყენებით და მისდამი მფარველობის გაწევით. რუსეთის აგენტებმა მაშინათვე გააბეს ძაფები აზერბეიჯანის სომხობასთან, განსაკუთრებით ყარაბაღში, რაც ძალიან აფიქრებდა ხანებს. ყარაბაღის სომეხი მელიქები წინადაც დაჟინებით სთხოვდენ რუსის მთავრობას დახმარებას და მფარველობას ხანის წინააღმდეგ და იმპერატრიცა ეკატერინეს თავისი უმაღლესი ხელისუფალის თავ. გრ. პოტემკინის პირით უკვე აღთქმული ჰქონდა მელიქებისათვის აზიაში ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენა. არსებული გეგმის მიხედვით განზრახული იყო ამ სახელმწიფოს შექმნა ყარაბაღისა და ყარადაღისაგან. მალე ტრაქტატის შეკვრის შემდეგ საქართველოსა და საზოგადოდ ამიერ-კავკასიის გარემოების გასაცნობად გამოგზავნილი იქმნა ტფილისს ბიძაშვილი თავ. გრ. პოტემკინისა გენ. პავლე პოტემკინი, რომელიც საზოგადოდ დიდი მოქმედი იყო აქტიური პოლიტიკის წარმოებისა სპარსეთსა და მის მიმდგომ ქვეყნებში.

რუსეთი და სომხობა. პოტემკინი ტფილისში ყოფნისას ეცნობოდა აგრეთვე სომხობის საკითხს და ამას, რასაკვირველია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მხრივ სომხობის გულის მოსაგებად. რუსეთში ამ დროს უკვე კარგა ხანია მუშაობა წარმოებდა რუსის მთავრობის დასაჯერებლად სომხობის ბედის გამორკვევასა და გაუმჯობესებაში. ამ მუშაობას საათაოში ედგა მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ არღუთაშვილი, რომელმაც თავისი უნარით და ენერგიით ერთს დროს შესძლო სომხობის საკითხის დაკავშირება რუსეთის დიდ-დიდ პროექტებთან კასპის ზღვისა და სპარსეთის შესახებ. მაგრამ სომხობის საკითხის გარდაწყვეტა ჯერ ნაადრევი აღმოჩნდა. სომხობა ამ დროს ამიერ-კავკასიაში არ წარმოადგენდა რაიმე სერიოზულ ძალას თვით მოსახელეობის მხრივაც კი. ყარაბაღში, მაგ., იყო სულ 7 ათასი კომლი სომეხი (4 ათასი თათარი), სხვა სახანოებში კიდევ უფრო ცოტა. ერევნის, მაგ., სადაც სომხები შეადგენდნენ მცხოვრებთა დაახლოვებით 1/4-ს, იყო მხოლოდ 3 ათასი კომლი სომხობა. მთლად არეზს გამოლმა სახანოებში ირიცხებოდა სულ 16,3 ათასი კომლი სომეხი. მაგრამ პოლიტიკური მნიშვნელობა რუსეთისთვის ამ საკითხის წამოყენებისა მაინც ცხადი იყო.

მართლაც, სომხობის საკითხის წამოყენებამ ყარაბაღში თავისებური გავლენა იქონია ქართლ-კახეთის სომხობის გავლენიან წრეებზე, რომელთა ინტერესი მართალია საქართველოს ფარგლებში იყო, მაგრამ საერთო ხმა მათში ამოძახილს პოულობდა. მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ არღუთაშვილიც დაბადებით საქართველოდან იყო და გარდა ამისა ტფილისის სომხობასა და ეჩმიაძინს შორის განუწყვეტელი სულიერი კავშირი არსებობდა. ამით აიხსნება, რომ სომხობა მთლად მოექცა რუსოფილური მიმართულების ნაკადში, რომელიც ამ დროს თვით ქართველ მართველ წრეებში ფრიად ძლიერი იყო და რაც დრო გადიოდა, ეს მიმართულება სომეხ გავლენიან ჯგუფებში თანდათან ფეხს იკიდებდა. სომხეთში რუსოფილური მიმართულების ზრდა მით უფრო ჩქარის ნაბიჯით ხდებოდა, რომ 1783 წლის ტრაქტატმა, წინააღმდეგ მოლოდინისა, ქართლ-კახეთის სამეფო დაცემის გზაზე დააყენა.

რუსეთთან დადებული ტრაქტატის შედეგი. ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა ქართლ-კახეთისთვის იმ დროს ჰქონდა შინაური აღმაშენებლობითი მუშაობის გაღვივებას, მაგრამ ამ მხრივ რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულებამ ვერაფერი სარგებლობა მოუტანა ქვეყანას. რუსის მთავრობა სრულიადაც არ ცდილობდა ადგილობრივი ცხოვრების მოწყობაში ერეკლესთვის ხელის შეწყობას. ამის გარეშეც მალე რაიმე დადებით სახელმწიფოებრივ მუშაობაზე ფიქრიც შეუძლებელი გახდა, რადგან ხელშეკრულებამ საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა ყველა მაჰმადიანი მეზობლები. აზერბეიჯანის ხანებმა განაძლიერეს თავისი უნდობლობა ერეკლესადმი. თვით ყარაბაღის ხანი იბრაიმი ეხლა წინააღმდეგი გახდა ერეკლე მეფისა. ამისი არსებითი მიზე-

ზი იყო ის გარემობა, რომ ხანი რუსების საქართველოში შემოსვლის გამო შიშობდა სომეხთა მოძრაობის გაძლიერებას და საზოგადოთ რუსების გან მისი სახანოს ინტერესების დათრგუნვას. იბრეიმ-ხანის მოქცევებით ქართლ-კახეთს გადუდგა განჯის სახანო. ერევნის სახანოშიც ქართლ-კახეთის წინააღმდეგ დიდი მუშაობა წარმოებდა და თუმცა თავის დროზედ ერეკლემ მოახერხა ურჩობაში შეუნიშნული ერევნის ხანის მოკვლით და მის მაგივრად მცირეწლოვანი მისი შვილის მაჰმადხანის დადგინებით ერევნის შემომტკიცება, მაგრამ მდგომარეობა იქაც ძლიერ სერიოზული იყო. შიგნით სამეფოში ყველა ამ გარემოების მიხედვით მაჰმადიანთა მოსახლეობა აგრეთვე დიდს აღელვებას განიცდიდა. ერეკლეს უკვე შეუძლებლად მიაჩნდა მაგალითად, ყაზახ-შამშადილოელ თათრების ჯარში გაწვევა. ამავე დროს საერთო არევ-დარევის გამო მორიგე ლაშქრის ინსტიტუტიც დასუსტდა და ქვეყნის დაცვის საქმე უარესდებოდა.

ოსმალეთზედაც რუსის ჯარის შემოსვლამ ქართლ-კახეთში გავლენა იქონია. ოსმალეთის მთავრობა შეუდგა დაღისტნის ხალხების ამოძრავებას საქართველოს წინააღმდეგ. ამისდა მიხედვით ახალციხის ფაშა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა ლეკთა თარეშების გასამრავლებლად ქართლ-კახეთის სრულიად დასუსტების მიზნით. გაძლიერდა ისევ ახალი ძალით ხდომა, ცარცვა, აოხრება, ადამიანთ ტყვეთ წასხმა. ასე, მაგალითად. 1784 წ. გაზაფხულზე ახალციხის სულეიმან-ფაშამ გამოგზავნა ზემო-ქართლის ასაოხრებლად 4 ათასი ლეკის ჯარი, რომელთაც წაასხეს 600 ტყვე. სურამთან ამ ჯარს დახვდა რუსის ბათალიონი და ლეკებს ტყვე და ალაფი დააყრევინა. ერთი თვის შემდეგ სულეიმან-ფაშამ გამოუსია ქართლს ახალი თარეში, 3 ათასი კაცისაგან შემდგარი და ასე გამუდმებით.

ომარ-ხანის შემოსევა. 1785 წ. წამოდგა თვით ხუნძახის ბატონი ომარ-ხანი ნარსულ ბეგის ძე, რომელმაც 20 ათასი კაცით გამოილაშქრა ქართლ-კახეთის ასაოხრებლად. რადგან ახალციხიდანაც მოელოდნენ ოსმალთა თავ-დასხმას, ამიტომ ლეკების საწინააღმდეგოდ ერეკლემ ქართლიდან ჯარი ვერ დასძრა. მარტო კახეთის ჯარით და რუსის რაზმით კი მეფემ ვერ გაბედა ომარ-ხანთან შებრძოლება. მაშინ 11 ათასი კაცით ომარ-ხანმა გადმოლახა ალაზანი, თავ-სუფლად ჩაიარა იორით ყარაიაზე და გადავიდა ბორჩალოში, აღაოხრა ბორჩალოს ციხე, ახტალის მადნები, ლორის ციხე და შემდეგ ახალციხით ჩავიდა ვახანს, აიღო ის და გასწყვიტა მცხოვრებნი. ვახანში და მის რაიონში მომხდარმა ჟლეტამ გულამღვრეული შთაბეჭდილება მოახდინა ქართლ-კახეთში, მაგრამ მთავრობა ღრონოდ გრძნობდა თავს ომარხანის წინაშე. ვახანიდან დიდ ძალი ტყვეებით ომარხანი დაბრუნდა ახალციხეს და იქიდან გაზაფხულზე გავიდა ყარაბაღს.

ამ გვარად ომარ-ხანის ამ შემოსევის დროს ერეკლემ ბოლოს და ბოლოს არჩია ბრძოლისათვის გვერდი აეარა, რაც მისი მაჩვენებელი

იყო, რომ ჰცირერიძეოვანი რუსის ჯარი სრულებით არ კმაროდა აჭ-ეავებულ მტერთა წინააღმდეგ დასახმარებლად. შეფე იძულებული გახ-და მოლაპარაკება გაემართა ომარ-ხანთან, რომელიც დასთანხმდა ზავზე 10.000 მან. ჯამაგირით წელიწადში. ქართლ-კახეთი ამ გვარად ფაქტიუ-რად გახდა მოხარკე ომარ-ხანისა.

რუსის ჯარის გაბრუნება საქართველოდან. ომარ-ხანის ასეთი მძლავრობა საქართველოზე ძლიერ დამაფიქრებელი იყო. ცოტა უკეთ მიდიოდა საქმეები სამხრეთით. ერეკლემ ჩაიქრო ამბოხება განჯაში და ერევანზედაც ძალა-უფლება განმტკიცებულ იქმნა, ხოლო 1787 წ. ზაფხულს ქართლ-კახეთის ჯარმა, ე ათასმა კაცმა, რუსებთან ერთად გაილაშქრა ყარაბაღზედაც. ყარაბაღზე გალაშქრების მიზანი იყო ერთის მხრივ იქ გადასულთ ქართლ-კახეთის ქვეშევრდომ თათარ ხა ელის უკან გამოსხმა და მეორე მხრივ აქ მუშაობდა რუსეთის პოლი-ტიკის ხელი. ყარაბაღელ იბრეიმ-ხანის ჯარი დამაცხებულ იქმნა, მაგრამ ამ დროს რუსების ჯარის უფროსს პოლკოვნიკ ბურნაშოვს მოუვ და რუსეთიდან ბრძანება საქართველოს დაბრუნების შესახებ. ლაშქრობა მი-ტოვებულ იქმნა და ქართველების ჯარიც დაბრუნდა უკან. სომხების ორი მელიქი 500 კომლით გაიქცა განჯის სახანოში. მაშინ ყარაბაღელმა იბრეიმ-ხანმა გამართა განჯის-ხანთან მოლაპარაკება ამ სომხების უკან დაბრუ-ნების შესახებ. ქართლ-კახეთის მთავრობამ ამაზე თანხმობა განაცხადა იმ პირობით, თუ იბრაიმ-ხანი მასთან გაქცეულ ბორჩალოელ თათართა 200 კომლს დასთმობდა. მაგრამ მელიქებმა გადაჰრით უარი განაცხადეს ყარა-ბაღში უკან დაბრუნებაზე და იარაღით გაუმკლავდნენ მათ წინააღმდეგ გამოგზავნილ იბრეიმ-ხანის რაზმს. მელიქები დარჩნენ განჯის სახანოში და ამის შემდეგ ისინი გახდნენ ბუდეთ ინტრიგებისა და აგიტაციისა სა-ქართველოს წინააღმდეგ განჯის ხანის წინაშე.

რუსის ჯარის გაწვევა საქართველოდან გამოიწვია იმ გარემოე-ბამ, რომ რუსეთი ოსმალეთთან ომის მზადებაში იყო და არ სურდა ამ ჟამად მეფე ერეკლეს ამ ომში ჩარევა. რადგანაც განზრახული არ იყო მომეტებული ჯარის გამოგზავნა საქართველოსკენ, ამიტომ რუსის მთავრობა ჰფიქრობდა, რომ ერეკლეს, ბურნაშევის რაზმის გაწვევით, უფრო გაუადვილდებოდა გარემოების მიხედვით მეზობელ მაჰმადიან სამფლობელოებთან კავშირის აღდგენა და ამით თავისი სამეფოს დაც-ვაც. ამის შემდეგ მართლაც 7 სექტემბერს 1787 წ. გამოცხადდა ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის.

რუსის ჯარის აქ ყოფნამ საზოგადოდ დიდი ზარალი მიაყენა ქართლ-კახეთს. ერთი რომ მარტო მისი შენახვისათვის მეფის ხაზინა ეწეოდა დიდს ხარჯს, ხშირად თვეში 30 ათას მანეთამდის, რადგანაც რუ-სის ჯარი ხორბლეულობაში და საზოგადოდ სურსათში იხდიდა მაგარ ფასად ლიტრა-ფურში 3½—4 კაპ., მაშინ როდესაც ქართლ-კახეთის მთავრობა ამავე ლიტრას იძენდა ხშირად 15 კაპიკად. ხოლო მეზობელი სამ-

ფლობელოებისა და ოსმალების გადამტერებამ ხომ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ქვეყანა.

რუსის ჯარის წასვლამ მაშინვე ფრიად კარგი გავლენა იქონია საქართველოს საგარეო მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ, რადგან ამიერიდან ერეკლე მეფეს საშუალება მიეცა თავისუფლად ურთიერთობა დაეჭირა მეზობელ ქვეყნების მფლობელებთან. ოსმალეთის მთავრობამაც რამოდენიმე ხნის შემდეგ ქართლ-კახეთზე გული იბრუნა და აღადგინა მასთან 1789 წ. მშვიდობიანი კავშირი.

მაგრამ მიუხედავად ამისა ქართლ-კახეთის საერთო მდგომარეობას გამოკეთება მაინც არ ეტყობოდა.

ქართლ-კახეთის საერთო ვითარება მაინც უარესდება. მიუხედავად საგარეო ურთიერთობის შედარებით რამოდენადმე გაუმჯობესებისა, ქვეყანა მაინც შორს იყო სრული მშვიდობიანობისაგან. ახალციხის ფაშა მაინც თავისს გზას ადგა და ლეკთა თარეშები კვლავინდებურად არბევდნენ ცალკე სოფლებს და ქვეყანას სასოწარკვეთილებაში აგდებდნენ. ამ ლეკებს მხარს უჭერდა ზოგი მოღალატე თავადი. ახალციხეს გაქცეული. ასე, მაგალითად, ქსნის ერისთავისძეთ მიხეილ დავითის ძემ, მირმანოზმა და ელიზბარმა მიიმხრეს თავისი სიძე ზაქარია ციციშვილი, რომელსაც დაპირდნენ მეფობას და დიდის თარეშებით იწყეს ქართლის რბევა. ჯერ დაეცნენ ხელთუბანს, შემდეგ ყარაღაჯს. ამასობაში ჰარელი ლეკებიც მოუხდნენ ქიზიყს და ბრძოლაში ქიზიყის მოურავთან ზაქარია ანდრონიკაშვილთან დახოცეს 300 ქიზიყელი. ახალციხეს გაქცეული მიქელა არღუთაშვილი, გულნაკლული პირად შეურაცხყოფაზე სამართლის მიუცემლობისა გამო, აგრეთვე უძღვებოდა წინ ლეკთა რაზმებს და არბევდა ქართლსა და სომხითს. თუ რამდენად ამაოხრებელნი იყვნენ ეს თარეშები, ცხადად სჩანს იმ ფაქტიდან, რომ ერთს ასეთ თავდასხმის დროს არღუთაშვილმა და მის მიერ წამოყვანილმა ლეკებმა გაიტაცეს ყალაჩიდან 200 სული მცხოვრებთაგანი ტყვედ, ხოლო დურნუკზე თავდასხმის დროს მოუკლეს სარდალს დავით ორბელიანს 100 კაცი და ასიც ტყვედ იქმნა წაყვანილი. ასეთი თარეშები სისხლიდან სცლიდნენ ქვეყანას და მისს მომავალს საბედისწეროდ ხდიდნენ. თუმცა იშვიათად, მაგრამ ხანდახან ქართველნიც მიდიოდნენ სათარეშოდ და სამაგიეროს გარდასახდელად. ასე, მაგალითად, აღსანიშნავია დავით ბატონიშვილის ათასი კაცით გალაშქრება ყარსისკენ 1789 წ., საიდანაც ჯარი დიდათ გამარჯვებული და დიდძალი ტყვით და ალაფით წამოვიდა. მაგრამ საერთოდ თარეშობის თაოსნობა განსაკუთრებით ლეკების მხარეზედ იყო. ლეკნი გამუდმებით დას-დასად ათასობით ან მეტ-ნაკლებობით ჩამოდიოდნენ თავისი მთებიდან და უფროსად ჰარ-ბელაქანისა და ახალციხე-ახალქალაქის მხრით თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთს.

გამუდმებულმა თავდასხმამ და თარეშებმა ძირიანად შეარყიეს ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის საფუძველნი. მშვიდობიანი ცხო-

ვრების დამყარება შეუძლებელი გახდა, გარეშე მტერი კლავინდებურად აოხრებდა ქვეყანას. მეტიც. რუსეთთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ ამ მუდმივ თავდასხმას უფრო საბედისწერო შედეგი ჰქონდა, ვინაიდან ერთის მხრივ მტრები რუსეთის საფრთხის გამო მეტს ენერგიას იჩენდნენ და მეორე მხრივ, რადგანაც დახმარება არსაიდან სჩანდა, ხალხის მოქანცული ძალა თანდათან მოდუნებას და დაკნინებას განიცდიდა. ეკონომიური მდგომარეობაც სამეფოსი თანდათან უარესდებოდა. რადგანაც მშვიდობიანი ცხოვრება სრულიადაც არ იყო უზრუნველ ყოფილი, საწარმოო ძალა არა თუ არ განიცდიდა რაიმე წინ სვლას, პირიქით თანდათან სუსტდებოდა. სამეფოს ფინანსიური მდგომარეობაც თანდათან უარესდებოდა. ახტალის მადნების აოხრება ომარხანის მიერ 1785 წ. ამ მხრივ დიდ ზარალს წარმოადგენდა. ამ მადნების დამუშავებას ხელი მიჰყვეს ერეკლე II-ის მეფობის დროს და სახელმწიფო ხაზინას მისგან კარგი შემოსავალი ჰქონდა. 1780 წ., მაგალითად, ამ მადნებიდან ამოვიდა 63.200 მანეთის ოქრო-ვერცხლი. ეს თანხა სამეფოს ბიუჯეტის თვალსაჩინო ნაწილს შეადგენდა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1785 წ, მაგალ., სრული სახელმწიფო შემოსავალი განჯა-ერევნის ხარკითურთ უდრიდა 400 ათასს მანეთს. ამ წლის შემდეგ, ამ ნაირად, სახელმწიფო შემოსავალმა კლება იწყო.

ფინანსიური მდგომარეობა იყო გამომხატველი ზოგადი ეკონომიური გაჭირვებისა. ქალაქებში ცხოვრება საერთო ეკონომიურ კრიზისის გამო თანდათან ძნელდებოდა. ცხოვრების სიძვირე შეუძლებლად ხდიდა ღარიბ მოქალაქეთა ნორმალურ ფიზიკურ არსებობას და ამიტომაც გასაგებია, რომ ქალაქებიდან ყველაზედ უფრო აქტიური ელემენტი გარბოდა. ამ გვარ აყრას ქალაქებიდან ისეთი სისტემატიური ხასიათი ჰქონდა, რომ მეფე ერეკლე 1784 წ. იძულებული გახდა განსაკუთრებული ბრძანება გამოეცა ტფილისის და გორის მოქალაქეთა მიმართ, რომ ამიერიდან ვინც ქალაქიდან აიყრება სხვაგან გადასასახლებლად, მას მამული ჩამოერთმევა და მთავრობის ნებართვით სხვაზე გაიყიდებაო. ქალაქთა ცხოვრების კრიზისს რამოდენადმე ახასიათებს მცხოვრებთა რიცხვის თანდათანობითი შემცირება ქართლ-კახეთის თითქმის ყველა ქალაქებში. 1770 წ., მაგალითად, ტფილისში ირიცხებოდა 4000 კომლი, ხოლო 1780—1 წ. მხოლოდ 3478 კომლი. გორში 1770 წ. 500 კომლი იყო, ხოლო 1794 წ. მხოლოდ 227 კომლი. ქალ. ახალგორში 1770 წ. 100 კომლი იყო, ხოლო 11 წლის შემდეგ 88. მუდმივ აოხრებათა გამო საერთო მცხოვრებთა ზრდაც სამეფოში შეჩერებული იყო.

ასეთს მდგომარეობაში, რასაკვირველია, ძნელი იყო რაიმე გაუმჯობესების და თვალსაჩინო ცვლილების შეტანა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. პირიქით, ვინაიდან შინაური კრიზისი თანდათან რთულდებოდა და ამავე დროს მთავრობამ ვერ შესძლო არსებულ პირობებში

სათანადო საადმინისტრაციო აპარატის შექმნა, ამიტომ თანდათან ისპობოდა ის ნაწილობრივი გაუმჯობესებანიც, რომელნიც უკვე შეტანილი იყო სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, თავის თავად გაჰქრა მორიგეთა ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენდა მუდმივ სამხედრო ძალას და რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ლეკთა თარეშების ალაგმვას და შიგნით მშვიდობიანობის გაუმჯობესებას.

მორიგეთა ინსტიტუტის ლიკვიდაციას თან უნდა მოყოლოდა ხელის აღება ყველა იმ აზრის განხორციელებაზედ, რომელიც თან სდევდა ფეოდალიზმის ბუდეების დანგრევას ჩვენში და ახალი ცენტრალისტური მართველობისადმი გზის გაკაფვას. ასეთი იყო, მაგალითად, იდეა საქართველოს დაქსაქსული ნაწილების და კერძოდ იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთებისა. ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა ჩიხში ემწყვდეოდა და გასაქან გზას ვერ პოულობდა. ეს საკმაოდ ნათლად გამოაშკარავდა 1792 წელს, როდესაც აღიძრა საკითხი იმერ-ამერეთის გაერთიანების შესახებ.

იმერეთის ვითარება სოლომონ I-ის დროს უმჯობესდება. შინაური მდგომარეობა იმერეთის სამეფოსი, სანამ იმერეთის სამეფო ტახტზედ იჯდა დიდი სოლომონ I, უკვე საკმაოდ მტკიცე იყო. მეფის უფლების ურჩი ელემენტები ალაგმული იყვნენ და ქვეყანა მშვიდობიანად ცხოვრობდა. ოსმალებთან და რაჭის ერისთავთან ბრძოლის დროს დაწინაურდა წერეთლების გვარეულობა, რომელიც თანდათან სამეფოს მართვა-გამგეობის სათავეში მოექცა. შინაური პირობების გაუმჯობესების გამო ქვეყანამ მოლონიერება იწყო. ხალხის კეთილდღეობამ იმატა, ტყვეთა ყიდვის მოსპობისა და მუდმივ ხდომა-ოხრების შეწყვეტის გამო დაცალიერებული ქვეყნის მოსახლეობამ დიდის სისწრაფით იწყო მატება. 1769 წ. ახლოს იმერეთის სამეფოში ირიცხებოდა დაახლოებით $12^1/_2$ ათასი კომლი მცხოვრები, ხოლო 1782 წლის აღრიცხვით აღმოჩნდა 18,980 კომლი. მართალია, პირველი ციფრი 1769 წლის მოსახლეობის შესახებ რამოდენადმე სინამდვილეზე ნაკლები უნდა იყოს, მაგრამ ასეთი დიდს განსხვავებას ამ ორ ციფრს შორის მაინც გვიჩვენებს, რომ 1769—1782 წლებში არა მარტო მცხოვრებთა რიცხვმა იწყო მატება, არამედ მართველობის აპარატი თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა, რის გამო შესაძლებელი შეიქმნა 1782 წლის აღრიცხვის დროს მოსახლეობის უფრო ნამდვილი ციფრის მიღება. ქალაქი ქუთაისი 1770 წ. ოსმალთა ჯარისაგან განთავისუფლების შემდეგ მთლად დაცარიელდა. მანამდის მის მცხოვრებთა შორის 500 კომლი მარტო მაჰმადიანი (იმერელი, ახალციხიდან მოსული, თუ ოსმალო) ირიცხებოდა, ხოლო ქალაქის საბოლოოდ სოლომონ მეფის ხელში გადმოსვლის შემდეგ ეს მოსახლეობა მთლად გაიკრიფა. 1772 წ. ქუთაისში ირიცხებოდა მხოლოდ 50 კომლი, მაგრამ შემდეგ თანდათან მცხოვრებთა რიცხვმა ზრდა იწყო და რამოდენიმე წლის შემდეგ იქ უკვე 200

კომლი იყო. ამავე დროს იმერეთის სამეფოს შინაურ მართველობაში შეტანილ იქმნა გაუმჯობესება. ვახტანგ მეფის კანონებში, რომელიც იხმარებოდა აგრეთვე იმერეთში, შეტანილ იქმნა ცვლილებანი ადგილობრივ ჩვეულებათა და საჭიროებათა მიხედვით. საერთოდ სამმართველოს აპარატი თანდათან მეტს სიმტკიცეს პოულობდა. 1781 წლიდან კიდევ სახლთუხუცესის მნიშვნელობა, ამ თანამდებობაზე ზურაბ წერეთლის დანიშვნის შემდეგ, კვლავ გაიზარდა და ამით შინაურ მართველობასაც მეტი ერთიანობა მიეცა.

რუხის ბრძოლა. სოლომონ მეორის დროს ერთხელ კიდევ იფეთქა აფხაზების მძლავრებამ, რომელმაც ასეთი სიძლიერით იჩინა თავი მე-XVII საუკ. დასასრულს და მე-XVIII საუკ. დასაწყისს. სოლომონ I-ის მეფობის დასაწყისს აფხაზეთს განაგებდა მანუჩარ შარვაშიძე, რომელსაც მალე აუმხედრდნენ თავადები ძაფშიფავას გვარეულობის მეთაურობით და მანუჩარი თავის ძმებით შირვანით და ზურაბითურთ იძულებული გახდა ოსმალეთს გაქცეულიყო. პორტამ რამოდენიმე წლის შემდეგ გამოგზავნა მთავრად ზურაბ შარვაშიძე, რომელიც სოხუმის ფაშის დახმარებით შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას. 1771 წ., როდესაც რუსის ჯარი იმერეთში იმყოფებოდა, ზურაბი გადუდგა ოსმალთ და სამურზაყანოს მფლობელის ლევან შარვაშიძის დახმარებით დაეცა სოხუმს და დაიპყრო ის, ოსმალნი კი განდევნა. შემდეგ მან თავისს ძმისწულს ქელაიშ აჰმედ-ბეგს, მანუჩარის ძეს, შერთო ცოლად ძაფშიფავას ქალი, შემოირიგა ეს გავლენიანი გვარეულობა, თანდათან განამტკიცა თავისი უფლება და იმდენად გაძლიერდა, რომ 1780 წ. მოინდომა ოდიშის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა. ზურაბ შერვაშიძე თავისი ძმისწულებით ქელაიშ-აჰმედ-ბეგით და ბექირ-ბეგითურთ 11 ათასი კაცით, რომელშიდაც იყვნენ ჯიქნი და ალანნიც, არტილერიით მოადგა მდ. ენგურს. მათთან იყო აგრეთვე სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძე. კაცია დადიანმა მსწრაფლ შეკრიბა თავისი ჯარი და მიმართა თხოვნით დახმარების შესახებ სოლომონ მეფეს. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა მეფეს და დადიანს შორის ამ დროს კეთილგანწყობილად მოგვარებული არ იყო, მეფე მაინც წავიდა დადიანის საშველად. ბრძოლა მოხდა რუხთან და გათავდა შარვაშიძეების სრული დამარცხებით (1780 წ.). გამარჯვებულთ დარჩათ დიდი ნადავალი, ბლომად ტყვე და 3 ზარბაზანი

რუხის ბრძოლამ საბოლოოდ შეაჩერა შარვაშიძეების მფლობელობის წინსვლა აღმოსავლეთისკენ. კერძოდ მეფისა და დადიანის ურთიერთობაში ამ ომმა დაამყარა მტკიცე შეგობრული დამოკიდებულება. დადიანმა აღიარა მეფის უფროსობა და შინაური მშვიდობა უფრო განმტკიცდა. დამარცხებულს ზურაბ შარვაშიძეს და მისს ძმისწულს ქელაიშ-ბეგს მალე მოუვიდათ ერთმანეთში უთანხმოება. ქელაიშ-ბეგმა, რომელიც ფლობდა აყუს ციხეს და მის მიმდგომს, სძლია ზურაბი. ზურაბ-

მა დახმარება სთხოვა კაცია დადიანს, რომელმაც გაგზავნა ჯარი თავისი ძმის გიორგის წინამძღოლობით იმისდა შესაწევნად. ქელაიშ-ბეგი გამაგრდა სოხუმში, მაგრამ დამარცხდა და იძულებული შეიქმნა მორიგებოდა თავისს ბიძას. ამ უთანხმოებით ისარგებლეს ოსმალებმა, მხარი დაუჭირეს ქელაიშ-ბეგს, რომელსაც მათი მფარველობა ეთხოვა და გარდაადგეს ზურაბი. აფხაზეთის მთავრად დაჯდა ოსმალთა მფარველობის ქვეშ ქელაიშ-ბეგი, ხოლო სოხუმის ციხე დაიპყრეს ოსმალთ. ქელაიშ-ბეგის დასაინტერესებლად მას დაენიშნა პორტასგან წლიური ჯამაგირი.

ქობულეთის გამაჰმადიანება. 1770-იან წლებში იწყება ოსმალების გავლენის გაძლიერება ქობულეთში ჩაქვითურთ. მაჰმადიანობაც იქ თანდათან ფეხს იკიდებდა. ქობულეთის მეპატრონედ იყო მამუკა თავდგირიძე, თავისი ვაჟკაცობით განთქმული, სიძე მეფის სოლომონ I-ისა. 1774 წ. ქობულეთი დაიპირეს ოსმალების რაზმებმა. მამუკა თავდგირიძე გადავიდა გურიაში მდებარე თავისს მამულებში, ქობულეთში კი დასტოვა მძევლად ოსმალების მოთხოვნით თავისი ცოლი და შვილი. ოსმალების შემოსვლის შემდეგ ქობულეთსა და აჭარის ჯერ კიდევ ქრისტიანობაზე დარჩენილ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სწრაფად გავრცელდა მაჰმადიანობა. ხინოწმინდელი ეპისკოპოსი აჭარიდან გადავიდა იმერეთს.

ჩაქვის ომი და სოლომონ I-ის სიკვდილი. ოსმალების ამ გვარმა ძლავრ ებამ შეაშფოთა მეფე სოლომონ I, რომელსაც მამუკა თავდგირიძე დახმარებას თხოვდა. ბოლოს 1784 წლის დასაწყისს მეფემ გაილაშქრა ქობულეთს, დაამარცხა ოსმალნი ჩაქვს, მაგრამ უკან დაბრუნებისას მას შეეწივნენ ჩაქველნი და მოულოდნელად დაეცნენ თავს. მეფეს დაეხოცა და დაეკარგა ტყვედ მრავალი თავადი, აზნაური და მეომარი, სარდლები ბერი წულუკიძე და ქაიხოსრო აგიაშვილი დაჭრილ იქმნენ ბრძოლაში. დიდად დამარცხებული მეფე მოვიდა იმერეთს, სადაც მალე გარდაიცვალა 23 აპრილს 1784 წ. წვეთის დაცემისაგან იმ დროს, როდესაც მას ქუთაისის სასახლეში ცხენი მიგვარეს ხონის წმ. გიორგის დღესასწაულზე წასასვლელად. გარდაცვალებული მეფე, ქვეყნისადმი მის მიერ გაწეულ მრავალი ღვაწლის გამო, დამარხეს გელათის მთავარი ტაძრის შიგნით, რაც გელათის მონასტრის მრავალი საუკუნის არსებობის ისტორიაში პირველს მაგალითს წარმოადგენდა.

იმერეთის მეფე დავით II. სოლომონ I-ის სიკვდილის შემდეგ იმერეთის ტახტს გაუჩნდა ორი პრეტენდენტი: ძმისწული გარდაცვალებულ მეფისა — დავით არჩილის ძე, რომელიც ამ დროს მხოლოდ ათი წლისა იყო და ქართლ-კახეთში თავისს მეორედ რევაზ ანდრონიკაშვილზე გათხოვილ დედასთან, ერეკლე მეფის ასულ ელენესთან, ცხოვრობდა, და სოლომონ I-ის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. უპირატესობა ეკუთვნოდა დავით არჩილის ძეს, რომლის მომხრე იყო იმერეთის თავადების უმეტესობა, მაგრამ კაცია დადიანმა მხარი დაუჭირა დავით გიორგის ძეს, რომელიც ამის შემდეგ მართლაც გამოცხადებულ იქმნა

მეფედ. ახალი მეფე უნდობლობით უყურებდა გაელენიან თავადებს დავით არჩილის ძის ძომხრეობის გამო. ამიტომ მან გამეფების პირველ თვეებშივე ჩამოაშორა საქმეებს უწინდელი ხელისუფალნი და სამეფოს პირველ კაცად და მთავარ ვეზირად დანიშნა ქსნის ერისთავისძე ელიზბარ, რომელსაც სოლომონ I დიდის ქალი ჰყავდა ცოლად და ქარლიდან ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ გამოქცეული იმერეთს შეხიზნოდა. ქსნის ერისთავისძის ელიზბარის დაწინაურების შემდეგ სარდალნი ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი აშკარად გადუდგნენ დავით მეფეს და მოინდომეს დავით არჩილის ძის გამეფება. მეფემ დახმარება სთხოვა დადიანს. წულუკიძემ და წერეთელმა მოიშველიეს დაქირავებული ლეკის ჯარი 500 კაცი, ქაიხოსრო აბაშიძემ ჩამოიყვანა კიდევ ახალციხის საფაშოდან 1000 კაცი და ტახტის პრეტენდენტ დავით ბატონიშვილთან ერთად შეებნენ მეფისა და დადიანის ჯარს, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. დავით მეფე დროებით დამკვიდრდა ტახტზე და კაცია დადიანის გარდაცვალებამდის ქვეყანა იყო მშვიდობით.

სოლომონ II-ის გამეფება იმერეთს. 6 დეკემბერს 1788 წ. გარდაიცვალა კაცია დადიანი და მის მაგიერად სადადიანო დაიპყრო მისმა უფროსმა შვილმა 18 წლის გრიგოლმა. დავით მეფემ მოინდომა ამ გარემოებით ესარგებლნა ოდიშის დასაპყრობად. შემოიკრიბა ჯარი, მოიბირა თავისს მხარეს გრიგოლის ძმა მანუჩარ, დალაშქრა ოდიში და მრავალი ტყვით და ნადავლით დაბრუნდა უკან. გრიგოლ დადიანი კი ვერ შეიპყრო, რადგან მან მოასწრო ლეჩხუმს თავის შეფარება. გრიგოლთან შეიკრიბნენ დადიანის სახლის წევრები, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი, ლეჩხუმის მოურავი ქაიხოსრო გელოვანი და გარდასწყვიტეს დავით მეფის წინააღმდეგ დავით ბატონიშვილისთვის მხარის დაჭერა. მიწევნის მიღებისთანავე დავით არჩილის ძე ქართლიდან გადავიდა იმერეთს, სადაც მას მიეგებნენ წერეთლები და წულუკიძეები და აგრეთვე ზოგი სხვა თავადი და შემდეგ მივიდა ლეჩხუმს, სადაც მას შერთეს ცოლად გრიგოლ დადიანის და მარიამი. აქედან, ჯარის შეერთების შემდეგ, დავით ბატონიშვილი და დადიანი გაემართნენ მეფის წინააღმდეგ. მათხოვთან მოხდა გარდამწყვეტი ბრძოლა, დავით მეფე დამარცხდა და იქლტოდა. ხოლო დავით ბატონიშვილი მიიყვანეს ქუთაისს და გამოაცხადეს იმერეთის მეფედ სოლომონ II-ის სახელით, მისი ბიძის სოლომონ დიდის სახელის მოსაგონებლად (11 ივლ. 1789 წ.). იმერეთის ყველა ციხეები დაემორჩილა ახალს მეფეს, დავით II კი გადავიდა ახალციხეს, საიდანაც ის კვალად მცდელობდა ტახტის დაბრუნებას. მართლაც ცოტა ხნის შემდეგ მან შემოიკრიბა ლეკის და ოსმალოს ჯარი და მივიდა იმერეთს, დაამარცხა სოლომონ II და გაიმეფა (1792 წ.).

სოლომონმა თავი შეაფარა საწერეთლოს.

ამ დროს მოკვდა სარდალი პაპუნა წერეთელი და სოლომონ II-ს გამოეცალა ჭრთი საუკეთესო მომხრეთაგანი და ამავე დროს მხნე და

ენერგიული მხედართ-მთავარი. იმერეთის წარჩინებულთა შორის მაშინ დაიბადა აზრი იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთების შესახებ. ეს იქმნებოდა მათის აზრით ერთად-ერთი საშუალება შინაური შფოთისა და არეულობის მოსასპობად, რადგან თუმცა უმეტესობა თავადებისა დავით II-ის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელსაც ყოველთვის ჰქონდა საშუალება ოსმალ-ლეკთა ჯარის დახმარებით თავისი მომხრეები იმერეთში აემუშავებინა.

ცდა ამერ-იმერეთის გაერთიანებისა. ამ საქმის შესახებ პირადად ერეკლე II-სთან შუამდგომლობის აღსაძრველად ტფილისს გაემართნენ: სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, ქუთათელი დოსითეოს, გენათელი ეფთიმე, პაპუნას სიკვდილის შემდეგ სარდლად დანიშნული ძე მისი ქაიხოსრო წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, პაატა მიქელაძე. ქაიხოსრო ჩიჯავაძე, ფიცისკაცნი ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხ. და მიმართეს ერეკლე II-ს თხოვნით იმერეთის შეერთების შესახებ. ტფილისში ამ წინადადებას დიდის თანაგრძნობით და სიხარულით შეხვდნენ. ბჭობა ამის შესახებ ერეკლე მეფესთან ქარ.ლ-კახეთის და იმერეთის თავ-კაცების თანადასწრებით გაგრძელდა სამს დღეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ერეკლემ შესაძლებლად ვერ დაინახა ამ აზრის განხორციელება თვით ქართლ-კახეთის სამეფოში არსებული შინაური მოუწყობლობით გამოწვეულ სიძნელეთა გამო. მან მხოლოდ აღუთქვა იმერეთის დელეგაციას აქტიური დახმარების გაწევა ტახტის დაპყრობის საქმეში თავისი შვილისშვილის სოლომონ II-სათვის, რომლის იმერეთში დამკვიდრება ერთგვარ ბუნებრივს კავშირს შექმნიდა ამერ-იმერეთის სამეფოთა შორის. 4 ათასი კაცი ქართლ-კახეთის ჯარი ივანე მუხრან-ბატონის და ქიზიყის მოურავის ზაქარია ანდრონიკაშვილის წინაამძღოლობით 900 ლეკითურთ გადავიდა იმერეთს და დაამარცხა დავით მეფის ლაშქარი. ამავე დროს გრიგოლ დადიანმა გადალახა ცხენის-წყალი და აიღო ქუთაისი. სოლომონი კვლავ გამეფდა (1792 წ.). დავით მეფე გაიქცა ახალციხეს და იქიდან შუამავლობა სთხოვა ერეკლე II-ს, რომელმაც მოარიგა ის თავისს შვილისშვილთან. დავითს მისცეს საუფლისწულო იმერეთში.

ერთობის კავშირი საქართველოს მეფე-მთავართა შორის. ამ გვარად ამერ-იმერეთის გაერთიანების ცდა ჩაიფუშა, მაგრამ მიღრეკილება ერთობისადმი უკვე აშკარად გამოცხადდა. ქართლ-კახეთის სამეფოს მსაჯული სოლ. ლიონიძე, ჰკვდანი და განათლებული პოლიტიკოსი, მხნედ შეუდგა ერთობის აზრის განხორციელებას, რამდენადაც ეს არსებულ პირობებში შესაძლებელი იყო. მისი შრომით 1792 წ. შესდგა ერთობის ხელშეკრულობა საქართველოს მეფე-მთავრებს შორის. ამ ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს ერეკლე II-მ, სოლომონ II-მ, გრიგოლ დადიანმა და სვიმონ გურიელმა. ხელშეკრულობის ძალით ამ მეფე-მთავრებს შორის მყარდებოდა პოლიტიკური კავშირი ერეკლე II-ის

უზენაეს ხელმწიფების ქვეშ გარეშე მტრისაგან ქვეყნის საერთო ძალით დაცვის განზრახვით.

რამოდენიმე თაობათა მიერ განვლილ დროში ეს იყო პირველი აშკარა გამოხატულება საქართველოს დაქსაქსული ნაწილების გაერთიანების საჭიროებისა.

რუსეთთან დაკავშირებას ქართლ-კახეთში ოპოზიცია უჩნდება. 1783 წ. რუსეთთან დადებული ტრაქტატის შემდეგ ქართლ-კახეთის მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესებულა, პირიქით ქართველი მოწინავე წრეები ხედავდნენ, თუ როგორ თანდათან ადგილობრივ სახელმწიფოებრივობის მდგომარეობა უარესდებოდა. რუსეთმა არ გაუწია ქართლ-კახეთს რაიმე თვალსაჩინო სამხედრო დახმარება, აქ მყოფი ორი ბატალიონიც, რომელიც ტრაქტატის მიხედვით საქართველოში უნდა დარჩენილიყო, უკან გაიწვია და ქვეყანა წინანდელზედ უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, ვინაიდან ქართლ-კახეთს ეხლა მეზობლებიც რუსეთის გამო გადამტერებული ჰყავდა. ასეთს პირობებში შინაური ცხოვრების მოწყობაზე ფიქრი ზედმეტი იყო, მით უმეტეს რომ ამ მხრივაც რუსეთი არავითარ მორალურ დახმარებას არ იძლეოდა.

ამ გარემოებამ ჩააფიქრა ზოგი ქართველი ხელმძღვანელი ჯგუფი. თუ კიდევ 1783 წლამდის მთელი იმედები რუსეთზედ იყო დამყარებული, ეხლა, როდესაც ეს იმედები გაცრუებული აღმოჩნდა, რუსეთთან არსებულ კავშირს თანდათან გაუჩნდა ოპოზიცია, რომელიც ჯერ სუსტი იყო, მაგრამ შემდეგ კი საკმაოდ გაძლიერდა. ოპოზიცია ხედავდა რუსეთის გულგრილობას, რომ პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდა საქართველო, როდესაც კასპიის ზღვაზე ბატონობის საკითხი წინ წამოდგებოდა და ამიტომ არჩევდა მეზობელ მაჰმადიან ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა ოსმალეთსა და სპარსეთთან კავშირის დაჭერით დამოუკიდებელ გზაზე სვლას. ამ ჯგუფს სათავეში ედგა მდივანბეგი სოლ. ლიონიძე და სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი, სიძე ერეკლე II-ისა, მხნე, მამაცი და გონიერი კაცი.

რუსეთის მომხრე ჯგუფი. ამავე დროს მეორე, უფრო ძლიერი ჯგუფი, ქვეყნის მოუწყობლობისა და არევ-დარევისა გამო ერთად ერთს გამოსავალს ისევ რუსეთთან მჭიდრო კავშირის დაჭერაში ხედავდა და მისგან მოელოდა საქართველოს სახელმწიფოებრივობის ხსნას. ამ, ასე ვსთქვათ, რუსოფილურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ გარსევან ჭავჭავაძე, ელჩად გაგზავნილი რუსეთს, მისი სიმამრი ქაიხოსრო ავალიშვილი, ქსნის ერისთვიანნი. გოგია ციციშვილი (სიმამრი ტახტის მემკვიდრის გიორგი ბატონიშვილისა), რომელსაც წინად ღალატისათვის უურები ჰქონდა დაჭრილი, არქიმანდრიტი ეფთიმე, ფრიად მომქმედი პირი, და სხ.. ზოგი ამ ჯგუფისა იყო მომხრე რუსეთთან კავშირისა 1783 წლის ტრაქტატის ფარგლებში, ზოგი კიდევ, როგორც, მაგალითად, ქსნის

ერისთვიანნი, პირადი შურის ძიებისა გამო, წინააღმდეგი არ იქმნებოდნენ მთლად მეფობის მოსპობისაც. ამავე რუსის მომხრე ჯგუფში მოყვნენ გავლენიანი სომხის თავადებიც განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა სცადა აზერბეიჯანის სახანოებში მოსახლე სომხობის საკითხის წამოყენება; ხოლო ეკატერინე II-ს და მის ხელისუფალს გრ. პოტემკინს აზიაში ქრისტიანთ სახელმწიფოს დაარსების აზრი მოუვიდათ. მართალია, ეს აზრი მალე მიტოვებულ იქმნა, მაგრამ ეჩმიაძინის სასულიერო წრეებსა, აგრეთვე ყარაბაღის მელიქებში ის რწმენა განმტკიცდა, რომ სომხის ერის მხსნელი მხოლოდ რუსეთი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამას თავისი გავლენა ჰქონდა ტფილისის სომხობაზედაც და ამით აიხსნება, რომ რუსეთისადმი მძლავრმა სიმპატიამ ჰპოვა მათში სწრაფი ზრდა და განვითარება. სამეფოს შინაური და გარეგანი სისუსტე კიდევ უფრო აძლიერებდა იმ აზრს, რომ ძლიერი რუსეთი იხსნიდა ქრისტიანობას მაჰმადიანთა მძლავრობისაგან. ნაგულისხმევ ჯგუფს სომეხთაგან ეკუთვნოდნენ: მისკარბაში იოსებ ბაბუთაშვილი, ტფილისის მელიქი დარჩია ბაბუთაშვილი, სულხან, მისი ძმა მანუჩარ და შვილი შიოშ თუმანიშვილები, სოლომან არღუთაშვილი და იოსებ ყორღანაშვილი, ერეკლე II-ის მეუღლის დადიანის ასულის დარეჯან დედოფლის საქმეების მოურავი. ამ პირთ მალე მოიპოვეს პირველი ადგილი რუსეთის მომხრე ჯგუფში. იოსებ ბებუთაშვილის სახლი გარდაიქცა მათ ცენტრად, სადაც იკრიბებოდა ყველა ამ წრის და ზრახვების ხალხი. წრის სათავეში მდგომ პირთ მუდმივი კავშირი ჰქონდათ რუსეთში მყოფ სომხის მთავარ-ეპისკოპოს იოსებ არღუთაშვილთან. ამავე რუსეთის მომხრე ჯგუფს თავისი მდგომარეობით დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზე და სახელმწიფო საქმეებზედაც. აქ იყო გადაბმული ერთმანეთთან ფრიად რთული ქსელი იდეური მიდრეკილებისა და შურიანობისა, ინტრიგებისა და პირადი უკმაყოფილებისა, მაგრამ ყველაფერს ამას აერთებდა ერთი ხაზი რუსეთისადმი მიდრეკილებისა.

სპარსეთში ძლიერდება აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი. ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც სპარსეთში თანდათან იწყო გაძლიერება აღა-მაჰმად-ხანმა, ყაჯარის ტომის მეთაურმა, რომელმაც 1785 წ. დაიპყრა თეირანი, შემდეგ წლებში სძლია ჯაფარ-ხანს ზენდს, დაიპყრა ირაყი, აქედან მოვიდა აზერბეიჯანს 1791 წ. და დაუწყო ლაპარაკი ერეკლეს მეგობრობის შესახებ.

აღა-მაჰმად-ხანის გაძლიერება სპარსეთში საბოლოოდ გამორკვეული იყო და ამიტომ საკითხი სპარსეთთან ურთიერთობის შესახებ გადაჭრით უნდა გარდაწყვეტილიყო. ცხადი იყო, რომ სპარსეთი მოითხოვდა რუსეთთან კავშირის გაწყვეტას და ერანსა და ალმოს. საქართველოს შორის არსებულ წინანდელი დამოკიდებულების აღდგენას. სოლომონ ლიონიძე და მისი ჯგუფი მომხრე იყვნენ სპარსეთთან მეგობრული ურთიერთობის დაჭერისა, თუნდაც ამისათვის საჭირო ყოფილიყო რუსეთთან

კავშირის გაწყვეტა, მით უმეტეს, რომ რუსის მთავრობა არ ასრულებდა ტრაქტატით თავისს თავზე მიღებულ ვალდებულებას. მაგრამ ამ აზრმა ვერ გაიმარჯვა, რადგან მიდრეკილება რუსეთისადმი ფრიად ძლიერი იყო და რუსეთის მომხრე ჯგუფს დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა. ამიტომ ამ დროს უკვე მტკიცედ გარდაწყვეტილი იყო რუსეთთან ერთგულობით ყოფნა და აღა-მაჰმად-ხანისათვის წინააღმდეგობის გაწევა, თუ ის ქართლ-კახეთის დამორჩილებას ძალით განიზრახავდა. ერეკლე მეფემ მაშინვე აცნობა რუსის მთავრობას საქმის მდგომარეობა და სთხოვა ტრაქტატით აღთქმული ორი ბატალიონის გამოგზავნა. მაგრამ ამ შუამდგომლობიდან არა გამოვიდა რა. კავკასიის ლინიის უფროსს გენ. გუდოვიჩს პირიქით მისწერეს პეტერბურგიდან, რომ ჯარის გაგზავნა საქართველოში სასურველად არაა ცნობილიო.

რეაქცია მართველობის წესში. მეფის-ძეთა საუფლისწულოები. რაც უფრო ირკვეოდა საგარეო მდგომარეობის მოსალოდნელი გართულება, მით უფრო საჭირო ხდებოდა შინაურ ძალთა ორგანიზაცია და მისი დარაზმვა გარეთ თუ შიგნით ატეხილ სიძნელეთა გასაძღოლად. ერეკლე მეფის ცდა 70-იანი წლებიდან სამეფოს შინაური წეს-წყობილების გარდაქმნისა და გაუმჯობესების შესახებ განუხორციელებელი დარჩა. საქართველოს არ ჰყავდა სხვა რომელიმე, გარეშე ფეოდალური ელემენტებისა, საკმაოდ მომზადებული და ღონიერი წრე, რომელიც შესძლებდა ქვეყნის ცხოვრებისათვის ახალი სულის ჩადგმას და სახელმწიფო აპარატის შესაფერისად მოწყობას. ამიტომაც მეფე იძულებული იყო, რაკი მთლიანი და ერთიანი მართვა-გამგეობის მოწყობა შეუძლებელი შეიქმნა, ისევ ძველს — ფეოდალების ბატონობის დროს ნაცადს გზას დასდგომოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეხლა სამეფო სახლის წევრების მართველობაში ჩაბმით შექმნილიყო მეტი გარანტია მთლიანი სახელმწიფოს ინტერესების დაცვისა. ჯერ კიდევ 1777 წ. ქსნის საერისთავო გადაეცა ტახტის მემკვიდრეს გიორგი ბატონიშვილს, რომელსაც ჰქონდა აგრეთვე თიანეთი, აღჯაყალა და ლორე-ბამბაკი, არაგვის საერისთავოც ჰქონდა ლევან ბატონიშვილს, რომლის სიკვდილის შემდეგ ის გადაეცა მეფის-ძეს ვახტანგს. ვახტანგი თიანეთის განსაზღვრებად განაგებდა თავისს საპატრონოს საკანონმდებლო უფლების ძილებითაც. დროთა განმავლობაში მეფის-ძეთა მნიშვნელობა სამეფოს მართვა-გამგეობის საქმეში თანდათან იზრდებოდა. არსებულ პირობებში ეს იყო ერთად-ერთი საშუალება სამეფოს სხვა და სხვა კუთხეში ადგილობრივი საქმეების მოწესრიგებისა. კახეთის თავადებმა, მაგალითად, ადგილობრივი საქმეების მთლად არევ-დარევის გამო 1786 წ. თვით ითხოვეს ერთ-ერთი ბატონიშვილის კახეთის გამგედ დანიშვნა.

მეფის-ძეთა მნიშვნელობის გაზრდით სამეფოს მართველობის საქმეში უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ერეკლე, დედოფალ დარეჯანის და ბატონიშვილების მოთხოვნით, იძულებული გახდა 1791 წ. შეეცვა-

ლა არსებული წესი ტახტის მემკვიდრეობისა. თანახმად ამ წელს გამოცემული განწესებისა სამეფო ტახტი ამიერიდან უნდა გადასულიყო რიგ-რიგობით მეფის შვილებზე და მათ შთამომავლობაზე, ე. ი. უფროსზე გვარში.

ამ განწესებას მოყვა საუფლისწულოების მიჩენა მეფის-ძეთათვის (1792 წ.). ტახტის მემკვიდრეს გიორგის შვილებითურთ მიეცა 4,000 კომლი, ხოლო დანარჩენ ხუთ შვილს (იულონს, ვახტანგს, მარიანს, ფარნაოზს და ალექსანდრეს) თითოს ათას-ათასი კომლი ქართლსა და კახეთში ელებითურთ. მეფის-ძე გიორგი ამ დროიდან განაგებდა კახეთს, იულონი ქართლის დასავლეთ ნაწილს და ქსანს, ვახტანგი ისევ არაგვის საერისთავოს. საუფლისწულოების მიცემამ ბატონიშვილები კიდევ უფრო დამოუკიდებელნი გახადა.

ამ გვარად ფაქტიურად სამეფო უბრუნდებოდა უწინდელს ფეოდალურ დროის მართველობის წესს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეფის-ძენი ბევრად მეტს უპასუხისმგებლო მდგომარეობაში იყვნენ და მეტს დამოუკიდებლობასაც იჩენდნენ, ვიდრე წინანდელი თუნდ არაგვისა და ქსნის ერისთავები.

აღა-მაჰმად-ხანი მოემართება საქართველოსაკენ. ასეთ მდგომარეობაში იყო ქართლ-კახეთის სამეფო, როდესაც აღა-მაჰმად-ხანმა საბოლოოდ დაიპყრო ირაყი და ქალ. შირაზი, თანდათან განამტკიცა თავისი ძალა-უფლება ერანის ტერიტორიაზე, ხოლო 1795 წლის დასაწყისს უკვე ფაქტიური მბრძანებელი გახდა მთელი სპარსეთისა. ქართლ-კახეთის მთავრობა ღებულობდა წინასწარ ზომებს და თავისი ელჩის გარსევან ჭავჭავაძის პირით თხოულობდა რუსეთისაგან დახმარებას. 1795 წლის დასაწყისში გარსევან ჭავჭავაძე განმეორებით აქცევდა რუსის მთავრობის ყურადღებას საქართველოს მდგომარეობაზე და შუამდგომლობდა 6 ან 5 პოლკის გაგზავნას იმ არტილერიით, რომელიც ტრაქტატის შეკვრის დროს აღთქმული ჰქონდა საჩუქრად მეფე ერეკლეს და რომლის ნახევარი აქამდის გადაცემული არ იყო. ამ შუამდგომლობიდანაც არაფერი გამოდიოდა. აღა-მაჰმად-ხანმა ამასობაში მოიმარაგა თავისი საქმეები სპარსეთში, შეკრიბა 70 ათასი კაცი და გამოეშურა საქართველოსაკენ. მდ. არეზზე მას შეხვდა ერეკლე მეფის მოხარკე ჯავათ-ხანი განჯისა, რომელმაც ყაენი მიაცილა ყარაბაღში.

ჯავათ-ხანის უკუდგომა საქართველოსაგან აიხსნება უმთავრესად ერეკლესა და ყარაბაღის ხანის იბრაიმს შორის ამ დროს არსებული კავშირით. ეს კავშირი თავისთავადაც შიშს იწვევდა ჯავათ-ხანში და ამას ზედ დაერთო განჯის სახანოში ლტოლვილ ყარაბაღელ და თვით ადგილობრივ სომეხ მელიქთა აგიტაცია იბრაიმ-ხანისა და ერეკლე მეფის წინააღმდეგ. იბრაიმ ხანი თავისი მდგომარეობით იყო მტრულ განწყობილებაში განთავისუფლების მოტრფიალე ყარაბაღელ სომხის მელიქებთან, რომელნიც ამავე დროს ფრიად უკმაყოფილონი იყვნენ ერეკლე მეფის

ყარაბაღის ხანთან დაკავშირებით. ხოლო ეს დაკავშირება ქართლ-კახეთისათვის აუცილებელი იყო განჯისა და რამოდენამდე ერევნის სახანოს მოსამტკიცებლად და საზოგადოდ აზერბეიჯანის ხანებს შორის სწორწონაობის დასაცავად. სახანოების გავლენიან სომხებში საზოგადოდ ის აზრი იყო გავრცელებული, რომ ერეკლე სომხობის წინააღმდეგია, რომ ის შემხვრევა მათი რუსეთში გადასახლებისაც კი. განსაკუთრებით მელიქი მეჯლუმი აქეზებდა ჯავათ-ხანს განჯისას ერეკლეს წინააღმდეგ და მარადის უჩივენებდა მას ტფილისიდან მის თავზე მოსალოდნელ განსაცდელზედ.

ყარაბაღელ მელიქთა და საზოგადოდ აზერბეიჯანის სომხების ერეკლე მეფის წინააღმდეგ აზროვნებას გავლენა ჰქონდა რამოდენამდე ტფილისის გავლენიან სომხებზედაც. რუსეთზე გაზვიადებული იმედების დამყარებას ამ უკანასკნელ წრეებში ზედ დაერთო აზერბეიჯანის სომხობის უკმაყოფილება მეფე ერეკლეს პოლიტიკით. ამით აიხსნება, რომ ტფილისის სომხობის გავლენიანი წრეები გულ-გრილად შეხვდნენ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას და ზოგი მათგანი პირიქით ტფილისის დაცვის ინტერესების წინააღმდეგაც მოქმედებდა.

მდ. არეზზე გადმოსვლის შემდეგ აღა-მაჰმად-ხანი გაემართა იბრაიმ-ხანის წინააღმდეგ და აღუა შემოარტყა ქალ. შუშას. აზერბეიჯანის დანარჩენმა ხანებმა ერანის ახალ მბრძანებელს მორჩილება გამოუცხადეს. შუშა ფრიად გამაგრებული აღმოჩნდა და მისი აღება არ მოხერხდა. ამ დროს ქართლ-კახეთის ჯარმა მეფის-ძეთა იულონის და ალექსანდრეს წინამძღოლობით მოარბიეს განჯის სახანო, რის გამო აღა-მაჰმად-ხანი მთავარი თავისი ძლებით დაიძრა საქართველოსაკენ. მან ეხლაც წინასწარი მოლაპარაკება გამართა ერეკლესთან დამორჩილებისა და რუსეთთან კავშირის გაწყვეტის შესახებ, მაგრამ ერეკლე ეხლაც დათმობაზე არ მიდიოდა. ყაზახში აღსტაფაზე აღა-მაჰმად-ხანმა დასტოვა თავისი ბანაკი და ჯარის ნაწილი, ხოლო თითონ 35 ათასი მსუბუქი ჯარით უარტილერიოდ (თან წამოიღო მხოლოდ ზამბურაკები) გამოემართა ტფილისისაკენ.

ტფილისის აღება აღა-მაჰმად-ხანის მიერ (1795 წ.). ქართლ-კახეთის მთავრობა უკვე კარგა ხანია მზადებაში იყო. ჯარის მოსაწვევად წინდაწინვე ზომები იყო მიღებული. ვარაუდით ნაანგარიშევი იყო ქართლ-კახეთიდან 36 ათასი კაცი, ყაზახ-ბორჩალოდან და შამშადილიდან 10 ათასი, იმერეთიდან ამდენივე და გარდა ამისა მოსალოდნელი იყო ჯარის მოსვლა დაღისტნიდან, რომლის თავ-კაცებთან ამის შესახებ წინდაწინვე მოლაპარაკება იყო გამართული. აგვისტოს ბოლო რიცხვებში ტფილისში შეიკრიბა მხოლოდ 4 ათასი კაცი და სამი ათასი მოიყვანა იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ. დანარჩენი ჯარების შეკრების მოლოდინში, მეფე ამ 7 ათასი კაცით წავიდა ყაზახს აღა-მაჰმად-ხანის შესახვედრად. ერეკლე მოერიდა მტრის მთავარ ძალასთან შებრძოლებას და წამოვიდა უკან ტფილისისკენ, რომლის მიახლოვებას მას მოახსენეს

მოულოდნელი და იმავე დროს საშინელი ცნობა: ტფილისში არავითარი ჯარი არ არისო. ამას-თან დაერთო კიდევ შემდეგი: სოლანლუღში დაბანაკების შემდეგ ქიზიყის მოურავმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა, მეფის სიძემ, არსებული ჯარიდან გააპარა კახეთში 2 ათასი ქიზიყელი ვითომდა მეფის-ძის გიორგის დასაცავად. დარჩა მეფე ერეკლე 2 ათასი ქართლ-კახეთის და 3 ათასი იმერეთის ჯარით. საჩქაროდ ბრძანება იქმნა გაცემული ქალაქის აყრისა და გახიზვნის შესახებ, მაგრამ ამისი მოსწრება დროს უქონლობისა გამო, რასაკვირველია, შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ 5 ათასი კაცისაგან შემდგარ ჯარიდან ათასი იმერელი მეფემ გაგზავნა ქალაქის პირს, თითონ კი თავისი შვილისშვილით სოლომონითურთ შეხვდა აღა-მაჰმად-ხანის მოწინავე ჯარს სოლანლუღის ვიწროებში 10 სექტემბერს და დაამარცხა ის. ღამით მეფე სოლომონი თავისი დანარჩენი ორი ათასი კაცით გაგზავნილ იქმნა ქალაქში, სადაც ის დადგა აბანოს კარებთან. მეორე დღეს ჯარი განაწილებული იყო შემდეგ ნაირად: მოწინაეედ კრწანისის ველზე მეფე ერეკლე $1^1/_2$ ათასი კაცით. ათასი იმერელი იდგა ქალაქის პირას და მეფე სოლომონი 2 ათასი კაცით ქალაქში აბანოს კარებთან, ხოლო კოკჯრის მთის გზას იცავდა ბატონიშვილი დავითი 4 ზარბაზნით და ოთხასი კაცით. თვით ტფილისის ციხე კი გამაგრებული იყო 16 ზარბაზნით. მეფეს განზრახვა ჰქონდა, თუ აღა-მაჰმად-ხანი შეტევას განიმეორებდა, ქალაქში გამაგრებულიყო. ჯარის ასეთი განაწილება აიხსნება იმ გარემოებით, რომ სარწმუნო ცნობებით, რომელსაც მტრის ბანაკიდან აწვდიდენ მეფეს აზერბეიჯანის ხანები, აღა-მაჰმათ-ხანი, პირველი დღის სასტიკი ბრძოლის შედეგით დაშინებული, აპირებდა აყრას და უკანვე გაბრუნებას. რასაკვირველია, ნადირ-შაჰის გაზრდილის ერეკლეს პირადი სამხედრო ავტორიტეტიც დიდ მთაბეჭდილებას ახდენდა მტერზედ. მაგრამ წინა ღამით არტემ ვრარატიანისა და სხვა სომხების დახმარებით ტფილისიდან გაპარულმა პატიმრად მყოფმა სპარსეთის ელჩმა დაარწმუნა ყაენი ერეკლე მეფის სისუსტეში. ამიტომ დილას, 11 სექტემბერს, აღა-მაჰმად-ხანმა გაშოიცვალა თავისი გარდაწყვეტილება, ხუთი ათასი კაცი გაგზავნა ტფილისზე უკან მოსაველელად, თითონ კი მთავარი ძალით გადავიდა შეტევაზედ. როდესაც უკან მოსაველელად დანიშნული სპარსელების ჯარი ავიდა მთებზე და გადმოადგა ციხის ზარბაზნებს, ქალაქის პირას მდგომ ათას იმერელს თავზარი დაეცა, მეფე ერეკლე გამომწყვდეული ეგონათ და საჩქაროდ ქალაქისაკენ წამოვიდნენ. ქალაქში მყოფმა მეფე სოლომონმა ეს რომ დაინახა, საქმე წაგებულად ჩასთვალა და იმერეთის ჯარიც დაიძრა ტფილისიდან. გზა-გზა თვით ქალაქში და ქალაქიდან მოდენილ მოქალაქეთ იმერლებმა რბევა დაუწყეს. კოკჯრის გზაზე მდგარი ბატონიშვილი დავითი, ამისი შემხედარე, იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი პოზიცია, ზარბაზნები ხევში გადაეყარა, თითონ კი თავისი რაზმით ვერაზე გადაიარა და კახეთისაკენ წავიდა. ამასობაში აღა-მაჰმად-

ხანის მთავარმა ძალებმა შეუტიეს კრწანისის ველზე მეფე ერეკლეს, რომელმაც ბრძოლის შემდეგ უკან დახევა და ქალაქში გამაგრება არჩია. ამ დროს სპარსთა ჯარი ზევით უკვე ციხის ზარბაზნებს ეპატრონებოდა. მეფემ სასტიკი ბრძოლით ქალაქის კარებს უკვე მიაღწია, როდესაც მ. ღლობიდან ჩამოეშვა ახალი, ათასი კაცისაგან შემდგარი სპარსელების რაზმი, რომელიც ქართველებისათვის გზის მოჭრას ლამობდა. გახურდა ბრძოლა, მოხუცებული ერეკლე მეფე თვით შეიჭრა სპარსთა შუაგულ რაზმში. მოსალოდნელი იყო მისი მტრის მიერ ტყვედ შეპყრობაც, მაგრამ ამ დროს ბატონიშვილი იოანე, მაჩაბელი დავით, ჯანდიერ ჯანდიერიშვილი და სხვანი რჩეული ცხენოსნებით გადაეშენენ სპარსელებში და იხსნეს მეფე ტყვეობისაგან. უღონო ქმნილი ერეკლე, ვახტანგ და იოანე ბატონიშვილთა, ივანე მუხრან-ბატონისა და სულ სამასი შერჩენილი ქართველი და თათარი ჯარის-კაცის თანხლებით გავიდა ავლაბრის ხიდზე და გაეშურა საგურამოსკენ, ხოლო იქიდან მთიულეთს.

ქალაქი ტფილისი აღებულ იქმნა. რაკა დღის განმავლობაში ქალაქი განიცდიდა ხოცვა-ჟლეტის, დაწვა-განადგურების და ცარცვა-გლეჯის საშინელებას. მეფის სასახლე, თოფხანა და აბანოები მთლად დაანგრიეს. ასეთივე ბედი ეწია მთელი ქალაქის შენებულობას. აღა-მაჰმად-ხანმა და მისმა ჯარმა აიღო აუარებელი სიმდიდრე, განსაკუთრებით მეფის სასახლეში, რომლიდანაც ვერაფრის გადახიზვნა ვერ მოასწრეს. ყაენი ამით არ დაკმაყოფილდა და გაუშვა მთიულეთისა და გორისაკენ თარეშად 8 ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელმაც აოხრა ქვეყანა და თან წაასხა აუარებელი ნადაელი და მრავალი ტყვე.

აღა-მაჰმად-ხანმა ეხლაც სცადა მეფე ერეკლესთან მორიგება და წინადადება მისცა მას დაზავების შესახებ, მორჩილების აღიარებისა და ამის ნიშნად ერთ-ერთი ბატონიშვილის მძევლად მიცემის პირობით. თავი კაცები მომხრე იყვნენ მორიგებისა და მეფემაც გაგზავნა მოსალაპარაკებლად სუფრაჯი ქაიხოსრო ავალიშვილი (16 სექტემბერს). მაგრამ ამ მოლაპარაკებიდან არა გამოვიდა რა, რადგან ბოლოს და ბოლოს მეფე ვერ ენდო აღა-მაჰმად-ხანს.

უკვე 20 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი აიყარა ტფილისიდან და სოღანლუღიდან და გაბრუნდა უკან. მის ჯარს თან მიჰყავდა 30,000-მდის ტყვე და მიჰქონდა აუარებელი ნადავლი. ასეთი გაჩქარებითი წასვლა აღა-მაჰმად-ხანისა ცხადი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ სპარსეთს უკვე არ შეეძლო ფეხის მომაგრება საქართველოში. არსებითად ამგვარად ქართლ-კახეთის დამორჩილების საკითხში აღა-მაჰმად-ხანმა ვერაფერს მიაღწია. ამისი მიზეზი იყო ცხადი სისუტე თვით სპარსეთისა, რომლის ძალა უკვე დაკნინებულიყო და აღა-მაჰმად-ხანის პირადი ენერგიაც კი უძლური იყო ამ ძალის განსაცხოველებლად.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგი. 1795 წლის სექტემბრის საშინელმა მარცხმა ცხად ჰყო ქართლ-კახეთის სამეფოს ძირითადი ხა-

სიათის ნაკლულევანებანი. სამეფოს მართველობის სისტემა იმდენად მოუწყობელი და უვარგისი გამოდგა, რომ თვით ასეთ დიდი საფრთხის დროს შეუძლებელი გახდა არსებულ ძალთა საკმაოდ დარაზმვა, რათა ქვეყანას ასეთი უბედურება თავს არ დასტყდომოდა. აღა-მაჰმად-ხანს არც იმდენი ძალა ჰქონდა, რომ მისი მოგერიება შეუძლებელი ყოფილიყო. 35 ათას კაცს უარტილერიოდ ძლიერ გაუჭირდებოდა ქალაქ ტფილისის მოკლე დროში აღება. ხანგრძლივ ბრძოლას კიდევ აღა-მაჰმად-ხანი, დაშორებული თავისს ქვეყანას, რომლის შემომტკიცების საქმე ჯერ მას სავსებით დამთავრებული არ ჰქონდა, რასაკვირველია, ვერ შესძლებდა. ამით აიხსნება, რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ მიიღო ხასიათი ერთი დიდი თარეშისა, რომლის დამთავრების შემდეგ სპარსელები იძულებულნი გახდნენ უკან წასულიყვნენ.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ დაამტკიცა, რომ ფეოდალური დროის წესი ქვეყნის მართვა-გამგეობისა უკვე შეუძლებლად ხდიდა სამეფოს დაცვას გარეშე მტრებისაგან. სათანადო ცენტრალური აპარატისა და ერთიანი მართველობითი გარკვეულ ხაზის უქონლობა ქმნიდა სრულს უპასუხისმგებლობას ცალკე კუთხეებში ფეხ-მოკიდებული ბატონიშვილებისა და მათის მიხედვით აგრეთვე სხვა დიდი კაცებისას. ამიტომ ინტრიგებსა და პირად ანგარიშებს ახდა რაიმე შემთხვევითი მიზეზებს დიდი გაელენა ჰქონდათ სახელწიფო ხასიათის საქმის მსვლელობაზე. თვით ასეთ განსაცდელის დროს ბატონიშვილი იულონი, მაგ., არც კი დაიძრა დასავლეთ ქართლიდან და არც ჯარი გაგზავნა. ტახტის მემკვიდრე გიორგიც თელავში იყო, ჯარის შესაკრებად არაფითარ ზომებს არ ღებულობდა და როდესაც მეფე ერეკლეს რაზმი კრწანისის ველზე სისხლისაგან იცლებოდა, ის არხეინად თავის სასახლეში განისვენებდა. იოანე ბატონიშვილმა, რომელსაც ამ დროს ქსანი ეპყრა, მხოლოდ 50 კაცი მოიყვანა, არაგვიდან ვახტანგ ბატონიშვილს მხოლოდ 300 კაცი მოყვა და სხ. ქიზიყში დიდი ჯარი შეყრილიყო, მაგრამ შემდეგ დაშლილიყო და ქიზიყის მოურავს ზაქარია ანდრონიკაშვილს მეფესთან მხოლოდ 2 ათასი კაცი მოეყვანა. ეს ჯარიც მან ბრძოლის წინა ღამეს სოღანლულიდან კახეთს გააპარა. სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოუწყობლობით აიხსნება, რომ ასეთ ბოროტ-მოქმედებებთან ბრძოლაც კი შეუძლებელი იყო და ქვეყანა თანდათან უფსკრულისაკენ მიექანებოდა.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ მთლად დასცა რაიმე კეთილ-დღეობის ნასახი ქართლ-კახეთში. ქალაქი ტფილისი ხომ მთლად აოხრდა, მაგრამ სხვა კუთხეებიც ძალიან დაზარალდნენ. აუარებელი ხალხი დაიხოცა და ტყვედ იქმნა წაყვანილი. ქვეყნის აოხრებას თან მოჰყვა შინაური ცხოვრებაში კრიზისის გაძლიერება. სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობაც სულ შეირყა. ხაზინის შემოსავალმა ძლიერ დაიკლო. განჯა-ერევნიდან ყოველ წლიური ხარკი—40 ათასი მან. არ შემოდიოდა, ქალაქ

ტფილისის საბაჟოები არ მოქმედობდნენ, ხალხისაგან გადასახადების წესიერად მოკრება გაძნელდა, ქვეყნის სიცოცხლის მაჯის ცემა შესუსტდა. საერთო კრიზისს თან მოჰყვა სიმშილი და სხვადასხვა გადამდები ავადმყოფობის გაჩენა. 1797 წ. გაჩნდა ჟამიც, რომელმაც მრავალი სული იმსხვერპლა. ყველა ამით აიხსნება, რომ მცხოვრებთა რიცხვმა სამეფოში იკლო და თუ ჯერ კიდევ 1770 წელს მთელს ქართლ-კახეთის სამეფოში 42 ათასი კომლი ირიცხებოდა, 1795 წლის შემდეგ იყო მხოლოდ 35 ათასი კომლი.

ერეკლე II კვლავ მიმართავს რუსეთს. ქვეყანა სწორედ რომ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იყო და დიდს გაჭირვებას განიცდიდა. ასეთ შემთხვევაში მას ვერ უშველიდა ის ორი ბატალიონიც, რომლის გამოგზავნა, თანახმად ტრაქტატისა, რუსის მთავრობამ ბოლოს და ბოლოს გარდასწყვიტა. ჯერ კიდევ 4 სექტემბერს 1795 წ., როდესაც აღა-მაჰმად-ხანი ტფილისისაკენ მოდიოდა, იმპერატრიცა ეკატერინე II-მ უბრძანა კავკასიის ლინიის უფროსს—ტრაქტატით განსაზღვრული ჯარის ტფილისს გაგზავნა. თუმცა დაგვიანებით, გარს. ჰაქჰაჟაძემ ამნაირად მაინც მოახერხა რუსეთის მთავრობის მიერ თავის თავზე მიღებული ვალდებულების გატარება.

დეკემბერში 1795 წ. ტფილისში მოვიდა ორი ათასი რუსის ჯარი, მაგრამ ეს ძალა სრულიადაც არ კმაროდა აოხრებული და განადგურებული ქვეყნის საპიროებისათვის. 8 იანვარს 1796 წ. ერეკლე მეფე აუწყებდა რუსის მთავრობას, რომ აღა-მაჰმად-ხანი მუღანის ველზე დგას ჯარით და მისი შეჩერება იმ შემთხვევაში, თუ ის მოინდომებს კვლავ ტფილისისკენ წამოსვლას, ამ მცირე ძალით შეუძლებელი იქმნება. ერეკლე თხოულობდა კიდევ 8 ათასი კაცის გამოგზავნას, რათა მას შეძლებოდა ბამბაკისა, ყაზახისა და ბორჩალოს შენარჩუნება, რომელნიც აღა-მაჰმად-ხანს უკვე ერევნის ხანისთვის ეწყალობებინა, და აგრეთვე განჯისა და ერევნის სახანოების კვლავ დამორჩილება. გარდა ამისა საქართველოს დესპანი პეტერბურგში გარს. ჰაქჰაჟაძე თხოულობდა ერეკლე მეფისათვის ერთი მილიონი შაბეთის ვესხად მიცემას ნაწილ-ნაწილად გარდახდის უფლებით.

მეფის იმედი ეხლა მთლად რუსეთის დახმარებაზედ იყო, რადგან აოხრებულ ქვეყანას მოელა ეპირვებოდა და ამავე დროს შიგნით სამეფოშიც ღელავდნენ სხვადასხვა ჯგუფები.

რუსეთი ომს უცხადებს ხპარსეთს. ტფილისის აოხრების ამბავმა პეტერბურგის მთავრობაზედაც იქონია გავლენა და რუსის მთავრობა შეუდგა მზადებას სპარსეთის დასასჯელად. პეტერბურგში ამ დროს კვლავ გაიღვიძა დიდმა პროექტებმა კასპიის ზღვის და სპარსეთის დაპყრობისა და შემდეგ ინდოეთისაკენ გზის გაკაფვის შესახებ. მარტში 1797 წ. გამოვიდა მანიფესტი აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ომის გამოცხადების შესახებ და სპარსეთისა და საქართველოსკენ დაიძრა 30 ათასი

რუსის ჯარი ვალ. ზუბოვის სარდლობით. რუსების მიერ აქტიური მოქმედების მოლოდინში ქართლ-კახეთის მისუსტებული ძალაც ამოძრავდა. ბატონიშვილებმა ალექსანდრემ და დავითმა უარაბაღელ იბრაიმ-ხანთან ერთად გაილაშქრეს განჯაზე, დაიპყრეს ქალაქი და ალყა შემოარტყეს ციხეს, მაგრამ ციხის აღება მოხერხდა მხოლოდ იმ დროისათვის, როდესაც ერეკლე თვით მივიდა ჯარში. ჯევათ-ხანი იძულებული გახდა მასთან მყოფი ტფილისიდან წაყვანილი ტყვე, ათასამდის სული, გაენთავისუფლებინა და კვლავ ეკიხრა მეფისათვის ხარკის ძლევა.

ამ დროს რუსის ჯარი მოადგა კასპიის ზღვის სანაპიროებს და დაიჭირა დარუბანდი, შამახა, ბაქო, სალიანი. აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ იშლებოდა ახალი პერსპექტივები, რომელიც ერეკლე მეფისთვისაც ფრიად სახარბიელო იყო: რუსის მთავრობას განზრახული ჰქონდა ზოგიერთი ზომების მიღება საქართველოს განსამტკიცებლად, მაგ., ერევნისა და განჯის სახანოების მთლად მასთან შემოერთება. მაგრამ 6 ნოემბერს 1796 წ. გარდაიცვალა ეკატერინე II, ყველა დიდმა პროექტებმა სპარსეთისა და ინდოეთის შესახებ ჩაილუღის წყალი დალია და რუსის ჯარსაც ებრძანა უკან დასაბრუნებლად მომზადებულიყო. ზაფხულს 1797 წ. მართლაც რუსებმა დასცალეს ყველა დაპყრობილი ადგილები და გავიდნენ ქართლ-კახეთიდანაც.

ახალი მიმართვანი რუსეთისადმი. ქართლ-კახეთის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ რუსის ჯარის მოსალოდნელი წასვლის შემდეგ მდგომარეობა, რაკიერველია, უფრო გართულდებოდა. აღა-მაჰმად-ხანი რუსების წასვლას თავისს გამარჯვებას აწერდა და გადაჭრით თხოულობდა ერეკლე მეფისაგან მორჩილების გამოცხადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ქვეყნის ახალს აოხრებას. ეს იყო მიზეზი, რომ ერეკლე კვლავ მიმართავდა რუსის მთავრობას და სთხოვდა მას, თანახმად ხელშეკრულობისა, მფარველობის გაწევას. თავისს წერილში იმპერატორის პავლეს სახელზე 16 აპრილს 1797 წ. მეფე შუამდგომლობდა ოთხი ათასი კაცის და ჯოვებას ორის ან სამი წლის ვადით, ვიდრემდის ქვეყანას ძალა შეემატებოდა. საქართველოს მთავრობა ამასთან ცდილობდა, გარდა სამხედრო ძალისა, ესარგებლა რუსეთის მთავრობის მორალური დახმარებით შინაური ცხოვრების მოსაგვარებლად. 11 ივნისს 1797 წ. გარსევან ჭავჭავაძემ მიართვა იმპერატორ პავლეს მოხსენება, რომელშიაც მეფის სახელით სთხოვდა მფარველობის გაწევას, საქართველოში თანახმად 1783 წ. ტრაქტატისა ჯარის დატოვებას ხალხის განსამხნეველებლად და ადგილობრივ უშიშროებითი ცხოვრების განსამტკიცებლად და აგრეთვე რუსის მთავრობის წარმომადგენელის გაგზავნას ტფილისს. ამ წარმომადგენელს, ელჩის აზრით, უნდა მიეცა ქართლ-კახეთისათვის რუსის მართველობის დაგვარი წესი ქვეყნის გამგებლობისა და ამით ხელი შეეწყო ადგილობრავად არსებულ, როგორც მოხსენებაში იყო ნათქვამი, აზიურის მმართველობის მაგიერ ახალი წესების შემოღებისათვის.

ეხლა ამ გვარად საკითხი დასმული იყო არა მარტო სამხედრო ძალით დახმარების შესახებ, არამედ შინაური მართველობის ხელმძღვანელობის სახით სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფართო მოწყობაში აქტიურად ჩარევის შესახებაც. საქართველოს შინაურმა და საგარეო კრიზისმა ჰპოვა აქ თავისი მკაფიო გამოხატულება. ქართლ-კახეთის მთავრობა ქვეყნის ხსნას მართვა-გამგეობის ახალს წესზე მოწყობით იმედოვნებდა, თუნდაც ამისათვის საჭირო ყოფილიყო უცხო სახელმწიფოს ჩარევა შინაურ საქმეებში.

რუსის მთავრობა ქართლ-კახეთის წარმომადგენლის თხოვნაზე კერძოდ სამხედრო დახმარების შესახებ არავითარ წერილობითი პასუხს არ იძლეოდა, მიუხედავად განმეორებითი მოგონებისა დესპანის გარს. ჰავჰავაძის მიერ. ამასობაში ალა-მაჰმად-ხანმა ტრაღიკულად დაამთავრა თავისი სიცოცხლე. ის მოკლულ იქმნა ყარაბაღში 1797 წ. 4 იგნისს, მაგრამ ამ ფაქტს, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა საქართველოს პოლიტიკისათვის გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა. ეს პოლიტიკა მაინც თავისი გარკვეული მიმართულებით მიდიოდა და დაბეჯითებით უარყოფდა რაიმე კავშირის დაჭერას სპარსეთთან. მაგრამ რადგან რუსის მთავრობა ქართლ-კახეთის მთავრობის შუამდგომლობაზე ყურსაც არ იბერტყავდა, ამიტომ გარსევან ჰავჰავაძემ 31 დეკემბერს 1797 წ. გარემოების გამოსარკვევად კლავე წარადგინა პეტერბურგში წერილობითი მოხსენება. ამ მოხსენებაში ელჩმა პირდაპირ დაუყენა საკითხი იმპერატორ პავლეს: სურს თუ არა რუსეთის იმპერატორს 1783 წ. ტრაქტატით მიღებულ ვალდებულობათა შესრულება. ელჩი ამასთანავე მოახსენებდა იმპერატორს, რომ, უკეთუ მეფეს სცოდნოდა რუსეთის მიერ ტრაქტატით აღთქმული დახმარების აუსრულებლობა თუნდაც ერთი წლის წინად, მაშინ მეფის მთავრობა რაიმე სხვა ზომებს მიიღებდაო. ელჩი თხოულობდა ტრაქტატში აღნიშნული ჯარის (2 ბატალიონის ოთხი ზარბაზნით) გაგზავნას, ანდა წინააღმდეგ შემთხვევაში იმის ნებართვას მაინც, რომ ქართლ-კახეთის მთავრობას თავისა საზღვრებში შემოეყვანა დაქირავებული ჩერქეზების ჯარი.

ერეკლე II-ის გარდაცვალება. ასეთი იყო ქართლ-კახეთის მდგომარეობა, როდესაც 11 იანვარს 1798 წ. თელავში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული ერეკლე მეფე, მხნე და გმირი სარდალი, თავდადებული მოღვაწე თავისი ქვეყნისა, მთელი თავისი სიცოცხლე მის კეთილ-დღეობისთვის მზრუნავი. მისი დაუშრეტელი ენერგია შინაურ მართველობაში უთანასწორდებოდა მისსავე შეუდარებელ სამხედრო გმირობას. ჰკვიანი და გონება-მახვილი მეფე მთელს თავისს დროს ანდომებდა ქვეყნის სარგებლობისთვის ზრუნვას. თავისი ხანგრძლივ მეფობის დროს ერეკლე მთელი დღეობით გართული იყო სახელმწიფო საქმეებში: ღებულობდა ელჩებს, სამეფოს თავ-კაცებს და მთხოვნელებს, გვიან ნაშვალამემდის არჩევდა ქაღალდებს და აწერდა რეზოლიუციებს ხშირად

სულ მცირე საქმის გამო მორთმეულ არზას. მხოლოდ დღეში სამჯერ წირვა-ლოცვისათვის გადადებული დრო და აგრეთვე საკუთრივ სამუშაო ოთახში ხანგრძლივი, ორი საათის განმავლობაში, ლოცვა არღვევდა მეფის გამუდმებულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. ასეთი იყო მისი პირადი ცხოვრება თვით ღრმა სიბერემდის. როგორც პროგრესიულად მოაზროვნე და ევროპული წეს-წყობილების დიდათ მოყვარული, ეოეკლე გამუდმებით ცდილობდა ქვეყნის შინაური ცხოვრების ახალ გეზზე მომართვას. ეს იყო მისი უდიდესი იდეალი, რომლის მიღწევა საკუთარი ძალით ქართლ-კახეთისათვის მე-XVIII საუკუნეში საძნელოდ შეექმნილიყო.

გარეშე მტრებთან ერეკლემ გამოიარა მრავალი თვალსაჩინო ბრძოლა, რომელთაგან უმეტესი—თითქმის ოცდაათამდის—გათავდა მტრის სრული დამარცხებით. წვრილ-წვრილ თარეშებთან შეტაკება ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მისი მეფობის დროს ხომ მრავალი იყო. მოთარეშე მტრების წინააღმდეგ ქვეყნის გამაგრებისათვის ზრუნვა გამოიხატა ერეკლეს დროს 160 ახალი გალავნისა და კოშკის გაშენებასა ან განახლებაში. თვით მეფის ხაზინის ხარჯით განახლებულ და აშენებულ იქმნა 13 გალავანი და კოშკი, მათ შორის გორისა, თელავისა, სიღნაღისა და სხვ.

მეფე გიორგი XII. ერეკლე II-ის მემკვიდრე გიორგი XII იყო სათნოებიანი ადამიანი, საღვთო წერილის ფრიად კარგი მცოდნე და საუკეთესო ქრისტიანი, მაგრამ იმავე დროს ავადმყოფი, არაჩვეულებრივ სიმსუქნესთან ძლიერ ბევრი საშვლის მიმღები, რისთვისაც მას მტერ-მოყვარენი ზაქიჰამიასაც უწოდებდნენ. როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობით, ისე აგრეთვე თავისი ხასიათით გიორგი XII ნაკლებ შეეფერებოდა იმ პასუხსაგებ როლს, რომელიც მას ბედმა აკუთვნა, ე. ი. უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ქვეყნის მართვა-გამგეობა იმ დროს, როდესაც ქართლ-კახეთი ყოველის მხრიდან განსაცდელში იმყოფებოდა.

უთანხმოება სამეფო სახლის წევრთა შორის. გამეფებისთანავე გიორგი XII-ს მოუხდა ანგარიშის გაწევა თავისი ძმებისთვის, რომლებსაც საუფლისწულოების მეოხებით საკმაოდ დამოუკიდებელ და ამავე დროს უპასუხისმგებლო მდგომარეობისათვის მიეღწიათ. ბატონიშვილთ მხარს უჭერდა ერეკლე II-ის ქვრივი დარეჯან დედოფალი, რომელიც აგრეთვე შურით უცქეროდა თავის გერის გიორგი XII-ს გამაგრებას ტახტზე, რადგან შიში ჰქონდა ამით თვისი და მეფის ძეთა უფლებათა შეკვეცისა მეფის მიერ. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დარეჯან დედოფალმა და მეფის-ძეთ იცნეს გიორგი ქართლ-კახეთის მეფედ. სამაგიეროდ მეფე იძულებული იქმნა დაემტკიცებინა ერეკლე II-ის მიერ 1792 წ. შედგენილი და გაქვეყნებული წესი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, რომლის მიხედვით გიორგი XII-ს შემდეგ მეფობა უნდა გადასულიყო უფროს-უმცროსობით ჩამორიგებით ძმებზე და არა უფროსს შვილზედ.

გიორგიმ ხელი მოაწერა ამ წესს თავის ნების წინააღმდეგ და ამისათვის, რასაკვირველია, ეძიებდა შემთხვევას მის დასარღვევად და მემკვიდრეობით ტახტის თავისს შთამომავლობაში შენარჩუნებას. მეფის-ძენი გრძნობდნენ მეფის ამგვარ სულიერ განწყობილებას და უნდობლობით უყურებდნენ თავისი უფროსი ძმის მოქმედებას, ხოლო ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებდა შინაგან მდგომარეობას. ბატონიშვილებმა დაიწყეს მხნედ მუშაობა ადგილ-ადგილ და ცდილობდნენ თავადების და სხვა ადგილობრივ გავლენის მქონე პირთ თავისს მხარეზე გადაბირებას. მაშინ მეფემ თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად დაიჭირა დაქირავებულ ლეკთა ჯარი და ჩააყენა ის ტფილისში. რიცხვი ამ ჯარისა უდრიდა დაახლოვებით 1,200 კაცს, თევში 30 მან. ჯამაგირით თითო.

ლეკთა ჯარის ჩამოყვანამ კიდევ უფრო არია საქმეები. ბატონიშვილები ამის შემდეგ აშკარად გადუდგნენ თავისს ძმას.

სპარსეთთან ურთიერთობის განახლების ცდა. ასეთს მდგომარეობაში იყო ქვეყნის შინაური ვითარება, როდესაც სპარსეთის მბრძანებელმა ბაბა-ხანმა, აღა-მაჰმად-ხანის ძმისწულმა, რომელმაც დაიჭირა სპარსეთის ტახტი ბიძის ტრაგიკულ სიკვდილის შემდეგ, კვლავ მოინდომა ქართლ-კახეთთან კავშირის აღდგენა. ბაბა-ხანმა გამოგზავნა ელჩად გიორგი მეფესთან (ივნ. 1798 წ.) თავისი ფარეშ-ბაში მაჰად-ხან ყაჯარი და წინადადება მისცა მას აღეარებინა კვლავ დამოკიდებულობა სპარსეთისაგან, რის სამაგიეროდ ყაენი პირდებოდა მეფეს განჯა-ერევნისა, შაქისა და შირვანის მისადმი დამორჩილებას. წინადადება იყო ფრიად სახეირო, გარდა ამისა რუსეთიდან ფაქტიურად არაფერი დახმარება არ სჩანდა და ასეთს მდგომარეობაში სპარსეთთან ურთიერთობის გამწვავებაც მიზან-შეწონილი არ იქმნებოდა. ამიტომ მეფე გიორგიმ მაშინვე გაგზავნა ყაენთან ელჩად თავისი სიმამრი სარდალი გიორგი ციციშვილი, თანხმობა განუცხადა წარმოდგენილ წინადადებაზე და თავისს მხრივ სთხოვა ტფილისიდან სპარსელების მიერ ქალაქის აოხრების დროს წაყვანილ ტყვეთა უკან დაბრუნება. ამ დროს სპარსეთში ატყდა არეულობა, ბაბა-ხან ყაენს აუჯანყდა ძმა მისი უსეინ-ყული ხანი, რის გამო შაჰი იძულებული გახდა ხოიდან, სადაც ის ამ დროს იმყოფებოდა ქართლ-კახეთის მთავრობასთან მოლაპარაკების დამთავრების მოლოდინში, წასულიყო ერაყს აჯანყების ჩასაქრობად. ამ მიზეზით გიორგი ციციშვილი ვერ წავიდა სპარსეთს და ერევნიდან დაბრუნდა უკან, ხოლო მეფის მოთხოვნილება შეატყობინა ყაენს მაჰად-ხან-ყაჯარის საშვალებით.

გიორგი XII აპირობს ოსმალეთს მიმართოს. სპარსეთთან მოლაპარაკება ამ გვარად შეფერხდა. ქვეყნის მდგომარეობა კი არ იცვლიდა, შინაურ მდგომარეობის გართულება აუცილებლად ხდიდა ქართლ-კახეთის მთავრობისათვის გარედან დახმარების ძიებას. ამით აიხსნება, რომ მაშინვე, როგორც კი გამოირკვა სპარსეთთან მოლაპარაკების გაჭიანუ-

რების აუცილებლობა, მეფე ელჩად აგზავნის ასლან ორბელიანს ეხლა უკვე ოსმალეთთან მოლაპარაკების გასამართავად. ორბელიანი ჩავიდა უკვე ახალციხეს და ემზადებოდა სტამბოლს წასასვლელად, მაგრამ ამ დროს რუსეთიდან ჩამოვიდა გიორგი XII-ის უფროსი ძე დავითი, რომელიც პეტერბურგს იყო გაგზავნილი ერეკლე II-ის მეფობის უკანასკნელ ხანში და ჩამოიტანა იქიდან მეფისათვის დამაკმაყოფილებელი ამბები. ამის შემდეგ ორბელიანი უკან გამოიხმეს, ხოლო პეტერბურგს კი გაგზავნილ იქმნა ელჩად გარსევან ჭავჭავაძე.

ქართლ-კახეთის მთავრობა ისევ უბრუნდება რუსეთს. გარსევან ჭავჭავაძეს დავალებული ჰქონდა მოეთხოვა რუსეთის იმპერატორისაგან. თანახმად 1783 წ. ტრაქტატისა, გიორგი XII-ის ტახტზე დამტკიცება, მისთვის მფარველობის გაწევა, რუსის ჯარის გამოგზავნით დახმარების აღმოჩენა და ამასთანავე ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილის დამტკიცება. ამ შუამდგომლობაში მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა ბატონიშვილის დავითის ტახტის მემკვიდრეთ დამტკიცებას და აგრეთვე ჯარის გამოგზავნას, რაც შესაძლებლად გახდიდა ლეკების დაჩირავებულ ჯარის დათხოვნას. მეფე თხოულობდა 3 ათასი კაცის გამოგზავნას მისს განკარგულებაში და ამასთანავე კავკასიის ხაზზე მყოფ რუსის ჯარის უფროსისათვის განკარგულების მიცემას, რომ მას უფლება ჰქონდეს საჭიროების დროს დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს მთავრობას 7 ათასი კაცით.

რუსის ჯარი შემოდის ტფილისში. რუსის მთავრობას ეხლა უკვე გარდაწყვეტილი ჰქონდა ქართლ კახეთის საქმეებისათვის სერიოზული ყურადღება მიექცია. ამიტომ 18 აპრილს 1799 წ. გიორგი XII-ის ქართლ-კახეთის ტახტზე დამტკიცებასთან ერთად იმპერატორმა პავლემ დაამყოფილა არსებითად 1783 წლ. ტრაქტატით რუსეთის მიერ თავისს თავზე მიღებული ვალდებულებანი. ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებულ იქმნა დავით ბატონიშვილი, საქართველოს მეფის კარზე მინისტრ-რეზიდენტად დაინიშნა პ. კოვალენსკი და ამავე დროს გაცემულ იქმნა ბრძანება ტფილისში ერთი პოლკის ჯარის გაგზავნის შესახებ. მეფეს ამასთანავე კოვალენსკის ხელით გაეგზავნა სამეფო გვირგვინი და ინვესტიტურის სხვა ნიშნები: დროშა, ხმალი, სკიპტრა, სამეფო ტახტი და მანტია, რადგანაც ყველა სამეფო უფლების ნიშნები აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დაღუპულიყო. 26 ნოემბერს 1799 წ. ტფილისში შემოვიდა რუსის ჯარის ერთი პოლკი გენ. ლაზარევის უფროსობით, ხოლო 5 დეკემბერს გიორგი მეფემ ფიცი მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობაზედ.

XIII.

რუსეთის ბატონობის დამკვიდრება საქართველოში.

ქართლ-კახეთის გართულებული მდგომარეობა. რუსის ჯარის შემოსვლამ ტფილისში თითქოს გაამაგრა გიორგი XII-ის მდგომარეობა. მთავრობას ეხლა მეტი იმედი მიეცა საგარეო სიძნელეთაგან თა-

ვის დაღწევისა, მაგრამ შიგნით მშვიდობიანობის დამყარებამდის ჯერ კიდევ შორს იყო. პირიქით, მეფისძის დავითის ტახტის შემკვიდრედ დამტკიცებამ დიდი არეე-დარევა გამოიწვია ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში. დედოფალი დარეჯან და მეფის-ძენი, გიორგის ძმები, აღშფოთებულნი იყვნენ ერეკლე მეფის მიერ განწესებულ ტახტის მემკვიდრეობის რუსის მთავრობის დახმარებით შეცვლისა გამო. მეფის-ძენი გამკვიდრდნენ თავიანთ საუფლისწულოებში და ურჩობდნენ. მეფის-ძემ ფარნაოზმა მიითვისა თავისი ძმის მირიანის წილი და გამაგრდა სურამის ციხეში. იულონი, რომელიც, როგორც უფროსი ძმა, სთელიდა თავისს თავს ტახტის მემკვიდრედ, იმყოფებოდა შიდა-ქართლს და კრებდა თავისს მომხრეებს. ბუნებით სუსტი ხასიათის ადამიანი, იულონი მოკლებული იყო ფართო ინიციატივისა და მოქმედობის უნარს, სახელმწიფო საქმეებს შედარებით გულგრილად უყურებდა და მომეტებულ დროს სასულიერო წიგნების კითხვაში ატარებდა. სამაგიეროდ მეფის-ძე ვახტანგი, რომელსაც ეჭირა არაგვის საერისთავო, იყო ენერგიით სავსე და ძმებს შორის ყველაზე უფრო აქტიური პიროვნება. ვახტანგი და დედოფალი დარეჯანი განსაკუთრებულის ენერგიით ამოძრავდნენ გიორგი მეფის წინააღმდეგ უფრო მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გამოირკვა, რომ მეფე არავითარ დათმობაზე ძმების მიმართ არ მიდიოდა, ურთიერთობა ძმებს შორის თან-და-თან უარესდებოდა. ბოლოს ალექსანდრე ბატონიშვილმაც, რომელსაც, როგორც ძმათა შორის უმცროსს, საკმაო საუფლისწულო არ ჰქონდა, მოითხოვა მეფისაგან ყაზახი. მეფემ ამაზედ უარი განაცხადა, რადგან ჩვეულებრივ ყაზახი მეფის სახასოს წარმოადგენდა მაშინ ალექსანდრე 65 კაცისაგან შემდგარ ამალით გადავიდა ყარსს და იქიდან კი მივიდა სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აბას-მირზასთან, რომელიც ამ დროს 9 ათასი კაცით იდგა არეზს გაღმა აზერბეიჯანში.

სპარსეთის მთავრობა უკვე კარგა ხანია ემზადებოდა ჩრდილოეთი-საკენ სალაშქროდ. ბაბა-ხანი ერეოდა ამიერ-კავკასიის სახანოების შინაურ საქმეებში და მოლაპარაკებით თუ მუქარით ცდილობდა მათი მჭიდროდ შემომტკიცებას. ერევნის ხანად დაინიშნა მისი ერთგული, ასევე მოიქცა ყაენი ხოის სახანოში. ყარაბაღის იბრეიმ-ხანს დიდი მოლაპარაკების და მუქარის შემდეგ გამოართვა ცოლად ქალიშვილი და ამ გზით შემოიმტკიცა კიდეც. მაგრამ ყაენთან გაგზავნილი ყარაბაღის ხანის ქალი ვაზად დაიპირა შირვანის ხანმა, რომლისთვისაც ეს ქალი დაპირებული ყოფილიყო ერთი წლის წინად. შირვანის ხანის მოკავშირედ ითვლებოდა თალიშის ხანი და ყაენი ემზადებოდა ორივე ამათი დასასჯელად ჯარის გაგზავნას. გარდა ამისა მისსავე გეგმაში შედიოდა ბაქოს ხანის დატუქსვა და ყველა ამასთან ერთად ქართლ-კახეთის დამორჩილებაც. რუსის ჯარის ტფილისში მოსვლის შემდეგ სპარსეთის მთავრობამ განმეორებით მოსთხოვა გიორგი XII-ს რუსეთთან კავშირის გა-

წყვეტა და ეხლა, როდესაც მეფის-ძე ალექსანდრეც სპარსელების ჯარის ბანაკში იმყოფებოდა, მზადება ჩრდილოეთისაკენ გასალაშქრებლად უფრო ჩქარის ნაბიჯით წარმოებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა სპარსეთი მაინც ვერ ახერხებდა ენერგიულ შეტევაზე გადასვლას, მისი ძალა უკვე ფრიად მისუსტებული იყო დიდ სამხედრო ოპერაციების შესასრულებლად და ამასთანავე არეზს გამოლმა სახანოებთან გართულებული მდგომარეობა აძნელებდა სპარსეთის ჯარის მიერ აქტივობის გამოჩენას ქართლ-კახეთის მიმართ.

თუმცა ამ გვარად ფაქტიურად სპარსეთი უძლურად სჩანდა თავისი პრეტენზიები საქართველოს მიმართ განეხორციელებინა, მაგრამ რადგანაც ქართლ-კახეთის სამეფოც ამ დროს სრულს დეზორგანიზაციას განიცდიდა, ამიტომ ტფილისში დიდის შიშით ადევნებდნენ თვალყურს აზერბეიჯანში ჯარების გადასვლა-გადმოსვლას და მოელოდნენ 1795 წლის ამბების განმეორებას.

ბატონიშვილის ალექსანდრეს სპარსეთში წასვლის შემდეგ სხვა მეფის-ძენიც ამოძრავდნენ. დედოფალი დარეჯან ცხოვრობდა ტფილისს ველაბარში და ამიტომ მისი წასაყვანად ბატონიშვილები დაიძრნენ სატახტო ქალაქისაკენ. 24 ივლისს 1800 წ. მეფეს-ძე ვახტანგ ჯარით მივიდა ავჭალას, ორი დღის შემდეგ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებიც მოადგნენ ტფილისს. მეფის-ძეთა ჯარში ირიცხებოდა 3 ათასამდის კაცი. მაგრამ მთაიარობის მიერ წინასწარ მიღებულ ზომების შეოხებით და რუსის ჯარის დახმარებით დარეჯან დედოფალი იძულებული გახდა თავისს სასახლეში დარჩენილიყო და ტფილისიდან გაქცევაზე ხელი აეღო. ბატონიშვილებიც ამის შემდეგ დაბრუნდნენ თავიანთ საუფლისწულებში.

ნიახურას ომი. ასეთ არევ-დარევის და შიშიანობის დროს ქართლ-კახეთის აღმოსავლეთ საზღვარზედ ისევ ამოძრავდა ავარიის ხანი ომარი. მას კავშირი ჰქონდა გაბმული გიორგი მეფით უკმაყოფილო ბატონიშვილებთან. ომარ-ხანმა დაიწყო მზადება საქართველოზე გასალაშქრებლად. ასეთს შეეწროებულს დროს ტფილისში მოვიდა, თანახმად მეფის შუამდგომლობისა, კიდევ ერთი პოლკი რუსის ჯარისა გენ. გულიაკოვის წინამძღოლობით, რომელსაც დიდის ამბით შეხვდა როგორც მეფე, ისე მთელი ქალაქი (23 სექტ. 1800 წ.). გიორგი XII დაჟინებით თხოულობდა რუსის მთავრობისაგან რუსის ჯარის 6 ათას კაცამდის შევსებას, და თუმცა რუსეთი ამ თხოვნას არ აკმაყოფილებდა, მაგრამ მოსული დახმარებაც ამ დროს ფრიად დიდმნიშვნელოვანი იყო.

ომარ-ხანი ამის შემდეგ უფრო ენერგიულად შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას და უახლოეს დღეებშივე მოადგა ალაზანს. მეფის-ძე ალექსანდრე, რომელიც ამ დროს შუშაში იმყოფებოდა, ომარ-ხანისაგან მიწვევის თანახმად, ავიდა მასთან. რუს-ქართველთა ჯარიც

3 ათასი კაცი (მათ შორის ათასზე ცოტა მეტი იყო რუსი) მეფის-ძეთა იოანე და ბაგრატ და გენ. ლაზარევის წინამძღოლობით დადგა ქიზიყს. ომარ-ხანი თავისი 17 ათასი კაცით გადმოვიდა ალაზანს და მოვიდა ყარაღაჯს, ხოლო იქიდან დაიძრა საგარეჯოსაკენ, სადაც მოელოდა იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებთან შეერთებას. მასთან იყო აგრეთვე ალექსანდრე ბატონიშვილი. რუს-ქართველთა ჯარი აედევნა ომარ-ხანს და იორს ახლოს დაეწია მას. აქ ნიახურას მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა სამს საათს (7 ნოემბერს 1800 წ.). ბრძოლა გათავდა ომარ-ხანის სრული დამარცხებით. დამარცხებულნი ლეკნი გაიქცნენ განჯისაკენ, სადაც დაეცნენ ჯავათ-ხანის რაზმებს, მაგრამ აქაც დამარცხდნენ და გადაიდნენ ყარაბაღს. თვით ომარ-ხანი კი დაბრუნდა დაღისტანს, სადაც მალე მოკვდა (მარტში 1801 წ.).

რუსეთი ეპირება საქართველოში ფეხის მოკიდებას. ამ დროს რუსეთში უკვე გაგზავნილი იყვნენ საქართველოს ახალი ელჩები გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანდიშვილი, რომელნიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ რუსის მთავრობასთან რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის უფრო მჭიდრო დამოკიდებულობის დამყარების შესახებ. რუსეთის მთავრობას ამ დროს უკვე რამოდენადმე შეცვლილი ჰქონდა თავისი აზრი საქართველოს შესახებ. თანდათან რუსის მართველ წრეებში ფეხი მოიკიდა იმ აზრმა, რომ საქართველოს შემოერთება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რუსეთისათვის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური მოსაზრებებით. ამ მხრივ პეტერბურგში დიდი გავლენა მოახდინა გრაფ მუსინ-პუშკინის მოხსენებამ.

მუსინ-პუშკინი წარგზავნილი იყო ქართლ-კახეთის სამეფოში 1800 წ. ოქრო-ვერცხლისა და სხვა მადნეულობების საკითხის შესასწავლად. თავისს მოხსენებაში იმპერატორის მიმართ, რომელიც მან წარადგინა საქართველოდან უკან დაბრუნების შემდეგ, მუსინ-პუშკინი გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ საქართველოს უწყარჩინებულეს პირთა ფიქრით სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის დღეები დათვლილია, რომ თუ რუსეთი უარს იტყვის საქართველოს შეერთებაზე, მაშინ ქვეყანა ხელში ჩაუვარდება ოსმალთ ან სპარსთ ანდა გახდება მსხვერპლი დაღისტნის მთიელთა თარეშებისა. მომხსენებელი ამასთანავე იმპერატორის ყურადღებას აქცევდა იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებზე, რომელიც რუსეთისთვის მოითხოვდა კავკასიის ქედის სამხრეთით ფეხის მოკიდების საჭიროებას. ერთი რომ ქართლ-კახეთის შემოერთებით ფრიად თვალსაჩინოდ ადვილდებოდა ბრძოლა კავკასიის მთიელებთან და ამით უზრუნველყოფილი იქმნებოდა რუსეთის ეგრედ წოდებული კავკასიის ხაზი. მეორეს მხრივ რუსეთს ხელში ჩაუვარდებოდა მდიდარი ქვეყანა, ამით სპარსეთთან და ინდოეთთან ვაჭრობის ფარგლები შესამჩნევად ფართოვდებოდა და გარდა ამისა ოსმალეთ-

თან ომის დროს რუსეთს საშუალება ექმნებოდა მცირე ზიანისაც დამუქრებოდა.

რუსეთის მართველი წრეები ამასთანავე ფიქრობდნენ, რომ ქართლ-კახეთის შემოერთებას თან მოყვებოდა ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროების რუსეთთან დაკავშირება და მაშინ სარგებლობა ქართლ-კახეთის შემოერთებისა უფრო ცხადი იქმნებოდა.

ქართლ-კახეთი ეძიებს რუსეთის ქვეშევრდომობას გარკვეული პირობებით. პეტერბურგში ეხლა დიდის თანაგრძნობით და კმაყოფილებით შეხვდნენ ტფილისიდან გაგზავნილ ახალს საელჩოს, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოლაპარაკება გაემართა რუსეთთან ახალი პირობის დადების შესახებ იმ გვარად, რომ რუსეთს თვით ეკისრა როგორც ქვეყნის გარეშე ძალთაგან დაცვა, ისე აგრეთვე შინაურ საქმეთა მოწესრიგება. მოლაპარაკების შედეგი გამოიხატა 1800 წ. ნოემბერს წარდგენილ ნოტაში. ამ ნოტით საელჩო აცხადებდა, რომ საქართველოს როგორც სამღვდელო, ისე საერო ერთ სურთ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ყოფნა და პირობას სდებენ, რომ „წმინდათ აღასრულონ ყოველივე იგი, რასაც აღასრულებენ მონანი მისნი (ე. ი. იმპერატორისა) და არა უარჰყონ არა რომელიმე სჯული და ბრძანება, რაოდენცა სამეფოსა მისგან იქმნების შესაძლო“. საელჩო ამასთანავე თხოულობდა, თანახმად ტფილისში მიღებულ დირექტივებისა, რომ საქართველოს სამეფო შეერთებულ იქმნას რუსეთთან, მისი მართველად ინიშნებოდეს სამეფო სახლის ერთი წევრთაგანი იმპერატორის მოადგილის ხარისხით, ხოლო ადგილობრივ საქართველოში კი მეფის ტიტულით, და მოადგილის ეს თანამდებობა დარჩეს მემკვიდრეობით გიორგი XII-ის გვარეულობაში. იმპერატორის მემკვიდრეობით მოადგილესთან უნდა ინიშნებოდეს მის თანაშემწედ რუსეთის ერთი დიდ მოხელეთაგანი, რომელიც მოაწყობს ქვეყნის მართვა-გამგეობას რუსეთის კანონებისა და პეტერბურგიდან მიღებულ ბრძანებების მიხედვით. ყველა განკარგულებები და ბრძანებები უნდა ხელმოწერილი იქმნას როგორც მოადგილისა, ისე მისი თანაშემწის მიერ. ქვეყნის მოსალონიერებლად ქართლ-კახეთის მოსახლეობა 12 წლის განმავლობაში განთავისუფლებული უნდა ყოფილიყო ყოველგვარ გარდასახადისაგან. მეფეს დაენიშნოს ჯამაგირი და მიეცეს რუსეთში სოფლები, ხოლო სამეფოს შემოსავალი გადავიდეს რუსეთის განკარგულებაში. ქართლ-კახეთში დაყენებულ იქმნას 6 ათასი რუსის ჯარი და აშენებულ იქმნას რუსის ინჟენერების მიერ საჭირო ადგილებში ციხეები. ტფილისში მოიჯრას ფული, რომელსაც ერთს მხარეზე ექმნება რუსეთის ღერბი და მეორეზე საქართველოსი. მეფის ქვეშევრდომნი ყოველის მხრივ უნდა გათანასწორებულ იქმნენ რუსეთის ქვეშევრდომებთან. განჯისა და ერევნის სახანოები ისევ მეფის დამოკიდებულებაში უნდა დარჩენილიყვნენ და საქართველოს მადნები ახტალას და მისხანს გადადიოდა რუსეთის გამგებლობაში.

რუსეთი ემზადება ქართლ-კახეთის მთლად შესაერთებლად. რუსეთის მთავრობამ მაშინვე თანხმობა განაცხადა ამ პირობებზე და წინადადება მისცა გიორგი ავალიშვილს და ელიაზარ ფალავანდიშვილს ტფილისს წასულიყვნენ, სადაც მეფეს ხელი უნდა მოეწერა საელჩოს მიერ წარდგენილი პირობებზე. იმპერატორმა პავლემ ამასთანავე უბრძანა კავკასიის ხაზის უფროსს გენ. კნორინგს, რომ თუ დაავადმყოფებულ გიორგი მეფის გარდაცვალება ამ ახალ ხელშეკრულობის დადების წინ მოხდებოდა, ქართლ-კახეთის წარჩინებულთათვის ახალი მეფის გამოცხადების ნება არ მიეცა პეტერბურგიდან დასტურის მიუღებლად. მასვე ებრძანა ამასთანავე ტფილისში გასაგზავნად ახალი ჯარების დამზადება.

რუსის მართველ წრეებში თანდათან მეტი გატაცება სჩანდა საქართველოს შემოერთების საქმით, ასე რომ თვით რუსეთის სახელმწიფო საბჭომ პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული მოსაზრების გათვალისწინებით რუსეთისთვის აუცილებელ საჭიროებად ჩასთვალა საქართველოში ფეხის მოკიდება. სახელმწიფო საბჭოს აზრმა დააჩქარებინა იმპერატორ პავლეს საკითხის საბოლოოდ გარდაწყვეტა. 22 დეკემბერს 1800 წ. იმპერატორმა მოაწერა ხელი საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს, რომელიც გაეგზავნა გენ. კნორინგს იმ პირობით, რომ მისი გამოქვეყნება საქართველოსთან ახალი ხელშეკრულების დადებამდის უნდა მომხდარიყო მხოლოდ მაშინ, თუ გიორგი XII-ს გარდაცვალება მოლაპარაკების დამთავრებამდის მოხდებოდა.

ქართველ თავადებში რუსეთის მომხრეობა ძლიერდება. ქართლ-კახეთის შინაური მდგომარეობაც ამ დროს თანდათან უფრო იწვწვებოდა. მეფის გარდაცვალების მოლოდინში მეფის-ძენი მზადებას შეუდგნენ. როგორც მეფის-ძე დავით, ისე იულონი თავისს მომხრეებს რაზმავდნენ. ბატონიშვილებს ლორის ატეხილმა შუღლმა გააძლეერა მესამე მიდრეკილება, რომელიც უარყოფდა საზოგადოდ მეფობას და ქართლ-კახეთის რუსეთთან მთლად შეერთებას ცდილობდა. ამ ჯგუფში მოხვდნენ ეხლა, დაწინაურებულ სომხებს გარდა, ის პირნიც, რომელნიც უკმაყოფილო იყვნენ დავით ბატონიშვილის ამაყი, თავშეუკავებელი და თვით-ნება მოპყრობით და ამასთანავე იულონის გამეფების წინააღმდეგიც იყვნენ. 26 დეკემბერს, მაგ., სარდლის იევანე ორბელიანის სახლში შეიკრიბა 40-მდის თავადი. დამსწრეთა დიდმა უმრავლესობამ ამ კრებაზე სურვილი გამოსთქვა რუსეთის მართველობის დამყარების შესახებ გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ.

მეფის-ძე დავით—სამეფოს რეგენტი. 28 დეკემბერს 1800 წ. გარდაიცვალა მეფე გიორგი XII. გენ. ლაზარევმა მაშინვე მოსთხოვა ტახტის მემკვიდრეს, რომ მას არ გამოეცხადებინა თავისი თავი მეფედ იმპერატორისაგან ამის შესახებ ნებართვისა და სათანადო დამტკიცე-

ბის მიღებამდის. დავითი შეუდგა სამეფოს მართვას, ვითარცა სამეფოს რეგენტი, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია რუსეთის მოწინააღმდეგე ჯგუფში, რომლის მეთაურად ითვლებოდა სოლ. ლიონიძე. ლიონიძე თხოულობდა, რომ დავითს მიეღო, თუნდაც რუსთა ნების წინააღმდეგ, მეფობის ხარისხი და როდესაც დაინახა, რომ დავითი მაინც თავისს გზას ადგა და პეტერბურგიდან იმპერატორის წყალობის მომლოდინედ რჩებოდა, აშკარად დაუწყო მას ლანძღვა. ლიონიძე დააპატიმრეს, მაგრამ ის მალე გაიპარა საპატიმროდან და წავიდა იმერეთს, სადაც შევიდა სოლომონ II მეფის სამსახურში.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება. თებერვალში 1801 წ. პეტერბურგიდან მოვიდა იმპერატორის აქტი, რომელიც შეიცავდა 22 დეკემბრის 1800 წ. მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ. 16 თებერვალს ეს მანიფესტი წაიკითხეს სიონის ტაძარში, ხოლო მეორე დღეს სომეხთა ვანქის ტაძარში, სადაც ცერემონიას მეთაურობდა სომეხთა კათალიკოსად არჩეული და ამ ჟამად ტფილისში რუსეთიდან ახლად ჩამოსული იოსებ არღუთაშვილი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მუშაობდა რუსეთის დასაინტერესებლად კავკასიის სომხების ბედით.

იმპერატორ პავლეს მანიფესტმა სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ ფრიად ორპოფულ მდგომარეობაში ჩააყენა როგორც ტახტის მემკვიდრე, ისე ტფილისში ამ დროს ჩამოსულნი გიორგი მეფის ელჩები ავალიშვილი და ფალავანდიშვილი, რადგან მანიფესტში არაფელი იყო ნათქვამი სამეფო დინასტიის უფლების შენარჩუნების შესახებ, თანახმად გიორგი XII-ის თხოვნისა, ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. ამიტომ ელჩები მსწრაფლ გაეშურნენ პეტერბურგს, სადაც მათ წარადგინეს შუამდგომლობა ერთ-ერთ მეფის-ძის მეფედ დანიშვნის შესახებ, იმპერატორის მოადგილის ტიტულით საქართველოში (აპრ. 1801 წ.). იმპერატორი პავლე ამ დროს უკვე ცოცხალი არ იყო, ის მოკლეს 12 მარტს 1801 წ. და ამიტომ ქართლ-კახეთის საკითხის საბოლოოდ გარდაწყვეტა იმპერატორ ალექსანდრე I-ს უნდა ეკისრა.

პირადად იმპერატორი წინააღმდეგი იყო მისი მამის მიერ გამოცემულ მანიფესტისა, რადგან ეს მიაჩნდა მას ძალადობად ქართველ ხალხის მიმართ. მაგრამ ვინაიდან რუსეთის სახელმწ. საბჭო მტკიცედ აღგა საქართველოს შემოერთების აუცილებელ საჭიროებას, ამიტომ ტფილისში გამოგზავნილ იქმნა კავკასიის ხაზის უფროსი გენ. კნორინგი, რომელსაც უნდა წარედგინა ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი. კნორინგმა პირდაპირ გაუგზავნა იმპერატორს პროექტი ქართლ-კახეთის მართველობის რუსულ წესზე მოწყობის შესახებ. ის ამასთანავე უარყოფით შეხვდა მეფის-ძეთათვის ქვეყნის მართველობაში რაიმე უფლების დათმობას.

ამ აზრის მიხედვით საბოლოოდ გარდაწყდა საქართველოს რუსეთთან შეერთება, რაც დადასტურდა კიდეც 1801 წ. 12 სექტემბერს იმპე-

რატორ ალექსანდრეს მიერ ხელმოწერილ მანიფესტით. ქართლ-კახეთის სამეფო გამოცხადდა საქართველოს გუბერნიად, მთავარმართებლად დაინიშნა გენ. კნორინგი, ხოლო სამოქალაქო საქმეების გამგედ—საქართველოს მართველად—კოვალენსკი, ყოფილი რეზიდენტი გიორგი მეფის კარზედ.

ახლად შემოღებული რუსული მართველობა ქართლ-კახეთში. რუსეთის მთავრობის წინაშე დღიდანვე საქართველოში დამკვიდრებისა დადგა საკითხი მტკიცე მართველობის შემოღების შესაღებ. საჭირო იყო ფეოდალურ დროის წეს-წყობილების შეცვლა და ახალ მოთხოვნილების თანახმად ერთიან ცენტრალისტურ მართველობის დამყარება. მეფობის დროს არსებული წესი მართველობისა ახალს დროსთან შედარებით ბევრს შეუსაბამობას შეიცავდა. თანამდებობანი ხშირად გადადიოდა მემკვიდრეობით ანდა არჩებოდა ერთსა და იმავე გვარში. სახელმწიფო შემოსავლის სხვა-და-სხვა დარგი ჩვეულებრივ, ცენტრალურ მართველობის მოუწყობლობისა გამო, იჯარით იყო გაცემული, რაც აადვილებდა ბოროტმოქმედებას და ხალხს ბევრს შევიწროებას აყენებდა. მეფის სახასო სოფლების სამოურაოდ გაცემა მემკვიდრეობით რომელიმე გვარში, ანდა კიდევ ახლად გაწეულ რომელიმე სამსახურისათვის აგრეთვე აძლიერებდა ხალხის შევიწროებულს მდგომარეობას. შიგნით სამეფოში კიდევ არსებობდა სხვა-და-სხვა საბაჟოები, რომლის შემოსავალი უკლესიის ანდა განსაზღვრულ თავადთა გვარეულობათა სასარგებლოდ მიდიოდა. ეს საბაჟოები დიდს დაბრკოლებას წარმოადგენდნენ ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებისათვის და საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეში.

საქართველოში შემოსვლისთანავე რუსებმა მოინდომეს არსებულ წესწყობილების გარდაქმნა რუსეთში არსებულ მართველობის მიხედვით. რუსის მთავრობა მოქმედობდა ამ საქმეში ფრიად ენერგიულად და მკვეთრად, მაგრამ რადგანაც ამასთანავე ის ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივ პირობებს, ამიტომ ახალი მართველობა იწვევდა ბევრს გაუგებრობას და უკმაყოფილებასაც. ამას თან დაერთო რუსული ენის უცბად შემოღებაც მართველობაში, რაც, რასაკვირველია, კიდევ უფრო აღვიებდა ამ უკმაყოფილებას. უცხო ენის შემოღების მიზეზით მართველობა დაშორდა ხალხს, რადგან მისთვის გაუგებარი და ძნელად მისაწდომი გახდა.

რუსები ამკვიდრებენ ქართლ-კახეთში თავისს მართველობას. ახლად შემოღებულ წესის მიხედვით მართველობას სათავეში ედგა საქართველოს მთავარ-მართებელი, რომელსაც ემორჩილებოდა აგრეთვე ადგილობრივ მყოფი რუსის ჯარები. მისს თანაშემწედ ითვლებოდა ტფილისის სამხედრო გუბერნატორი, ხოლო ადგილობრივი მართველობა ქვეყნისა მინდობილი ჰქონდა საქართველოს მართველს. მთავარ-მართებლის თავმჯდომარეობით არსებობდა საქართველოს უზენაესი მარ-

თებლობა 4 ექსპედიციით: აღმასრულებელ საქმეთა, სახაზინო-სამეურნეო საქმეთა, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლისა. ექსპედიციების თავმჯდომარეებად ირიცხებოდნენ რუსი მოხელეები, სამოქალაქო საქმეები ირჩეოდა ვახტანგ მეფის კანონებისა და ადგილობრივ ჩვეულებათა მიხედვით, ხოლო საჭიროების დროს, როდესაც ადგილობრივი კანონმდებლობა არ კმაროდა, რუსულ კანონების დაგვარად, სისხლის სამართლის საქმეები კი განიხილებოდა რუსეთის კანონების მიხედვით. ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო გაყოფილ იქმნა 5 მაზრად: ქართლი სამ და კახეთი ორ მაზრად. თათრის ელით და ოსებით დასახლებულ მხარეში კი დაარსებულ იქმნა ცალკე დისტანციები. მაზრის კომენდანტი იყო რუსი, მისი თანაშემწე კი ინიშნებოდა ქართველთაგან.

მთავრობა ამ გვარად ცდილობდა პირველ დღიდანვე შემოეღო ქართლ-კახეთში რუსულ მართველობის წესები და ახლად შემოერთებული ქვეყანა მართებლობის მხრივ რაც შეიძლება დაეახლოვებინა რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის. ახლად გახსნილ მთავრობის დაწესებულებებში შემოღებულ იქმნა რუსული ენა და რადგან ადგილობრივ პირობების გარკვევის გასაადვილებლად დანიშნულ ქართველ მოხელეებმა რუსული არ იცოდნენ, ამიტომ საქმეების გარჩევაში ფაქტიურად მონაწილეობას ვერ ღებულობდნენ და ქაღალდებს მაინც ხელს აწერდნენ რუს მოხელეებთან ერთად. საქმეს აჭირებდა თარჯიმანთა საკმაო რიცხვის უქონლობაც. დიდს უხერხულობას წარმოადგენდა აგრეთვე ხალხისთვის სასამართლოს სხვა-და-სხვა საფეხურების შემოღება კანცელიარული მიწერ-მოწერით და ისიც რუსულს ენაზე. ამას თან დაერთო ბოროტმოქმედებანი და მექრთამეობა ახლად შემოსულ რუს მოხელეთა დაწყებული საქართველოს მართველის კოვალენსკიდან, რაც დიდს უსიამოვნებას და აღშფოთებას იწვევდა.

მთავარმართებელი გენ. პ. ციციანოვი. საქართველოს საქმეების მოუწყობლობას ყურადღება მიაქციეს პეტერბურგში. ლეკთა თარეშები კვლავინდებურად ანიავებდნენ ქვეყანას და მშვიდობიან მოქალაქობრივ ცხოვრების დამყარებას შეუძლებლად ხდიდნენ. ამიტომ გენ. კნორინგი გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან და მის მაგივრად საქართველოს მთავარმართებლად დანიშნეს გენ. პავლე ციციანოვი, შვილი ვახტანგ მეფესთან ერთად რუსეთში გადასულ დიმიტრი ციციშვილისა (1803 წ.).

ახალი მთავარ-მართებელი თუმცა ქართული გვარის მატარებელი იყო, მაგრამ მთლად გარუსებული, დიდად ერთგული რუსული რეჟიმის დამყარებისა და იმავე დროს ნიჭიერი ადმინისტრატორი და მხედართ-მთავარი. რუსეთის მთავრობის პრესტიჟის დასაცავად მან დასტოვა უკვე შემოღებული მართებლობის წესი, თუმცა მისს უხერხულობას თვითონ გრძნობდა. დაარსა ტფილისში ეგრედ წოდებული კეთილშობილთა სასწავლებელი, ღებულობდა ზომებს ქვეყნის ეკონომი-

ურად მოლონიერებისათვის, შეადგინა კიდეც შესაფერისი პროექტები, თუმცა მათი განხორციელება ვერ მოასწრო, მოიწვია რუსეთიდან ექიმები, მისსავე დროს თავად-აზნაურთ ნება მიეცათ თავიანთ წინამძღოლების არჩევისა წოდებრივ ინტერესების დასაცავად. თავად-აზნაურობის მისაზიდავად რუსის ჯარის სამსახურში ციციანოვი აგზავნიდა თავად-აზნაურთა შვილებს რუსულ სამხედრო სასწავლებლებში და სხ.

სამეფო სახლის წევრთა გადასახლება რუსეთს. ციციანოვმა ჩამოსვლისთანავე უპირველესი ყურადღება მიაქცია სამეფო სახლის წევრთა გადასახლებას რუსეთში, რადგან რუსის მთავრობა უხერხულად სთვლიდა დედოფლების და მეფის-ძეთა დატოვებას საქართველოში მეფობის მოსპობის შემდეგ. გიორგი მეფის ძენი იოანე, ბაგრატ და მიხაილი ჯერ კიდევ მარტში 1801 წ. გაემგზავრნენ რუსეთს. 1803 წ. ციციანოვის მიერ მიღებულ ზომებით გაგზავნილ იქმნენ მემკვიდრე ბატონიშვილი დავით და აგრეთვე ვახტანგ იოაკლის-ძე. ამის შემდეგ ციციანოვმა გარდასწყვიტა გიორგი XII-ის ქვრივის მარიამ დედოფლის გაგზავნაც, მაგრამ დედოფალი წასვლაზედ უარს აცხადებდა. 18 აპრილს 1803 წ. დედოფალთან მივიდა ჯარის-კაცებით გენ. ლაზარევი, შეევიდა მისს საწოლ ოთახში და გადაჰკრით მოთხოვა მას რუსეთში წასვლა: დედოფალმა ამოიღო ხანჯალი და მოკლა ლაზარევი იქვე. მარიამი დააპატიმრეს და წაიყვანეს რუსეთს, სადაც დააყენეს ბელგოროდის მონასტერში. 1811 წ. მას ნება მისცეს მოსკოვში ცხოვრებისა, სადაც აღესრულა 1851 წ.. მისი გვამი მოასვენეს და დაფლეს მცხეთას.

იმავე 1803 წ. ციციანოვმა გაგზავნა პეტერბურგს ერეკლე II-ის ქვრივი დედოფალი დარეჯან, რომელიც რუსეთშივე აღესრულა (8 ნოემბ. 1807 წ.).

სხვა ბატონიშვილების მეტი ნაწილი აგრეთვე ძალით თუ ნებით გაემგზავრნენ რუსეთს. მხოლოდ ალექსანდრე ბატონიშვილმა არ მოინდომა რუსეთთან შერიგება და რუსებთან ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ დარჩა სამუდამოდ სპარსეთს.

ჭარისა და ელისენის დამორჩილება. ციციანოვი ამასთანავე ენერგიულად შეუდგა ქართლ-კახეთის საზღვრების შემომტკიცებას და მეზობელ მოუსვენარ სამფლობელოების ალაგმვას. ამ მხრივ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭარს, როგორც ლეკთა თარეშების ბუდეს. ციციანოვმა გაგზავნა ორი პოლკი რუსის ჯარი, კახეთისა და ქიზიყის ჯარითურთ ჭარის დასამორჩილებლად გენ. გულიაკოვის წინამძღოლობით. ჭარში იმ დროს იმყოფებოდნენ მეფის-ძენი ალექსანდრე და თეიმურაზ, რომელნიც ლეკთა დახმარებით ცდილობდნენ რუსებისთვის ზიანის მოტანას. რუსების ჯარმა დაამარცხა ჭარ-ბელაქნის ლეკები, მოაოხრა მათი სოფლები და შემდეგ საბოლოოდ დაიმორჩილა. ამასთან ერთად მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა ელისენის სულთანმა (1803 წ.).

ჰარ-ბელაქნის დაპყრობამ და ელისენის შემოერთებამ თუმცა მთლად ვერ მოსპო ლეკთა თარეშები, მაგრამ ფრიად თვალსაჩინოდ შეასუსტა ის და ამ ბოროტებასთან ბრძოლა რუს რეგულიარულ ჯარისა და ქართულ მილიციის წყალობით თვალსაჩინოდ გაადვილდა.

ციციანოვის დროს რუსეთის სამფლობელო ამიერ-კავკასიაში გადაიჭიმა კასპიის ზღვიდან შავ-ზღვამდის. მისს დროს ოდიშის სამთავრო და იმერეთის სამეფო გურიითურთ შეუერთდა რუსეთს.

ბრძოლა იმერეთის მეფის სოლომონ II-სა და გრიგოლ დადიანს შორის. სოლომონ II-მ თავისი მეფობის განმტკიცებისთანავე აღადგინა ყველა ის ხელისუფალნი, რომელნიც დავით მეფის დროს დამდაბლებული იყვნენ და საზოგადოდ შეუდგა სამეფოს შინაურ საქმეების მოგვარებას. ამის შედეგ მეფის მთავრობის ყურადღება მიპყრობილ იქმნა ისევ ოდიშისაკენ. გრიგოლ დადიანი, განლაღებული მეფისათვის გაწეულ დახმარებით, თავს დამოუკიდებელ მფლობელად სთვლიდა და მეფისადმი მორჩილების გამოხატვას ერიდებოდა. ოდიშის შემომტკიცება შეადგენდა 70-იან წლებიდან, სოლომონ I-ის მიერ რაჭის საერისთაოს დაპყრობის შემდეგ, იმერეთის ხელმძღვანელ წრეების მთავარ საზრუნავ საგანს. მხოლოდ შინაური არეე-დარეეა ხელს უშლიდა აქამდის ამ აზრის განხორციელებას. ეხლა კი, როდესაც შიგნით მდგომარეობა უკვე საკმაოდ გამორკვეული იყო, ოდიშის საკითხი კვლავ წამოყენებულ იქმნა. მაგრამ სადადიანოს უშუალოდ დასაპყრობლად და შემდეგ ერთი ცენტრალურ მართველობით ქვეყნის შესაკავშირებლად იმერეთს ამ დროს არც სამხედრო და არც შინაური შემოქმედებითი ძალა არ შესწევდა და ამიტომ იმერეთის მთავრობა დაკმაყოფილდა გრიგოლის წინააღმდეგ მისი ძმის მანუჩარის დაპირდაპირებით, მით უმეტეს რომ ამ უკანასკნელს მეფის ერთგულად ეჭირა თავი. ეს დაპირდაპირება გათავდა იმით, რომ მალე გრიგოლ დადიანი მეფის ბრძანებით გარდააგდეს და დადიანად დასვეს მანუჩარი. გრიგოლმა მაშინ კავშირი შეკრა დავით მეფე-ყოფილთან, თითონ წამოიყვანა ჯარი სამურზაყანო-აფხაზეთიდან, ხოლო დავით მეფე კი ახალციხიდან მიწვეულ ლეკის რაზმებით და თავისი მომხრეებით დადგა ქუთაისის ახლოს. მაშინ მეფემ თავისი ჯარით თავს დაასხა ღამით ბანძის ახლოს დაბანაკებულ გრიგოლ დადიანს სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და ლეჩხუმის სარდალ-მოურავი ქაიხოსრო გელოვანი, რომელთაც დაამარცხეს მოწინააღმდეგე, გაფანტეს აფხაზები და მაშინვე დაბრუნდნენ ქუთაისს. დავით მეფე-ყოფილმა ამის შემდეგ ვერ გაბედა შებმა, მოცილდა ქუთაისს და გამაგრდა მათხოჯს. გრიგოლ დადიანმა კი სთხოვა შემწეობა აფხაზეთის მთავარს ქელაიშ-აჰმედ-ბეგ შერვაშიძეს, რომელიც მივიდა ხიბულას. სოლომონ მეფე ეხლა თავს დაესხა მათხოჯს დაბანაკებულს დავით მეფე-ყოფილს და დაამარცხა ის. ამისმა მხილველმა ქელაიშ-აჰმედ-ბეგმა არ მოინდომა ბრძოლა და წავიდა აფ-

ხაზეთს. გრიგოლი დადგა ოსმალებთან ფოთს, ხოლო დავითი წავიდა ახალციხეს, სადაც ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა ყვავილით (12 იანვ. 1795 წ). დადიანობა დაიპყრო მანუჩარმა.

ფოთს გაქცეული გრიგოლ წავიდა ახალციხეს ოსმალთაგან რაიმე დახმარების მოსაპოვებლად, მაგრამ როდესაც იქ ვერას გახდა, მივიდა ერეკლე II-სთან, რომლის შვილის-შვილი, ტახტის მემკვიდრის გიორგის ასული ნინო მას ცოლად ჰყავდა. ერეკლემ იკისრა შუამავლობა გრიგოლსა და მეფე სოლომონს შორის. გრიგოლი დააბინავეს ქუთაისს, მაგრამ დადიანობა კვლავ ეჭირა მანუჩარს: სოლომონ მეფე გადაჰრით წინააღმდეგი იყო გრიგოლისთვის ოდიშის დაბრუნებისა.

ქუთაისში მცხოვრებ გრიგოლმა თანდათან კავშირი გააბა ოდიშში მყოფ თავისს მომხრეებთან, რომელთა შორის პირველი ადგილი ეჭირა მის ბიძას დადიანისძეს გიორგის. ამ უკანასკნელმა გადმოიბირა გრიგოლის მხარეზე ლეჩხუმის სარდალ-მოურავი ქაიხოსრო გელოვანი, რის შემდეგ გრიგოლი ღამე გაიპარა ქუთაისიდან თავისი ოჯახობით, ავიდა ნოღას ციხეს და გამაგრდა იქ. ქუთაისში ამ ამბავმა დიდი აღელვება გამოიწვია. მეფე, მანუჩარ დადიანთან ერთად, შემოერტყა ნოღას ციხეს, მაგრამ ვერ აიღო ის და შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება გრიგოლ დადიანთან, რომელიც გათავდა მათი ურთიერთ შორის მორიგებით. გრიგოლმა მიიღო დადიანობა, ხოლო მის ძმას მანუჩარს კი მიეცა სალიპარტიანო (1799 წ.), მაგრამ მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 15 დეკ. 1799 წ. მოკვდა მთავარი მრჩეველი გრიგოლ დადიანისა ბიძა მისი გიორგი და მეფემ კვლავ მოინდომა ოდიშის დაპყრობა, ამ მიზნით მან დააპირა ქაიხოსრო გელოვანის კვლავ თავისკენ მიმხრობა, მაგრამ გრიგოლმა დაასწრო და ქაიხოსრო მოაკვლევინა. მეფემ დროებით თაკი მიანება თავისი გეგმის განხორციელებას და უფრო მოხერხებულს დროს უცდიდა.

ბრძოლა სოლომონ II-სა და დადიანს შორის ისევ განახლდა. 1801 წ. ქართლ-კახეთში დამკვიდრდნენ რუსნი და ამ გარემოებამ დააჩქარა ახალი შეტაკება მეფესა და გრიგოლ დადიანს შორის. არმოსავლეთიდან იმერეთზე მომდგარი რუსთა საშიშროება ცხად ხდიდა შინაურ ძალების შეკავშირების საჭიროებას, ამიტომ მეფემ გარდასწყვიტა ოდიშის შემოსამტკიცებლად გრიგოლის იქიდან გარდაგდება. დიდის ჯარით სოლომონ II გადავიდა ოდიშს და დადიანად დასვა მანუჩარ, მაგრამ გრიგოლი ვერ განდევნა. ის თავისი მომხრეებით ხან ხორგას იმყოფებოდა და ხან ხეთას, ჰაქვიჯს და ნოღას, ხოლო შემდეგ გადავიდა ლეჩხუმს. მეფე მანუჩარ დადიანითურთ მივიდა ლეჩხუმს და დაიპყრო ის გარდა მურის ციხისა, სადაც გამაგრებულიყო გრიგოლი. გრიგოლმა შემოუთვალა მეფეს, მანუჩარი დაუტოვებ და ლეჩხუმი ჰყვიშის ციხითურთ მიირთვიო. ამ ნიადაგზე მოხდა შეთანხმება. მანუჩარმა თავისი თავი მარტოდ მიტოვებული რომ ნახა, მოურიგდა ძმას, რის შემდეგ

გრიგოლმა თავისი პირობა არ აღასრულა. მეფემ შემოიკრიბა ჯარი და წავიდა ლეჩხუმს (ივლ. 1802 წ.), შემოადგა ციხე ჰყვიშს, სექტემბერში აიღო ის და დაბანაკდა ლაილაშს. გრიგოლი თავისი ჯარით დადგა უსახელოს, სადაც მას რამდენიმე დღის შემდეგ თავს დაესხა მეფე. მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც გათავდა დადიანის დამარცხებით. მეფე შემოადგა დეხვირის ციხეს, რომელიც გაეჯაგრებია ბეჟან ყრუაშვილს, შეთხარა ციხე და აიღო, დაიპყრო ლეჩხუმი და დაადგინა მის მოურავად ქაიხოსროს შვილი ბერი. დადიანობა მეფემ უბოძა გრიგოლის მეორე ძმას ტარიელს და თვითონ დაბრუნდა ქუთაისს (ოქტომბერში 1802 წ.). დამარცხებულმა გრიგოლმა მიმართა შემწეობისათვის ისევ აფხაზეთის მთავარს ქელაიშ-აჰმედ-ბეგ შერვაშიძეს. მაც მოითხოვა ფული, ხოლო ამის გარდახდის წინდად ანაკლია და აგრეთვე მძევლად უფროსი შვილი ლევანი. გრიგოლი დასთანხმდა, რის შემდეგ შერვაშიძემ შემოიკრიბა 20 ათასი კაცი 3 ზარბაზნით, გადმოიარა ოდიში და დადგა აბედათს (ნოემბერს 1802 წ.). მეფე დიდის ჯარით მივიდა ივანდიდს. შერვაშიძემ ვერ გაბედა მეფესთან შებრძოლება და უკან გაბრუნდა, სოლომონ II კი შევიდა ოდიშს და დაიპყრო ის გარდა ორიოდე სიმაგრისა, როგორც, მაგ., გორდის და ნოღას ციხისა.

გრიგოლ დადიანი ეძიებს რუსეთის ქვეშევრდომობას. გრიგოლ დადიანმა მაშინ საბოლოოდ გადასწყვიტა მიემართა რუსის მთავრობისათვის დახმარების და მფარველობის თხოვნით. ამ გვარი შუამდგომლობა მას უკვე 1802 წ. ივნისში ჰქონდა აღძრული, მაგრამ ეხლა გრიგოლი დაბეჯითებით თხოულობდა დახმარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეპირებოდა ოსმალეთისადმი მიმართვას. გრიგოლის თხოვნა სწორედ შეესაბამებოდა რუსის მთავრობის მისწრაფებას ტფილისიდან შავი ზღვისკენ თავისთვის გზის გაკაფვის შესახებ და ამიტომ კიციანოვს ეს დიდად სასიამოვნოდ დაუჩნა. 1803 წ. თებერვალში კიციანოვი შეეკითხა რუსეთის ელჩს კოსტანტინოპოლში, გაეგო, ხომ არ ჩათვლის ოსმალეთი რუსეთის მიერ იმერეთის სამეფო სამთავროების დაპყრობას 1774 წლის კუჩუკ-კაინარჯის ზავის დარღვევადო, ხოლო თითონ კი ამასობაში დაიწყო მოლაპარაკება გრიგოლ დადიანთან რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის პირობების შესახებ. ეს მოლაპარაკება გაგრძელდა 1803 წლის დასასრულამდის.

იმერეთი და რუსეთის შემოსვლა ქართლ-კახეთში. რუსის მართველობის დამკვიდრებას ქარ(თლ-კახეთში იმერეთის მართველი წრეები დიდის უსიამოვნობით შეხვდნენ. სოლომონ II-ს და მისს თანამოაზრეთ ძალიან კარგად ესმოდათ, თუ რა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა იმერეთის დამოუკიდებელ არსებობისთვის რუსეთის აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრება. ამიტომაც თავიდანვე იმერეთი მოექცა რუსეთის საწინააღმდეგო მიმდინარეობაში და ამიტომ ყველა ისინი, რომლებიც განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ რუსის მმართველობის

დამკვიდრებით ქართლ-კახეთში, პოულობდნენ იქ თავისს თავშესაფარს. რუსეთის მწინაალმდეგე ჯგუფის მეთაური სოლომონ ლიონიძე 1801 წელსავე იმერეთს გადავიდა, შეიცნა სოლომონ მეფის სამსახურში, დაინიშნა მდივანბეგად და მალე გახდა მეფის მარჯვენა ხელი და პირველი თანამხრახველი. ასევე პატივით მიღებულ იქმნენ იმერეთს გადასულნი მეფის-ძენი იულონ და ფარნაოზ, მალხაზ ანდრონიკაშვილი და სხვანი. მაგრამ რადგანაც მეფის ყურადღება ამ დროს მიპყრობილი იყო ოდიშის დაპყრობაზე, ამიტომ რუსის მთავრობის წინაალმდეგ დროგამოშვებითი გამოსვლები ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ვერ პოულობდა დახმარებას იმერეთის სამხედრო ძალის მხრივ. მაინც სოლომონ II-ს დიდი მორალური გავლენა ჰქონდა ახალი რეჟიმით აღმოსავლეთ საქართველოში უმაყოფილო გავლენიან ელემენტებზე.

რუსეთი ერევა იმერეთის საქმეებში. იმერთა ხელმძღვანელი წრეების უნდობლობა კიდევ უფრო განაძლიერა რუსეთის პირველმავე დიპლომატურმა ნაბიჯებმა იმერეთის მიმართ, რომელიც თან მოჰყვა ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებას. მით უმეტეს, რომ საკითხიც, როგორც მელმაც ეს დიპლომატიური ურთიერთობა გამოიწვია, განსაკუთრებული ხასიათისა იყო. სახელდობრ, მეფე დავით II-ის სიკვდილის შემდეგ იმერეთში დარჩა მისი მცირეწლოვანი შვილი ბატონიშვილი კოსტანტინე. როგორც ტახტის მოსალოდნელი პრეტენდენტი, ის სოლომონ II-ს მუხურის ციხეში ჰყავდა დაპატიმრებული. ქართლ-კახეთთან რუსეთთან შეერთების შემდეგ ბატონიშვილის დედამ დედოფალმა ანამ შუამდგომლობა აღძრა იმპერატორ ალექსანდრე I-ის წინაშე მისი შვილის ტყვეობიდან გათავისუფლების შესახებ. ამ დავალებით 1802 წ. იმერეთს გამოგზავნილ იქმნა იმპერატორის წერილით სოკოლოვი, რომელიც მივიდა მეფესთან, როდესაც ეს უკანასკნელი თავისი ჯარით ჰყვანიშის ციხეს შემორტყმოდა, სადაც გრიგოლ დადიანს მეციხოვნენი გამაგრებულიყვნენ. მეფემ არ დააკმაყოფილა იმპერატორის თხოვნა და სოკოლოვი ხელცარიელი გაისტუმრა (აგვისტოს 1802 წ.). ამის შემდეგ მთავარ მართებელმა ციციანოვმა კვლავ აღძრა შუამდგომლობა მეფის წინაშე კოსტანტინეს განთავისუფლებისა და რუსეთში წარგზავნის შესახებ. ეხლა უკვე უარის თქმა ურთიერთობის გაუმწვავებლად არ შეიძლებოდა. კოსტანტინე გაანთავისუფლეს და გაგზავნეს ტფილისს, ხოლო იქიდან კი რუსეთს.

სოლომონ II დასავ. საქართველოს გაერთიანების აზრით ეძიებს რუსეთის მფარველობას. გრიგოლ დადიანის მიერ რუსეთის მთავარმართებელთან გამართულ მოლაპარაკებამ დიდათ შეაფ ქრიანა იმერეთის მართველი წრეები. ცხადი იყო, რომ რუსეთის პოლიტიკის გარეშე დგომა ასეთ პირობებში დიდს საფრთხეში აგდებდა ქვეყნის თავისუფლებას. ამიტომ არსებულ პირობებში შესაძლებელის შენარჩუნების მიზნით სოლომონ II-ჯ გარდაწყვიტა თვით მოეთხოვა რუსეთის მფარვე-

ლობა და წინდაწინვე პეტერბურგის მთავრობასთან შესაფერისი ტრაქტატის შეკვრით უზრუნველეყო თავისი უზენაესი უფლებები მთელს დასავლეთს საქართველოზედ. იმერეთის მთავრობის პოლიტიკა მიისწრაფოდა გათიშულ სამეფო-სამთავროების შეკავშირებისა და გაერთიანებისაკენ და მეფეს სურდა რუსეთთან აუცილებელი დაკავშირება ამ მიზნის მისაღწევად რაოდენადმე მაინც გამოეყენებინა.

ამ აზრით აგვისტოში 1803 წ. მეფის ელჩად მიდის პეტერბურგს სოლომონ ლიონიძე, რომელმაც მასვლითანავე წარუდგინა რუსის მთავრობას თავისი მეფის შუამდგომლობა რუსის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ მისი მემკვიდრეობითი უფლებას ცნობით სამეფო ტახტზე და სამეფოს გარეშე და შინაურ მტერთაგან დაცვის პირობით. ცალკე ნოტაში სოლომონ ლიონიძე ვრცლად აღნუსხავდა, თუ რა ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ექმნებოდა რუსეთისთვის შავი ზღვის სანაპიროზე—აფხაზეთსა, ოდიშსა და გურიას—ფეხის მომაგრებას, როდესაც ამ ქვეყნების ერთად ერთი კანონიერი პატრონი—იმერეთის მეფე რუსეთის ქვეშევრდომობაში იქმნებოდა მიღებული.

დადიანი ღებულობს რუსის ქვეშევრდომობას. მოლაპარაკება ციციანოვსა და გრიგოლ დადიანს შორის ამასობაში ჩქარის ნაბიჯით წინ მიდიოდა.

4 დეკ. 1803 წ. დადიანმა ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორის სახელზე თხოვნის სახით შედგენილ პირობის მუხლებს, რომლის ძალით ის თავისი კანონიერი მემკვიდრეებით უნდა აღიარებულ ყოფილიყო მთავრად. ინვესტიტურის ნიშნად ყოველს ახალს მთავარს იმპერატორის მიერ დამტკიცების დროს უნდა მისცემოდა სამთავრო დროშა და ხმალი. ოდიშში მოისპო დამნაშავეთა სიკვდილით ან გახვეერებით (ხელ-ფეხის და ცხვირის მოჭრით) დასჯა. სამთავროში უნდა დამდგარიყო რუსის ჯარი. რუსთა მიერ მადნეულობის დამუშავებისას ან ქალაქის აშენებისას შემოსავლის ერთი ნაწილი უნდა მისცემოდა მთავარს. საბაჟო შემოსავალიც ახალი ნავთ-სადგურისა, თუ რუსები ასეთს მოაწყობდნენ და ააშენებდნენ, ჩაირიცხებოდა რუსეთის ხაზინაში. ფიცის მიღებისას რუსის მთავრობის წარმომადგენელმა, რომელიც ახალციხის და ფოთის გზით მივიდა ტფილისიდან ოდიშს, მიართვა დადიანს ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა.

გრიგოლ დადიანი იპყრობს ოდიშს. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქუთაისში, სადაც საქმე უკვე წაგებულად ჩასთვალეს. მეფემ მაშინვე მიმართა ოსმალეთის მთავრობას მფარველობის და რუსეთის წინააღმდეგ დახმარების თხოვნით, ადგილობრივ კი დაიწყო მნიშვნელოვან პუნქტების გამაგრება ლეჩხუმსა და ოდიშს. ასე, მაგალითად, დაიჭირა თამაკონის ციხე, მაგრამ დადიანის რუსეთის მფარველობაში შესვლას უკვე თავისი გავლენა მოეხდინა ოდიშის და ლეჩხუმის იმ თავკაცებზე, რომელნიც მეფის მხარეზე იყვნენ გადასულნი და მდგომარეო-

ბა შეირყა. მალე მეფეს გადუდგა ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი. გრიგოლ დადიანმა წრას ციხიდან მცირედი რაზმით დაიჭირა თამაკონი, ხოლო იქიდან ბერი გელოვანის მიწვევით დაიპყრო ლეჩხუმი გარდა ჭყვიშის ციხის და მისი არე-მარესი (აპრილ. დასაწყ. 1804 წ.). მთელი ოდიშის სამთავრო ამ გვარად ისევ მას დაემორჩილა.

სოლომონ II იძულებით ლებულობს რუსის იმპერატორის ქვეშევრდომობას. დადიანთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ რუსის მთავრობამ ზედმეტად ჩასთვალა იმერეთის მეფესთან იმ პირობებით ხელშეკრულების დადება, როგორც ამას სოლ. ლიონიძე თხოულობდა პეტერბურგს. ამიტომ რუსეთის მთავრობამ მოიმიზეზა მეფის მიერ ოსმალეთთან დაწყებული მოლაპარაკება, რომლის შესახებ ბუნდოვანმა ცნობამ პეტერბურგამდისაც მიაღწია, და სოლ. ლიონიძე უკან გამოისტუმრა. მას განუცხადეს, რომ იმერეთის საქმის გარდაწყვეტა ციციანოვს აქვს მინდობილიო. ციციანოვს კი პეტერბურგიდან ბრძანება მოუვიდა იმერეთის მეფე დაემორჩილებინა ანდა სამეფო დაეპყრო. მთავარმართებელმა მისწერა სარდალს ქაიხოსრო წერეთელს, რომ თუ მეფე რუსეთის ქვეშევრდომობას არ ითხოვს, ჯარებს დავსძრავო და მართლაც იმერეთისაკენ დაიძრა რუსის ერთი პოლკი. ამ დროს ციციანოვს განჯის სახანო ახალი დაპყრობილი ჰქონდა და ამიტომ მისი პრესტიჟი დიდად აწეული იყო. იმერეთში გარდასწყვიტეს დაეთმოთ რუსეთისათვის და ამიტომ მეფის ელჩებად წარგზავნილ იქმნენ სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი და სეხნია წულუკიძე. ელჩებმა განუცხადეს ციციანოვს, რომ მეფე მზადაა მიიღოს რუსეთის ქვეშევრდომობა, მხოლოდ ითხოვს დაუტოვონ მას ლეჩხუმი. ციციანოვმა ამაზე უარი განაცხადა, რადგან ლეჩხუმს სამეგრელოზე უპირობდენ მითვლას. ელჩების თხოვნით ციციანოვმა მაინც გაგზავნა მეფესთან პირისპირ მოსალაპარაკებლად კამერგერი გრაფი ეორონცოვი (შემდეგ კავკასიის ნამესტნიკი), რომელსაც თან გაატანა თხოვნის სახით დაწერილი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის პირობები. მოლაპარაკება მაინც ჭიანურდებოდა. მაშინ ციციანოვმა საქმის დასაჩქარებლად გაიღო ქრთამი ზოგიერთ იმერეთის გავლენიან პირთა მოსასყიდლად, რომელთაც მეფის დარბაზში ხმა და გავლენა ჰქონდათ.

ამავე ხანში ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდან სოლ. ლიონიძე, რომლის ხელით ციციანოვმა გაუგზავნა მეფეს ახალი ნოტა პირობების მიღების შესახებ. თან იწვევდა საზღვარზე პირადად მოლაპარაკების გასამართავად. მეფე ამაზე დასთანხმდა, გამოვლო ჩხერის ციხე და მივიდა ელაზნაურის მინდორზე, სადაც ინახულა ციციანოვი, რომელიც ჯარით გადასულიყო იმერეთს. მეფე თანახმა იყო ქვეშევრდომობის პირობებზე ხელის მოწერისა, მხოლოდ თხოულობდა ლეჩხუმის მისთვის დამტკიცებას. რადგან მოლაპარაკება გრძელდებოდა, ამიტომ ციციანოვმა უბრძანა მასთან მყოფ პოდპოლკ. ერისთავს ჯარი დაეძრა და ახლო-

მახლო სოფლები რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაეფიცებინა. მაშინ 24 აპრილს 1804 წ. მეფე იძულებული გახდა ხელი მოეწერა თხოვნითი მუხლებისათვის. ამ მუხლების მიხედვით მეფე აღიარებდა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობას და უარს აცხადებდა ყოველგვარ პრეტენზიებზე ოდიშის შესახებ. ეკონომიური ხასიათის პირობანი ისეთივე იყო, როგორც დადიანთან რუსეთის მიერ დადებულ ხელშეკრულებაში. ბატონიშვილს კოსტანტინეს, რომელიც მეფის უშვილობისა გამო ცხადდებოდა ტახტის მემკვიდრედ, ეძლეოდა საუფლისწულო. ცალკე პირობით კიდევ განმარტებული იყო, რომ იმერეთში რუსის ჯარი არ უნდა დამდგარიყო ერთ როტაზე (120 კაცზე) მეტი, გურია აღიარებულ იქმნა მეფის ხელმწიფების ქვეშ მყოფად, ხოლო ლეჩხუმის საკითხი ღიად დარჩა. მეფეს ნება მიეცა ისტორიული საბუთები წამოეყენებინა თავისი უფლების დასამტკიცებლად ამ მხარის შესახებ, რის შემდეგ საკითხი საბოლოოდ უნდა გარდაწყვეტილიყო.

იმერეთთან დადებული ხელშეკრულება დამტკიცებულ იქმნა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 4 ივლისს 1804 წ. და სოლომონ II-ს ამ შემთხვევისა გამო მიეცა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა. რუსის ჯარი მოვიდა ზღვით ყულევს ჩ დადგა ოდიშსა და ქუთაისს. ქუთაისშივე დადგა ლიხთ-იმერეთის მეფე—მთავრებთან რუსეთის რეზიდენტად დანიშნული ლიტვინოვი.

ამ გვარად, თუმცა იძულებით, მაგრამ იმერეთის სამეფო მაინც დაემქვემდებარა რუსეთის იმპერიას. რუსის მართველი წრეები ტფილისში და მათი წარმომადგენლები ქუთაისში იმდენად აგრესიულ გზას ადგნენ, რომ არავითარ ნდობას იმერთ შორის არ იწვევდნენ. თავის მხრივ არც რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს სწამდათ, რომ მეფე გულწრფელად შეურიგდებოდა ძალად მოხვეულ ხელშეკრულებას. ამასთანავე ოდიშზე უარის თქმა და მეფის ფაქტიურად დადიანთან გათანასწორება დიდი შეურაცხყოფა იყო იმ საუკუნეებით შემუშავებულ უფლებრივ შეგნებისა, რომელიც ახასიათებდა იმერეთის მეფეთა სახელმწიფოებრივ შემეცნებას. ლეჩხუმის საკითხის გარდაწყვეტაც შეჩერდა. აღშფოთება გრიგოლ დადიანისადმი ფრიად დიდი იყო, რადგან მას სთვლიდნენ მთავარ მიზეზად რუსეთის დასავლეთ საქართველოში შემოსვლისას. მალე დადიანიც მოკვდა (24 ოქტომ. 1804 წ.) და მისი სიკვდილში ბრალს სდებდნენ მასთან საწამლებლად მიწვეულს პატრ. ნიკოლას, რომელიც მეფესთან დაახლოებული იყო და იმერეთის საქმეების გულშემატკივრად ითვლებოდა.

ლევან V-ის გადადიანება. გრიგოლ დადიანის მემკვიდრედ ითვლებოდა მისი 12 წლის ვაჟი ლევანი, რომელიც მძევლად ჰყავდა ქელაიშ-აჰმედ-ბეგ შერვაშიძეს. რუსის მთავარ-მართებელმა ციციანოვმა მოითხოვა ლევანის განთავისუფლება, მაგრამ შერვაშიძემ ამაზე ფულის მიუცემლად უარი განაცხადა. ამ დროს ყულევს ზღვით მოვიდა ახა-

ლი რუსის ჯარი გენ. რიხკოფის უფროსობით. რიხკოფი ოდიშ-ლეჩხუმის ჯარით მიადგა ანაკლიას, რომელიც აგრეთვე შერვაშიძეს ეპირა, აიღო ის და ეპირებოდა აფხაზეთზე გალაშქრებას, როდესაც შერვაშიძემ გაანთავისუფლა ლევანი. იმპერატორის ბრძანებით ის დაინიშნა მთავრად, მას ებოძა დროშა, ხმალი და გენერალ-მაიორის ჩინი. ამასთანავე ახალგაზრდა მთავრის მცირეწლოვანობისა გამო სამეგრელოს რეგენტად იმპერატორის მიერ დაინიშნა დედა მისი-ნინო დედოფალი, რომელთანაც შესდგა საბჭო 4 წევრისაგან. ესენი იყვნენ ნიკოლოზ დადიანის-ძე („დიდი ნიკოდ" წოდებული, ისტორიკოსი), ჰყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონ, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი და ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი.

რუსნი იპყრობენ აზერბეიჯანის სახანოებს. ამასობაში რუსეთი ავრცელებდა თავისს ბატონობას ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილებშიც. 1804 წ. იანვარში ციციანოვმა იერიშით აიღო განჯის ციხე, თვით ჯავათ-ხანი განჯისა ბრძოლის დროს დაიღუპა და განჯის სახანოში შემოღებულ იქმნა რუსული მთავრობა.

განჯის აღებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აზერბეიჯანის სახანოებსა და სპარსეთშიაც. სპარსეთის ტახტის მემკვიდრე, ნიჰიერი და ენერგიული აბას-მირზა ჯარით შემოვიდა ერევნის სახანოში. მეფის ძენი ალექსანდრე, ფარნაოზ და თეიმურაზ საქართველოს თათრების ელის ჯარით დადგნენ ბამბაკს, რომ სპარსელების ჯარის გამარჯვებისთანავე ტფილისისკენ წამოსულიყვნენ. მაგრამ ციციანოვმა 25 ივნ. 1804 წ. დაამარცხა აბას-მირზა მდ. ზანგის ნაპირას, შეშოარტყა ალყა ერევანს და თუმცა ის ვერ აიღო, მაგრამ სპარსეთის შემოსევის საშიშროება ამ ხანად მოსპო.

შემდეგ წელს ციციანოვმა სათანადო მოლაპარაკების შემდეგ რუსეთს დაუქვემდებარა შურაგელი, ყარაბაღისა და შაქის სახანოები (1805 წ.). აბას-მირზამ ამის საპასუხოდ გაილაშქრა ერევნის სახანო და შემოესია განჯის მხარეს, მაგრამ რუსის ჯარმა განდევნა სპარსელები.

რუსის მფლობელობის უზრუნველსაყოფად აზერბეიჯანის სახანოებში საჭირო იყო ბაქოს სახანოს დამორჩილებაც. გენ. ზავალიშინს ებრძანა ზღვით ჯარის გადმოსხმა და ბაქოს დაკერა, მაგრამ რადგანაც ბაქოს ხანმა ჰუსეინ-ყულიმ შეიგარი წინააღმდეგობის უნარი გამოიჩინა, ამიტომ ციციანოვმა თვით გაილაშქრა მის წინააღმდეგ. გზად მან დაუქვემდებარა რუსეთს შირვანის სახანო და შემდეგ მიადგა ბაქოს. ჰუსეინ-ყულიმ თანხმობა განაცხადა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე. ხანი გამოეგება ციციანოვს ციხის გასაღების მისართმევად, მაგრამ ამ დროს მისი მხლებლები დაეცნენ რუსთა მთავარ-მართებელს და მოკლეს ის (8 თებერ. 1806 წ.).

ციციანოვის მოკვლის შემდეგ — ეხლა კავკასიის — მთავარ-მართებლად დანიშნულ იქმნა გრაფი ღუდოვიჩი. მისს დროს 1806 წ. რუსეთს

შეუერთდა ბაქოს, ყუბის და დარუბანდის სახანოები, ყაიტაგი და ტერკის შამხალთა სამთავრო.

იმერეთში რუსეთის წინააღმდეგობის გრძნობა ძლიერდება. ურთიერთობა იმერეთის მეფეს სოლომონ II-სა და რუსის მთავრობას შორის, რომელიც თავიდანვე ურთიერთ უნდობლობაზედ იყო დამყარებული, თანდათან რთულდებოდა. რუსის მთავარმართებელნი არც ფიქრობდნენ რუსეთის მიერ სოლომონ II-ის მიმართ თავისს თავზე მიღებულ ვალდებულებათა შესრულებას და შინაურ საქმეებში ჩარევით ცდილობდნენ მეფის ავტორიტეტის დასუსტებას და დამცირებას. მაგალითად, რუსეთის წარმომადგენელი იმერეთში ლიტვინოვი ერეოდა გურიის საქმეებში. გურიის მთავარი მამია, რომელიც სამი წლისა დარჩენილიყო თავისი მამის სვიმონ გურიელის 1792 წ. სიკვდილის შემდეგ, ჯერ კიდევ მცირე წლოვანი იყო და გურიას მართავდნენ დედა მისი დედოფალი მარინა და ბიძა ქაიხოსრო გურიელისძე. უფროსი ბიძა მამიასი ვახტანგი სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებდა სამთავროზე და რამოდენიმე ხნის განმავლობაში მეფის ნებადართვით კიდეც განაგებდა გურიას. მამიას დანარჩენი ბიძების ლევანის და დავითის პრეტენზიები საბატონიშვილოს მიცემის შესახებ აგრეთვე ართულებდა გურიის შინაურ მდგომარეობას. ხოლო ყველაფერი ეს საბაბს აძლევდა რუსის მთავრობის წარმომადგენელს გურიის საქმეებში ჩარეულიყო, რასაც მეფე თავისი უფლების უკანონო შეზღუდვად სთვლიდა.

ლეჩხუმის საკითხიც ბოლოს რუსებმა დადიანის სასარგებლოდ გარდასწყვიტეს. ოდიშის მართველობის შეჩენით მცხოვრებლები თავს დაესხნენ დეხვირის ციხეში ლეჩხუმს მყოფ მეფის მეციხოვნეთ, ხოლო ციხის დაცლის შემდეგ ის გარდაეცა, მიუხედავად მეფის პროტესტებისა, დადიანს. ამასთანავე რუსის მთავრობამ თან-და-თან განადიდა ქუთაისში და საზოგადოდ იმერეთში დაბინავებულ რუსის ჯარის რიცხვი, რაც ცხად ხდიდა რუსეთის პლანებს იმერეთის მიმართ. „მეფეც ამ ზომას სამართლიანად მის წინააღმდეგ მიმართულად სთვლიდა. ამ მიზეზით სოლომონ II იძულებული გახდა 1805 წლიდან განშორებოდა ქუთაისს და ამ ხნიდან მომეტებულად ვარციხეში ცხოვრობდა მთელი თავისი ჯარის თანხლებით. რუსის მოხელეთა უწესო საქციელი, რომელნიც ამის შემდეგ ქუთაისში თან-და-თან მეფის სასახლეში მოკალათდნენ და იმერ თავადებს მოახლეებს ართმევდნენ, იწვევდა აგრეთვე დიდს აღშფოთებას. საერთო დამამცირებელ მდგომარეობას კიდევ ემატებოდა რუსის მთავრობის მოთხოვნა ქვეშევრდომობაში მიღებისათვის პეტერბურგს სამადლობელო დეპუტაციის გაგზავნის შესახებ. ამ დეპუტაციაში უნდა შესულიყვნენ, რუსის მთავარმართებლების აზრით, მეფესთან დაახლოებული ზოგი გავლენიანი პირი, რომელთა რუსეთში წასვლა მეფის მთავრობას საკმაოდ შეასუსტებდა. რასაკვირველია, ასეთს პირობებში მეფე უარს აცხადებდა რუსეთის ქვეშევრდომობაში

მიღებისათვის იმპერატორთან სამადლობელო დეპუტაციის წარგზავნაზე.

მდგომარეობა თან-და-თან მწვავდებოდა, ასე რომ 1807 წელს რუსის მთავრობამ უკვე საბოლოოდ გარდასწყვიტა მეფე ტახტიდან ჩამოეგდო და იმერეთში ქართლ-კახეთის დაგვარად რუსის მართველობა შემოეღო. მაგრამ ამის განხორციელება მაშინვე შეუძლებელი იყო. იმერეთის მეფეს ქვეყანა ფრიად შემომტკიცებული ჰყავდა: თავისი სამართლიანი და სათნოიანი მოპყრობით და ჰუმანიური პოლიტიკით სოლომონ II-ს საერთო სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. გარდა ამისა მას ანგარიშს უწევდნენ არა თუ ქართლ-კახეთში, სადაც თავადებს შორის ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებოდა რუსის მართველობის დამყარების უკმაყოფილო ელემენტი, არამედ აზერბეიჯანის სახანოებშიც. ოსმალეთის მთავრობასთან და ახლო-მახლო ფაშებთანაც მეფეს კიდევ მიწერმოწერა ჰქონდა გამართული. ყველაფერი ეს ითხოვდა დიდს სიფრთხილეს რუსი მთავრობისაგან, რათა მას თავისი გეგმის უდროოდ გამოაშკარავებით ამიერ-კავკასიაში საერთო ცეცხლის ალი არ გაეჩაღებინა.

რუსნი ცდილობენ იმერეთის ზოგიერთ გავლენიან პირის თავისკენ გადაბირებას. რუსის მთავარ-მართებელნი ფრთხილად შეუდგნენ საქმის მოგვარებას. უპირველეს ყოვლისა ისინი შეეცადნენ მეფის ძალის დაქსაქსვას შიგნით სამეფოში ზოგიერთ გავლენიან პირთა თავისს მხარეზე გადაბირებით, რისთვისაც ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო გახდა ქრთამის გაღება ანდა კიდევ ისეთ დაპირებების მიცემა, რომელთა აუსრულებლობა თავისთავად ცხადი იყო. სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს, მაგალ., პირდებოდნენ მეფის გარდაგდების შემდეგ იმერეთის მართველობის ჩაბარებას. მრავლად დასაჩუქრებული, 1805 წლიდან პოლკოვნიკის ჩინით დაჯილდოვებული ზურაბ წერეთელი ეხლა გენერლობის მოლოდინში მეფის საღალატოდ ემზადებოდა. სახლთუხუცესის გადაბირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც უდიდესი მემამულე, ათასი კომლის მეპატრონე, და სამეფოს უპირველესი ხელისუფალი, ის დიდის გავლენით სარგებლობდა და მისი რუსეთისაკენ გადახრას ბუნებრივად მოყვა ზოგი სხვა გავლენიან პირთა გადაბირებაც. ამათ შორის იყვნენ ოტია და სეხნია წულუკიძენი და გენათელი მიტროპოლიტი ეფთიმე. შიგნით ამ გვარად ერთიანობა სამეფოს დაცვის საქმეში თან-და-თან ირღვეოდა.

ფოთის აღება რუსების მიერ. რუსეთთან მოსალოდნელ შეტაკების დროს იმერეთისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთის დახმარებას. მართალია, საჯართო ომის გამოწვევის შიშით ოსმალეთი ერიდებოდა აქტიურად ჩარევას იმერეთის საქმეებში, მაგრამ არა პირდაპირ მას შეეძლო თვალსაჩინო დახმარების აღმოჩენა. ფოთის ციხეს, რომელიც ოსმალების ხელში იყო, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა. რუსის მთავრობამ გარდასწყვიტა ჯერ ოსმალთა ამ სიმაგრის-

თვის მოელო ბოლო. 1807 წ. რუსის ჯარი ოდიშის რაზმებთან ერთად მიადგა ქალაქ ფოთს, ბრძოლით დაიჭირა ის და შემდეგ შემოადგა თვით ციხეს, მაგრამ ვერ აიღო.

პირველი ცდა ამგვარად უშედეგოდ ჩატარდა. მალე რუსის ჯარის უფროსი ლიხტ-იმერეთს გენ. რიხკოფი მოკვდა (1808 წ.) და მის მაგიერად დაინიშნა გენ. დომ. ორბელიანი ამის შემდეგ რუსის ჯარი, 12 როტა, აგვისტოში 1809 წ. კვლავ შემოერტყა ფოთის ციხეს, სადაც გამაგრებული იყო ბათომის ბეგი ქუჩუკ-ბეგ შერვაშიძე 600 კაცით. რუსის ჯართან იყო აგრეთვე ლევან დადიანი თავისი ლაშქრით. ციხის აღება უკვე დღე დღეზე მოსალოდნელი იყო, მაგრამ ამ დროს ფოთის ციხის მოსაშველებლად მოვიდა ტრაპეზუნტის ფაშა შერიფი 9 ათასი კაცით. რადგან ფოთის ციხის რუსების მიერ აღებას იმერეთისათვის ცუდი შედეგი ექმნებოდა, ამიტომ მეფის ბრძანებით მამია გურიელმა გზა დაანება შერიფ-ფაშას, რომელიც დაუახლოვდა ფოთს. მაშინ გენ. დომ. ორბელიანმა ნიკ. დადიანისძის და სხვათა შუამდგომლობით დაიწყო ლაპარაკი მამია გურიელთან, რომელიც დათანხმდა რუსის მხარეზე გადასვლას და ცოტა ხნის შემდეგ თავისი ჯარით დაეცა ზურგში შერიფ-ფაშის ლაშქარს. მეორე მხრივაც შეუტიეს რუს-მეგრელთ. ოსმალნი დამარცხდნენ და იძულებულნი ზღვით გავებით. ამის შემდეგ ფოთის ციხე დანებდა რუსთ (2 ნოემბ. 1809 წ).

ამ გვარად რუსებმა ერთსა და იმავე დროს მიაღწიეს ორს მიზანს, მოსპეს ოსმალების ბაზა რიონის შესართავში და გადაიბირეს თავის მხარეს მამია გურიელი.

იმერეთის სამეფოს დაპყრობა რუსთა მიერ. ამის შემდეგ რუსთა მთავრობამ გარდასწყვიტა ენერგიული მოქმედების დაწყება მეფის წინააღმდეგ. იანვარში 1810 წ. მას წარუდგინეს მოთხოვნილება: მეფეს უნდა გაეგზავნა რუსეთში დეპუტაცია, რომელშიაც უნდა ყოფილიყო ტახტის მეშკვიდრე კოსტანტინე ბატონიშვილი, —რუსეთიდან კარგა ხანს უკვე დაბრუნებული და ეხლა დიდი მოწინააღმდეგე რუსების პოლიტიკისა, მალხაზ ანდრონიკაშვილი, სოლ. ლიონიძე, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, როსტომ ნიჟარაძე და სეხნია წულუკიძე. რუსის მთავრობის წარმომადგენლებს ამით სურდათ ჩამოეშორებინათ მეფისათვის მისი უახლოესი მრჩევლები და აგრეთვე ისეთი პირნი, რომელნიც (გარდა სეხნია წულუკიძისა) მეფის დიდად ერთგულნი იყვნენ. ამასთანავე მეფე უნდა გადასულიყო საცხოვრებლად ქუთაისს, სადაც რუსის ჯარის უფროსს ნაბრძანები ჰქონდა მისი შეპყრობა და ტფილისში გაგზავნა. მოლაპარაკება ამის შესახებ გაგრძელდა 1810 წლის იანვარსა და თებერვალის პირველ ნახევარში. მეფე არ თანხმდებოდა წარმოდგენილ მოთხოვნილების შესრულებას და თავის მხრივ მოითხოვდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობათა განხორციელებას, სახელდობრ ლეჩხუმის დაბრუნებას, რუსის ჯარის, ერთი როტის გარდა, იმერეთიდან

გაყვანას, ქუთაისის სასახლის დაბრუნებას და სხვა-და-სხვა შეურაცხყოფისათვის დაკმაყოფილებას. რადგანაც მოლაპარაკებით შეთანხმება არ შეიძლებოდა, ამიტომ 20 თებერვალს წინასწარ განზრახულ გეგმის თანახმად რუსებმა ქუთაისში იმპერატორის სახელით გამოაქვეყნეს ბრძანება მეფის ტახტიდან გარდაყენების და იმერეთში რუსის მართველობის შეყოლების შესახებ. ამავე დროს დაიძრა ჯარები. ლევან დადიანი 4,500 კაცით გადავიდა ცხენის-წყალს. გურიელიც ჯარით წამოვიდა იმერეთისაკენ. ხოლო თვით რუსის ჯარი დაიძრა ვარდციხისაკენ, სადაც იმყოფებოდა მეფე 4 ათასი კაცით. ვარდციხეში გამაგრება მეფეს ვერ შესძლო და არჩია ბაღდადისაკენ დახევა. რუსებს უკვე მოეკრათ ხანის ხეობაში ახალციხისკენ გადასასვლელი გზები და ამასობაში იმერეთის დიდი ნაწილიც დაეფიცებინათ რუსეთის ერთგულებაზე. ციხეები, გარდა ოამოდენიმე გამონაკლისისა, დანებდა რუსებს ან მათ მომხრეებს. მეფე გაჭირვებაში ჩავარდა და დაიწყო მოლაპარაკება რუსებთან. რუსეთის ჯარის უფროსმა გენ. სვიმონოვიჩმა ინახულა მეფე ფერსათის მთის ახლოს სალხინოს საყდარზე და ფიცით დაარწმუნა ის, რომ რუსის მთავრობას არ აქვს განზრახვა მას მეფობა წაართოს და მთავარ-ართებელ ტორმასოვთან მოლაპარაკების შემდეგ საქმე მოგვარებული იქმნებაო. ამის შემდეგ მეფე დიდის ახალით (500-მდის კაცით) დაიძრა ქართლისაკენ (28 მარტს 1810 წ.). ტორმასოვი უცდიდა მეფეს გორის ახლოს სოფ. ვარიანში. სოფ. დირბში მეფის ამალას შემოარტყეს რუსის ჯარი, როკლის თანხლებით მეფე მიიყვანეს ვარიანს და შემდეგ ტფილისს, სადაც პატიმრის მსგავსად დააბინავეს სუმბათაშვილის სახლში. მას მიუყენეს ყარაული, ამალა კი გარდა პირისფარეშებისა ჩამოაშორეს. ტორმასოვი უცხიდა იმპერატორის ბრძანებას მეფის რუსეთში გაგზავნის შესახებ. 9 მაისს ღამე მეფე, თავისი პირისფარეშის ტანისამოსში გადაცმული, გაიპარა სააპატიმრო სახლიდან და ერთ იმერელ დესეტნიკის თანხლებით გავიდა ქალაქს გარედ, სადაც მას დახვდნენ წინდაწინვე მომზადებულნი და შეთქმულობის მონაწილენი სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, ძმა ამისი როსტომ, სვიმონ სახლთუხუცესის ზურაბის-ძე და სვიმონ გიორგის-ძე წერეთლები და სხვები. სულ 23 იმერი თავად-აზნაური. ყველა ესენი მსწრაფლ გაეშურნენ ცხენებით ახალციხის საფაშოს საზღვრისაკენ. თრიალეთის იქით მათ შეხვდათ ლეკის ჯარი 300-მდე კაცი, რომელთა ბელადი, როგორც კი მან გაიგო საქმის ვითარება, მივიდა მეფესთან, თაყვანისცა მას და მიაცილა ახალციხემდის, სადაც სოლომონ II-ს გამოეგება ფაშა დიდის ამბით. 17 მაისს ახალციხიდან მეფემ დაგზავნა იმერეთის წარჩინებულთა და აგრეთვე ხალხის მიმართ პროკლამაციები, ხოლო ივნისში მცირეოდენი ოსმალთა რაზმის თანხლებით გადავიდა იმერეთს და მივიდა ტყაჩირს აგიაშვილის სასახლეში.

მეფის შემოსვლის გაგებისთანავე მთელი იმერეთი, როგორც ერ-

თი კაცი, ფეხზე დადგა. ქუთაისში გენ. სვიმონოვიჩის წინამძღოლობით, მყოფ რუსის ჯარს გზები შეკრული ჰქონდა. ზემო-მხარის დასამშვიდებლად გაგზავნილ ორი როტით მაიორი კალატოზიშვილი იმერთ დაამარცხეს, თითონაც მოკლეს, ხოლო მისი რაზმი გასწყვიტეს. რუსებმა გაგზავნეს მეორე რაზმი, რომელმაც დაამარცხა იმერლების ჯარი აბაშიძეების მეთაურობით. თვით ჯარის წინამძღოლი ქაიხოსრო აბაშიძე და სამი მისი შვილი როსტომ, გიორგი და სიმონ ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. ტფილისიდან გამოგზავნეს 3,200 კაცი რუსის ჯარით გენ. დიმ. ორბელიანი, ხოლო ამავე დროს ლევან დადიანი ოდიშისა და აფხაზთა ჯარით მიეიდა ჯიხაიშს, სადაც მას შეუერთდა 500 რუსის ჯარის-კაცი. ბეფე დაეცა დადიანს და დაამარცხა ის, მაგრამ მან მაინც მოახერხა ცოტა ხნის შემდეგ ქუთაისში მისვლა და სვიმონოვიჩთან შეერთება. ამასობაში გენ. დიმ. ორბელიანმა თავისი ტფილისიდან წამოყვანილი ჯარი გაყო ორ ნაწილად და შეესია იმერეთს. პირველი ნაწილი ამ ჯარისა საზღვარზე სოფ. ალთან დაამარცხეს იმერლებმა. რუსებმა დაკარგეს 500 კაცი. ამის გამო ორბელიანს ჩამოართვეს მხედართმთავრობა. ის დაუმორჩილეს გენ.-ლეიტ. ბარონ როზენს, რომელიც ახალი ჯარით დაიძრა იმერეთისაკენ. ჩხერის ციხესთან მან დაამარცხა 5 ათასი კაცისაგან შემდგარი იმერლების ჯარი და მიადგა ქუთაისს. აქედან შეერთებული რუსის ჯარი დადიანით და გურიელით გაემართა მეფის წინააღმდეგ. რუსის ჯარში მივიდა ამ დროს თავისი რაზმებით სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, წულუკიძენი და აგრეთვე ზოგი აზნაური. მეფე გამაგრდა ხანის-წყლის ხეობაში, სადაც იმყოფებოდა კარგა ხანს, მაგრამ ბოლოს-და-ბოლოს უკანასკნელ სასტიკი ბრძოლის შემდეგ დამარცხდა. მაშინ თავისი ცოლი მარიამ დედოფალი, რომელიც იყო მამიდა ლევან დადიანისა, მეფემ გაგზავნა ოდიშს, თითონ კი მცირეოდენ დარჩენილ თავად-აზნაურთა და მეომართა თანხლებით გადავიდა ახალციხის საფაშოში. მთავარ-მართებელი გენ. ტორმასოვი რუსის დიდი ჯარით და აგრეთვე ოდიშ-გურიის ჯარის თანხლებით მიადგა ახალციხეს, მაგრამ მალე ქამის გაჩენის გამო იძულებული გახდა ალყა მოეხსნა და უკან დაბრუნებულიყო.

ოსმალეთში გაქცეულმა სოლომონ II-მ აღძრა შუამდგომლობა სულთანის წინაშე ჯარით დახმარების შესახებ, მაგრამ ოსმალეთი რუსეთის გადაკიდების მორიდებით დაკმაყოფილდა მხოლოდ დიპლომატიური მიწერ-მოწერით. ოსმალეთმა მოსთხოვა რუსეთის მთავრობას, თანახმად კუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის ტრაქტატისა, იმერეთის დაცლა, მაგრამ რუსეთმა ეს მოთხოვნილება მხოლოდ დიპლომატიური ხასიათისა, რასაკვირველია, უყურადღებოდ დასტოვა. ამ დროს იმერეთშიდაც შინაურმა მდგომარეობამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. 1810 წლის ომს მოყვა სიმშილი, რადგან ყანების დათესვა იმ წელს არ მოესწრო და ისედაც ქვეყანა რუსის მომხრეთაგან და რუსეთის ჯარისაგან

ხაშინლად აოხრდა. ამას თან დაერთო ჟამი, რომელიც 1811 წელს გაჩნდა და 1812 წელსაც მძვინარებდა. სიშიმილი და ჟამი მოედო აგრეთვე ოდიშსა და გურიასაც. ამ სტიქიურმა უბედურებამ დიდი ნავნები ქნა. მოსახლეობა მეტელს ამ მხარეში განახევრდა. ბევრი სოფელი ამოწყდა, ზოგში გადარჩა კიდევ მცხოვრებთა მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი. ასეთს პირობებში სამეფოს განთავისუფლებაზე ფიქრი უკვე არ შეიძლებოდა. დამწუხარებული მეფე სოლომონ II გარდაიცვალა 42 წლისა ტრაპეზუნტს 7 თებერვალს 1815 წ., სადაც დამარხულია წმ. გრიგოლის ბერძნების ეკლესიის გალავანში. მისი ერთგულ თავადთა შორის სოლომონ ლიონიძე უკვე 1811 წ. გარდაცვლილიყო ახალციხეს, სხვანი კიდევ მეფის სიკვდილის შემდეგ დაბრუნდნენ იმერეთს, სადაც რუსის მთავრობამ დაუბრუნა მათ მამულები.

რუსული მართველობის შემოღება იმერეთში. მეფე სოლომონ II-ის განდევნის შემდეგ იმერეთში შემოღებულ იქმნა რუსული მართველობა. ყოფილი სამეფო გაყოფილ იქმნა 6 ნაწილად: ქუთაისისა, ვაკისა, რაჭისა, საჩხერისა, ჩხერისა და ბაღდადისა. მთელს იმერეთს განაგებდა გამგე, რომელთანაც არსებობდა გამგეობა, სამი ექსპედიციისაგან შემდგარი: ექსპედიცია აღმასრულებელი, სახაზინო და სასამართლო. გამგეობა შესდგებოდა იმერეთის გამგის თავჯდომარეობით 3 მრჩეველისა ანუ სოვეტნიკისაგან რომელნიც რუსი მოხელენი იყვნენ. თითო სოვეტნიკს ჰყავდა ორი თანაშემწე (ასესორი) იმერეთის თავადთაგან. სასამართლოს ექსპედიციაში სამოქალაქო საქმეები ირჩეოდა ვახტანგ მეფის კანონებისა და ადგილობრივ ჩვეულებათა თანახმად, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები კი რუსეთის კანონების მიხედვით.

მართვა-გამგეობის ამ გვარი წესით რუსის მთავრობას სურდა თანდათან მოემზადებინა იმერეთი რუსეთის საერთო წესებისთვის დასაქვემდებარებლად. თავადების მიწვევას მართვა-გამგეობის საქმეში მიზნად ჰქონდა კიდევ მათი გულის მოგება ახალი წეს-წყობილების სასარგებლოდ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. იმ დროს, როდესაც რუსეთი იპყრობდა იმერეთს, რუსის მთავრობას უკვე გარდაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობა. ამით მას უნდოდა დაეჩქარებინა საქართველოს რუსულ გუბერნიებთან შედუღება და ეკლესიურ სფეროშიც ქართველი ხალხი დაექვემდებარებინა რუსულ მართველობისათვის. ჯერ კიდევ იმპერატორ პავლეს დროს განზრახული იყო სამეფოს შემოერთებასთან ერთად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა და ქართლ-კახეთში 2 ეპარქიის (ტფილისის და თელავის) დაუფუძნება. შემდეგ ეს პროექტი დროებით მივიწყებულ იქმნა, თუმცა ციციანოვი ხშირად ერეოდა საეკლესიო მართველობის საქმეებში. 1808 წ. კი მთავრობამ ხელზე დაიხვია კათალიკოზსა და ტფილელ მიტროპოლიტს არსენის შორის მომხდარი უსია-

მოვნება და გარდასწყვიტა საბოლოოდ მოესპო ეკლესიის ავტოკეფალია. 10 ივნისს 1811 წ. იმპერატორის ბრძანებით კათალიკოზი ანტონი გაწვეულ იქმნა რუსეთს, ხოლო ტფილისში კი დაინიშნა ვარლამ ქსნის ეპისთვისძე საქართველოს ექზარხოსისა და მცხეთის მიტროპოლიტის ტიტულით. ამიერიდან საქართველოს ეკლესია ემორჩილებოდა რუსეთის უწმიდეს სინოდს. საბოლოო სახე ამ საეკლესიო რეფორმამ მიიღო 1814 წ., როდესაც 30 აგვისტოს იმპერატორის ბრძანებით დაარსებული იქმნა უწმიდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორა, რომელიც გახსნეს ტფილისში 1815 წ. 8 მაისს. კათალიკოზობის დროს არსებულ 12 ეპარქიის ნაცვლად ეხლა ქართლ-კახეთში დატოვებულ იქნა 3 ეპარქია ერთი სავიკარო ეპისკოპოსით. ხოლო იმერეთს დროებით დატოვებული იქმნა არსებული წესები. ვარლამ მიტროპოლიტი ექზარხოსობდა 1817 წლამდის, ამ წელს კი ის გაწვეულ იქმნა სინოდში და საქართველოს ექზარხოსად დანიშნა თეოფილაქტე (რუსანოვი). ამის შემდეგ ექზარხოსებად ინიშნებოდნენ რუსი მღვდელთ-მთავრები.

რუსეთში გაწვეული ანტონ II კათალიკოზი დაასახლეს ნიჟნი-ნოვგოროდში, სადაც ის გარდაიცვალა 21 დეკემბერს 1827 წ.

ამ გვარად დამყარდა რუსული მართველობა ქართლ-კახეთსა და იმერეთში. რამდენიმე ხანს კიდევ შენარჩუნებული იყო ავტონომიური მართველობა ლიხთიმერეთის სამთავროებში — გურიასა, ოდიშსა, სვანეთ-აფხაზეთში. მაგრამ შემდეგ რუსის მთავრობა თანდათან ცდილობდა ამ სამთავროებშიდაც უშუალოდ თავისი მართველობა შემოეღო. პირველად გურიამ დაკარგა თავისი ავტონომიური მართველობის ის წესები, რომელიც მას ჯერ კიდევ შენაჩუნებული ჰქონდა. ეს მოხდა რუს-ოსმალოს ომის დროს 1828 წ. ოდიშსა და აფხაზეთშიაც რუსის მართველობა თანდათან ფეხს იკიდებდა. 1840 წ. რუსებმა ჩამოართვეს დადიანს სამურზაყანო და გააწესეს იქ თავისი ბოქაული ასევე, ამავე დროს რუსული მართველობა შემოღებულ იქმნა წებელდაში. 1868 წ. კიდევ ფორმალურად მოისპო სამეგრელოს სამთავროს არსებობა, თუმცა ფაქტიურად რუსული მართველობა ოდიშში უკვე კარგა ხანია (1859 წ.) იყო შემოღებული. 1858 წლიდან მთელი სვანეთიც რუსის ბოქაულის მართველობის ქვეშ იმყოფებოდა. მე-19 საუკუნის მესამოცე წლებიდან რუსეთის იმპერიის ფარგლებში მყოფ საქართველოს ყველა პროვინციებზე გავრცელებული იყო უშუალოდ რუსული მართველობა.

ამასთანავე რუსეთი იერთებდა ოსმალეთის ხელში მყოფ ქართულ პროვინციებს 1828—1829 წ.წ. ომს ოსეთსა და ოსმალეთის მორის მოყვა სამცხე-ჯავახეთის შეერთება რუსეთთან. 1877—1878 წწ. ომის შემდეგ რუსეთზე კიდევ გადავიდა ბათომისა და ყარს-არტაანის მხარეები. მე-19 საუკუნის ბე-80 წლებიდან მთელი საქართველო, გარდა ისპირ-თორთუმის მხარისა და ჰანეთისა, გაერთიანებული იყო რუსეთის

მფლობელობის ქვეშ, რომელ ბოლობელობასაც ახასიათებდა ერთის მხრივ თანდათანი დაკავშირება ქართველი ერისა რუსეთის საშუალებით ევროპიულ კულტურასთან, მაგრამ ამასთანავე მძლავრი გამარუსებელი პოლიტიკა, რომელიც საფრთხეში აგდებდა ქართველი ერის მომავალს.

მხოლოდ 1917 წ. რუსეთში მომხდარ დიდ რევოლიუციის შემდეგ, რასაც კავკასიაში მოყვა რუსეთის ფრონტის დაშლა ოსმალეთის მიმართ და რუსის ჯარის მიერ ამიერ-კავკასიის სრულიად მართვება, ქართველ ერს რამოდენადმე ისევ გზა გაეხსნა თავისუფალ თვ თმოქმედებისაკენ. 918 წ. 26 მაისს გამოცხადებულ იქმნა საქართველოს დამოუკიდ. დემოკრატიული რესპუბლიკა, რასაც ახალი რუსეთის—საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახით და ახალი ლოზუნგებით—ამიერ.კავკასიაში ისევ დაბრუნების შემდეგ, შეუდგა, რუსის ჯარის მიერ 1921 წ. 25 თებერვალს ტფილისის დაპყრობის დროიდან, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, რუსეთში არსებულ მართველობის დაგვარად, კომუნ-სტური პარტიის მეთაურობით. ასეთი იყო მდგომარეობა 1921 წლის სიგრძეზე.

XIV.

ფაქტები საქართველოს საერთო მდგომარეობიდან მე-XVIII საუკუნეში.

ეკონომიური ვითარება. მიუხედავად არა-ხელსაყრელ პოლიტიკურ პირობებისა, ეკონომიური ვითარების მხრივ საქართველოს სამეფო-სამთავრონი მე-18 საუკუნის სიგრძეზე წინსვლას განიცდიდნენ. მეურნეობა სწარმოებდა ქართლ-კახეთში წინანდებური წესით, მხოლოდ აღსანიშნავია, რომ მე 18 საუკუნის სიგრძეზე კახეთს ემჩნევა მეტი წინსვლა და განვითარება ეკონომიურის თვალსაზრისით, ვიდრე ქართლს, რაც გამოიხატა ქვეყნის უკეთ მოშენებასა და მეტს დოვლათიანობაში ეს ფაქტი გარკვევით შეიძლება აღნიშნულ იქმნას მე-1770-იან წლებისთვის, რასაც ხელს უწყობდა შედარებით მეტი უზრუნველყოფა მშვიდობიან ცხოვრებისა კახეთში, განსაკუთრებით ლეკთა თარეშებისაგან.

ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიხთ-იმერეთის შემდეგ დროინდელ ვითარებისათვის მე-1760-იან წლებში სიმინდის თესვის შემოღებას. პირველად სიმინდი შემოღებულ იქმნა, როგორც 1752 წ. დავით დადიანის მიერ შედგენილ უსტარიდან სჩანს, ოდიშში 1767 წ. მდ. ღუნაის ქვეყნებიდან. სიმინდმა სწრაფად იწყო გავრცელება ღომის მაგივრად, რადგან მისი თესვა დახარჯულ შრომის ანაზღაურებისა და ამაყე დროს კვების თვალსაზრისით მეტი ნოყიერებისა გამო უფრო მიზანშეწონილად სჩანდა. ოდიშიდან სიმინდი სწრაფად გადავიდა გურიასა და იმერეთს, ასე რომ 1773 წ. სიმინდს კანტი-კუნტად ვხედავთ მთელს იმერეთში, გარდა ოკრიბისა და ზემო-რაჭისა. თანდათან სიმინდი ხდებოდა ლიხთ-

იმერეთის სამეფო-სამთავროების მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ საკვებ საგნად, უმთავრესად ღომის მაგივრად. მე-19 საუკუნის დასაწყისში სიმინდის თესვა ყველგან ლიხთ-იმერეთს უკვე საკმაოდ ფეხ-მოკიდებული იყო.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიხთ-იმერეთის შინაურ ვითარების გაუმჯობესების მხრივ. ხალხმა ეკონომიურად მომაგრება იწყო, მოსახლეობის მომრავლებაც განსაზღვრულ ტერიტორიაზე, დამუშავებულ მიწის მიერ მეტი საკვები მასალის მოცემისა გამო, შესაძლებელი შეიქმნა.

ეკონომიური თვალსაზრისითაც ფრიად საგულისხმიეროა მე-18 საუკუნის სიგრძეზე მეტი განცხოვლება როგორც შინაურ, ისე საგარეო ვაჭრობისა. ამ მხრივ აღსანიშნავია კერძოდ ტფილისში სავაჭრო დუქნების შედარებით მოსახლეობასთან თვალსაჩინო ზრდა. მე-18 საუკ. პირველ წლებში, მაგ., ტფილისში იყო 240 სავაჭრო დუქანი, 1786 წ კიდევ 500, ხოლო მე-19 საუკ. დასაწყისს (1803 წ.) 574 სავაჭრო დუქანი. საგარეო ვაჭრობა სწარმოებდა უმთავრესად სპარსეთთან და ოსმალეთთან. მე-1770-იან წლებიდან კიდევ თუმცა მცირე მასშტაბით მაგრამ მაინც იწყება სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან, საიდანაც, სხვათა შორის შემოდის ევროპიული კულტურის სახმარი საგნები: ევროპიული მაუდი, შლიაპები, ქოლგები, ჰურჭლეულობა, დანა-ჩანგალი და სხვ.

სავაჭრო ურთიერთობის განვითარების, საზოგადოდ ეკონომიური ცხოვრების წინსვლის მაჩვენებელია, სხვათა შორის, ფულის მნიშვნელობის ზრდა მე-18 საუკუნეში. საქონლის გაცვლა-გამოცვლის ადგილს თანდათან იჭერდა ფულზედ ანგარიში. ადგილობრივ ფულის საჭიროების დასაფარავად ტფილისში არსებობდა ზარაფხანა, რომელიც იჯარით იყო გაცემული და სადაც იჭრებოდა ვერცხლის და სპილენძის ქართული ფული. ხოლო ლიხთ-იმერეთის საშეფო სამთავროებში უმთავრესად ოსმალეთის ფული ტრიალებდა.

აღსანიშნავია ამასთანავე ფულის (ვერცხლის) თვალსაჩინო გაიაფება მე-18 საუკუნის სიგრძეზე.

მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელობა ჰქონდა ტფილისში ზარაფხანისა და აგრეთვე ზარბაზნის ჩამომსხმელი და ტყვიაწაღლის ქარხნის არსებობას. 1778 წლიდან გერმანელ რეინეგსის დახმარებით ამ ქარხანასა და ზარაფხანაშიაც შეტანილ იქმნა თვალსაჩინო გაუმჯობესება.

ქალაქები. ქალაქი ტფილისი მე-18 საუკუნის სიგრძეზე თავისი სიდიდის მხრივ თვალსაჩინო ცვლილებას არ განიცდიდა. 1702 წ. ტფილისში იყო 20,000 სული მცხოვრები 2,500 კომლად. მათ შორის სომხობა 14 ათასი, თათრობა 3 ათასი და ქართველობა 2 ათასი სული. 1772 წ. კიდევ ორი წლის წინად გამოვლილ ჟამის გამო, რამაც იმს-

ხვერპლა მოქალაქეთაგან 4.000 სულზე მეტი, ტფილისში ირიცხებოდა ისევ 20 ათასი სული. ამათგან ნახევარზე ოდნავ მეტი სომხობა იყო, შემდეგ მიყვებოდა ქართველობა და ქართველობის შემდეგ თათრობა. შედარებით წმიდა ქართული ელემენტი ტფილისში ამ გვარად ზრდას განიც იდა. ტფილისში იყო მეფის სასახლეები. მთავარი სასახლე, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში რუსტომ მეფის მიერ სპარსულ სტილზე აშენებული, ორსართულიანი იყო სარდაფებს გარდა, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, სიონსა და ანჩისხატს შუა გადაჭიმული 65 საჟენის სიგრძეზე. მეფე ვახტანგ VI-მ კიდევ გააშენა ცალკე მდიდრული სასახლე, შიგნით მხატვრობით შემკული, რომელიც შემდეგ ოსმალთ დაანგრიეს. ამის მაგივრად თეიმურაზ II-მ აგრეთვე გააშენა თავისთვის ახალი სასახლე. სასახლეებს გარდა ტფილისში იყო მართებლობის სხვადასხვა დარგებისათვის ცალკე სახლები—დივანხანა, თოფხანა, ზარაფხანა, საიასაულო სახლი და სხ. მთელი ქალაქი კვლავინდებურად შემორტყმული იყო ქვითკირის გალავანით, ნარიყალის ციხიდან დასავლეთით, ჩარდახის კოშკის აღმოსავლეთით ლ ამ კოშკის გასწვრივ მტკვრისკენ. ქალაქის სიმაგრე-გალავანს გარეშემო მიმავალ ხაზის სიგრძე 3 ვერსი იქმნებოდა. ქალაქს ჰქონდა სულ 6 კარი. ქალაქის გარეშე უბნებიც საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი. 1781—1782 წ. ტფილისში იყო სულ 3498 კომლი, მათ შორის შიგნით ქალაქში 2329 კომლი და გალავანს გარეშე აღლაბარითურთ 1.184 კომლი.

ქალაქის სათავეში იდგა მოურავი, რომელსაც მეფე ნიშნავდა. „ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს“, ამბობს 1784 წ. შედგენილი მოურავის დებულება. მოურავს ჰქონდა მოსამართლის ფუნქციები. მას ექვემდებარებოდა სამოქალაქო ხასიათის საქმეების გარჩევა. მოურავს ექვემდებარებოდნენ მელიქი (სომეხ-მოქალაქეთათვის), მამასახლისი და ნაცვალი. უკანასკნელი, მის ხელქვეით მყოფ პირებითურთ, პოლიციური მოვალეობის აღმასრულებელი იყო.

ტფილისის შემდეგ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ქალაქი ქართლ-კახეთში გორი იყო, რომელსაც ისეთივე მართველობის წესი ჰქონდა, როგორც ტფილისს.

ამის გარდა ქართლ-კახეთში, 1770 წ., მაგალითად, ითვლებოდა შემდეგი ქალაქები: თელავი, სიღნაღი, სურამი, წილკანი და მცირე ქალაქები—ანანური და ახალგორი. გარდა ამ ქალაქებისა ერეკლე მეფის ძემ ვახტანგმა, არაგვის საერისთაოს საუფლისწულოდ მიღების შემდეგ, დუშეთი გახადა ქალაქად და მოაშენა ის იმდენად, რომ 1803 წ. იქ 236 კომლი ითვლებოდა და 48 დუქანი.

ქალაქი ქუთაისი ლიხთ-იმერეთს თავისი შინაგან შემადგენლობის მხრივ მე-18 საუკუნეში თვალსაჩინო ცვლილებას განიცდიდა. ქუთაისის ციხიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ 1770 წ. ქალაქის ცხოვრება დროებით, როგორც თავისს ადგილას ნაჩვენები იყო, მოდუნდა, მაგრამ შემ-

დეგ ქალაქმა ისევ გამოსწორება იწყო, ასე რომ 1809 წ. ქუთაისში. ირიცხებოდა მარტო სახასო ყმა 198 კომლი, საერთო მცხოვრებთა რიცხვი კი შეიძლება ამ დროისთვის 360 კომლამდის იქმნას ნავარაუდევი. ამავე ხანებში (სახელდობრ 1804 წ.) ქუთაისში ასამდის სავაჭრო დუქანი ითვლებოდა.

ქუთაისის მართველობის სათავეში იდგა მოურავი, რომელიც 1770-იან წლებიდან ჩვეულებრივ წულუკიძის გვარეულობიდან იყო. ის ამავე დროს სარდლადაც ითვლებოდა. ის აღჭურვილი იყო სამოსამართლო ფუნქციებითაც. მოურავის თანაშემწედ მამასახლისი ითვლებოდა. მოურავსავე ემორჩილებოდა მეხიდისკარე, რომელიც ხიდის ბაჟს კრეფდა.

სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები დასავლ. საქართველოსი—ფოთი და სოხუმი ოსმალების ხელში იყო. ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშოში კიდევ ყველაზედ უფრო მნიშვნელოვან ქალაქად ახალციხე ითვლებოდა. ახალციხე იყო რეზიდენცია ოსმალოს ფაშისა, რომელიც თვალყურს ადევნებდა იმერეთ-გურია-ოდიშის საქმეებსაც და ამავე დროს ესევე ქალაქი წარმოადგენდა საკმაოდ თვალსაჩინო სავაჭრო პუნქტს.

სახელმწიფო წესწყობილება. მე-18 საუკუნეში სახელმწიფო წესწყობილებას საქართველოში ახასიათებს ფეოდალურ ხანისთვის დამახასიათებელ დაქსაქსულობის მაგიერ ძლიერი ცენტრალურ ძალა-უფლების დამყარების მიდრეკილება. ამისდა მიხედვით სამმართველო აპარატი ქართლ-კახეთსა და იმერეთში თანდათან ცვალებადობას განიცდიდა. მართალია, ეს ცვალებადობა არ იყო ძირითადი ხასიათისა, მაგრამ მართველობისთვის მეტი სიმტკიცის მოსაპოებლად მას მაინც თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა. ქართლ-კახეთში მართველობის ახალმა ნორმებმა საბოლოოდ ჩამოყალიბება იწყეს მე-1760-იან წლებიდან, როდესაც ერთის მხრივ ფეოდალურ ელემენტების საბოლოოდ დამარცხების შემდეგ და მეორეს მხრივ ქართლისა და კახეთის გაერთიანებისა გამო, აუცილებელი შეიქმნა სამეფო მართველობის განმტკიცება ახალ მოთხოვნილების თანახმად. ამის შემდეგ ქართლ-კახეთში 1800 წლამდი ჩვენ გვხვდება, თანდათან დამუშავების მიხედვით, შემდეგი ნორმები სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. მეფის უფლება არის განუსაზღვრელი, თუმცა თავადებისა და ეკლესიისათვის ანგარიშის გასაწევად მეფე განსაკუთრებულ შემთხვევებში იწვევს დიდ-კაცების კრებას ამა თუ იმ დიდმნიშვნელოვან საკანონმდებლო (როგორც, მაგ., მორიგი ჯარის დაარსებისას) ან კიდევ საპოლიტიკო საკითხის გასარკვევად და გარდასაწყვეტად. მეფე განაგებს სახელმწიფო საქმეებს უშუალოდ თავისი ხელისუფალთა დახმარებით. ხელისუფალთა შორის პირველი ადგილი უჭირავს სახლთუხუცესს და მეწინავე სარდალს. მე-1770 წლებიდან ქართლის სახლთუხუცესის და მეწინავე სარდლის თანამდებობა გაერთიანებულია ერთი პირის ხელში ორბელიანთა გვარეულობიდან, რომელიც იწოდება სარდალ-სახლთუხუცესად. კახეთისთვის იყო კიდევ ცალკე სახლთუხუცესი.

სახლთუხუცესის ხელში იყო სამეფოების შემოსავალ-გასავლის საქმის წარმოება. სამოქალაქო მართველობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მე-1760-იან წლებიდან საბოლოოდ ჩამოყალიბებულ მდივანბეგებისა და მეფის მდივნების ინსტიტუტს. მდივანბეგების და მდივნების რიცხვი იყო სულ 10, მათს მოვალეობას შეადგენდა მეფის ხელმძღვანელობით და ზშირად უშუალო მონაწილეობით მართველობითი სხვადასხვა რთულ ვალდებულებათა შესრულება და იმავე დროს სამართლის წარმოებაც. მართველობის და განსაკუთრებით სამართლის წარმოების გასაადვილებლად მდივანბეგების და მდივნების ამ საერთო რიცხვიდან ოთხი პირი კახეთისთვის იყო დანიშნული. მდივანბეგნი 1772 წ. ოთხნი იყვნენ, დანარჩენი 6 მდივნებად ითვლებოდნენ მაგრამ მე-18 საუკუნის დასასრულს ორი მდივანი იმავე დროს მდივანბეგის თანამდებობასაც ასრულებდა. მე-1780-იან წლებში ზოგიერთ მდივანბეგის ფუნქციები განსაზღვრული იყო, ერთს (სოლ. ლიონიძეს) ებარა საგარეო საქმეები, მეორეს კიდევ შინაური მართველობა.

სამხედრო წყობილების თვალსაზრისითაც ქართლ-კახეთმა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში აგრეთვე რამოდენადმე ცვლილება გამოიარა. კერძოდ კახეთში ეპისკოპოსების სადრო შოები მოისპო, ქართლშიდაც ერეკლე II-ის მიერ აღებულ ენერგიულ ხაზის გამო სამხედრო მართველობას მეტი მთლიანობა და ცენტრისაგან მეტი დამოკიდებულება მიეცა. მე-18 საუკუნის დასასრულს ქართლ-კახეთში ითვლებოდა სულ 5 სარდალი: მეწინავე იგივე სახლთუხუცესი და შემდეგ მემარჯვენე, მემარცხენე, მეფის დროშისა, ხოლო კახეთში სარდლის ხარისხს ატარებდა მხოლოდ ქიზიყის მოურავი. სარდალს ჰქონდა თავისი შემოსავალი, მე-17 საუკუნის დასასრულს და მე-18 საუკუნის დასაწყისს ცხერის ფარაზე ორი ცხვარი წლიურად და გარდა ამისა სადრო შოების აღწერის დროს (აღწერა სწარმოებდა 7 წელიწადში ერთხელ) ცალკე გარდასახადი კომლეულად. სარდლების ხელქვეით იყვნენ ჯარის აღმწერელნი—ლაშქარ-ნივისნი, რომელთა რიცხვი იყო 5.

მეფის კარი კიდევ შესდგებოდა, წინად შემოღებულ სპარსულ წესების მიხედვით, მრავალ სხვა და სხვა მოხელეებისაგან, როგორც ეშიკ-ალასბაში (მანდატურთ-უხუცესი), მოლარეთ-უხუცესი, ნაზირები, მორდალი და სხ. დედოფალს ჰყავდა აგრეთვე თავისი კარი, ასევე კათალიკოზს და დიდ თავადებსაც.

იმერეთის სამეფოში მეფის უფლება თეორიულად აგრეთვე განუსაზღვრელი იყო, თუმცა ჩვეულებრივ მეფე საქმეებს აწარმოებდა მასთან არსებულ რჩევის დახმარებით. რჩევაში მონაწილეობას ღებულობდნენ თავადები, მღვდელთმთავრები და ზოგი გავლენიანი ტახტის აზნაურიც. 1790-იან წლებიდან, მტკიცე ძალა-უფლების განმტკიცების შემდეგ, მართველობის პირველ პირად სჩანს ისევ სახლთუხუცესი, რომლის

მნიშვნელობა ამ დროიდან ძლიერ გაიზარდა. მეფეს ჰყავდა კიდევ 2 მდივანბეგი და 2 მდივანი ისეთივე გამოურკვეველი ფუნქციებით, როგორც ეს ქართლ-კახეთში იყო.

სამხედრო თვალსაზრისით სოლომონ II-ის დროს იმერეთი გაყოფილი იყო სამ სამდროშოდ, ნაცვლად მე- 8 საუკ. მეორე ნახევრამდის არსებულ ოთხ სადროშოსი, რადგანაც რაჭის საერისთაოს გაუქმების შემდეგ რაჭის ცალკე სადროშოც მოისპო.

სარდალს იმერეთში ჰქონდა თავისი შემოსავალი. ეგრედ წოდებულ ზემო-ქვეყანის (ზემო-იმერეთის) სარდლის წერეთლის სარგო მე-18 საუკ. ნახევარში იყო კომლზე სამს წელიწადში ერთხელ თითო კოკა ღვინო.

იმერეთის მეფეს ჰყავდა კიდევ თავისი კარის მოხელეები, რომელთა თანამდებობათ აქ უფრო მეტად შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული სახელები, ვიდრე ქართლ-კახეთში: მოლარეთ-უხუცესი, მელვინეთ-უხუცესი, მესტუმრეთ-უხუცესი და სხ.

ოდიშსა და გურიაში აგრეთვე პირველს თანამდებობას სახლთ-უხუცესობა შეადგენდა.

ყველა სამეფო-სამთავროებში კიდევ არსებობდა მოურავების თანამდებობა ცალკე კუთხეებისა და სოფლებისთვის. გიორგი XII-ის დროს ქართლში იყო 33 მეფის მოურავი და კახეთში 38. იმერეთში სოლომონ II-ის დროს იყო 26 მეფის სამოურავო.

წოდებანი. ეკლესია. მოწინავე წოდების დიდ თავადების მნიშვნელობა მე-18 საუკუნეში, მეფის ძალა-უფლების განმტკიცებასთან ერთად, თანდათან სუსტდებოდა. როგორც ქართლ-კახეთსა, ისე იმერეთში დიდ-დიდი გვარეულობათა მთლიანი სახლეულობა ხშირად იყოფოდა განსაკუთრებით მე-18 საუკ. მეორე ნახევარში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა თავადების ნივთიერად დაკნინებას და საერთოდ მათი მნიშვნელობის შესუსტებას. თავადობის ნივთიერად დასუსტება ცხადად გამოჩნდა მე-18 საუკ. მეორე ნახევარში. ამ დროს განსაკუთრებით მეორე ხარისხოვან გვარეულობათა წევრები ვარდებოდნენ ხშირად ფრიად დიდს გაჭირვებაში. დიდს თავადებს მაინც თვალსაჩინო შეძლება ჰქონდათ. სარდალს კოსტანტინე მუხრან-ბატონს გიორგი XII-ის დროს 1,200 კომლი ყმა (აზნაური და გლეხი) ჰყავდა. იმერეთის უკანასკნელ სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის აზნაურთა და გლეხთა რიცხვი ათას კომლამდის უწევდა.

ქართლ-კახეთში გლეხთა წოდება მე-18 საუკუნეში თანდათან ჩამოყალიბდა ერთ მთლიან წოდებად. ამ მხრივ ფრიად საგულისხმიეროა მსახურთა წოდების გათქვეფა ქართლ-კახეთში გლეხთა წოდებაში. ეს გარემოება იმავე დროს იმის მაჩვენებელია, რომ დაბალი წოდება საზოგადოდ უფლებრივად ეხლა, მე-18 საუკ. მეორე ნახევარში ფეოდალურ ელემენტების მდგომარეობის შეცვლის გამო, შედარებით წინანდელთან თავად-აზნაურთაგან მეტს დამოკიდებულებას გრძნობდა.

ლიხთ-იმერეთს წოდებათა კატეგორიები არსებითად არ შეცვლილა, მხოლოდ აქაც ტენდენცია მიისწრაფოდა ყმების მეტს დამოკიდებულებაში მოქცეულიყვნენ თავისი ბატონებისაგან.

ეკლესიას ეჭირა ისეთივე დამოუკიდებელი ადგილი, როგორც წინად, მხოლოდ მისი დასაქმება სპეციალურად მეფის ინტერესის მიხედვით ამ ჟამად, სამეფო უფლების განმტკიცებისა გამო, უფრო ადვილი იყო და ბუნებრივ ფარგლებში სწარმოებდა. მღვდელ-მთავრების რიცხვი კლასიფიციურად საკმაოდ დიდი იყო. მე-18 საუკ. სიგრძეზე ქართლ-კახეთში, საკათალიკოზო ტახტს გარდა, 16—15 სამღვდელთმთავრო კათედრა იყო. ლიხთ-იმერეთს, აფხაზეთის კათალიკოზის ხელისუფლების ქვეშ, იყო აგრეთვე საკმაოდ ბლომად სამღვდელთმთავრო კათედრები. მე-18 საუკ. სიგრძეზე 1770-იან წლებამდის გამოვლილ აოხრებათა და შინაურ არეულობათა გამო ბევრი საეპისკოპოსო კათედრა ლიხთ-იმერეთს გაუქმებული იყო. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ეს კათედრები თანდათან აღდგა და მე-19 საუკ. დასაწყისს იმერეთის სამეფოში ითვლებოდა 4 ეპარქია, ოდიშის სამთავროს—3 და გურიას 2. მღვდელთმთავრებს ლიხთ-იმერეთის სამთავროებში დიდი გავლენა ჰქონდათ მართველობის საქმეების მსვლელობასა და საზოგადოდ პოლიტიკური გეზის ვითარებაზე.

კულტურული ცხოვრების ვითარება. მე-18-ე საუკუნეში ქართველი ერის ცხოვრებას ახასიათებს მიდრეკილება რუსეთისაკენ და რუსეთის საშუალებით მაშასადამე დასავლეთ ევროპის კულტურისაკენ. მიდრეკილება გამოწვეული იყო ერის საღი ინსტინქტით თავისი თვითმყოფობის შენარჩუნებისა და განვითარებისა ევროპიულ კულტურის ნორმების მიხედვით. მე-XVIII საუკუნეში მოწინავე ქართველი საზოგადოება უკვე ცოტაოდნად იცნობდა დასავლეთ ევროპასაც. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კათოლიკე მისიონთა მოღვაწეობას. ბევრი წარჩინებული ქართველი ფრიად დაახლოვებული იყო მისიონებთან და თვით კათოლიკე სარწმუნოებასთანაც. კათოლიკობაში გადასული საბა-სულხან ორბელიანი, მეცნიერი ანტონ I კათალიკოზი, თეიმურაზ II-ის დროინდელი მდივანბეგი იოანე (ჯაბუა) ორბელიანი, ფრიად განათლებული პირი, აგრეთვე კათოლიკობისადმი მიდრეკილი, არიან მთავარი წარმომადგენელნი ამ წარჩინებულთა წრისა. საბა-სულხან ორბელიანმა, როგორც ვახტანგ VI-ის დესპანმა, შემოიარა მე-XVIII საუკუნის დასაწყისში თითქმის მთელი დასავლ. ევროპა და თავისი მოგზაურობა აღწერა ცალკე წერილში.

მაგრამ დასავლ. ევროპა ჯერ კიდევ მიუვალი იყო საქართველოსთვის და ამიტომ კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან თანდათან უფრო მტკიცე და მკვიდრ ხასიათს ღებულობდა. რუსეთში თავს იყრიდნენ საქართველოდან იძულებით თუ ნებით წასულნი მეფენი, ბატონიშვილები და წარჩინებულნი, სასულიერო და საერო პირნი,

რომელნიც, სამშობლო ქვეყანას დაშორებული, ცდილობდნენ კულტურული მუშაობის გაჩაღებას. მოსკოვსა და მე-XVIII საუკ. მეორე ნახევარში სხვაგანაც (მაგალ., კრემენჩუგს) იბეჭდებოდა ქართული წიგნები. 1743 წ., მაგ., მოსკოვში დაიბეჭდა დაბადების მთელი ტექსტი. რუსეთში მომუშავენი, რასაკვირველია, განიცდიდნენ რუსული მწერლობისა და მეცნიერების ზედგავლენას, რაც უფრო აახლოვებდა საქართველოს ჩრდილოეთ იმპერიასთან.

ქართველები ამასთანავე ეცნობოდნენ რუსეთის სახელმწიფოს ახალს წეს-წყობილობას და ცდილობდნენ ამისდა მიხედვით საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრების წინ წაწევას. გარდა რუსეთის კოლეგიათა დებულებისა, რომელიც გადაითარგმნა ქართულად 1760 წ., შემდეგს დროში გადმოქართულებულ იქმნა ზოგი სხვა ამაგე ხასიათის ნაწარმოებიც. ამისდამიხედვით გაჩნდა ახალი პროექტები სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოწყობისა. 1779—1782 წლებში რუსეთში ნამყოფმა ალ. ამილახვრისშვილმა წარუდგინა იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს ამგვარი პროექტი სახელით „ბრძენი აღმოსავლეთისა". ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანში დავით და იოანე ბატონიშვილნი აგრეთვე მუშაობდნენ ახალს კანონებზე და სახელმწიფოს რამოდენადმე ევროპიულად მოწყობის პროექტზედ. დავითმა 1800 წ., მაგალითად, შეადგინა ახალი სამართლის წიგნი, რომელიც 245 მუხლისაგან შესდგებოდა.

რუსეთთან დაახლოვებას გავლენა ჰქონდა ერის ყოფა-ცხოვრებაზედაც პირველად, რასაკვირველია, მარტო უმაღლეს წრეებში. 1770-იან წლებიდან ერეკლე II-ის კარზე შემოღებულ იქმნა ევროპიული წესის სუფრაც, გაჩნდა რუსეთიდან გამოწერილი ფაიფურის ჭურჭელი და სხვ. სამეფო კარს მიბაძა ზოგმა წარჩინებულმა პირმაც. ამავე დროიდან იწყო, ჯერ თუმცა სუსტად, ფეხის მოკიდება ევროპიულმა ტანთსაცმელმა: ქალებისთვის შემოვიდა შლიაპა, ქოლგა და სხ.

ამ გვარად საქართველოში თანდათან შემოდიოდა ახალი კულტურული ნაკადები. ამ გარემოებამ იქონია გავლენა რამოდენადმე პოეზიაზედაც და ადგილობრივ, საქართველოში, გააძლიერა შემოქმედების უნარი. ცნობილ პოეტის ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) ნაწერები მე-XVIII საუკ. მეორე ნახევარში ცხადი მაჩვენებელია ამ შემოქმედების სიძლიერისა.

მე-18 საუკუნეშივე ცხოვრობდა ცნობილი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელმაც რუსეთში დასწერა თვისი „გურამიანი". საზოგადოდ როგორც საქართველოში (უმეტესად ქართლ-კახეთში). ისე აგრეთვე რუსეთში მყოფ ქართულ ახალშენებში ლიტერატურული მუშაობა მე-18 საუკუნის სიგრძეზე საკმაოდ განცხოვლებული იყო. ვახტანგ ქართლის მეფემ გადათარგმნა სპარსულიდან ქართულად „ქილილა და დამანა," მამუკა ბარათაშვილმა დასწერა პოეზიის თეორია „ჯანშიკი," სხვანი კიდევ ვახტანგ მეფის გარეშემო შემოკრებილნი პირნი ეწეოდნენ სხვადასხვა ლიტერატურულ ხასიათის შრომას. საბა-სულხან ორბელიანმა შეადგინა სხვათა შორის, თავისი ცნობილი ლექსიკონი. ნიკოლოზ

რუსთველი (მე-18 საუკ. პირველ ნახევარში) ითვლებოდა ფილოსოფოსად და საეკლესიო მწერლად. თეიმურაზ II-ს უყვარდა ლექსების წერა. მე-18 საუკ. მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე საკმაოდ განცხოვლებულია მწერლობითი მოშაირობა, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობენ როგორც სამეფო სახლის წევრნი, ასე აგრეთვე თავადები, კაცნი და ქალნი.

ხელოვნების ვითარების აღსანიშნავად მოსახსენებელია მე-18 საუკ. პირველ ნახევარში ქართლს მხატვარი გრიგოლი. სოლომონ II-ის დროს იმერეთს კიდევ როგორც მხატვარი ადგილობრივ ცნობილი იყო დავით გვარად დიასამიძე.

მე-18 საუკ. დასაწყისიდან ხელ ახლავ დაიწყო განვითარება ქართულმა ისტორიულმა მწერლობამაც (ვახტანგის კომისია, ვახუშტი ბატონიშვილი,—საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის ავტორი, სეხნია ჩხეიძე, და მე-18 საუკ. მეორე ნახევარში პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე.

განვითარების წინსვლა, სხვათა შორის, გამოიხატა მე-18 საუკ. მეორე ნახევარში ჯერ ტფილისისა და შემდეგ თელავის სემინარიის დაარსებაში. თელავის სემინარიაში 1791 წელს 14 მოწაფე იხსენიება. ამ სასწავლებლების დაარსება რამდენადმე ნაყოფი იყო რუსეთთან კულტურულ ურთიერთობის დაჭერისა. ტფილისში არსებული სტამბაც ერეკლე II-ის დროს კარგად მუშაობდა და ამდიდრებდა წიგნის ბაზარს საართველოში.

საერთოდ მე-18 საუკუნის დასასრულს ქართველი ერის ცხოვრებას ცხადად ახასიათებდა აღმოსავლეთთან მანამდის არსებულ კულტურულ ურთიერთობის ნაცვლად ახალი გზების მოპოების ცდა—დასავლეთის კულტურასთან, რუსეთის საშუალებით, მჭიდრო კავშირის დაკავებლად.

ზოგიერთ ტერმინების ახსნა.

ამირ-სპასალარი--უფრ. მხედართ-მთავარი
არბაბი—ხარჯი, გარდასახადი.
ასპრი—წვრილი ფული ოსმალეთში, დარჩენილი ბიზანტიის იმპერიის დროიდან. 1725 წ. 48 ასპრი ანუ 16 ფარა უდრიდა ერთს სპარსულ აბაზს.
აღა—ბატონი, აკრეთვე ჯარის უფროსი.
ბეგი - ნიშნავს მბრძანებელს.
დანგი—უდრის $^1/_6$ მისხალს.
დუკატი—ოქროს ფული, რომელიც ჩვეულებრივ ოფიციალური კურსით შეიცავდა 120 ასპრს, ხან მეტს, 1696 წ., მაგ., 300 ასპრს.
ეთიმადოულე—ტიტული სპარს. ვიზირეული მინისტრისა—სპარსეთის „ჰემედედდოვლე“ — სასელმწიფოს ნდობით აღჭურვილი.
ელი—მოზომაბარე ტომი.
ეშიკაღასი—იგივე მანდატურთ-უხუცესი.
ვალი—გამგე.
ვეზირი—მინისტრი.
ვექილი—გამგე.
თუმანი—50 აბაზი; მე-XVIII საუკ. ვიდრე ნახევარში უდრიდა ოსმალურ 2400 ასპრს.
თული—ტყავის ძუა, გაკეთებული თავის საბურავზე.
მანდატურთ-უხუცესი—მანდატურთა ანუ შეიძლება ითქვას ბოქაულთა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით უფროსი.
მარჩილი—XVIII საუკუნეში უდრიდა 3 აბაზს.
მელიქი—მბრძანებელი.
მეჯმანდარი—მესტუმრე.
მირზა—სახელის წინ ნიშნავს მოხელეს, სახელის შემდეგ კი ვრინცს, ბატონიშვილს.
ნაიბი—მოადგილე.
ნოქარი—მსახური.
ვიასტრი-ოსმალური ფული, შეიცავდა 80 ასპრს, ხან მეტს, ხან ნაკლებს.
სანჯაკი—მაზრის დაგვარ ადმინისტრატიული დანაწილებას ოსმალეთში.
სერასკირი—ოსმალთა ჯარის სარდალი.
ქესა—მე-XVIII საუკ. უდრიდა 500 ვიასტრს (25 თუმანს).
ქეჰია—სერასკირის მოადგილე.
ფარეშ-ბაში ფარეშთ-უხუცესი.
ყაფუჩი—ხელჯოხიანი (მოხელე).
ყულარაღასი—ყულების უფროსი.
ყული—მსახური, მონა.
ხანი—ნიშნავს ხელმწიფეს.
ჯანიშინი—მოადგილე.